ინფორმაცია 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესრულების შესახებ

თბილისი

2018

ინფორმაცია 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესრულების შესახებ

1 პრიორიტეტი – ხელმისაწვდომი ხარისხიანი ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2017 წლის დაზუსტებული გეგმა	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	2017 წლის ფაქტიური დაფინანსება	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები	მ.შ.საკუთარი სახსრები
35 02	მოსახლეობის სოციალური დაცვა	2,401,306.9	2,401,306.9	2,400,747.3	2,400,747.3	0.0
35 03	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა	941,861.8	941,659.9	964,141.7	964,119.5	22.1
29 03	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	61,729.9	52,206.1	61,142.1	51,919.9	9,222.2
35 01	შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების მართვა	52,864.3	51,938.0	59,679.0	58,976.8	702.2
35 04	სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა	20,502.4	20,502.4	20,639.7	20,639.7	0.0
54 00	სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური	6,402.4	6,400.0	5,820.3	5,818.0	2.4
35 05	შრომისა და დასაქმების სისტემის რეფორმების პროგრამა	2,622.1	2,622.1	2,455.6	2,455.6	0.0
30 04	შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებით უზრუნველყოფა	5,279.3	5,179.3	5,224.2	5,168.5	55.7
57 00	ა(ა)იპ - საქართველოს სოლიდარობის ფონდი	4,665.5	260.0	3,650.8	254.6	3,396.2
	სულ	*3,497,234.6*	*3,482,074.7*	*3,523,500.8*	*3,510,099.9*	*13,400.9*

1.1 მოსახლეობის სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 35 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“

დაგეგმილი საბოლოო შედეგი:

- მოქალაქეთათვის კანონმდებლობით გარანტირებული და რეალიზებული სოციალურ-ეკონომიკური უფლებები;
- მოწყვლადი ჯგუფების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, დეინსტიტუციონალიზაცია, პრევენცია;
- შშმ პირთა უწყვეტი ფინანსური მხარდაჭერა;
- ოჯახების გაძლიერება, ალტერნატიული სერვისების განვითარება და მათი ხელმისაწვდომობის გაზრდა.

მიღწეული საბოლოო შედეგი:

- დაფინანსდა სახელმწიფო პენსიები, სახელმწიფო კომპენსაციები, სამიზნე ჯგუფების ფულადი სოციალური დახმარებები და სოციალური მომსახურებები;
- „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, დაფინანსდა მაღალმთიან დასახლებაში აბონენტის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლის) მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელექტროენერგიის ყოველთვიური საფასური 50%, მაგრამ არაუმეტეს მოხმარებული 100 კვტ.სთ ელექტროენერგიის საფასურისა;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა (მათ შორის, ბავშვთა), ხანდაზმულთა და ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ, სოციალურად დაუცველდა მიუსაფარ ბავშვთა საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით გაზრდილია მომსახურებათა ქსელი და დაფინანსება.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1. საბაზისო მაჩვენებელი - პენსია, მათ შორის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პენსიონერების დანამატი და კომპენსაცია გაიცემა დროულად კანონით განსაზღვრული ბენეფიციარებისათვის;
მიზნობრივი მაჩვენებელი - პენსია და კომპენსაცია გაიცემა დროულად კანონით განსაზღვრული ყველა ბენეფიციარებისათვის;
მიღწეული მაჩვენებელი - სახელმწიფო პენსია და სახელმწიფო კომპენსაცია გაიცა სრულად და დროულად;
2. საბაზისო მაჩვენებელი - საარსებო შემწეობის მიმღები სოციალურად დაუცველი პირები უზრუნველყოფილი არიან სოციალური დახმარებებით;
მიზნობრივი მაჩვენებელი - საჭიროებიდან გამომდინარე საარსებო შემწეობით უზრუნველყოფილია ყველა სოციალურად დაუცველი პირი;
მიღწეული მაჩვენებელი - ბენეფიციართა 100% უზრუნველყოფილია კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი გასაცემლით.
3. საბაზისო მაჩვენებელი - კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით ყველა შშმ პირი უზრუნველყოფილია დახმარებით, მათ შორის სოციალური პაკეტის დანამატით;
მიზნობრივი მაჩვენებელი - შშმ პირების დახმარება გაიცემა საჭიროებების გათვალისიწინებით;

მიღწეული მაჩვენებელი - შშმ პირები, რომლებიც აკმაყოფილებენ კანონმდებლობით დადგენილ პირობებს უზრუნველყოფილნი არიან შესაბამისი დახმარებით.
4. საბაზისო მაჩვენებელი - ბავშვთა მცირე საოჯახო ტიპის სახლის შემთხვევაში (7 სახლი) - 30 % სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს, დანარჩენი - ნაწილობრივ;
მიზნობრივი მაჩვენებელი - მომსახურებათა 40% სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს;
მიღწეული მაჩვენებელი - მომსახურებათა 37% სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს;
5. საბაზისო მაჩვენებელი - შშმ პირთა(მათ შორის ბავშვთა) 11 დღის ცენტრიდან - 40% სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს, დანარჩენი - ნაწილობრივ;
მიზნობრივი მაჩვენებელი - მომსახურებათა 50% სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.
მიღწეული მაჩვენებელი - მომსახურებათა 46% სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს;
6. საბაზისო მაჩვენებელი - 13 სათემო ორგანიზაციიდან 34% სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს, დანარჩენი - ნაწილობრივ;
მიზნობრივი მაჩვენებელი - მომსახურებათა 45% სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს;
მიღწეული მაჩვენებელი - მომსახურებათა 42% სრულად აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

1.1.1. მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 35 02 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“

დაგეგმილი შუალედური შედეგი:

- საპენსიო ასაკის მოსახლეობა და სპეციფიური კატეგორიები უზრუნველყოფილია პენსიით და სახელმწიფო კომპენსაციით.

მიღწეული შუალედური შედეგი:

- სახელმწიფო გასაცემლები - სახელმწიფო პენსია და სახელმწიფო კომპენსაცია გაიცა სრულად და დროულად;

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1. საბაზისო მაჩვენებელი - პენსია გაიცემა დროულად კანონით განსაზღვრული ბენეფიციარებისათვის (716.0 ათასამდე პენსიონერი);
მიზნობრივი მაჩვენებელი - პენსია გაიცემა დროულად კანონით განსაზღვრული ბენეფიციარებისათვის (770.0 ათასამდე პენსიონერი);
მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ბენეფიციართა უზრუნველყოფა სახელმწიფო პენსიებით (726.0 ათასამდე პენსიონერი);

2.საბაზისო მაჩვენებელი - კომპენსაცია გაიცემა დროულად კანონით განსაზღვრული ბენეფიციარებისათვის (22.0 ათასამდე სახელმწიფო კომპენსაციის მიმღები);
მიზნობრივი მაჩვენებელი - კომპენსაცია გაიცემა დროულად კანონით განსაზღვრული ბენეფიციარებისათვის (22.0 ათასამდე სახელმწიფო კომპენსაციის მიმღები);
მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ბენეფიციართა უზრუნველყოფა სახელმწიფო კომპენსაციებით (21.6 ათასამდე სახელმწიფო კომპენსაციის მიმღები);

ცდომილების მაჩვენებელი (% აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებაზე:

- პენსიის მიმღებთა მიზნობრივი მაჩვენებელი 770.0 ათასამდე პენსიონერი გათვლილი იყო სსიპ- სახელმწიფო სერვისების სააგენტოს მიერ წარმოებულ მონაცემთა ბაზაზე დაყრდნობით და მოიცავდა ყველა იმ პირს, რომელიც მიაღწევდა საპენსიო ასაკს და შესაბამისად მოიპოვებდა პენსიის დანიშვნის უფლებას. თუმცა საჯარო საქმიანობის განხორციელების (რაც წარმოადგენს პენსიის შეწყვეტის საფუძველს), ქვეყნის დატოვების ან სხვა გარემოების გამო დაფიქსირდა ნაკლები მიმართვიანობა. შესაბამისად, პენსიონერთა საშუალო რაოდენობა განისაზღვრა 726.0 ათასი პირით.
- „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით ცალკეული საფუძვლით (ნამსახურების ვადის ამოწურვა, მარჩენალის გარდაცვალება, ოჯახის წევრის გარდაცვალება და სხვა) მიმღებთა რაოდენობამ დაგეგმილ მიზნობრივ მაჩვენებელს ვერ მიაღწია ნაკლები მიმართვიანობის გამო და შეადგინა საშუალოდ 21.6 ათასი პირი.

1.1.2. მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარება (პროგრამული კოდი 35 02 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“

დაგეგმილი შუალედური შედეგი:

- მიზნობრივი სოციალური ჯგუფებისათვის სოციალური ტრანსფერის გაცემა.

მიღწეული შუალედური შედეგი:

- ბენეფიციართა 100% უზრუნველყოფილია კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი გასაცემლით.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1. საბაზისო მაჩვენებელი - სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფები უზრუნველყოფილი არიან სოციალური დახმარებებით და გაცემა ხდება დროულად (168.0 ათასამდე სოციალური პაკეტის მიმღები, 240.0 ათასამდე დევნილი, ლტოლვილი ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირი, 400.0 ათასამდე სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი პირი და სხვა); უღარიბესი დეცილის გადაფარვა მიზნობრივი სოციალური დახმარებით - 50%; ფარდობითი სიღარიბის მაჩვენებელი - 22.4%;

მიზნობრივი მაჩვენებელი - საარსებო შემწეობით უზრუნველყოფილია ყველა სოციალურად დაუცველი პირი საჭიროებიდან გამომდინარე; შენარჩუნდება საარსებო შემწეობის დროულად გაცემის მაჩვენებელი (758.0 ათასამდე ბენეფიციარი); უღარიბესი დეცილის გადაფარვა მიზნობრივი სოციალური დახმარებით - 60%; ფარდობითი სიღარიბის მაჩვენებელი - 20%;

მიღწეული მაჩვენებელი - სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფები უზრუნველყოფილი იყვნენ შესაბამისი დახმარებებით დროულად.

ცდომილების მაჩვენებელი (% აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებაზე:

- „მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის“ მიხედვით, რომელიც გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ 2015 წელს ჩატარდა მიზნობრივ სოციალურ დახმარებას იღებს უღარიბეს დეცილში შემავალი შინამეურნეობების 64.8%;
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით 2016 წელს ფარდობითი სიღარიბის მაჩვენებელმა შეადგინა 20.6%.

1.1.3. სოციალური რეაბილიტაცია და ბავშვზე ზრუნვა (პროგრამული კოდი 35 02 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“

დაგეგმილი შუალედური შედეგი:

- სოციალური სერვისებით და პროდუქტებით მიზნობრივი ჯგუფების უზრუნველყოფა;

მიღწეული შუალედური შედეგი:

- გაუმჯობესდა შშმ პირთა (მათ შორის ბავშვთა), ხანდაზმულთა და მზრუნველობას მოკლებულ სოციალურად დაუცველ მიუსაფარ და მიტოვების რისკის ქვეშ მყოფ ბავშვთა ფიზიკური და სოციალური მდგომარეობა და მიმდინარეობდა მათი საზოგადოებაში ინტეგრაცია.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:

საბაზისო მაჩვენებელი - დაახლოებით 10 000 ბენეფიციარი; სერვისებისთვის გაცემული რეკომენდაციების და სტანდარტების შესრულების მაჩვენებელი 80%
მიზნობრივი მაჩვენებელი - დაახლოებით 13 500 ბენეფიციარი; სერვისებისთვის გაცემული რეკომენდაციების და სტანდარტების შესრულების მაჩვენებლის შენარჩუნება;
მიღწეული მაჩვენებელი - შენარჩუნულია სერვისებისთვის გაცემული რეკომენდაციების და სტანდარტების შესრულების მაჩვენებელი; მომსახურება გაეწია 14 000-ზე მეტ ბენეფიციარს.

1.1.4. სოციალური შეღავათები მაღალმთიან დასახლებაში (პროგრამული კოდი 35 02 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“

დაგეგმილი შუალედური შედეგი:

- გაუმჯობესდება მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრები ოჯახების სოციალური მდგომარეობა, მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრები პენსიონერები/სოციალური პაკეტის მიმღები პირები მიიღებენ სახელმწიფო გასაცემელს გაზრდილი ოდენობით.

მიღწეული შუალედური შედეგი:

- პენსიის/სოციალური პაკეტის დანამატით უზრუნველყოფილია მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სტატუსის მქონე პენსიონერი/სოციალური პაკეტის მიმღები პირი, მაღალმთიან დასახლებაში მდებარე სამედიცინო დაწესებულებაში დასაქმებული/დაკონტრაქტებული სამედიცინო პერსონალი. ასევე, ანაზღაურებულია მაღალმთიან დასახლებებში არსებული აბონენტების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის 50%.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1. მიზნობრივი მაჩვენებელი - დაახლოებით 154 103 პენსიონერი, 33 600 სოციალური პაკეტის მიმღები, ელექტროენერგიის შეღავათის მიმღები 70 000 ოჯახი; სერვისებისთვის გაცემული რეკომენდაციების და სტანდარტების შესრულების მაჩვენებლის შენარჩუნება;
მიღწეული მაჩვენებელი - სახელმწიფო პენსიის დანამატი მიიღო დაახლოებით 65 900 პენსიონერმა, სოციალური პაკეტის დანამატი მიიღო 13 000-მდე პირმა, ელექტროენერგიის შეღავათით უზრუნველყოფილი იქნა 70 000-მდე ოჯახი.

ცდომილების მაჩვენებელი (% აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებაზე:

- პენსიის/სოციალური პაკეტის დანამატის მიმღებთა რაოდენობა, ასევე, ელექტროენერგიის შეღავათის მიმღებ აბონენტთა რაოდენობა 2017 წელს ზრდადი იყო, თუმცა არა იმ მასშტაბის რაც დაგეგმილი იყო, კერძოდ: სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ბაზის მიხედვით 2017 წელს პენსიონერთა საშულო რაოდენობა შეადგენდა 770 513 პირს, დანამატის სავარაუდო მიმღებთა რაოდენობად განვსაზღვრეთ 20%, ასევე 2017 წელს სოციალური პაკეტის მიმღებთა საშუალო ოდენობად აღებული იყო 168 000 პირი, ნავარაუდევი იყო, რომ პენსიის ანალოგიურად ამ კატეგორიის პირთა რაოდენობიდანაც 20% იქნებოდა მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე.

1.2. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი 35 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
- ✓ სსიპ - „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“
- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“
- ✓ სსიპ - „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი“

დაგეგმილი საბოლოო შედეგი:

- მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებით უნივერსალური მოცვა; სიკვდილიანობის მაჩვენებლის შემცირება;
- დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის გაუმჯობესება;
- ონკოლოგიური დაავადებების მქონე პირთა სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის გაზრდა;
- გადამდები და არაგადამდები დაავადებებით სიკვდილიანობისა და ავადობის შემცირება;
- ტუბერკულოზით, აივ–ინფექცია/შიდსით და სხვა სოციალურად საშიში დაავადებებით ავადობის შემცირება;
- ვაქცინებით მართვადი ინფექციებით გამოწვეული სიკვდილიანობის თავიდან აცილება;
- C ჰეპატიტის გავრცელების შემცირება;
- საზღვრისპირა და მაღალმთიან რეგიონებში ადამიანური რესურსების უზრუნველყოფა.

მიღწეული საბოლოო შედეგი:

- უზურნველყოფილია უნივერსალური მოცვა მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებით;
- დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებლების კლების ტენდენცია შენარჩუნებულია;
- ინკურაბელური პაციენტები უზრუნველყოფილია სპეციალიზირებული სამედიცინო მომსახურებითა და მედიკამენტებით;

- ნარკომანიით დაავადებული პირები უზრუნველყოფილი არიან ადექვატური მკურნალობითა და ჩამანაცვლებელი თერაპიით;
- ფსიქიკური ჯანმრთელობის მქონე პირები უზრუნველყოფილი არიან ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურებით;
- დიაბეტის მქონე პროგრამით მოსარგებლე პაციენტები უზრუნველყოფილი არიან სპეციალიზირებული სამედიცინო მომსახურებითა და მედიკამენტებით;
- ტუბერკულოზის ინციდენტობა ქვეყანაში ხასიათდება კლების ტენდენციით;
- ტუბერკულოზითა და აივ-ინფექცია/შიდსით დაავადებული პირები უზრუნველყოფილნი არიან უფასო ამბულატორიული და სტაციონარული მკურნალობით;
- გაუმჯობესებულია იმუნიზაციით მოცვის მაჩვენებელი;
- ქვეყანაში გაუმჯობესებულია ინფექციური დაავადებების ეპიდზედამხედველობის სისტემა;
- C ჰეპატიტით დაავადებული საქართველოს მოქალაქეები უზრუნველყოფილნი არიან სადიაგნოსტიკო კვლევებითა და C ჰეპატიტის სამკურნალო უახლესი თაობის მედიკამენტებით;
- თირკმლის ტერმინალური უკმარისობით დაავადებული საქართველოს მოსახლეობა სრულად მოცულია ადექვატური სამედიცინო მომსახურებით;
- იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებული პაციენტები, რომელებიც ჩართულები არიან პროგრამაში, უზრუნველყოფილნი არიან ადეკვატური სამედიცინო მომსახურებით და მედიკამენტებით;
- მოსახლეობა უზრუნველყოფილია სასწრაფო სამედიცინო დახმარებითა და ტრანსპორტირებით;
- პირველად/ამბულატორიული მომსახურებაზე გაზრდილია უტილიზაციის მაჩვენებელი.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1. საბაზისო მაჩვენებელი - ტუბერკულოზის ინციდენტობა და პრევალენტობა; შიდსის გვიანი გამოვლენის მაჩვენებელი; იმუნიზაციით მართვადი დაავადებების ინციდენტობა; სარძევე ჯირკვლისა და საშვილოსნოს ყელის კიბოთი პირველად აღრიცხულ პირთა პროცენტული მაჩვენებელი, რომლებიც დიაგნოზის გამოვლენიდან ერთ წელიწადში გარდაიცვალა; ჩვილ ბავშვთა და დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელი;
მიზნობრივი მაჩვენებელი - გაგრძელდება და შენარჩუნებული იქნება მოსახლეობის უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურებით, <u>შემცირდება სიკვდილიანობის მაჩვენებელი;</u>
სამინისტრომ წლიური ანგარიშის წარმოდგენისას დააკორექტირა მიზნობრივი მაჩვენებელი, კერძოდ:
მიზნობრივი მაჩვენებელი - გაგრძელდება და შენარჩუნებული იქნება მოსახლეობის უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურებით;
მიღწეული მაჩვენებელი - შენარჩუნებულია მოსახლეობის უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურებით.

1.2.1. მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი 35 03 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“

დაგეგმილი შუალედური შედეგი:

- სიკვდილიანობისა და ავადობის მაჩვენებლების შემცირება;
- სახელმწიფოს მიერ სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფილი მოსახლეობა.

მიღწეული შუალედური შედეგი:

- პროგრამის ფარგლებში უწყვეტად განხორციელდა მოსახლეობის როგორც ამბულატორიული (გადაუდებელი და გეგმური), ასევე სტაციონარული (გადაუდებელი სამედიცინო მომსახურება, გეგმური ქირურგია, ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობა, მშობიარობა/საკეისრო კვეთა) სამედიცინო დახმარება.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1. საბაზისო მაჩვენებელი - საქართველოს მოსახლეობისათვის (2015 წელს დაფიქსირდა 1 190 000-მდე შემთხვევა, 2016 წლის 8 თვეში 880 000-მდე შემთხვევა) უზრუნველყოფილია ჯანდაცვის სერვისებზე ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა;
მიზნობრივი მაჩვენებელი - საქართველოს მოსახლეობისათვის უზრუნველყოფილია ჯანდაცვის სერვისებზე ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა და საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება;
მიღწეული მაჩვენებელი - მიზნობრივი მაჩვენებელი შენარჩუნებულია (2017 წელს დაფიქსირდა 1 200 000-მდე შემთხვევა.)

1.2.2 საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი 35 03 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“;
- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“.

დაგეგმილი შუალედური შედეგი:

- გადამდები და არაგადამდები დაავადებებით სიკვდილიანობისა და ავადობის შემცირება;
- დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება;
- ტუბერკულოზით, აივ–ინფექცია/შიდსით და სხვა სოციალურად საშიში დაავადებებით ავადობის შემცირება და ეპიდზედამხედველობის სისტემის გაუმჯობესება;
- ვაქცინებით მართვადი ინფექციებით გამოწვეული ავადობის შემცირება;
- C ჰეპატიტის გავრცელების შემცირება.

მიღწეული შუალედური შედეგი:

- გაუმჯობესებულია იმუნიზაციით მოცვის მაჩვენებელი;
- ქვეყანაში გაუმჯობესებულია ინფექციური და პარაზიტული დაავადებების ეპიდზედამხედველობის სისტემა;
- უზრუნველყოფილია გამოკვლეული დონორული სისხლისაგან დამზადებული სისხლის პროდუქტების უსაფრთხოება;
- ტუბერკულოზის ინციდენტობა ქვეყანაში ხასიათდება კლების ტენდენციით;
- აივ-ინფექცია/შიდსით და ტუბერკულოზით დაავადებული პირები უზრუნველყოფილნი არიან უფასო ამბულატორიული და სტაციონარული მკურნალობით;
- შენარჩუნებულია დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებლის შემცირების ტენდენცია;
- ნარკომანიით დაავადებული პირები უზრუნველყოფილი არიან საჭირო სამკურნალო და სარეაბილიტაციო ღონისძიებებით, მ.შ ჩამანაცვლებელი თერაპიით;
- C ჰეპატიტის პროგრამის ფარგლებში 2017 წელს ჯამში მკურნალობაში ჩაერთო 20 000 - მდე პაციენტი.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1.საბაზისო მაჩვენებელი - დედიდან ბავშვზე აივ–ინფექცია/შიდსის გადაცემის თავიდან აცილება; ტუბერკულოზით, აივ– ინფექცია/შიდსით და სხვა პრიორიტეტული დაავადებებით ავადობის შემცირება და ეპიდზედამხედველობის სისტემის გაუმჯობესება; ვაქცინებით მართვადი ინფექციებით გამოწვეული სიკვდილიანობის თავიდან აცილება; დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება; იმუნიზაციის კომპონენტის ფარგლებში მოსახლეობის მოცვის მაჩვენებლის გაუმჯობესება;
მიზნობრივი მაჩვენებელი - გაგრძელდება და შენარჩუნებული იქნება მოსახლეობის უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურებით;
მიღწეული მაჩვენებელი - მოსახლეობა სახელმწიფოს მხრიდან უზრუნველყოფილია ჯანდაცვის პროგრამებით მოცული შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით.

1.2.2.1 დაავადებათა ადრეული გამოვლენა და სკრინინგი (პროგრამული კოდი 35 03 02 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“;

დაგეგმილი შუალედური შედეგი:

- 40-70 ასაკობრივი ჯგუფის ქალებში ძუძუს კიბოს სკრინინგი;
- 25-60 ასაკობრივი ჯგუფის ქალებში საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი;

- 50-70 ასაკობრივი ჯგუფის კაცებში პროსტატის კიბოს სკრინინგი;
- 50-70 ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობაში კოლორექტალური კიბოს სკრინინგი;
- 1-6 ასაკის ბავშვებში გონებრივი ჩამორჩენილობის ადრეული გამოვლენა;
- ეპილეფსიის პირველადი დიაგნოსტიკა.

მიღწეული შუალედური შედეგი:

- დაავადებათა ადრეული გამოვლენის და გავრცელების შეზღუდვის მიზნით, ძუძუს, საშვილოსნოს ყელის, კოლორექტული და პროსტატის კიბოს სკრინინგი; საშვილოსნოს ყელის ორგანიზებული სკრინინგი (გურჯაანის მუნიციპალიტეტის მასშტაბით) (მოცვის მაჩვენებელი 85.1%); 1-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვთა მსუბუქი და საშუალო ხარისხის მენტალური განვითარების დარღვევების პრევენცია, ადრეული დიაგნოსტიკა და გონებრივი ჩამორჩენილობის პროფილაქტიკა; ეპილეფსიის დიაგნოსტიკა და ზედამხედველობა.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1. საბაზისო მაჩვენებელი - 40-70 ასაკობრივი ჯგუფის ქალებში ძუძუს კიბოს სკრინინგი - 21 000;
მიზნობრივი მაჩვენებელი - 40-70 ასაკობრივი ჯგუფის ქალებში ძუძუს კიბოს სკრინინგი - 3.5%;
მიღწეული მაჩვენებელი - 40-70 ასაკობრივი ჯგუფის ქალებში ძუძუს კიბოს სკრინინგი - 22 440;
2. საბაზისო მაჩვენებელი - 1-6 ასაკის ბავშვებში გონებრივი ჩამორჩენილობის ადრეული გამოვლენა: 683 ბავშვი;
მიზნობრივი მაჩვენებელი - 1-6 ასაკის ბავშვებში გონებრივი ჩამორჩენილობის ადრეული გამოვლენა: 720 ბავშვი;
მიღწეული მაჩვენებელი - 1-6 ასაკის ბავშვებში გონებრივი ჩამორჩენილობის ადრეული გამოვლენა: მომსახურება გაეწია 1283 ბავშვს;
3. საბაზისო მაჩვენებელი - 25-60 ასაკობრივი ჯგუფის ქალებში საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი - 24 000;
მიზნობრივი მაჩვენებელი - 25-60 ასაკობრივი ჯგუფის ქალებში საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი - 2,5%;
მიღწეული მაჩვენებელი - 25-60 ასაკობრივი ჯგუფის ქალებში საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგი - 21 788;
4. საბაზისო მაჩვენებელი - 50-70 ასაკობრივი ჯგუფის კაცებში პროსტატის კიბოს სკრინინგი - 9000;
მიზნობრივი მაჩვენებელი - 50-70 ასაკობრივი ჯგუფის კაცებში პროსტატის კიბოს სკრინინგი - 1,7%;
მიღწეული მაჩვენებელი - 50-70 ასაკობრივი ჯგუფის კაცებში პროსტატის კიბოს მართვა - 6 552;
5. საბაზისო მაჩვენებელი - 50-70 ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობაში კოლორექტალური კიბოს სკრინინგი - 6 400;
მიზნობრივი მაჩვენებელი - 50-70 ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობაში კოლორექტალური კიბოს სკრინინგი- 1,5%;
მიღწეული მაჩვენებელი - 50-70 ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობაში კოლორექტალური კიბოს სკრინინგი - 6021;
6. საბაზისო მაჩვენებელი - ეპილეფსიის პირველადი დიაგნოსტიკა - 1544 პაციენტი;
მიზნობრივი მაჩვენებელი - ეპილეფსიის პირველადი დიაგნოსტიკა: 1600 პაციენტი;
მიღწეული მაჩვენებელი - ეპილეფსიის პირველადი დიაგნოსტიკა: საანგარიშო პერიოდში გამოკვლეული იქნა - 2359 ბენეფიციარი.

ცდომილების მაჩვენებელი (% აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებაზე:

- კიბოს სკრინინგის შესრულების შედარებით დაბალი მაჩვენებლების მიზეზია:
- ✓ იანვრში კონტრაქტორი დაწესებულების ა(ა)იპ „ეროვნული სკრინინგ-ცენტრის“ ფუნქციონირების დროებითი შეწყვეტა თბილისის მერიის მიერ განხორციელებულ ორგანიზაციულ საკითხებთან დაკავშირებით; საერთო ჯამში პირველ კვარტალში შესრულების მაჩვენებლები საშვილოსნოს ყელის კიბოს სკრინინგში იყო საკმაოდ დაბალი, რამაც გავლენა მოახდინა როგორც წლიური შესრულების, ასევე მოცვის მაჩვენებლებზე;
- ✓ მარტიდან კონტრაქტორი დაწესებულების ცვლილება - საწყის ეტაპზე, მოსახლეობაში ახალ კონტრაქტორ და ქვეკონტრაქტორ დაწესებულებებზე ინფორმაციის ნაკლებობა. ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად შპს „უნიმედ-აჭარის“ მიერ ჩატარებული იქნა სხვადასხვა სახის აქტივობა (მათ შორის მრავალი საინფორმაციო-საკომუნიკაციო ღონისძიება, ქვეკონტრაქტორების რაოდენობის ზრდა, ორგანიზებული სკრინინგის ელემენტების გამოყენება), რამაც ხელი შეუწყო სკრინინგული კველევების შესრულების მაჩვენებლების თანდათანობით ზრდის ტენდენციას.
- ✓ 2017 წლიდან საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ექსპერტების რეკომენდაციით პროსტატის კიბოს სკრინინგი შეიცვალა პროსტატის კიბოს მართვით, რაც გულისხმობს 50–70 წლის ასაკის მამაკაცების სისხლში სპეციფიკურ ანტიგენზე კვლევის ჩატარებას ადრეული დიაგნოზოს დასმის მიზნით მხოლოდ ოჯახის ექიმის ან შესაბამისი სპეციალისტის მიმართვის საფუძველზე. ამიტომ შეიზღუდა გამოსაკვლევ პირთა რაოდენობაც.
- ✓ პროგრამის დასახული მიზნის მისაღწევად მთავარი ამოცანა არის სრული გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, რაც 2017 წლის განმავლობაშიც ვერ იქნა სრულად მიღწეული. მთავარ გამოწვევად რჩება მამოგრაფების არასაკმარისი რაოდენობა: ამჟამად კომპონენტის ფარგლებში ფუნქციონირებს 11 სხვადასხვა სიმძლავრის მამოგრაფი; გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით ცენტრმა კონტრაქტორ დაწესებულებასთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში ჩადო ვალდებულება კვარტალში ერთხელ მამომობილების საშუალებით მოიცვან ის რეგიონები, სადაც არ ფუნქციონირებს სტაციონარული მამოგრაფი (გურია, სამეგრელო-ზემო სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, მცხეთა-მთიანეთი).

1.2.2.2 იმუნიზაცია (პროგრამული კოდი 35 03 02 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“;

დაგეგმილი შუალედური შედეგი:

- იმუნიზაციით მოცვის გაუმჯობესება.

მიღწეული შუალედური შედეგი:

- შესყიდულია ვაქცინები და ასაცრელი მასალები (შპრიცები და უსაფრთხო ყუთები) სპეციფიკური (ბოტულიზმის, დიფტერიის, ტეტანუსის, გველის შხამის საწინააღმდეგო) შრატები და ყვითელი ცხელების საწინააღმდეგო ვაქცინების სტრატეგიული მარაგები. მოსახლეობა უზრუნველყოფილია ანტირაბიული სამკურნალო საშუალებებით;

- ვაქცინების, ანტირაბიული სამკურნალო საშუალებების, სპეციფიკური შრატებისა და ასაცრელი მასალების (შპრიცებისა და უსაფრთხო ყუთების) მიღება, შენახვა და გაცემა-განაწილება მიმდინარეობს „ცივი ჯაჭვის“ პრინციპების დაცვით ცენტრალური დონიდან რეგიონულ/რაიონულ ადმინისტრაციულ ერთეულებამდე;
- განხორციელდა წითელას მასიური გავრცელების პრევენციისა და გლობალური ელიმინაციის სტრატეგიით განსაზღვრული ღონისძიებების ფარგლებში, მოსახლეობის არაიმუნურ ან არასრულად იმუნიზებულ ფენებში არაგეგმიური იმუნოპროფილაქტიკის წარმოება;
- მოსახლეობა დაცულია ვაქცინაციით მართვადი ინფექციებისაგან, უზრუნველყოფილია ანტირაბიული ვაქცინითა და იმუნოგლობულინით, ასევე, შექმნილია სპეციფიკური შრატებისა და ვაქცინების სტრატეგიული მარაგები.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1. საბაზისო მაჩვენებელი - იმუნიზაციით მოცვის გაუმჯობესება: დყტ კომპონენტის შემცველი ვაქცინის მესამე დოზით მოცვა* (12 თვეზე ზევით ბავშვთა ასაკობრივ კატეგორიაში) - 85 %; ოპვ 3 - 87%; წწყ1 აცრებით მოცვის მაჩვენებელი 12 თვეზე -94 %; წწყ2 აცრებით მოცვის მაჩვენებელი 5 წლის ასაკის ბავშვთა კატეგორიაში - 92 %;
მიზნობრივი მაჩვენებელი - იმუნიზაციით მოცვის გაუმჯობესება: დყტ კომპონენტის შემცველი ვაქცინის მესამე დოზით მოცვა* (12 თვეზე ზევით ბავშვთა ასაკობრივ კატეგორიაში) - 95 %; ოპვ 3 - 95%; წწყ1 აცრებით მოცვის მაჩვენებელი 12 თვეზე -95%; წწყ2 აცრებით მოცვის მაჩვენებელი 5 წლის ასაკის ბავშვთა კატეგორიაში - 95 %;
მიღწეული მაჩვენებელი - მიზნობრივი პოპულაციის იმუნიზაციით მოცვის მაჩვენებელი: დყტ-ჰიბ-ჰეპბ -იპვ 3 – 90.1%; წწყ 1 - 94.6%; წწყ 2 – 89.5%.

ცდომილების მაჩვენებელი (% აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებაზე:

- საზოგადოების გარკვეული ნაწილის „უარყოფითი“ დამოკიდებულება ზოგადად ვაქცინაციის მიმართ და სამედიცინო დაწესებულებების და პერსონალის დამატებითი მოტივაციის ნაკლებობა მოცვის სამიზნე მაჩვანებლების მიღწევის შემთხვევაში;
- იმუნიზაციის პროცესში მუდმივი, დროებითი უკუჩვენებების და უარის დასაშვები ნორმაა 2%.

1.2.2.3 ეპიდზედამხედველობის პროგრამა (პროგრამული კოდი 35 03 02 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“;

დაგეგმილი შუალედური შედეგი:

- ინფექციურ და პარაზიტულ დაავადებათა კონტროლი.

მიღწეული შუალედური შედეგი:

- სტატისტიკური ფორმების შეგროვება და წარდგენა სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში განხორციელდა მუნიციპალური სჯდ ცენტრების 100%-ის მიერ;
- ეპიდზედამხედველობის ერთიან ელექტრონულ სისტემაში ჩართულია და მონაწილეობს მუნიციპალური სჯდ ცენტრების 100%; ასევე, იმუნიზაციის მოდული დანერგილია სჯდ ცენტრების 100%-ში;
- სამოქმედო არეალზე იმუნიზაციის დაგეგმვის და სერვისის მიწოდების თაობაზე ინფორმაციის წარმოდგენა ხორციელდება მუნიციპალური სჯდ ცენტრების 100%-ის მიერ;
- 2017-2018 წლების გრიპის სეზონისთვის აცრილ იქნა 26 927 პირი.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1. საბაზისო მაჩვენებელი - მალარიოგენულ ტერიტორიებზე (პოტენციურ კერებში) ინსექტიციდით დამუშავებული ტერიტორიების (საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი) პროცენტული წილი შეადგენს 95%-ს; მალარიის ადგილობრივი შემთხვევების რაოდენობა - 0; ინფექციურ და პარაზიტულ დაავადებათა კონტროლი - ჰეპატიტების მარკერებზე (HBsAg, antiHBc და antiHCV) გამოკვლეულ პაციენტთა რაოდენობა 280; მწვავე დიარეის მქონე პაციენტების რაოდენობა, რომელთა განავლის ნიმუშები გამოკვლეულ იქნა ბაქტერიულ, ვირუსულ პათოგენებზე 94; ნოზოკომიურ ინფექციებზე გამოკვლეული ნიმუშის რაოდენობა 328; მაღალი რისკის პოპულაციაში სეზონური გრიპის ვაქცინაციით მოცვის მაჩვენებელი - 27.5%;
მიზნობრივი მაჩვენებელი - შენარჩუნებულია საბაზსიო მაჩვენებელი მალარიის კომპონენტში. ნოზოკომიური ინფექციების ზედამხედველობის სენტინელური ბაზების რაოდენობა გაიზარდა 20%-ით; მაღალი რისკის პოპულაციაში სეზონური გრიპის ვაქცინაციით მოცვის მაჩვენებელი - 60%;
მიღწეული მაჩვენებელი - მალარიაზე გამოკვლეული საეჭვო კლინიკური ნიშნების მქონე პირთა პროცენტული წილი შეადგენს დასახული მიზნის 93.26%-ს (1455 პირი); მალარიისა და სხვა ტრანსმისიური დაავადებების გადამტანების გავრცელების, ინსექტიციდით დამუშავებული ტერიტორიების (საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი) პროცენტული წილი შეადგენს დასახული მიზნის 100.07%-ს; ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული კვლევების (სისხლის სქელი წვეთი და ნაცხები) შედეგების 17% გადამოწმდა (დასახული იყო 10%) ცენტრის ლაბორატორიაში; მალარიის ადგილობრივი შემთხვევების რაოდენობა - არ დაფიქსირებულა; მწვავე და ქრონიკული დიარეის მქონე პაციენტების რაოდენობა, რომელთა ფეკალიების ნიმუშები გამოკვლეულ იქნა ბაქტერიულ, ვირუსულ პათოგენებზე - 192; ნოზოკომიურ ინფექციებზე გამოკვლეული ნიმუშის რაოდენობა - 555.

ცდომილების მაჩვენებელი (% აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებაზე:

ნოზოკომიური ინფექციების ზედამხედველობის კომპონენტში დაფიქსირდა ქვეკონტრაქტორი დაწესებულებების მიერ დაგეგმილთან შედარებით ჩატარებული კვლევების დაბალი შესრულების მაჩვენებელი, რაც განაპირობა:

- ✓ მიმწოდებელ დაწესებულებებში (საყრდენ ბაზებზე) საავადმყოფოსშიდა ინფექციაზე საეჭვო, რეალური შემთხვევების მცირე ოდენობით გამოვლენამ, მათ მიერ მოწოდებულ საპროგნოზო რაოდენობებთან შედარებით, რის საფუძველზეც მოხდა პროგრამული ღონისძიებების დაგეგმვა;

- ✓ არსებული რეგულაციებით, რომელიც საავადმყოფოსშიდა ინფექციის იდენტიფიცირების შემთხვევაში, კლინიკას ავალდებულებს შემთხვევის ანაზღაურების პასუხისმგებლობას, რის გამოც კლინიკის მენეჯერები თავს არიდებენ დადგენილი წესით ინფორმაციის შეგროვებას და გადაცემას;
- ✓ სამედიცინო პერსონალის ცოდნის და დამოკიდებულების ნაკლებობა ნოზოკომიური/ჰოსპიტალური ინფექციების კონტროლის მნიშვნელობის თაობაზე.

1.2.2.4 უსაფრთხო სისხლი (პროგრამული კოდი 35 03 02 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“;

დაგეგმილი შუალედური შედეგი:

- უანგარო დონაციათა რაოდენობის ზრდა;
- უსაფრთხო სისხლის პროდუქტები.

მიღწეული შუალედური შედეგი:

- დონორული სისხლის კვლევა B და C ჰეპატიტზე, აივ-ინფექცია/შიდსსა და ათაშანგზე; ხარისხის გარე კონტროლი და მონიტორინგი უზრუნველყოფილია; განხორციელდა სისხლის უანგარო, რეგულარული დონორობის მხარდაჭერისა და მოზიდვის ეროვნული კამპანია; ტრანსფუზიით გადამდები ინფექციების პრევენცია.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1. საბაზისო მაჩვენებელი - უანგარო დონაციათა რაოდენობა - 16 800, (30%), საერთო დონაციების რაოდენობა - 68 400;
მიზნობრივი მაჩვენებელი - უანგარო დონაციათა რაოდენობის ზრდა: 50%;
მიღწეული მაჩვენებელი - მთლიან დონაციებში უანგარო დონაციების ხვედრითი წილი შეადგენს 28%-ს (სულ - 77 139 დონაცია, უანგარო 21 685), რაც აღემატება 2015 (სულ - 67 160 დონაცია, მათ შორის 16 790 (25%) უანგარო) და 2016 (სულ - 80 361 დონაცია, მათ შორის 20 381 (25%) უანგარო) წლების მონაცემებს.
2. საბაზისო მაჩვენებელი - უსაფრთხო სისხლის პროდუქტები: გამოკვლეულ დონორთა რაოდენობა - 100%;
მიზნობრივი მაჩვენებელი - შენარჩუნებულია საბაზისო მაჩვენებელი
მიღწეული მაჩვენებელი - პროგრამაში ჩართული სისხლის ბანკებში დონორული სისხლის 100% გამოკვლეულია B და C ჰეპატიტზე, აივ-ინფექცია/შიდსზე (EIA მეთოდით) და სიფილისზე (TPHA ან RPR მეთოდით);

ცდომილების მაჩვენებელი (% აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებაზე:

უანგარო დონაციების პროცენტული ზრდის არასაკმარისი მაჩვენებელი გამოწვეულია შემდეგი ფაქტორებით:

- ✓ დონაციის მნიშვნელობის შესახებ მოსახლეობის ცოდნის დაბალი დონე;
- ✓ აქტიური საკომუნიკაციო კამპანიისათვის არასაკმარისი რესურსები (ფინანსური, ადამიანური, მატერიალურ-ტექნიკური);
- ✓ სისხლის ბანკების დაბალი აქტიურობა უანგარო დონაციების რაოდენობების გასაზრდელად;

1.2.2.5 პროფესიულ დაავადებათა პრევენცია (პროგრამული კოდი 35 03 02 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“;

დაგეგმილი შუალედური შედეგი:

- დასაქმებული მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა, პროფესიულ დაავადებათა იდენტიფიკაციისა და პრევენციის გზით.

მიღწეული შუალედური შედეგი:

- შერჩეულ საწარმოებში მიზნობრივი ჯგუფების 90%-ს ჩატარებული აქვს რეფერენს-კვლევები;
- თითოეული საწარმოს პროფილისა და რისკების გათვალისწინებით შემუშავებულია რეკომენდაციები და საინფორმაციო-სატრენინგო მასალა;
- განახლებულია პროფესიული რისკების ეპიდემიოლოგიური რუქის მონაცემთა ბაზა.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1. საბაზისო მაჩვენებელი - დასაქმებული მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა, პროფესიულ დაავადებათა იდენტიფიკაციისა და პრევენციის გზით: პროფესიულ დაავადებათა მონიტორინგის პროგრამაში ჩართული 5 <u>საწარმო;</u>

სამინისტრომ წლიური ანგარიშის წარმოდგენისას დააკორექტირა საბაზისო მაჩვენებელი, კერძოდ:

საბაზისო მაჩვენებელი - დასაქმებული მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა, პროფესიულ დაავადებათა იდენტიფიკაციისა და პრევენციის გზით: პროფესიულ დაავადებათა მონიტორინგის პროგრამაში ჩართული 5 დაწესებულება;

მიზნობრივი მაჩვენებელი - დასაქმებული მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა, პროფესიულ დაავადებათა იდენტიფიკაციისა და პრევენციის გზით: ჩართული 5 დაწესებულების 25 <u>საწარმო;</u>

მიღწეული მაჩვენებელი - პროფესიული რისკ-ფაქტორების პირველადი პრევენციის ღონისძიებათა კომპლექსისა და მავნე ფაქტორების ექსპოზიციის დონის შემცირების შემუშავებული რეკომენდაციები გადაეცა შემოწმებულ საწარმოთა 90%-ს; განისაზღვრა დასაქმებულთა ჯანმრთელობის მონიტორინგის ოპტიმალური სქემები და სამედიცინო შემოწმების პერიოდულობა მიზნობრივი ჯგუფების მიხედვით შემოწმებული საწარმოთა 90%-ში; შეფასებულ საწარმოთა 90%-ს ჩაუტარდა ადმინისტრაციასა და დასაქმებულებს სწავლება პროფესიული დაავადებების პრევენციის, პროფესიული რისკების შეფასებისა და კონტროლის მექანიზმების საკითხებზე.

ცდომილების მაჩვენებელი (% აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებაზე:

- ცენტრს და სერვისის მიმწოდებელ დაწესებულებას მონიტორინგის ჩატარება შეუძლია მხოლოდ იმ საწარმოში, რომელთა ადმინისტრაცია გამოხატავს თანხმობასა და კეთილ ნებას, მონიტორინგის განხორციელებაზე;
- დაწესებულებებს და დასაქმებულებს არ გააჩნიათ ინტერესი პროგრამაში მონაწილეობაზე (სამსახურის დაკარგვის შიშით);
- დაწესებულებების მცირე რაოდენობიდან გამომდინარე, შესაძლებელია პროგრამულმა ღონისძიებებმა გავლენა ვერ მოახდინოს პროფესიული დაავადებების პრევენციაზე.

1.2.2.6 ინფექციური დაავადებების მართვა (პროგრამული კოდი 35 03 02 06)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“.

დაგეგმილი შუალედური შედეგი:

- ინფექციური დაავადების დიაგნოზით ჰოსპიტალიზირებულ ავადმყოფთა შორის ლეტალობის მაჩვენებლის შემცირება;
- ინფექციური სნეულებებით დაავადებული პირებისთვის ადეკვატური სტაციონარული მომსახურების მიწოდება.

მიღწეული შუალედური შედეგი:

- ინფექციური და პარაზიტული დაავადებების მქონე ავადმყოფები უზრუნველყოფილნი არიან სტაციონარული სამედიცინო დახმარებით.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:
1. საბაზისო მაჩვენებელი - ინფექციური დაავადების დიაგნოზით ჰოსპიტალიზებულ ავადმყოფთა შორის ლეტალობის მაჩვენებელი- 1.2%;
მიზნობრივი მაჩვენებელი - ინფექციური დაავადების დიაგნოზით ჰოსპიტალიზებულ ავადმყოფთა შორის ლეტალობის მაჩვენებლის შემცირება-0-1%
მიღწეული მაჩვენებელი - ინფექციური დაავადების დიაგნოზით ჰოსპიტალიზებულ ავადმყოფთა შორის ლეტალობის მაჩვენებელი- 1.1%;
2. საბაზისო მაჩვენებელი - ინფექციური და პარაზიტული დაავადებების შემთხვევების რაოდენობა - 8697;

მიზნობრივი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შემცირება;
მიღწეული მაჩვენებელი - ინფექციური და პარაზიტული დაავადებების ინციდენტობა 100 000 მოსახლეზე - 2746.7.

1.2.2.7 ტუბერკულოზის მართვა (პროგრამული კოდი 35 03 02 07)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“;
- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“.

დაგეგმილი შუალედური შედეგი:

- ხანგრძლივვადიან ამბულატორიულ მკურნალობაზე პაციენტთა დამყოლობა ფულადი წახალისების გზით;
- ტუბერკულოზის პრევალენტობის შემცირება;
- ტუბერკულოზის ახალი შემთხვევების შემცირება.

მიღწეული შუალედური შედეგი:

- განხორციელდა ტუბერკულოზის ყველა სავარაუდო შემთხვევის გამოკვლევა, დაავადებულთა ამბულატორიული მომსახურება (ანტიტუბერკულოზური პრეპარატებით უზრუნველყოფა და მკურნალობა უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ), ლაბორატორიული მართვა, ფთიზიატრიული სტაციონარული დახმარების ფარგლებში დიაგნოსტიკური, თერაპიული და ქირურგიული მომსახურება; სენსიტიური და რეზისტენტული ფორმების მკურნალობა (მ.შ. მულტირეზისტენტული ტუბერკულოზის მკურნალობა ახალი მედიკამენტებით და მკურნალობის მონიტორინგი); უზრუნველყოფილია ტუბერკულოზის საწინააღმდეგო მედიკამენტების შესყიდვა (მ.შ. პირველი რიგის ანტიტუბერკულოზური მედიკამენტები); მომსახურება სრულად ანაზღაურდა; შემცირებულია ტუბერკულოზის ავადობის, სიკვდილიანობის და საზოგადოებაში ინფექციის გავრცელება.
- საკვლევი ნიმუშების რეფერალის ახალი მექანიზმის დანერგვის შედეგად:
- ✓ შემცირდა პაციენტების დიაგნოსტირების დრო (როგორც ბაქტეროსკოპიის, ასევე კულტურალური კვლევის);
- ✓ გაუმჯობესდა მკურნალობის დაწყების დროულობა;
- ✓ შესაძლებელი გახდა ლაბორატორიული სიმძლავრეების პროპორციული დატვირთვა და შედეგად ლაბორატორიული კვლევის ხარისხის ამაღლება;
- ✓ შემცირდა მასალების ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული დანახარჯები.

- ✓ გაიზარდა საკვლევი ნიმუშების დათესვის პროცენტული მაჩვენებელი MGIT თხევად ნიადაგზე მყარ ნიადაგზე დათესილ ნიმუშების რაოდენობასთან მიმართებაში, რაც განპირობებულია საკვლევი ნიმუშების დროული ტრანსპორტირებით. შესაბამისად, კვლევის შედეგების მიღება და პაციენტების მკურნალობაში ჩართვა ხორციელდება დროულად.
- გრძლივვადიან ამბულატორიულ მკურნალობაზე პაციენტები უზრუნველყოფილები არიან ფულადი წახალისებით;

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1. საბაზისო მაჩვენებელი - სენსიტიური და რეზისტენტული ფორმის ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობაზე დამყოლობის გაუმჯობესების მიზნით, ფულადი წახალისების საშემოსავლო გადასახადისა და რეზისტენტული ფორმის ტუბერკულოზით დაავადებულთა (თვეში არაუმეტეს 225 პაციენტისა) ფულადი წახალისების დაფინანსება;
მიზნობრივი მაჩვენებელი - ხანგრძლივვადიან ამბულატორიულ მკურნალობაზე რეზისტენტულ პაციენტთა დამყოლობა ფულადი წახალისების გზით: რაოდენობა - თვეში არაუმეტეს 300;
მიღწეული მაჩვენებელი -ფულადი წახალისება მკურნალობაზე კარგი დამყოლობისათვის 634-მა MDR პაციენტმა მიიღო.
2. საბაზისო მაჩვენებელი -ტუბერკულოზის ახალი შემთხვევები და რეციდივები 100000 მოსახლეზე - 74.7;
მიზნობრივი მაჩვენებელი - ახალი შემთხვევები და რეციდივები 100000 მოსახლეზე - <80;
სამინისტრომ წლიური ანგარიშის წარმოდგენისას დააკორექტირა მიზნობრივი მაჩვენებელი, კერძოდ:
მიზნობრივი მაჩვენებელი - ახალი შემთხვევები და რეციდივები 100000 მოსახლეზე - <74;
მიღწეული მაჩვენებელი - ტუბერკულოზის ახალი შემთხვევები და რეციდივები 100 000 მოსახლეზე - 72.8. შემცირებულია საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით.
3. საბაზისო მაჩვენებელი - ტუბერკულოზის გავრცელების მაჩვენებელი 100 000 მოსახლეზე - 97,1;
მიზნობრივი მაჩვენებელი - 100 000 მოსახლეზე - <100;
სამინისტრომ წლიური ანგარიშის წარმოდგენისას დააკორექტირა მიზნობრივი მაჩვენებელი, კერძოდ:
მიზნობრივი მაჩვენებელი - 100 000 მოსახლეზე - <90;
მიღწეული მაჩვენებელი - ტუბერკულოზის გავრცელების მაჩვენებელი 100 000 მოსახლეზე - 89.5.

1.2.2.8 აივ ინფექცია/შიდსი (პროგრამული კოდი 35 03 02 08)

პროგრამის განმახორციელებელი:
- ✓ სსიპ - „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“;
- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“.

დაგეგმილი შუალედური შედეგი:

- მაღალი რისკის ქცევის მქონე ჯგუფების აივ-ინფექცია/შიდსზე ნებაყოფლობითი სკრინინგით მაქსიმალური მოცვა;
- ამბულატორიული და სტაციონარული მკურნალობით სრულად უზრუნველყოფა;
- შიდსით დაავადებულებში აივ-ინფექციასთან დაკავშირებული ლეტალობის შემცირება.

მიღწეული შუალედური შედეგი:

- უზრუნველყოფილია აივ-ინფექციაზე/შიდსზე ნებაყოფლობითი კონსულტაცია, ტესტირება, აივ-ინფექციის/შიდსის გავრცელების შეფერხება და აივ-ინფექციით/შიდსით დაავადებულთათვის მკურნალობის ხელმისაწვდომობა;
- აივ-ინფექცია/შიდსით დაავადებული პაციენტები უზრუნველყოფილი არიან ამბულატორიული და სტაციონარული მკურნალობით, ანტირეტროვირუსული მედიკამენტებით (მ.შ. აივ-ინფექცია/შიდსის სამკურნალო პირველი რიგის მედიკამენტების შესყიდვა);
- პროგრამით განსაზღვრული მომსახურება ანაზღაურებულია სრულად (პროგრამა არ ითვალისწინებს თანაგადახდას მოსარგებლის მხრიდან)

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1. საბაზისო მაჩვენებელი - აივ ინფექციაზე ჩატარდა 27582 სკრინინგული გამოკვლევა (გამოკვლეულ იქნა 26304 პირი), მათგან გამოვლინდა 794 სავარაუდო დადებითი შემთხვევა და დადასტურდა 641;
მიზნობრივი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებელზე მეტი სკრინინგული კვლევა;
მიღწეული მაჩვენებელი - ჩატარდა 43 800 მეტი სკრინინგული გამოკვლევა (გამოკვლეულ იქნა 43 092 პირი);
2. საბაზისო მაჩვენებელი - პროგრამის ფარგლებში ამბულატორიული სერვისის მიმღები პაციენტების რაოდენობა - 3102; სტაციონარული მკურნალობის სერვისის მიმღები პაციენტების რაოდენობა - 261;
მიზნობრივი მაჩვენებელი - მბულატორიული და სტაციონარული მკურნალობის სერვისის საჭიროების მქონე პაციენტების სრულად უზრუნველყოფა;
მიღწეული მაჩვენებელი - ამბულატორიულ სერვისებს მიმღები - 4 000-ზე მეტი პაციენტი სრულად უზრუნველყოფილია საჭირო მკურნალობით; აივ ინფექციასთან დაკავშირებული ჰოსპიტალიზაციის რაოდენობა - 712;
3. საბაზისო მაჩვენებელი - შიდსით გამოწვეული ლეტალობა - 2014 წელს გარდაიცვალა 54 ადამიანი;
მიზნობრივი მაჩვენებელი - შიდსით გამოწვეული ლეტალობის შემცირება;
მიღწეული მაჩვენებელი - შიდსით გამოწვეული ლეტალობა - გარდაიცვალა 81 ადამიანი (2016 წელი)

ცდომილების მაჩვენებელი (% აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებაზე:

- მონაცემების მოგროვება ხორციელდება სრულად, ვინაიდან უზრუნველყოფილია გარდაცვალების რეესტრთან წვდომა.

1.2.2.9 დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა (პროგრამული კოდი 35 03 02 09)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“;
- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“.

დაგეგმილი შუალედური შედეგი:

- დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელი 100000 ცოცხალშობილზე;
- ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი 1000 ცოცხალშობილზე;
- ანტენატალური ვიზიტით მოცვა;
- მკურნალობა გავლილი მაღალი რისკის მქონე ორსული, მშობიარე და მელოგინე;
- მედიკამენტებით უზრუნველყოფა.

მიღწეული შუალედური შედეგი:

- განხორციელდა ანტენატალური მეთვალყურეობა, მაღალი რისკის ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა მკურნალობა, გენეტიკური პათოლოგიების ადრეული გამოვლენა, ორსულებში B და C ჰეპატიტების, აივ-ინფექციის/შიდსის და სიფილისის სკრინინგი, ახალშობილთა და ბავშვთა სკრინინგი ჰიპოთირეოზზე, ფენილკეტონურიაზე, ჰიპერფენილალანინემიასა და მუკოვისციდოზზე, ახალშობილთა სმენის სკრინინგული გამოკვლევა; ასევე, ორსულთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა;
- გაიზარდა ორსულთა ეფექტიანი პატრონაჟის და მაღალკვალიფიციური სამედიცინო დახმარების გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობის არეალი.
- მაღალი რისკის მქონე ორსული, მშობიარე და მელოგინე უზრუნველყოფილია ადეკვატური სამედიცინო მომსახურებით (2017 წლის აპრილიდან სერვისი გადავიდა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში);
- ორსულებისათვის უზრუნველყოფილია ფოლიუმის მჟავის და საჭიროების შემთხვევაში ანემიის საწინააღმდეგო მედიკამენტის, ხოლო 6-23 თვის ასაკის სოციალურად დაუცველი ბავშვებისათვის - მრავალკომპონენტიანი საკვები დანამატის მიწოდება.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1. საბაზისო მაჩვენებელი - ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი 1000 ცოცხალშობილზე: 8.6; ანტენატალური ვიზიტით მოცვა: 4 სრული ანტენატალური ვიზიტი - 29108; მკურნალობა გავლილი მაღალი რისკის მქონე ორსული, მშობიარე და მელოგინე: მაღალი რისკის მქონე ორსულთა რაოდენობა, რომლებმაც ისარგებლეს პროგრამით - 1671; ანტენატალური სერვისის მიმღებ ორსულთა 40% უზრუნველყოფილია ფოლიუმის მჟავით; რკინადეფიციტური ანემიის დიაგნოზის მქონე ორსულთა 60% უზრუნველყოფილია რკინის პრეპარატით;
მიზნობრივი მაჩვენებელი - ანტენატალური ვიზიტით მოცვა: 4 სრული ანტენატალური ვიზიტი - მოცვის მაჩვენებლის ზრდა 10%. მკურნალობით უზრუნველყოფილი მაღალი რისკის ორსულთა მოცვის შენარჩუნება. ანტენატალური სერვისის მიმღებ ორსულთა 100%

უზრუნველყოფილია ფოლიუმის მჟავით; რკინადეფიციტური ანემიის დიაგნოზის მქონე ორსულთა 80% უზრუნველყოფილია რკინის პრეპარატით;
მიღწეული მაჩვენებელი - 0-1 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი 1000 ცოცხლადშობილზე -9.0; 5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი 1000 ცოცხლადშობილზე - 10.7; რკინის პრეპარატების მიმღებთა რაოდენობა - 915; ფოლიუმის მჟავას მიმღებთა რაოდენობა - 29 931; 4 სრული ანტენატალური ვიზიტი - 42677; საკვები დანამატების მიმღები 6-23 თვის სოციალურად დაუცველი ბავშვი - 430.

1.2.2.10 ნარკომანიით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობა (პროგრამული კოდი 35 03 02 10)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“.

დაგეგმილი შუალედური შედეგი:

- მკურნალობის პროცესში ჩართული ნარკომანიით დაავადებული პირი;
- მკურნალობის პროცესში ჩართული ალკოჰოლის მიღებით გამოწვეული ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტი.

მიღწეული შუალედური შედეგი:

- ნარკომანიით დაავადებული პირები და ალკოჰოლოს მიღებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების მქონე პირები უზრუნველყოფილი არიან ადეკვატური სამედიცინო მომსახურებით.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1. საბაზისო მაჩვენებელი - მკურნალობის პროცესში ჩართული ნარკომანიით დაავადებული პირი: ჩანაცვლებით თერაპიაზე მყოფ ბენეფიციართა რაოდენობა - 3593; სტაციონარული დეტოქსიკაციით ნამკურნალებ პირთა რაოდენობა - 301;
მიზნობრივი მაჩვენებელი - მკურნალობის პროცესში ჩართული პაციენტების რაოდენობა: ჩანაცვლებით თერაპიაზე მყოფ ბენეფიციართა რაოდენობის ზრდა - 10%; სტაციონარული დეტოქსიკაციით ნამკურნალებ პირთა რაოდენობა - 440;
მიღწეული მაჩვენებელი - ჩანაცვლებით თერაპიაზე მყოფ ბენეფიციართა რაოდენობა - 7 578; სტაციონარული დეტოქსიკაციით ნამკურნალებ პირთა რაოდენობა - 570;

1.2.2.11 ჯანმრთელობის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 35 03 02 11)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“;

დაგეგმილი შუალედური შედეგი:

- სოციალური მედიით სამიზნე პოპულაციის მოცვა.

მიღწეული შუალედური შედეგი:

- განხორციელდა რიგი ღონისძიებები შემდეგი მიმართულებებით: თამბაქოს მოხმარების კონტროლის ღონისძიებები, ჯანსაღი კვების შესახებ განათლება, ალკოჰოლის ჭარბი მოხმარების შესახებ ცნობიერება, ფიზიკური აქტივობის ხელშეწყობა, C ჰეპატიტის პრევენცია და მოსახლეობის განათლების ხელშეწყობა.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1.მიზნობრივი მაჩვენებელი - სოციალური მედიით სამიზნე პოპულაციის მოცვა; კლიპების რაოდენობა, ჩატარებული კამპანიების რაოდენობა, დამზადებული ფლაერების რაოდენობა და ა.შ);
მიღწეული მაჩვენებელი - თამბაქოს კონტროლის კანონმდებლობის აღსრულების მონიტორინგი - 400-ზე მეტ დაწესებულებაში, მ.შ. 30 დაწესებულებაში - მეორადი კვამლის გამოზომვა. სკოლის ექიმებისათვის, თბილისის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის რაიონული ცენტრების წარმომადგენლებისათვის და მედიის წარმომადგენელთა მონაწილეობით ჯანმრთელობის ხელშეწყობის სხვადასხვა თემატიკაზე - 8 ტრენინგი. დატრენინგდა 222 წარმომადგენელი. საგანმანათლებლო მასალა დაიბეჭდა: თამბაქოს თემატიკაზე - 7 000 ცალი ფლაერი, ჯანსაღი კვების ხელშეწყობაზე - 20 000 ბროშურა, ალკოლჰოლის ჭარბი მოხმარების პრევენციაზე - 20 000 ბროშურა, ფიზკური აქტივობის ხელშეწყობზე - 20 000 ცალი ფლაერი, ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე - 20 000 ცალი ბროშურა, C ჰეპატიტის პრევენციაზე 5 000 ცალი პოსტერი, 15 000 ცალი ბუკლეტი, 15 000 ცალი ფლაერი. მომზადდა 1 საგანმანათლებლო ვიდეო-ისტორია და 1 კლიპი ფსიქიკური ჯანმრთელობის თემატიკაზე, საანგარიშო პერიოდში შეიქმნა 2 ახალი გვერდი სოციალურ ქსელში ალკოლოჰის და ფსიქიკური ჯანმრთელობის თემატიკაზე.

1.2.2.12 C ჰეპატიტის მართვა (პროგრამული კოდი 35 03 02 12)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“;
- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“.

დაგეგმილი შუალედური შედეგი:

- პროგრამაში ჩართული განკურნებული პაციენტების რაოდენობის ზრდა;
- C ჰეპატიტის პრევალენტობის და ინციდენტობის შემცირება.

მიღწეული შუალედური შედეგი:

- უზრუნველყოფილია C ჰეპატიტით დაავადებულ პირთა დიაგნოსტიკა (მათ შორის მკურნალობაში ჩართვამდე აუცილებელი კვლევებისა და მკურნალობის პროცესის მონიტორინგისთვის აუცილებელი კვლევების ჩატარება) და C ჰეპატიტის სამკურნალო ფარმაცევტული პროდუქტით (სოფოსბუვირი, პეგილირებული ინტერფერონი, რიბავირინი);
- მედიკამენტების ლოჯისტიკა;
- შემცირებულია C ჰეპატიტით გამოწვეული ავადობა, სიკვდილიანობა და ინფექციის გავრცელება.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1.საბაზისო მაჩვენებელი - სკრინინგით გამოვლენილ პაციენტთა 90% უზრუნველყოფილია დიაგნოსტიკური კვლევებით;
მიზნობრივი მაჩვენებელი - სკრინინგით გამოვლენილ პაციენტთა 100% უზრუნველყოფილია დიაგნოსტიკური კვლევებით;
მიღწეული მაჩვენებელი - სკრინინგით გამოვლენილ პროგრამაში მომართულ პაციენტთა 100% უზრუნველყოფილია დიაგნოსტიკური კვლევებით;
2. საბაზისო მაჩვენებელი - სააგენტოში დარეგისტრირებულ პაციენტთა 90% უზრუნველყოფილია C ჰეპატიტის სამკურნალო ფარმაცევტული პროდუქტით;
მიზნობრივი მაჩვენებელი - სააგენტოში დარეგისტრირებულ პაციენტთა 95% უზრუნველყოფილია C ჰეპატიტის სამკურნალო ფარმაცევტული პროდუქტით;
მიღწეული მაჩვენებელი - სააგენტოში დარეგისტრირებულ პაციენტთა 95% უზრუნველყოფილია C ჰეპატიტის სამკურნალო ფარმაცევტული პროდუქტით;
3. საბაზისო მაჩვენებელი - პროგრამაში ჩართული განკურნებული ბენეფიციარები 90%;
მიზნობრივი მაჩვენებელი - პროგრამაში ჩართული განკურნებული ბენეფიციარები 95%;
მიღწეული მაჩვენებელი - მკურნალობის კომპონენტში მყოფი პაციენტების დასრულებული კურსი - 90%; პროგრამაში ჩართულ პაციენტთა შორის, რომლებმაც დაასრულეს მკურნალობა, 98%-ში მიღწეულია დადებითი შედეგი.

1.2.3 მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მიწოდება პრიორიტეტულ სფეროებში (პროგრამული კოდი 35 03 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“;
- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“;
- ✓ სსიპ - „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი“

დაგეგმილი შუალედური შედეგი:

- ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების მქონე პაციენტთა სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესება;
- ქვეპროგრამის მოსარგებლეთა შორის ლეტალობის შემცირება;
- პირველადი ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების უტილიზაციის გაზრდა.

მიღწეული შუალედური შედეგი:

- ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე მოსახლეობა უზრუნველყოფილია სპეციალიზებული დახმარებით;
- ლეტალობის მაჩვენებლის მხრივ გაუმჯობესება არ დაფიქსირებულა;
- პირველადი ჯანდაცვის მომსახურების უტილიზაცია გაზრდილია წინა წლებთან შედარებით.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1.საბაზისო მაჩვენებელი - ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების მქონე პაციენტთა სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესება - ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების პრევალენტობა - 2 327; ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების ინციდენტობა - 113.8;
მიზნობრივი მაჩვენებელი - ქვეყნის მასშტაბით ფსიქიკური ჯანმრთელობის მქონე პირები 100%–ით უზრუნველყოფილნი არიან სპეციალიზებული სტაციონარული მომსახურებით
მიღწეული მაჩვენებელი - ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების პრევალენტობა - 2 423.5; ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების ინციდენტობა - 140.6;
2.საბაზისო მაჩვენებელი - ქვეპროგრამის მოსარგებლეთა შორის ლეტალური შემთხვევების რაოდენობა;
მიზნობრივი მაჩვენებელი - ქვეპროგრამის მოსარგებლეთა შორის ლეტალური შემთხვევების შემცირებული რაოდენობა;
მიღწეული მაჩვენებელი - ლეტალობის მაჩვენებელი არ გაზრდილა;
3.საბაზისო მაჩვენებელი - პირველადი ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების უტილიზაციის გაზრდა, სოფლის ექიმთან მიმართვების რაოდენობა ერთ სულ სოფლის მოსახლეზე - 1.7;
სამინისტრომ წლიური ანგარიშის წარმოდგენისას დააკორექტირა საბაზისო მაჩვენებელი, კერძოდ:
საბაზისო მაჩვენებელი - პირველადი ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების უტილიზაციის გაზრდა, სოფლის ექიმთან მიმართვების რაოდენობა ერთ სულ სოფლის მოსახლეზე - 0.8;
მიზნობრივი მაჩვენებელი - ქვეყნის მასშტაბით პირველადი ჯანდაცვის მომსახურებებზე უზრუნველყოფილი 100%–იანი ხელმისაწვდომობა;
მიღწეული მაჩვენებელი - უზრუნველყოფილია ქვეყნის მასშტაბით პირველადი ჯანდაცვის მომსახურებებზე 100%–იანი ხელმისაწვდომობა.

1.2.3.1 ფსიქიკური ჯანმრთელობა (პროგრამული კოდი 35 03 03 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“;

დაგეგმილი შუალედური შედეგი:

- ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების მქონე პაციენტთა სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესება;
- ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის ადეკვატური ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურების მიწოდება.

მიღწეული შუალედური შედეგი:

- განხორციელდა ბავშვთა და მოზრდილთა ამბულატორიული მომსახურება; ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია; ფსიქიატრიული კრიზისული ინტერვენცია; თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება; ბავშვთა და მოზრდილთა სტაციონარული მომსახურება; ფსიქიკური დარღვევების მქონე პირთა თავშესაფრით უზრუნველყოფა;
- ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე მოსახლეობისათვის უზრუნველყოლია სპეციალიზებული ამბულატორიული და სტაციონარული დახმარების აღმოჩენა.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1. საბაზისო მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებელი - ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის ადეკვატური ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურების მიწოდება: სტაციონარული სერვისებით მოსარგებლეთა რაოდენობა - 5155; ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისთვის ადეკვატური ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურების მიწოდება: ამბულატორიულ სერვისებით მოსარგებლეთა რაოდენობა - 22679;
მიზნობრივი მაჩვენებელი - <u>ამბულატორიულ სერვისებით მოსარგებლეთა რაოდენობა - 25000; სტაციონარული სერვისებით მოსარგებლეთა რაოდენობა - 5300</u>;
სამინისტრომ წლიური ანგარიშის წარმოდგენისას დააკორექტირა მიზნობრივი მაჩვენებელი, კერძოდ:
მიზნობრივი მაჩვენებელი - ფსიქიკური აშლილობის მქონე ყველა პირისთვის უზრუნველყოფილია ადეკვატური ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურების მიწოდება;
მიღწეული მაჩვენებელი - ამბულატორიულ სერვისებით ისარგებლა 21 000-მდე პირმა; სტაციონარული სერვისებით ისარგებლა 5 000-მდე პირმა.

1.2.3.2 დიაბეტის მართვა (პროგრამული კოდი 35 03 03 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“;

დაგეგმილი შუალედური შედეგი:

- პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა რაოდენობა;
- დიაბეტით გამოწვეული სპეციფიური გართულებების შემცირება.

მიღწეული შუალედური შედეგი:

- უზრუნველყოფილია შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ ბავშვთა მომსახურება, სპეციალიზებული ამბულატორიული დახმარება, შაქრიანი და უშაქრო დიაბეტით დაავადებული მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით, შაქრიანი და უშაქრო დიაბეტით დაავადებული პაციენტების შესაძლო გართულებების პრევენცია.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1.საბაზისო მაჩვენებელი - პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა რაოდენობა: სპეციალიზებული ამბულატორიული დახმარების კომპონენტით სარგებლობს 4970 პირი;
მიზნობრივი მაჩვენებელი - 10%-იანი ზრდა (5500 ბენეფიციარი);
მიღწეული მაჩვენებელი - 5 100-ზე მეტმა ბენეფიციარი ისარგებლა სპეციალიზებული ამბულატორიული დახმარების კომპონენტით;

2.საბაზისო მაჩვენებელი - პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა რაოდენობა: შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ ბავშვთა მომსახურების კომპონენტით სარგებლობს 846 ბავშვი;
მიზნობრივი მაჩვენებელი - 10%-იანი ზრდა (930 ბავშვი);
მიღწეული მაჩვენებელი - საშუალოდ 1 016-მა დიაბეტით დაავადებულმა ბავშვმა ისარგებლა პროგრამის მომსახურებით (20% ზრდა 2016 წელთან შედარებით).

1.2.3.3 ბავშვთა ონკოჰემატოლოგიური მომსახურება (პროგრამული კოდი 35 03 03 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“;

დაგეგმილი შუალედური შედეგი:

- ბავშვთა ონკოჰემატოლოგიური მომსახურებით მოცული ბენეფიციარები

მიღწეული შუალედური შედეგი:

- უზრუნველყოფილია 126 ონკოჰემატოლოგიური დაავადებების მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ამბულატორიული და სტაციონარული მკურნალობა;

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1.საბაზისო მაჩვენებელი - ქვეპროგრამის ფარგლებში - 16.3 ათასამდე შემთხვევა, ხოლო ქვეპროგრამით მოსარგებლეთა რაოდენობა - 148;
მიზნობრივი მაჩვენებელი - ონკოჰემატოლოგიური მომსახურების საჭიროების მქონე პაციენტთა 100% მოცვა;
მიღწეული მაჩვენებელი - ბავშვთა ასაკის ონკოჰემატოლოგიური მომსახურების საჭიროების მქონე პაციენტების 100% აქვს შესაძლებლობა ისარგებლოს პროგრამული სერვისებით.

1.2.3.4 დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაცია (პროგრამული კოდი 35 03 03 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“;

დაგეგმილი შუალედური შედეგი:

- თირკმლის ტერმინალური უკმარისობით დაავადებული პირების დიალიზით მოცვა;
- თირკმლის ტერმინალური უკმარისობით დაავადებულთა უზრუნველყოფა დიალიზით.

მიღწეული შუალედური შედეგი:

- უზრუნველყოფილია ჰემო და პერიტონეული დიალიზისათვის საჭირო სადიალიზე საშუალებების, მასალისა და მედიკამენტების შესყიდვა და მიწოდება, ორგანოგადანერგილი პაციენტები იმუნოსუპრესული მედიკამენტებით, ჰემოდიალიზზე მყოფ პაციენტები სისხლძარღვოვანი მიდგომით. შენარჩუნებულია თირკმლის ტერმინალური უკმარისობით დაავადებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობა.
- განხორციელდა თირკმლის ტრანსპლანტაცია.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1.საბაზისო მაჩვენებელი - დიალიზით და თირკმლის ჩანაცვლებითი თერაპიის საჭიროების მქონე ბენეფიციართა რაოდენობა: ჰემოდიალიზის საჭიროების მქონე - 2563, პერიტონეული დიალიზის საჭიროების მქონე - 147 პაციენტი;

მიზნობრივი მაჩვენებელი - დიალიზით და თირკმლის ჩანაცვლებითი თერაპიის საჭიროების მქონე თირკმლის ტერმინალური უკმარისობით დაავადებულ ბენეფიციართა მოცვა: 100%;
მიღწეული მაჩვენებელი - 100%-ით მოცულია ჰემო და პერიტონეული დიალიზის საჭიროების მქონე ბენეფიციარები.

1.2.3.5 ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობა (პროგრამული კოდი 35 03 03 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“;

დაგეგმილი შუალედური შედეგი:

- პალიატიური ზრუნვით მოცული ინკურაბელური ბენეფიციარები.

მიღწეული შუალედური შედეგი:

- უზრუნველყოფილია ინკურაბელურ პაციენტთა ამბულატორიული პალიატიური მზრუნველობა, ასევე ინკურაბელურ პაციენტთა სტაციონარული-პალიატიური მზრუნველობა და სიმპტომური მკურნალობა;
- ინკურაბელურ პაციენტები უზრუნველყოფილი არიან მედიკამენტებით.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1.საბაზისო მაჩვენებელი - ამბულატორიული პალიატიური ზრუნვით მოცული ინკურაბელური ბენეფიციარების რაოდენობა - 912 და სტაციონარული პალიატიური ზრუნვით მოცული ინკურაბელური ბენეფიციარების რაოდენობა - 728;
მიზნობრივი მაჩვენებელი - ინკურაბელური პაციენტების მოცვა 100%;
მიღწეული მაჩვენებელი - ამბულატორიული პალიატიური ზრუნვით მოცული ინკურაბელური ბენეფიციარების რაოდენობა - 894 და სტაციონარული პალიატიური ზრუნვით მოცული ინკურაბელური ბენეფიციარების რაოდენობა - 997.

1.2.3.6 იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობა (პროგრამული კოდი 35 03 03 06)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“;

დაგეგმილი შუალედური შედეგი:

- ქვეპროგრამით მოცული ბენეფიციარები;
- ქვეპროგრამით მოცული იშვიათ დაავადებათა და ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებული ნოზოლოგიების რაოდენობა.

მიღწეული შუალედური შედეგი:

- უზრუნველყოფილია იშვიათი დაავადებების მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ამბულატორიული მომსახურება, იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ 18 წლამდე ასაკის ბავშვთა სტაციონარული მომსახურება, ჰემოფილიით და სისხლის შედედების სხვა მემკვიდრული პათოლოგიებით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურება;
- იშვიათი დაავადებების მქონე პაციენტების სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფილი იყვნენ, ასევე იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა სამედიცინო სერვისებზე და მედიკამენტებზე ფინანსური ხელმისაწვდომობა

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1. საბაზისო მაჩვენებელი - იშვიათი დაავადებების მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ამბულატორიული მომსახურება: ბენეფიციარების რაოდენობა - 153; შემთხვევების რაოდენობა - 1163;
მიზნობრივი მაჩვენებელი - შენარჩუნებულია საბაზისო მაჩვენებლები;
მიღწეული მაჩვენებელი -პროგრამული სერვისით მოცული მოსარგებლეთა რაოდენობა სტაბილურად შენარჩუნებულია.

1.2.3.7 სასწრაფო - გადაუდებელი დახმარება და სამედიცინო ტრანსპორტირება (პროგრამული კოდი 35 03 03 07)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“;
- ✓ სსიპ - „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი“

დაგეგმილი შუალედური შედეგი:

- შესრულებული გამოძახებების საერთო რაოდენობა.

მიღწეული შუალედური შედეგი:

- უზრუნველოფილია სასწრაფო სამედიცინო დახმარება და სამედიცინო ტრანსპორტირება: მათ შორის სასწრაფო სამედიცინო გადაუდებელი დახმარება.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1.საბაზისო მაჩვენებელი - რეფერალური დახმარების ფარგლებში შემთხვევების რაოდენობა - 28 000-ზე მეტი, დახმარება გაეწია 23900-ზე მეტ პაციენტს; საწრაფო-სამედიცინო დახმარების გამოძახებების რაოდენობა - 476 200-ზე მეტი;
მიზნობრივი მაჩვენებელი - გამოძახებების შესრულება - 100%;
მიღწეული მაჩვენებელი - უზრუნველყოფილია რეფერალურ შემთხვევებში სამედიცინო ტრანსპორტირება; მოსახლეობა სრულადა არის მოცული უფასო სასწრაფო სამედიცინო დახმარებით.

1.2.3.8 სოფლის ექიმი (პროგრამული კოდი 35 03 03 08)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“;

დაგეგმილი შუალედური შედეგი:

- სოფლის ექიმთან მიმართვები;
- ქვეპროგრამის ფარგლებში დაკონტრაქტებული სოფლის ექიმები/ექთნების რაოდენობა.

მიღწეული შუალედური შედეგი:

- პირველადი ჯანდაცვის მომსახურება სოფლად ფარგლებში განხორციელდა რიგი ღონისძიებები (მათ შორის – ამბულატორიული მომსახურებისათვის აუცილებელი მედიკამენტების და სამედიცინო დანიშნულების საგნების, ექიმის ჩანთის და სამედიცინო დოკუმენტაციის ბეჭდვის მომსახურების შესყიდვა);
- განხორციელდა სპეცდაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებებს მიერ შესაბამისი ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურების მიწოდება;
- უზრუნველყოფილია შიდა ქართლის სოფლების ამბულატორიული ქსელის ხელშეწყობა და განვითარება;
- უზრუნველყოფილია სპეცდაფინანსებაზე მყოფი რიგი სამედიცინო დაწესებულებები დამატებითი ფინანსური რესურსით; ასევე სოფლის მოსახლეობისათვის პირველადი ჯანდაცვის მომსახურებაზე მოსახლეობის გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობა.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1. საბაზისო მაჩვენებელი - სოფლის ექიმთან მიმართვების რაოდენობა - ერთ სულზე 8 ვიზიტი;
სამინისტრომ წლიური ანგარიშის წარმოდგენისას დააკორექტირა საბაზისო მაჩვენებელი, კერძოდ:
საბაზისო მაჩვენებელი - სოფლის ექიმთან მიმართვების რაოდენობა - ერთ სულზე 0.8 ვიზიტი (2015 წელი);
მიზნობრივი მაჩვენებელი - ქვეპროგრამის ფარგლებში გაზრდილია პირველადი ჯანდაცვის/ამბულატორიული მომსახურების უტილიზაცია, ვიზიტების რაოდენობა სამიზნე პოპულაციაში;
მიღწეული მაჩვენებელი - ვიზიტების რაოდენობა ერთ სულზე სამიზნე პოპულაციაში (სოფლის მოსახლეობაში) 1.1 (2016 წელი); ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ დაწესებულებებში ერთ სულ მოსახლეზე მიმართვების რაოდენობამ შეადგინა 4.0.

1.2.3.9 რეფერალური მომსახურება (პროგრამული კოდი 35 03 03 09)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“;

დაგეგმილი შუალედური შედეგი:

- პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული შემთხვევები.

მიღწეული შუალედური შედეგი:

- მიმდინარეობდა მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების გაწევა სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტების რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთათვის და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა შემთხვევების დროს;
- გაიზარდა ჯანდაცვის მომსახურებაზე მოსახლეობის ფინანსური ხელმისაწვდომობა.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1. საბაზისო მაჩვენებელი - პაციენტთა რაოდენობა - 5488; შემთხვევათა რაოდენობა - 8055;
მიზნობრივი მაჩვენებელი - ქვეპროგრამის ფარგლებში დაფიქსირებული შემთხვევებიდან დაფინანსებული ბენეფიციარების ადეკვატური რაოდენობა;
მიღწეული მაჩვენებელი - პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულ იქნა 12.4 ათასზე მეტი შემთხვევა.

1.2.3.10 სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმება (პროგრამული კოდი 35 03 03 10)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“;

დაგეგმილი შუალედური შედეგი:

- სამხედრო ძალების შევსების განხორციელება ჯანმრთელი კონტინგენტით

მიღწეული შუალედური შედეგი:

- უზრუნველყოფილია სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა ამბულატორიული შემოწმება, სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა დამატებითი გამოკვლევები, ასევე სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმება.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:˜
1.საბაზისო მაჩვენებელი - სამხედრო ძალებში გასაწვევი კონტიგენტის სამედიცინო შემოწმება: სამხედრო ძალებში გასაწვევი კონტიგენტის საერთო რაოდენობა - 19813;
მიზნობრივი მაჩვენებელი - სამხედრო ძალებში გასაწვევი სრული კონტიგენტის სამედიცინო შემოწმება, მოცვა - 100%;
მიღწეული მაჩვენებელი - გამოკვლეულ იქნა 18.3 ათასზე მეტი წვევამდელი, მოცულია სამხედრო ძალებში გასაწვევი სრული კონტიგენტის სამედიცინო შემოწმება 100%-ით.

1.2.3.11 ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა (პროგრამული კოდი 35 03 03 11)

პროგრამის განმახორციელებელი:
✓ სსიპ - „სოციალური მომსახურების სააგენტო“;

1.2.4 დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლება (პროგრამული კოდი 35 03 04)

პროგრამის განმახორციელებელი:
✓ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

დაგეგმილი შუალედური შედეგი:

- დიპლომისშემდგომ განათლებაზე (პროფესიულ მზადებაზე) ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა;
- მაღალმთიან და საზღვრისპირა მუნიციპალიტეტებში სამედიცინო სერვისების შენარჩუნება და მათი უწყვეტობის უზრუნველყოფა.

მიღწეული შუალედური შედეგი:

- განისაზღვრება დეფიციტური და პრიორიტეტული საექიმო სპეციალობები, რომლებშიც მზადება დაფინანსდება, ასევე, აღნიშნულ სპეციალობებში გათვალისწინებული ადგილების (კვოტების) რაოდენობა;

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1. საბაზისო მაჩვენებელი - დიპლომისშემდგომ განათლებაზე (პროფესიულ მზადებაზე) პროგრამაში ჩართული მაძიებლების რაოდენობა - 25 მაძიებელი;
მიზნობრივი მაჩვენებელი - 60 მაძიებელი;
მიღწეული მაჩვენებელი -პროგრამაში ჩართული მაძიებლების რაოდენობა 28;
2.საბაზისო მაჩვენებელი - მაღალმთიან და საზღვრისპირა მუნიციპალიტეტებში სოფლის ექიმის ვაკანსიების რაოდენობა - 9 ერთეული;
მიზნობრივი მაჩვენებელი - შემცირდება 8 ერთეულით;
მიღწეული მაჩვენებელი - კურსი დასრულებული აქვს და სახელმწიფო სერტიფიკატი მოპოვებული აქვს 2 მაძიებელს, რომლებიც ჩაერთვებიან სოფლის ექიმის პროგრამაში (ვაკანსიების რაოდენობა შემცირდება 2 ერთეულით);
3.საბაზისო მაჩვენებელი - მაღალმთიან და საზღვრისპირა მუნიციპალიტეტების სამედიცინო დაწესებულებებში სოფლის ექიმის ვაკანსიების რაოდენობა (რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის დონეზე) - 22 ერთეული;
მიზნობრივი მაჩვენებელი - შემცირება 8 ერთეულით;
მიღწეული მაჩვენებელი - კურსი დასრულებული აქვს 3 მაძიებელს, რომელთაც მოიპოვეს სერტიფიკატი „გადაუდებელ მედიცინაში“ (ვაკანსიების რაოდენობა 2017 შემცირდა 3 ერთეულით).

ცდომილების მაჩვენებელი (% აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებაზე:

- დიპლომისშემდგომი განათლების პროგრამა დამტკიცდა 2014 წლის ნოემბერში, რეზიდენტთა პირველი ნაკადი კი პროგრამაში ჩაერთო 2015 წლის თებერვლიდან. „საოჯახო მედიცინაში“ სარეზიდენტო პროგრამის ხანგრძლივობაა 3 წელი. აქედან გამომდინარე, 2015 წელს პროგრამაში ჩართული მაძიებლები მზადებას დაასრულებენ 2018 წლის თებერვალში, ხოლო დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის განხორციელების უფლება მათ მიეცემათ სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარებისა და სახელმწიფო სერტიფიკატის მოპოვების შემდეგ;

1.3 ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 29 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალი“;

✓ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

სოციალური მხარდაჭერის კუთხით შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეების წინაშე აღებული სოციალური ვალდებულებების ფინანსური უზრუნველყოფა;

მოწესრიგებული და თანამედროვე სამედიცინო ინფრასტრუქტურა.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეები და სამოქალაქო პირები, მათი ოჯახის წევრები, დაღუპული სამხედრო მოსამსახურეების ოჯახის წევრები, აგრეთვე სხვა სამოქალაქო პირები უზრუნველყოფილ იყვნენ ამბულატორიული და სტაციონალური სამედიცინო მომსახურებით;
- თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეების, შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის და მათი ოჯახის წევრები უნზრუნველყოფილ იქნენ ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტით და შესაბამი მომსახურებით;
- შეიარაღებული ძალების სამედიცინო ქვედანაყოფები უზრუნველყოფილი იქნენ სამედიცინო ქონებით, სამედიცინო აღჭურვილობითა და სამედიცინო ავტოტექნიკით;
- გაუმჯობესდა დაჭრილი/დაშავებული სამხედრო მოსამსახურეების ფიზიკური და ფსიქოლოგიური მდგომარეობა, გატარდა მათი საზოგადოებაში რეინტეგრაცია/რესოციალიზაციაში ხელშეწყობისათვის საჭირო ღონისძიებები.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები:

1. საბაზისო მაჩვენებელი - სამხედრო და სამოქალაქო მოსამსახურეების ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებები, დაჭრილი და დაშავებული სამხედრო მოსამსახურეების სარეაბილიტაციო ღონისძიებები. 2015 წელს დაახლოებით 5.0 ათასზე მეტი თავდაცვის სამინისტროს თანამშრომელი და მის ოჯახის წევრი, ასევე სხვა საქართველოს მოქალაქე უზრუნველყოფილია სტაციონარული მომსახურებით, ხოლო ამბულატორიული მომსახურება გაეწია დაახლოებით 46.0 ათასზე მეტ მოქალაქეს;
მიზნობრივი მაჩვენებელი - პაციენტების უზრუნველყოფა თანამედროვე, ხარისხიანი ამბულატორიული და სტაციონარული სამედიცინო მომსახურებით. თანამედროვე სამედიცინო აღჭურვილობით უზრუნველყოფილი სამინისტროს შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფები. ყოველწლიურად საშუალოდ სტაციონარული მომსახურება გაეწევა 5.5 ათასამდე საქართველოს მოქალაქეს. ხოლო ამბულატორული მომსახურება - 55.0 ათასამდე საქართველოს მოქალაქეს;
2. საბაზისო მაჩვენებელი - სამხედრო და სამოქალაქო მოსამსახურეების ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებები, დაჭრილი და დაშავებული სამხედრო მოსამსახურეების სარეაბილიტაციო ღონისძიებები, თავდაცვის სამინისტროს მიერ საკონტრაქტო სამხედრო მოსამსახურეების წინაშე

ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. 2015 წელს, 329 პირს გაეწია დახმარება, მათ შორის: 268 სამხედრო მოსამსახურეს, 59 სამოქალაქო პირს და 2 სამხედრო ვეტერანს. ხოლო კონტრაქტის დანამატი გაიცა 725 სამხედრო მოსამსახურეზე;
მიზნობრივი მაჩვენებელი - ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტის უზრუნველყოფა სამხედრო მოსამსახურეებისა და მათი ოჯახის წევრებისთვის. ფულადი დახმარებების უზრუნველყოფა დაღუპულ მოსამსახურეთა ოჯახებზე, დაჭრილ და დაშავებულ სამხედრო მოსამსახურეებზე;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

- სამედიცინო მომსახურება გაეწია სულ 59 088 პაციენტს;
- სამხედრო მოსამსახურეებს და სამხედრო პენსიონერებს გაეწიათ ამბულატორიული (27 952 პაციენტი) და სტაციონარული (1 593 პაციენტი) სამედიცინო მომსახურება;
- სამხედრო მოსამსახურის ოჯახის წევრი - 3 889 პაციენტი;
- სამოქალაქო პირიები - 25 654 პაციენტი;
- საპროთეზო-ორთოპედიული მომსახურება გაეწია 36 დაჭრილ/დაშავებულ სამხედრო მოსამსახურეს;
- სარეაბილიტაციო სამსახურში ფიზიკური და ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის კურსით უზრუნველყოფილი საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეთა რაოდენობა 112, სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახის წევრთა რაოდენობა 82;

1.4. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების მართვა (პროგრამული კოდი 35 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
- ✓ სსიპ - სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო;
- ✓ სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი;
- ✓ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო;
- ✓ სსიპ - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი;
- ✓ სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი.

დაგეგმილი საბოლოო შედეგი:

- შრომის ბაზრის მონიტორინგსა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკა, მონაცემთა მოძიება/შეგროვების სრულყოფილი მეთოდოლოგიები;
- საზოგადოების საჭიროებებზე ორიენტირებული ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური სერვისები;
- ბენეფიციარებისათვის დადგენილი გასაცემლების სრული და დროული მიწოდება;

- ფალსიფიცირებული, ვადაგასული და წუნდებული ფარმაცევტული პროდუქტისაგან დაცული მომხმარებელი; განხორციელებული კონტროლის ღონისძიებები; უკანონო სამედიცინო და საექიმო საქმიანობისაგან დაცული მოსახლეობა;
- საქართველოს მოსახლეობისათვის პირველადი სასწრაფო გადაუდებელი დახმარების სერვისის გამართული, დროული და ეფექტური მიწოდება რეგიონებში და ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულებში.

მიღწეული საბოლოო შედეგი:

- გაზრდილია ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარისხი;
- შრომის ბაზრის მონიტორინგსა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკა, მონაცემთა მოძიება/შეგროვების სრულყოფილი მეთოდოლოგიები;
- შემცირებულია სუბსტანდარტული, ვადაგასული და წუნდებული ფარმაცევტული პროდუქტების რაოდენობა ფარმაცევტულ ბაზარზე;
- უზრუნველყოფილია ბენეფიციარებისათვის დადგენილი გასაცემლების სრული და დროული მიწოდება;
- გაუმჯობესებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების, ხანდაზმულებისა და ოჯახის მზრუნველობამოკლებული ბავშვების ცხოვრების ხარისხი;
- ტრეფიკინგის კუთხით გაზრდილია ცნობიერება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულთან და პრობლემასთან დაკავშირებით;
- ადამიანით ვაჭრობისა (ტრეფიკინგის) და ოჯახში ძალადობის მსხვერპლები უზრუნველყოფილი არიან შესაბამისი მომსახურებით, სამედიცინო, ფსიქოლოგიური და იურიდიული დახმარებით, თავშესაფრებით და სხვა სერვისებით;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, ხანდაზმულები და მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვები უზრუნველყოფილი არიან ღირსეული საცხოვრებელი პირობებით, პირველადი სამედიცინო მომსახურებით, სამკურნალო-სარეაბილიტაციო და დღის და სადღეღამისო მომსახურებებით;
- უზრუნველყოფილ იქნა ცენტრის რაიონული სამსახურების ბრიგადების მიერ მიღებული და შესრულებული გამოძახებები. ინფორმაცია დამუშავდა და ხდებოდა მისი ყოველდღიური ანალიზი;
- ცენტრის საკუთრებაში არსებული, ეროვნულ სასწავლო ცენტრის ბაზაზე პირველადი გადაუდებელი დახმარების გადასამზადებელი კურსი გაიარა ცენტრის მართვაში არსებული სამედიცინო პერსონალმა კვალიფიკაციის ასამაღლებლად;
- მოსახლეობა უზრუნველყოფილია პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარებით რეგიონებში და ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1.მიზნობრივი მაჩვენებელი - თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო და სოციალური მომსახურებები;
მიღწეული მაჩვენებელი - ყველა მოქალაქისათვის გარანტირებულია სამედიცინო მომსახურების ფინანსური ხელმისაწვდომობა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით;
2. მიზნობრივი მაჩვენებელი - ბენეფიციარებისათვის დადგენილი გასაცემლების სრული და დროული მიწოდება;
მიღწეული მაჩვენებელი - დადგენილი გასაცემლების სრული და დროული მიწოდებით უზრუნველყოფილი ბენეფიციარები;

3.საბაზისო მაჩვენებელი - შერჩევით შეძენილ ფარმაცევტულ პროდუქტებს შორის არარეგისტრირებული სამკურნალო საშუალებების წილის შემცირება (2015წ- 1.15%);
მიზნობრივი მაჩვენებელი - ფალსიფიცირებული და წუნდებული ფარმაცევტული პროდუქტის რაოდენობის მაჩვენებელი ბაზარზე - 0.9%;
მიღწეული მაჩვენებელი - კონტროლის ღონისძიებების შედეგად ჩამორთემული სამკურნალო საშუალებების რაოდენობა - 299.0 ათასამდე ერთეული (ტაბლეტი, კაფსულა, ამპულა) (მაჩვენებელი ბაზარზე - 0.9%);
4.მიზნობრივი მაჩვენებელი - ადამიანით ვაჭრობისა (ტრეფიკინგის) და ოჯახში ძალადობის შემთხვევების რისკის სტატისტიკური მაჩვენებელი
მიღწეული მაჩვენებელი - ადამიანით ვაჭრობისა (ტრეფიკინგის) და ოჯახში ძალადობის მსხვერპლები უზრუნველყოფილი არიან შესაბამისი მომსახურებით: სამედიცინო, ფსიქოლოგიური, იურიდიული დახმარებით, ასევე თავშესაფრებით და სხვადასხვა სერვისებით; წინა წელთან შედარებით მომართვიანობის რაოდენობა გაზრდილია 42.3 %-ით;
5.მიზნობრივი მაჩვენებელი - პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფილი მოსახლეობა (რაოდენობა და გეოგრაფიული მოცვა)
მიღწეული მაჩვენებელი - პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების მომსახურებით უზრუნველყოფილი მოსახლეობა; სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადების ოპტიმალური განაწილების შედეგად, რეგიონული მასშტაბით, საქართველოს ტერიტორიის (გარდა თბილისი და ოკუპირებული ტერიტორია) სრულად დაფარვა.

1.5. სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა (პროგრამული კოდი 35 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;

დაგეგმილი საბოლოო შედეგი:

- რეაბილიტირებული და სრულად აღჭურვილი სამედიცინო დაწესებულებები.

მიღწეული საბოლოო შედეგი:

- უზრუნველყოფილია სამედიცინო დაწესებულებათა მშენებლობა, აღჭურვა და ფუნქციონირების ხელშეწყობა;
- სგანხორციელდა ახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჯანდაცვითი ინფრასტრუქტურის, შენობა-ნაგებობებისა და აღჭურვილობის განახლება, სამედიცინო დაწესებულებებში დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მინიმალური სტანდარტის უზრუნველყოფა.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1. საბაზისო მაჩვენებელი - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ რუხის მრავალპროფილიანი საუნივერსიტეტო კლინიკის მეშნებლობა - 50%; სსიპ -ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობისდა ეროვნული ცენტრის

ადმინისტრაციული შენობის მშენებლობა- 50%; „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის“ პროექტირება - 50%;
მიზნობრივი მაჩვენებელი - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ რუხის მრავალპროფილიანი საუნივერსიტეტო კლინიკის მშენებლობა და აღჭურვა(სამედიცინო აპარატურით და ავეჯით, საოფისე ავეჯით, საოჯახო ტექნიკითა და ინვენტარით) - 100%; სსიპ -ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ადმინისტრაციული შენობის მშნებლობა - 100%; „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის“ პროექტირება - 100% და მშნებლობა - 40%;
მიღწეული მაჩვენებელი - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ რუხის მრავალპროფილიანი საუნივერსიტეტო კლინიკის მშენებლობა და აღჭურვა (სამედიცინო აპარატურით და ავეჯით, საოფისე ავეჯით, საოჯახო ტექნიკითა და ინვენტარით) - 80%; სსიპ -ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ადმინისტრაციული შენობის მშნებლობა - 100%; „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის“ პროექტირება და მშენებლობა არ განცორციელებულა.

ცდომილების მაჩვენებელი (% აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებაზე:

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის, სოფელ რუხში მშენებარე მრავალპროფილიანი საუნივერსიტეტო კლინიკის სამშენებლო სამუშაოები (ნაწილობრივი დაფინანსება) დაფინანსდა 80%-ით ნაცვლად 100%-სა. ცდომილება გამოწვეულია მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულების დაგვიანებით შესრულების შედეგად;
- ა(ა)იპ - ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის საპროექტო მომსახურებისა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შესყიდვა საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით დაევალა სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს".

1.7 შრომისა და დასაქმების სისტემის რეფორმების პროგრამა (პროგრამული კოდი 35 05)

პროგრამის განმახორციელებელი:
- ✓ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
- ✓ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო;

დაგეგმილი საბოლოო შედეგი:

- შრომის უსაფრთხოების, საწარმოო სანიტარული და ჰიგიენური პირობების, ასევე ტრეფიკინგის საფრთხეების შესახებ დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ცნობიერების ამაღლება; შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მომზადებული სტანდარტები; რეგისტრირებულ სამუშაოს-მაძიებელთა ზრდა; პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და სტაჟირების შედეგად დასაქმებულთა ზრდა.

მიღწეული საბოლოო შედეგი:

- უზრუნველყოფილია შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემის (www.worknet.gov.ge) მოდულები სამუშაოს მაძიებელთა, დამსაქმებელთა, ვაკანსიების, სტატისტიკურ მონაცემთა შეგროვებისა და დამუშავების (უკუკავშირი და ანალიზი) გამართული ფუნქციონიება. ასევე განხორციელდა სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულებში ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციები. დანერგილია შესაბამისი მექანიზმები შეზუღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საჭიროების მქონე პირთა დასაქმების ხელშეწყობისათვის. განვითარებულია საშუამავლო მომსახურება. რეგისტრირებულ სამუშაოს-მაძიებელთა რაოდენობა გაზრდილია;
- ჩატარებულია კონფერენცია დასაქმების ხელშეწყობის საკითხებსა და არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით.
- უზრუნველყოფილია შრომის ბაზარზე, შრომის უსაფრთხოების მიმართულებით არსებული მდგომარეობას შესწავლა, კანონმდებლობით გათვალისწინებული შრომის პირობების დაცვაზე ზედამხედველობა, არსებული შრომის პირობების დაცვის ნორმების გაუმჯობესება, უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნა, შრომის უსაფრთხოების, საწარმოო სანიტარული და ჰიგიენური პირობების, ასევე ტრეფიკინგის საფრთხეების შესახებ დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ცნობიერების ამაღლება;

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1.საბაზისო მაჩვენებელი - შრომის უსაფრთხოებისა დაჯანმრთელობის დაცვის სფეროში მომზადებული სტანდარტების რაოდენობა - 3;
მიზნობრივი მაჩვენებელი - შრომის უსაფრთხოებისა დაჯანმრთელობის დაცვის სფეროში მომზადებული სტანდარტების რაოდენობა - 4;
მიღწეული მაჩვენებელი- შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დამუშავებულია 3 სტანდარტი.
2. საბაზისო მაჩვენებელი - დარეგისტრირებული სამუშაოს მაძიებლების რაოდენობა - 47000; მოძიებული ვაკანსიების რაოდენობა - 2400;
მიზნობრივი მაჩვენებელი - დარეგისტრირებული სამუშაოს მაძიებლების რაოდენობის 10%-ით გაზრდა; მოძიებული ვაკანსიების რაოდენობა - 2600;
მიღწეული მაჩვენებელი - გაზრდილია დარეგისტრირებული სამუშაოს მაძიებლების რაოდენობა 35 %-ით, ხოლო მოძიებული ვაკანსიების რაოდენობა 5 711;
3. საბაზისო მაჩვენებელი - პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და სტაჟირების შედეგად დასაქმებული - 10-15%;
მიზნობრივი მაჩვენებელი - პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და სტაჟირების შედეგად დასაქმებული - 15-22%;
მიღწეული მაჩვენებელი - პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და სტაჟირების შედეგად დასაქმებულია -26%;
4. საბაზისო მაჩვენებელი - დასაქმების ეროვნული კლასიფიკატორის შემუშავება - 70%; შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის შექმნა განვითარება 75%;
მიზნობრივი მაჩვენებელი - დასაქმების ეროვნული კლასიფიკატორის შემუშავება - 100%; შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის შექმნა განვითარება 100%;
მიღწეული მაჩვენებელი - აღნიშნული საკითხი გადავიდა ეკონომიკის სამინისტროში.

ცდომილების მაჩვენებელი (% აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებაზე:

- ევრო-დირექტივები მზადდება ევროკავშირის „დასაქმებისა და პროფესიული განათლების რეფორმების ტექნიკური დახმარების პროექტის“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდებოდა 2015 წლის მაისიდან - 2017 წლის მაისის ჩათვლით. 2017 წლის დასაწყისიდან მაისამდე შესაძლებელი იყო მხოლოდ 3 ევრო-დირექტივის მომზადება, ხოლო შემდეგ ტექნიკური დახმარების პროექტის შრომის უსაფრთხოების მიმართულების დახურვის გამო, შეწყდა ტრანსპოზიციის პროცესი. დარჩენილი ევროდირექტივების განხილვა დაგეგმილია 2018-2019 წლების განმავლობაში;
- დარეგისტრირებული სამუშაოს მაძიებლების რაოდენობის მიზნობრივი მაჩვენებელი (63 316) საბაზიზო მონაცემებთან (47 000) მიმართებაში გაზრდილია, რაც გამოწვეულია სამუშაოს მაძიებლებისა და დამსაქმებლების გააქტიურებით;
- „შრომის ბაზრის ანალიზის, ინფორმაციული სისტემის დანერგვა/განვითარების პროგრამის“ ფარგლებში დაგეგმილი იყო დასაქმების ეროვნული კლასიფიკატორის შემუშავება და შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის შექმნა განვითარება. 2017 წლის ივლისიდან აღნიშნულ პროგრამას ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

1.8 შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 30 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - საქართველოს შსს ჯანმრთელობის დაცვის სამსახური

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- თანამშრომელთა შენარჩუნებული ჯანმრთელობის მდგომარეობა და ფიზიკური განვითარება;
- ავადობისა და შრომისუუნარობის შემცირებული რაოდენობა;
- სამედიცინო ქვედანაყოფების უზრუნველყოფილი მაღალი საბრძოლო და სამობილიზაციო მზადყოფნა;
- საჭიროების შემთხვევაში დაჭრილთათვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და ევაკუაციის ორგანიზების დროს, სანიტარული დანაკარგის შემცირებული მაჩვენებელი.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- პაციენტთა 100% უზრუნველყოფილი იქნა შესაბამისი მკურნალობითა და სამკურნალწამლო საშუალებებით;
- უზრუნველყოფილი იქნა მაღალი საბრძოლო და სამობილიზაციო მზადყოფნა;
- სამსახურებრივი მოვალების შესრულების დროს მიყენებული ჯანმრთელობის დაზიანების ყველა შემთხვევებში აღმოჩენილი იქნა სათანადო სამედიცინო დახმარება.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - რთული რელიეფის პირობებში დაჭრილთათვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და ევაკუაციის ორგანიზების მიზნით ან სხვა გადაუდებელ შემთხვევებში არსებული ავტოპარკი ვერ უზრუნველყოფს სათანადო მომსახურებას

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - შეძენილი მაღალი გამავლობის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ავტომანქანა

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - ვერ იქნა შეძენილი მაღალი გამავლობის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ავტომანქანა

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

- წლის განმავლობაში ვერ მოხერხდა შესაბამისი თანხების მობილიზება.

1.9 ა(ა)იპ – საქართველოს სოლიდარობის ფონდი (პროგრამული კოდი 57 00)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ ა(ა)იპ – საქართველოს სოლიდარობის ფონდი

დაგეგმილი საბოლოო შედეგი:

- 2017-2020 წლებში საჯარო და არასამთავრო სექტორის მზარდი ჩართულობით სულ მცირე 16 მილიონი ლარის დონაციის მობილიზება და 22 წლამდე ასაკის სიმსივნით დაავადებული ბავშვებისა და ახალგაზრდების მკურნალობის ფინანსური პრობლემის გადაჭრა ქვეყნის მასშტაბით და პარალელურად საქართველოში ონკოლოგიურ სერვისების გაძლიერება;
- ფინანსური რესურსების მზარდი მოცულობების პირობებში (ყოველწლიურად 5 მილიონზე მეტი ლარის დონაცია) იშვიათი 37 დაავადებების, შშმპ ბავშვებისა და უფროსი ასაკის ონკოლოგიური პაციენტების დახმარება ინდივიდუალური ძვირადღირებული მკურნალობის მისაღებად;

მიღწეული საბოლოო შედეგი:

- საანგარიშო პერიოდში მობილიზებულია და განსაკარგავი საკუთარი სახსრების მოცულობამ შეადგინა 3 383.4 ათას ლარზე მეტი;
- უზრუნველყოფილია სიმსიმნით დაავადებული და სისხლმბადი ორგანოს დაავადების მქონე ბავშვთა, ასევე 22 წლამდე ასაკის ახალგაზრდის დიაგნოსტიკა და მკურნალობა როგორც საქართველოში ასევე უცხოურ კლინიკებში;
- ფონდის ბენეფიციარები უზრუნველყოფილი იყვნენ ძვირადღიერებული მედიკამენტებით.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2017-2020 წლებში მობილიზებული ფინანსური რესურსების მოცულობა 22 წლამდე ასაკის სიმსივნით დაავადებული ბავშვებისა და ახალგაზრდების მკურნალობის დასახმარებლად - ყოველწლიურად სულ მცირე 4 მილიონი ლარი, ან 4 წლის პერიოდში სულ მცირე 16 მილიონი ლარი;
მიღწეული მაჩვენებელი - 3.4 მილიონ ლარზე მეტი მობილიზებული ფინანსური რესურსი.

ცდომილების მაჩვენებელი (% აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებაზე:

- ფონდში ყოველთვიური რეგულარული დოტაციების მოცულობა დაგეგმილი იყო სულ მცირე 400.0 ათასი ლარის ოდენობით, თუმცა საანგარიშო პერიოდში საშუალოდ დოტაციის მოცულობა შეადგენდა 282.0 ათასამდე ლარს.

2. პრიორიტეტი – თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2017 წლის დაზუსტებული გეგმა	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	2017 წლის ფაქტიური დაფინანსება	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები	მ.შ.საკუთარი სახსრები
30 01	საზოგადოებრივი წესრიგი, სახელმწიფო საზღვრის დაცვა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება/გაღრმავება	523,050.0	523,050.0	524,332.5	524,332.5	0.0
29 01	თავდაცვის მართვა და შესაძლებლობები	455,245.3	455,245.3	454,469.8	454,469.8	0.0
27 01	საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება	135,956.9	135,956.9	135,655.2	135,655.2	0.0
31 00	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური	120,501.0	120,500.0	120,415.5	120,414.6	1.0
29 08	საქართველოს შეიარაღებული ძალების შესაძლებლობის გაძლიერება (SG)	78,000.0	78,000.0	99,079.5	99,079.5	0.0
30 06	სამოქალაქო უსაფრთხოების დონის ამაღლება	62,174.8	61,851.8	61,515.5	61,345.7	169.8
40 01	დასაცავ პირთა და ობიექტთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა	47,563.2	47,563.2	47,454.2	47,454.2	0.0
29 06	საერთაშორისო ოპერაციები	38,437.1	38,437.1	38,422.5	38,422.5	0.0
26 02	გამოძიებაზე ზედამხედველობის, სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის პროგრამა	35,920.8	35,920.8	35,633.0	35,633.0	0.0
29 05	ინფრასტრუქტურის განვითარება	38,595.0	38,595.0	38,593.3	38,593.3	0.0
29 07	სამხედრო მრეწველობის განვითარება	48,620.2	39,236.6	43,341.4	40,541.5	2,799.9
23 03	ეკონომიკური დანაშაულის პრევენცია	18,015.0	18,015.0	17,587.0	17,587.0	0.0
22 00	საქართველოს დაზვერვის სამსახური	13,500.0	13,500.0	13,484.4	13,484.4	0.0
30 02	ეროვნული საგანძურის, დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საპატრიარქოს დაცვის უსაფრთხოების დონის ამაღლება	125,677.2	9,611.6	122,035.3	9,481.2	112,554.1
29 04	მართვის, კონტროლის, კავშირგაბმულობის და კომპიუტერული სისტემები	8,458.4	8,458.4	8,431.8	8,431.8	0.0

კოდი	დასახელება	2017 წლის დაზუსტებული გეგმა	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	2017 წლის ფაქტიური დაფინანსება	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები	მ.შ.საკუთარი სახსრები
27 02	სრულყოფილი პრობაციის სისტემა	8,832.0	6,162.0	8,747.7	6,101.4	2,646.4
59 01	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატი	3,600.0	3,600.0	3,376.3	3,376.3	0.0
24 09	საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში საქართველოს აეროპორტებში „გათავისუფლებული ფრენების" მომსახურების ხარჯების ანაზღაურება (მათ შორის, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვა	1,891.3	1,891.3	1,891.3	1,891.3	0.0
03 01	საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი	1,898.9	1,898.9	1,892.5	1,892.5	0.0
26 07	დანაშაულის პრევენცია და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია	1,669.8	1,276.4	1,646.8	1,296.0	350.8
30 05	სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შექმნა და მართვა	682.9	682.9	658.7	658.7	0.0
30 07	სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მომსახურების ეფექტიანობის უზრუნველყოფა და ყველა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომობა	81,307.8	0.0	78,444.6	0.0	78,444.6
30 08	სამოქალაქო უსაფრთხოების დონის ამაღლება	13,119.0	0.0	12,719.0	0.0	12,719.0
40 03	სსიპ სახელისუფლებო სპეციალური კავშირგაბმულობის სააგენტო	1,486.8	16.8	1,173.2	0.0	1,173.2
	სულ	*1,864,203.4*	*1,639,470.0*	*1,871,001.2*	*1,660,142.5*	*210,858.7*

2.1 საზოგადოებრივი წესრიგი, სახელმწიფო საზღვრის დაცვა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება/გაღრმავება (პროგრამული კოდი 30 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოები და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიცია

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- ამაღლებული საზოგადოებრივი წესრიგისა და მოქალაქეთა უსაფრთხოების დონე;
- მინიმუმამდე შემცირებული ავტოსატრანსპორტო შემთხვევები;
- რისკ ჯგუფების ორგანიზებულ დანაშაულში ჩართულობის პრევენცია და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ინსტიტუციურად განვითარებული შესაძლებლობები;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობის შესახებ საზოგადოების ამაღლებული ცნობიერება და აქტიური ჩართულობა;
- სახელმწიფო საზღვრის ხელშეუხებლობის უზრუნველყოფა;
- სახელმწიფო საზღვარზე, სასაზღვრო ზოლში, სასაზღვრო ზონაში და საქართველოს საზღვაო სივრცეში შემცირებული კანონსაწინააღმდეგო ქმედებები;
- უზრუნველყოფილი ნაოსნობის უსაფრთხოება, სრულყოფილად დაცული ნაოსნობის წესები;
- გაუმჯობესებული სამაშველო ოპერაციების განხორციელების შესაძლებლობები;
- განახლებული მატერიალურ ტექნიკური ბაზა.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- საზოგადოებრივი წესრიგის და მოქალაქეთა უსაფრთხოების დონის ამაღლების მიზნით სამინისტროს მიერ შეძენილია 100, ხოლო ადგილობრივ მუნიციპალიტეტების მიერ 1 200 საავტომობილო ნომრის ამომცნობი ვიდეოკამერა, აღნიშნული ვიდეკომარების დაინსტალირება ხდება ეტაპობრივად ვინაიდან საჭიროა შესაბამისი ოპტიკურ/ ბოჭკოვანი ქსელის გაყვანა. საანგარიშო პერიოდში დაინსატლირებულია 240 ვიდეოკამერა, დანერგილია საავტომობილო ნომრის ამომცნობი პროგრამა;
- ავტოსატრანსპორტო შემთხვევების მინიმუმადე შემცირების მიზნით, შემუშავებული და ამოქმედებული ,,საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის ცვლილებები და ძალაში შესული საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, ამოქმედებული „ჭკვიანი“ ვიდეოკამერების სისტემა რომელიც აფიქსირებს 5 ტიპის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას;
- არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის პრევენციის მიზნით საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებისთვის 26 საჯარო სკოლაში ჩატარებული საგანმანათლებლო-ინტერაქტიული გაკვეთილები, საქართველოს 4 სხვადასხვა ქალაქში საგზაო უსაფრთხოების ცნობიერების ამაღლების მიზნით მოწყობილი იმიტირებული „უსაფრთხო ქალაქი“;
- საზოგადოების ინფორმირებულობის მიზნით, ,,საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების თაობაზე მომზადებული 4 ვიდეო რგოლი, მომზადებული, დაბეჭდილი და გავრცელებული 200 000 საინფორმაციო ბუკლეტი;

- სახელმწიფო საზღვრის ხელშეუხებლობის უზრუნველყოფის მიზნით გატარებული ღონიძიებების შედაგეგად აღკვეთილი საზღვრის უკანონო დარღვევის ფაქტები;
- განხორციელებული ღონისძიებების საფუძველზე, სახელმწიფო საზღვარზე, სასაზღვრო ზოლში, სასაზღვრო ზონაში და საქართველოს საზღვაო სივრცეში შემცირებულია კანონსაწინააღმდეგო ქმედებები;
- ნაოსნობის უსაფრთხოების და წესების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, გამოვლენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევები;
- ადამიანების სიცოცხლის გადარჩენის მიზნით, ზღვაზე ჩატარებულია სამაშველო ოპერაციები და მცურავი საშუალებებისთვის აღმოჩენილია დახმარება;
- განახლებულია სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - გაზრდილი ავტოსაგზაო შემთხვევების გამო შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაიწყო სამართლებრივი ბაზის სრულყოფა, რომლის მიზანია დაიცვას მოქალაქეების სიცოცხლე და უზრუნველყოს ავტოსაგზაო შემთხვევების შემცირება
დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - შესაბამისი სამართლებრივი აქტების ამოქმედების შედეგად გაუმჯობესებული საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - საქართველოს პარლამენტში წარდგენილი და პარლამენტის მიერ დამტკიცებულ იქნა „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და მისგან გამომდინარე საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, 2017 წლის 1 ნოემბრიდან ძალაში შევიდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ვიდეო ჯარიმების აღსრულების ახალი წესი, რომლის თანახმადაც სამართალდამრღვევს, ჯარიმის დაფიქსირებისთანავე, ავტომატურ რეჟიმში ეცნობება დარღვევის შესახებ მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით, ან აპლიკაციის საშუალებით

2.დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - საზოგადოებრივი ცნობიერების ამღლებისათვის არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის პრევენციის მიზნით 5 საჯარო სკოლაში ჩატარდა საგანმანათლებლო-ინტერაქტიული შეხვედრა

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - რეგიონების მოსახლეობასთან შსს–ს სხვადასხვა მმართველი რგოლის წარმომადგენლების მიერ ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა; საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - საანგარიშო პერიოდში მთელი ქვეყნის მასშტაბით 26 საჯარო და კერძო სკოლის, 2000-ზე მეტ მოსწავლესთან გაიმართა საინფორმაციო-ინტერაქტიული გაკვეთილები.

3. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - სამინისტრო ახორციელებს ეფექტურ საერთაშორისო თანამშრომლობას დანაშაულის თავიდან აცილების, გამოვლენისა და აღკვეთის სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულებების გაფორმების, პოლიციის ატაშეების წარგზავნის და

ერთობლივი პროგრამების განხორციელების გზით. დღეის მდგომარეობით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 11 ქვეყანაში ყავს წარგზავნილი პოლიციის ატაშე; დანაშაულის თავიდან აცილების, გამოვლენისა და აღკვეთის სფეროში გაფორმებულია 26 ხელშეკრულება

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - გაფორმებული ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებების რაოდენობა; წარგზავნილი პოლიციის ატაშეების რაოდენობა; პარტნიორ ქვეყნებთან ერთად ერთობლივი პროგრამების ფარგლებში ჩატარებული ღონისძიებების (სასწავლო ვიზიტები, ტრეინინგები და სწავლებები) რაოდენობა

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - საანგარიშო პერიოდში ხელი მოეწერა შეთანხმებებს/მემორანდუმებს შემდეგ ქვეყნებთან: ბელარუსი (საგამოძიებო კომიტეტთან გაფორმებული ოქმი), შვედეთი, ევროპოლი, უნგრეთი (ერთობლივი განცხადება), ლიტვა (ლიტვის პოლიციასთან გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმი), ლატვია (ერთობლივი განცხადება), ლიტვა (ერთობლივი განცხადება), საბერძნეთი, იტალია (კარაბინიერების სამსახურთან გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმი), ესტონეთი (ერთობლივი განცხადება);

- ✓ ოქმი „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ბელარუსის რესპუბლიკის საგამოძიებო კომიტეტის ხელმძღვანელთა სამუშაო ჯგუფის ფარგლებში მიღწეული შედეგებიდან გამომდინარე განზრახულებების თაობაზე“;
- ✓ შეთანხმება „საქართველოს მთავრობასა და შვედეთის სამეფოს მთავრობას შორის სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის შესახებ“;
- ✓ ოქმი „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ლატვიის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ლატვიის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის სასაზღვრო სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ 2009 წლის 8 დეკემბრის შეთანხმებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“.
- ✓ ერთობლივი განცხადება „საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრსა და ესტონეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრს შორის ევროპული მისწრაფებების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ – 2017 წლის 7 ივლისი;
- ✓ შეთანხმება „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამინისტროს შორის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის შესახებ“ – ხელმოწერილია ქ. პეკინში 2017 წლის 25 სექტემბერს, ძალაშია ხელმოწერის დღიდან;
- ✓ 2017 წლის 11-14 დეკემბერი: განხორციელდა მოლდოვის რესპუბლიკის შსს-ს პოლიციის მთავარი ინსპექტორატის დელეგაციის სასწავლო ვიზიტი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში. მოლდოვას მხარის წარმომადგენლები ესტუმრნენ შსს-ს სხვადასხვა ქვედანაყოფებს, კერძოდ: საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს, გენერალურ ინსპექციას, ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტს, კვლევისა და განვითარების დეპარტამენტს, სსიპ მომსახურების სააგენტოსა და სსიპ შსს-ს აკადემიას. სტუმრები გაეცნენ ზ/ა ქვედანაყოფების საქმიანობის სპეციფიკასა და ძირითად მიმართულებებს.

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

- საანაგრიშო პერიოდში ვერ განხორციელდა პოლიციის ატაშეს წარგზავნა ევროპოლში ვინაიდნა მეკავშირე ოფიცრის წარგზავნა, არსებული პროცედურების შესაბამისად, საჭიროებს „საქართველოსა და ევროპის კავშირის სამართალდაცვით სფეროში თანამშრომლობის სააგენტოს

შორის მეკავშირეობის შესახებ“ შეთანხმების არსებობას. ხსენებული შეთანხმება თავისი არსით წარმოადგენს საერთაშორისო ხელშეკრულებას. 2017 წლის მდგომარეობით შესაძლებელი იყო აღნიშნული შეთანხმების ხელმოწერა, თუმცა ევროპოლის მხარის მიერ შეფერხდა პროცედურები და მხოლოდ 2018 წლის იანვარში მოხდა შეთანხმების საბოლოო ტექსტის მოწოდება და შესაბამისად 2018 წელს ხელი მოეწერბა შეთანხმებას, რომელიც ძალაში შევა ხელმოწერის თანავე და ამის შემდგომ შესაძლებელი იქნება საქართველოს წარმომადგენლის წარგზავნა ევროპოლში.

4. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - ქვეყნის უსაფრთხოებისთვის აუცილებელია სათანადო რადიოკავშირის საშუალებებით სახელმწიფო საზღვრის სრული დაფარვა. დღეის მდგომარეობით იფარება კონტროლირებადი საზღვრის პერიმეტრის დაახლოებით 99% (1 922 კ/მ). დღეის მდგომარეობით შსს ერთიან კომპიუტერულ ქსელში ჩართულია სასაზღვრო სექტორებისა და სანაპირო დაცვის სადგურების საერთო რაოდენობის 28%. დღეის მდგომარეობით საზღვრის მონაკვეთები აღჭურვილია 55 ცალი მახე-კამერით

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - კავშირგაბულობის არსებული საშუალებების ტექნიკური მომსახურება, რემონტი. კავშირგამბულომის არსებული საშუალებების ელექტრო ენერგიით მუდვივად უზრუნველყოფის მიზნით შეძენილი 15 ცალი (24 ვოლტიანი) აკუმლატორები

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - საანგარიშო პერიოდში საჭიროების შესაბამისად განხორციელდა არსებულლი კავშირგაბმულობის საშუალებების უწყვეტი მომსახურება და რემონტი

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

- ცდომილების მაჩვენებელი 100%. ვინაიდან 2017 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა მუშაობა „BOMS”-ის პროექტის ფარგლებში სათვალთვალო სისტემების მოწყობაზე და აღნიშნული პროექტის დასრულებამდე არ იყო ცნობილი რამდენი აკუმულატორის შეძენა იქნებოდა საჭირო (თითოეული აკუმულატორის ღირებულება შეადგენს 30 000 ლარს) რაოდენობის გარკვევამდე აღნიშნული აკუმულატორების შესყიდვა შეჩერდა. “BOMS”-ის პროექტით გათვალისწინებული სათვალთვალო სისტემის მოწყობის დასრულების შემდეგ 2018 წელს საჭირო იქნება 15 აკუმულატორის ნაცვლად 10 აკუმულატორის შეძენა

5. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - თანამედროვე მოთხოვნებიდან გამომდინარე საჭიროა სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მუდმივი განახლება დღეის მდგომარეობით თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით გასაახლებელია სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის 70 %

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - 5% -ით განახლებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - საანაგრიშო პერიოდში მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლების მიზნით შეძენილია: ლეპტოპი - 34 ცალი, პერსონალური კომპიუტერი - 980, უწყვეტი კვების წყარო - 287, ვიდეო სამეთვალყურეო სისტემები - 17, დიზელ გენერატორი - 52, ტრანსფორმატორები - 4, 48 პორტიანი ქსელური კომპლექტი - 3, 24 პორტიანი ქსელური კომპლექტი - 3, 12 პორტიანი ქსელური კომპლექტი - 2, ქსელური მარშუტიზატორი - 1, რეპიტერი - 2, ქსელური გამმართველი - 2, როუტერი - 2, კარვები - 45, სერვერი - 2, სკანერი - 76, GPS მოწყობილობა - 10, VOIP ტელეფონები - 245, ვიდეო კამერა - 107, კონდიციონერი - 118, ალკომეტრი - 90, პრინტერი - 157,

სენდვიჩ-პანელის ჯიხური - 2, გაზური ქრომატოგრაფ-მას-სპექტრომეტრი - 1, ხმაურმზომი - 30, გორგოლაჭინი სავარძელი - 245, საოფისე სკამი - 25, კომპიუტერის მაგიდა - 4, იარაღის შესანახი კარადა - 15, საპრეზენტაციო კარავი - 2, მაგიდა - 6, კომბინირებული კარადა - 12, საავტომობილო ვიდეორეგისტრატორი - 30.

2.2 თავდაცვის მართვა და შესაძლებლობები (პროგრამული კოდი 29 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

- თავდაცვის სამინისტროს ეფექტიანი მართვა;
- გაუმჯობესებული საერთაშორისო და უწყებათაშორისი თანამშრომლობა;
- შეიარაღებული ძალები, რომელსაც შეუძლიათ თავდაცვის წარმოება სამოქმედო რაიონში და არსებული საშუალებების გამოყენებით მაქსიმალური ზიანის მიყენება მოწინააღმდეგისათვის დროის მოგების მიზნით;
- ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფებისას შესაბამისი რეაგირების უნარი;

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- თავდაცვის სამინისტროს ეფექტიანი მართვის მიზნით შემუშავდა და განახლდა სტრატეგიული და პროცედურული ტიპის დოკუმენტები;
- შეიარაღებული ძალების ბრძოლისუნარიანობის შესანარჩუნებლად და ასამაღლებლად განხორციელდა დაგეგმილი მრავალეროვნული, უწყებათაშორისი, სამმხრივი და სამეთაურო-საშტაბო სამხედრო სწავლებები;
- 2017 წლის განმავლობაში გააქტიურდა საერთაშორისო ჩართულობა, როგორც ნატო-სთან, ასევე ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში, რაც გამოიხატა საქართველოში უცხოელი ექსპერტების გააქტიურებულ ვიზიტებსა და სამინისტროს/შძ სამხედრო და სამოქალაქო პერსონალის უცხოეთში დაგეგმილ ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობით. გაძლიერდა პარტნიორი ქვეყნების და ორგანიზაციების მიერ პოლიტიკური მხარდაჭერა და პრაქტიკული დახმარება, რაც აისახება თავდაცვითი შესაძლებლობების განვითარებისთვის ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებაზე. სრულდება საქართველოს მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებები სავერიფიკაციო ინსპექციების მიმართულებით.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - საპარლამენტო და სამთავრობო დონეზე განსაზღვრული თავდაცვის პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად მიმდინარეობს თავდაცვის სამინისტროს სტრატეგიული მართვა. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა ეყრდნობა არსებულ ძალებს/საშუალებებს და შექმნილია წინაპირობა განვითარებისთვის;

მიზნობრივი მაჩვენებელი - ნორმატიული აქტებითა და ეროვნული დონის სტრატეგიული დოკუმენტების შესაბამისად თავდაცვის სამინისტროს ვალდებულებების შესრულება, თავდაცვის სამინისტროს ძირითადი პოლიტიკისა და მიმართულებების განსაზღვრა. 2017 წელს „თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის დოკუმენტის“ განახლება. შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის დონის შენარჩუნება და განვითარებისათვის ღონისძიებების გატარება;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

- დამტკიცებული სტრატეგიული და პროცედურული ტიპის დოკუმენტები: „თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის დოკუმენტი 2017-2020“; „თავდაცვის მინისტრის დირექტივები 2017“; „თავდაცვის პროგრამების სახელმძღვანელო 2018-2021“; „თავდაცვის სამინისტროს სისტემაში პერსონალის მართვის ინსტიტუციური განვითარების ხედვა - 2017-2020“;
-
- შეიარაღებული ძალების ბრძოლისუნარიანობის შესანარჩუნებლად და ასამაღლებლად განხორციელებული 4 მრავალეროვნული, 2 უწყებათაშორისი, 2 სამმხრივიდა 25-მდე სამეთაურო-საშტაბო სამხედრო სწავლებები;
-
- ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის, ასევე ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის სფეროში საქართველო ევროკავშირის სამუშაო გეგმის ფარგლებში აღებული ვალდებულებების, აგრეთვე, ორმხრივი თანამშრომლობის გეგმებით გაწერილი განხორციელებული ღონისძიებები.

2.3. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება (პროგრამული კოდი 27 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

დაგეგმილი საბოლოო შედეგი:

- საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება;
- პატიმართა უფლებების დაცვის და მათი პირობების გაუმჯობესების უზრუნველყოფა;
- ეფექტური სარეაბილიტაციო ღონისძიებების საშუალებით რეციდივის შემცირება.

მიღწეული საბოლოო შედეგი:

- გატარებულია შესაბამისი ღონისძიებები და რეფორმები საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის პენიტენციური სისტემის ჩამოსაყალიბებლად;
- პატიმართა უფლებების დაცვა და უკეთესი მოპყრობა უზრუნველყოფილია;
- შექმნილია და მიმდინარეობდა ეფექტიანი სარეაბილიტაციო პროგრამები.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1.საბაზისო მაჩვენებელი - სახალხო დამცველის 2014-2015 წლის ანგარიშებში აღნიშნულია დადებითი ტენდეციები პენიტენციურ სისტემაში მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით, კერძოდ: განხორციელდა სამინისტროს ინსტიტუციური რეფორმა, რომელიც სისტემის დასავლურ სტანდარტებზე ორიენტირებულ უწყებად გარდაქმნას უზრუნველყოფს; სამინისტროს შიდა სტრუქტურა გაიყო ორ ნაწილად: სამოქალაქო და სპეციალურ პენიტენციურ სამსახურად; გადაიჭრა დაწესებულებების გადატვირთულობის პრობლემა, გაუმჯობესდა პატიმართა უფლებრივი მდგომარეობა, მსჯავრდებულთა საცხოვრებელი ფართობი 2 კვ.მ-დან 4 კვ.მ-მდე გაიზარდა; შემოღებული იქნა ახალი სისტემა - მსჯავრსებულთა კლასიფიკაცია საშიშროების რისკის მიხედვი; 2015 წელს ექსპლუატაციაში შევიდა N16 დაწესებულება, როგორც დაბალი რისკის პენიტენციური დაწესებულება; შემუშავდა და დაინერგა სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვის პროგრამა, რაც მსჯავრდებულთა წარმატებული რეაბილიტაციისა და დანაშაულის პრევენციის ერთ-ერთი ძირითადი წინაპირობაა; სოციალურად დაუცველებისთვის ხანგრძლივი პაემანი გახდა უფასო, არასრულწლოვანთა ხანგრძლივი პაემნის ღირებულება განახევრებულია, არასრულწლოვანთა სპეციალური დაწესებულება ტრანსფორმირებულია სარეაბილიტაციო დაწესებულებად; დადებითად შეფასდა ხანგრძლივი პაემანის ინფრასტრუქტურის მოწყობა N5 პენიტენციურ დაწესებულებაში; ასევე მოწონებულია წინა წლებთან შედარებით მსჯავრდებულთა წახალისების მაჩვენებლის გაზრდა;

მიზნობრივი მაჩვენებელი - საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სახალხო დამცველის ანგარიშებში ასახული რეკომენდაციებისა და შენიშვნების ანალიზი;

მიღწეული მაჩვენებელი -

- სამინისტროს მიერ განხორციელებული ზოგიერთი ღონისძიება სახალხო დამცველის მიერ შეფასებულია დადებითად, კერძოდ:
  - ✓მსჯავრდებულთა შემცირებული რაოდენობა;
  - ✓პატიმრის დეესკალაციის ოთახში მოთავსების ხანგრძლივობის შემცირება (მოთავსების მაქსიმალურ ვადად 72 საათის განისაზღვრა);
  - ✓N5 ქალთა სპეციალურ პენიტენციურ დაწესებულებაში სკანერების დამონტაჟება;
    - ✓ პენიტენციურ დაწესებულებებში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები;
  - ✓სუიციდის პრევენციის პროგრამის პენიტენციურ დაწესებულებაში ამოქმედება;
    - ✓ სამოქალაქო ჯანდაცვის სისტემაში მოქმედი სტანდარტების პენიტენციური ჯანდაცვის სისტემაში იმპლემენტაცია;
    - ✓ პატიმართა ინფორმირება მათი უფლებების, აგრეთვე მოთხოვნის/საჩივრის შეტანის უფლების და განხილვის პროცედურის შესახებ;
- მსჯავრდებულთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ არსებული მოქმედი კანონმდებლობის ანალიზისა და საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების გათვალისწინებით შემუშავებული და საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი,

რომელიც ითვალისწინებს პატიმრობის კოდექსსა და მის თანმდევ კანონებში ცვლილებებს (სულ 19 კანონის პროექტი). განხორციელებული ცვლილებები ემსახურება სასჯელის აღსრულების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებას, ევროპის წამების საწინააღმდეგო კომიტეტისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების შესრულებას, ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის პროცესის ხელშეწყობასა და მათ საზოგადოებაში ინტეგრაციას.

2.3.1. პენიტენციური სისტემის პოლიტიკის შემუშავება, მართვა და ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ყოფითი პირობების გაუმჯობესება (პროგრამული კოდი 27 01 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

დაგეგმილი შუალედური შედეგი:

- ქმედითუნარიანი განათლების პროგრამების ამუშავებით ბრალდებულ/მსჯავრდებულთა მიერ განათლების მიღების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- საწარმოო ზონების ამოქმედებით ბრალდებულ/მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის ხელშეწყობა;
- ინფორმატულობის ზრდით ბრალდებულ/მსჯავრდებულთა ცნობიერების ამაღლება მათი უფლებების (საჩივრების, დისციპლინარული და ადმინისტრაციულ პროცედურების) შესახებ.

მიღწეული შუალედური შედეგი:

- საერთაშორისო სტრანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბების მიზნით გატარებული ღონისძიებების შედეგად გაუმჯობესებულია ბრალდებულ/მსჯავრდებულთათვის სახელობო/პროფესიული სწავლებისა და განათლების მიღების უზრუნველყოფა. არასრულწლოვანი ბრალდებულები ჩართულნი არიან საკნის გარეთ მინიმუმ 4 საათიან აქტივობაში დღის განმავლობაში (განათლება, პროფესიული განათლება და ტრენინგები, სპორტი, სარეაბილიტაციო პროგრამები და ა.შ.). სხვადასხვა საგანმანათლებლო და პროფესიული პროგრამები იმართება N2, N3, N5, N8, N11, N12, N14, N15, N16 და N17 დაწესებულებებში. 2017 წელს, პირველად გათავისუფლებისთვის მომზადების ან დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულებს მიეცათ უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობა;
- შექმნილია დასაქმების კერები და საწარმოო საქმიანობისათვის საჭირო ყველა პირობა, სადაც უზრუნველყოფილია მსჯავრდებულთა დასაქმება, მათი რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის პროცესის ხელშეწყობის მიზნით;
- შენარჩუნებულია ინფორმატულობის ზრდა, ბრალდებულ/მსჯავრდებულთა ცნობიერების ამაღლება მათი უფლებების (საჩივრების, დისციპლინარული და ადმინისტრაციულ პროცედურების) შესახებ.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2015 წელს განხორციელებელი რეფორმის შედეგად სისტემის მართვა გახდა უფრო ეფექტური; სამინისტროს მიერ შემუშავებულია საკანონმდებლო პაკეტი: 1. ცვილელებები „პატიმრობის“ კოდექსში: გათავისუფლებისთვის მოსამზადებელი თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების შესაქმნელად და დაბალი რისკის მქონე მსჯავრდებულთათვის უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე (ბაკალავრიატი) განათლების მიღების უფლებით სარგებლობის უზრუნველსაყოფად; 2. ცვლილებები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, რომლის თანახმად, სამართალდარღვევად ჩაითვლება ისეთი ქმედება როგორიცაა პენიტენციური დაწესებულების გარე აკრძალულ ზოლში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი რეჟიმის დარღვევა;
მიზნობრივი მაჩვენებელი - გაუმჯობესებულია სისტემის ეფექტური მართვა და ფუნქციონირება, ცვილელებები შესულია "პატიმრობის" კოდექსში: 1) გათავისუფლებისთვის მოსამზადებელი თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების შესაქმნელად; 2) დაბალი რისკის მქონე მსჯავრდებულთათვის უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე (ბაკალავრიატი) განათლების მიღების უფლებით სარგებლობის უზრუნველსაყოფად; ცვლილებები შესულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში. რომლის თანახმად, სამართალდარღვევად ითვლება ისეთი ქმედება როგორიცაა პენიტენციური დაწესებულების გარე აკრძალულ ზოლში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი რეჟიმის დარღვევა;
მიღწეული მაჩვენებელი - გაუმჯობესებულია სისტემის ეფექტური მართვა და ფუნქციონირება, ცვლილებები შესულია „პატიმრობის“ კოდექსში და სხვა კანონმდებლობაში შემდეგი მიმართულებით:

- ✓ გათავისუფლებისთვის მოსამზადებელი თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების შესაქმნელად;
- ✓ დაბალი რისკის, გათავისუფლებისათვის მომზადებისა და არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულთათვის უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე (ბაკალავრიატი) განათლების მიღების უფლებით სარგებლობის უზრუნველსაყოფად;
- ✓ არასაპატიმრო სასჯელის სახედ შინაპატიმრობის დანერგვისა (თავისუფლების შეზღუდვის გაუქმება) და დარჩენილი სასჯელის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით - შინაპატიმრობით შეცვლის უზრუნველსაყოფად;
- ✓ ქალი მსჯავრდებულების, რომლებსაც დაწესებულებაში ჰყავდათ 3 წლამდე ასაკის შვილი, ბავშვის მიერ დაწესებულების დატოვებიდან 1 წლის განმავლობაში პენიტენციური დაწესებულების დატოვების უფლების უზრუნველსაყოფად;
- ✓ უვადო თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულის მიმართ დანიშნული სასჯელის გადასინჯვის მექანიზმებისა და ასევე, სასჯელის აღსრულების გადავადების უფლების სრულყოფის უზრუნველსაყოფად;
- ✓ მსჯავრდებულის ავადმყოფობის გამო სასჯელის მოხდისგან გათავისუფლების უფლების სრულყოფის უზრუნველსაყოფად;
- ✓ სამინისტროს ადგილობრივი საბჭოების გადაწყვეტილების გასაჩივრების მექანიზმის უზრუნველსაყოფად.

შენიშვნა: მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი წარმოადგენს სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმაში, ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებასა და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2017 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმასა და ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმაში აღებული ვალდებულებების ნაწილს.

2.საბაზისო მაჩვენებელი - პენიტენციური სისტემაში ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა 100%-ს შესაძლებლობა აქვს სუფთად და წესრიგში იქონიოს ტანსაცმელი, საწოლი და საცხოვრებელი, კვირაში არანაკლებ ერთხელ მიიღოს შხაპი და არანაკლებ თვეში ერთხელ ისარგებლოს საპარიკმახერო მომსახურებით, უზრუნველყოფილნი არიან ჰიგიენური საშუალებებით და საწოლითა და ლოგინით;
მიზნობრივი მაჩვენებელი - პენიტენციური სისტემაში მსჯავრდებულ/ბრალდებულთა 100%-სთვის შენარჩუნებულია შესაძლებლობა სუფთად და წესრიგში იქონიოს ტანსაცმელი, საწოლი და საცხოვრებელი, კვირაში არანაკლებ ერთხელ მიიღოს შხაპი და არანაკლებ თვეში ერთხელ ისარგებლოს საპარიკმახერო (პირის გაპარსვა, თმის შეჭრა, ფრჩხილის დაჭრა) მომსახურებით, უზრუნველყოფილნი არიან ჰიგიენური საშუალებებით (საპონი, კბილის პასტა, ნეჭი, პირსახოცი), საწოლითა და ლოგინით;
მიღწეული მაჩვენებელი - პენიტენციური სისტემაში მსჯავრდებულ/ბრალდებულთა 100%-სთვის შენარჩუნებულია შესაძლებლობა სუფთად და წესრიგში იქონიოს ტანსაცმელი, საწოლი და საცხოვრებელი, კვირაში არანაკლებ ერთხელ მიიღოს შხაპი და არანაკლებ თვეში ერთხელ ისარგებლოს საპარიკმახერო მომსახურებით, უზრუნველყოფილნი არიან ჰიგიენური საშუალებებით, საწოლითა და ლოგინით.

შენიშვნა: მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი წარმოადგენს სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმასა და ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმაში აღებული ვალდებულებების ნაწილს.

3. საბაზისო მაჩვენებელი - სისტემაში შენარჩუნდა საჭიროებებს (ეთნიკური, რელიგიური, დაავადებები) მორგებული დღიური სამჯერადი კვება ბრძანებაში დადგენილი კალორიულობისა და ულუფის სასურსათო ნორმების დაცვით;
მიზნობრივი მაჩვენებელი - სისტემაში შენარჩუნებულია ბრალდებულ/ მსჯავრდებულთა ინდივიდუალურ საჭიროებებს (ეთნიკური, რელიგიური, განთავსების ადგილი, დაავადებები) მორგებული დღიური სამჯერადი კვება 10 000 ბრალდებულ/მსჯავრდებულისთვის, შესაბამისი ნორმატიული აქტით დადგენილი კალორიულობისა და ულუფის სასურსათო ნორმების დაცვით;
მიღწეული მაჩვენებელი - სისტემაში შენარჩუნებულია ბრალდებულ/მსჯავრდებულთა ინდივიდუალურ საჭიროებებს (ეთნიკური, რელიგიური, განთავსების ადგილი, დაავადებები) მორგებული დღიური სამჯერადი კვება ბრალდებულ/მსჯავრდებულთა 100%-სათვის შესაბამისი ნორმატიული აქტით დადგენილი კალორიულობისა და ულუფის სასურსათო ნორმების დაცვით (2017 წელს მსჯავრდებულ/ ბრალდებულთა საშუალო წლიური ოდენობა შეადგენდა 9 438-ს).

შენიშვნა: მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი წარმოადგენს სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმაში აღებული ვალდებულებების ნაწილს.

4. საბაზისო მაჩვენებელი - პენიტენციურ სისტემის 8 დაწესებულებაში (2015 წელი - 10 დაწესებულება 2016 წლის 6 თვე - 8 დაწესებულება) მიმდინარეობს პროფესიული/სახელობო, სატრენინგო/საგანმანათლებლო და ფსიქო-სოციალური პროგრამების, ფსიქო-სოციალური ტრენინგების დანერგვა, რომლებშიც 2015 წლის განმავლობაში დაფიქსირდა 2 974 მონაწილე (მათ შორის 519 არასრულწლოვანი), რაც სისტემაში მყოფ ბენეფიციართა 29%-ია, ხოლო 2016 წლის ორ კვარტალში კი პენიტენციურ დაწესებულებებში ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის მიზნით განახლდა რიგი პროფესიული, სახელობო და საგანმანათლებლო სასწავლო პროგრამები, სადაც დაფიქსირდა 237 მონაწილე, მათ შორის: 16 არასრულწლოვანი, 41 ქალი; ფსიქო-სოციალურ სარეაბილიტაციო პროგრამებში და ფსიქო-სოციალურ ტრენინგებში დაფიქსირდა 526 მონაწილე, მათ შორის 95 არასრულწლოვანი და 114 ქალი მსჯავრდებული, რაც სისტემაში მყოფ ბენეფიციართა 8%-ია;
მიზნობრივი მაჩვენებელი - პროფესიული/სახელობო და სატრენინგო/ საგანმანათლებლო სწავლების კურსებში ჩართულ პატიმართა მზარდი რაოდენობა, წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით, პატიმართა საერთო რაოდენობის ხვედრითი წილიდან გამომდინარე;

მიღწეული მაჩვენებელი - მზარდი მაჩვენებელი დაფიქსირდა საბაზისო მაჩვენებლებთან შედარებით. 3 542 მსჯავრდებული მონაწილეობდა პროფესიული/სახელობო, სატრენინგო/საგანმანათლებლო, ასევე ფსიქო-სოციალური პროგრამებში, ტრენინგებსა თუ კურსებში. უმაღლესი განათლების ხელშეწყობის პროგრამით ისარგებლა 29 მსჯავრდებულმა.

შენიშვნა: მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი წარმოადგენს სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმაში, ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებასა და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2017 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმასა და ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმაში აღებული ვალდებულებების ნაწილს.

5. საბაზისო მაჩვენებელი - საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2014 წლის 22 დეკემბრის N157 ბრძანებით განისაზღვრა მსჯავრდებულის მიერ სამეურნეო სამუშაოების შესრულების და მისთვის ანაზღაურების მიცემის წესი. ამ ბრძანების საფუძველზე დაწესებულებებში და სისტემაში არსებულ მინი დასაქმების კერებში 2015 წელს დასაქმებული იყო 839 მსჯავრდებული, რაც სისტემაში მყოფ ბენეფიციართა 8%-ია, ხოლო 2016 წლის ორ კვარტალში კი - 614 მსჯავრდებული, სისტემაში მყოფ ბენეფიციართა 6%-ია;

მიზნობრივი მაჩვენებელი - დასაქმებულ პირთა მზარდი რაოდენობა წინა წელს დასაქმებულ პირთა ოდენობასთან მიმართებაში;

მიღწეული მაჩვენებელი - დასაქმების პროგრამებში ჩაბმული იყო 850 მსჯავრდებული (მზარდი მაჩვენებელია საბაზისო მაჩვენებლებთან შედარებით).

შენიშვნა: მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი წარმოადგენს სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმასა და ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმაში აღებული ვალდებულებების ნაწილს.

6. საბაზისო მაჩვენებელი - პენიტენციური დაწესებულებები უზრუნველყოფილნი არიან სხვადასხვა ენაზე დაბეჭდილი საინფორმაციო სახის ბროშურებით, აუდიო წიგნებით პატიმართა უფლებების შესახებ და საჩივრის კონვერტებით

მიზნობრივი მაჩვენებელი - უზრუნველყოფილია ინფორმატიულობის ზრდით ბრალდებულ/მსჯავრდებულთა ცნობიერების ამაღლება მათი უფლებების (საჩივრების, დისციპლინარული და ადმინისტრაციული პროცედურების და სხვა) შესახებ;

მიღწეული მაჩვენებელი - ბრალდებულ/მსჯავრდებულებისათვის ხელმისაწვდომია უზრუნველყოფილნი ბროშურები მათი უფლებებისა და გასაჩივრების პროცედურების შესახებ, როგორც ქართულ, ასევე 5 ყველაზე მოთხოვნად უცხო ენაზე;

2017 წელს N2, N5, N8, N14, N15, N16, N17 დაწესებულებებში ბრალდებულ/მსჯავრდებულთა უფლებების შესახებ ტრენინგი გაიარა 364-მა მსჯავრდებულმა, მათ შორის არასრულწლოვანმა ბრალდებულ/მსჯავრდებულებმა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის, ხოლო ქალმა მსჯავრდებულებმა - ბანგკოკის წესების მიხედვით.

შენიშვნა: მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი წარმოადგენს სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სამოქმედო გეგმასა და ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმაში აღებული ვალდებულებების ნაწილს.

2.3.2. ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ეკვივალენტური სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 27 01 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

დაგეგმილი შუალედური შედეგი:

- მსჯავრდებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება და შენარჩუნება.

მიღწეული შუალედური შედეგი:

- მსჯავრდებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუმჯობესებული და შენარჩუნებულია.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1. საბაზისო მაჩვენებელი - 2016 წლის ორი კვარტლის მონაცემებზე დაყრდნობით: პენიტენციურ სისტემაში, შესაბამისი რეკომენდაციის არსებობისას, პაციენტები უზრუნველყოფილნი არიან მულტიდისციპლინური გუნდის კონსულტაციით. 2016 წელს განხორციელდა 33 კონსულტაცია/კონსილიუმი, არ დამდგარა კონსულტაცია/კონსილიუმის მოწვევის საჭიროება ქალებზე და არასრულწლოვანზე; ანტიტუბერკულოზურ მკურნალობის საჭიროების მქონე პირთა გამოვლენის მიზნით ჩატარდა 30132 სკრინინგული გამოკვლევა, მათ შორის 1714 ქალ ბრალდებულ/მსჯავრდებულზე და 108 არასრულწლოვანზე. “DOTS”, “DOTS+” მკურნალობის პროგრამაში ახალჩართულთა რაოდენობამ შეადგინა - 58, მათ შორის ქალი - 2, არასრულწლოვანთა ჩართვის შემთხვევა არ დაფიქსირებულა; აივ-ინფექცია/შიდსის ანტირეტროვირუსული მკურნალობის პროგრამაში ჩაერთო 11 ახალი პაციენტი, მათ შორის არცერთი ქალი და არასრულწლოვანი. აივ-ინფექცია/შიდსის გამოვლენის მიზნით ჩატარდა 3512 სკრინინგი (მათ შორის ქალი - 169, არასრულწლოვანი - 15). დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე ხელმისაწვდომობა უნივერსალურია; C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის ფარგლებში ჩატარდა 2 198 სკინინგი. მკურნალობაში ჩაერთო 39 პატიმარი, მათ შორის, არცერთი ქალი და არასრულწლოვანი; სხვადასხვა პროფილის მოწველული ექიმ-სპეციალისტების მიერ, პატიმრებს გაეწიათ 20 681 კონსულტაცია. სპეციალიზირებული სამედიცინო მომსახურებით 1 620 ბრალდებულ/მსჯავრდებულმა ისარგებლა სამოქალაქო სექტორის კლინიკებში, ხოლო ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებასა და ტუბერკულოზის სამკურნალო და სარეაბილიტაციო ცენტრში სამედიცინო მომსახურებით ისარგებლა 1 174-მა ბრალდებულ/მსჯავრდებულმა; პენიტენციურ დაწესებულებათა სამედიცინო სამსახურები უზრუნველყოფილია მედიკამენტებით, სამედიცინო დანიშნულების საგნებით, ლაბორატორიული საგნებითა და რეაქტივებით;

მიზნობრივი მაჩვენებელი - შენარჩუნებულია ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა უზრუნველყოფა პირველადი სამედიცინო მომსახურების გაწევითა და სამკურნალწამლო საშუალებებით, მათთვის სპეციალიზირებული სამედიცინო მომსახურების მიწოდება პენიტენციური სისტემასა და მის გარეთ;

მიღწეული მაჩვენებელი - ბრალდებულ/მსჯავრდებულები უზრუნველყოფილნი არიან სრულად, 100%-ით პირველადი სამედიცინო მომსახურების გაწევითა და სამკურნალწამლო საშუალებებით, სპეციალიზირებული სამედიცინო მომსახურების მიწოდებით პენიტენციურ სისტემასა და მის გარეთ.

2.3.3. პენიტენციური სისტემის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება (პროგრამული კოდი 27 01 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

დაგეგმილი შუალედური შედეგი:

- პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული ინფრასტრუქტურის განახლებით საცხოვრებელი და ყოფითი პირობების გაუმჯობესება ბრალდებულ/მსჯავრდებულთათვის.

მიღწეული შუალედური შედეგი:

- არსებული ინფრასტრუქტურის განახლებითა და საჭირო მანქანა-დანადგარების შეძენით პენიტენციურ დაწესებულებებში გაუმჯობესებულია ბრალდებულ/მსჯავრდებულთა საცხოვრებელი და ყოფითი პირობები.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1.საბაზისო მაჩვენებელი - პენიტენციური სისტემა საჭიროებს ახალ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის დაწესებულებების შემნას. დღეისათვის მიმდინარეობს დაბა ლაითურის მაღალი რისკის დაწესებულების მშენებლობა. 2016 წელს დაწესებულების მშენებლობა შეფერხდა 2015 წლის მანძილზე ჩატარებული მშენებლობის ხარისხის დასადგენად ექსპერტიზის ჩატარების გამო, რის შედეგადაც წინა წლის კონტრაქტორი კომპანია დაჯარიმდა; 2016 წლის ბოლომდე შესრულდება პროექტის ღირებულების 3%-ის სამშენებლო სამუშაოები; დასრულებულია არასრულწლოვან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სპეციალიზირებული და ახალგაზრდა (18-21 წელი) ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა შერეული რისკის პენიტენციური დაწესებულების მშენებლობის საპროექტო-საინჟინრო სამუშაოები;
მიზნობრივი მაჩვენებელი - დასრულებული დაბა ლაითურის მაღალი რისკის დაწესებულების სამშენებლო სამუშაოების 90%. მიმდინარეობს არასრულწლოვან ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სპეციალიზირებული და ახალგაზრდა (18-21 წელი) ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა შერეული რისკის პენიტენციური დაწესებულების მშენებლობა;
მიღწეული მაჩვენებელი - მიმდინარეობდა 2012 წლის ზაფხულში დაწყებული ახალი დაწესებულების მშენებლობა დაბა ლაითურში, მაგრამ რიგი მიზეზების გამო მიზნობრივი მაჩვენებელი ვერ იქნა მიღწეული.

ცდომილების მაჩვენებელი (% აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებაზე:

- დაბა ლაითურში მშენებარე დაწესებულების შეფასება და შემდეგი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოდგენა დაევალა სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს, დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ კი საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაევალა წინადადების წარმოდგენა განსახორციელებელ სამუშაოსთან დაკავშირებით. 14-დან 21 წლამდე ბრალდებულ/მსჯავრდებულთა საჭიროებებსა და ეფექტურ რესოციალიზაცია - რეაბილიტაციაზე ორიენტირებული ახალი პენიტენციური დაწესებულების კონცეფციის განახლებისა და სათანადო პროექტის შემუშავების მიზნით, დამტკიცდა სამუშაო ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტდა სამინისტროს, ევროკავშირისა და UNICEF-ის წარმომადგენლებით. ამ მიმართულებით ხსენებული ჯგუფის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდა UNICEF-ის მიერ სპეციალურად მოწვეული ექსპერტი, რომელმაც არსებული სიტუაციის შესწავლისა და ანალიზის შემდეგ, შეიმუშავა რეკომენდაციების სამუშაო ვერსია. საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა რეკომენდაციების განხილვა/ანალიზი და შემდგომ დასრულდება არსებული კონცეფციის განახლების პროცესი.

2.4 საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური (პროგრამული კოდი 31 00)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების სადაზვერვო და სხვა კაკონსაწინააღმდეგო საქმიანობის დროულად გამოვლენა და თავიდან აცილება;
- სახელმწიფოსთვის მოსალოდნელი საფრთხეების პროგნოზირება და პრევენცია.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- გამოვლენილია მოსალოდნელი საფრთხეები და მიღებულია შესაბამისი ზომები.

2.5 სამოქალაქო უსაფრთხოების დონის ამაღლება (პროგრამული კოდი 30 06)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- ქვეყანაში გაუმჯობესებული სამოქალაქო უსაფრთხოების დონე;
- სააგენტოს პირადი შემადგენლობის და რეაგირების ძალების, ასევე მოსახლეობის საგანგებო სიტუაციებზე და ინციდენტებზე მზადყოფნის და რეაგირების ეფექტურობის გაზრდილი მაჩვენებელი;

- ქვეყანაში მართვის ყველა დონეზე, თანამედროვე სტანდარტების საგანგებო და რისკის მართვის შემუშავებული გეგმები, აგრეთვე მათი სრულყოფისა და განვითარების მიზნით დანერგილი სიმულაციური ვარჯიშები და ზედამხედველობის ეფექტური მექანიზმები;
- ობიექტების უზრუნველყოფა სახანძრო უსაფრთხოების სისტემით, რომელიც მიმართული იქნება ხანძარ საშიში ფაქტორების, მათ შორის, მათი როგორც მეორადი გამოვლინების თავიდან ასაცილებლად.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- ქვეყანაში სამოქალაქო უსაფრთხოების დონის ამაღლების მიზნით, დაიხვეწა და განვითარდა საგანგებო სიტუაციების მართვის ერთიანი სისტემა;
- საგანგებო სიტუაციების პრევენციის, მზადყოფნისა და რეაგირების უზრუნველყოფის მიზნით, განხორციელდა სააგენტოს ტერიტორიული ერთეულების თანამშრომელთა კონსულტაციები საგანგებო მართვის გეგმების დანერგვის უზრუნველყოფის საკითხებზე, ასევე შიდაუწყებრივი და საუწყებათაშორისო საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ძალებისათვის და მოსახლეობისათვის ჩატარდა 6 ორგანიზებული სწავლება და ტერნინგი;
- შემუშავებულია საქართველოს მთავრობის დადაგენილების პროექტი „საგანგებო სიტუაციების მართვის ერთიანი სისტემის შესახებ“;
- 7%-ით გაუმჯობესდა სახანძრო სამაშველო ინფრასტრუქტურა;
- 42% განახლდა მეხანძრე-მაშველთა მატერიალურ ტექნიკური ბაზა.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - ქვეყანაში სამოქალაქო უსაფრთხოების დონის ამაღლებისთვის აუცილებელია, საგანგებო სიტუაციების მართვის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - მოსახლეობისა და რეაგირების ძალების, ასევე სააგენტოს პირადი შემადგენლობის საგანგებო სიტუაციებზე და ინციდენტებზე მზადყოფნა და რეაგირების ეფექტურობა

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - შემუშავებულია საქართველოს მთავრობის დადაგენილების პროექტი „საგანგებო სიტუაციების მართვის ერთიანი სისტემის შესახებ“.

2. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - სამოქალაქო უსაფრთხოების ამოცანების გადასაწყვეტად სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის განხორციელების კოორდინირება

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - საგანგებო სიტუაციების პრევენციის, მზადყოფნისა და რეაგირების უზრუნველყოფის მიზნით, როგორც შიდაუწყებრივი, ასევე საუწყებათაშორისო საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ძალებისათვის და მოსახლეობისათვის ორგანიზებული სწავლებებისა და ტერნინგების რაოდენობა

- ✓ დაიწყო და მიმდინარეობდა საგანგებო სიტუაციების მართვის სფეროში სააგენტოს ტერიტორიული ერთეულების თანამშრომელთა კონსულტაციები საგანგებო მართვის გეგმების დანერგვის უზრუნველყოფის საკითხებზე;
- ✓ საერთაშორისო ორგანიზაციის „გადავარჩინოთ ბავშვების“ მხარდაჭერით ევროკომისიის ჰუმანიტარული დახმარების ოპერაციების გენერალური დირექტორატის საზოგადოების და ინსტიტუციების მდგრადობის გაუმჯობესება სამხრეთ კავკასიაში (DIPECHO-4)“ - პროექტის მეოთხე ეტაპის ფარგლებში, განხორციელდა აღმასრულებელი ორგანოების საგანგებო სიტუაციების მართვის სფეროში უფლებამოსილი პირების საგანგებო სიტუაციების მართვისა და რისკის შემცირების თემატიკაზე მომზადება;
- ✓ ჩატარდა ფართომასშტაბიანი საგანგებო სიტუაციების მართვის სამხედრო-სამოქალაქო სამაგიდო სწავლება ,,კოლხიდა 2017”. (აშშ-ს შეიარაღებული ძალების საინჟინრო კორპუსის; აშშ-ს საელჩო საქართველოში; აშშ-ს სამხედრო სარდლობა ევროპაში და საქართველოს თავადცვის სამინისტროს მონაწილეობით);
- ✓ შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს, განსაკუთრებულ საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების სამმართველოში ჩატარდა სამაგიდო სწავლების ელექტრონული სიმულაციური ვარჯიში;
- ✓ შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს თანამშრომლებმა თბილისის N23-ე ბაგა-ბაღში სიმულაციური სწავლება ჩაატარეს. სააგენტოს თანამშრომლებმა აღსაზრდელებსა და მასწავლებლებს სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ თეორიული და პრაქტიკული ცოდნა გაუზიარეს. სწავლება არასამთავრობო ორგანიზაცია ASB-ის მიერ, პროექტის – „ჩვენ მზად ვართ! განათლება უსაფრთხოებისთვის, კატასტროფების რისკის შემცირება ინკლუზიური მიდგომით“ ფარგლებში დაიგეგმა;
- ✓ შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს თანამშრომლებმა ბათუმის N2 საჯარო სკოლაში სიმულაციური სწავლება ჩაატარეს. სააგენტოს თანამშრომლებმა მოსწავლეებსა და მასწავლებლებს სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ თეორიული და პრაქტიკული ცოდნა გაუზიარეს.
- ✓ სსიპ - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს თანამშრომლების მონაწილეობით, არასამთავრობო ორგანიზაცია ASB-ის მიერ, ჩატარდა შშმ ბავშვთა დღის ცენტრ „აისი“-ში სიმულაციური სწავლება.

3. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - საქართველოს კანონით „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ გათვალისწინებული კანონქვემდებარე აქტების შემუშავება და მიღება

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - სახანძრო უსაფრთხოების სფეროში განხორციელებული სახელმწიფო პოლიტიკა და შემუშავებული სახელმწიფო ზომები - რეალიზება, ხანძრის პროფილაქტიკისა და დასახლებების, ორგანიზაცია-დაწესებულებების ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემის ამაღლებული ეფექტურობა

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - შემუშავდა და გამოიცა საქართველოს მთავრობის 7 დადგენილება, კერძოდ:

- „სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის N370 დადგენილება;
- „საქართველოში სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის განხორციელების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის N371 დადგენილება;

- „სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის N508 დადგენილება;
- „სახანძრო დაცვის დანაყოფების შენობა-ნაგებობების დაპროექტების ნორმების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის N119 დადგენილება;
- „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის– საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს მიერ სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში სამუშაოების შესრულების და მომსახურების გაწევის სახეებისა და საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 24 მარტის N138 დადგენილება;
- „საგანგებო მართვის გეგმის მომზადების წესების შემუშავების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ოქტომბრის N452 დადგენილება;
- „საგანგებო სიტუაციის რისკის მართვის გეგმის მომზადების წესების შემუშავების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 ოქტომბრის N453 დადგენილება;
- შემუშავდა და გამოიცა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 6 ბრძანება, კერძოდ:
- „ხანძრის და მისი შედეგების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 1 სექტემბრის N636 ბრძანება;
- „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 29 დეკემბრის N1061 ბრძანება.

4. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - არსებული შენობების რეაბილიტაცია და საჭიროების შემთხვევაში ახლის აშენება

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - განახლებული და აშენებული შენობების რაოდენობა

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - განხორციელებული ქ. ოზურგეთის სახანძრო-სამაშველო ობიექტის სარეაბილიტაციო სამუშაოები; აშენებული ქ. რუსთავის სახანძრო-სამაშველო ობიექტი; ქ. ბათუმის სახანძრო-სამაშველო ობიექტის სარეაბილიტაციო სამუშაოები. მიმდინარე სარემონტო სამუშაოები ჩაუტრადა: ქ. ზუგდიდის სახანძრო-სამაშველო 1 ობიექტს, ქ. ქუთაისის სახანძრო-სამაშველო 1 ობიექტს, თბილისის სახანძრო-სამაშველო 4 ობიექტს, ცენტრალური ადმინისტრაციის კორპუსს.

5. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - საგანგებო სიტუაციების მათვის დეპარტამენტის სპეციფიკიდან გამომდინარე საჭიროა მოძველებული ავტოპარკის განახლება
დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - განახლებული სპეცტექნიკის რაოდენობა

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - ვერ განხორციელდა სახანძრო-სამაშველო სპეციალური ავტოტრანსპორტის განახლება/მოდერნიზაცია.

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

- ცდომილება 100%. გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში ვერ განხორციელდა ავტოპარკის განახლება.

6. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - სახანძრო-სამაშველო აღჭურვილობისა და ტექნიკური ბაზის სრულყოფა და შემდგომი განვითარება
დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - თანამედროვე სახანძრო-სამაშველო აღჭურვილობა და ტექნიკური ბაზა

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - სახანძრო-სამაშველო აღჭურვილობისა და ტექნიკური ბაზის სრულყოფის მიზნით შეძენილი იქნა: მყვინთავის აღჭურვილობის 4 კომპლექტი, სხვადასხვა ზომის სახანძრო სახელო - 575, სხვადასხვა ზომის სახანძრო გადამყვანი - 50, სამკაპი - 15, გამაფრქვეველი ლულა - 60, ჰიდრანტის სვეტი - 15, დიელექტრიკული საჭრელი -10, შემწოვი ბადე - 42, ლაფეტის გადასატანი - 10, შემწოვი სახელოს გადასაჭერი ქანჩი - 14, მაიზოლირებელი შეკუმშული ჰაერის აპარატი - 100, რეგენერაციული მაიზოლირებელი სასუნთქი (რესპირატორი) – 12, სამმუხლა კიბე - 56, წყლის საქაჩი ტუმბო - 10, ჰიდრავლიკური საჭრელები- 2, სხვადასხვა ტიპის ხერხი - 220, პრეფორატორი - 5.

2.6 საერთაშორისო ოპერაციები (პროგრამული კოდი 29 06)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

- შეიარაღებული ძალების ნატოსთან თავსებადობის ამაღლება, საერთაშორისო უსაფრთხოებისა და სტაბილურობის მხარდაჭერა, ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა;
-
- შეიარაღებული ძალების სამხედრო და სამოქალაქო კომპონენტებით ნატოსა და ევროკავშირის მისიებში მონაწილეობა.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- საქართველოს შეიარაღებული როგორც ქვედანაყოფებით, ასევე ოფიცრების შემადგენლობით მონაწილეობდა ნატოსა და ევროკავშირის მისიებში, რის მეშვეობითაც 2017 წელს მისიებში მონაწილე ქვედანაყოფებმა აიმაღლეს ნატოსთან თავსებადობა;
- ქვედანაყოფებმა და შტაბის ოფიცრებმა მონაწილეობით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საერთაშორისო უსაფრთხოებისა და სტაბილურობის მხარდაჭერაში, რამაც ქვეყანას ხელი შეუწყო ევროპულ და ევროატლანტიკურ ინტეგრაციას.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - საქართველოს შეიარაღებული ძალები წარმატებით მონაწილეობენ ნატოს სამშვიდობო ოპერაციებში, ნატოს რეაგირების ძალებში და ევროკავშირის მისიებში;

მიზნობრივი მაჩვენებელი - საქართველოს შეიარაღებული ძალების განსაზღვრული პოლიტიკის შესაბამისად მონაწილეობა ნატოს სამშვიდობო ოპერაციებში, ნატოს რეაგირების ძალებში და ევროკავშირის მისიებში;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

- ამაღლდა შეიარაღებული ძალების ნატოსთან თავსებადობა, საერთაშორისო უსაფრთხოებისა და სტაბილურობის მხარდაჭერა, ასევე ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური სტრუქტურებთან ინტეგრაცია, შეიარაღებული ძალების სამხედრო და სამოქალაქო კომპონენტებით ნატოსა და ევროკავშირის მისიებში მონაწილეობით.

2.7 გამოძიებაზე ზედამხედველობის, სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის პროგრამა (პროგრამული კოდი 26 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ საქართველოს პროკურატურა

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

- გამოძიებაზე ეფექტური ზედამხედველობის უზრუნველყოფა და სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის შესაძლებლობის ზრდა;
- დანაშაულის (მათ შორის, არასრულწლოვანთა შორის) პრევენციაში აქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფა;
- საქართველოს პროკურატურა უზრუნველყოფილი იქნება კვალიფიციური, მაღალი პროფესიული სტანდარტების მქონე, კომპეტენტური კადრებით.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- მომზადებული რეკომენდაცია ოჯახში ძალადობასა და ოჯახური დანაშაულის საქმეებზე აუცილებელი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარების შესახებ, ასევე, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა და დაზარალებულთა მოპყრობის თაობაზე;
- გაზრდილი კოორდინაცია ყველა იმ უწყებას შორის, რომლებსაც სხვადასხვა ეტაპზე შეხება აქვთ არასრულწლოვნებთან;
- განხორციელებული სასწავლო აქტივობების შედეგად უზრუნველყოფილი იქნა სისტემაში დასაქმებული კადრების პროფესიული განვითარება და კვალიფიკაციის ამაღლება.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - პროკურორების საქმიანობაზე ზედამხედველობისა და კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე გაიდლაინების შემუშავება (საორიენტაციოდ, 2016 წელს 6 რეკომენდაცია);
   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - ყოველწლიურად პროკურორების საქმიანობაზე დაკვირვება და რეკომენდაციების შემუშავება (საორიენტაციოდ, 2017 წლისთვის 3 რეკომენდაციის შემუშავება, ხოლო 2018-დან 2020 წლამდე – კიდევ 12 რეკომენდაციის გამოცემა);
   მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - მომზადდა 6 ანალიზი/ანგარიში (2 განრიდებაზე, 2 კოორდინატორების საქმიანობაზე, 2 განაჩენებზე), 2 კვლევა (დანაშაულის ჩამდენ არასრულწლოვანთა კრიმინოლოგიური კვლევა და ოჯახური ძალადობის კვლევა), 1 სახელმძღვანელო (გამოძიების მეთოდოლოგიის სახელმძღვანელო), 6 რეკომენდაცია.

2. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - საზოგადოებრივი პროკურატურის ფარგლებში პრევენციული ღონისძიებების ჩატარება (2016 წელს საორიენტაციოდ 100 ღონისძიება);
   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - საზოგადოებრივი პროკურატურის ფარგლებში ყოველწლიურად პრევენციული ღონისძიების ჩატარება (საორიენტაციოდ, 2017 წლისთვის განხორციელდება 90 ღონისძიება, ხოლო 2018-დან 2020 წლებში – 240 ღონისძიება);

   მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - საანგარიშო პერიოდში დანაშაულის პრევენციის მიზნით „საზოგადოებრივი პროკურატურის“ პროექტის ფარგლებში ჩატარდა 556 ღონისძიება.

3. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - სისტემის თანამშრომლების პროფესიული მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფის მიზნით 2016 წელს, საორიენტაციოდ, 130 აქტივობა;
   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - სისტემის თანამშრომლების პროფესიული მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფის მიზნით 2017 წლისთვის, საორიენტაციოდ, 150 სასწავლო აქტივობის განხორციელება, ხოლო 2018-დან 2020 წლამდე – საორიენტაციოდ, 450 სასწავლო აქტივობის განხორციელება;
   მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - 2017 წელს პროკურატურის თანამშრომლების პროფესიული მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველსაყოფად განხორციელდა 162 სასწავლო აქტივობა.

2.8 ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 29 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;

- ინფრასტრუქტურული განვითარებისა და უზრუნველყოფის კუთხით სარემონტო/სამშენებლო სამუშაოები დასრულდა 75 ობიექტზე, ასევე სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობდა 115 ობიექტზე, ხოლო სამშენებლო სამუშაოები - 48 ობიექტზე.

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

- შეიარაღებული ძალების განვითარებული ინფრასტრუქტურა;
- აღდგენილი სამხედრო, საყოფაცხოვრებო, სასაწყობო, საწვრთნელი და სასწავლო ინფრასტრუქტურა;
- თანამედროვე სტანდარტებით აშენებული არასაცხოვრებელი და საცხოვრებელი შენობა-ნაგებობები;
- გაუმჯობესებული კვებითი ობიექტები, გამართული წყლის რეზერვუარები და რეაბილიტირებული საკანალიზაციო სისტემები. სათანადოდ მოწყობილი ინფრასტრუქტურული კომუნიკაციები და საინჟინრო ნაგებობები.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა წყალმომარაგების სისტემის მდგომარეობა, ასევე სამხედრო მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო, სასწავლო და საწვრთნელი პირობები;

ჩატარდა სარემონტო და სამშენებლო სამუშაოები.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - ინფრასტრუქტურის არსებული გეგმის შესაბამისად, მიმდინარეობს ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება;

მიზნობრივი მაჩვენებელი - 2017 წლის ინფრასტრუქტურის გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულება;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

- საქართველოს შეიარაღებულ ძალებში განხორციელდა წყლის რეზერვუარების სარეაბილიტაციო სამუშაოები, ჩატარდა საქვაბეების კაპიტალური რემონტი, რამდენიმე ობიექტზე სრულად გამოიცვალა წყალმომარაგების სისტემა, მშენებარე ბაზებზე განხორციელდა გარე და შიდა საინჟინრო ქსელების მშენებლობა (BCT, GDRP, საერთო საჯარისო ცენტრი და სხვა) დაიწყო ახალი ბაზის (GDRP) მშენებლობა;
- დაპროექტდა საერთო-საჯარისო ცენტრი, განხორციელდა საპროექტო სამუშაოები და რამდენიმე ახალი ობიექტის რეაბილიტაცია. მნიშვნელოვან წილად გაუმჯობესდა სამხედრო მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო პირობები, 247 სამხედრო მოსამსახურეს გადაეცა კონტრაქტით გათვალისწინებული ბინა.

2.9 სამხედრო მრეწველობის განვითარება (პროგრამული კოდი 29 07)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა";
- ✓ სსიპ - გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი;
- ✓ სსიპ - სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი;
- ✓ სსიპ - რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი;
- ✓ სსიპ - ინსტიტუტი ოპტიკა;
- ✓ სსიპ - ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი;
- ✓ სსიპ - მიკრო და ნანო ელექტრონიკის ინსტიტუტი;

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

- განვითარებული სამხედრო მრეწველობა, სამეცნიერო კვლევები.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- განხორციელდა საუტილიზაციო საბრძოლო მასალების გადმოზიდვა, საავიაციო ბომბების გაუვნებელყოფისა და დაშლის სამუშაოები. უბანზე განხორციელდა დაშლილი საავიაციო ბომბების საბრძოლო მასალების დაშლის შედეგად გამოცალკევებული მცირე სიმძლავრის ფეთქებადი მასალების განადგურება;
- სეტყვის საწინააღმდეგო სისტემის მზადყოფნის შედეგად მკვეთრად შემცირდა კახეთის რეგიონში სეტყვისგან მიყენებული ზარალი ოდენობა;

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - საექსპორტოდ დამზადებული იქნა 70 ერთეული სამედიცინო საევაკუაციო ჯავშანმანქანა, დამზადებული იქნა ჯავშანჟილეტები და ჩაფხუტები. ასევე სხვა და სხვა სახის ექსპერიმენტული სამხედრო პროდუქციის ნიმუშები;

მიზნობრივი მაჩვენებელი - ჩატარებული სამეცნიერო კვლევები სხვადასხვა მიმართულებით: სამხედრო მრეწველობაში, სამთო ინჟინერიაში, მიკრო და ნანოელექტრონულ ტექნოლოგიაში, მანქანათმშენებლობის სფეროში, მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის სფეროში, გამოყენებით ფიზიკაში, ფიზიკურ ქიმიასა და ელექტრონიკის სფეროში და გამოყენებითი ოპტიკის სფეროში. სამედიცინო საევაკუაციო ჯავშანმანქანების წარმოების და ექსპორტირების პროგრამის გაგრძელება, თანამედროვე და ინოვაციური სამხედრო ტექნოლოგიების პროექტირება-წარმოებაში დანერგვა, მსოფლიო ტენდენციებს მორგებული საბრძოლო ტექნიკის და შეიარაღების დაპროექტება, შექმნა და სერიული წარმოება-ექსპორტირება, სეტყვის საწინააღმდეგო სისტემის გაფართოება საქართველოს რეგიონებში;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

- თავდაცვის სამინისტროსა და სსიპ სსსტც „დელტას“ დავალებით შესრულდა 64 სამუშაო:
- 2008 წლის რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის დროს გაუნვნებელყოფილი აფეთქებული საბრძოლო მასალების სკრის საცავი და მიმდებარე ტერიტორია;
- შემუშავებულია ახალი ტიპის ჯავშანფილების მიღების ტექნოლოგია აფეთქების ენერგიის გამოყენებით. კვლევების შედეგად დამზადდა 9 სხვადასხვა კომპოზიციის ჯავშანფილის ნიმუში, რომლების გადაეცემა სსსტც „დელტას“ 7.62 კალიბრის ტყვიის ზემოქმედების მიმართ მდგრადობაზე გამოსაცდელად;
- შექმნილია და დაპროექტებელი დამცავი სისტემის ექსპერიმენტული მოდელი, რომელიც ქართული წარმოების ჯავშანმანქანების კონსტრუქციაში გაუმჯობესებს მათ საბრძოლო-ტაქტიკურ მახასიათებლებს და აამაღლებს მათ კონკურენტუნარიანობას მსოფლიო ბაზარზე.
- სეტყვის საწინააღმდეგო სისტემის მეშვეობით კახეთის რაიონში სეტყვასაშიში 56 პროცესიდან 53 განეიტრალდა სრულიად.

2.10 ეკონომიკური დანაშაულის პრევენცია (პროგრამული კოდი 23 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- საფინანსო და ფისკალურ სფეროში დანაშაულის დონის შემცირება და მინიმუმამდე დაყვანა;
- ქვეყანაში ჯანსაღი კონკურენტიანი გარემოს შექმნა;
- საგამოძიებო სამსახურის მართვის თანამედროვე პრინციპებზე გადაყვანა.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- შემცირდა საგამოძიებო მოქმედების ვადები და დაზოგილ იქნა გამოძიების პროცესში ადამიანური და ფინანსური რესურსები, ქვეყანაში ამაღლდა გამოძიების ხარისხი;
- საგამოძიებო სამსახური ნაწილობრივ გადავიდა მართვის თანამედროვე პრინციპებზე.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

საბაზისო მაჩვენებელი - გამოვლენილი სამართალდარღვევის რაოდენობა (2015 წლის მდგომარეობით) - 1140-მდე და ყველა საქმეზე დაწყებული წინასწარი გამოძიება;

მიზნობრივი მაჩვენებელი - მაქსიმალურად გამოვლენილი სამართალდარღვევათა რაოდენობა; გატარებული პრევენციული ღონისძიებების შედეგად სამართალდარღვევათა შემცირებული რაოდენობა.
მიღწეული მაჩვენებელი - გამოვლენილი 1 193 ერთეული ეკონომიკური და ფინანსური ხასიათის დანაშაული და ყველა საქმეზე დაწყებული წინასწარი გამოძიება; 2017 წელს 878 პირის მიმართ დაწყებული სისხლის სამართლებრივი დევნა; 599 პირის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება. 314 საქმეზე შეწყვეტილი წინასწარი გამოძიება.

2.11 ეროვნული საგანძურის, დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საპატრიარქოს დაცვის უსაფრთხოების დონის ამაღლება (პროგრამული კოდი 30 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- თანამედროვე და მაღალი ხარისხის დაცვითი სისტემებით აღჭურვილი დასაცავი ობიექტები;
- დასაცავი ობიექტების მომსახურება თანამედროვე ავტოსატრანსპორტო საშუალებებით;
- სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის პირადი შემადგენლობის უზრუნველყოფა თანამედროვე სტანდარტების სამუშაო პირობებით.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- დასაცავი ობიექტები აღჭურვილია თანამედროვე და მაღალი ხარისხის დაცვითი სისტემებით, განხორციელდა დაცვის ქვეშ არსებული ობიექტების პროგრამული უზრუნველყოფა (15 000 აბონენტზე);
- შეძენილი ფულადი სახსრებისა და სხვა ფასეულობათა გადაზიდვა-ინკასირებისათვის 11 ერთეული დაჯავშნილი და 1 ერთეული დაუჯავშნავი ავტომანქანა, ასევე ოპერატიული რეაგირების ჯგუფებისათვის - 5 ერთეული მაღალი გამავლობის მსუბუქი ავტომანქანა;
- დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული გარემონტებული შენობები და მოწყობილი სანიტარული კვანძები, აშენებული პოლიციის ახალი ადმინისტრაციული შენობა.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - საჭიროა ცენტრალური სამეთვალყურეო პულტის გამართული, ლიცენზირებული, უვადო პროგრამული უზრუნველყოფა (AES და SIS პროგრამული მომსახურება). საჭიროა ქ. თბილისის, ქ. ქუთასის და ქ. ბათუმის საერთაშორისო აეროპორტების თანამედროვე დაცვით-საგანგაშო და ვიდეოსამეთვალყურეო სისტემებით აღჭურვა

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - ბოლო ვერსიამდე განახლებული დაცვის სიგნალების მონიტორინგის, SIS პროგრამა, SMS შეტყობინებების დაგზავნის გაუმჯობესებული სერვისი, გაუმჯობესებული სერვერული და ქსელური ინფრასტრუქტურა და AES და SIS პროგრამული მომსახურება; ქ. ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის ტექ. გადაიარაღება, მათ შირის პერიმეტრის დაცვის სისტემების დანერგვა. დასავლეთ საქართველოს აღჭურვა ციფრული რ/სისტემებით

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - სრულად განახლებული დაცვის სიგნალის გადაცემისა და მიღების სისტემა, რეგიონალურ დანაყოფებში განახლებული სიგნალების მართვის პროგრამული უზრუნველყოფა, დაცვის ქვეშ მყოფი აბონენტებისთვის SMS შეტყობინებების გაუმჯობესებული, მყისიერი დაგზავნის სერვისი, გადაიარაღებული ქსელური ინფრასტრუქტურა (კომპიუტერული ტექნიკა, საჰაერო ქსელური მოწყობილობა, სერვერები)

2. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - მუდმივად საჭიროა ოპერატიული რეაგირების, დაცვა-გაცილებისა, ინკასაციის სისტემის გამართული მუშაობისთვის ავტომანქანების ჩანაცვლება-შეძენა

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - ავტოპარკის 25 %-იანი განახლება

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - შეძენილი ფულადი სახსრებისა და სხვა ფასეულობათა გადაზიდვა-ინკასირებისათვის 11 ერთეული დაჯავშნილი და 1 ერთეული დაუჯავშნავი ავტომანქანა, ასევე ოპერატიული რეაგირების ჯგუფებისათვის - 5 ერთეული მაღალი გამავლობის მსუბუქი ავტომანქანა;

3. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ბალანსზე არსებული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია- მოწყობა

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - გარემონტებული ადმინისტრაციის მე-2 სართული, კეთილმოწყობილი ეზო, ინკასაცია, დაცვა-გაცილების სამმართველოებისთვის აშენებული და გერემონტებული შენობები, საელჩოებისა და საკონსულოების ობიექტებისთვის შეძენილი და გარემონტებული ჯიხურების რაოდენობა

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - გარემონტებული დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობის მე-3 სართულის ნაწილის სამუშაო ოთახები და სანიტარული კვანძები, დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული ქობულეთის შენობა; აშენებული მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის მცხეთის რ-ნ, სოფ. ლისში პოლიციის განყოფილების ახალი ადმინისტრაციული შენობა; დასაცავი ობიექტებისათვის გარემონტებელი 134 ერთეული დაცვის ჯიხური.

2.12 მართვის, კონტროლის, კავშირგაბმულობისა და კომპიუტერული სისტემები (პროგრამული კოდი 29 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - კიბერუსაფრთხოების ბიურო;
- ✓ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

- თავდაცვითი ოპერაციების ერთიანობისა და უწყვეტობის შენარჩუნება.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- დაინერგა ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები; გაუმჯობესებულია თავდაცვის სფეროს კრიტიკული ინფრასტუქტურის უსაფრთხოება;
- აღდგენილი და შენარჩუნებულია შეიარაღებაში არსებული კავშირგაბმულობის საშუალებების მუშაუნარიანობა/ ქმედითუნარიანობა;
- უზრუნველყოფილია უსაფრთხო რადიოკავშირის და ნავიგაციის საერთო ოპერატიული სურათის მიღება;
- გაზრდილია მობილურობა და ინფორმაციის დაცულობა;
- გაღრმავდა თანამშრომლობა პარტნიორ ქვეყნებთან, რაც დადებითად აისახა კიბერშესაძლებლობების განვითარებაზე;
- დაინერგა ERP-ის სისტემის ადამიანური რესურსების მართვის მოდული.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - კრიტიკული კავშირგაბმულობის და ინფორმაციული უსაფრთხოების არსებული სისტემები ფუნქციონირებს გამართულად;
მიზნობრივი მაჩვენებელი - ტექნიკური და ორგანიზაციული ღონისძიებების გატარება, ლიცენზიების უზრუნველყოფა არსებული კავშირგაბმულობისა და ინფორმაციული სისტემების უსაფრთხო და გამართული ფუნქციონირების შენარჩუნების მიზნით;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

- კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფის დამატებითი მექანიზმების შექმნის მიზნით, განხორციელდა მაღალი კლასის მონაცემთა შესანახი სისტემის და სასერვერო ნაწილების შესყიდვა;
- თავდაცვის სფეროს კრიტიკული ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით, ჩატარდა თავდაცვის სამინისტროს კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტების ინფორმაციული უსაფრთხოების აუდიტი;

- ინციდენტების პრევენციისა და რეაგირების მიზნით დანერგილი უსაფრთხოების მექანიზმები.

2.13. სრულყოფილი პრობაციის სისტემა (პროგრამული კოდი 27 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო

დაგეგმილი საბოლოო შედეგი:

- განვითარდება პრობაციის ეროვნული სააგენტოს ადმინისტრაციული შესაძლებლობები (ახალი ოფისების მშენებლობა და საჭირო ინვენტარით აღჭურვა, ვიდეოპაემნის სერვისი იფუნქციონირებს სრულფასოვნად, თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულება იფუნქციონირებს გამართულად, სარეაბილიტაციო სამმართველო იფუნქციონირებს ეფექტურად);
- პრობაციონერები ჩართულნი იქნებიან სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო პროგრამებში, რაც ხელს შეუწყობს დანაშაულის პრევენციასა და მათ რესოციალიზაციას;
- არასრულწლოვანთა მიმართ ახალი კანონის მიღების შემდგომ ელექტრონული მონიტორინგის საშუალებების დანერგვა ხელს შეუწყობს შინა პატიმრობის ეფექტურად აღსრულებას.

მიღწეული საბოლოო შედეგი:

- განვითარდა პრობაციის ეროვნული სააგენტოს ადმინისტრაციული შესაძლებლობები (გურიაში აშენდა ახალი ოფისი და აღიჭურვა საჭირო ინვენტარით, ვიდეოპაემნის სერვისი ფუნქციონირებს სრულფასოვნად, სარეაბილიტაციო სამმართველო ფუნქციონირებს ეფექტურად);
- პრობაციონერები ჩართულები არიან სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო პროგრამებში, რაც ხელს უწყობს დანაშაულის პრევენციასა და მათ რესოციალიზაციას; განხორციელდა ახალი სარეაბილიტაციო პროგრამების დამატება შემდეგი თემატიკით:
  - ✓ ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის ფსიქოლოგიური ასპექტები;
  - ✓ მოზარდის ფსიქო-სოციალური განვითარება და ქცევითი თავისებურებები;
  - ✓ მოზარდის სოციალურ გარემოსთან მუშაობის ასპექტები;
  - ✓ სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა;
  - ✓ ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებით გამოწვეული დამოკიდებულების სინდრომი და მისი მართვა;
- შინაპატიმრობა არასრულწლოვნების მიმართ ეფექტურად ხორციელდება, ელექტრონული მონიტორინგის მეშვეობით. 2017 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, სრულწლოვანი მსჯავრდებულების მიმართ ამოქმედდება ახალი არასაპატიმრო სასჯელის სახე - შინაპატიმრობა.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1.საბაზისო მაჩვენებელი - 2016 წელს გაიხსნა თანამედროვე სტანდარტების ქვემო ქართლის პრობაციის ბიუროს ახალი ოფისი, სადაც ფუნქციონირებს პრობაციონერთა სარეგისტრაციო სივრცე, ინდივიდუალური გასაუბრების და ჯგუფური თერაპიის ოთახები, ახალი ოფისიდან ვიდეოპაემნის საშუალებით, მოქალაქეებს შესაძლებლობა ექნებათ დაამყარონ პირდაპირი ვიზუალური და ხმოვანი კავშირი პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულ მსჯავრდებულებთან. პრობაციის ერთ ოფიცერზე საშუალოდ მოდიოდა 121 საქმემდე, სამინისტროს მიერ შემუშავებულია საკანონმდებლო პაკეტი: გაუქმდეს სასჯელის სახე - თავისუფლების შეზღუდვა და სრულწლოვან მსჯავრდებულებთან მიმართებითაც, დაინერგოს სასჯელის ახალი სახე - შინაპატიმრობა;

მიზნობრივი მაჩვენებელი - განვითარებულია პრობაციის ეროვნული სააგენტოს ადმინისტრაციული შესაძლებლობები (ახალი ოფისების მშენებლობა და საჭირო ინვენტარით აღჭურვა, ვიდეოპაემნის სერვისი იფუნქციონირებს სრულფასოვნად, სარეაბილიტაციო სამმართველო იფუნქციონირებს ეფექტურად) პრობაციის თითო ოფიცერზე დატვირთვა იქნება არაუმეტეს 150 საქმემდე, ცვლილებები შესულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, გაუქმდებს სასჯელის სახე - თავისუფლების შეზღუდვა და სრულწლოვან მსჯავრდებულებთან მიმართებითაც, დაინერგოს სასჯელის ახალი სახე - შინაპატიმრობა;

მიღწეული მაჩვენებელი - თანამედროვე სტანდარტებისა შესაბამისად მოწყობილი პრობაციის ბიუროს გურიის ახალი ოფისი, გარემონტებული სენაკისა და ქუთაისის ოფისები; ვიდეოპაემნის განხორციელება შესაძლებელია პრობაციის ბიუროს 10 ოფისში; პრობაციის ერთ ოფიცერზე საშუალოდ დატვირთვა წარმოადგენს 135 საქმეს; გაუქმდა სასჯელის სახე - თავისუფლების შეზღუდვა.

2. საბაზისო მაჩვენებელი - 2016 წლის ორ კვარტალში სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართული იყო 2814 პირობით მსჯავრდებული, რაც პრობაციონერთა საერთო რაოდენობის (20753) 13.5%–ია. მათ შორის, პირობითი მსჯავრის მქონე 1163 ქალიდან სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართული იყო 95, ანუ 8,1 %;

მიზნობრივი მაჩვენებელი - სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართულია პირობთ მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის 10%;

მიღწეული მაჩვენებელი - 2017 წელს სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართული იყო 3 566 პირობით მსჯავრდებული, რაც პრობაციონერთა საერთო რაოდენობის (22 857) 15.6%–ია. მათ შორის, პირობითი მსჯავრის მქონე 1 280 ქალიდან სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართული იყო 210 ანუ 16.4%.

3. საბაზისო მაჩვენებელი - 2016 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა არასაპატიმრო სასჯელის ახალი სახე – შინაპატიმრობა, რომელსაც საქართველოს პრობაციის ეროვნული სააგენტო ელექტრონული მონიტორინგის საშუალებების გამოყენებით აღასრულებს. შინაპატიმრობა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის საფუძველზე, ინიშნება 6 თვიდან 1 წლამდე ვადით, ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ. არასაპატიმრო სასჯელის ამ სახეს, 2016 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით, იხდის 1 არასრულწლოვანი, 4-მა არასრულწლოვანმა დაასრულა მისი მოხდა;

მიზნობრივი მაჩვენებელი - არასრულწლოვანთა მიმართ ახალი კანონის მიღების შემდგომ დანერგილია ელექტრონული მონიტორინგის საშუალებებით შინა პატიმრობის ეფექტურად აღსრულება;

მიღწეული მაჩვენებელი - შენარჩუნებულია არასრულწლოვანთა მიმართ დანერგილი ელექტრონული მონიტორინგის საშუალებებით შინა პატიმრობის ეფექტურად აღსრულება. სააგენტოში აღსასრულებლად შესული შინაპატიმრობის 35 საქმიდან დასრულებულია 26 საქმე.

2.14 საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში საქართველოს აეროპორტებში ,,გათავისუფლებული ფრენების“ მომსახურების ხარჯების ანაზღაურება (მათ შორის, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვა) (პროგრამული კოდი 24 09)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- ფრენის უსაფრთხოებისა და საავიაციო უშიშროების ხარისხის ამაღლება

მიღწეული საბოლოო შედეგები

- საერთაშორისო ანტიტერორისტული საქმინობის ხელშეწყობის ფარგლებში, შესრულებული იქნა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების წევრ სახელმწიფოებსა და „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამაში მონაწილე სხვა სახელმწიფოებს შორის შეთანხმებით გათვალისწინებული პირობები.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. საბაზისო მაჩვენებელი - საქართველო ინტეგრირებულია ევროპის ერთიან საჰაერო სივრცეში; შესრულებულია ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების წევრ სახელმწიფოებსა და „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამაში მონაწილე სხვა სახელმწიფოებს შორის შეთანხმებით გათვალისწინებული პირობები;

მიზნობრივი მაჩვენებელი - ფრენების უსაფრთხოებისა და საავიაციო უშიშროების ხარისხის ამაღლება;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - სამხედრო ავიაცია უზრუნველყოფილ იქნა საჰაერო ნავიგაციით და პილოტაჟით.

2.16 დანაშაულის პრევენცია და ინოვაციური პროგრამები (პროგრამული კოდი 26 07)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - დანაშაულის პრევენციის ცენტრი

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

- ყოფილ პატიმართა და დანაშაულის ჩადენის რისკჯგუფში მყოფ პირთა რეაბილიტაცია და რესოციალიზაცია;
- დანაშაულის ადრეული პრევენციული აქტივობების საშუალებით არასრულწლოვნებში დანაშაულის ადრეული პრევენცია.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- განხორციელდა ყოფილ პატიმართა და დანაშაულის ჩადენის რისკჯგუფში მყოფ პირთა რეაბილიტაცია და რესოციალიზაცია მათი პროფესიული და პიროვნული განვითარების პროექტებში ჩართვით, ბიზნესის წამოწყების და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარების ხელშეწყობით;
- არასრულწლოვნებისთვის განხორციელდა სხვადასხვა პიროვნული განვითარების პროექტები და ტრენინგები დანაშაულის ადრეული პრევენციისთვის.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - 2016 წლის პირველ კვარტალში ცენტრის ხელშეწყობით დასაქმდა 39 ბენეფიციარი/ბენეფიციარის ოჯახის წევრი;
   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - 2017 წელი – დასაქმებული 140 ბენეფიციარი/ბენეფიციარის ოჯახის წევრი; 2018 წელი – დასაქმებული 150 ბენეფიციარი/ბენეფიციარის ოჯახის წევრი; 2019 წელი – დასაქმებული 160 ბენეფიციარი/ბენეფიციარის ოჯახის წევრი; 2020 წელი – დასაქმებული 170 ბენეფიციარი/ბენეფიციარის ოჯახის წევრი;
   მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - 2017 წლის განმავლობაში დასაქმდა 143 ბენეფიციარი/ბენეფიციარის ოჯახის წევრი.
2. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - დანაშაულის ადრეული პრევენციის აქტივობებში, 2016 წლის 31 მარტის მდგომარეობით, ჩართულია 5 239 არასრულწლოვანი;
   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - 2017-2020 წლებში დანაშაულის ადრეული პრევენციის აქტივობებში ჩართული 5 500 არასრულწლოვანი;
   მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - დანაშაულის ადრეული პრევენციის აქტივობებში 2017 წელს საქართველოს მასშტაბით 7 807 არასრულწლოვანი ჩაერთო.

2.17 სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შექმნა და მართვა (პროგრამული კოდი 30 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - საქართველოს შსს სახელმწიფო მატერიალური რეზერვების დეპარტამენტი

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- ქვეყნის სამობილიზაციო მზადყოფნა საომარი მოქმედებების, სტიქიური უბედურებების, ეკონომიკური ბლოკადის, შესაძლო მიწისძვრების, ტექნოგენური კატასტროფების და სხვა მოულოდნელად წარმოქმნილი ექსტრემალური სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის უზრუნველსაყოფად, ჰუმანიტარული დახმარების გასაწევად, შიდა ბაზარზე მარეგულირებელი ზემოქმედებისათვის, საწარმოების და ორგანიზაციების ნედლეულით, სათბობ-ენერგეტიკული რესურსებით, მოსახლეობის სურსათის ძირითადი სახეობებით მომარაგებაში დროებით შეფერხებებისას სახელმწიფო მხარდაჭერისთვის;
- მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა საგანგებო და კრიზისულ სიტუაციებში.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- განხორციელდა სახელმწიფო რეზერვში რიცხული მატერიალური ფასეულობების მოვლა-შენახვა და აღრიცხვა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების დაცვით;
- მიმდინარეობდა მუშაობა სახელმწიფო რეზერვში ჩასაწყობ მატერიალურ ფასეულობათა ახალი ნომენკლატურის შემუშავებაზე.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - სახელმწიფო მატერიალური რეზერვების სწორად მართვისთვის აუცილებელია შესაბამისი ოპერაციების წარმოება, კონტროლი და მათი დაცულობის უზრუნველყოფა

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - სახელმწიფო მატერიალური რეზერვების წარმოებული ოპერაციები, მათი კონტროლი მართვა და დაცულობის უზრუნველყოფა

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - მუდმივად წარმოებული, ჩაწყობილი მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა/მონიტორინგი.

2. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - ნებისმიერ სამინისტროში, თუ სარეზერვო ბაზებში ჩაწყობილი მატერიალური ფასეულობების შენახვის პირობების დაცვის, მათი ვარგისიანობის, რაოდენობრივი და ხარისხობრივი უზრუნველყოფის მიზნით, საჭიროა სისტემატური კონტროლის განხორციელება, რომ ადგილი არ ჰქონდეს ფასეულობების თვითნებურ ხარჯვას ან გაუვარგისებას
დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - სამინისტროში, თუ სარეზერვო ბაზებში ჩაწყობილი მატერიალური ფასეულობების შენახვის პირობების დაცვის, მათი ვარგისიანობის, რაოდენობრივი და ხარისხობრივი უზრუნველყოფის მიზნით, განხორციელებული სიტემატური კონტროლი

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - მუდმივად წარმოებული, ჩაწყობილი მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა/მონიტორინგი.

2.18 სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მომსახურების ეფექტიანობის უზრუნველყოფა და ყველა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომობა (პროგრამული კოდი 30 07)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- საქართველოს 12 რეგიონის ნაწილობრივ და 5 რეგიონის სრულად დაფარვა;
- განახლებული ავტოპარკი, შეუფერხებლად ჩატარებული გამოცდების რაოდენობა;
- ყოველდღიურად გამართული მომსახურების პროცესი;
- ოფიციალური ლიცენზიების გამოყენება და დახმარება პროდუქტის მწარმოებლისგან;
- უსაფრთხოების სტანდარტების დაცვა. მიღებული მოქნილი და განვითარებადი პროდუქტი, დამატებული ახალი მომსახურებები;
- ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვის მექანიზმების ხარჯზე ინფორმაცია იქნება მეტად დაცული უკანონო შეღწევებისგან და მინიმუმამდე შემცირებული ინფორმაციის დაკარგვის ალბათობა.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- გაუმჯობესებულ იქნა რეგიონებში მართვის მოწმობის გაცემის შესაძლებლობები;
- შეძენილ იქვა სატრანსპორტო საშუალებები;

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - საგზაო უსაფრთხოების დონის ამაღლებისა და ევროპარლამენტის ასევე საბჭოს 2006 წლის 20 დეკემბრის დირექტივის შესრულების მიზნით მართვის უფლების მისაღების პრაქტიკული გამოცდის დამატებით ქალაქის ქუჩებში ჩატარება

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - შეძენილი 92 სატრანსპორტო საშუალება. საქართველოს 12 რეგიონიდან 7 რეგიონში მხლოდ "B" კატეგორიის მართვის მოწმობის გაცემის შესაძლებლობა ხოლო 5 რეგიონში ყველა კატეგორიის მართვის მოწმობის გაცემის შესაძლებლობა

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - მომზადებული სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდის ავტოდრომის ან დახურული მოედნის გარეთ ქალაქის მასშტაბით ჩატარებისთვის საჭირო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტში შესატანი შესაბამისი ცვლილებების პროექტი. სადაც გათვალისწინებულია ევროკავშირის პარლამენტისა და საბჭოს 2006 წლის 20 დეკემბრის მართვის მოწმობების შესახებ დირექტივის მოთხოვნები, რომელიც გულისხმობს სატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობის მისაღები პრაქტიკული გამოცდების ჩაბარების წესის ცვლილებას. პრაქტიკული გამოცდის გარეთ, ქალაქის პირობებში ჩატარების მიზნით, შეძენილი 70 ავტომანქანა შესაბამისი აღჭურვილობით (კამერებით), საქართველოს 12 რეგიონიდან 8 რეგიონში მხოლოდ "B" კატეგორიის მართვის მოწმობის გაცემის შესაძლებლობა ხოლო 2 რეგიონში ყველა კატეგორიის მართვის მოწმობის გაცემის შესაძლებლობა.

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

- სატრანსპორტო საშუალებების შესყიდვა - ცდომილება 24%. ქალაქის მაშტაბით სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდის 2018 წლის მეორე ნახევარში გადაწევიდან გამომდინარე არ მოხდა ყველა სხვა (“B” კატეგორიის გარდა) კატეგორიების

ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესყიდვა; ქალაქის მაშტაბით სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდის ჩატარება - ცდომილება 100%. ვერ მოესწრო სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მისაღები პრაქტიკული გამოცდის ავტოდრომის ან დახურული მოედნის გარეთ ქალაქის მასშტაბით ჩატარებისთვის საჭირო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტში შესაბამისი ცვლილებების შეტანა. ასევე ვერ მოესწრო მუნიციპალიტეტების მიერ პრაქტიკული გამოცდისათვის საჭირო შესაბამისი საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა.

2. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - გამოცდის მიმდინარეობის პროცესში ავტომანქანების მწყობრიდან ხშირი გამოსვლა

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - შეძენილი 45 ახალი საგამოცდო ავტომანქანა

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - შეძენილია 15 ახალი საგამოცდო ავტომანქანა

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

- ცდომილება - 66.6%. სამინისტროს მიერ მისი პრიორიტეტების გადახედვის შემდგომ მიზანშეწონილად აღარ იქნა მიჩნეული დამატებით ა/მანქანების შეძენა

3. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - დღეის მდგომარეობით ამბროლაურში არ ხდება მოსახლეობისთვის საგენტოს სერვისების მიწოდება შენობის არარსებობის გამო

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - ქ. ამბროლაურში აშენებული ახალი შენობა და მოწყობილი საგამოცდო მოედანი შესაბამისად სრული მომსახურების გაწევის შესაძლებლობა

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - საანაგარიშო პერიოდში ვერ განხორციელდა ქ. ამბროლაურში ახალი შენონის მშენებლობა და ასევე საგამოცდო მოედნის მოწყობა

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

- ცდომილება - 100%. სამინისტროს მიერ მისი პრიორიტეტების გადახედვის შემდგომ მიზანშეწონილად აღარ იქნა მიჩნეული ქ. ამბროლაურში შენობის მშენებლობა და საგამოცდო მოედნის მოყობა

2.19 საგანგებო და გადაუდებელი დახმარების ეფექტური სისტემის ფუნქციონირება (პროგრამული კოდი 30 08)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - 112

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

112-ის გაზრდილი ხელმისაწვდომობა და მომართვიანობა დაკავშირების ალტერნატიული არხების მეშვეობით

მიღწეული საბოლოო შედეგები

- მობილური აპლიკაცია დანერგილია ნაწილობრივ;
- განხორციელდა ტესტირების შედეგად დაფიქსირებული ხარვეზების აღმოფხვრა და ფუნქციონალის გაუმჯობესება.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - გაზრდილი მიმართვიანობის ფონზე საჭიროა ახალი ალტერნატიული არხის არსებობა რათა, კიდევ უფრო მეტ ბენეფიციარს გაეწიოს დროულად და შეუფერხებლად საჭირო დახმარება

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - მობილური აპლიკაციითა და eCall-ის მეშვეობით 112 ოპერატორთან დაკავშირების შესაძლებლობა

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - ნაწილობრივ დაინერგა მობილური აპლიკაცია. მიმდინარეობდა ტესტირების შედეგად დაფიქსირებული ხარვეზების აღმოფხვრა და ფუნქციონალის დახვეწა. პროდუქტის ჩაშვება მოხდება 2018 წელს.

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

- პროექტი სრულად განხორცილდა და ფუნქციონირებს თუმცა ვერ განხორცილედა მოსახლეობის ზუსტი ინფორმირება რაც უარყოფითად აისახა მომხმარებელთა რაოდენობაზე

3 პრიორიტეტი – რეგიონალური განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2017 წლის დაზუსტებული გეგმა	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	2017 წლის ფაქტიური დაფინანსება	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები	მ.შ.საკუთარი სახსრები
25 02	საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები	865,775.2	865,775.2	873,826.2	873,826.2	0.0
25 04	წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია	182,202.2	182,202.2	184,304.8	184,304.8	0.0
25 03	რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია	248,435.0	228,988.2	268,257.6	249,698.3	18,559.3
24 11	ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობისათვის ანაკლიის ტერიტორიაზე (სამოქმედო გეგმის ფარგლებში) კერძო საკუთრებაში არსებული მიწების გამოსყიდვა - კომპენსაცია	60,000.0	60,000.0	60,000.0	60,000.0	0.0
36 03	სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარება	105,150.0	105,150.0	112,414.2	112,414.2	0.0
24 05	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	52,027.6	51,265.0	51,899.7	51,137.1	762.6
25 05	მყარი ნარჩენების მართვის პროგრამა	42,147.0	42,147.0	42,606.0	42,606.0	0.0
36 01	ენერგეტიკის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და მართვა	86,578.3	86,118.3	84,009.8	83,633.8	375.9
36 02	ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია	15,590.0	15,590.0	11,438.4	11,438.4	0.0
24 08	საქართველოში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება	6,331.1	5,262.9	6,398.5	6,050.1	348.4
24 13	ინოვაციური ეკოსისტემის განვითარება (IBRD)	5,000.0	5,000.0	988.5	988.5	0.0
25 01	რეგიონებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების პოლიტიკის შემუშავება და მართვა	4,675.0	4,675.0	4,632.5	4,632.5	0.0
24 02	ტექნიკური და სამშენებლო სფეროს რეგულირება	1,104.8	1,069.8	1,104.3	1,069.5	34.8

კოდი	დასახელება	2017 წლის დაზუსტებული გეგმა	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	2017 წლის ფაქტიური დაფინანსება	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები	მ.შ.საკუთარი სახსრები
24 10	ბაქო - თბილისი - ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობისათვის მარაბდა - ახალქალაქი - კარწახის მონაკვეთზე კერძო საკუთრებაში არსებული მიწების გამოსყიდვა-კომპენსაცია	50.0	50.0	48.5	48.5	0.0
24 17	სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო	13,183.9	0.0	7,800.2	0.0	7,800.2
24 15	სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტო	4,778.0	0.0	4,722.7	0.0	4,722.7
24 16	სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო	8,057.5	0.0	6,772.1	0.0	6,772.1
24 18	სსიპ - საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური	3,152.0	0.0	2,871.2	0.0	2,871.2
24 20	ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის ხელშეწყობა	712.4	712.4	581.3	581.3	0.0
	სულ	*1,704,949.9*	*1,654,006.0*	*1,724,676.4*	*1,682,429.2*	*42,247.2*

3.1 საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები (პროგრამული კოდი - 25 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი.
- ✓ სსიპ ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი;

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

- აშენებული, მოდერნიზირებული და რეაბილიტირებული საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზები და ხიდები;
- სტიქიური და სხვა ფორსმაჟორული მოვლენების შედეგების ლიკვიდაცია;
- პრევენციური ღონისძიებების მიზნით, ზღვის ნაპირების, მდინარეების კალაპოტებისა და ნაპირების გამაგრება;
- ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის შემადგენილი ნაწილის ფოთი-თბილისი-წითელი ხიდის საავტომობილო გზის (E-60 ავტომაგისტრალი) მშენებლობა-რეკონსტრუქცია და მოდერნიზაცია.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- აშენებული და რეაბილიტირებული საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზები და ხიდები;
- რეაბილიტირებული ობიექტები;
- გაუმჯობესებული გამტარუნარიანობა ავტომაგისტრალზე;
- უზრუნველყოფილი უსაფრთხო მოძრაობა.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

საბაზისო მაჩვენებელი:
აშენებული-რეკონსტრუირებული-რეაბილიტირებული: საავტომობილო გზა - 636 კმ; ხიდი - 143; გვირაბი - 12; პერიოდული-მიმდინარე შეკეთება და შენახვა ზამთრის პერიოდში: საავტომობილო გზა - 6 000 კმ; სანაპირო ზონების ნაპირსამაგრი სამუშაოები - 35 ობიექტი; სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით ჩატარებული სამუშაოები - 22 ობიექტი.

შენიშვნა: საქართველოს რეგიონებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ დაზუსტდა საბაზისო მაჩვენებლები

მიზნობრივი მაჩვენებელი:

მშენებლობა-რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია: საავტომობილო გზა - 290.8 კმ; ხიდი - 50; გვირაბი - 1; პერიოდული-მიმდინარე შეკეთება და შენახვა ზამთრის პერიოდში: საავტომობილო გზა - 6 000 კმ; სანაპირო ზონების ნაპირსამაგრი სამუშაოები - 30 ობიექტი; სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით ჩატარებული სამუშაოები - 19 ობიექტი.

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

- აშენებული-რეკონსტრუირებული-რეაბილიტირებული: საავტომობილო გზა - 250.1 კმ; ხიდი - 50; გვირაბი - 1; პერიოდული-მიმდინარე შეკეთება და შენახვა ზამთრის პერიოდში: საავტომობილო გზა - 6 000 კმ; სანაპირო ზონების ნაპირსამაგრი სამუშაოები - 26 ობიექტი; სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით ჩატარებული სამუშაოები - 10 ობიექტი.

ცდომილების მაჩვენებელი (% / აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე:

- ცდომილება გამოწვეულია სხვა გაუთვალისწინებელი მოვლენებით და დამატებითი სამუშაოებით.

3.1.2. გზების მშენებლობა და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი - 25 02 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

✓ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი.
✓ სსიპ ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი;

დაგეგმილი შუალედური შედეგები:

- მშენებლობა და რეაბილიტაცია საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების და ხიდების;
- სტიქიური და სხვა ფორსმაჟორული მოვლენების შედეგების ლიკვიდაცია;
- პრევენციური ღონისძიებების მიზნით, ზღვის ნაპირების, მდინარეების კალაპოტებისა და ნაპირების გამაგრება.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- აშენებული და რეაბილიტირებული საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზები და ხიდები;
- რეაბილიტირებული ობიექტები;
- უზრუნველყოფილი უსაფრთხო მოძრაობა.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

საბაზისო მაჩვენებელი:
აშენებული-რეკონსტრუირებული-რეაბილიტირებული: საავტომობილო გზა - 544.1 კმ; ხიდი - 57; პერიოდული-მიმდინარე შეკეთება და შენახვა ზამთრის პერიოდში: საავტომობილო გზა - 6 000 კმ; სანაპირო ზონების ნაპირსამაგრი სამუშაოები - 35 ობიექტი; სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით ჩატარებული სამუშაოები - 22 ობიექტი.

შენიშვნა: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ დაზუსტდა საბაზისო მაჩვენებლები

მიზნობრივი მაჩვენებელი:
რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია: საავტომობილო გზა - 415 კმ; ხიდი - 30; პერიოდული-მიმდინარე შეკეთება და შენახვა ზამთრის პერიოდში: საავტომობილო გზა - 6 050 კმ; განათებული საავტომობილო გზა - 26 კმ; სანაპირო ზონების ნაპირსამაგრი სამუშაოები - 20 ობიექტი; სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით ჩატარებელი სამუშაოები - 30 ობიექტი;

მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:

- აშენებული-რეკონსტრუირებული-რეაბილიტირებული: საავტომობილო გზა - 236.6 კმ; ხიდი - 46; პერიოდული-მიმდინარე შეკეთება და შენახვა ზამთრის პერიოდში: საავტომობილო გზა - 6 000 კმ; სანაპირო ზონების ნაპირსამაგრი სამუშაოები - 26 ობიექტი; სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით ჩატარებული სამუშაოები - 10 ობიექტი; მიმდინარეობდა დეტალური საპროექტო დოკუმენტაციების მომზადება და განსახლების პროცედურები.

3.1.3 ჩქაროსნული ავტომაგისტრალების მშენებლობა (პროგრამული კოდი - 25 02 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:
- ✓ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი;
- ✓ სსიპ ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი.

დაგეგმილი შუალედური შედეგები:

- ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის შემადგენილი ნაწილის ფოთი-თბილისი-წითელი ხიდის საავტომობილო გზის (E-60 ავტომაგისტრალი) მშენებლობა-რეკონსტრუქცია.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- აშენებული-რეკონსტრუირებული ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის შემადგენილი ნაწილის ფოთი-თბილისი-წითელი ხიდის საავტომობილო გზა (E-60 ავტომაგისტრალი);
- გაუმჯობესებული გამტარუნარიანობა ავტომაგისტრალზე;
- უზრუნველყოფილი უსაფრთხო მოძრაობა.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

საბაზისო მაჩვენებელი:
აშენებული-რეკონსტრუირებული: საავტომობილო გზა - 91.9 კმ; ხიდი - 86; გვირაბი - 12.

შენიშვნა: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ დაზუსტდა საბაზისო მაჩვენებლები

მიზნობრივი მაჩვენებელი:
მშენებლობა-რეკონსტრუქცია: საავტომობილო გზა - 27 კმ; ხიდი - 24; გვირაბი - 1

მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:

- აშენებული-რეკონსტრუირებული: საავტომობილო გზა - 13.5 კმ; ხიდი - 4; გვირაბი - 1; მიმდინარეობდა განსახლების პროცედურები და დეფექტების აღმოფხვრის პერიოდი.

ცდომილების მაჩვენებელი (% / აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე:

- ცდომილება გამოწვეულია სხვა გაუთვალისწინებელი მოვლენებით და დამატებითი სამუშაოებით.

3.2 წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი - 25 04)

პროგრამის განმახორციელებელი:
- ✓ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს აპარატი;
- ✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი;
- ✓ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“.

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

- მუნიციპალიტეტებში მაცხოვრებელი მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების გაუმჯობესება;
- წყალარინების სისტემების მოწესრიგება;
- ტურისტული ინფრასტრუქტურა განვითარება.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- მუნიციპალიტეტებში მაცხოვრებელი მოსახლეობის გაუმჯობესებული საცხოვრებელი პირობები და სასმელი წყლით მომარაგების პროცესი;
- მოწესრიგებული წყალმომარაგების და წყალარინების სისტემები;
- განვითარებული ტურისტული ინფრასტრუქტურა.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

საბაზისო მაჩვენებელი:
დასრულებული 30 ობიექტი; დასრულებული პროექტირება 2 გამწმენდ ნაგებობაზე; აშენებული-რეაბილიტირებული: ქ. ფოთი - რეზერვუარი - 4, საფილტრი და სატუმბი სადგურები, ჭაბურღილები, გამანაწილებელი ქსელები, ქ. ქუთაისი - რეზერვუარი, სატუმბი სადგური, გამანაწილებელი ქსელები;

მიზნობრივი მაჩვენებელი:
24 საათიანი მომარაგება სასმელი წყლით; განვითარებული ტურისტული ინფრასტრუქტურა; 2 გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა; მშენებლობა-რეაბილიტაცია: სათავე ნაგებობა - 5, რეზერვუარები - 5, მაგისტრალური მილსადენები - 5, გამანაწილებელი ქსელები - 5, წყალარინების ქსელები - 5, კოლექტორები - 5, სატუმბი სადგურები - 5, გამწმენდი ნაგებობები - 5;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

- აშენებული: წყალარინების გამწმენდი ნაგებობა - 2, წყალმომარაგების სისტემა - 1. რეაბილიტირებული: წყალსადენის სისტემა - 1; მოწყობილი წყალმომარაგების ქსელი - 1;
- მიმდინარეობდა სამშენებლო სამუშაოები: წყალარინების გამწმენდი ნაგებობა - 3, წყალმომარაგების გამწმენდი ნაგებობა - 1, წყალმომარაგების სისტემა - 3, წყალარინების ქსელი - 1, რეზერვუარი - 5, სატუმბი სადგური - 2, ჭაბურღილი - 19, ჭა - 119;
- მიმდინარეობდა სარეაბილიტაციო სამუშაოები - წყალმომარაგების სისტემა - 3.

- მიმდინარეობდა 80 საცხოვრებელი კორპუსის ინდივიდუალური გამრიცხველიანება;
- დასრულდა სატენდერო პროცედურები - 4 პროექტზე და დეტალური პროექტი - 1 ობიექტზე.

3.3 რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი - 25 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს აპარატი;
✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი;
✓ შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“.

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

- განვითარებული და რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურა მუნიციპალიტეტებში;
- ამაღლებული საინვესტიციო მიმზიდველობა;
- გაუმჯობესებული საცხოვრებელი პირობები.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- განვითარებული და რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურა მუნიციპალიტეტებში;
- ნაწილობრივ გაუმჯობესებული საცხოვრებელი პირობები.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

საბაზისო მაჩვენებელი:
აშენებული-რეაბილიტირებული: 300 ადგილიანი სტუდენტური საერთო საცხოვრებელი; სახელმწიფო მნიშვნელობის ობიექტი - 1; ტურისტული ინფრასტრუქტურა - 9; საავტომობილო გზა - 70.2 კმ; ტალღმტეხი ნაგებობა - 3. მოწყობილი: წყალარინების სისტემა - 3; სანაპირო ზოლი - 7.5 კმ. ამორტიზირებული საავტომობილო გზა - 78 კმ; ობიექტი - 5 ერთეული. დასრულებული პროექტირება - 18 ობიექტი;

მიზნობრივი მაჩვენებელი:
მშენებლობა-რეაბილიტაცია-რესტავრაცია: საავტომობილო გზა - 92.5 კმ; ხიდი - 4 ერთეული; ობიექტი - 13; ტურისტული ინფრასტრუქტურა - 7 ობიექტი; თბილისის მეტროსადგური. მოწყობილი: წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემები - 6 ერთეული; სანაპირო ზოლი - 2 კმ;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

- აშენებული-რეაბილიტირებული: საავტომობილო გზა - 100.6 კმ; ობიექტი - 30; დასრულდა დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციები; მოწყობილი 4 ტურისტული ინფრასტრუქტურა და კულტურული მემკვიდრეობის ზონები;
- მოწყობილი წყალარინების, წყლის და სანიაღვრე სისტემები.
- მიმდინარე სამშენებლო-სარეაბილიტაციო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები: საავტომობილო გზა - 87.7 კმ; ობიექტი - 30.
- მიმდინრეობდა 2 ტურისტული ინფრასტრუქტურის, 17 ჭაბურღილის, 1 750 მ-ზე ნაპირდამცავი ნაგებობების და სანაპირო ზოლის მოწყობის სამუშაოები.

3.4 ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობისათვის ანაკლიის ტერიტორიაზე (სამოქმედო გეგმის ფარგლებში) კერძო საკუთრებაში არსებული მიწების გამოსყიდვა - კომპენსაცია (პროგრამული კოდი 24 11)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- განხორციელდება ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის მონაკვეთზე მოქცეული კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების გამიჯვნა, შეფასება, სახელმწიფო საკუთრებაში მოქცევა და შემდგომ ინვესტორისათვის გადაცემა ანაკლიის პორტის მშენებლობისათვის.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- გამოსყიდულ იქნა (სახელმწიფოს საკუთრებაშია) 413 მიწის ნაკვეთი და ექსპროპრიაციის შედეგად სახელმწიფო საკუთრებად დარეგისტრირდა 18 მიწის ნაკვეთი.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები

საბაზისო მაჩვენებელი - კერძო საკუთრებაში არსებული მიწები არ არის გამოსყიდული;

მიზნობრივი მაჩვენებელი - პროექტის ფარგლებში სრულად გამოსყიდული მიწის ნაკვეთები;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - პროექტის ფარგლებში გამოსყიდულია ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის მშენებლობის მიზნით ინვესტორისათვის გადასაცემი მიწის ნაკვეთების 99 %.

3.5 სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარება (პროგრამული კოდი 36 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო
- სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

სისტემის მდგრადობისა და საექსპორტო პოტენციალის გაზრდა.

მეზობელ ქვეყნებთან ელექტროენერგიის გამტარუნარიანობის გაზრდა.

500 კვ მაგისტრალი - ენგური/ზესტაფონი/ახალციხე (ეგხ „იმერეთი“ და ეგხ „ზეკარი“) და 500 კვ ძაბვის ხაზის “კავკასიონის” (საქართველო-რუსეთი) დარეზერვება.

პერსპექტიული ჰესების ქსელში ინტეგრირება და ტრანზიტი მომხმარებლებისკენ.

აფხაზეთის, სამეგრელოს, აჭარისა და გურიის ელექტრომომარაგების საიმედოობის ამაღლება.

მიღწეული საბოლოო შედეგები

სამუშაოები მიმდინარეობდა გეგმის მიხედვით.

ქვესადგურ ,,ზესტაფონი“ მიღებულია ექსპლუატაციაში.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი

დონორებთან მიმდინარეობს სასესხო ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებული პროცედურები

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი

500 კვ ეგხ „წყალტუბო-ახალციხე-ტორტუმი“

250 მგვარ რეაქტორი „ქ/ს ზესტაფონში“

500 კვ ეგხ ,,ქსანი-სტეფანწმინდა“

220კვ ეგხ ,,ჯვარი-ხორგა“

220 კვ ეგხ „ახალციხე-ბათუმი“

500 კვ ეგხ „ჯვარი-წყალტუბო“

220 კვ ორჯაჭვა ეგხ „ხუდონი-ნენსკრა“

110 კვ ეგხ „ხუდონი-მესტია“

ახალი ორჯაჭვა 110კვ ხაზი „ოზურგეთი-ჩოხატაური“

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

მშენებლობის პროგრესი 500 კვ ელექტროგადამცემი ხაზზე „ქსანი-სტეფანწმინდა“ და 220კვ ელექტროგადამცემი ხაზზე ჯვარი-ხორგა შეადგენს დაახლოებით 80%-ს.

ახალი 250 მგვარ რეაქტორი ქვესადგურ „ზესტაფონში“

220 კვ ეგხ „ახალციხე-ბათუმი“-ს პროექტზე ახალი 53 კმ სიგრძის 20 კვ-იანი ორჯაჭვა საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზი - „ბათუმი-შუახევის“ მონაკვეთი.

3.5.1 რეგიონალური ელექტროგადაცემის გაუმჯობესების პროექტი (პროგრამული კოდი 36 03 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო
- სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“

დაგეგმილი შუალედური შედეგები

500 კვ ეგხ წყალტუბო - ახალციხე - ტორტუმის პროექტზე: საერთაშორისო ტენდერის ჩატარება კონსულტანტების შერჩევის მიზნით, რომლებიც განახორციელებენ პროქტის ზედამხედველობას და მართვას; დოკუმენტაციების მომზადებას მშენებლობის ტენდერის გამოსაცხადებლად; გამარჯვებულ კომპანიასთან საკონტარქო პირობების შეთანხმებას და კონტრაქტის გაფორმებას.

250 მგვარ რეაქტორი - ,,ქ/ს ზესტაფონი 500-ში“ - მშენებლობის დაწყება-დასრულება და ექსპლუატაციაში გაშვება.

მიღწეული შუალედური შედეგები

მიმიდინარეობდა მუშაობა „წყალტუბო-ახალციხე-ტორტუმის“ ელექტროგადამცემი ხაზის პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევებისა, პირველადი დიზაინის და გარემოზე ზემოქმედების შეფაზების მომზადებაზე.

ქვესადგური „ზესტაფონი“ მიღებულია ქსპლუატაციაში.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი

500 კვ ეგხ „წყალტუბო-ახალციხე-ტორტუმის“ პროექტის დაფინანსებაზე დონორთან მიმდინარე მოლაპარაკება სასესხო ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებით.

ქვესადგურ „ზესტაფონში“ 250 მგვარ რეაქტორის მიმდინარე მშენებლობა

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი
500 კვ ეგხ „წყალტუბო -ახალციხე - ტორტუმის“ დაფინანსებაზე სასესხო ხელშეკრულების გაფორმება. კონსულტანტების შერჩევის მიზნით საერთაშორისო ტენდერის ჩატარება.
ქვესადგურ „ზესტაფონში“ 250 მგვარ რეაქტორის მშენებლობის დასრულება.

მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი
საანგარიშო პერიოდში საქართველოსა და გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკს (KfW) შორის გაფორმდა 125 მილიონი ევროს ღირებულების სასესხო ხელშეკრულება „საქართველოს ელექტროგადამცემი ქსელის გაფართოების ღია პროგრამა II“-ის განხორციელებაზე, რომლის ერთერთი შემადგენელი კომპონენტია 500 კვ ეგხ „ახალციხე-ტორტუმი“. საერთაშორისო ტენდერის საფუძველზე, გაფორმდა ხელშეკრულება საკონსულტაციო კომპანიებთან ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევებისა, პირველადი დიზაინის და გარემოზე ზემოქმედების შეფასების მომზადებაზე. დასრულების ეტაპზეა პროექტის განმახორციელებელი კონსულტანტის შერჩევის პროცესი. მომზადდა ტექნიკური და ფინანსური წინადადებების შეფასების ანგარიშები და გაეგზავნა KfW-ს შესათანხმებლად.
ახალი 250 მგვარ რეაქტორი ქვესადგურ „ზესტაფონში“.

3.5.2 საქართველოს ელექტროგადამცემი ქსელის გაფართოების ღია პროგრამა (პროგრამული კოდი 36 03 02)

პროგრამის განმახორციელებელი:
- საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო
- სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“

დაგეგმილი შუალედური შედეგები
„ქსანი-სტეფანწმინდა“ 500 კვ ეგხ-ის მიმდინარე მშენებლობის დასრულება და ექსპლუატაციაში გაშვება.
„ჯვარი ხორგა“ 500/220კვ ეგხ-ის მიმდინარე მშენებლობის დასრულება და ექსპლუატაციაში გაშვება.

მიღწეული შუალედური შედეგები
საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის პროექტების პროგრესი შეადგენს დაახლოებით 80%.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი
500 კვ ეგხ-ის მშენებლობა „ქსანი-სტეფანწმინდა“ და „ჯვარი-ხორგა“ 500/220კვ ელექტროგადამცემი ხაზის მიმდინარე მშენებლობა.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი
ახალი 500 კვ ეგხ „ქსანი-სტეფანწმინდა“ ელექტროგადამცემი ხაზი.
ახალი „ჯვარი-ხორგა“ 500/220კვ ელექტროგადამცემი ხაზი.

მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი
პროექტების დასრულების ვადებმა გადაიწია და იგეგმება 2018 წელს.

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე
(20 % - მშენებლობის დასრულების ვადები)
„ჯვარი-ხორგა“-ს პროექტზე: 2017 წლის აგვისტოს მეორე ნახევრიდან და ოქტომბერის ბოლომდე კონტრაქტორი სამშენებლო სამუშაოებს ვერ აწარმოებდა, მიწების გამოსყიდვებთან დაკავშირებით მოსახლეობის მხრიდან არსებული პრობლემები გამო, შესაბამისად ფერხდებოდა მშენებლისათვის შესაბამისი მიწის ნაკვეთების გადაცემა ფუნდამენტების მოსაწყობად.
„ქსანი-სტეფანწმინდას“ პროექტზე იგივე განსახლების პრობლემებიდან გამომდინარე, მიღებული იქნა გადაწყვეტილება 125-166 ანძებს შორის მარშრუტის ცვლილებაზე, რაზედაც ხორციელდება შესაბამისი სამუშაოები.

3.5.3 220კვ „ახალციხე-ბათუმი“ ხაზის მშენებლობა (პროგრამული კოდი 36 03 03)
პროგრამის განმახორციელებელი:

- საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო
- სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“

დაგეგმილი შუალედური შედეგები
მიმდინარე 220კვ „ახალციხე-ბათუმი“ ხაზის მშენებლობის პირველი ფაზის („ბათუმი-შუახევის“ მონაკვეთი) დასრულება.
მეორე ფაზის („შუახევი-ახალციხის“ მონაკვეთი) სამშენებლო სამუშაოების დაწყება, საძირკვლების მშენებლობა, გზების მოწყობა და გეოლოგიური კვლევები.

მიღწეული შუალედური შედეგები
დასრულდა 220კვ „ახალციხე-ბათუმი“ ხაზის მშენებლობის პირველი ფაზის („ბათუმი-შუახევის“ მონაკვეთი) დმშენებლობა.
დაიწყო მეორე ფაზის („შუახევი-ახალციხის“ მონაკვეთი) პროექტის განხორციელება.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი
„ბათუმი-შუახევის“ მონაკვეთის მიმდინარე მშენებლობა.
„შუახევი-ახალციხის“ მონაკვეთის მშენებლობის ნებართვა.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი
პირველი ფაზის („ბათუმი-შუახევის“ მონაკვეთი) დასრულება.
მეორე ფაზის („შუახევი-ახალციხის“ მონაკვეთი) სამშენებლო სამუშაოების დაწყება.

მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი
„ბათუმი-შუახევის“ მონაკვეთი: ახალი 53 კმ სიგრძის 20 კვ-იანი ორჯაჭვა საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზი.
„შუახევი-ახალციხის“ მონაკვეთი: მოეწყო 178 მისასვლელი გზა. ჩატარდა გეოლოგიური კვლევა 178 წერტილზე, დასრულდა 173 ფუნდამენტის მოწყობა. აეწყო და დამონტაჟდა 137 ანძა, გაიჭიმა 11 კმ გადამცემი ხაზი.

3.5.4 ჩრდილოეთის რგოლი ეგხ (I ფაზა) (EBRD, KfW) (პროგრამული კოდი 36 03 04)

პროგრამის განმახორციელებელი:
- საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო
- სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“

დაგეგმილი შუალედური შედეგები
უნდა გაფორმდეს სასესხო ხელშეკრულება დონორთან; ჩატარდეს საერთაშორისო ტენდერი კონსულტანტების შერჩევის მიზნით, რომლებიც განახორციელებენ პროქტის ზედამხედველობას და მართვას, დოკუმენტაციების მომზადებას მშენებლობის ტენდერის გამოსაცხადებლად, გამარჯვებულ კომპანიასთან საკონტარქო პირობების შეთანხმებას და კონტრაქტის გაფორმებას.

მიღწეული შუალედური შედეგები
მიმდინარეობს მუშაობა „ჩრდილოეთის რგოლი ეგხ (I ფაზა)“ პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევებისა, პირველადი დიზაინის და გარემოზე ზემოქმედების შეფასების მომზადებაზე.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი

„ჩრდილოეთის რგოლი ეგხ (I ფაზა)“ პროექტის დაფინანსებაზე დონორთან მიმდინარე მოლაპარაკება სასესხო ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებით.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი
სასესხო ხელშეკრულების გაფორმება და კონსულტანტების შერჩევის მიზნით საერთაშორისო ტენდერის ჩატარება.

მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი
საანგარიშო პერიოდში საქართველოსა და გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკს (KfW) შორის გაფორმდა 125 მილიონი ევროს ღირებულების სასესხო ხელშეკრულება „საქართველოს ელექტროგადამცემი ქსელის გაფართოების ღია პროგრამა II“-ის განხორციელებაზე, რომლის ერთერთი შემადგენელი კომპონენტია „ჩრდილოეთის რგოლი ეგხ (I ფაზა)“.
საერთაშორისო ტენდერის საფუძველზე, გაფორმდა ხელშეკრულება საკონსულტაციო კომპანიებთან ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევებისა, პირველადი დიზაინის და გარემოზე ზემოქმედების შეფაზების მომზადებაზე.
მიმდინარეობდა პროექტის განმახორციელებელი კონსულტანტის შერჩევის პროცესი. მომზადდა ტექნიკური და ფინანსური წინადადებების შეფასების ანგარიშები და გაეგზავნა KfW-ს შესათანხმებლად.

3.5.5 500 კვ ეგხ ჯვარი-წყალტუბო (WB) (პროგრამული კოდი 36 03 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

- საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო
- სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“

დაგეგმილი შუალედური შედეგები
დაფინანსების პირობების შეთანხმება დონორთან. საერთაშორისო ტენდერის ჩატარება კონსულტანტების შერჩევის მიზნით, რომლებიც განახორციელებენ პროქტის ზედამხედველობას და მართვას, დოკუმენტაციების მომზადებას მშენებლობის ტენდერის გამოსაცხადებლად, გამარჯვებულ კომპანიასთან საკონტარქო პირობების შეთანხმებას და კონტრაქტის გაფორმებას.

მიღწეული შუალედური შედეგები
წარმოდგენილია ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა და წინასწარი დიზაინი.
წარმოდგენილია გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში.
წარმოდგენილია განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტი.
გაფორმდა ხელშეკრულება კონსულტანტთან, რომელიც განახორციელებს სატენდერო დოკუმენტაციის მომზადებას და ტენდერის გამოცხადებას: მშენებელი და დეტალური დიზაინის მომზადებაზე კონტრაქტორის შესარჩევად.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი
დაფინანსების პირობების შეთანხმებასთან დაკავშირებული მიმდინარე პროცედურები.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი
ჩატარდეს საერთაშორისო ტენდერი კონსულტანტების შერჩევისთვის.

მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი
გაფორმდა ხელშეკრულება კონსულტანტთან, რომელიც განახორციელებს სატენდერო დოკუმენტაციის მომზადებას და ტენდერის გამოცხადებას: მშენებელი და დეტალური დიზაინის მომზადებაზე კონტრაქტორის შესარჩევად.

3.5.6 გურიის ელგადაცემის ხაზების ინფრასტრუქტურის გაძლიერება (KfW) (პროგრამული კოდი 36 03 06)

პროგრამის განმახორციელებელი:

- საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო
- სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“

დაგეგმილი შუალედური შედეგები
სასესხო ხელშეკრულების გაფორმება დონორთან; საერთაშორისო ტენდერის ჩატარება კონსულტანტების შერჩევის მიზნით, რომლებიც განახორციელებენ პროექტის ზედამხედველობას და მართვას, დოკუმენტაციების მომზადებას მშენებლობის ტენდერის გამოსაცხადებლად, გამარჯვებულ კომპანიასთან საკონტარქო პირობების შეთანხმებას და კონტრაქტის გაფორმებას.

მიღწეული შუალედური შედეგები
მიმიდინარეობდა მუშაობა „გურიის ელგადაცემის ხაზების ინფრასტრუქტურის გაძლიერება“ პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევების, პირველადი დიზაინის და გარემოზე ზემოქმედების შეფაზების მომზადებაზე.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი
„გურიის ელგადაცემის ხაზების ინფრასტრუქტურის გაძლიერება“ პროექტის დაფინანსებაზე. დონორთან მიმდინარე მოლაპარაკება სასესხო ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებით.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი
სასესხო ხელშეკრულების გაფორმება.
კონსულტანტების შერჩევის მიზნით საერთაშორისო ტენდერის ჩატარება.

მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი
საანგარიშო პერიოდში საქართველოსა და გერმანიის რეკონსტრუქციის ბანკს (KfW) შორის გაფორმდა 125 მილიონი ევროს ღირებულების სასესხო ხელშეკრულება „საქართველოს ელექტროგადამცემი ქსელის გაფართოების ღია პროგრამა II“-ის განხორციელებაზე, რომლის ერთერთი შემადგენელი კომპონენტია „გურიის ელგადაცემის ხაზების ინფრასტრუქტურის გაძლიერება“.
საერთაშორისო ტენდერის საფუძველზე, გაფორმდა ხელშეკრულება საკონსულტაციო კომპანიებთან ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევებისა, პირველადი დიზაინის და გარემოზე ზემოქმედების შეფასების მომზადებაზე.

- სრულდება პროექტის განმახორციელებელი კონსულტანტის შერჩევის პროცესი. მომზადდა ტექნიკური და ფინანსური წინადადებების შეფასების ანგარიშები და გაეგზავნა KfW-ს შესათანხმებლად..

3.6 ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 24 05)

პროგრამის განმახორციელებელი:
✓ სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- საქართველოს, როგორც ტურისტული ქვეყნის, მიმართ საერთაშორისო და შიდა ბაზარზე გაზრდილი ინტერესი;
- ტურისტული მიმართულებების გამოკვლევის შედეგად შექმნილი მრავალფეროვანი ტურისტული პროდუქტი და გაუმჯობესებული მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურა;
- გაუმჯობესებული მომსახურების ხარისხი ტურისტულ ობიექტებში (კვების ობიექტები, განთავსების საშუალებები და ა.შ.).

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- საერთაშორისო და შიდა ბაზარზე გაიზარდა საქართველოს (როგორც ტურისტული ქვეყნის) მიმართ ინტერესი, რაც გამოიხატება ვიზიტორების რაოდენობის ზრდაში, საქართველოს ტურიზმის ოფიციალური ვებ-გვერდის (georgia.travel) უნიკალური მომხმარებლების გაზრდილ რაოდენობაში (8 742 359 უნიკალური მნახველი) და საქართველოს საკურორტე რესურსების შესახებ მსოფლიოს ცნობილ ჟურნალებში დაბეჭდილ სტატიებსა და ტელევიზიების მიერ მომზადებულ გადაცემებში;

- საქართველო მოხვდა საერთაშორისო ტურისტული გამოცემა „Lonely Planet”-ის Best In Travel 2018 ტოპ 10 სამოგზაურო მიმართულებაში;
- მონაწილეობა იქნა მიღებული 25 საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობაში, საერთაშორისო კონფერენცია/ფორუმებში, მოეწყო 116 პრეს და გაცნობითი ტური მსოფლიოს სხვადასხვა მიზნობრივი ქვეყნებისათვის და გაღრმავდა თანამშრომლობა სხვადასხბვა ქვეყნებთან;
- შეიქმნა 5 ტურისტული პროდუქტი: საქართველოს გერმანული მემკვიდრეობის კატალოგი, შიდა ქართლის ღვინის გზის კატალოგი, შიდა ქართლის სასკოლო ტურების კატალოგი, შიდა ქართლის კულტურული ობიექტების კატალოგი და საქართველოს ღვინის გზის პროექტის განახლება;
- გაუმჯობესებულ და მოწყობილ იქნა მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურა, კერძოდ: სათხილამურო მთებზე 5 სასურათე ჩარჩო, 9 ორმხრივი მანათობელი კონსტრუქცია, რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთის საფეხმავლო ბილიკების მარკირება, ღვინის გზის საგზაო მანიშნებლების მონტაჟი, წყალტუბოს პარკის შშმ პირთათვის ადაპტირებული ინფრასტრუქტურის მოწყობა;
- გაიხსნა/რეაბილიტირებულ იქნა 4 ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი (წყალტუბო, ქუთაისი, თბილისის აეროპორტი და ბაკურიანი);
- გადამზადდა 1 318 ტურიზმის სფეროში დასაქმებული კერძო სექტორის წარმომადგენელი.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. საბაზისო მაჩვენებელი - 2015 წელს საქართველოს ესტუმრა 5 901 094 საერთაშორისო მოგზაური, 2016 წელს - 6 360 503 საერთაშორისო მოგზაური.

შენიშვნა: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ დაზუსტდა საბაზისო მაჩვენებელი 2016 წლის მდგომარეობით;

მიზნობრივი მაჩვენებელი - საერთაშორისო ვიზიტორების ყოველწლიური 7%-იანი მატება 2017-2020წწ.
მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - 2017 წელს საქართველოს ესტუმრა 7 554 936 საერთაშორისო მოგზაური, რაც 2016 წლის მაჩვენებელს აღემატება 18.8%-ით.

3.8 ენერგეტიკის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და მართვა (პროგრამული კოდი 36 01)

პროგრამის განმახორციელებელი:
- ✓ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო
- ✓ სსიპ - ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო

დაგეგმილი საბოლოო შედეგები
ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების დონის ამაღლება.
ენერგომატარებლებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და მოსახლეობის სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიებისა და მოპოვების სფეროში ინვესტიციების მოზიდვა და გაზრდა.
ახალი საბადოების გახსნა/ათვისება.
საქართველოს ენერგოუსაფრთხოების და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა.
თანამედროვე მოთხოვნების ნავთობ/გაზგადამამუშავებელი საწარმოების შექმნა, საერთაშორისო ნორმების შესაბამისი ტექნოლოგიების დანერგვა.
ახალი ქარის და მზის ელექტროსადგურების და ბიომასის თბოელექტროსადგურის მშენებლობა.

მიღწეული საბოლოო შედეგები
გაფორმებული მემორანდუმები ახალი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობასა და ოპერირებაზე.
ექსპლუატაციაში შესული 5 ახალი ჰიდროელექტროსადგური.
გაზიფიცირებული ახალი აბონენტები.
ნავთობისა და გაზის რესურსების სარგებლობისა და ოპერირების 5 ახალი გენერალური ლიცენზია.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი
კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებაში ინტეგრაციისათვის.
ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის 19 გენერალური ლიცენზია.
გაზიფიცირებული 1 053 000 აბონენტი.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი
გაზიფიცირებული 1 100 000 აბონენტი.
ნავთობ/გაზპროდუქტების ეროვნული წარმოების განვითარება.
ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების დონის ამაღლება.
ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოცულობის ზრდა.
ახალი ჰიდროელექტროსადგურების რაოდენობის ზრდა.

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი
სამუშაოების დასრულების შემდეგ გაზიფიცირებული 1 079 000 აბონენტი.
ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის 5 ახალი გენერალური ლიცენზია.
46 პოტენციური ელექტროსადგური: ჯამური დადგმული სიმძლავრე 990 მგვტ.
ექსპლუატაციაში შევიდა 5 ახალი ჰესი: ჯამური დადგმული სიმძლავრე 234.1 მგვტ.

3.8.1 ენერგეტიკის სფეროში პოლიტიკის განხორციელება (პროგრამული კოდი 36 01 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო
- ✓ სსიპ - ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო

დაგეგმილი შუალედური შედეგები

ახალი ჰიდროელექტროსადგურების რაოდენობის ზრდა.

დარგში უცხოური ინვესტიციების მოცულობის ზრდა.

ნავთობ/გაზპროდუქტების ეროვნული წარმოების განვითარება.

ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის ლიცენზიების გაცემაზე ტენდერების გამოცხადება. ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების დონის ამაღლება.

მიღწეული შუალედური შედეგები

გაფორმებული მემორანდუმები ახალი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობასა და ოპერირებაზე.

ექსპლუატაციაში შესული 5 ახალი ჰიდროელექტროსადგური.

ნავთობისა და გაზის რესურსების სარგებლობისა და ოპერირების 5 ახალი გენერალური ლიცენზია. შემუშავებული ელექტროენერგეტიკული ბაზრის შექმნის კონცეფცია.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი

ჰიდროელექტროსადგურების რაოდენობა.

ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოცულობა.

ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის 20 გენერალური ლიცენზია.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი

გაფორმდა 45 ურთიერთგაგების მემორანდუმი.

საანგარიშო პერიოდში ექასპლუატაციაში შევიდა 5 ჰესი.

ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის 5 გენერალური ლიცენზია.

მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი
46 პოტენციური ელექტროსადგური: ჯამური დადგმული სიმძლავრე 990 მგვტ.
5 ახალი ჰესი: ჯამური დადგმული სიმძლავრე 234.1 მგვტ.
5 ახალი გენერალური ლიცენზია ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობისათვის.

3.8.2 მოსახლეობის ელექტროენერგიითა და ბუნებრივი აირით მომარაგების გაუმჯობესება (პროგრამული კოდი 36 01 02)

პროგრამის განმახორციელებელი:
- ✓ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

დაგეგმილი შუალედური შედეგები
დამატებით 10 000-მდე აბონენტს მიეცემა ბუნებრივი აირის ქსელში ჩართვის შესაძლებლობა.

მიღწეული შუალედური შედეგები
დამატებით 26 000-მდე აბონენტს მიეცემა ბუნებრივი აირის ქსელში ჩართვის შესაძლებლობა.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი
გაზიფიცირებულია 1 053 000 აბონენტი.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი
გაზიფიცირებული 1 063 000 აბონენტი.

მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი
სამუშაოების დასრულების შემდეგ გაზიფიცირებული 1 079 000 აბონენტი.

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე
საანგარიშო პერიოდში, საქართველოს მთავრობის განკარგულებით, დაემატა დასახლებული პუნქტები, სადაც უნდა განხორციელდეს გაზიფიცირების სამუშაოები, შესაბამისად გაიზარდა პოტენციური გაზიფიცირებული აბონენტების რაოდენობა (+160%).

3.8.3 ყაზბეგის მუნიციპალიტეტისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობისათვის მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურების ღონისძიება (პროგრამული კოდი 36 01 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

დაგეგმილი შუალედური შედეგები
ყაზბეგისა და დუშეთის მუნიციპალიტეტებში მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

მიღწეული შუალედური შედეგები
ზამთრის პერიოდში მაღალმთიან სოფლებში მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის შემსუბუქება.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი
პროგრამის ფარგლებში ზამთრის პერიოდში სუბსიდირების მიმღები მოსახლეობის რაოდენობა: 4 300 აბონენტი.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი
ყაზბეგის მუნიციპალიტეტისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან სოფლებში მუდმივად მცხოვრები 4 300 აბონენტი.

მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი
ყაზბეგის მუნიციპალიტეტში და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების მუდმივად მცხოვრები პროგრამით განსაზღვრული ბენეფიციარები - 5 700 აბონენტი.

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე
2017 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მიენიჭათ დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფლებს, რამაც გამოიწვია პროგრამით განსაზღვრული ბენეფიციარების როცხოვნობის ზრდა (+ 33%).

3.9 ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 36 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

- ✓ შპს ,,ენგურჰესი“

დაგეგმილი საბოლოო შედეგები
ჰიდროელექტროსდგურების აპროექტო სიმძლავრეზე გაყვანა და მათი საიმედოობის ამაღლება.

მიღწეული საბოლოო შედეგები
ენგურჰესს გააჩნია სრული საპროექტო სიმძლავრე.
ვარდნილჰესის მუშაობა საიმედოობა.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი
ელექტროენერგიის საშუალო წლიური გამომუშავება 3.6 მლრდ. კვ/სთ.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი
საშუალო წლიური გამომუშავების ზრდა.

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი
ენგურჰესის საპროექტო სიმძლავრე 1 300 მგვტ. ელექტროენერგიის გამომუშავება 4.2 მლრდ. კვტ/სთ.

3.10 საქართველოში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება (პროგრამული კოდი 24 08)

პროგრამის განმახორციელებელი:
- ✓ სსიპ - საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო;
- ✓ ა(ა)იპ - ოუფენ ნეტი

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- საქართველოს მუნიციპალიტეტებში ლაბორატორიების გახსნა ხელს შეუწყობს ნოვაციების, მეწარმეობის და სამრეწველო ინოვაციების განვითარებას, უზრუნველყოფს მაღალკვალიფიციური საინჟინრო-კვლევითი უნარების მქონე კადრების მიღებას;
- ტრენინგების შედეგად განხორციელდება საზოგადოების და მათ შორის ახალგაზრდების ჩართულობა საქართველოში უკეთესი ინოვაციური ეკოსისტემის ჩამოყალიბებაში და გაიზრდება ინოვაციური იდეები და შესაბამისად წარმატებული სტარტაპების რაოდენობა;

- გაჩნდება კომერციული პოტენციალის მქონე და ტექნოლოგიაზე ორიენტირებული ახალი ტიპის მომსახურება;
- მოსახლეობის 50%-ისათვის ხელმისაწვდომი იქნება ელექტრონული საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა მინიმუმ 30 მბ/წმ სიჩქარით.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- ქვეყნის მასშტაბით წარიმართა პროცესები საკვანძო ინოვაციური პროდუქტებისა და პროექტების გაჩენისათვის;
- პროგრამა დაეხმარა ქვეყნის მასშტაბით იმ პროცესების წარმართვას, რაც საკვანძოა ინოვაციური პროდუქტებისა და პროექტების გაჩენისთვის;
- გაძლიერდა საქართველოში არსებული სტარტაპ საზოგადოება;
- ხელი შეეწყო სტარტაპების მიერ საერთაშორისო ბაზრებზე თავის დამკვიდრებას და კერძო ინვესტიციების მოზიდვას;
- წარმატებით განხორციელდა ტრენინგები და კვალიფიკაციის ასამაღლებელი სხვა ღონისძიებები, რომელიც ხელს უწყობს საქართველოში საერთაშორისო მასშტაბით კონკურენტული შრომითი რესურსების ბაზის შექმნას;
- განხორციელდა ღონისძიებები ინტერნეტიზაციის პროცესის ხელშესაწყობად.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. საბაზისო მაჩვენებელი - საქართველოს მასშტაბით 2014-2016 წლებში შეიქმნა სხვადასხვა ტიპის ლაბორატორიები (ჯამში 9 ობიექტი, მათ შორის ტექნოპარკი თბილისსა და ზუგდიდში. ბენეფიციარების რაოდენობა 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენს 15 000 ერთეულს);

შენიშვნა: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ დაზუსტდა საბაზისო მაჩვენებელი 2016 წლის მდგომარეობით;

მიზნობრივი მაჩვენებელი - საქართველოს სხვადასხვა რეგიონში გაიხსნება სხვადასხვა ტიპის 21 ლაბორატორია და ინოვაციების ცენტრი;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - რეგიონებში არ გახსნილა ახალი ცენტრები.

ცდომილების მაჩვენებელი - ცდომილება მიზნობრივ და მიღწეულ მაჩვენებლებს შორის გამოწვეულია გარემოებებით: შეიცვალა არსებული პრიორიტეტები, ყურადღება დაეთმო არსებული ინოვაციის ცენტრების დატვირთულობის და არსებული თანამშრომლების პერფორმანსის ანალიზს; განხორციელდა დამატებითი კვლევითი ღონისძიებები ისეთი ინფრასტრუქტურის შესაქმნელად, რომელიც ხასიათდება შესაბამის რეგიონებში მაღალი საჭიროებით, ინოვაციების და ტექნოლოგიების გამომყენებლობის მაღალი დონის მიღწევის თვალსაზრისით; ხშირად მუნიციპალიტეტების მიერ შემოთავაზებული ინფრასტრუქტურა არ აკმაყოფილებდა მსოფლიო ბანკის სტანდარტებს/კრიტერიუმებს. 2018 წელს დაიგეგმა 2 ინოვაციის ცენტრისა და 1 ინოვაციის ჰაბის გახსნა.

2. საბაზისო მაჩვენებელი - მომზადებულია 53 IT მიმართულების ტრენერი და 613 IT სპეციალისტი. 2016 წელს დამატებით მომზადდება 120 ტრენერი, რომლებიც მოამზადებენ 4 800 სპეციალისტს. 2016 წლის იანვრიდან დღემდე ტექნოპარკში ჩატარდა დაახლოებით 150-მდე ღონისძიება, ტრენინგი, სემინარი და ვორქშოფი (დაახლოებით 10 000-მდე ადამიანმა მიიღო მონაწილეობა);

მიზნობრივი მაჩვენებელი - გადამზადებული ტრენერები მოამზადებენ 12 600 დამწყებ IT სპეციალისტს. ტექნოპარკში ჩატარებულ ღონისძიებებში მონაწილეობას მიიღებს/გადამზადდება 50 000 ადამიანი;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - ტრენინგი გაიარა 1 500-მდე სპეციალისტმა;

ცდომილების მაჩვენებელი - 2017 წლის მანძილზე არ დაფიქსირდა სამიზნე ჯგუფების აქტივობა/ შესაბამისი ინტერესი;

3. საბაზისო მაჩვენებელი - სტარტაპების დაფინანსება (მათ შორის მინი-გრანტების პროგრამა) დაფინანსებულია 17 ინოვაციური პროექტი;

მიზნობრივი მაჩვენებელი - დაფინასდება 47 ინოვაციური სტარტაპი როგორც საგრანტო პროგრამის, ასევე ბიზნეს ინკუბატორის პროექტის ფარგლებში;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - 2017 წელს საგრანტო პროგრამების ფარგლებში დაფინანსდა 61 ბენეფიციარი (5 000 ლარამდე);

ცდომილების მაჩვენებელი - 2017 წელს არ განხორციელებულა სტარტაპ საქართველოს და 50 000 ლარიანი გრანტებით დაფინანსება, ხოლო 5 000 ლარიანი გრანტების აპლიკანტებიდან მხოლოდ 56 აკმაყოფილებდა პოზიტიური გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო კრიტერიუმებს.

4. საბაზისო მაჩვენებელი - 2017 წლის პირველი იანვრისთვის დასრულდა ფართოზოლოვანი, ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო პროგრამის პირველი ეტაპი (ფინანსური ხელშეწყობის კომპონენტი), რომლის ფარგლებშიც დადგინდა სამიზნე გეოგრაფიული არეალი და გამოვლინდა ე.წ. თეთრი ზონები. კომერციული ოპერატორებისთვის ინვესტიციების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, შემუშავდა ფინანსურ რესურსებზე წვდომის მექანიზმები;

შენიშვნა: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ დაზუსტდა საბაზისო მაჩვენებელი;

მიზნობრივი მაჩვენებელი - საქართველოს დასახლებულ პუნქტებში ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარება და ინტერნეტ წვდომის უზრუნველყოფა მინიმუმ 30მბ/წმ სიჩქარით 2020 წლისათვის მოსახლეობის 50%-სათვის;

საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - მიმდინარეობდა ფართოზოლოვანი ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინფრასტრუქტურის მშენებლობისათვის აუცილებლი სამუშაოები.

3.7 მყარი ნარჩენების მართვის პროგრამა (პროგრამული კოდი - 25 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს აპარატი;
- ✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი;
- ✓ შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია“.

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

- ახალი რეგიონული სანიტარული ნაგავსაყრელები;
- საქართველოს მუნიციპალიტეტებში მყარი ნარჩენების მართვის სისტემის გაუმჯობესება;
- გაუმჯობესებული საცხოვრებელი პირობები.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- კეთილმოწყობილი ახალი რეგიონული სანიტარული ნაგავსაყრელები;
- მუნიციპალიტეტებში გაუმჯობესებული მყარი ნარჩენების მართვის სისტემა;
- მოსახლეობისათვის გაუმჯობესებული საცხოვრებელი პირობები.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

საბაზისო მაჩვენებელი:

- შეძენილი 102 კომპაქტორიანი ნაგავმზიდი მანქანები, 400 მყარი ნარჩენების კონტეინერები, 8 ერთეული ბულდოზერი, 2 ერთეული მძიმე ტექნიკა (დამტვირთველები) და 2 ერთეული თვითმცლელი სატვირთო ავტომანქანები.

შენიშვნა: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ დაზუსტდა საბაზისო მაჩვენებლები

მიზნობრივი მაჩვენებელი:

- დახურული ნაგავსაყრელი - 4 ერთეული; გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტი; კომპანიის ორგანიზაციული და ინსტიტუციური განვითარების კონცეფციის განხორციელება; სამშენებლო სამუშაოების განხორციელება; კომპაქტორიანი ნაგავმზიდი მანქანები - 146 ერთეული; მყარი ნარჩენების კონტეინერები - 7 195 ერთეული;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

- კეთილმოწყობილი 2 ნაგავსაყრელი; მოწყობილი 2 ნარჩენების გადამტვირთი სადგური; დახურული 5 ნაგავსაყრელი. დასრულდა 6 კონტეინერის, 3 ნაგავმზიდი მანქანის, 1 მუხლუხებიანი ექსკავატორ-დამტვირთველის, 146 კომპაქტორიანი ნაგავმზიდი მანქანების და 7 309 ნაგვის კონტეინერების შეძენა.

3.11 ინოვაციური ეკოსისტემის განვითარება (პროგრამული კოდი 24 13)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ-საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- პროექტი ხელს შეუწყობს ახალი ინოვაციური პროდუქტებისა და პროექტების გაჩენას მთელი ქვეყნის მასშტაბით;
- გაიზრდება მცირე და საშუალო მეწარმეების კონკურენტუნარიანობა;
- ამაღლდება კომპიუტერული წიგნიერება და გაიზრდება საერთაშორისო ბაზარზე დისტანციურად მომუშავე კვალიფიციური კადრი

მიღწეული საბოლოო შედეგები

- თუშეთში მდებარე მცირე საწარმოებს გაეზარდათ ინტერნეტის ხელმისაწვდომობა და ჩაუტარდათ ტრენინგი ელექტრონულ კომერციაში.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. საბაზისო მაჩვენებელი - მიმდინარეობს კვლევითი ხასიათის მოსამზადებელი სამუშაოები;

მიზნობრივი მაჩვენებელი - პროექტის ბენეფიციარების მიერ 60 ახალი სტარტ-აპ კომპანიის დარეგისტრირება;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - ახმეტის მუცნიციპალიტეტში ჩატარებული საპილოტე პროექტის ფარგლებში, ინტერნეტის ხელმისაწვდომობის გასაზრდელად ვაუჩერი გადაეცა 29 მეწარმეს, რომლებმაც წარმატებით ჩააბარეს ტესტი ელექტრონულ კომერციაში (ტრენინგში მონაწილეობდა 50 მეწარმე).

3.12 რეგიონებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების პოლიტიკის შემუშავება და მართვა (პროგრამული კოდი - 25 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს აპარატი;
- ✓ სსიპ - ვანო ხუხუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრი.

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

- რეგიონულ განვითარებასა და ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებაზე შემუშავებული საჯარო პოლიტიკის დოკუმენტები;
- შემუშავებული და განხორციელებული ინფრასტრუქტურული განვითარების პროექტები;
- საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად განვითარებული ინფრასტრუქტურა;
- საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად განხორციელებული დეცენტრალიზაციის პროცესი;
- გაზრდილი კვალიფიციური კადრების რაოდენობა მუნიციპალიტეტებში.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად განხორციელდა რეგიონული და მუნიციპალური განვითარების პროცესის მხარდაჭერის ღონისძიებები;
- შეიქმნა ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემა;
- გაიზარდა კვალიფიკაცია ამაღლებული მოხელეთა რაოდენობა მუნიციპალიტეტებში;

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

საბაზისო მაჩვენებელი:

- დეცენტრალიზაციისა და საჯარო პოლიტიკის კუთხით შემუშავებული 180 დოკუმენტი (ნორმატიული აქტები, სტრატეგია/საქმედო გეგმა და ა.შ.);
- ადამიანური რესურების მართვაზე 100-ზე მეტ მოხელეს გავლილი აქვს ტრეინინგები და სასწავლო პროგრამები.

მიზნობრივი მაჩვენებელი:

- გაზრდილი კვალიფიციური კადრების რაოდენობა მუნიციპალიტეტებში;
- შემუშავებული და განხორციელებული ინფრასტრუქტურული განვითარების პროექტები;
- საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად განვითარებული ინფრასტრუქტურა.

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

- ტრენინგის საფუძველზე კვალიფიკაცია ამაღლებული 117 მოხელე;
- მუნიციპალიტეტში დაფინანსებული 832 ინფრასტრუქტურული პროექტი;
- განხილული 40 სხვადასხვა საერთაშორისო ხელშეკრულებები/მემორანდუმები;
- შემუშავებული საკანონმდებლო აქტი - 38, საქართველოს მთავრობის დადგენილება - 181 და საქართველოს მთავრობის განკარგულება - 258;

- დეცენტრალიზაციისა და საჯარო პოლიტიკის კუთხით შემუშავებული დოკუმენტები (ნორმატიული აქტები, სტრატეგია/საქმედო გეგმა და ა.შ.);
- საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად განვითარებული ინფრასტრუქტურა.

ცდომილების მაჩვენებელი (% / აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე:

- ცდომილება გამოწვეულია სხვა გაუთვალისწინებელი მოვლენებით და დამატებითი სამუშაოებით.

3.13 ტექნიკური და სამშენებლო სფეროს რეგულირება (პროგრამული კოდი 24 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- ევროკავშირის ახალი და გლობალური მიდგომის დირექტივების პრინციპების გათვალისწინებით შექმნილი და საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტები;
- ევროკავშირის რეკომენდაციების გათვალისწინებით დანერგილი პროდუქტის უსაფრთხოების შემოწმების ახალი მიდგომები და პრინციპები, რომლებიც ასახულია ნორმატიულ აქტებში;
- გაუმჯობესებული და ევროპის ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკასთან დაახლოვებული ბაზარზე ზედამხედველობის სისტემა

მიღწეული საბოლოო შედეგები

- შემუშავდა ევროდირექტივებთან დაახლოებული საქართელოს მთავრობის დადგენილების შემდეგი პროექტები: ,,პოტენციურად ფეთქებადსაშიშ გარემოში გამოსაყენებლი აღჭურვილობებისა და დამცავი სისტემების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“; ,,სამშენებლო პროდუქტების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“;
- ინდუსტრიული და სამომხმარებლო პროდუქტების ბაზარზე ზედამხედველობის სისტემის გაუმჯობესების მიზნით, ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად, შემუშავდა საქართველოს კანონპროექტი ,,პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“, რომლითაც განისაზღვრა ბაზარზე ზედამხედველობის პროცედურები და შესაბამისი სანქციები;
- სააგენტოს საზედამხედველო ობიექტებზე წინა წლებთან შედარებით გაუმჯობესდა უსაფრთხოების მაჩვენებელი.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. საბაზისო მაჩვენებელი - ტექნიკური უსაფრთხოების სფეროში მიღებულია 5 ევროდირექტივასთან დაახლოებული ტექნიკური რეგლამენტი;

მიზნობრივი მაჩვენებელი - ორ ახალ ევროდირექტივასთან დაახლოებული 4 ტექნიკური რეგლამენტის მიღება (ერთი ტექნიკური რეგლამენტი ჰიდროენერგეტიკული ნაგებობების სფეროში და 3 გადამუშავებული ტექნიკური რეგლამენტი);

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - მომზადდა 2014/34/EU „ფეთქებად გარემოში მომუშავე მოწყობილობებისა და სისტემების შესახებ“ ევროდირექტივასთან დაახლოებული 1 ქართული ტექნიკური რეგლამენტის პროექტი და 305/2011 „სამშენებლო პროდუქტების შესახებ“ ევრორეგულაციასთან დაახლოებული 1 ქართული ტექნიკური რეგლამენტის პროექტი;

ცდომილების მაჩვენებელი - ცდომილება მიზნობრივ და მიღწეულ მაჩვენებლებს შორის გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ 2017 წელს ევროდირექტივების შესაბამისად შემუშავდა 2 ქართული ტექნიკური რეგლამენტის პროექტი, რომელთა დამტკიცება მოხდება 2018 წელს. ტექნიკური რეგლამენტის პროექტები მომზადებულია და მიმდინარეობს განხილვა.

2. საბაზისო მაჩვენებელი - უბედური შემთხვევების მაჩვენებელი: 4 უბედური შემთხვევა შახტებში და მაღაროებში (დაიღუპა 2 ადამიანი და დაშავდა 3 ადამიანი);

მიზნობრივი მაჩვენებელი - 100%-ით შემცირებული უბედური შემთხვევების რაოდენობა;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - 2015 წელს შახტებში, მაღაროებში და მღვიმეებში მოხდა - 4 უბედური შემთხვევა, 2016 წელს შახტებში და მაღაროებში - 2 უბედური შემთხვევა. ხოლო 2017 წელს 2 უბედური შემთხვევა.

3.14 ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობისათვის მარაბდა-კარწახის მონაკვეთზე კერძო საკუთრებაში არსებული მიწების გამოსყიდვა-კომპენსაცია (პროგრამული კოდი 24 10)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- დასრულდება ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის მარაბდა-კარწახის მიმართულებით თურქეთის საზღვრამდე სამშენებლო დერეფანში მოქცეული კერძო საკუთრებაში არსებული ნაგებობებისა და მწვანე ნარგავების ფართობების გამიჯვნა, შეფასება და სახელმწიფო საკუთრებაში მოქცევა.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- გამოსყიდულია 1 მიწის ნაკვეთი.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. საბაზისო მაჩვენებელი - ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობისათვის მარაბდა-ახალქალაქი-კარწახის მონაკვეთზე კერძო საკუთრებაში არსებული მიწებიდან გამოსყიდულია 27 ერთული;

მიზნობრივი მაჩვენებელი - პროექტის ფარგლებში გამოვლენილი კერძო საკუთრებებიდან სახელმწიფოს მიერ 145 ერთეული მიწის ნაკვეთის გამოსყიდვა;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - გამოსყიდულია 1 მიწის ნაკვეთი;

ცდომილების მაჩვენებელი - ცდომილება მიზნობრივ და მიღწეულ მაჩვენებლებს შორის გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ მარაბდა-კარწახის მონაკვეთზე სარკინიგზო მაგისტრალის თოვლით დანამქვრისგან დამცავი დამატებითი ნაგებობების მშენებლობისათვის საჭირო 96 ერთეული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეებთან მიმდინარეობდა შეთავაზება/მოლაპარაკებები და 2017 წლის ბოლოსათვის დარჩენილი დროის სიმცირის გამო ვერ განხორციელდა მიწის ნაკვეთების გამოსყიდვა.

3.15 ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 24 20)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარების სააგენტო

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- საინვესტიციო ხელშეკრულების სრულყოფილი შესრულება

მიღწეული საბოლოო შედეგები

- სააგენტოს მიერ მიმდინარეობდა მონიტორინგი განხორციელებულ ტექნიკურ ეკონომიკურ დასაბუთებებზე, გენერალურ გეგმასა და პორტის წინასწარ დიზაინზე

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. საბაზისო მაჩვენებელი - აქტივობები ჯერ არ განხორციელებულა;

მიზნობრივი მაჩვენებელი - პორტის აშენება და გამართული ფუნქციონირება

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - მიმდინარეობდა წინასამშენებლო სამუშაოების ფარგლებში ჩატარებული კვლევების თაობაზე უწყებებისა და ტექნიკური კონსულტანტების მიერ მომზადებული დასკვნების განხილვა, რომელთა საფუძველზეც ჩატარდა ანაკლიის ღრმაწყლოვან პორტთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი კომისიის სხდომები და შესაბამისად გაფორმდა 8 სხდომის ოქმი;

ცდომილების მაჩვენებელი - საინვესტიციო ხელშეკრულების ფარგლებში 2017 წლის განმავლობაში დაგეგმილი იყო წინასამშენებლო ფაზის ყველა სამუშაოს დასრულება. ინვესტორის მიერ ვერ მოხდა ვადების დაცვა და მოთხოვნილ იქნა რიგი ვალდებულებების გადავადება 2018 წელზე. ვინაიდან ვერ განხორციელდა სასესხო და საკონტეინერო ტერმინალის ოპერატორის ხელშეკრულებების შეთანხმება საქართველოს მთავრობასთან, არ მოხდა ტექნიკური და იურიდიული კონსულტანტის მომსახურების შესყიდვა.

3.16 სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტო (პროგრამული კოდი 24 15)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტო

- სამოქალაქო ავიაციის სააგენტომ ავსტრიულ კომპანია „Wucher Helikopter Gmbh“-სა და გერმანულ კომპანია „HTM Helicopter Travel Munich GmbH“-ზე გასცა ფრენების განხორციელების ნებართვა ზამთრის საკურორტო ზონებში, ხოლო ავსტრიული კომპანიას „Wucher Helikopter Gmbh“ მიენიჭა სტეფანწმინდა-გუდაურის საკურორტო ზონაში ფრენების განხორციელების ნებართვა;
- პირდაპირი საჰაერო მიმოსვლის დაწყების მიზნით საქართველოსა და ინდოეთის საავიაციო ხელისუფლებებს შორის გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი, რომლის საფუძველზეც ავიასაწარმოებს ეძლევათ პირდაპირი საჰაერო მიმოსვლის განახორციელების უფლება საქართველოსა და ინდოეთის რესპუბლიკის შემდეგი მიმართულებებით: დელი, მუმბაი, გოა, ჩენაი, ჰაიდერაბადი, ბენგალურუ. რაც შეეხება ინდოეთის მხარის მიერ დანიშნულ ავიაკომპანიებს, ისინი ფრენების განხორციელებას შეძლებენ საქართველოს სამივე საერთაშორისო აეროპორტში;
- სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ გაიცა საჰაერო მიმოსვლის განხორციელებისთვის აუცილებელი ნებართვები რამოდენიმე ქვეყნის ავიაკომპანიებზე (მათ შორის: „Gulf Air“ (ბაჰრეინის სამეფო), „Air Arabia Jordan” (იორდანია) რეგულარული საჰაერო ფრენების შესრულებაზე;

- სააგენტოს მიერ, ფრენის გაზრდილი სიხშირით რეგულარული ფრენების შესრულებისათვის აუცილებელი ნებართვა მიენიჭა შემდეგ ავიაკომპანიებს: „ყატარის ავიახაზები“; ყაზახური ავიაკომაპანია „Air Astana“; აზერბაიჯანული ავიაკომაპანია „Azerbaijan Airlines“; ყაზახური ავიაკომაპანია „SCAT Airlines“; ისრაელის წამყვანი ავიაკომპანია „El Al Israel Airlines“; „Ural Airlines“, ავიაკომპანია „Air Cairo“ და ქუვეითის სახელმწიფო ავიაკომპანია „Wataniya Airways“;
- საქართველოსა და რუსეთის დანიშნულების პუნქტებს შორის დაინიშნა მრავალჯერადი ჩარტერული რეისები. რუსულმა ავიაკომპანია „NordStar“-მა დაიწყო ჩარტერული ავიამიმოსვლა მოსკოვი-ბათუმი-მოსკოვის მიმართულებით (Boeing B737-800 ტიპის საჰაერო ხომალდით);
- სააგენტოს მიერ გაიცა საჰაერო მიმოსვლის განხორციელებისათვის აუცილებელი ნებართვა ავიაკომპანია არაბთა გაერთიანებული საემიროების წამყვან დაბალ ბიუჯეტიან ავიაკომპანიაზე „Flydubai“ (დუბაი-ბათუმი-დუბაის საჰაერო ხაზი, კვირაში 3 სიხშირით, Boeing 737-800 ტიპის საჰაერო ხომალდით);
- ბაქო-თბილისი-ბაქოს საჰაერო ხაზზე რეგულარული რეისების შესრულება „აზერბაიჯანის ავიახაზების“ („AZAL") ნაცვლად დაიწყო ამავე ავიაკომპანიის სტრუქტურის ქვეშ დაფუძნებულმა დაბალბიუჯეტიანმა ავიაგადამზიდველმა „Buta Airways";
- ქართულმა ავიაკომპანია „Georgian Airways“-მა დაიწყო ოპერირება თბილისი-ბეირუთი-თბილისი საჰაერო ხაზზე. გარდა ამისა, ავიაკომპანიამ დაიწყო ლონდონისა და პრაღის მიმართულებით პირდაპირი რეგულარული რეისების განხორციელება და განაახლა ოპერირება კიევისა და ხარკოვის მიმართულებებით;
- ამბროლაურის აეროდრომს მიენიჭა ვარგისობის სერტიფიკატი შემდეგი პარამეტრებით: ასაფრენ-დასაფრენი ზოლი (11/29) 1100მX30მ, ხელოვნური საფარის ტიპი - ასფალტო-ბეტონი, სამიმოსვლო ბილიკები - 1, სამაშველო და ხანძარსაწინააღმდეგო კატეგორია - III, ICAO-ს კოდი - UGAM, აეროდრომის კოდური აღნიშვნა - 2B, აეროდრომზე ფრენები სრულდება ვიზუალური ფრენის წესით (VFR);
- სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ICAO) ეგიდით თბილისში ჩატარდა სამუშაო შეხვედრა, რომლის მიზანს ფრენის პროცედურების დიზაინის/კარტოგრაფიის, მისი მომსახურების/ ზედამხედველობის საკითხებზე პრაქტიკული სწავლების უზრუნველყოფა და ასევე, ქვეყნებს შორის შესაბამისი გამოცდილების გაზიარება წარმოადგენდა. ღონისძიებაში მონაწილეობას იღებდნენ ICAO-ს ექსპერტები, სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს, „საქაერონავიგაციის“, პორტუგალიის, ავსტრიის, მოლდოვას, უკრაინისა და აზერბაიჯანის საავიაციო ხელისუფლებების წარმომადგენლები;
- გაიმართა სამუშაო შეხვედრა, რომელიც ეხებოდა სამოქალაქო ავიაციაზე ზეგავლენის მქონე დაბრკოლებების და რელიეფური ელექტრონული მონაცემების მიღების, შეთანხმების, მომხმარებლებამდე (ავიაკომპანიები) მიწოდებისა და აღნიშნული პროცესის ზედამხედველობის საკითხებს. ჯგუფის წარმომადგენლებმა მოისმინეს EUROCONTROL-ის ექსპერტის სემინარი ამ მიმართულებით არსებულ საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებზე;
- მიმდინარეობდა მუშაობა საკანონმდებლო ცვლილებებზე, კერძოდ:
    - ✓ დამტკიცდა ბრძანება „უპილოტო საჰაერო ხომალდების რეგისტრაციისა და ფრენის, აგრეთვე უპილოტო საჰაერო სისტემისა და უპილოტო საჰაერო ხომალდების ექსპლუატაციის, გამოყენებისა და შეზღუდვების წესების დამტკიცების შესახებ";
    - ✓ 2017 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდა უპილოტო საჰაერო ხომალდების ღია კატეგორიაში ექსპლუატაციისა და საჰაერო ხომალდის მოდელის ოპერირების მარეგულირებელი ნორმები;
    - ✓ 2017 წლის 1 ნოემბრიდან ძალაში შევიდა უპილოტო საჰაერო ხომალდების რეგისტრაციის, ასევე სპეციფიკურ კატეგორიაში ფრენის მოთხოვნები;
    - ✓ დამტკიცდა საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტის/საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის მოწმობის მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის, ასევე მგზავრის გარდაცვალებისას/სხეულის დაზიანებისას, მგზავრის გადაყვანის ან/და ბარგის გადაზიდვის შეფერხებისას, ბარგის დაკარგვისას, დაზიანებისას ან განადგურებისას საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის მოწმობის

მფლობელის მოვალეობების განსაზღვრის წესები (შევიდა ძალაში 1 ივლისიდან. ნორმატიული აქტები შემუშავებულია შესაბამისი ევროპული რეგულაციების (785/2004, 2027/97) და ,,საერთაშორისო საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვების ზოგიერთი წესის უნიფიკაციის შესახებ“ მონრეალის 1999 წლის კონვენციის მიხედვით);

- ✓ ევროპარლამენტის 2008 წლის 24 სექტემბრის N1008/2008 რეგულაციის მიხედვით შემუშავდა „საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის მოწმობის გაცემის წესი", რომელიც წარმოადგენს მგზავრთა უფლებებისა და ფრენების უსაფრთხოების დაცვის სამართლებრივი რეგულირების დამატებით მექანიზმს. მისი დანერგვით საქართველო ახდენს „ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ შეთანხმებით" (CAA-A) ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. ნორმატიული აქტის მოქმედება ვრცელდება საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებზე, რომლებიც ფლობენ სააგენტოს მიერ გაცემულ საჰაერო ხომალდების ექსპლუატანტის მოქმედ სერტიფიკატებს და კომერციული მიზნით (საკუთრებაში არსებული და/ან იჯარით აღებული საჰაერო ხომალდით) ახორციელებენ მგზავრის გადაყვანას, ფოსტის და/ან ტვირთის გადაზიდვას;

- საქართველო-ყაზახეთის ორმხრივი ეკონომიკური თანამშრომლობის მთავრობათაშორისი კომისიის მე-9 სხდომის ფარგლებში გაფორმდა საავიაციო ხელისუფლებებს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმი, რომელიც საავიაციო ხელისუფლებების მიერ დანიშნულ ავიაგადამზიდველებს საშუალებას აძლევთ დადგენილ მარშრუტებზე საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვები განახორციელონ ერთობლივი მარკეტინგული შეთანხმებების, მათ შორის ე.წ. „ზიარი კოდების“ გამოყენებით. ამასთან, მემორანდუმის თანახმად, ორი ქვეყნის დანიშნულების პუნქტებთან (თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, ასტანა, ალმა-ატა, აქტაუ) მიმართებაში კოდების ერთობლივი გამოყენება შესაძლებელი იქნება მესამე ქვეყნების ავიასაწარმოებთანაც;
- საქართველოსა და მაკედონიის რესპუბლიკის საავიაციო ხელისუფლებებს შორის გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი, რომელიც ითვალისწინებს თანამშრომლობის გაღრმავებას ევროკავშირის მოქმედი რეგულაციებისა და დირექტივების დანერგვის კუთხით და ასევე, ინფორმაციისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას საჰაერო ხომალდის ექსპლუატანტების (ავიაკომპანიების), აეროპორტების, საერნაოსნო მომსახურების საწარმოების სერტიფიცირება/ზედამხედველობის, საჰაერო ხომალდების რეგისტრაციის, ავიასპეციალისტთა ლიცენზირების, უცხო ქვეყნის საჰაერო ხომალდების ინსპექტირების (EU SAFA), საავიაციო უშიშროებისა და სხვა ძირითადი მიმართულებებით;
- საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოსა და „eDrone”-ს შორის გაფორმდა მემორანდუმი ასოცირებული პარტნიორობის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს საგანმანათლებლო კონსორციუმ „eDrone”-ის ფარგლებში თანამშრომლობას, დრონებთან დაკავშირებული ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობას და ამ მიმართულებით საგანმანათლებლო მოდულების, მონაცემთა ბაზების, პრაქტიკული და თეორიული ცოდნის გაცვლას;
- დასრულდა ევროკავშირის საჯარო სამსახურების დაძმობილების პროექტის „საქართველოს საავიაციო კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის სტანდარტებთან" განხორციელება. პროექტის მხარდაჭერით დასრულდა სამოქალაქო ავიაციის მოქმედი კანონმდებლობის ევროპულ რეგულაციებთან შესაბამისობის ანალიზი, გამოიცა ანგარიში სამართლებრივი ჩარჩოს განსხვავებების შესახებ, შემუშავდა ევროპული რეგულაციების გადმოტანისა და დანერგვის სამოქმედო გეგმა (სულ იდენტიფიცირებული იქნა 80 ევროპული რეგულაცია საავიაციო სექტორისათვის, აქედან პრიორიტეტულად განისაზღვრა 20-მდე რეგულაცია, რომლებზეც აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა ევროპელ ექსპერტებთან ერთად);
- განხორციელდა საავიაციო უსაფრთხოებასთან (ევროკომისიის რეგულაციები: 1321, PART 145, PART M, 340, 965, 216), საავიაციო უსაფრთხოების მართვასთან, ავიასპეციალისტების სერტიფიცირებასთან, საჰაერო მოძრაობის ორგანიზებასთან დაკავშირებული რეგულაციების სამართლებრივი ანალიზი, საავიაციო სისტემაზე, ინდუსტრიაზე, გარემოზე და მომხმარებლებზე ზეგავლენის შეფასება, მათი დანერგვის დროში გაწერა და შესაბამისი ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება;

- შედგა სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს სპეციალისტების სასწავლო ვიზიტები „ავსტროკონტროლში“, ხორვატიის სამოქალაქოო ავიაციის სააგენტოში და გერმანიის საერნაოსნო მომსახურების ზედამხედველობის ფედერალურ ორგანოში;
- დამტკიცდა ავიაკომპანიების ფრენის განრიგი ზამთრის სანავიგაციო სეზონისთვის (2017 წლის ოქტომბრის ბოლო კვირიდან 2018 წლის მარტის ბოლო შაბათამდე).

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- ევროპულ მარეგულირებელ აქტებთან ჰარმონიზებული და სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანილი საავიაციო კანონმდებლობა;
- დანერგილი უსაფრთხოების ევროპული სტანდარტები, მგზავრთა უფლებებისა და ინტერესების დაცვა, პროცედურების გამარტივება, მიმზიდველი საინვესტიციო გარემო და საერთაშორისო საავიაციო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობა;
- ICAO-ს კონვენციის, მისი დანართებისა და შესწორებების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანილი საქართველოს საავიაციო კანონმდებლობა

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- სრულად დაინერგა ევროკავშირის 3 რეგულაცია:
  - ✓ „უბედური შემთხვევებისას ავიაგადამზიდველის პასუხისმგებლობის შესახებ" საბჭოს 1997 წლის 9 ოქტომბრის № 2027/97 რეგულაცია;
  - ✓ „ავიაგადამზიდველებისთვის და საჰაერო ხომალდის ოპერატორებისთვის სადაზღვევო მოთხოვნების შესახებ" ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2004 წლის 21 აპრილის № 785/2004 რეგულაცია;
  - ✓ „ევროკავშირის ტერიტორიაზე გადაზიდვების წარმოების წესის შესახებ" ევროპარლამენტის 2008 წლის 24 სექტემბრის №1008/2008 რეგულაცია;
- „საავიაციო მოვლენათა შეტყობინების წესის" დამტკიცების შესახებ რეგულაცია განახლდა ევროკავშირის ახალი 376/2014 რეგულაციის საფუძველზე;
- ამოქმედდა ერთიანი ევროპულ საჰაერო ცისათვის ფრენის წინა მზადების ფაზაში ფრენის გეგმებისათვის მოთხოვნების და პროცედურების შესახებ კომისიის 2006 წლის 4 ივლისის 1033/2006 რეგულაციის შესაბამისად გამოცემული სააგენტოს დირექტორის 2016 წლის 26 აგვისტოს N113-ე ბრძანების „საქართველოს საჰაერო სივრცეში ფრენის წესების" მე-5 თავი;
- ნაწილობრივ დაინერგა 1 რეგულაცია - კომისიის 2009 წლის 18 დეკემბრის N1254/2009 რეგულაციასთან დაახლოება, რომელიც აწესებს კრიტერიუმს წევრი სახელმწიფოებისათვის სამოქალაქო ავიაციის უშიშროების ერთიანი ძირითადი სტანდარტების უგულვებელყოფისა და უშიშროების ალტერნატიული ღონისძიებების მიღების უფლების მისაცემად (ნაწილობრივ ასახულია ეროვნულ ნორმატიულ აქტებში. ასევე, საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს საჰაერო კოდექსში ცვლილება, რის მიხედვითაც სააგენტოს დირექტორს გარკვეულ შემთხვევებში მიენიჭა გამონაკლისის დაშვების უფლებამოსილება);
- შემუშავდა ნორმატიული აქტის 4 პროექტი: „ავიასამედიცინო ცენტრის, ავიასამედიცინო ექსპერტის სერტიფიცირების და ავიასპეციალისტის სამედიცინო სერტიფიცირების წესი"; „ეკიპაჟის წევრების და მათი სასწავლო დაწესებულებების სერტიფიცირების წესები“; „საჰაერო

ხომალდების საწაფის სერტიფიცირების წესი" და მთავრობის დადგენილების პროექტი „2150/2005 ევროკომისიის 2005 წლის 23 დეკემბრის საჰაერო სივრცის მოქნილად გამოყენების საერთო წესების დადგენის შესახებ" რეგულაციის საფუძველზე;

- ეროვნულ კანონმდებლობაში დაინერგა სამოქალაქო ავიაციის შესახებ ჩიკაგოს კონვენციის 2 დანართი (მე-4 და მე-5), შემუშავდა 4 პროექტი (მე-10, მე-11, მე-14 და მე-15 დანართები);
- დამტკიცდა უპილოტო საჰაერო ხომალდების ექსპლუატაციის წესების 1 რეგულაცია;
- ICAO-ს საბჭოს პრეზიდენტის მიერ დადებითად შეფასდა საქართველოში საავიაციო უსაფრთხოებისა და უშიშროების დონის გაუმჯობესების მიმართულებით განხორციელებული ცვლილებები და სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ICAO-ს პარიზის ბიუროს დირექტორისაგან გადაეცა სერტიფიკატი.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. საბაზისო მაჩვენებელი - იდენტიფიცირებულია და დანერგილია 5 ერთეული რეგულაცია;

მიზნობრივი მაჩვენებელი - 2017 წელს დაინერგება/განახლდება 30 რეგულაცია; 2018 - 52 რეგულაცია; 2019 - 72 რეგულაცია; 2020 - 87 რეგულაცია;
მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - 2017 წელს დაინერგება/განახლდება 5 რეგულაცია;
ცდომილების მაჩვენებელი - დაგეგმილ და მიღწეულ შედეგებს შორის ცდომილება გამოწვეულია დასანერგი რეგულაციების რაოდენობით, სირთულით და შესაბამისი კადრების ნაკლებობით.

2. საბაზისო მაჩვენებელი - გადამზადებულია 31 ერთერული ფრენის უსაფრთხოების ინსპექტორი;

მიზნობრივი მაჩვენებელი - უსაფრთხო აერნაოსნობის უზრუნველყოფის მიზნით ინსპექტორების გადამზადება;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - გადამზადებული ინსპექტორების რაოდენობაა 32 ერთეული.

3.17 სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო (პროგრამული კოდი 24 16)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო

- დაიწყო საერთაშორისო სტანდარტის „ISO 9001:2015” დანერგვა, რამაც საფუძველი ჩაუყარა ხარისხის მართვის სისტემის განახლებული მეთოდების დანერგვას სააგენტოში;
- მიმდინარეობდა მეზღვაურთა შრომის კოდექსის შემუშავება საზღვაო შრომის კონვენციის (MLC 2006), ევროკავშირის 1999/63/EC (20/05/2009 ცვლილებით) დირექტივებისა და საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით, რომელიც დაარეგულირებს მეზღვაურთა დასაქმების, სოციალურ და საყოფაცხოვრებო პირობებს;
- შემუშავდა და ექსპლუატაციაში გაეშვა გემების სახელმწიფო ელექტრონული რეესტრი, საიდანაც გაცემული სარეგისტრაციო მოწმობების Online ვერიფიკაცია შესაძლებელია სააგენტოს ვებ-გვერდის შესაბამისი მოდულის მეშვეობით;
- სააგენტომ შეუსაბამობების გარეშე გაიარა გარე სადამკვირვებლო აუდიტი;
- სააგენტომ განახორციელა შემდეგი საერთაშორისო კონვენციების სარატიფიკაციო პროცედურების ინიცირება:
    - ✓ ,,საბუნკერო საწვავით დაბინძურების შედეგად გამოწვეული ზარალის გამო წარმოშობილი სამოქალაქო პასუხისმგებლობის შესახებ'';
    - ✓ „ათენის 2002 წლის კონვენცია ზღვით მგზავრების გადაყვანისა და ბარგის გადაზიდვის შესახებ“;
    - ✓ „1988 წლის პროტოკოლი, საერთაშორისო კონვენცია სატვირთო მარკის შესახებ 1966 წლის ცვლილებათა გათვალისწინებით“;
    - ✓ „გემებზე მავნე დაბინძურების საწინააღმდეგო სისტემის კონტროლის შესახებ, 2001“;
    - ✓ „ზღვით მგზავრების გადაყვანისა და ბარგის გადაზიდვის შესახებ“ 1974 წლის საერთაშორისო კონვენციის დენონსაციაზე;
    - ✓ „ზღვით მგზავრების გადაყვანისა და ბარგის გადაზიდვის შესახებ“ 1974 წლის საერთაშორისო კონვენციის 1976 წლის ოქმის დენონსაციაზე.
- მომზადდა: „გემებისა და ნავსადგურების უშიშროების წესების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი; „მეზღვაურთა დასაქმების შესახებ" საქართველოს კანონის პროექტი და „საქართველოს ბალასტური წყლის მართვის ეროვნული სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი.

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებული საქართველოს საზღვაო კანონმდებლობა;
- საქართველოს ნავსადგურებსა და ტერიტორიულ წყლებში უზრუნველყოფილი უსაფრთხო ნაოსნობა

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- განხორციელებული ცვლილების საფუძველზე დარეგისტრირდა საერთაშორისო ნაოსნობაში ჩართული ოთხი იახტა, ერთი ბალკერი, ერთი ტანკერი, ერთი მშრალტვირთმზიდი (რეფრეჟერატორი), რვა თევზსაჭრი გემი და შიდა ნაოსნობაში ჩართული 216-მდე ახალი მცურავი საშუალება;
- სააგენტომ შეუსაბამობების გარეშე გაიარა გარე სადამკვირვებლო აუდიტი;

- გაიზარდა მოთხოვნა მაღალკვალიფიციურ ქართველ მეზღვაურებზე. საკრუინგო კომპანიების მიერ მოწოდებული მონაცემების საფუძველზე, 2016 წელთან შედარებით 2017 წელს გამოიკვეთა 2%-იანი ქართველი მეზღვაურების დასაქმების ზრდა (2016 წელთან შედარებით დასაქმდა 100-ზე მეტი მეზღვაური).
- საანგარიშო პერიოდში შენარჩუნდა საქართველოს დროშის ქვეშ მცურავი საშუალებების დაკავების ნულოვანი მაჩვენებელი.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები

1.საბაზისო მაჩვენებელი - დროშის ადმინისტრირება და სახელმწიფო კონტროლის ხარისხი - საქართველო იმყოფება რუხი დროშის კატეგორიაში;

მიზნობრივი მაჩვენებელი - საქართველოს დროშის ადმინისტრაციის იმიჯის გაზრდა საერთაშორისო დონეზე. საერთაშორისო ნაოსნობაში ჩართული გემების მოზიდვა, რაც ხელს შეუწყობს PARIS MOU-სა და TOKYO MOU-ს შავი/რუხი/თეთრი დროშის კატეგორიებში ქართული დროშის პოზიციების გაუმჯობესებას;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - საქართელოს დროშას პოზიციონირება არ შეუცვლია. ამჟამად, საერთაშორისო ნაოსნობაში რეგისტრირებული 16 მცურავი საშუალება იმყოფება ქართული დროშის ქვეშ (2016 წელს საერთაშორისო ნაოსნობაში რეგისტრირებული იყო 10 მცურავი საშუალება);

2. საბაზისო მაჩვენებელი - 2012 წელს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტომ მოიპოვა საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001:2008 ხარისხის მართვის სისტემის შესაბამისობის სერტიფიკატი 3 წლის ვადით. 2015 წელს სერტიფიკატის ვადის ამოწურვასთან დაკავშირებით, სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტომ გაიარა სარესერტიფიკაციო აუდიტი ISO 9001:2008 სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე, რომელიც ჩატარდა სასერთიფიკაციო ორგანიზაცია „TÜV SÜD Management Service GmbH“-ის მიერ;
მიზნობრივი მაჩვენებელი - 2015 წლის 15 სექტემბერს დამტკიცებული საერთაშორისო სტანდარტის ISO 9001:2015 ვერსიის დანერგვა და იმპლემენტაცია. 2018 წელს ახალი სტანდარტით სასერტიფიკაციო აუდიტის გავლა;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - 2017 წლის მაისის თვეში სააგენტომ შეუსაბამობების გარეშე გაიარა გარე სადამკვირვებლო აუდიტი.

3. საბაზისო მაჩვენებელი - საზღვაო შრომის კონვენციის MLC 2006 და ევროკავშირის 1999/63/EC (20/05/2009 ცვლილებით) დირექტივისა და აგრეთვე, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით მიმდინარეობს მეზღვაურთა შრომის კოდექსის შემუშავება;
მიზნობრივი მაჩვენებელი - მეზღვაურთა შრომის კოდექსზე მუშაობის დასრულება და მისი ამოქმედება, რომელიც დაარეგულირებს მეზღვაურთა დასაქმების, სოციალურ და საყოფაცხოვრებო პირობებს;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - მეზღვაურთა შრომის კოდექსი 2017 წელს არ ამოქმედებულა;

ცდომილების მაჩვენებელი - ასოცირების შესახებ შეთანხმების შესაბამისად, საქართველოს აღებული აქვს ვალდებულება დანერგოს 1992 წლის 31 მარტის საბჭოს 92/29/EEC დირექტივა „გემების ბორტზე გაუმჯობესებული სამედიცინო მკურნალობის მიზნით უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის მინიმალური მოთხოვნების შესახებ“, 1999 წლის 21 ივნისის საბჭოს 1999/63/EC დირექტივა, რომელიც ეხება „მეზღვაურთა სამუშაო დროის ორგანიზების შესახებ“ და 1999 წლის 13 დეკემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 1999/95/EC დირექტივა „გაერთიანების ნავსადგურებში შემოსული გემების ბორტზე მეზღვაურთა სამუშაო საათებთან მიმართებით დებულებების ამოქმედების თაობაზე”. ზემოაღნიშნული დირექტივების დანერგვის ვადაა 2018-2019 წლები. აღნიშნულის გათვალისწინებით, მეზღვაურთა შრომის საერთაშორისო კონვენციის რატიფიკაცია დაგეგმილია 2018 წლისათვის და ასევე, მომზადდება საქართველოს კანონი „მეზღვაურთა დასაქმების შესახებ“.

3.18 სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო (პროგრამული კოდი 24 17)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო

- ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების მიზნით, მომზადდა ტექნიკური რეგლამენტები: „ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და მათი მისაბმელების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების შესახებ“ და „გარკვეული კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებების გზებზე გამოყენებისათვის ნებადართული მაქსიმალური გაბარიტებისა და ნებადართული მაქსიმალური მასის განსაზღვრის შესახებ“;
- ქ. ბათუმში გაიმართა საავტომობილო ტრანსპორტის სფეროში საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოების ექსპერტთა ორმხრივი შერეული კომისიის სხდომა, სადაც განიხილულ იქნა როგორც ორ ქვეყანას შორის, ასევე მათ ტერიტორიებზე ტრანზიტით რეგულარული საერთაშორისო სამგზავრო გადაყვანისას არსებული და ბოლო დროს წარმოქმნილი პრობლემები;
- ქ. თბილისში გაიმართა საავტომობილო ტრანსპორტის სფეროში საქართველოსა და ბელარუსიის რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოების ექსპერტთა ორმხრივი შერეული კომისიის სხდომა, სადაც განიხილულ იქნა საავტომობილო მიმოსვლის სფეროში არსებული მდგომარეობა, პრობლემური საკითხების გადაჭრის გზები და ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივები;
- მონაწილეობა იქნა მიღებული ქ. პარიზში გამართულ საავტომობილო ტრანსპორტის მუშა ჯგუფის სხდომაში. განხილული იქნა „ხარისხის ქარტიის“ საქართველოში დანერგვის პროცესი, რაც გულისხმობს მაღალი ხარისხის საავტომობილო სისტემის ფორმირებას, საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაციას ევროკავშირის კანონმდებლობასთან, გადაზიდვების არეალის გაფართოებას, კონკურენტუნარიანი გადამზიდველის ჩამოყალიბებას, ევროპის ბაზარზე დამატებითი კვოტების მოპოვებას და შემოსავლების ზრდას;
- CPC მენეჯერების მოსამზადებელი სასწავლო პროცესის უზრუნველყოფისათვის ჩატარდა სრული სალექციო კურსი (120 აკადემიური საათი) საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით (გადამზადდა 10 მენეჯერი);

- საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვების განმახორციელებელმა 410 მძღოლმა გაიარა სრული კურსი ციფრული ტაქოგრაფის შესახებ, ხოლო 32-მა cpc driver;
- სააგენტოს მიერ გაიცა:
    - ✓ საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვის 75 000-მდე ორმხრივი ნებართვა; 942 ECMT-სისტემის ნებართვა; 51 800 ფირნიშის ბლანკი;
    - ✓ ECMT-ს სერტიფიკატის 2 103 კომპლექტი, მათ შორის: სატვირთო ავტომობილის გზისთვის ვარგისობის ტესტის სერტიფიკატი – 921; მისაბმელის (ნახ. მისაბმელის) გზისთვის ვარგისობის ტესტის სერტიფიკატი – 865; სატვირთო ავტომობილის ტეკნიკური და უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესატყვისობის სერტიფიკატი - 35; მისაბმელის (ნახ. მისაბმ.) ტექნიკური უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესატყვისობის სერტიფიკატი – 282;
    - ✓ დაშვების მოწმობები განსაზღვრულ სახიფათო ტვირთების საერთაშორისო გადაზიდვების განსახორციელებლად 916 ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე.

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- გაზრდილი სატვირთო გადაზიდვების მოცულობა/სამგზავრო გადაყვანების არეალი და უსაფრთხოების დონე;
- ქვეყნის განახლებული ავტოპარკი;
- განვითარებული სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა;
- გაზრდილი კვალიფიციური მძღოლების/ტრანსპორტის მენეჯერების რაოდენობა და კონკურენტუნარიანი სატრანსპორტო კომპანიების რიცხვი;
- თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ტრენინგ-ცენტრის არსებობა

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- საავტომობილო და სპეციალური ტრანსპორტის გადაზიდვებისა და მგზავრთა გადაყვანების უსაფრთხოების მაჩვენებელი საერთაშორისო სტანდარტებთან მიმართებაში გაუმჯობესებულია 25%-ით;
- 85.8%-ით გაიზარდა გაცემული ორმხრივი სატვირთო გადაზიდვის ნებართვების რიცხვი 2016 წელთან მიმართებაში;
- განახლდა სატვირთო გადაზიდვებზე მომუშავე ავტოპარკის ნაწილი;
- ავტოტრანსპორტის და საგზაო ინფრასტრუქტურის მდგომარეობის შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან მიმართებაში გაუმჯობესებულია 25%-ით;
- 410 მძღოლმა გაიარა სრული კურსი ციფრული ტაქოგრაფის შესახებ, რაც განაპირობებს უსაფრთხოების მაჩვენებელის ზრდას.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები

1.საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად გაიცემა 34 000 საერთაშორისო სატვირთო გადაზიდვის ნებართვა;

მიზნობრივი მაჩვენებელი - გაიზრდება კვალიფიციური მძღოლების და მენეჯერების რაოდენობა;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - საერთაშორისო სატვირთო გადაყვანებთან დაკავშირებით გაცემულია 75 000-მდე ნებართვა.

2.საბაზისო მაჩვენებელი - მენეჯერების მომზადება დაიწყო 2016 წელს. წლის ბოლომდე მომზადდება დაახლოებით 30 მენეჯერი და 360 მძღოლი. ტრენინგ ცენტრის მშენებლობისათვის გადაცემულია მიწა და მიმდინარეობს პროექტის მომზადება;

მიზნობრივი მაჩვენებელი - გაიზრდება კვალიფიციური მძღოლების და მენეჯერების რაოდენობა, კერძოდ: 2017 წელს მომზადდება 30 მენეჯერი და 380 მძღოლი, 2018 წელს - 40 მენეჯერი და 380 მძღოლი, 2019 წელს - 50 მენეჯერი და 450 მძღოლი, 2018 წელს - 60 მენეჯერი და 500 მძღოლი;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - მომზადდა 10 ტრანსპორტის მენეჯერი და 410 მძღოლი. დასრულდა ტრენინგ-ცენტრის პროექტის მომზადება.

ცდომილების მაჩვენებელი: მომზადებული ტრანსპორტის მენეჯერის რაოდენობა დაგეგმილთან შედარებით ნაკლებია და შეადგენს 33%-ს, რაც გამოწვეულია მომხმარებლების მხრიდან შესაბამისი მომსახურების მოთხოვნის კლებით.

3.19 სსიპ - საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური (პროგრამული კოდი 24 18)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური

- საზღვაო და სახმელეთო სანავიგაციო საშუალებებს ტექნიკური მომსახურება ჩაუტარდა გეგმით გათვალისწინებული სქემით. სანავიგაციო ნიშნებზე განხორციელდა საერთაშორისო სტანდარტებით მინიჭებული მახასიათებლების კონტროლი (კონსტრუქციის ფორმა, პარამეტრები, შეფერილობა, ოპტიკური მანათობელი აპარატის გამოკრთომის ფერი, სიხშირე, ხედვის სიშორე და ა.შ.). ძველი, ამორტიზირებული და გარე

ფაქტორების ზემოქმედების გამო დაზიანებული სანავიგაციო ნიშნები ჩანაცვლდა ახლით და მცურავი სანავიგაციო ნიშნები განთავსდა უსაფრთხო ნავიგაციისათვის ოპტიმალურ კოორდინატებში;

- სანავიგაციო ნიშნების დასაკომპლექტებლად და უკვე დაკომპლექტებული მცურავი საზღვაო სანავიგაციო ნიშნების სარემონტოდ შეძენილ იქნა საზღვაო საღუზე ჯაჭვები და ჯაჭვის ნაწილები;
- გამართული მუშაობის უზრუნველსაყოფად, ბათუმის ნავსადგურში განთავსებული საზღვაო სანავიგაციო ნიშნებისათვის დამონტაჟდა მულტიცენტრული მართვის ერთიანი სისტემის უნივერსალური მონიტორინგის შემადგენელი ნაწილის GPS-GSM მოდული, რომელიც დაპროექტებულია შუქურების სამსახურის საერთაშორისო ასოციაციის რეკომენდაციის მიხედვით;
- აჭარის მონაკვეთზე, სარფის სახმელეთო გამსწორის უკანა სახაზე ნიშანზე და ფოთის გამსწორის სახაზე ნიშანზე დამონტაჟდა მზის ენერგიაზე მომუშავე საზღვაო დიოდური ფარანი. ბათუმის პორტში საზღვაო სანავიგაციო ნიშნებზე გამოიცვალა მზის ენერგიაზე მომუშავე დიოდური საზღვაო ფარნები, ქერქეჭელებზე დამონტაჟდა სინათლის საზღვაო დიოდური ფარანი GPRS/GSM სისტემით;
- ყულევის პორტში არსებული ამორტიზირებული ქერქეჭელები დაკომპლექტდა ახალი საზღვაო სანავიგაციო ქერქეჭელებით და შევიდა ექსპლუატაციაში;
- ბათუმის ნავსადგურის ტერიტორიაზე განთავსდა რადიოლოკაციური მოპასუხე (Racon), რომლის მეშვეობით მცურავ საშუალებებს მათზე განთავსებული რადარების მეშვეობით უკვე შეუძლიათ ნებისმიერ მეტეოროლოგიურ პირობებში ადგილმდებარეობის იდენტიფიცირება;
- სანავიგაციო ნიშნების ტექნიკური მომსახურების სრულყოფილად და ხარისხიანად ჩასატარებლად რეკონსტრუქცია ჩაუტარდა სანაპირო გემთამწე ნაგებობას-დისტანციური მართვის ტელფერის ლითონის კარკასულ ნაგებობას;
- ბათუმის ნავსადგურში განთავსდა ზღვის დონის და ნჩქრევის (ტიაგუნის) საზომი ხელსაწყო მარიოგრაფი;
- უსაფრთხო ნაოსნობის მხარდასაჭერად სამსახურმა შეიძინა ჰიდროგრაფიული და გეოდეზიური კვლევების პროგრამა HYPACK-ის დამატებით ერთი ლიცენზია. აღნიშნულის მეშვეობით უკვე რამოდენიმე მომხმარებლის მიერ ოპერატიულად ხდება ზღვაში განთავსებული სანავიგაციო ნიშნების, ზღვაზე არსებული სიღრმეების, საზღვაო რაიონების, პორტამდე მისასვლელი სამარშუტო გზების, მოძრავი გამყოფი სისტემების, წრიული მოძრაობის რაიონების, ნაოსნობისთვის განსაკუთრებული სიფრთხილის რაიონებისა და სხვა უსაფრთხოების თვალსაზრისით არსებული ყველა ინფორმაციის შემცველი მონაცემების ასახვა ელექტრონულ ან ქაღალდის რუქებზე;
- შავი ზღვის საქართველოს პასუხისმგებლობის ზონაში განხორციელდა ბათიმეტრიული კვლევები, შესწავლილ იქნა დაგეგმილი რაიონები, მოხდა პროგრამული დამუშავება. ასევე ახალი კვლევები ჩატარდა იდენტიფიცირებულ რაიონებში და დადარებულ იქნა საბაზისო მონაცემებთან. მოპოვებული მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების შედეგად გამოიცა ქაღალდის სანავიგაციო რუქა GE-102, ხოლო GE-101 და GE-103 დაკორექტირდა/განახლდა ახალი მონაცემების საფუძველზე;

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- საქართველოს ტერიტორიულ წყლებსა და სანაპიროებზე დანერგილია თანამედროვე სანავიგაციო საშუალებები, რომელიც უზრუნველყოფს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას (სხვადასხვა ტონაჟის გემების საქართველოს პორტებში უსაფრთხო შემოსვლა);
- საქართველოს საზღვაო პასუხისმგებლობის ზონაში და სანაპირო ზოლში უზრუნველყოფილია უსაფრთხო ნაოსნობა.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- განხორციელდა სანავიგაციო საშუალებების შეძენა–ჩანაცვლება ახალი თანამედროვე მოწყობილობა–დანადგარებით. მცურავი სანავიგაციო ნიშნები განთავსდა უსაფრთხო ნავიგაციისათვის ოპტიმალურ კოორდინატებში.
- ბათუმის ნავსადგურში განთავსდა ზღვის დონის და ნჩქრევის (ტიაგუნის) საზომი ხელსაწყო მარიოგრაფი, რომლის მეშვეობითაც ხდება ნჩქრევის (ტიაგუნის) პროცესში გემების გაფრთხილება საშიშროების შესახებ მათი უსაფრთხო ნაოსნობის უზრუნველსაყოფად. ხელსაწყოს დამონტაჟების შემდეგ შესაძლებელი გახდა ზღვის დონის ცვლილების და ნჩქრევის სიმძლავრის დადგენა. აღნიშნული დროთა განმავლობაში მოგვცემს სტატისტიკის შექმნის საშუალებას, რომელიც აუცილებელია საქართველოს პორტების სამომავლო განვითარებისათვის. ასევე გაცილებით უსაფრთხო გახდა პორტში არსებული და ბაგირზე დაბმული გემების მომსახურება, რაც ხელს უწყობს ზღვაზე უსაფრთხო ნაოსნობას.
- რუქების პორტფოლიოში დაემატა ახალი რუქები. ახალი ტექნოლოგიების დანერგვის შედეგად სანავიგაციო, ელექტრონული და ქაღალდის რუქები იწარმოება მაღალ პროფესიულ დონეზე.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები

1.საბაზისო მაჩვენებელი - საზღვაო პასუხისმგებლობის ზონაში, ნავსადგურებსა და მისასვლელ არხებზე განთავსებულია სახმელეთო და მცურავი სანავიგაციო ნიშნები, რომლებიც არ პასუხობს თანამედროვე სტანდარტებს;

მიზნობრივი მაჩვენებელი - სანავიგაციო საშუალებების შეძენა/ჩანაცვლება ახალი თანამედროვე მოწყობილობა–დანადგარებით; უსაფრთხო ნავიგაციისათვის მცურავი სანავიგაციო ნიშნების განთავსება ოპტიმალურ კოორდინატებში;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - უსაფრთხო ნაოსნობის უზრუნველსაყოფად საზღვაო პასუხისმგებლობის ზონაში, ნავსადგურებსა და მისასვლელ არხებზე სახმელეთო და მცურავ სანავიგაციო ნიშნებს თანამედროვე ტექნოლოგიების გათვალისწინებით ჩაუტარდა ტექნიკური მომსახურება გეგმით გათვალისწინებული სქემით; მცურავი სანავიგაციო ნიშნების განთავდა უსაფრთხო ნავიგაციისათვის ოპტიმალურ კოორდინატებში.

2.საბაზისო მაჩვენებელი - ანაკლიაში მეტეოროლოგიური მონაცემების (ტალღის სიმაღლე, წყალქვეშა დინებები და მიმართულებები) ონლაინ–რეჟიმში მიღებისათვის საჭირო აქტივობები არ არის განხორციელებული;

მიზნობრივი მაჩვენებელი - მეტეოროლოგიური მონაცემების ონლაინ–რეჟიმში მიღება;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - აქტივობები არ არის განხორციელებული.

ცდომილების მაჩვენებელი - ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის დასრულების შემდეგ, გემების პორტში უსაფრთხო შესვლა გამოსვლის უზრუნველსაყოფად დამონტაჟდება ოკეანოგრაფიული-მეტეოროლოგიურ ტივტივა, რომლის მეშვეობითაც განხორციელდება მეტეოროლოგიური მონაცემების ონლაინ–რეჟიმში მიღება - 2020წ.

3. საბაზისო მაჩვენებელი - ზღვის ბათიმეტრიული კვლევების შედეგად შექმნილია ქაღალდისა და სანავიგაციო ელექტრონული რუკები, რომლებიც გემების კაპიტნებისათვის უზრუნველყოფენ უსაფრთხო საზღვაო მარშრუტების მიწოდებას;

მიზნობრივი მაჩვენებელი - რუკების პორტფოლიოში ახალი რუკების დამატება, სანავიგაციო, ელექტრონული და ქაღალდის რუკების წარმოება მაღალ პროფესიულ დონეზე;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - კარტოგრაფიული განყოფილების მოდერნიზაციის, ახალი დანადგარებისა და პროგრამების შეძენის, კადრების კვალიფიკაციის დონის ამაღლების შედეგად, ბათიმეტრიული კვლევების საფუძველზე შეიქმნა საქართველოს ტერიტორიული წყლების და პორტების საზღვაო რუქები. საერთაშორისო რუქების კატალოგში საქართველოს საზღვაო რუკები GE ლოგოთი გამოქვეყნდა და განხორციელდა მომხმარებლამდე მიწოდება უსაფრთხო ნაოსნობის უზრუნველსაყოფად.

4. პრიორიტეტი – განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადება

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2017 წლის დაზუსტებული გეგმა	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	2016 წლის ფაქტიური დაფინანსება	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები	მ.შ.საკუთარი სახსრები
32 02	ზოგადი განათლება	653,926.2	645,430.6	648,296.9	642,603.0	5,693.9
32 04	უმაღლესი განათლება	459,055.7	127,024.4	402,220.3	120,066.2	282,154.1
32 07	საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარება	117,091.2	117,091.2	116,447.9	116,447.9	0.0
32 08	ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს	93,955.0	93,955.0	100,898.3	100,898.3	0.0
32 05	მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა	63,250.9	60,262.5	63,233.0	61,421.6	1,811.3
29 02	წვრთნა და სამხედრო განათლება	40,597.4	39,435.5	40,211.4	39,165.3	1,046.1
32 03	პროფესიული განათლება	59,112.3	31,859.8	49,376.4	31,024.8	18,351.5

კოდი	დასახელება	2017 წლის დაზუსტებული გეგმა	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	2016 წლის ფაქტიური დაფინანსება	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები	მ.შ.საკუთარი სახსრები
32 01	განათლებისა და მეცნიერების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა	25,113.3	21,305.0	24,710.9	21,439.5	3,271.4
33 03	სახელოვნებო განათლების სისტემის ხელშეწყობა	33,531.5	20,158.4	28,586.4	20,101.5	8,485.0
01 02	საბიბლიოთეკო საქმიანობა	7,590.0	7,590.0	7,525.4	7,525.4	0.0
30 03	სამართალდამცავი სტრუქტურებისათვის მაღალკვალიციფიური კადრების მომზადება, გადამზადება, საარქივო ფონდების დიგიტალიზაცია, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა და მოქალაქეთა მომსახურება	7,392.1	6,397.1	7,348.9	6,754.4	594.5
32 06	ინკლუზიური განათლება	4,864.8	4,864.8	4,785.4	4,785.4	0.0
32 09	თბილისის საჯარო სკოლების რეაბილიტაცია და ენერგო ეფექტურობის გაზრდის პროექტი (CEB, E5P)	4,000.0	4,000.0	0.0	0.0	0.0
58 00	სსიპ - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია	4,290.0	3,850.0	4,094.6	3,802.3	292.3
26 04	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა გადამზადება და სასწავლო ცენტრის განვითარება	5,148.5	1,835.0	4,467.1	1,888.4	2,578.7
09 02	მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების მომზადება-გადამზადება	1,633.8	1,530.0	1,610.8	1,525.2	85.6
32 10	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტრუქტურაში, ჰიდროტექნიკური კვლევების ლაბორატორიის ჩამოყალიბების პროექტი (Unicredit Bank)	1,000.0	1,000.0	4,888.3	4,888.3	0.0
27 03	სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემისათვის თანამშრომელთა მომზადება და პროფესიული განვითარება	981.1	981.1	930.5	930.5	0.0

კოდი	დასახელება	2017 წლის დაზუსტებული გეგმა	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	2016 წლის ფაქტიური დაფინანსება	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები	მ.შ.საკუთარი სახსრები
23 05	საფინანსო სექტორში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლება	1,423.4	895.0	1,451.4	940.9	510.5
01 03	ჰერალდიკური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება	450.0	450.0	449.7	449.7	0.0
28 02	მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლება საერთაშორისო ურთიერთობების დარგში	355.0	345.0	317.1	316.6	0.5
24 12	საზღვაო პროფესიული განათლების ხელშეწყობა	9,882.5	557.0	9,573.1	599.1	8,974.0
65 02	ა(ა)იპ - ორიჯინ-საქართველო	200.0	0.0	49.8	0.0	49.8
65 01	სსიპ - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“	10,495.0	0.0	9,172.1	108.3	9,063.9
63 00	სსიპ - ტექნოლოგიური ინსტიტუტი	0.0	0.0	502.1	502.1	0.0

4.1 ზოგადი განათლება (პროგრამული კოდი 32 02)

პროგრამის განმახორციელებელი :

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
- ✓ სსიპ – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური;
- ✓ სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი;
- ✓ სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი;

- ✓ სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა;
- ✓ სსიპ – ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის N199 საჯარო სკოლა.

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- ყველა მოქალაქისათვის ზოგადი განათლების მიღების შესაძლებლობის უზრუნველყოფა;
- ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის კურსდამთავრებულთა განათლების დონის ამაღლება.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- ქართული და უცხოური ენის სწავლების ხელშემწყობი და სხვა ღონისძიებების შედეგად ამაღლდა მოსწავლეთა განათლების დონე;
- გაუმჯობესდა სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხი და ამაღლდა მასწავლებლთა, დირექტორთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაცია;
- გაიზარდა მოსწავლეთა აკადემიური მოსწრებისა და დასწრების მაჩვენებელი

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - მოსწავლეთათვის შესაბამის საფეხურზე ზოგადი განათლების მიწოდების მიზნით, ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფილია საჭირო ფინანსური რესურსით, სასკოლო სახელმძღვანელოებით, სამუშაო რვეულებით; რიგი რაიონის სკოლის მოსწავლეები უფასო ტრანსპორტირებით;
   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

   მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები უზრუნველყოფილია აუცილებელი ფინანსური რესურსებით, მოსწავლეები - სასკოლო სახელმძღვანელოებითა და სამუშაო რვეულებით, სასკოლო ტრანსპორტის პროგრამა ხორციელდება შეუფერხებლად;

2. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - მოსწავლეების 50% ჩართულია სასკოლო ღონისძიებებსა და აქტივობებში, მოსწავლეების 20% მონაწილეობს ოლიმპიადებში საქართველოს მასშტაბით.
   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - მოსწავლეების 70%-ის ჩართულობა სასკოლო ღონისძიებებსა და აქტივობებში, მოსწავლეების 50%-ის მონაწილეობა სასკოლო ოლიმპიადებში.
   მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - 40 000-ზე მეტი მოსწავლე ჩართული იყო სასკოლო ღონისძიებებსა და აქტივობებში, 217 000 მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა ეროვნულ ინტელექტ-ჩემპიონატში და 98 000-მდე მოსწავლე მონაწილეობდა სასკოლო ოლიმპიადებში.

3. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - ფსიქო-სოციალური პრობლემების მქონე მოსწავლეები უზრუნველყოფილნი არიან ფსიქოლოგიური მომსახურებით.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - ფსიქო-სოციალური პრობლემების მქონე მოსწავლეთა რეაბილიტაციის ხელშეწყობა.

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - ფსიქო-სოციალური პრობლემების მქონე მოსწავლეებს მოთხოვნის/საჭიროების შესაბამისად გაეწიათ კვალიფიცირებული მომსახურება;

4.1.1 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 32 02 01)

განმახორციელებელი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

დაგეგმილი შუალედური შედეგები

მოსწავლეთათვის სრულყოფილი ზოგადი განათლების მიღების მიზნით, ყველა ავტორიზებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების უზრუნველყოფა შესაბამისი დაფინანსებით.

მიღწეული შუალედური შედეგები

ყველა ავტორიზებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფილი იქნა ვაუჩერული დაფინანსებით და მოსწავლეებს შესაძლებლობა ჰქონდათ მიეღოთ შესაბამისი განათლება.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - 2015-2016 და 2016-2017 სასწავლო წელს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები სრულად უზრუნველყოფილია შესაბამისი ფინანსური რესურსით.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - 2016-2017 და 2017-2018 სასწავლო წელს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები სრულად უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი ფინანსური რესურსით.

მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი - ავტორიზებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების 100% უზრუნველყოფილია საჭირო ფინანსური რესურსით.

4.1.2 მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 02 02)

განმახორციელებელი: სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

დაგეგმილი შუალედური შედეგები:

- პროფესიული სტანდარტების რევიზია და დანერგვა;
- მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დანერგვის ხელშეწყობა;
- არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა და ქართული ენის ცოდნის გაუმჯობესება;
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარება;
- მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარება.

მიღწეული შუალედური შედეგები:

- პროფესიული სტანდარტის განვითარებისა და დანერგვის მიზნით შემუშავდა/განახლდა 32 სატრენინგო მოდული;
- ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის“ ფარგლებში მოწესრიგდა სამართლებრივი ბაზა, შემუშავდა დამხმარე რესურსები, მასწავლებლის შეფასების ჯგუფებისათვის მომზადდა, ჩატარდა სქემის მონიტორინგი;
- ამაღლებულ იქნა სამიზნე ჯგუფების (მასწავლებლები, დირექტორები, პროფესიული განათლების მასწავლებლები) კვალიფიკაცია;
- გაიზარდა სკოლის შიდა შეფასების ჯგუფებისა და ფასილიტატორების სამუშო პოტენციალი;
- არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლების ჩართულობა, როგორც საქართველოს საგანმანათლებლო, ასევე სამუშაო სექტორში.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - 2016 წლის მარტის მდგომარეობით 74,4% პრაქტიკოსი მასწავლებელია დასაქმებული სკოლაში 25,2 % - უფროსი მასწავლებელი, 0,3 % - წამყვანი. დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - სქემაში უფროსი მასწავლებლების ხვედრითი წილი გაზრდილია დაახლოებით 15 %-ით, საგანჩაბარებული პრაქტიკოსი მასწავლებლების 70%-ს გავლილი აქვს ტრენინგ კურსის ზოგადი ნაწილი, ინდივიდუალური და/ან ჯგუფური კონსულტაციები ჩატარებულ იქნა შეფასების ჯგუფის წევრებისთვის (20 700 წევრი), მათ შორის 3 773 ფასილიტატორია;
   მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი - უფროსი მასწავლებლების ხვედრითი წილი გაზრდილია 10%-ით; შეფასების ჯგუფის წევრებისათვის (20 700 წევრი, მათ შორის 3 773 ფასილიტატორია) დაიგეგმა 2 შეხვედრა, თითოეულ შეხვედრას ესწრებოდა 17 000 -ზე მეტი მონაწილე, მათ შორის 3 100 ფასილიტატორი.

ცდომილების მაჩვენებელი (%/ აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - პრაქტიკოსი მასწავლებლის მხოლოდ 37% პროცენტი გავიდა გამოცდაზე და მათგან, მხოლოდ 7% გახდა უფროსი მასწავლებელი, ხოლო უფროსის სტატუსისათვის 19 კრედიტქულა მოაგროვა მხოლოდ 82 პედაგოგმა. აღნიშნულმა მაჩვენებლებმა და პროფესიაში შემოსულმა უფროსი პედაგოგების ზრდამ ჯამში 15%-ის ნაცვლად შეადგინა 10%-ი („მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში“ შევიდა ცვლილება, კერძოდ პრაქტიკოსი მასწავლებლის „ზოგადი კურსი“ ამოღებული იქნა სქემიდან)

2. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - 2016 წლის ბოლოს შემუშავებულია „პროფესიული განათლების მასწავლებლის, საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის რეგულირების შესახებ პროექტი“, მომზადებული და დამტკიცებულია შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტები, რომლის საფუძველზეც, ხორციელდება პროფესიული განათლების მასწავლებელთა ტრენინგები.
   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - შემუშავებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ერთიანი სისტემა. ზოგადპედაგოგიური კურსის პილოტირება სრულდება. პროფესიული განათლების მასწავლებელთა 15%-ს გავლილი აქვს ზოგადპედაგოგიური კურსი; პროფესიული განათლების მასწავლებელთა 30% დატრენინგებულია საწარმოში;

   მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი - შემუშავდა პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ერთიანი სისტემა. პროფესიული განათლების მასწავლებელთა 15%-მა გაიარა ზოგადპედაგოგიური კურსი, ხოლო 30%-მა გაიარა საწარმოში ტრენინგი;

3. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - „არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლების პროფესიული განვითარების პროგრამის“ ფარგლებში 2016 წლის მარტის მდგომარეობით დასაქმებულია 105 კონსულტანტ-მასწავლებელი და 149 დამხმარე მასწავლებელი. ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი მასწავლებლების მხოლოდ 5%-მდეა ჩართული მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ღონისძიებებში ენობრივი ბარიერისა და მრავალფეროვანი პროფესიული რესურსების არარსებობის გამო;
   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - არაქართულენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მიერ წარმოდგენილი „ქართული როგორც მეორე ენის“ მასწავლებლის ვაკანსიების დაახლოებით 90% შევსებულია პროგრამის კონსულტანტ-მასწავლებლებით. არაქართულენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაახლოებით 70%-ში წარმოდგენილია პროგრამის დამხმარე მასწავლებელი. ადგილობრივი მასწავლებლების 20% ჩაერთვება პროგრამის ფარგლებში შეთავაზებულ ენის კურსებში; ადგილობრივი მასწავლებლების დაახლოებით 15%, წარმატებით ასრულებს ენის კურსს და პროფესიული უნარების ტრენინგს. არაქართულენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებლების დაახლოებით 30%-ს გავლილი აქვს საგნობრივი ტრენინგები მშობლიურ (აზერბაიჯანულ, რუსულ, სომხურ) ენაზე;

   მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი - არაქართულენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მიერ წარმოდგენილი „ქართული როგორც მეორე ენის“ მასწავლებლის ვაკანსიების დაახლოებით 40% შევსებულია პროგრამის კონსულტანტ-მასწავლებლებით;

   კონსულტანტ-მასწავლებლების შესარჩევი კონკურსის საფუძველზე შეირჩა მხოლოდ 6 კონკურსანტი, მათგან ერთმა უარი განაცხადა პროექტში მონაწილეობაზე;

არაქართულენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაახლოებით 70%-ში წარმოდგენილია პროგრამის დამხმარე მასწავლებელი, ადგილობრივი მასწავლებლების დაახლოებით 15% ჩართული იყო პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული ენის კურსში დადგილობრივი მასწავლებლების დაახლოებით 15% წარმატებით დაასრულა პროფესიული უნარების ტრენინგი;

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

დაგეგმილი იყო ადგილობრივი მასწავლებლების 20%-ის ჩართვა პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული ენის კურსებში, თუმცა მხოლოდ 15%-ის გადამზადება განხორციელდა, ვინაიდან განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილებით სახელმწიფო ენის შემსწავლელი კურსების კომპონენტი გადავიდა სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლაში. შესაბამისად, პროგრამის ფარგლებში ადგილობრივი მასწავლებლების ახალი ნაკადისთვის არ მომხდარა ენის შემსწავლელი კურსების შეთავაზება და არაქართულენოვანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებლების 30%-ს არ გაუვლია საგნობრივი ტრენინგები მშობლიურ (აზერბაიჯანულ, რუსულ, სომხურ) ენაზე.

4. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციისა და ათასწლეულის გამოწვევის ფონდი საქართველოს ხელშეწყობით მიმდინარეობს VII და XII კლასის ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მასწავლებელთა, პროფესიული განვითარების ფასილიტატორთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნობრივი ინტერვენციის დაგეგმვა. სამიზნე ჯგუფი განისაზღვრა 24 000 პირით; შემუშავდა მასწავლებელთა და დირექტორთა პროფესიული განვითარების მოდელი; შექმნილია ტრენერთა მომზადების და სერტიფიცირების სისტემა; შეირჩა და სერტიფიცირება გაიარა 200-მა ტრენერმა; ლიდერობის აკადემიის პირველი დონის სამი მოდული გაიარა 1500 -მა საჯარო სკოლის დირექტორმა; ზოგადი პროფესიული უნარების პირველი მოდული გაიარა 7000 -მა მასწავლებელმა; დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - ტრენინგს გაივლის 2 085 - მდე სკოლის დირექტორი და 9000 - მდე მასწავლებელი; სერტიფიცირების პროცესს გაივლის 100 -მდე ტრენერი;

მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი - დირექტორთა და პროექტის ფასილიტატორთა პროფესიული განვითარების მიმართულებით ლიდერობის აკადემია I ფარგლებში ტრენინგი გაიარა საჯარო სკოლის არაქართულენოვანი დირექტორების 81%-მა (171); ლიდერობის აკადემია II ფარგლებში ტრენინგი გაიარა საჯარო სკოლის ქართულენოვანი დირექტორების 94%-მა (1 776) და პროექტის ფასილიტატორების (87%-მა (1 642), ასევე 2017 წელს ლიდერობის აკადემია 2-ის (მოდულები 3-5) ფარგლებში ტრენინგი გაიარა საჯარო სკოლის ქართულენოვანი დირექტორების 85%-მა (1 590) და პროექტის ფასილიტატორების 80% -მა (1 491);

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიმართულებით ზოგადპროფესიული კურსის 1-ლი მოდულის ფარგლებში ტრენინგი გაიარა VII და XII კლასების ზუსტი და საბუნებისმეტყველო, ინგლისური ენისა და გეოგრაფიის მასწავლებლების მეორე ნაკადის 80%-მა (8 771); მე-2 მოდულის ფარგლებში ტრენინგი გაიარა პირველი ნაკადის 82,3%-მა (7 264), მე-3 მოდულის ფარგლებში ტრენინგი გაიარა საბუნებისმეტყველო,

ინგლისური ენისა და გეოგრაფიის ქართულენოვანი მასწავლებლების პირველი ნაკადის 82%-მა (7 209). საგნობრივი მოდულის ფარგლებში ტრენინგი გაიარა პირველი ნაკადის 90%-მა (6 709);

ტრენერთა სერტიფიცირების მიმართულებით სერტიფიცირებულია 446 ტრენერი.

4.1.3 უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 32 02 03)

განმახორციელებელი: სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური

დაგეგმილი შუალედური შედეგები

- მოსწავლეთათვის უზრუნველყოფილია უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემო;
- მოსწავლეთათვის უზრუნველყოფილია ფსიქო-სოციალური მომსახურება;
- საჯარო სკოლებში განხორციელებულია პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამა.

მიღწეული შუალედური შედეგები

- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში შემცირდა დარღვევებისა და გაცდენილი გაკვეთილების რაოდენობა, გაზრდილია მანდატურთა ჩართულობა რისკის ქვეშ მყოფი შემთხვევების მართვაში, უზრუნველყოფილია რისკის ქვეშ მყოფ შემთხვევათა სწრაფი იდენტიფიკაცია და ადეკვატური რეაგირება; 2016-2017 სასწავლო წელს, გასულ სასწავლო წელთან შედარებით იმ საგანანათლებლო დაწესებულებებში, სადაც მანდატურია წარმოდგენილი, დარღვევათა რიცხვი შემცირებულია 29.1%-ით;
- ზოგადი განათლების ხელშეწყობის მიზნით უზრუნველყოფილია მოსწავლეთათვის უსაფრთხო და ჯანსაღი ფსიქო-სოციალური გარემო, დაცულია ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევაში გადამისამართების პროცედურები;
- გაზრდილია საზოგადოებაში მანდატურის სამსახურის მიმართ ნდობა.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - 434 საჯარო სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს 1 252 საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატური;
   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - 556 საჯარო სკოლაში (მოსწავლეთა სრული რაოდენობის დაახლოებით 70%) საზოგადოებრივი წესრიგსა და უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს 1 481 საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატური;

მიღწეული შუალედური შედეგი - განხორციელდა იმერეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთისა და აჭარის რეგიონების 12 საჯარო სკოლაში საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურების შეყვანა. 1 300 მანდატური უზრუნველყოფდა წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვას 457 საჯარო სკოლაში.

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურობის კანდიდატების თანამდებობაზე დანიშვნის წინაპირობას წარმოადგენს შსს აკადემიაში მოსამზადებელი კურსების წარმატებით გავლა, თუმცა გადასამზადებელი კადრი ხშირ შემთხვევაში ვერ ძლევდა/ითვისებდა მასალას და იჭრებოდა საბოლოო გამოცდებზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვერ მოხერხდა მანდატურების შეყვანა გარკვეული რაოდენობის საჯარო სკოლებში და ცდომილების მაჩვენებელმა შეადგენა 13%.

2. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - ფსიქო-სოციალური პრობლემების მქონე 2 126 ბენეფიციარი უზრუნველყოფილ იქნა ფსიქო-სოციალური მომსახურებით;

   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - რეგიონებში დამატებით ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრების გახსნა (გურია, სამეგრელო და სამცხე-ჯავახეთი). რეფერირებული ფსიქო-სოციალური პრობლემების მქონე ბენეფიციართა შეუფერხებელი მომსახურება.

   მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი - გამოვლენილი და სამსახურის ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრებში რეფერირებული იქნა ფსიქო-სოციალური პრობლემების მქონე ბენეფიციარები, რომელთაც გაეწიათ ყველა საჭირო სერვისი და მომსახურება. ასევე, დამატებით გახსნილია მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი ქალაქ რუსთავში;

   ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

   რეგიონებში დამატებით ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრების გახსნა (გურია, სამეგრელო და სამცხე-ჯავახეთი) არ განხორციელებულა, რადგან საანაგარიშო პერიოდში მანდატურის სამსახურის მიერ დაიგეგმა და განხორციელდა ფსიქოლოგიური მომსახურების შესყიდვა, რამაც ნაწილობრივ გადაფარა აღნიშნული რეგიონები.

3. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - 2015-2016 სასწავლო წელს პროგრამაში ჩართულია 892 საპილოტე საჯარო სკოლა;

   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამის დანერგვა 1 547 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში;

   ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

   მანდატურის სამსახური 2013 წლიდან საპილოტე რეჟიმში ახორციელებდა ზოგადსაგანამანთლებლო დაწესებულებებში (საჯარო სკოლებში) პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამას. სამსახურის მიერ 3 წლის განმავლობაში, პროფორინეტაციისა და კარიერის დაგეგმვის საპილოტე პროგრამის შეფასებამ და ანალიზმა აჩვენა, რომ მოცემული დროისათვის, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამის ძირითადი მიზნები შესრულებულია, რაც პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობებისა და პროცესების, მანდატურის სამსახურისაგან დამოუკიდებლად მართვის შესაძლებლობას იძლევა. გამომდინარე აქედან, 2017 წლის 14 მარტს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N43/ნ ბრძანების შესაბამისად განხორციელდა სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის დებულებაში ცვლილებები და მანდატურის სანსახური აღარ ანხორცილებს პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის პროგრამას

4.1.4 წარმატებულ მოსწავლეთა წახალისება (პროგრამული კოდი 32 02 04)

განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი;
- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

დაგეგმილი შუალედური შედეგები

- საერთაშორისო ოლიმპიადებში მონაწილეობა;
- წარჩინებული მოსწავლეების ოქროსა და ვერცხლის მედლებით დაჯილდოება;
- ეროვნული სასწავლო ოლიმპიადებში მონაწილეობა;
- სასკოლო კონკურსების უზრუნველყოფა.

მიღწეული შუალედური შედეგები

- მოსწავლეთა ნაკრებმა გუნდებმა მონაწილეობა მიიღეს მსოფლიო საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადებში;
- სასკოლო/ეროვნული გუნდების რეგიონალურ საერთაშორისო ოლიმპიადაზე მონაწილეობის მიზნით დაფინანსდა 8 განაცხადი, რომლის ფარგლებში ჩართული იყო 44 მოსწავლე;
- გამოვლენილია წარჩინებული მოსწავლეები, რომლებსაც გადაეცათ ოქროსა და ვერცხლის მედლები;
- ჩატარებულია ეროვნული საგნობრივი ოლიმპიადები;
- სასკოლო კონკურსების ღონისძიების ფარგლებში ჩატარდა ეროვნული ტურნირი ინფორმატიკაში.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად კომპლექტება და იწვრთნება 5 ნაკრები გუნდი, რომლებიც მონაწილეობას იღებენ შესაბამის მსოფლიო ოლიმპიადებში (მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ინფორმატიკა და ბიოლოგია);
   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მსოფლიო ოლიმპიადებში საქართველოს ნაკრები გუნდების მონაწილეობა;

   მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი - საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადების შესარჩევი ტურების შედეგად დაკომპლექტდა და მომზადდა საქართველოს ხუთი ნაკრები გუნდი (ფიზიკაში, ქიმიაში, მათემატიკაში, ინფორმატიკასა და ბიოლოგიაში). საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადაში ფულადი პრიზით დაჯილდოვდა 1 ოქროს, 4 ვერცხლის, 9 ბრინჯაოს მედლის მფლობელი მოსწავლე;

   სასკოლო/ეროვნული გუნდების რეგიონალურ საერთაშორისო ოლიმპიადაზე მონაწილეობის მიზნით დაფინანსდა რვა განაცხადი. რეგიონალურ საერთაშორისო ოლიმპიადაზე მოპოვებული იქნა 3 ოქროს, 8 ვერცხლის და 10 ბრინჯაოს მედალი და 2 წამახალისებელი სიგელი.

2. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - მედალოსანი კანდიდატების რაოდენობა XII კლასელთა დაახლოებით 5-6% შეადგენს;
   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენაჩუნება;

   მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი - 2016-2017 სასწავლო წელს მედალოსანი მოსწავლეების რაოდენობამ შეადგინა 2 845, რაც მეთორმეტე კლასელი მოსწავლეების 7%-ს შეადგენს.

   ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედური შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

   „წარჩინებულ მოსწავლეთა მედლების ქვეპროგრამის“ ფარგლებში განხორციელდა 2015-2016 სასწავლო წლის ბენეფიციართა მედლების შესყიდვა და გადაცემა, ხოლო გამოცხადებული ტენდერი 2016-2017 სასწავლო წლის ბენეფიცართა ოქროს და ვერცხლის მედლების და მედლის ჩასადები ყუთების შესყიდვის მიზნით არ შედგა. შესაბამისად, მედლების შესყიდვა და გადაცემა განხორციელდება 2018 წელს.

3. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - საგნობრივი ოლიმპიადის მე-2 ტურში მონაწილეობა მიიღო 10 838 მოსწავლემ, ხოლო მე-3 ტურში - 969 მოსწავლემ. გამოვლინდა 110 გამარჯვებული;
   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - ოლიმპიადაზე დარეგისტრირებულ მოსწავლეთა 100% უზრუნველყოფილია შესაბამისი სერვისით;

   მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი - დარეგისტრირებულ მოსწავლეთა 100% უზრუნველყოფილი იყო შესაბამისი სერვისით. 2016-2017 სასწავლო წლის ეროვნული სასწავლო ოლიმპიადაში მონაწილეობა მიიღო 97 810 მოსწავლემ და გამოვლინდა 124 გამარჯვებული მოსწავლე.

4. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - პრიორიტეტულ თემებზე ორიენტირებული სასკოლო კონკურსები, სადაც მონაწილეობა მიიღო სკოლების 25%-მა;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - კონკურსებში მონაწილე სკოლების 10%-ით გაზრდილი რაოდენობა;

მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი - ჩატარდა ინფორმატიკის ეროვნული ტურნირი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 158 მოსწავლემ და სამ ასაკობრივ ჯგუფში გამოვლინდა 13 გამარჯვებული მოსწავლე, რომლებიც დაჯილდოვდნენ კომპიუტერული ტექნიკისა და აქსესუარების სასაჩუქრე ბარათებით, დიპლომებით.

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

„სასკოლო კონკურსების ქვეპროგრამის“ ფარგლებში გამოცხადებული ტენდერი გუნდური კონკურსების განმახორციელებელი ორგანიზაციის შერჩევის მიზნით არ შედგა. კონკურსისთვის განსაზღვრული თანხა გადანაწილდა სხვა პრიორიტეტული ღონისძიებების განსახორციელებლად.

4.1.5 განსაკუთრებით ნიჭიერ მოსწავლეთა საგანმანათლებლო და საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 32 02 05)

განმახორციელებელი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

დაგეგმილი შუალედური შედეგები

- განსაკუთრებით ნიჭიერი მოსწავლეები უზრუნველყოფილია შესაბამის საფეხურზე ზოგადი განათლების მიწოდებით;
- ინდივიდუალური საჭიროებების, ასაკისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით ბენეფიციართა განათლებაზე და განვითარებაზე ზრუნვა;

მიღწეული შუალედური შედეგები

პროგრამის ფარგლებში ჩართულ მოსწავლეთა 100% უზრუნველყოფილია შესაბამისი სერვისით.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - სსიპ – ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის N199 საჯარო სკოლაში ინდივიდუალური საჭიროებების, ასაკისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით განსაკუთრებით ნიჭიერი მოსწავლეები უზრუნველყოფილ იქნენ სრული სახელმწიფო სადღეღამისო ან დღის მომსახურებით;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - სპეციალურ საგანმანთლებლო დაწესებულებების გაზრდილი რაოდენობა, სადაც ინდივიდუალური საჭიროებების, ასაკისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით განსაკუთრებით ნიჭიერი მოსწავლეები უზრუნველყოფილნი იქნებიან სრული სახელმწიფო სადღეღამისო ან დღის მომსახურებით

მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი - სსიპ – ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის N199 საჯარო სკოლის განსაკუთრებული მათემატიკური ნიჭით დაჯილდოებული 220 მოსწავლე უზრუნველყოფილია შესაბამის საფეხურზე ზოგადი განათლების მიწოდებით და პანსიონური მომსახურებით.

4.1.6 მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 32 02 06)

განმახორციელებელი: სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო.

დაგეგმილი შუალედური შედეგები

უფასო/ხელმისაწვდომი ზოგადი განათლების მიღება საქართველოს ყველა საჯარო სკოლის მოსწავლისათვის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული სხვა კატეგორიების მოსწავლეების, ასევე კერძო სკოლის იმ მოსწავლეთათვის, რომლებიც არიან სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებისა და 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული მეომრების შვილები.

მიღწეული შუალედური შედეგები

თანაბრად ხელმისაწვდომია საგანმანათლებლო რესურსები საქართველოს ყველა საჯარო სკოლის მოსწავლისათვის, ასევე კერძო სკოლის იმ მოსწავლეთათვის, რომლებიც არიან სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებისა და 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული მეომრების შვილები, გაუმჯობესებულია განათლების ხარისხი და შექმნილია კომფორტული სასწავლო პირობები.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - 2015-2016 და 2016-2017 სასწავლო წელს პროგრამის ბენეფიციართა 100% უზრუნველყოფილ იქნა/იქნება სასკოლო სახელმძღვანელოებით;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - 2017-2018 სასწავლო წელს პროგრამის ბენეფიციართა 100% უზრუნველყოფილი იქნება სასკოლო სახელმძღვანელოებით

მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი - 2017- 2018 სასწავლო წელს პროგრამის ბენეფიციართა 100% უზრუნველყოფილია სასკოლო სახელმძღვანელოებით.

4.1.7 საზაფხულო სკოლები (პროგრამული კოდი 32 02 07)

განმახორციელებელი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

დაგეგმილი შუალედური შედეგები

- ამაღლებული ცოდნის დონე, ახალი გამოცდილება და უცხოელი თანატოლების ცხოვრებისა და მათი ქვეყნის კულტურის გაცნობა;
- ეთნიკური უმცირესობებისათვის ქართული ენის ცოდნის დონის ამაღლება;
- ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, ზუსტი და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლის მიმართ მოსწავლეთა ამაღლებული მოტივაცია და მეტი ინტერესი.

მიღწეული შუალედური შედეგები

- პროგრამის მონაწილე მოსწავლეებში გაიზარდა მოტივაცია ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, ზუსტი და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლის მიმართ. ასევე, გაიზარდა მოტივაცია ქართული ენის სწავლის მიმართ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ მოსწავლეებში;
- მონაწილეები გაეცნენ სხვადასხვა ეთნიკური უმცირესობების კულტურას და აქტიური დასვენებისა და განათლების პროცესის შერწყმით განხორციელდა მოსწავლეთა სხვადასხვა სოციალური და საგნობრივი უნარებისა და კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობა

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - 2016 წელს საზაფხულო სკოლაში მონაწილე 600 მოსწავლე აიმაღლებს ინგლისური ენის ცოდნის დონეს;
   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - არანაკლებ 600 მოსწავლე აიმაღლებს ინგლისური ენის ცოდნის დონეს;

   ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

   საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელდა პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების ცვლილება პრიორიტეტების მიხედვით. დაიგეგმა და განხორციელდა ქვეყნის ტერიტორიაზე ფართო მასშტაბიანი პროექტი მოსწავლეთა სკოლა/ბანაკები „დავისვენოთ და ვისწავლოთ ერთად“, რომლის მიზანს წარმოადგენდა აქტიური დასვენებისა და განათლების პროცესის შერწყმით მოსწავლეთა სხვადასხვა სოციალური და საგნობრივი უნარებისა და კომპეტენციების განვითარების ხელშეწყობა. შესაბამისად, აღარ განხორციელდა ინგლისური ენის საზაფხულო სკოლის ორგანიზება, რომლის მიზანი უნდა ყოფილიყო ინგლისური ენის სწავლა/სწავლება.

2. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - კულტურათა შორის დიალოგისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით 2016 წელს 100 ბენეფიციარი მიიღებს მონაწილეობას მულტიკულტურულ საზაფხულო სკოლაში.
   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - მულტიკულტურულ საზაფხულო სკოლაში მონაწილე არანაკლებ 100 ბენეფიციარი.

   მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი - კულტურათა შორის დიალოგისა და ქართული ენის პოპულარიზაციის მიზნით, პროგრამის ფარგლებში ორგანიზებულ ბანაკებში მონაწილეობა მიიღო 940 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელმა მოსწავლემ.

   ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

   პრიორიტეტულად იქნა მიჩნეული, მნიშვნელოვნად გაზრდილიყო საქართველოს მცირეკონტიგენტიანი საჯარო სკოლების მოსწავლეთა ჩართულობა პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ აქტივობებში და შესაბამისად გაიზარდა პროგრამის ბენეფიციართა რაოდენობა: ბანაკებში მონაწილე მოსწავლეთა მთლიანმა რაოდენობამ შეადგინა 9 641 ერთეული, მათ შორის ქართული ენის პოპულარიზაციისა და კულტურათაშორის დიალოგის მიზნით დაგეგმილ საზაფხულო ბანაკში ნაცვლად 100-ისა, მონაწილეობა მიიღო 940 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელმა მოსწავლემ.

3. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - 2016 წელს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საზაფხულო სკოლაში მონაწილეობას მიიღებს 75 მოსწავლე;
   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საზაფხულო სკოლაში მონაწილე არანაკლებ 75 მოსწავლე;

   მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი - ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, ზუსტი და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლის მიმართ მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების მიზნით ჩატარდა „ეკობანაკი 2017“ და „რობოტექნიკის საზაფხულო ბანაკში“ რომელშიც მონაწილეობა მიიღო 3 000 - მა მოსწავლემ.

   ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

პრიორიტეტულად იქნა მიჩნეული, მნიშვნელოვნად გაზრდილიყო საქართველოს მცირეკონტიგენტიანი საჯარო სკოლების მოსწავლეთა ჩართულობა პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ აქტივობებში. შესაბამისად გაიზარდა პროგრამის ბენეფიციართა რაოდენობა: ბანაკებში მონაწილე მოსწავლეთა მთლიანმა რაოდენობამ შეადგინა 9 641. მათ შორის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით განხორციელებულ აქტივობებში ნაცვლად 75 ბენეფიციარისა, ჩართულია 3 000 მოსწავლე.

4.1.8 ოკუპირებული რეგიონების პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარება (პროგრამული კოდი 32 02 08)

განმახორციელებელი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

დაგეგმილი შუალედური შედეგები

ოკუპირებული რეგიონების პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური დახმარება;

მიღწეული შუალედური შედეგები

ოკუპირებულ რეგიონებში ფუნქციონირებადი სკოლების 827 მასწავლებელი და 253 ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი უზრუნველყოფილი იქნა ფინანსური დახმარებით.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - პროგრამის ბენეფიციართა 100% უზრუნველყოფილ იქნა ფინანსური დახმარებით;
   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - მაჩვენებლის შენარჩუნება.

   მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი - პროგრამის ბენეფიციართა 100% უზრუნველყოფილია ფინანსური დახმარებით.

4.1.9 ბრალდებული და მსჯავრდებული პირებისათვის ზოგადი განათლების მიღების ხელმისაწვდომობა (პროგრამული კოდი 32 02 09)

განმახორციელებელი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

დაგეგმილი შუალედური შედეგები

სისხლის სამართლის რეფორმის ფარგლებში პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფი პირებისთვის ზოგადი განათლების მიღების ხელშეწყობა;

მიღწეული შუალედური შედეგები

- პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფმა 80-მა ბრალდებულმა/მსჯავრდებულმა მოსწავლემ შეისწავლა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო პროგრამები; ჩართული იყვნენ სხვადასხვა აღმზრდელობით საქმიანობაში.
- პროგრამის ფარგლებში, ბრალდებული/მსჯავრდებული მოსწავლეებისთვის უზრუნველყოფილია ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/კლასების/სემესტრის, ასევე ცალკეულ კლასში/სემესტრში შემავალი საგნის/საგნების ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამა/პროგრამების ექსტერნატის ფორმით დაძლევის, ასევე სკოლის გამოსაშვებ და ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობა.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - საგანმანათლებლო პროცესში 2015 წელს პროგრამაში ჩართული იყო 160-ზე მეტი ბენეფიციარი; დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - პროგრამის ბენეფიციართა 100%-ის უზრუნველყოფა განათლების მიღების შესაძლებლობით; ექსტერნისა და საატესტატო გამოცდებში მონაწილე ბრალდებულ/მსჯავრდებულ არასრულწლოვანთა მიღწევები;
   მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი - პროგრამის ყველა ბენეფიციარისათვის (80 ბრალდებული/მსჯავრდებული მოსწავლე) უზრუნველყოფილია უწყვეტი ზოგადი განათლების მიღების შესაძლებლობა.

4.1.10 ეროვნული სასწავლო გეგმების დანერგვა და მონიტორინგი (პროგრამული კოდი 32 02 10)

განმახორციელებელი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

დაგეგმილი შუალედური შედეგები

- კლასში განხორციელებული ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის მონიტორინგი ქართულენოვან და არაქართულენოვან საჯარო სკოლებში;
- ეროვნული სასწავლო გეგმის განვითარება;
- სასკოლო მზაობის პროგრამის დანერგვის მონიტორინგის შედეგები.
- ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაფუძნებული ალტერნატიული სასწავლო გეგმა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის;
- ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის მხარდაჭერა;
- სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო პროგრამის დანერგვის მხარდაჭერა.

მიღწეული შუალედური შედეგები

- ეროვნული სასწავლო გეგმის განვითარებისა და დანერგვის მიზნით გადამუშავდა საბაზო საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმა;
- მომზადდა ტრენინგ-მოდული ფიზიკური აღზრდისა და სპორტის პედაგოგებისთვის;
- შემუშავდა დაწყებითი საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი და ადმინისტრაციული გზამკვლევების სამუშაო ვერსიები.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - დაწყებით საფეხურზე ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის მონიტორინგის პირველადი შედეგები;
   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - დაწყებით საფეხურზე ჩატარებული მონიტორინგის შედეგად მიღებული რეკომენდაციები ეროვნული სასწავლო გეგმის შემდგომი განვითარებისთვის.
   მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი - მომზადებულია დაწყებითი საფეხურის I-IV კლასების ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაფუძნებული საგნობრივი გზამკვლევების სამუშაო ვერსიები, სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზების ადმინისტრაციული და კონცეპტუალური საკითხებისათვის, გზამკვლევის სამუშაო ვერსია.

2. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - დასამტკიცებლად მომზადებული დაწყებითი საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმა და საბაზო საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმის სამუშაო ვერსია;
   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - დასამტკიცებლად მომზადებული საბაზო საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმა. საშუალო საფეხურის მოდელი და საშუალო საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმის სამუშაო ვერსია
   მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი - დასრულებულია საბაზო საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმა, განხილულია საქართველოს სკოლებიდან შემოსული შენიშვნები და მოსაზრებები;

3. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - ალტერნატიული სასწავლო გეგმის მოდელი, პილოტირებისთვის მომზადებული ქართულ ენასა და ლიტერატურაში I-VI კლასების პროგრამა და მათემატიკაში I-IV კლასების პროგრამა;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - პილოტირებისთვის მომზადებული ალტერნატიული სასწავლო გეგმის V-VI კლასების პროგრამა მათემატიკაში.

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - დაწყებითი საფეხურის I-IV კლასებისთვის მათემატიკაში და V-VI კლასებისთვის ქართულ ენასა და ლიტერატურაში შეიქმნა ალტერნატიული სასწავლო პროგრამა.

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

დაწყებითი საფეხურის ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაფუძნებული საგნობრივი გზამკვლევების შესაქმნელად ავტორების დაქირავების პროცესი უკიდეურესად გაჭიანურდა, შესაბამისად სამუშაო შესრულდა ნაწილობრივ. კერძოდ, მომზადდა გზამკვლევის ნაწილი - I-IV კლასებისთვის, ხოლო დასრულება გადაიგეგმა 2018 წლისთვის.

4.1.11 საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 32 02 11)

განმახორციელებელი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

დაგეგმილი შუალედური შედეგები

მოსწავლეებისთვის ზოგადსაგანმათლებლო დაწესებულებების ხელმისაწვდომობის გაზრდა.

მიღწეული შუალედური შედეგები

- გაიზარდა ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის ხარისხი რეგიონში მცხოვრები, განსაკუთრებით რთული გეოგრაფიული მდებარეობისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე საჯარო სკოლის დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისათვის.
    - მინიმუმამდე იქნა დაყვანილი გაკვეთილებზე დაგვიანების ფაქტები და მოსწავლეთა გაკვეთილებზე დასწრების მაჩვენებელმა გადააჭარბა 95 %-ს.
- უზრუნველყოფილია რთული გეოგრაფიული და კლიმატური პირობების მქონე დასახლებებში მცხოვრებ მოსწავლეთა სკოლამდე უსაფრთხო გადაადგილება.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - დასახლებულ პუნქტებში სადაც არ ფუნქციონირებს სკოლები და მანძილი უახლოეს სკოლამდე აღემატება 2 კმ-ს ან/და არ ფუნქციონირებს მუნიციპალური ტრანსპორტი ან/და რთული რელიეფურებოით გამოირჩევა მოსწავლეთა 100% უზრუნველყოფლილია ტრანსპორტით;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - დასახლებულ პუნქტებში სადაც არ ფუნქციონირებს სკოლები და მანძილი უახლოეს სკოლამდე აღემატება 2 კმ-ს ან/და არ ფუნქციონირებს მუნიციპალური ტრანსპორტი ან/და რთული რელიეფურებოით გამოირჩევა მოსწავლეთა 100% უზრუნველყოფილ იქნება ტრანსპორტით;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - პროგრამის ბენეფიციარ მოსწავლეთა 100% უზრუნველყოფილია ტრანსპორტით;

4.1.12 ზოგადი განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 02 12)

განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი;
- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
- ✓ სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

საანგარიშო პერიოდში, განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა

- საქართველოში თავშესაფრის მაძიებელთა და ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთათვის ზოგადი განათლების მიღების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით პროგრამაში ჩართული იყო 25 მსმენელი, რომელიც გამოცდა-გასაუბრების შედეგების საფუძველზე წარმატებით დაძლია 6-მა მსმენელმა, მათ შორის 2-მა ბენეფიციარმა დაამთავრა სწავლების ორივე ეტაპი, დარჩენილი 4 ბენეფიციარი გააგრძელებს სწავლებას პროგრამის მეორე ეტაპზე;
- ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის მომზადების მიზნით, ოკუპირებული გალის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების აბიტურიენტებსა და მასწავლებლებს უსასყიდლოდ გადაეცათ 49 ცალი სახელმძღვანელო და 60 ცალი ცნობარი აბიტურიენტებისათვის. გალის რაიონის პედაგოგების საგნობრივი წვრთნის მიზნით, ზუგდიდში მივლენილ იქნა სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის თანამშრომლები, რომლებმაც დაატრენინგეს 46 მასწავლებელი;

- „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვის ჟურნალებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ ფარგლებში შესყიდულ იქნა 38 276 ცალი საკლასო ჟურნალი და მოთხოვნის შესაბამისად 38 038 ცალი დარიგდა საქართველოს მასშტაბით ყველა საჯარო და კერძო სკოლაში;
- სკოლების მე-8 - მე-11 კლასის მოსწავლეების მონაწილეობით ჩატარდა საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატის I, II და ფინალური შეჯიბრი. ინტელექტ-ჩემპიონატში მონაწილეობდა 21 700-მდე მოსწავლე. გამოვლინდა და დაჯილდოვდა 24 გამარჯვებული. I, II და III ადგილის მფლობელებს გადაეცათ განალებისა და მეცნიერების სამინისტროსგან ფულადი ჯილდოები;
- ჩატარდა კრეათონი საბავშვო შემეცნებითი ანიმაციური სერიალის განვითარებისთვის საუკეთესო, კრეატიული იდეების გამოსავლენად, გამოვლენილია გამარჯვებულები 2 მიმართულებით: სინოფსისი (შინაარსი, ამბავი) და გმირების, პერსონაჟების ვიზუალური მხარე - ესკიზები. გამოვლინდა 2 გამარჯვებული, რომელთაც გადაეცათ ფულადი პრიზები;
- ქვეპროგრამის ,,ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა“ ფარგლებში საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეებისთვის ჯანსაღი ცხოვრების წესის თემაზე ჩატარდა ფოტო, სლოგანებისა და ვიდეო რგოლების კონკურსები. კონკურსში გამოვლინდა 6 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის 19 გამარჯვებული მოსწავლე, რომლებიც დაჯილდოვდნენ ფულადი პრიზებით;
- ჯანსაღი კვების პოპულარიზაციის ხელშეწყობის მიზნით თბილისის 10 საჯარო სკოლის მოსწავლეებისთვის შესყიდული იქნა ხილი (ვაშლი). სულ დარიგებული იქნა 256 800 ცალი ვაშლი;
- მოსწავლეებსა და მშობლებში ჯანსაღი კვებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის ხელშეწყობის მიზნით, ჩატარდა სხვადასხვა სახის ღონისძიებები, კერძოდ, ლაბირინთ თეატრი, მარათონი და სხვა სპორტული აქტივობები, ფერების ფესტივალი, ბიზნეს მარათონი, ფლეშმობი; ჩატარდა გამწვანების აქციები, საგანმანათლებლო ექსკურსიები ადგილობრივ საწარმოებში, სპორტულ-გასართობი აქტივობები, ფოტო, ესეებისა და ბლოგების კონკურსები ჯანსაღი ცხოვრების წესის თემაზე. აღნიშნულ აქტივობებში ჩართული იყო 1 500-მდე მოსწავლე. ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდა ჯანსაღი ცხოვრების თემაზე ორგანიზებულ კონკურსებში გამარჯვებული 10 მოსწავლე;

დაგეგმილი შუალედური შედეგები

- სასკოლო ინიციატივების წახალისება და სასკოლო ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში თავშესაფრის მაძიებელთა და ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთათვის ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- წარმატებული სკოლების და პედაგოგების წახალისება;
- გალის რაიონის პედაგოგების გადამზადება და აბიტურიენტების ეროვნული გამოცდებისათვის მომზადება;
- მშობელთა ინფორმირებულობისა და ჩართულობის დონის ამაღლება;
- საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვის ჟურნალებით უზრუნველყოფა.

მიღწეული შუალედური შედეგები

- ამაღლდა თავშესაფრის მაძიებელთა და ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა ცოდნის დონე ქართულ ენაში;

- თანაბარი პირობების მქონე შეჯიბრში მონაწილეობით მოსწავლეებში გაიზარდა მოტივაციის დონე და საკუთარი თავის/სკოლის და ქალაქისა თუ სოფლის წარმოჩენის სურვილი;
- გაიზარდა გალის რაიონში სკოლების დამამთავრებელი კლასების მოსწავლეთა კონკურენტუნარიანობა ერთიან ეროვნულ გამოცდებზე;
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეებში და მათ მშობლებში ჯანსაღი ცხოვრების წესის მიმართულებით გაიზარდა მოტივაცია და ამაღლდა ცნობიერება;
- მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების გამოვლენა და განვითარება;
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეებში და მათ მშობლებში ჯანსაღი ცხოვრების წესის მიმართულებით გაიზარდა მოტივაცია და ამაღლდა ცნობიერება.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი -ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევაზე ორიენტირებული დაფინანსებული მცირებიუჯეტიანი პროექტები; პროექტის განხორციელებაში მონაწილე მოსწავლეთა რაოდენობა; სასკოლო ბიბლიოთეკების განვითარების ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსებული პროექტები;
   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევაზე ორიენტირებული დაფინანსებული მცირებიუჯეტიანი პროექტები; პროექტის განხორციელებაში მონაწილე მოსწავლეთა რაოდენობა; სასკოლო ბიბლიოთეკების განვითარების ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსებული პროექტები;

   ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

   საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელდა პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების ცვლილება პრიორიტეტების შესაბამისად, რომლის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებები გადანაწილდა სხვა პრიორიტეტული ღონისძიებებზე, კერძოდ ,,ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა“ და „საბავშო ანიმაციური სერიალის კონკურსი“, ხოლო სასკოლო ინიციატივების წახალისების მიზნით მცირებიუჯეტიანი პროექტების დაფინანსება, განხორციელდა პროგრამის „სკოლების საგრანტო დაფინანსება“ ფარგლებში.

2. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - 2015 წელს ფულადი პრემიებით წახალისებულია ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადებსა და სასკოლო კონკურსებში გამარჯვებული მოსწავლეების 150-მდე პედაგოგი;
   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - პროგრამით გათვალისწინებული კრიტერიუმების შესაბამისად დაჯილდოებულია ბენეფიციარ მასწავლებელთა 100%

   ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელდა პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების ცვლილება პრიორიტეტების შესაბამისად, რომლის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებები გადანაწილდა სხვა პრიორიტეტული ღონისძიებებზე, კერძოდ ,,ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა“ და „საბავშო ანიმაციური სერიალის კონკურსი“.

3. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი -გადამზადებულ იქნა გალის რაიონის 46 პედაგოგი;
   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება;

   მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - გადამზადდა გალის რაიონის 46 პედაგოგი;

4. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი -მშობელთა ინფორმირებულობისა და ჩართულობის დონის გაზრდის მიზნით შემუშავდება და სამინისტროს ვებ. გვერდზე განთავსდება მშობელთათვის განკუთვნილი ელექტრონული გზამკვლევი; ადრეული ქორწინების პრევენციის მიზნით მოხდება მშობელთა ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა;
   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - მშობელთა მიერ ელექტრონული გზამკვლევის მოხმარების მაჩვენებელი; ადრეული ქორწინების პრევენციის მიზნით მშობლებთან ჩატარებული არანაკლებ 20 საინფორმაციო შეხვედრა.

   ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

   საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელდა პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების ცვლილება პრიორიტეტების შესაბამისად, რომლის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებები გადანაწილდა სხვა პრიორიტეტული ღონისძიებებზე, კერძოდ ,,ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა“ და „საბავშო ანიმაციური სერიალის კონკურსი“.

5. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი -2016-2017 სასწავლო წლისთვის 2 085 საჯარო სკოლის და საჭიროებისამებრ, კერძო სკოლების სასკოლო ჟურნალებით უზრუნველყოფა;
   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - 2017-2018 სასწავლო წლისთვის საკლასო ჟურნალებით ყველა საჯარო და საჭიროებისამებრ, კერძო სკოლების უზრუნველყოფა

   მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - მოთხოვნის შესაბამისად 38 038 ცალი სასკოლო ჟურნალი დარიგებულია საქართველოს მასშტაბით ყველა საჯარო და კერძო სკოლაში.

4.1.13 სკოლების საგრანტო დაფინანსება (პროგრამული კოდი 32 02 13)

განმახორციელებელი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

დაგეგმილი შუალედური შედეგები

სკოლის მოსწავლეების განვითარებაზე ზრუნვა.

მიღწეული შუალედური შედეგები

- მოსწავლეები საგაკვეთილო პროცესის მიღმა ჩართული იყვენ მათთვის საინტერესო აქტივობებში, საგანმანათლებლო-შემეცნებით თუ სპორტულ წრეებსა და კლუბებში;
- 1 153-მა საჯარო სკოლამ მიიღო დამატებითი დაფინანსება, 2 800-ზე მეტმა მასწავლებელმა მიიღო დამატებითი შემოსავალი;
- სკოლების 2 500-მდე დირექცია/ადმინისტრაციის წარმომადგენელი ჩაერთო პროცესის ორგანიზებაში და მიიღო დამატებითი შემოსავალი;
- 43 000-მდე მოსწავლემ მიიღო დამატებითი საგანმანათლებლო სერვისი და რესურსი;
- ეროვნულ კინოცენტრთან თანამშრომლობით 200-მდე სკოლაში დაინერგა პროექტი „კინო სკოლაში“ და შესაბამისად გადამზადდა 200-მდე მასწავლებელი;
- CENN-თან თანამშრომლობით დაინერგა ორი პროექტი: „აღმოაჩინე საქართველო“ და „ნარჩენების მართვა“, ჯამში გადამზადდა 175 პედაგოგი;
- ეროვნულ ბანკთან თანამშრომლობით 11 საპილოტე სკოლაში დაინერგა პროექტი „სკოლა ბანკი“, გადამზადდა 11 მასწავლებელი;
- მაიკროსოფტი და educare Georgia თანამშრომლობით 12 სკოლაში დაინერგა „კოდინგის“ პროგრამა, გადამზადდა 12 მასწავლებელი.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - დაფინანსებული საგრანტო პროექტების რაოდენობა

მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი - დაფინანსებული იქნა 1 153 საგრანტო პროექტი.

4.1.14 ელექტრონული სწავლება (eLearning) (პროგრამული კოდი 32 02 14)

განმახორციელებელი : საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობა

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მუშაობდა დისტანციური სწავლების ოპტიმალურ სტანდარტზე და გამოვლინდა საკითხის/საკითხების რამდენიმე ალტერნატიული გადაწყვეტა და რიგი ინფრასტრუქტურული შეუსაბამობები. ამასთან, მიმდინარეობდა მსხვილ საერთაშორისო კომპანიებთან მოლაპარაკება მრჩეველთა საბჭოს ფორმირებაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე საკითხის სწრაფი გადაწყვეტილება არაოპტიმალურად იქნა მიჩნეული და პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებები გადანაწილდა სხვა პრიორიტეტული პროგრამების შეუფერხებელი განხორციელებისთვის.

4.1.15 ერთიან საგანმანათლებლო ქსელში ჩართული დაწესებულებების ინტერნეტ კავშირით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 32 02 15)

განმახორციელებელი : სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა

დაგეგმილი შუალედური შედეგები

ერთიან საგანმანათლებლო ქსელში ჩართული დაწესებულებები უზრუნველყოფილია ინტერნეტ კავშირით.

მიღწეული შუალედური შედეგები

- საქართველოს ყველა საჯარო სკოლა ჩართულია ერთიან საგანმანათლებლო ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ქსელში და უზრუნველყოფილია ინტერნეტით, რაც მასწავლებელსა და მოსწავლეს საშუალებას აძლევს წარმართონ სასწავლო პროცესი როგორც შიდა, ასევე გარე ციფრული რესურსების გამოყენებით, გაცვალონ და გააზიარონ ინფორმაცია;
- უსადენო (wifi) ქსელით აღჭურვილია მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის მქონე 85 საჯარო სკოლა. ასევე უსადენო (wifi) ქსელი მოეწყო საქართველოს მასშტაბით 476 მცირეკონტიგენტიან საჯარო სკოლაში. შედეგად ამ სკოლებში ხელმისაწვდომია ინტერნეტ სერვისები და შიდა ქსელი არა მხოლოდ სტაციონარული კომპიუტერებისათვის, არამედ ლეპტოპებისა და სმარტფონებისთვისაც.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - სკოლების 100% ინტერნეტიზირებულია და ჩართულია ერთიან საგანმანათლებლო ქსელში. მათგან მაღალი ოპტიკური კავშირით და მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით სარგებლობს სკოლების 40%.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - მაღალ გამტარიანი ოპტიკური არხებით უზრუნველყოფილი იქნება სკოლების 45 % (50 Mb), ხოლო დანარჩენი სკოლების შემთხვევაში, სადაც კავშირი უზრუნველყოფილია რადიო ტექნოლოგიით, გაუმჯობესდება კავშირის სიჩქარე (კავშირის სიჩქარე: 2, 5, 10 Mb, გლობალური ინტერნეტი - 1 Gb, ლოკალური - 2 Gb).

მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი - მაღალ გამტარიანი ოპტიკური კავშირით უზრუნველყოფილია სკოლების 42 % (50 Mb), ხოლო დანარჩენი სკოლების შემთხვევაში, სადაც კავშირი უზრუნველყოფილია რადიო ტექნოლოგიით გაუმჯობესებულია კავშირის სიჩქარე (კავშირის სიჩქარე: 1,2, Mb, გლობალური ინტერნეტი - 1 Gb, ლოკალური - 2 Gb);

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

სკოლების მაღალ გამტარიანი ოპტიკური კავშირით უზრუნველყოფის მაჩვენებლის ცდომილება შედგენს 3%-ს, რაც განპირობებულია ბაზარზე მოქმედი მომწოდებლების მიერ რეგიონებში ოპტიკური კავშირების განვითარების დაბალი ტემპით.

4.2. უმაღლესი განათლება (პროგრამული კოდი 32 04)

პროგრამის განმახორციელებელი :

- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
- ✓ სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი;
- ✓ სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრი;
- ✓ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- ერთიანი ეროვნული გამოცდების და საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩატარება;
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა განათლებისა და მომზადების მაღალი დონე;
- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საგრანტო და პროგრამული დაფინანსების სისტემების შემდგომი სრულყოფა;
- განსაკუთრებით ნიჭიერი სტუდენტების ხელშეწყობა;
- უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარება.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- დაფინანსებული საგანმანათლებლო დაწესებულებები და უზრუნველყოფილი შესაბამისი სასწავლო პროცესები;
- ჩატარებული ერთიანი ეროვნული, საერთო სამაგისტრო, მასწავლებლის საგნის, 2016-2017 სასწავლო წლის სკოლის გამოსაშვები და პროფესიულ სასწავლებლებში მისაღები გამოცდები;
- დაფინანსებული სასწავლო და სამაგისტრო გრანტები და წარჩინებული სტუდენტების მიერ მიღებული სტიპენდიები;
- საზღვარგარეთ განათლების მიღების ხელშეწყობის მიზნით დაფინანსებულია სტუდენტები;

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

1. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი -ერთიანი ეროვნული და საერთო სამაგისტრო გამოცდის მომზადებისა და ჩატარების ხარისხის საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოება;
   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - ერთიანი ეროვნული და საერთო სამაგისტრო გამოცდის მომზადებისა და ჩატარების გათანაბრება საერთაშორისო სტანდარტებთან.
   მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - ხარვეზების გარეშე ჩატარდა სკოლის გამოსაშვები, ერთიანი ეროვნული, საერთო სამაგისტრო, პროფესიული და პრაქტიკოს მასწავლებელთა საგნის გამოცდები.

2. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - საგანმანათლებლო პროგრამების დასაფინანსებლად გაცემული სრული და ნაწილობრივი სახელმწიფო სასწავლო და სამაგისტრო გრანტებით დაფინანსებული სტუდენტების რაოდენობა;
   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - სრული და ნაწილობრივი სახელმწიფო სასწავლო და სამაგისტრო გრანტებით დაფინანსებული სტუდენტების რაოდენობის 20-30%-ით ზრდა.
   მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - წინა წელთან შედარებით გაზრდილია აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში საგანმანათლებლო პროგრამების დასაფინანსებლად გაცემული სრული და ნაწილობრივი სახელმწიფო სასწავლო და სამაგისტრო გრანტებით დაფინანსებული სტუდენტების რაოდენობა. დაფინანსდა აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული 33 000-მდე ბაკალავრი, მათ შორის ეროვნული გამოცდებით ჩარიცხული 8 000-მდე სტუდენტი. პრიორიტეტულ პროგრამულ მიმართულებებზე დაფინანსდა 18 000-მდე სტუდენტი, მათ შორის საანგარიში პერიოდში ეროვნული გამოცდებით ჩარიცხული 4 500-მდე სტუდენტი. სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსდა 2 000-მდე მაგისტრანტი, მათ შორის საანგარიში პერიოდში საერთო სამაგისტრო გამოცდებით ჩარიცხული 1 000-მდე სტუდენტი.

4.2.1 გამოცდების ორგანიზება (პროგრამული კოდი 32 04 01)

განმახორციელებელი : სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი.

დაგეგმილი შუალედური შედეგები

- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთათვის სკოლის გამოსაშვები გამოცდების ჩატარება და ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარება;
- საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩატარება;
- პროფესიული ტესტირებისა ჩატარება;
- მასწავლებლის საგნის გამოცდების ჩატარება;
- საერთაშორისო კვლევების (შეფასებების) განხორციელების უზრუნველყოფა;
- სტუდენტთა საგრანტო კონკურსი;

მიღწეული შუალედური შედეგები

- სკოლის, ერთიანი ეროვნული და საერთო სამაგისტრო გამოცდების, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მიზნით ტესტირების გზით გამოვლინდნენ და განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის უფლება მოიპოვეს შესაბამისი ცოდნის მქონე პირებმა;
- გამოვლინდა იმ სტუდენტების რაოდენობა, რომლებმაც მოიპოვეს ან გაიუმჯობესეს საგრანტო დაფინანსება;
- გამოვლენილია კვალიფიციური მასწავლებლები.
- ჩატარდა PISA 2018 საცდელი კვლევა და შეიქმნა მონაცემთა ბაზები. მომზადდა TIMSS 2015-ის მათემატიკის ნაწილის ეროვნული ანგარიში და საბუნებისმეტყველო ნაწილის ეროვნული ანგარიშის სამუშაო ვერსია. მომზადდა და ხელმისაწვდომი გახდა საერთაშორისო ბაზები. მომზადდა TALIS 2018 განსახორციელებლად საჭირო ინსტრუმენტების თარგმანი;

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი -2016 წელს სკოლის მე-11 კლასის გამოსაშვებ გამოცდებზე რეგისტრაცია გაიარა 38 144 მოსწავლმ, ყველა გამოცდა ჩააბარა 32 619 მოსწავლემ, ხოლო მე-12 კლასის გამოსაშვებ გამოცდებზე გამოვიდა 45 619 მოსწავლე და მინიმალური ზღვარი გადალახა 34 107 მოსწავლემ; 2015 წელს ერთიანი ეროვნული გამოცდებზე გამოცხადებული 37 437 აბიტურიენტი უზრუნველყოფილ იქნა საგამოცდო სერვისით; 2016 წელს ერთიანი ეროვნული გამოცდაზე - რეგისტრაცია გაიარა 38 611 აბიტურიენტმა; 2015 წელს 200-ზე მეტმა სტუდენტმა მოიპოვა ან/და გაიუმჯობესა სახელმწიფო სასწავლო გრანტი; 2016 წელს სტუდენტთა საგრანტო კონკურსზე რეგისტრაცია გაიარა 3 941 სტუდენტმა.
   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - დარეგისტრირებულ და გამოცდაზე გამოსულ ბენეფიციართა რაოდენობა;

მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი - მე-12 კლასის გამოცდებზე რეგისტრაცია გაიარა 48 434 მოსწავლემ, გამოცდაზე გამოვიდა 47 063 მოსწავლე, ყველა გამოცდა ჩააბარა 34 260 მოსწავლემ; მე-11 კლასის გამოცდებზე რეგისტრაცია გაიარა 39 358 მოსწავლემ, გამოცდაზე გამოვიდა 38 711 მოსწავლე, ყველა გამოცდა ჩააბარა 31 319 მოსწავლემ.

2. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი -2015 წელს საერთო სამაგისტრო გამოცდაზე - გამოცხადებული 11 559 მსურველი უზრუნველყოფილი იქნა საგამოცოდო სერვისით. 2016 წელს საერთო სამაგისტრო გამოცდაზე - რეგისტრაცია გაიარა 12 633 სტუდენტმა;
   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - საერთო სამაგისტრო გამოცდაზე დარეგისტრირებულ და გამოცდაზე გასულ სტუდენტთა რაოდენობა.

   მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი - ერთიანი ეროვნული გამოცდებზე რეგისტრაცია გაიარა 41 242 აბიტურიენტმა. გამოცდაზე გამოვიდა 36 875 აბიტურიენტი. სწავლის გაგრძელების უფლება მოიპოვა 28 176-მა;

   საერთო სამაგისტრო გამოცდებზე რეგისტრაცია გაიარა 13 437 სტუდენტმა. გამოცდაზე გამოვიდა 11 981 სტუდენტი. სწავლის გაგრძელების უფლება მოიპოვა 9 969 სტუდენტმა.

3. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი -2015 წელს პროფესიულ ტესტირებაზე რეგისტრაცია გაიარა 17 546 აპლიკანტმა, ხოლო, ჩაირიცხა 10 405 აპლიკანტი; 2016 წლის გაზაფხულის მიღების პროფესიულ ტესტირებაზე რეგისტრაცია გაიარა 5 916 აპლიკანტმა, ჩაირიცხა 3 595 აპლიკანტი.
   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - პროფესიული ტესტირებაზე დარეგისტრირებულ და გამოცდაზე გასულ აპლიკანტების რაოდენობა

   მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი - პროფესიულ გამოცდებზე დარეგისტრირდა 21 705 აპლიკანტი, გამოცდაზე გამოცხადდა 15 861 აპლიკანტი, სწავლის გაგრძელების უფლება მოიპოვა 11 083 აპლიკანტმა.

4. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი -2016 წლის ზამთრის გამოცდებზე რეგისტრაცია გაიარა 10 552 მასწავლებელმა, გამოცდაზე გამოცხადდა 6 477 მასწავლებელი, მინიმალური ზღვარი გადალახა 1101 მასწავლებელმა. 2016 წლის ზაფხულის გამოცდებზე რეგისტრაცია გაიარა 22 799 მასწავლებელმა.
   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - მასწავლებლის საგნის გამოცდაზე დარეგისტრირებულ და გამოცდაზე გასულ მასწავლებელთა რაოდენობა.

   მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი - რეგისტრაცია გაიარა 27 263 მასწავლებელმა, გამოცდაზე გამოვიდა 20 203 მასწავლებელი.

5. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი -საერთაშორისო კვლევების (შეფასებების) განხორციელების უზრუნველყოფა.
   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - საერთაშორისო კვლევების (შეფასებების) განხორციელების უზრუნველყოფა.

   მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი - ჩატარდა PISA-ს საცდელი კვლევა, რომელშიც მონაწილეობდა 96 სკოლის 4 018 მოსწავლე; დასრულდა TIMSS 2015-ის მათემატიკის ნაწილის ეროვნული ანგარიშის მომზადება; დასრულდა TIMSS 2015-ის საბუნებისმეტყველო

ნაწილის ეროვნული ანგარიშის სამუშაო ვარიანტის მომზადება; დასრულდა სახელმწიფო შეფასების (მათემატიკა) ანგარიშზე მუშაობა; ჩატარდა კვლევის პილოტირება, რომელშიც მონაწილეობას იღებდა 1 708 მოსწავლე;

4.2.2 სახელმწიფო სასწავლო, სამაგისტრო გრანტები და ახალგაზრდების წახალისება (პროგრამული კოდი 32 04 02)

განმახორციელებელი : საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

დაგეგმილი შუალედური შედეგები

- სახელმწიფო სასწავლო გრანტით უზრუნველყოფა;
- სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით უზრუნველყოფა;
- წარჩინებული სტუდენტების სტიპენდიით უზრუნველყოფა;
- უცხო ქვეყნის მოქალაქეების სწავლების ხელშეწყობა, რომლებიც საერთაშორისო შეთანხმებებით, ხელშეკრულებებით, პროგრამებით, აგრეთვე, მემორანდუმებით ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში ისწავლიან/სწავლობენ საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე;
- უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების დაფინანსება, რომლებმაც საკუთარი სურვილით აიღეს სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლის ვალდებულება.

მიღწეული შუალედური შედეგები

- აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში საგანმანათლებლო პროგრამების დასაფინანსებლად გაცემულია სახელმწიფო სასწავლო და სამაგისტრო გრანტები;
- წარჩინებულ სტუდენტებზე გაცემულია სტიპენდიები;
- ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე დაფინანსებულია უცხო ქვეყნის მოქალაქეების სწავლა, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების და საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგებით ჩაირიცხნენ საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში;
- დაფინანსებულია სწავლა სტუდენტების, რომლებმაც საკუთარი სურვილით აიღეს სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლის ვალდებულება;

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - 2015-2016 სასწავლო წლისთვის გაცემული სახელმწიფო სასწავლო გრანტების რაოდენობამ შეადგინა 13 305 ერთეული, მათ შორის 4 909 სტუდენტი ჩაირიცხა იმ 21 პროგრამულ მიმართულებაზე, სადაც სწავლას სრულად აფინანსებს სახელმწიფო.

   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა უზრუნველყოფა სახელმწიფო სასწავლო გრანტით, განსაზღვრულია პროგრამული მიმართულებები, რომელზე სწავლას სრულად აფინანსებს სახელმწიფო;

   მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი - სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსდა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული 33 000-მდე ბაკალავრი, მათ შორის საანგარიშო პერიოდში ეროვნული გამოცდებით ჩარიცხული 8 000-მდე სტუდენტი;

   დაფინანსდა 18 000-მდე სტუდენტი, მათ შორის ეროვნული გამოცდებით ჩარიცხული 4 500-მდე სტუდენტი, რომლებიც სწავლობენ ბაკალავრიატის პროგრამულ მიმართულებებზე, რომელზე სწავლას სრულად აფინანსებს სახელმწიფო.

2. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი -სტუდენტის სტატუსის მქონე პირებზე 2015 წლის საერთო სამაგისტრო გამოცდებით გაცემული გრანტების რაოდენობამ შეადგინა 896, ხოლო წელს სოციალური პროგრამის ფარგლებში გაცემული გრანტების რაოდენობამ - 71.
   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში საერთო სამაგისტრო გამოცდების საფუძველზე აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება სახელმწიფო სამაგისტრო გრანტით.

   მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი - სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსდა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში საერთო სამაგისტრო გამოცდების საფუძველზე აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული 2 000-მდე მაგისტრანტი, მათ შორის საანგარიშო პერიოდში საერთო სამაგისტრო გამოცდებით ჩარიცხული 1 000-მდე სტუდენტი.

3. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი -,,სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ პროგრამის ფარგლებში სტიპენდიები 150 ლარის ოდენობით, გამოეყო საქართველოს 10 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 2 520 სტუდენტზე მეტს.
   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლეთან შედარებით სახელმწიფო სტიპენდიების მქონე სტუდენტების გაზრდილი რაოდენობა.

   მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი - ,,სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ პროგრამის ფარგლებში სტიპენდიები 150 ლარის ოდენობით, გამოეყო საქართველოს 10 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 2 700-მდე სტუდენტს.

4. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი -2015 წელს 51 უცხო ქვეყნის მოქალაქე ღებულობდა განათლებას საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე; ამჟამად, საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლობს 44 უცხოელი სტუდენტი (ამათგან 5 სტუდენტისთვის მიმდინარე სემესტრი დამამთავრებელია), რადგან ნაწილმა უკვე დაასრულა სწავლა.
   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - უცხო ქვეყნის მოქალაქეების რაოდენობა, რომლებიც სწავლობენ საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე.
   მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი - სწავლა დაუფინანსდა და სტიპენდია გაიცა საქართველოში მყოფ 58 უცხოელ სტუდენტზე.

5. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი -უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული 9 სტუდენტის სწავლის დაფინანსება, რომლებმაც საკუთარი სურვილით აიღეს სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლის ვალდებულება;
   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული 9 სტუდენტის სწავლის დაფინანსება, რომლებმაც საკუთარი სურვილით აიღეს სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლის ვალდებულება;
   მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი - 2017-2018 სასწავლო წლის პირველ სემესტრში დაფინანსდა 5 სტუდენტი, რომლებმაც საკუთარი სურვილით აიღეს სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლის ვალდებულება.

   ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

   უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული დაფინანსების უფლების მქონე 9 სტუდენტიდან, რომლებმაც საკუთარი სურვილით აიღეს სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლის ვალდებულება, 4 სტუდენტს შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი. აღნიშნულიდან გამომდინარე, სწავლა დაუფინანსდა 5 სტუდენტს.

   4.2.3 უმაღლესი განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 04 03)

   განმახორციელებელი : საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს

   დაგეგმილი შუალედური შედეგები

- ქართულის, როგორც უცხო ენის სწავლება;
- სტუდენტთა ხელშეწყობა;
- „ევროსტუდენტი VI“-ს ეროვნული პროექტის ხელშეწყობა;
  მიღწეული შუალედური შედეგები

- აღნიშნული პროგრამით მიმდინარეობს ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლება როგორც უცხოეთში, ასევე საქართველოს ფარგლებში.

- უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობისა და სტუდენტთა მოტივაციის ამაღლების მიზნით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტები იმფორმირებული იყვნენ შეთავაზებული ფასდაკლების შესახებ ინფორმაციით.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი -ორენოვანი აკადემიური ლექსიკოგრაფიის განვითარების ხელშეწყობა;

   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - ორენოვანი აკადემიური ლექსიკოგრაფიის ყოველწლიური შევსება/განახლება.

   მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი - ქართული ენის განმარტებით-თარგმნით-აუდიო სასწავლო ლექსიკონს დაემატა B1.1 დონის ლექსიკური ერთეულები (1000 სიტყვა-სტატია).

2. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი -ქართული ენის ფლობის სხვადასხვა დონეებზე ელექტრონული სახელმძღვანელოების შექმნა;
   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებელთან მიმართებაში ქართული ენის ფლობის დონეებზე სრულად შევსებული ელექტრონული სახელმძღვანელოები

   მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი - მომზადდა და განთავსდა ვებგვერდზე geofl.ge მომხმარებელს სრულად შეუძლია ისარგებლოს სერია „აღმართის“ სახელმძღვანელოებით (A1, A2, A2+, B1, B2, B2+ დონეები).

   ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

   საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილებით „ევროსტუდენტი VI“-ს ეროვნული პროექტი განხორციელდა პროგრამა ,,ვისწავლოთ საქართველოში“ ფარგლებში. შესაბამისად, „ევროსტუდენტი VI“-ს ეროვნული პროექტის ფარგლებში განხორციელებული სამუშაოებისა და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი შედეგების შესახებ იმფომაცია ასახულია აღნიშნული პროგრამის ფარგლებში.

4.2.4 სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრი (პროგრამული კოდი 32 04 04)

განმახორციელებელი : სსიპ - განათლების საერთაშორისო ცენტრი.

მიღწეული შუალედური შედეგები

დაფინანსდა უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ, უცხო ქვეყნის სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში საბაკალარო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების სწავლისა და ცხოვრების ხარჯები, საჯარო სექტორში მომუშავე პირების კვალიფიკაციის ამაღლების კურსებში მონაწილეობისა და ცხოვრების ხარჯები საზღვარგარეთ და ასევე, მცირე საგრანტო პროექტები.

4.3. საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 32 07)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- ყველა სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებაში შექმნილი სრულყოფილი სასწავლო პროცესის შესაბამისი გარემო;
- მოსწავლეების ამაღლებული მოტივაცია;
- უზრუნველყოფილი ყველა საჯარო სკოლა კომპიუტერული ტექნიკითა და ინტერნეტ-კავშირით.

მიღწეული საბოლოო შედეგი

- გაზრდილია ახალ აშენებული და რეაბილიტირებული საჯარო სკოლების, რეაბილიტირებული პროფესიული, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და ტერიტორიული ორგანოების რაოდენობა;
- საჯარო სკოლების ყველა პირველკლასელი მოსწავლე და მათი დამრიგებლი უზრუნველყოფილია პერსონალური კომპიუტერებით, დაჯილდოებულია წარჩინებული ახალგაზრდები კომპიუტერული ტექნიკით.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები

1. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი
   თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკითა და შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვილი საჯარო სკოლების რაოდენობა;

   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი

   საჯარო სკოლების სრული აღჭურვა კომპიუტერული ტექნიკითა და შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით

   ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

საგანმანათლებლო დაწესებულებების პროგრამის „ინფორმაციულ - საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფის“ ფარგლებში დაგეგმილი იყო საჯარო სკოლების უსადენო ინტერნეტით უზრუნველყოფა, რომელიც განხორციელდა სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ.

2. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი
საჯარო სკოლების ყველა პირველკლასელი მოსწავლე, მათი დამრიგებლები და წარჩინებული ახალგაზრდები უზრუნველყოფილ არიან კომპიუტერული ტექნიკით;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი

საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

საჯარო სკოლების ყველა პირველკლასელი მოსწავლე და მათი დამრიგებელი უზრუნველყოფილია პერსონალური კომპიუტერებით. აგრეთვე, დაჯილდოებულია წარჩინებული ახალგაზრდები კომპიუტერული ტექნიკით;

3. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი
რეაბილიტირებული და ახალაშენებული საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების რაოდენობა;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი

გაიზრდება ახალ აშენებული და რეაბილიტირებული საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების რაოდენობა;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

გაზრდილია ახალ აშენებული და რეაბილიტირებული საჯარო სკოლების რაოდენობა, ასევე, გაზრდილია რეაბილიტირებული პროფესიული, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და ტერიტორიული ორგანოების რაოდენობა.

4.3.1 საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მოსწავლეების/სტუდენტების ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 32 07 01)

განმახორციელებელი: სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო.

დაგეგმილი შუალედური შედეგები

- საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფორმაციულ - საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით უზრუნველყოფა;
- პროგრამის „ჩემი პირველი კომპიუტერი“ ფარგლებში პირველკლასელი მოსწავლეები და მათი დამრიგებლები უზრუნველყოფილია პორტაბელური კომპიუტერებით (ნოუთბუქებით), ხოლო წარჩინებული მოსწავლები/სტუდენტები სხვადასხვა კომპიუტერული ტექნიკით.

მიღწეული შუალედური შედეგები

პროგრამის ბენეფიციარები სრულად უზრუნველყოფილნი არიან პერსონალური კომპიუტერებით.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი
   2015-2016 წლებში საკლასო ელექტრონული ჟურნალებისთვის საჭირო კომპიუტერული ტექნიკით უზრუნველყოფილი საჯარო სკოლების 14%;

   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი

   საკლასო ელექტრონული ჟურნალებისთვის საჭირო კომპიუტერული ტექნიკით აღიჭურვება საჯარო სკოლების 22%.

   ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

   დაიგეგმა საჯარო სკოლების უსადენო ინტერნეტით უზრუნველყოფა, რომელიც განხორციელდა სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ.

2. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი
   2016 - 2017 წლებში უზრუნველყოფილი ბენეფიციარების 100%;
   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი

   2017- 2018 სასწავლო წელს პროგრამის „ჩემი პირველი კომპიუტერი“ ბენეფიციართა 100% უზრუნველყოფილი იქნება პერსონალური კომპიუტერებით

   მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი

   2017-2018 სასწავლო წელს პროგრამის „ჩემი პირველი კომპიუტერი“ ბენეფიციარები სრულად უზრუნველყოფილნი იყვნენ პერსონალური კომპიუტერებით. ასევე, გასულ წელთან შედარებით 7%-ით გაზრდილია კომპიუტერული ტექნიკით დაჯილდოებული წარჩინებული მოსწავლეების რაოდენობა.

4.3.2.1 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 32 07 02 01)

განმახორციელებელი: სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო.

დაგეგმილი შუალედური შედეგები

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება;

მიღწეული შუალედური შედეგები

განხორციელდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში შემავალი რიგი საჯარო სამართლის იურიდიული პირების მშენებლობა - რეაბილიტაცია, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, ინვენტარითა და ტექნიკით აღჭურვა.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი
   2016 წელს დასრულდა/დასრულდება 4 ახალი საჯარო სკოლა.
   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი

   11 ერთეულით გაიზრდება ახალი აშენებული საჯარო სკოლების რაოდენობა და დაიწყება 10 ერთეული საჯარო სკოლის მშენებლობა.

   მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი

   7 ერთეულით გაიზარდა ახალ აშენებული საჯარო სკოლების რაოდენობა და დაიწყო 13 მცირეკონტიგენტიანი საჯარო სკოლის და 3 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა.

   ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

   საჯარო სკოლების მშენებლობასთან დაკავშირებით, ცდომილების მაჩვენებელი არის 4 საჯარო სკოლა. (კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ხოვლეს, ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხურის, ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ არალის და ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ბოლნისის საჯარო სკოლები) აღნიშნული გარემოებები გამოწვეულია სამშენებლო კომპანიების მიერ გეგმა-გრაფიკის ჩამორჩენით, სამუშაოების არაჯეროვანი შესრულებით დაკლიმატური პირობების გამო. ქვემო ბოლნისის სკოლის შემთხვევაში არსებული ძველი შენობის დემონტაჟი დღემდე არ განხორციელებულა, რაც გამოწვეულია იმ მიზეზით, რომ სკოლის მიერ გამოცხადებული აუქციონები სამჯერ არ შედგა.

1. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი

2016 წელს რეაბილიტაცია ჩაუტარდა/ჩაუტარდება 500-მდე საჯარო სკოლას;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი

განხორციელდება: 45 საჯარო სკოლის ეზოს კეთილმოწყობა, 20 საჯარო სკოლის გამაგრება, 135 საჯარო სკოლაში სამედიცინო ოთახის მოწყობა, 300 საჯარო სკოლის სრული და ნაწილობრივი რეაბილიტაცია, სამ სკოლაზე ფართის მომატება მიშენების გზით, 115 საჯარო სკოლაში გათბობის სისტემების მოწყობა, 50 საჯარო სკოლაზე სახურავის შეცვლა, 75 საჯარო სკოლაზე კარ/ფანჯრების შეცვლა, 40 საჯარო სკოლაზე სველი წერტილების მოწყობა/რეაბილიტაცია.

მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი

განხორციელდა 27 საჯარო სკოლის ეზოს კეთილმოწყობის და შემოღობვის სამუშაოები, 12 საჯარო სკოლის გამაგრება; 139 საჯარო სკოლაში სამედიცინო ოთახის მოწყობა; 300 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია; 198 საჯარო სკოლაში გათბობის სისტემების მოწყობა; 100 საჯარო სკოლაზე სახურავის შეცვლა, 40 საჯარო სკოლაში კარ/ფანჯრების შეცვლა, 96 საჯარო სკოლაზე სველი წერტილების მოწყობა/რეაბილიტაცია.

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

საჯარო სკოლებში კარ-ფანჯრების შეცვლასთან დაკავშირებით ცდომილების მაჩვენებელი არის 35 საჯარო სკოლა, რაც გამოწვეული იყო იმ გარემოებიდან რომ საანგარიშო პერიოდში მოხდა პრიორიტეტების გადახედვა მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული სახურავების რეაბილიტაცია.

რაც შეეხება საჯარო სკოლებისთვის ფართის მომატებასთან დაკავშირებულ ცდომილებას, სააგენტოს თანამშრომლების მიერ განხორციელდა შერჩეული სკოლების ადგილზე შესწავლა, შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მოქმედი კანომდებლობის გათვალიწინებით და აღნიშნულ სკოლებზე ფართის დამატება ვერ აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის №41 დადგენილების (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე) მოთხოვნებს.

2. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი
   განხორციელდება 300-მდე საჯარო სკოლის შესაბამისი ინვენტარით აღჭურვა;

   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი

   შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი საჯარო სკოლების რაოდენობა;

   მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი

   135 ერთეულით გაიზარდა ახალი სასკოლო ინვენტარით აღჭურვილი საჯარო სკოლების რაოდენობა

4.3.2.2 პროფესიული საგანანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 32 07 02 02)

განმახორციელებელი: სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო.

დაგეგმილი შუალედური შედეგები

პროფესიული საგანანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება;

მიღწეული შუალედური შედეგები

პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში შექმნილია სრულყოფილი სასწავლო პროცესისათვის საჭირო პირობები. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში რეაბილიტირებულია და უზრუნველყოფილია საჭირო ინვენტარითა და აღჭურვილობებით.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი
   2016 წელს მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულების საერთო საცხოვრებელის მშენებლობა;
   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი

   დასრულება ერთი ახალი პროფესიული სასწავლებლის სასწავლო კორპუსის და 2 პროფესიული სასწავლებლების შენობის მშენებლობა;

   ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

   ცდომილების მაჩვენებელი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მშენებლობასთან დაკავშირებით შეადგენს 100%-ს. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი იყო დაბა მესტიაში სსიპ - პროფესიული სასწავლებელის „თეთნულდი" საერთო საცხოვრებლის მშენებლობა, რომელიც დროებით შეჩერებულ იქნა სამშენებლო მოედანზე ადგილობრივ მოსახლეობასთან დავის გამო. ასევე, დაგეგმილი იყო კასპში პროფესიული სასწავლებლის მშენებლობა, რომლის შესყიდვის სატენდერო პროცედურები დასრულდა უარყოფითი შედეგით. ასევე, დაგეგმილი იყო სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „თბილისის ხელოვნების კოლეჯის“ მშენებლობა, მომზადებულ იქნა შესაბამისი პროექტი, რომელიც საანგარიშო წლის შემოდგომაზე გატარებული საკანონმდებლო ცვლილებების გათვალისწინებით საჭიროებდა კორექტირებას და გამომდინარე აქედან, აღნიშნული ღონისძიება ვერ მოესწრო.

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი

2016 წელს შესაბამისი ინვენტარით მომარაგდა/მომარაგდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების 20-მდე შენობა;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი

6-მდე პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებს (შენობებს) ჩაუტარდებათ სხვადასხვა სახის ნაწილობრივი/სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები (სახელოსნოების, სასადილოს და ეზოების კეთილმოწყობა);

მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი

5 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებების 6 შენობას ჩაუტარდა სხვადასხვა სახის ნაწილობრივი/სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები;

2. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი
2016 წელს შესაბამისი ინვენტარით მომარაგდა /მომარაგდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების 20-მდე შენობა;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი

შესაბამისი ინვენტარით მომარაგდება 10-მდე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულება;

მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი

შესაბამისი ინვენტარით აღიჭურვა 20 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულება.

4.3.2.3 უმაღლესი და სამეცნიერო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 32 07 02 03)

განმახორციელებელი : სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო.

დაგეგმილი შუალედური შედეგები

უმაღლესი და სამეცნიერო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის განვითარება;

მიღწეული შუალედური შედეგები

გაუმჯობესდა საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურა და სასწავლო გარემო.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი

2016 წელს ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩაუტარდა 9 უმაღლესი სასწავლო საგანმანათლებლო დაწესებულების 6 ერთეულ შენობა ნაგებობას და აღიჭურვა ერთი ერთეული უმაღლესი დაწესებულება;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი

განხორციელდება არანაკლებ 5 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ნაწილობრივი რეაბილიტაცია;

მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი

განხორციელდა 7 უმაღლესი სასწავლებელის დაფინანსება სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო სამუშაოების და აღჭურვის მიზნით.

4.3.2.4 სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და ტერიტორიული ორგანოების ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 32 07 02 04)

განმახორციელებელი: სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

დაგეგმილი შუალედური შედეგები

სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და ტერიტორიული ორგანოების ინფრასტრუქტურის განვითარება.

მიღწეული შუალედური შედეგები

რეაბილიტირებულია სამინისტროს სისტემაში შემავალი რიგი საჯარო სამართლის იურიდიული პირების და ტერიტორიული ორგანოების შენობები.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი

2016 წელს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია 12 ერთეული სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და ტერიტორიული ორგანოების მშენებლობა/რეაბილიტაცია/აღჭურვა;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი

განხორციელდება სამინისტროს სისტემაში შემავალი 2 ერთეული (საჯარო სამართლის იურიდიული პირი) დაწესებულების რეაბილიტაცი;
მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი

განხორციელებულია სამინისტროს სისტემაში შემავალი 7 საგანმანათლებლო რესურსცენტრის ერთეული დაწესებულების რეაბილიტაცია და 3 საჯარო სამართლის იურიდიული პირის დაფინანსება სხვადასხვაა სარეაბილიტაციო სამუშაოების უზრუნველსაყოფად.

4.3.2.5 საჯარო სკოლების ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის სისტემის განვითარება (პროგრამული კოდი 32 07 02 05)

განმახორციელებელი: სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

დაგეგმილი შუალედური შედეგები

საჯარო სკოლების ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის სისტემის დანერგვა ხელს შეუწყობს ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის სისტემის ჩამოყალიბებასათვის საწყისი ამოცანების შესრულებას, რაც უზრუნველყოფს შემდგომ წლებში მის მდგრად მუშაობას.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი	
100 ახლადაშენებული და რეაბილიტირებული სკოლაში დანერგილია ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის სისტემა	
ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე
ცდომილების მაჩვენებელი 100%	გამოწვეულია გამოცხადებული ტენდერების უარყოფითი შედეგებით დასრულებით

4.4. ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს (პროგრამული კოდი 32 08)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA - GEORGIA)

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- მომზადებულია კვალიფიციური კადრები კონკურენტული შრომითი ბაზრისთვის;
- საქართველოს რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომია თანაბარი შესაძლებლობების და გაუმჯობესებული ხარისხის სასწავლო პირობები და გარემო;
- საქართველოს საჯარო სკოლების ფიზიკის, ბიოლოგიის, ქიმიის, გეოგრაფიის, ინგლისური ენისა და მათემატიკის პედაგოგების კვალიფიკაცია არის საგრძნობლად ამაღლებული;
- საქართველოს საჯარო სკოლების მოსწავლეები აუმჯობესებენ შედეგებს ეროვნულ და საერთაშორისო შეფასებებში მათემატიკის, ინგლისური ენისა და საბუნებისმეტყველო საგნების მიმართულებით;
- საბუნებისმეტყველო და საინჟინრო სფეროში, ამერიკული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა და სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუტების გაძლიერება.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- საქართველოს რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისათვის ხარისხის სასწავლო პირობების და გარემოს შესაქმნელად სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით აღიჭურვა რიგი საჯარო სკოლები შიდა ქართლის, სამცხე-ჯავახეთის, რაჭა-ლეჩხუმისა, ქვემო სვანეთის, კახეთის რეგიონებში. აგრეთვე, საჯარო სკოლები აღიჭურვა საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების ცდებისთვის საჭირო რეაგენტებით;

- მასწავლებლების და სკოლების ადმინისტრაციის წარმომადგენლების კომპეტენცია და უნარები ამაღლებულია ტრენინგების და პროფესიული შეხვედრების გზით;
- საქართველოს მოსწავლეებმა საერთაშორისო შეფასებებში აჩვენეს უკეთესი მაჩვენებელი წინა წლებთან შედარებით;
- გამოქვეყნებულია მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამის (PISA) და მათმატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლისა და სწავლების TIMSS საერთაშორისო კვლევების ანგარიშები;
- გამოქვეყნებულია მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის საგნებში საქართველოს მე-9 კლასელ მოსწავლეთა სწავლის ეროვნული შეფასების ანგარიშები; ასევე, მე-7 კლასის ქართულის, როგორც მეორე ენის ეროვნული შეფასების ანგარიში;
- კვალიფიციური კადრების მომზადების მიზნით, „პროფესიული განათლება ეკონომიკური განვითარებისთვის“ პროექტის ფარგლებში დაფინანსებული პროფესიული განათლების პროვაიდერებმა ჯამში მიიღეს 606 სტუდენტი;
- სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი - საქართველომ, არსებულ 4 საბაკალავრო პროგრამას შემატა 2 ახალი საბაკალავრო პროგრამა, ესენია: სამოქალაქო ინჟინერია და სამრეწველო ინჟინერია.;
- განხორციელდა ABET Foundation-ის ექსპერტთა ვიზიტი, რომელმაც შეაფასა თსუ-ისა და სტუ-ის 4 საბაკალავრო პროგრამა საერთაშორისო აკრედიტაციისთვის მზაობის მიზნით.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი
   შეირჩა რიგი საჯარო სკოლები და მომზადდა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და სატენდერო პაკეტები; მიმდინარეობს 15 საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები; ჩატარებულია ეროვნული შეფასება მე-9 კლასის მათემატიკაში; ჩატარებულია სწავლისა და სწავლების საერთაშორისო კვლევა;

   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი

   რეაბილიტირებული საჯარო სკოლების რაოდენობა; ჩატარებულია ეროვნული შეფასება მე-9 კლასის მოსწავლეებში საბუნებისმეტყველო საგნებსა და მე-7 კლასის მოსწავლეებთან ქართულში, როგორც მეორე ენაში. ჩატარებულია PISA და TIMSS საერთაშორისო შეფასებები;

   მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

   რეაბილიტირებულია 30 საჯარო სკოლა და მომზადებულია მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამის (PISA) და მათმატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლისა და სწავლების TIMSS საერთაშორისო კვლევების ანგარიშები. მომზადებულია მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის საგნებში საქართველოს მე-9 კლასელ მოსწავლეთა სწავლის ეროვნული შეფასების ანგარიშები; ასევე, მე-7 კლასის ქართულის, როგორც მეორე ენის ეროვნული შეფასების ანგარიში.

2. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი

პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში განხორციელდება საქართველოს მასშტაბით არსებული 10 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების საგრანტო დაფინანსება.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი

დაფინანსებული საგრანტო პროექტების რაოდენობა;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

- 10 პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებებიდან 8-მ მოიპოვა უფლება განახორციელოს 25 პროგრამა;
- ჩატარდა მცირე საგრანტო კონკურსი და საგრანტო ხელშეკრულება გაფორმდა 10 გამარჯვებულ პროექტზე.

3. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი
2015-2016 სასწავლო წელს სან-დიეგოს პროგრამაზე ჩაირიცხა 81 სტუდენტი; პარტნიორ სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელებული ინფრასტრუქტურული რეაბილიტაცია 2 200 მ2-ზე; სახელმწიფო უნივერსიტეტების 30-მა წარმომადგენელმა გაიარა ტრენინგი სან დიეგოში;
დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი

2016-2017 სასწავლო წელს სან-დიეგოს პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა; პარტნიორ სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების რაოდენობა; სახელმწიფო უნივერსიტეტების 15-მდე წარმომადგენელი გაივლის ტრენინგის სან დიეგოში;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

- სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტში - საქართველოში, სამი მიღების შედეგად სწავლობდა 390 სტუდენტი.
- საქართველოდან 56-მა პროფესორმა, სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტში - კალიფორნიაში, გაიარა პროფესიული განვითარების/გადამზადების პროგრამა.
- განხორციელდა პარტნიორი უნივერსიტეტების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია რომლის ფარგლებში გარემონტდა 1400 მ2-მდე სასწავლო და ლაბორატორიული ფართი. თბილისში, ჩოლოყაშვილის ქუჩაზე დაიწყო სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი სასწავლო კორპუსის მშენებლობა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით.

4.5 მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 05)

პროგრამის განმახორციელებელი :

- ✓ სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი;
- ✓ სსიპ – ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი;
- ✓ სსიპ – კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;
- ✓ სსიპ – გიორგი ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი;
- ✓ სსიპ - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია;
- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

საანგარიშო პერიოდში, განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა

- მეცნიერების სხვადასხვა მიმართულებით განვითარებისა და პოპულარიზაციის მიზნით, ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევებისათვის გაიცა სხვადასხვა სამეცნიერო გრანტები;
- ჩატარდა საგრანტო კონკურსები ახალგაზრდა მეცნიერთა წახალისებისა და ხელშეწყობის მიზნით;
- სამეცნიერო კვლევებში საერთაშორისო თანამშრომლობის პროცესების გაღრმავების მიზნით ჩატარდა ერთობლივი საგრანტო კონკურსები;
- ორგანიზებულია და ჩატარებულია სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციები, ფორუმები, საიუბილეო დღეები და სხვადასხვა ღონისძიებები;
- შემუშავებულია სხვადასხვა სამეცნიერო წინადადებები, გამოქვეყნებულია სამეცნიერო ნაშრომები, გამოცემულია სხვადასხვა სამეცნიერო ენციკლოპედია და ჟურნალები;
- ქვეყნის სამეცნიერო და ინოვაციური პოტენციალის წარმოჩენის, სამეცნიერო კვლევების და ინოვაციების პოპულარიზაციის, საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით ჩატარდა „მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო ფესტივალი 2017“.

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- ახალგაზრდა მეცნიერთა განვითარებისათვის შესაბამის სამუშაო გარემოს ჩამოყალიბება;
- უნივერსიტეტებში კვლევების კომერციალიზაციის ხარისხის ამაღლება, სამეცნიერო მონაცემთა ბაზაზე ხელმისაწვდომობა, სისტემაში მოყვანილი ინფორმაცია ქვეყნის სამეცნიერო პოტენციალის, მიღწევებისა და პრობლემების შესახებ;
- ახალი სამეცნიერო პროდუქტების დანერგვა.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- მეცნიერების სხვადასხვა მიმართულებით განვითარება და პოპულარიზაციია, ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების ხელშეწყობა;
- გაღრმავდა სამეცნიერო კვლევებში საერთაშორისო თანამშრომლობის პროცესი და ჩამოყალიბდა კონკურენტული კვლევითი გარემო;
- გაიზარდა სკოლის მოსწავლეების მოტივაცია ფუნდამენტალური და სხვა მეცნიერებების შესწავლის მიმართულებით;
- სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობისა და ახალგაზრდა მეცნიერთა წახალისების მიზნით დაფინანსდა კვევითი პროექტები.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი

ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო ტექნოლოგიური კვლევების განხორციელების, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ხელშეწყობის, მეცნიერთა და ახალგაზრდა მკვლევართა საერთაშორისო თანამშრომლობის წახალისების მიზნით 20-30% - ით გაზრდილი დაფინანსებული პროექტების რაოდენობა;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი

30-35% - ით გაზრდილი დაფინანსებული პროექტების რაოდენობა;

.ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

მიმდინარეობდა მუშაობა გამოყენებითი კვლევების ახალ კონცეფციაზე, რის გამოც არ გამოცხადდა გამოყენებითი კვლევებისთვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი და დაფინანსდა მხოლოდ 2016 წლის საგრანტო კონკურსში გამარჯვებული 26 პროექტი.

4.5.1 სამეცნიერო გრანტების გაცემისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 05 01)

განმახორციელებელი: სსიპ – შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი

დაგეგმილი შუალედური შედეგები

- კონკურენტული კვლევითი გარემოს შექმნა;
- კვლევების მიახლოება საერთაშორისო სტანდარტებთან და ინტერნაციონალიზაცია;
- კვლევებისა და უმაღლესი განათლების ინტეგრაციის ხელშეწყობა;
- ქართული სამეცნიერო წრეების საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში ინტეგრაცია;
- ახალგაზრდა მეცნიერთა საერთაშორისო კვლევით ასპარეზზე გასვლის ხელშეწყობა და საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში ინტეგრირება;
- საერთაშორისო სტანდარტების მქონე უმაღლესი სადოქტორო და სამაგისტრო სკოლების შექმნის ხელშეწყობა;

- განვითარდება ქართული ენის ეროვნული კორპუსი, რაც ენის შესწავლის საქმეში შესაძლებელს გახდის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას;
- აღირიცხება და მოწესრიგდება ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ არსებული ნაკლებად შესწავლილი ან შეუსწავლელი დოკუმენტები, ხელოვნების ნიმუშები, ძეგლები;
  ხელი შეეწყობა ახალგაზრდა მეცნიერთა დაინტერესებასა და ჩართულობას ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევებში და მის პოპულარიზაციაში;
- მოზარდების სამეცნიერო კარიერით დაინტერესება;
- სკოლებში სასწავლო პროცესში კვლევის ინტეგრაციის სტიმულირება;
- საზოგადოების დაინტერესება სასკოლო დონეზე კვლევების ხელშეწყობის თვალსაზრისით;
- საერთაშორისო კვლევით არეალში ქართველ მოსწავლეთა ჩართვის ხელშეწყობა;
- კვლევით პროექტებში ახალგაზრდა მეცნიერთა ჩართვის გზით მათი სამეცნიერო პოტენციალის ზრდის ხელშეწყობა.

მიღწეული შუალედური შედეგები

- გაიზარდა კვლევითი საგრანტო კონკურსების რიცხვი, მოდიფიცირდა პროექტების შეფასების კრიტერიუმები და კონკურსში მონაწილეობის პირობები, რამაც ხელი შეუწყო კვლევითი გარემოს კონკურენტუნარიანობის ზრდას;
- საკონკურსოდ წარმოდგენილი პროექტების შეფასებებში ჩართული იყვნენ საერთაშორისო ექსპერტები და ფონდები, რამაც ხელი შეუწყო პროექტების შეფასებას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად; კვლევით პროექტებში შესაძლებელი გახდა უცხოელი/უცხოეთში მოღვაწე მეცნიერების ჩართვა ძირითადი პერსონალის სტატუსით და გაიზარდა საერთაშორისო კოლაბორაციითა და უცხოეთში კვლევითი ვიზიტების მიზნით დაფინანსებული პროექტების რაოდენობა, რამაც გააძლიერა ინტერნაციონალიზაცია;
- დაფინანსდა სტრუქტურული სადოქტორო სკოლები გერმანულ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით, რომელიც გააძლიერებს კვლევებისა და განათლების ინტეგრაციას.
- დაფინანსდა საქართველოში და საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო-კვლევითი პროექტები, რაც მიზნად ისახავს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობის განვითარებას ქართული ენის კორპუსის დიგიტალიზაციის, ასევე საქართველოში და საზღვარგარეთ არსებული დოკუმენტების, ძეგლებისა და ხელოვნების შესწავლის პროცესში;
- CERN, JINR DUBNA და H2020 საწევრო გადასახედების გადახდა, რაც ხელს უწყობს ქართველი მეცნიერების მონაწილეობას ამ ორგანიზაციების პროექტებსა და პროგრამებში;
- ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ არსებული ნაკლებად შესწავლილი ან შეუსწავლელი დოკუმენტების, ხელოვნების ნიმუშების, ძეგლების აღრიცხვა-მოწესრიგების მიზნით დაფინანსდა პროექტები, ახალგაზრდა მეცნიერების სავალდებულო ჩართულობით;
- „კვლევები სკოლის მოსწავლეთა მონაწილეობით“ და „ლეონარდო და ვინჩის“ საგრანტო კონკურსების ფარგლებში დაფინანსდა პროექტები, რამაც ხელი შეუწყო სკოლის მოსწავლეებს შორის მეცნიერებისა და სამეცნიერო კარიერის პოპულარიზაციას;

- გაიზარდა საუკეთესო მეცნიერის ჯილდოს მიმღებთა რაოდენობა საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებისათვის ახალი ნომინაციების დამატების საფუძველზე, რამაც ხელი შეუწყო კონკურენტული კვლევის გარემოს შექმნას, ასევე კვლევების მიახლოვებას საერთაშორისო სტანდარტებთან და ინტერნაციონალიზაციას;
- გაიზარდა ახალგაზრდა მეცნიერთა მონაწილეობა სამეცნიერო-კვლევით პროექტებში არა მხოლოდ სამეცნიერო კვლევაში ჩართულობის კუთხით, არამედ მოხდა მათი რესურსის და ინტელექტუალური პოტენციალის გამოყენება საექსპერტო საქმიანობაში.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი
   2014-2015 წლებში დაფინანსდა 879 პროექტი შემდეგ სამეცნიერო მიმართულებებში: ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, ინჟინერია და ტექნოლოგიები, სამედიცინო და ჯანმრთელობის მეცნიერებები, აგრარული მეცნიერებები, სოციალური მეცნიერებები, ჰუმანიტარული მეცნიერებები და საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები;

   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი

   სხვადასხვა სამეცნიერო მიმართულებებში დაფინანსებული საგრანტო პროექტების რაოდენობა;

   მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

   სხვადასხვა სამეცნიერო მიმართულებებში დაფინანსდა 740 პროექტი.
2. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი
   ,,ELSEVIER" მონაცემთა ბაზაში ჩართულია კონსორციუმში შემავალი 21 ორგანიზაცია, სადაც გაერთიანებულია 14 სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები, 3 კვლევითი ცენტრი, 1 სამეცნიერო ინსტიტუტი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია და საქართველოს ეროვნული მუზეუმი.

   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი

   საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი

ელექტრონული გამომცემლობა ELSEVIER BV-ის მონაცემთა ბაზაში ჩართულია 21 ინსტიტუციისგან შემდგარი კონსორციუმი (კონსორციუმში შედიან სახელმწიფო უნივერსიტეტები, შესაბამისი სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები, 3 კვლევითი ცენტრი, 1 სამეცნიერო ინსტიტუტი,

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია და საქართველოს ეროვნული მუზეუმი).

4.5.2 სამეცნიერო დაწესებულებების პროგრამები (პროგრამული კოდი 32 05 02)

განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ – ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი;
- ✓ სსიპ – კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;
- ✓ სსიპ – გიორგი ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი.

დაგეგმილი შუალედური შედეგები

- სამეცნიერო სტატიები, როგორც ქართულ ასევე უცხოურ ჟურნალებში;
- თეზისები საერთშორისო სიმპოზიუმებში, კონფერენციებსა და ფორუმებში მონაწილეობა საქართველოში და უცხოეთში;
- მონოგრაფიები, კრებულები, სამეცნიერო წიგნები;
- კონკურენტული კვლევითი გარემო;
- ახალგაზრდა მეცნიერთა ამაღლებული კვალიფიკაცია;
- მოდერნიზებული სამეცნიერო ინფრასტრუქტურა;
- კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნწერთა ეროვნული ცენტრის ამაღლებული ცნობადობა, როგორც ქვეყნის ერთ-ერთი წამყვანი სამეცნიერო კულტურული დაწესებულების, საქართველოში და საზღვარგარეთ;
- საერთაშორისო და ადგილობრივი (საქართველო) სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზება და ჩატარება.

მიღწეული შუალედური შედეგები

- ჩატარებული ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო კვლევები;
- სამეცნიერო კვლევებში საერთაშორისო თანამშრომლობის პროცესის გაღრმავება და კონკურენტული კვლევითი გარემოს ჩამოყალიბება;
- ორგანიზებული და ჩატარებული სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციები, ფორუმები, სიუბილეო დღეები და სხვა ღონისძიებები.

4.5.3 სოფლის მეურნეობის დარგში მეცნიერთა ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 05 03)

განმახორციელებელი: სსიპ - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია

დაგეგმილი შუალედური შედეგები

საქართველოში სოფლის მეურნეობის (აგრარული) მეცნიერების განვითარების ხელშეწყობა მსოფლიო მეცნიერების მიღწევათა შესაბამისად.

მიღწეული შუალედური შედეგები

- მომზადდა და გამოიცა სხვადასხვა სამეცნიერო ნაშრომები, სტატიები, პუბლიკაციები, სახელმძღვანელოები და მონოგრაფიები სოფლის მეურნეობის საკითხებზე;
- ჩატარდა ადგილობრივი და საერთაშორისო სემინარები და კონფერენციები;
- გამოცემული იქნა რეკომენდაციები სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო საკითხებზე მომზადებულ ნაშრომებზე.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი
   განხილული და შეფასებული აგრარული პროფილის სამეცნიერო ნაშრომების გაზრდილი რაოდენობა;

   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი

   10% - ით გაიზარდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ გამოქვეყენებული აგრარული პროფილის სამეცნიერო ნაშრომების, ენციკლოპედიებისა და ჟურნალების რაოდენობა.

   მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი

   11% გაიზარდა სამეცნიერო ნაშრომების, ენციკლოპედიებისა და ჟურნალების რაოდენობა. ასევე აკადემიის მიერ განხილული და შეფასებულია სამეცნიერო ნაშრომები;
2. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი
   განხილულ და შეაფასებულ იქნა უმაღლეს საგანმანათლებლო და აგრარული პროფილის სამეცნიერო - კვლევითი დაწესებულებების წლიური სამეცნიერო ნაშრომები და მიღწევები;

   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი

   აკადემიის მიერ გამოქვეყენებული აგრარული პროფილის სამეცნიერო ნაშრომების, ენციკლოპედიებისა და ჟურნალების 5%-ით გაზრდა;
   მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი

   აკადემიის მიერ გამოქვეყენებული აგრარული პროფილის სამეცნიერო ნაშრომების, ენციკლოპედიებისა და ჟურნალების რაოდნეობა გაზრდილია 5%-ით;

4.5.4 სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 05 04)

განმახორციელებელი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

დაგეგმილი შუალედური შედეგები

- უნივერსიტეტებსა და დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებში ამაღლდება საგანმანათლებლო და სამეცნიერო პოტენციალი;
- გაიზრდება დასაქმებული სამეცნიერო პერსონალის მოტივაცია, განსაკუთრებით ახალგაზრდა მეცნიერების;
- მიეცემა სტიმული ინოვაციებზე ორიენტირებული კვლევების დაგეგმვასა და განხორციელებას;
- მაღალტექნოლოგიური დარგების პროგრესი.

მიღწეული შუალედური შედეგები

უნივერსიტეტების სტრუქტურულ ერთეულებში - 41 დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევითი ერთეულში, სამეცნიერო პროგრამების შესაბამისად, განხორციელდა სამეცნიერო-კვლევითი პროექტები, რომელიც გულისხმობდა: კვლევებისა და ცდების განხორციელებას, ორგანიზებულ სამეცნიერო კონფერენციებს და ფორუმებს, საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობას, წიგნებისა და მონოგრაფიების გამოცემას, პუბლიკაციებისა და სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნებას (მათ შორის მაღალრეიტინგულ ჟურნალებში) და სხვა. გაუმჯობესებულია სამეცნიერო საქმიანობის განხორციელებისათვის საჭირო პირობები.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი
   უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ შესაფასებლად წარმოდგენილი იქნა და დაფინანსდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების 42 პროექტი და რიგი სამეცნიერო - კვლევით დაწესებულების ინიციატივები.

   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი

   2015 წელს შერჩეული 42 პროექტის დაფინანსების გაგრძელება;
   მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი

   უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ შესაფასებლად წარმოდგენილი იქნა და დაფინანსდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების 41 სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების პროექტები.

   .ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გეოლოგიური მონიტორინგის განყოფილება შეუერთდა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტრიტუტს. შესაბამისად, ,,სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში დაფინანსდა 41 სამეცნიერო-კვლევითი ერთეული.

2. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი
   წარმოდგენილი რიგი სამეცნიერო - კვლევით პროექტების დაფინანსება.
   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი

   დაფინანსებული სამეცნიერო - კვლევითი პროექტების გაზრდილი რაოდენობა.

   მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი

   გამოიცა ბიბლიური კრიტიკული ტექსტების კვლევის შედეგებზე დაფუძნებული წიგნი, ჩატარდა სსიპ - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის დაარსებიდან 60 წლის საიუბილეო ღონისძიებები, საერთაშორისო კონფერენცია „საქართველო, ბიზანტია, ქრისტიანული აღმოსავლეთი, კულტურათა ურთიერთობების აქტუალური პრობლემები“ და მეცნიერების და ინოვაციების თბილისის ფესტივალი.

4.5.5 მეცნიერების პოპულარიზაცია (პროგრამული კოდი 32 05 05)

განმახორციელებელი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

დაგეგმილი შუალედური შედეგები

- საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება;
- მკვლევართა მოტივაციის ზრდა;
- მეცნიერებაში ინოვაციური მიდგომების წახალისება და დანერგვა;
- ახალგაზრდების, სტუდენტებისა და სკოლის მოსწავლეების დაინტერესება სამეცნიერო კვლევებითა და ინოვაციებით;
- განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სფეროების დაახლოება.

მიღწეული შუალედური შედეგები

- საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება და მეცნიერ-მკვლევართა მოტივაციის ზრდა;

- ახალგაზრდებში სამეცნიერო კვლევებისადმი ინტერესის გაღვივება;
- განათლებისა და კულტურის სფეროების დაახლოება

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი

2015-2016 წლებში ჩატარდა სამეცნიერო-შემეცნებითი ღონისძიებები და გამოფენები, სადაც მოწვეული იყვნენ საქართველოში თუ საზღვარგარეთ მოღვაწე ცნობილი მეცნიერები;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი

ჩატარებული სამეცნიერო-შემეცნებითი ღონისძიებების და გამოფენების რაოდენობა.

მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი

„მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო ფესტივალი 2017“-ის ფარგლებში ჩატარდა 300-მდე სხვადასხვა სახის სამეცნიერო-შემეცნებითი ღონისძიება.

4.6. წვრთნა და სამხედრო განათლება (პროგრამული კოდი 29 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმი;
- ✓ სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემია;
- ✓ სსიპ - თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა;
- ✓ ა(ა)იპ - სპორტული კლუბი არმია.
- ✓ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო;

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

- საზღვარგარეთ სასწავლო კურსებში მომზადებული და გადამზადებული სამოქალაქო და სამხედრო მოსამსახურეები;
- მაღალი დონის აკადემიური და სამხედრო განათლების მქონე მოსამსახურეები;
- ხარისხიანი და რეალურ საბრძოლო პირობებთან მაქსიმალურად მიახლოებული წვრთნების ჩატარება.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- მიზნობრიობისა და პრიორიტეტულობის გათვალისწინებით, წარმატებით განხორციელებული პროფესიული განვითარების პროგრამები;
- საქართველოს შეიარაღებული ძალები შეივსო: საწყისი საბრძოლო მომზადებაგავლილი რეკრუტებით, სპეციალიზაციის კურსებზე მომზადებული სამხედრო მოსამსახურეებით, პროფესიული საკარიერო განათლება გავლილიუმცროს ოფიცრებით და სერჟანტებით;
- საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში მონაწილეობის მისაღებად გაიწვრთნა ქვედანაყოფები;
- პროფესიული განვითარების საჭიროებათა გათვალიწინებით ქვეყნის გარეთ და ქვეყნის შიგნით განხორციელებული სასწავლო კურსები, განვითარების პროგრამები და ტრენინგები;

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები:

1. საბაზისო მაჩვენებელი - საბაკალავრო სკოლა - საშუალოდ 110 ლეიტენანტი; უმცროს ოფიცერთა სკოლა -საშუალოდ 80 ლეიტენანტი; სამეთაურო საშტაბო სკოლა - საშუალოდ 32 ოფიცერი;
მიზნობრივი მაჩვენებელი - საქართველოს შეიარაღებული ძალების შევსება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიის კურსდმთავრებულებით. საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება;
2. საბაზისო მაჩვენებელი - სამხედრო ლიცეუმს ამთავრებს ჩარიცხული კადეტების 70%, მათგან უმაღლეს სასწავლებელში სწავლას აგრძელებს 98%, მათ შორის 75% უმაღლეს სამხედრო სასწავლებელში;
მიზნობრივი მაჩვენებელი - ჩარიცხული კადეტების არანაკლებ 75% დაამთავრებს სამხედრო ლიცეუმს, მათგან არანაკლებ 98% სწავლას გააგრძელებს უმაღლეს სასწავლებელში, მათ შორის 80% უმაღლეს სამხედრო სასწავლებელში;
3. საბაზისო მაჩვენებელი - პარტნიორ ქვეყნებთან ორმხრივი თანამშრომლობის ყოველწლიურ გეგმებში გათვალისწინებული სასწავლო კურსები; ნატო-ს ინდივიდუალური პარტნიორობისა და თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სასწავლო კურსები ნატო-ს საწვრთნელ/სასწავლო დაწესებულებებში;
მიზნობრივი მაჩვენებელი - პარტნიორ ქვეყნებთან ორმხრივი თანამშრომლობის ყოველწლიურ გეგმებში გათვალისწინებული დაახლოებით 160-მდე სასწავლო კურსი; ნატო-ს ინდივიდუალური პარტნიორობისა და თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში დაახლოებით 220-240 სასწავლო კურსი;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და შეიარაღებული ძალების პერსონალის კვალიფიკაციის ზრდის, პროფესიული უნარების განვითარებისა და სამუშაოს შესრულების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, პროფესიული განვითარების საჭიროებათა ანალიზის საფუძველზე საქართველოში განხორციელდა 45, ხოლო საზღვარგარეთ 101 პროფესიული განვითარების პროგრამა;
- დაწყებითი სამხედრო მომზადების ხელშეწყობის მიზნით, ჩარიცხული კადეტების 60%-მა დაამთავრა სამხედრო ლიცეუმი, მათგან 92%-მა სწავლა გააგრძელა უმაღლეს სასწავლებელში, მათ შორის 50%-მა უმაღლეს სამხედრო სასწავლებელში;

- ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის კურსდამთავრებულთა რაოდენობამ შეადგინა 85; ოფიცერთა მომზადების საკანდიდატო კურსის კურსდამთავრებულთა რაოდენობამ - 6; სამეთაურო-საშტაბო კოლეჯის კურსდამთავრებულთა რაოდენობამ - 40; ენობრივი მომზადების სკოლის კურსდამთავრებულთა რაოდენობამ - 176;
- შეიარაღებული ძალების სპეციალიზაციის უზრუნველსაყოფად საწყისი საბრძოლო მომზადების კურსი გაიარა 888 რეკრუტმა. სამხედრო სპეციალიზაციის კურსები - 1 252 სამხედრო მოსამსახურემ, სერჟანტთა მომზადების კურსები - 350 სამხედრო მოსამსახურემ, უმცროს ოფიცერთა მომზადების კურსები - 287 ოფიცერმა; სამშვიდობო მისიებისთვის წვრთნა გაიარა - 2 300 სამხედრო მოსამსახურემ.

4.7 პროფესიული განათლება (პროგრამული კოდი 32 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო კოლეჯები/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმნახორციელებელი დაწესებულებები;
- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
- ✓ სსიპ - ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი;
- ✓ სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- პროფესიული განათლების გაზრდილი მოთხოვნა/ხარისხი;
- პროფესიული განათლების თავსებადობა ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან და შესაბამისობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების დასაქმების ხელშეწყობა;
- პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა საზოგადოებისაგან გარიყვის რისკის ქვეშ მყოფი პირებისათვის (შშმპ, სსსმპ, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები, დევნილები, პატიმრები, პრობაციონერები, განათლების სისტემის მიღმა დარჩენილები და ა.შ);
- ადაპტირებული ფიზიკური გარემოს მქონე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების გაზრდილი რაოდენობა;
- ფორმალური განათლების მიღმა დარჩენილ პირების პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩართვის მექანიზმის შემუშავება;
- ქვეყნის რეგიონული და ეკონომიკური განვითარების შესაბამისად ჩამოყალიბებულია ახალი და არსებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაზაზე ფუნქციონირებადი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- გადამუშავდა პროფესიული სტანდარტები, შემუშავდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი 40-ზე მეტი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, მომზადდა და დამტკიცდა 42 ჩარჩო დოკუმენტი, რომელიც შეესაბამება შრომის ბაზრის არსებულ და სამომავლო მოთხოვნებს;

- სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოში შექმნილი მხარდაჭერით, დასაქმების სერვისის ფარგლებში დასაქმდა შეზღუდული შესაძლებლობის და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე 103 პირი;
  - გაიზარდა ადაპტირებული ფიზიკური გარემოს მქონე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა;
- ადაპტირებული სასწავლო გარემოს შესაქმნელად შშმ/სსმ პირებისათვის უნივერსალური დიზაინის პრინციპებით რეაბილიტირებული იქნა რიგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების შენობები, სადაც პროფესიულ პროგრამებზე ჩაირიცხა შშმ/სსმ 250-მდე პირი;
- ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების ადგილობრივი თვითმმართველობებისა და საჯარო სკოლების ადმინისტრაციების თანამშრომლებმა და ქართული ენის სწავლებით დაინტერესებულმა სხვა პირებმა აიმაღლეს ქართული ენის ცოდნის დონე;

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

1. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი
   პროფესიული განათლების სტუდენტებისათვის ხარისხიანი განათლების მიწოდების მიზნით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებები უზრუნველყოფილ იქნა შესაბამისი ინფრასტრუქტურით, თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზითა და საჭირო ფინანსური რესურსით;

   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი

   პროფესიული განათლების სტუდენტების 100% უზრუნველყოფილ იქნება შესაბამისი დაფინანსებით.

   მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

   პროფესიული განათლების სტუდენტების 100% უზრუნველყოფილია პროფესიული შესაბამისი განათლებით.
2. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი
   საჯარო მართვასა და ადმინისტრირებაში საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებისა და ქართული ენის ცოდნის დონის ამაღლების მიზნით, გადამზადებული ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული და მაღალმთიანი რეგიონების ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებული პირების რაოდენობის ყოველწლიურად 10%-ით ზრდა;

   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი

   ყოველწლიურად გადამზადებულთა 20-30%-ით ზრდა;

   მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით გადამზადებულთა რაოდენობა გაიზარდა 88.7%-ით.

4.7.1 პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 32 03 01)

განმახორციელებელი:

- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო კოლეჯები/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმნახორციელებელი დაწესებულებები;
- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
- ✓ სსიპ - ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.

დაგეგმილი შუალედური შედეგები

პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მონაწილეობით დაფუძნებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებების ვაუჩერული, პროგრამული და მიზნობრივი პროგრამული დაფინანსების გზით;

მიღწეული შუალედური შედეგები

- პროფესიული საგანმანათლებო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულები უზრუნველყოფილი იყვნენ ვაუჩერული/მოდულებისგან შემდგარი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ვაუჩერული დაფინანსებით.
- სტაბილური სასწავლო პროცესის შენარჩუნების და პროფესიული განათლების ხარისხის განვითარების მიზნით, საჭოების შესაბამისად დაფინანსდა პროგრამული/მიზნობრივი პროგრამული დაფინანსებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ და მისი მონაწილეობით, ასევე, საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარდგინებით დაფუძნებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი ყველა საგანმანათლებლო დაწესებულება;
- სკოლებში პროფესიული უნარების განვითარებაზე ორიენტირებული გაკვეთილების დანერგვით სასკოლო ცხოვრება გახდა უფრო აქტიური და საინტერესო;
- მოსწავლეთა ასაკის, მათი ინტერესების, უსაფრთხოებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების გათვალისწინებით, მოხდა სახალისო, მაქსიმალურად პრაქტიკული და ინტერაქტიული აქტივობების ორგანიზება;

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. საბაზისო მაჩვენებელი
   2015 წელს სრული სახელმწიფო დაფინანსება მიიღო 10 509 სტუდენტმა, მათ შორის 2014 წელს ჩარიცხულმა სტუდენტებმა (აღნიშნული სტუდენტები სწავლობდნენ ისეთ პროფესიულ პროგრამებზე, რომლებიც გაგრძელდა 2015 წელსაც);

   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი

   საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით ბენეფიციარების რაოდნეობა გაზრდილია მინიმუმ 2%-ით;

   მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

   11 000-ზე მეტი სტუდენტი იღებს პროფესიულ განათლებას, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებებში;

2. საბაზისო მაჩვენებელი
   2015 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით დასაქმების მაჩვენებელი შეადგენდა 47.5%;

   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი

   კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი გაიზრდება მინ. 1%-ით;

   მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

   2016 წლის კურსდამთავრებულთა მაჩვენებელი 2015 წელთან შედარებით გაზრდილია 2.5%-ით.

3. საბაზისო მაჩვენებელი
   საზოგადოებრივი/პროფესიული კოლეჯები, ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი სახელმწიფო დაწესებულებები უზრუნველყოფილია პროგრამული და მიზნობრივი პროგრამული დაფინანსებით;

   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი

   პროგრამული და მიზნობრივი პროგრამული დაფინანსებით უზრუნველყოფილი დაწესებულებების გაზრდილი რაოდენობა

   მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

დაფინანსებულ იქნა 22 საზოგადოებრივი/პროფესიული კოლეჯი და ერთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, გაფართოვდა ორი საზოგადოებრივი კოლეჯის გეოგრაფიული არეალი (სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივ კოლეჯს დაემატა თიანეთსა და სტეფანწმინდაში სასწავლო კორპუსი, ხოლო სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯს "აისს" ლაგოდეხის სასწავლი კორპუსი).

4.7.2 ბრალდებული და მსჯავრდებული პირებისათვის და ყოფილი პატიმრებისათვის პროფესიული განათლების მიღების ხელმისაწვდომობა (პროგრამული კოდი 32 03 02)

განმახორციელებელი:

- ✓ საზოგადოებრივი/პროფესიული კოლეჯები და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- ✓ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

დაგეგმილი შუალედური შედეგები

- სისხლის სამართლის რეფორმის ფარგლებში პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფი პირებისთვის პროფესიული განათლების მიღების ხელშეწყობა;
- ყოფილ პატიმართა, მათი ოჯახის წევრთა ან/და განრიდებულთა პროფესიული განათლების მიღების ხელშეწყობა.

მიღწეული შუალედური შედეგები

- მსჯავრდებულები (პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მყოფი მსჯავრდებულები, პირობითი მსჯავრდებულები, პირობით ვადამდე გათავისუფლებული მსჯავრდებულები) დაეუფლნენ მათთვის სასურველ პროფესიებს;
- ყოფილი პატიმარები, მათი ოჯახის წევრები, დანაშაულის ჩადენის რისკის ქვეშ მყოფი არასრულწლოვანები ან/და განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართული არასრულწლოვნები ჩაერთვნენ პროფესიული მომზადების პროგრამებში.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი

მსჯავრდებულებისათის (სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მყოფი პირებისათვის, თავისუფლებაშეზღუდულ, პირობით ვადამდე გათავისუფლებულ და პირობითი მსჯავრდებულებისათვის) ხელმისაწვდომია პროფესიულ განათლება; 2012 წლიდან სულ პროგრამაში ჩაერთო 600-მდე ბენეფიციარი.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი

დაინტერესებული ბენეფიციარებისთვის სრულად უზრუნველყოფილია პროფესიული განათლების მიწოდება.

მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი

101 ბენეფიციარი (პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებული, პირობით ვადამდე გათავისუფლებული და პირობით მსჯავრდებული) დაეუფლა პროფესიულ მოკლევადიან (სერტიფიცირებული) საგანმანათლებლო პროგრამას.

2. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი
ბენეფიციარებისათვის (ყოფილი პატიმრებისთვის, მათი ოჯახის წევრებისთვის, დანაშაულის ჩადენის რისკის ქვეშ მყოფ არასრულწლოვანებისა ან/და განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართულ არასრულწლოვანებისთვის) ხელმისაწვდომია პროფესიული განათლება; 2014 წლიდან სულ მომზადება გაიარა 40-მდე ბენეფიციარმა.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი

ბენეფიციარებისათვის სრულად უზრუნველყოფილია პროფესიული განათლების მიწოდება.

მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი

34 ბენეფიციარი (ყოფილი პატიმრები) დაეუფლა პროფესიულ მოკლევადიან (სერტიფიცირებული) საგანმანათლებლო პროგრამას.

4.7.3 ეროვნული უმცირესობების პროფესიული გადამზადება (პროგრამული კოდი 32 03 03)

განმახორციელებელი: სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა.

დაგეგმილი შუალედური შედეგები

- სახელმწიფო ენის სწავლების ხელშეწყობა;
- საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების სწავლების ხელშეწყობა.

მიღწეული შუალედური შედეგები

- ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელთა შორის ამაღლებულია სახელმწიფო ენის ცოდნის დონე;
- საჯარო მოსამსახურეების პროფესიული უნარ-ჩვევები გაუმჯობესებულია

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი
   სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის კურსდამთავრებულთა რაოდენობა - 2 700;

   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი

   სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის კურსდამთავრებულთა რაოდენობა საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით გაიზრდება 15%-ით.

   მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი

   სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის ფარგლებში გადამზადდა 3247 ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი; სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის კურსდამთავრებულთა რაოდენობა საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 120.3%-ით.

2. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი
   საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების პროგრამის კურსდამთავრებულთა რაოდენობა - 630.

   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი

   საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების პროგრამის კურსდამთავრებულთა რაოდენობა საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით გაიზრდება 2%-ით.

   მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი

   საჯარო მმართველობისა და ადმინისტრირების პროგრამის ფარგლებში გადამზადდა 225 ბენეფიციარი. სულ საბაზისო მაჩვენელბელთან შედარებით გაზრდილია 35.7%-ით.

4.8 განათლებისა და მეცნიერების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა (პროგრამული კოდი 32 01)

განმახორციელებლები:

- ✓სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი;
- ✓საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
- ✓საგანმანთლებლო რესურსცენტრები;
- ✓სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო ცენტრი.

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- მმართველობითი ინფორმაციის მომზადების დროის შემცირება და სანდოობის გაზრდა;
- საგანმანათლებლო დაწესებულებების მონიტორინგის და კონტროლის სისტემის გაუმჯობესება და მიღებული გადაწყვეტილებების გამჭვირვალობისა და ხარისხის უზრუნველყოფა;
- განათლების ხარისხის შიდა და გარე მექანიზმების შედეგებზე ორიენტირებული სისტემის დანერგვა და მისი მეშვეობით საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება. სწავლა მთელი სიცოცხლის მანძილზე პრინციპის დანერგვისა და განათლების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა. ახალი მოთხოვნებიდან გამომდინარე ექსპერტების გადამზადება და საგანმანათლებლო დაწესებულებების მხარდაჭერა;
- შეუფერხებელი განათლების მიღების ხელშეწყობა საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში უცხოელი სტუდენტებისა და საქართველოს მოქალაქეების - საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში;
- პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარება;
- განათლების სისტემაში თანამედროვე ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება;
- ერთიანი საინფორმაციო სისტემის შექმნა, მართვის ელექტრონული სისტემების დანერგვა/ განვითარება.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- გაიზარდა სანდოობა და შემცირდა მმართველობითი ინფორმაციის მომზადების დრო;
- გაუმჯობესებულია საგანმანათლებლო დაწესებულებების მონიტორინგის და კონტროლის სისტემა და უზრუნველყოფილია მიღებული გადაწყვეტილებების გამჭვირვალობა და ხარისხი, დამტკიცებულია ავტორიზაციის განახლებული სტანდარტები და პროცედურები;

- სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა ხელი შეუწყო უცხოეული სტუდენტების - საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში და საქართველოს მოქალაქეების - საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში შეუფერხებელი განათლების მიღებას; განხილულ იქნა განათლების აღიარების თაობაზე განცხადებები; მომზადდა განათლების აღიარების დოკუმენტები და უცხოური საგანმანათლებლო დაწესებულებების სტატუსთან დაკავშირებით ცნობები; განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე გაიცა პროფესიული დიპლომი/დიპლომი;
- პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა ხელი შეუწყო სანდო და ვალიდური კვალიფიკაციების არსებობას, კვალიფიკაციების მიმართ ნდობის ამაღლებას როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე, პროფესიული სტანდარტებისა და კვალიფიკაციების განვითარებას;
- განხორციელებულია ელექტრონული ჟურნალის დანერგვის პირველი ეტაპი, აღნიშნული ხელს უწყობს მოსწავლეთა გაკვეთილებზე დასწრებისა და აკადემიური მოსწრების აღრიცხვისა და ანალიზის ეფექტიანობას.
- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემა (eVet), რომელშიც ჩართულია ყველა სახელმწიფო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, მოდიფიცირებულია მოდულური/დუალური სწავლებს შესაბამისად; ასევე, სისტემა ხელმისაწვდომია კერძო კოლეჯებისთვის; საგნობრივი პროგრამებისთვის მოქმედებს სტუდენტთა დასწრებისა და აკადემიური მოსწრების აღრიცხვის სისტემა; ერთიან საინფორმაციო სისტემაში, ხელმისაწვდომია ყველა სახის მონაცემები პროფესიული განათლების სახელმწიფო და კერძო დაწესებულებების რესურსებისა და მათი ბენეფიციარების შესახებ; დანერგილია აპლიკანტთა ელექტრონული რეგისტრაცია;
- უმაღლესი განათლების სისტემაში მიმდინარე პროცესების ადმინისტირების ხელშწყობის მიზნით, შემუშავებულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის საინფორმაციო სისტემის (eUni) საბაზო ვარიანტი და საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სისტემა (QMS), ასევე დაიწყო სტუდენტთა მიერ მოპოვებული სახელმწიფო დაფინანსების ადმინისტრირების პროცესის ავტომატიზაციის პროექტის მოსამზადებელი სამუშაოები;
- უზრუნველყოფილ იქნა მე-12 კლასში შემავალი საგნების სასწავლო პროგრამების ექსტერნატის ფორმით დაძლევის მსურველთათვის ცენტრალიზებული გამოცდები. ასევე, სკოლის გამოსაშვები გამოცდების (CAT), ეროვნული სასწავლო და სამოქალაქო ოლიმპიადების, პროფესიული განათლების მიღების მსურველთა პროფესიული ტესტირებისა და სხვა მსგავსი ღონისძიების ტექნიკური მხარდაჭერა.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი
   მიმდინარეობდა მუშაობა ადრეული და სკოლამდელი განათლების სისტემის შექმნისა და განვითარების, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სისტემების სრულყოფის, მეცნიერების განვითარების და სახელმწიფო ენობრივი პოლიტიკის განხორციელების მიზნით.

   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი

   გაგრძელდება მუშაობა ადრეული და სკოლამდელი განათლების სისტემის შექმნისა და განვითარების, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სისტემების სრულყოფის, მეცნიერების განვითარების და სახელმწიფო ენობრივი პოლიტიკის განხორციელების მიზნით.

   მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

მიმდინარეობდა მუშაობა ადრეული და სკოლამდელი განათლების სისტემის შექმნისა და განვითარების, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სისტემების სრულყოფის, მეცნიერების განვითარების და სახელმწიფო ენობრივი პოლიტიკის განხორციელების მიზნით;

2. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი
მიმდინარეობდა ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცედურებისა და სტანდარტების ანალიზი და განახლება მათი სრულყოფის მიზნით.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი

გაგრძელდება ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცედურებისა და სტანდარტების ანალიზი და განახლება მათი სრულყოფის მიზნით.

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

სრულყოფის მიზნით გაგრძელდა ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცედურების და სტანდარტების განახლება, დამტკიცდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ახალი სტანდარტები და პროცედურები და შემუშავდა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის განახლებული სტანდარტების პროექტი.

3. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი
ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში 450 პროფესიული კვალიფიკაციაა, შრომის ბაზრის ინფორმაციის საფუძველზე საჭიროა პროფესიული კვალიფიკაციების ჩამონათვალის რეგულარული განახლება; გადამუშავდა 249 სტანდარტი ასევე, დამტკიცებულია 80 და დანერგილია 45 მოდულარული პროფესიული პროგრამა.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი

დამატებით 50 პროფესიული სტანდარტის პროექტის მომზადება/გადახედვა და 50 მოდულური პროფესიული პროგრამის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მათი დანერგვის მიზნით. არანაკლებ 10 სტანდარტის გადამუშავება და მინიმუმ 5 სახელმძღვანელოს მომზადება.

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

მომზადდა 123 პროფესიული სტანდარტის პროექტი და 42 ჩარჩო დოკუმენტი დანერგილია 14 მოდულური პროფესიული პროგრამა.

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

ჩარჩო დოკუმენტების შემუშავების მიზნით გაკეთებული ანალიზის საფუძველზე განისაზღვრა გადამუშავებული და დამტკიცებული სტანდარტების რაოდენობა. საგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრირების გაუმჯობესების მიზნით დამატებით შემუშავდა ხარისხის მართვის სისტემა (QMS), რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულებების ავტორიზაცისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესების ავტომატიზაციას. ვებგვერდის საშუალებით საგანმანათლებლო ინდიკატორებისა და სტატისტიკის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით დაიგეგმა ახალი პროგრამული უზრუნველყოფის ინტეგრირება.

4. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი
Voip სატელეფონო კავშირით უზრუნველყოფილია ჩართული თბილისის საჯარო სკოლების მნიშვნელოვანი ნაწილი.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი

Voip სატელეფონო კავშირით უზრუნველყოფილი იქნება თბილისის საჯარო სკოლები.

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

Voip სატელეფონო კავშირით უზრუნველყოფილია სკოლების 3%.

5. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის სისტემაში მოქმედებს მასწავლებელთა შეფასების ელექტრონული სისტემა და პილოტურ რეჟიმში ელექტრონული ჟურნალის მოდული. შემუშავებულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის საინფორმაციო სისტემის პლატფორმა. ვებგვერდის საშუალებით ხელმისაწვდომია ზოგადსაგანმანათლებლო ინდიკატორებისა და სტატისტიკის შესახებ ინფორმაცია.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი

ამოქმედებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემის შემთხვევაში ელექტრონული ჟურნალის მოდული და მასწავლებელთა შეფასების ელექტრონული სისტემა სრულად; პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემა მორგებულია მოდულური სწავლების ამოცანებსა და პრინციპებზე; მოქმედებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის საინფორმაციო სისტემა. ვებგვერდის საშუალებით ხელმისაწვდომია საგანმანათლებლო ინდიკატორებისა და სტატისტიკის შესახებ ინფორმაცია.

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

- ამოქმედებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემის ელექტრონული ჟურნალის მოდული, რომლის დანერგვის საპილოტე პროგრამამ მოიცვა 359 საჯარო სკოლა;
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის შესაბამისად მოდიფიცირებულია და მოქმედებს მასწავლებელთა შეფასების ელექტრონული სისტემა;
- პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვის საინფორმაციო სისტემა მორგებულია მოდულური სწავლების ამოცანებსა და პრინციპებზე;

- შემუშავებულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის საინფორმაციო სისტემის (eUni) საბაზო ვარიანტი. ასევე, შემუშავდა საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სისტემა (QMS), რომელიც მზადაა ტესტირებისათვის;
  ვებგვერდის საშუალებით ხელმისაწვდომია საგანმანათლებლო ინდიკატორებისა და სტატისტიკის შესახებ ინფორმაცია.

4.9 სახელოვნებო განათლების სისტემის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 33 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო;
✓ საგანმანათლებლო დაწესებულებები;

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- საერთაშორისო სახელოვნებო საგანმანათლებლო სისტემასთან ჰარმონიზებული და მასში ინტეგრირებული საქართველოს სახელოვნებო საგანმანათლებლო სისტემა.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- ხელი შეეწყო სტუდენტების და მოსწავლეების განათლებას, მიღწეული შედეგების წარმოჩენას სხვადასხვა ტიპისა და მიმართულებების კონცერტების, საღამოების, მასტერკლასებისა და ვორკშოფების, სპექტაკლების, გამოფენების, კონფერენციების გამართვით, საერთაშორისო პროექტებში ჩართულობით, საგანგებოდ მათთვის გამართული საჯარო ლექციებით, სტუდენტებისა და მოსწავლეების მონაწილეობით ეროვნულ და საერთაშორისო კონკურს-ფესტივალებში და სხვადასხვა ტიპის საჯარო ღონისძიებებში.
- ხელი შეეწყო 29 სტუდენტის სწავლას, მათ შორის პროფესიული განათლების და სამაგისტრო პროგრამებზე, ასევე უცხოეთის წამყვან სახელოვნებო სასწავლებლებში. 200 - მდე სტუდენტი და მოსწავლე მიიღო მონაწილეობა პროფესიულ ზრდა-დაოსტატებას საერთაშორისო კონკურს-ფესტივალებში, მასტერკლასებში, კონცერტებში;

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები

1.დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - საერთაშორისო პროექტებში და სამეცნიერო კონფერენციებში პედაგოგების მონაწილეობა, სტუდენტთა სწავლის ხელშეწყობა, სტუდენტთა და მოსწავლეთა კონცერტები, გამოფენები, სტუდენტური სპექტაკლები, ფილმები, გამოფენები, კონფერენციები, საერთაშორისო მასტერკლასებსი, კონკურს-ფესტივალებში მონაწილეობა - 1 200;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - საერთაშორისო პროექტებში და სამეცნიერო კონფერენციებში პედაგოგების მონაწილეობა, სტუდენტთა სწავლის ხელშეწყობა, სტუდენტთა და მოსწავლეთა კონცერტები, გამოფენები, სტუდენტური სპექტაკლები, ფილმები, გამოფენები, კონფერენციები, საერთაშორისო მასტერკლასებსი, კონკურს-ფესტივალებში მონაწილეობა - 1 200;
მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - საერთაშორისო პროექტებში და სამეცნიერო კონფერენციებში პედაგოგების მონაწილეობა, სტუდენტთა სწავლის ხელშეწყობა, სტუდენტთა და მოსწავლეთა კონცერტები, გამოფენები, სტუდენტური სპექტაკლები, ფილმები, გამოფენები, კონფერენციები, საერთაშორისო მასტერკლასებსი, კონკურს-ფესტივალებში მონაწილეობა - 1 216.

4.11 სამართალდამცავი სრუქტურებისათვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, გადამზადება, საარქივო ფონდების დიგიტალიზაცია, სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობა და მოქალაქეთა მომსახურება (პროგრამული კოდი 30 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- პოლიციელის კარიერული წინსვლის შემუშავებული თანმიმდევრული სისტემა;
- პოლიციის მუშაობის მკვეთრად გაზრდილი ეფექტიანობა;
- საზოგადოებაზე ორიენტირებული პოლიცია;
- პოლიციის პოპულარიზებული პროფესია;
- შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის მომზადებული და გადამზადებული პროფესიონალი და მაღალკვალიფიციური კადრი;
- უცხოურ ენაზე ოპერირებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების მქონე კადრით დაკომპლექტებული სისტემა.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- შემუშავდა ანალიტიკოსთა მომზადების სასწავლო კურსი, განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლების ტრენინგის კურსი, მესაზღვრე ოფიცერთა ტრენინგის კურსი;
- საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების თანამშრომლებმა გაიარეს შესაბამისი გადამზადება/მომზადების კურსები და პროგრამები: სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მესაზღვრეთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, დეტექტივ-გამომძიებლის სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში და ტერიტორიულ ორგანოებში თანამდებობრივი დაწინაურების სპეციალური გადამზადების კურსი, პატრულ-ინსპექტორთა მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, პოლიციაში სამუშაოდ მისაღები და სამუშაოზე

მიღებული წვევამდელების სპეციალური მომზადებისა და პოლიციის უმცროსი ლეიტენანტის სპეციალური წოდების მისანიჭებელი სპეციალური მომზადების პროგრამა, კიბერდანაშაულის და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით ჩადენილი დანაშაულების გამოძიებისა და ციფრული მტკიცებულებების მოპოვება-დამუშავების სასწავლო კურსი;

- 24 ინტრუქტორს ჩაუტარდა „ტრენერთა ტრენინგი (TOT)".

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - ამჟამად აკადემიაში სწავლობს 110 ბაკალავრი და 45 მაგისტრანტი; არსებობს სტუდენტური საინფორმაციო სისტემა, რომლითაც სარგებლობა შესაძლებელია მხოლოდ კომპიუტერის საშუალებით; გამოცდები ტარდება მატერიალური სახით - ქაღალდზე დაბეჭდილი საგამოცდო საკითხებით

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - სტუდენტთა რაოდენობა 316 (მ. შ 260 ბაკალავრი და 56 მაგისტრი); დანერგილი სტუდენტური საინფორმაციო სისტემის მობილური აპლიკაცია; სპეციალური ელექტრონული სისტემით ჩატარებული გამოცდები

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - სტუდენთა რაოდენობა 319 (მ.შ. 310 ბაკალავრი, 48 მაგისტრანტი), დანერგილია სტუდენტური საინფორმაციო სისტემის მობილური აპლიკაცია და სპეციალური ელექტრონული სისტემა გამოცდებისთვის

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

- ცდომილება 14%. ყველა მსურველთა მიერ ვერ მოხდა მაგისტრანტობისთვის შესაბამისი გამოცდების წარმატებით ჩაბარება

2. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - არსებული მდგომარეობით სპეციალური პროფესიული სწავლების ადმინისტრირებისთვის აკადემიაში შექმნილი და დანერგილია პროფესიული სწავლების ელექტრონული სისტემა, რომელიც ასევე მოიცავს ელექტრონული სალექციო ცხრილების პროგრამას. მუშავდება 3 პროგრამა ელ. სისტემის განვითარების კუთხით (1. მსმენელთა ელ.გვერდი; 2. მსმენელთა ელ.ანკეტების პროგრამა; 3. კვებით უზრუნველყოფის პროგრამა; 4. მსმენელთა ელ.გვერდის მობილური აპლიკაცია); შსს აკადემიაში მიმდინარეობს ახალი კურსების შემუშავება, როგორიცაა: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან ურთიერთობის დამყარების სტანდარტები, თანამდებობრივი დაწინაურების სპეციალური გადამზადების კურსი და სხვა. მუდმივად ხორცილდება შემუშავებული პროგრამების განახლება; მიმდინარეობს დისტანციური სწავლებისთვის სისტემის აწყობა; მიმდინარეობს შსს-ს აკადემიის სტუდენტთა ტესტირების სისტემა „Questionnaire“ განახლება

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - განვითარებული სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა სპეციალური პროფესიული პროგრამების ნაწილში. შემუშავებული კვებით უზრუნველყოფის პროგრამა; მსმენელთა ელ. გვერდის მობილური აპლიკაციის სისტემა; შემუშავებული ახალი სასწავლო პროგრამები/კურსები; დანერგილი დისტანციური სწავლების მეთოდი; შსს-ს აკადემიის სტუდენტთა ტესტირების ახალი სისტემა „Questionnaire“

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - შეძენილია სტუდენტური ბაზების მართვის ელექტრონული სისტემის პაკეტი. განახლდა სტუდენტთა ტესტირების სისტემა „Questionnaire". შემუშავდა მსმენელთა ელ. გვერდის მობილური აპლიკაციის სისტემა. დაინერგა დისტანციური სწავლების მეთოდი.

3. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - აუდიტორიებში ტექნიკური აღჭურვილობა (პროექტორები და სპიკერები) მოძველებულია; Frontexის პროგრამა საჭიროებს ადაპტირებას დონეების მიხედვით; შესამუშავებელი და მოსაძიებელია დისტანციური სწავლების ზოგადი ინგლისური ენის კურსის შესადგენი მასალები; გამოსაცდელია თანამედროვე სწავლების პროგრამის - Rosetta Stone-ის ეფექტიანობა; ინგლისური ენის პედაგოგებს ესაჭირებათ კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრეინინგები; აკადემიაში შემუშავებულია დისტანციური სწავლების ელ. პროგრამა და შესაბამისი სასწავლო პროგრამების შემუშავებისთვის საჭიროა შესაბამისი გამოცდილებისა და ცოდნის დაგროვება

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - ქართული ენის სწავლის მსურველებისათვის შედგენილი სპეციალური პროგრამა; თანამედროვე სასწავლო პროგრამაში (Rosetta Stone) მონაწილე თანამშრომლებისთვის პროგრესის მონიტორინგისთვის შემუშავებული აუცილებელი შეფასების სქემა; მასწავლებელთა უნარების გაუმჯობესების მიზნით სხვადასხვა ტრეინინგ პროგრამებში მონაწილეობა; შემუშავებული დისტანციური სწავლების ზოგადი ინგლისურის კურსის პირველი ორი საფეხური (Starter/Elementary); მესაზღვრეებისათვის დონის შესაბამისად ადაპტირებული Frontex-ის შემუშავებული პროგრამა; დისტანციური სწავლების დანერგვის მიზნით პედაგოგებისთვის შესაბამისი ტრენინგების ჩატარება

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - ქართული ენის სწავლის მსურველებისათვის შედგა სპეციალური პროგრამა. დისტანციური სწავლების დანერგვის და გაუმჯობესების მიზნით ქვეყნის მასშტაბით 10 სხვადასხვა რეგიონში მომზადდა სასწავლო გარემო. შესაბამის ცენტრებს გადაეცათ სწავლებისათვის საჭირო კომპიუტერული ტექნიკა და ინვენტარი

4. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა საჭიროებს მუდმივ განახლებას რათა პასუხობდეს თანამედროვე მოთხოვნებს

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - განახლებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; აკადემიაში არსებული კომპიუტერული ქსელის უსაფრთხოების და ფილტრაციის მიზნით შეძენილი მოწყობილობები; მსმენელების სწავლება ელექტრონული წიგნების მეშვეობით

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - უცხო ენის ცენტრში წავლება მიმდინარეობს ელექტრონული წიგნების მეშვეობით; აკადემიაში არსებული კომპიუტერული ქსელის უსაფრთხოების და ფილტრაციის მიზნით შეძენილია ე.წ. სვიჩები. შეძენილია: 1 ცალი ინტერაქტიული პანელი, ელექტრონული ტაბლო 1, ქსელის გამანაწილებელი - 10, მაგიდა - 180, სკამი - 260, სავარძელი - 18, უწყვეტი კვების წყარო - 75, ვებ კამერა - 30, პრინტერი - 12

4.12 ინკლუზიური განათლება (პროგრამული კოდი 32 06)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
✓სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- სენსორული (სმენა, მხედველობა) დარღვევის მქონე ბავშვებისთვის გახსნილი სასკოლო მზაობის ჯგუფები.
- მულტიდისციპლინური გუნდის ხელშეწყობა;
- ინკლუზიური განათლების დანერგვის ხელშეწყობა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში;
- საჯარო სკოლებში ინტეგრირებული კლასების დაფინანსება;
- ინკლუზიური განათლების დანერგვის მონიტორინგი;
- სოციალური ინკლუზია;
- განათლების მიღების მეორე შესაძლებლობა სასწავლო პროცესის მიღმა დარჩენილი ბავშვებისთვის საქართველოში;
- განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა სპეციალური დაწესებულებების ხელშეწყობის პროგრამა.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- შეფასების (VINELAND, EDDT და MWRATR) ტესტების ჩატარების ტექნიკის დაუფლებისა და ინტერპრეტაციაში გარკვევის მიზნით გადამზადდა მულტიდისციპლინური გუნდის წევრები;
- პროფესიულ განათლების საფეხურზე მომზადდა 20 სპეციალისტი, განხორციელდა სსსმ აბიტურიენტების პროფესიულ განათლებაში ჩარიცხვის პროცედურები;
- იაშვილის სახელობის ბავშვთა საავადმყოფოში ხანგრძლივად ჰოსპიტალიზებული ქრონიკული დაავადებების მქონე ბავშვებისათვის უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო სერვისის მიწოდება. აუტისტური სპექტრის მქონე, სმენადაქვეითებული და საშუალო, მძიმე ინტელექტუალური და მრავლობითი დარღვევის მქონე მოსწავლეებისათვის ფუნქციონირებს 12 საჯარო სკოლაში შესაბამისი სპეციალისტებითა და ყველა საჭირო ინვენტარით, ტექნიკით, განმავითარებელი თვალსაჩინოებებითა და სათამაშოებით აღჭურვილი რესურსოთახები (ინტეგრირებული კლასები);
- ინკლუზიური განათლების მიმართულებით ჩატარებულია მონიტორინგი 120 საჯარო სკოლასა და სოციალური მომსახურების სააგენტოს 6 დაწესებულებაში;
- პროგრამაში ჩართულ მოზარდთა სოციალიზაციისა და ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით დაფინანსებულია საჯარო სკოლების მიერ წარმოდგენილი პროექტები;
- სპეციალურ საგანმანთლებლო დაწესებულებების ბენეფიციარები უზრუნველყოფილნი არიან სრული სახელმწიფო სადღეღამისო ან დღის მომსახურებით, სადაც ინდივიდუალური საჭიროებების, ასაკისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით განხორციელდა მათ განვითარებაზე ზრუნვა;

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი
   ზოგადი განათლების საფეხურზე ჩართული 5 433 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე.

   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი

   მულტიდისციპლინური გუნდის მიერ შეფასებულთა რაოდენობა საბაზისო მაჩვენებლთან შედარებით გაზრდილია მინიმუმ 20%-ით.

   მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

   მულტიდისციპლინური გუნდის მიერ შეფასებულთა რაოდენობა საბაზისო მაჩვენებლთან შედარებით გაზრდილია 25%-ით.

2. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი
   პროფესიულ განათლებაში ჩართული 231 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სსსმ სტუდენტი.

   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი

   პროფესიულ განათლებაში ჩართულია მინიმუმ 15%-ით მეტი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტი საბაზისო მაჩვენებლთან შედარებით.

   მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

   პროფესიულ განათლებაში ჩართულია დამატებით 240 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტი. საბაზისო მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 3.9% -ით.

   ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

   პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სსსმ სტუდენტებისთვის გამოყოფილი კვოტის ფარგლებში მოხდა სტუდენეტების ჩარიცხვა, რამაც განაპირობა ჩარიცხული სტუდენტების ნაკლები რაოდენობა.

3. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი

ბავშვთა საავადმყოფოში ხანგრძლივად ჰოსპიტალიზებული ქრონიკული დაავადებების მქონე მოსწავლეებისათვის, სენსორული (სმენის), მრავლობითი დარღვევის მქონე და აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე სსსმ მოსწავლეებისათვის საგანმანათლებლო სერვისის მიწოდების მიზნით მოქმედი 9 ინტეგრირებული კლასი.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი

ფუნქციონირებას განაგრძობს 9 და დამატებით გაიხსნება მინიმუმ 2 ახალი ინტეგრირებული კლასი.

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

12 საჯარო სკოლაში ფუნქციონირებს ინტეგრირებული კლასი, მათ შორის აუტიზმის სპექტრის მქონე მოსწავლეებისთვის დამატებით 2 საჯარო სკოლაში გაიხსნა ინტეგრირებული კლასები.

4. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი
სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების ინტეგრაციის ბარიერების გადალახვისთვის სკოლების გაძლიერების მიზნით შემუშავებული სატრენინგო პროგრამა. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვების მომსახურე ყველა ცენტრის (6 ცენტრი) ბენეფიციარების საგანმანათლებლო მომსახურებით უზრუნველყოფა.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი

სპეციალური საგანმანათლებლო სერვისის განხორციელება ე.წ. ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვებისთვის, საზაფხულო ბანაკის მოწყობა მიუსაფარი ბავშვებისთვის, ფორმალური განათლების მიღმა დარჩენილი ახალგაზრდებისთვის, ხელმისაწვდომი და უწყვეტი განათლების უზრუნველყოფისთვის საგანმანათლებლო მოდელის განსაზღვრა.

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

ე.წ. ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვებს და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ექვსივე დღის/კრიზისულ ცენტრში ჩარიცხულ მიუსაფარ ბავშვს/მოზარდს მიეწოდებოდა სპეციალური საგანმანათლებლო სერვისი (სულ 101 ბენეფიციარი);

5. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი
სპეციალურ საგანმანთლებლო 8 დაწესებულებაში ინდივიდუალური საჭიროებების, ასაკისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით ბენეფიციარები უზრუნველყოფილნი იქნენ სრული სახელმწიფო სადღეღამისო ან დღის მომსახურებით.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი

საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

სპეციალური საგანმანთლებლო 8 დაწესებულების ბენეფიციარები უზრუნველყოფილნი არიან ინდივიდუალური საჭიროებების, ასაკისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით სრული სახელმწიფო სადღეღამისო ან დღის მომსახურებით.

4.13 თბილისის საჯარო სკოლების რეაბილიტაცია და ენერგო ეფექტურობის გაზრდის პროექტი (CEB, E5P) (პროგრამული კოდი 32 09)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო.

დაგეგმილი საბოლოო შედეგი

25 საჯარო სკოლაში კომფორტული ტემპერატურის შენარჩუნება გათბობის და ვენტილაციის (მინიმალური) 50% გამოყენების გარეშე, მაქსიმალური ჰერმეტიზაციის ხარჯზე.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგეის შეფასების ინდიკატორები

1. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი
   2017 წლისთვის დაიწყება 10 ერთეული საჯარო სკოლის რეაბილიტაცია, რომლებიც მოახდენენ დაბალი ენერგიის მოხმარებას.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი

თბილისის 25 საჯარო სკოლა სრულად რეაბილიტაცირებულია და გაუმჯობესებულია ენერგო-ეფექტური ინფრასტრუქტურა.

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

პროექტის ფარგლებში მიმდინარე წელს დაგეგმილი იყო სამი (საპილოტე) საჯარო სკოლის გამაგრება/სრული რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვა, ბანკსა და ესპანურ საპროექტო ორგაზაცია „ეუროსტუდიოს“ შორის დადებული შეთანხმების შესაბამისად აღნიშნულ კომპანიას დაევალა საკუთარი ძალებით, როგორც დამატებითი სამუშაო შეესრულებინა შენობა ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობის შესწავლა და

გეოლოგიური კვლევების ჩატარება და აქედან გამომდინარე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება. პროექტირებების დასრულების ვადად განსაზღვრული იყო საანგარიშო პერიოდის მეორე ნახევარი, რომელიც აღნიშნული პერიოდისთვის ვერ მოხერხდა.

4.15 იუსტიციის სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა გადამზადება და სასწავლო ცენტრის განვითარება (პროგრამული კოდი 26 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

- იუსტიციის სამინისტროს სისტემის, სხვა საჯარო თუ კერძო ორგანიზაციების თანამშრომელთა და დაინტერესებულ პირთა კვალიფიკაციის ამაღლება, პიროვნული და პროფესიული განვითარება, პრაქტიკული უნარების გაძლიერება;
- იუსტიციის სამინისტროს სისტემისა და სხვა საჯარო და კერძო ორგანიზაციებისთვის კვალიფიციური კადრების შეფასებისა და შერჩევის უზრუნველყოფა.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- ხელი შეეწყო იუსტიციის სამინისტროს სისტემისა და სხვა საჯარო და კერძო ორგანიზაციების თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებას. თეორიულ ცოდნასთან ერთად აპლიკანტებმა, რომლებმაც გაიარეს ტრენინგი, მნიშვნელოვნად გაიუმჯობესეს პრაქტიკული უნარ-ჩვევები;
- ჩატარებული ტესტირებები განხორციელდა მაღალ დონეზე. ორგანიზებული ტესტირების შედეგად სხვადასხვა საჯარო და კერძო ორგანიზაციებს საშუალება მიეცათ, გამოცხადებულ ვაკანტურ თანამდებობებზე აეყვანათ კვალიფიციური კადრები.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - 2016 წელს I კვარტალში ტრენინგი გაიარა 505-მა აპლიკანტმა;
   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - 2017 წელი – ტრენინგს გაივლის 4900 აპლიკანტი; 2018 წელი –ტრენინგს გაივლის 5000 აპლიკანტი; 2019 წელი – ტრენინგს გაივლის 5100 აპლიკანტი; 2020 წელი – ტრენინგს გაივლის 5100 აპლიკანტი;
   მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - 2017 წელს ტრენინგი გაიარა 7 576-მა აპლიკანტმა.
2. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - 2016 წელს I კვარტალში ტესტირება გაიარა 1978-მა აპლიკანტმა;
   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - 2017-2020 წლებში ყოველწლიურად ტესტირებას გაივლის 7,000 აპლიკანტი;
   მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - 2017 წელს ტესტირება გაიარა 6 079 აპლიკანტმა.
   ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

2. მიზნობრივ და ფაქტობრივ მაჩვენებლებს შორის სხვაობამ შეადგინა 921 აპლიკანტი. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონში შესული ცვლილებებ
შედგეგად, მუნიციპალიტეტების მხრიდან ტესტირების მომსახურებაზე მოთხოვნა მნიშვნელოვნად შემცირდა.

4.16 მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების მომზადება-გადამზადება (პროგრამული კოდი 09 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - იუსტიციის უმაღლესი სკოლა.

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

- სასამართლო კორპუსის კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა;
- მართლმსაჯულების ხარისხის გაუმჯობესება;
- იუსტიციის უმაღლესი სკოლის განვითარებისთვის შემუშავებული სახელმძღვანელო დოკუმენტისა და სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობები განხორციელება.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- ოცდაერთმა იუსტიციის მსმენელმა დაასრულა პროფესიული მომზადების პროგრამა;
- იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ მოსამართლეთა და სასამართლოს სხვა მოხელეთა პროფესიული გადამზადების პროგრამაში მონაწილეობა მიიღო 1 364-მა მონაწილემ.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები:

მიზნობრივი მაჩვენებელი - 15 იუსტიციის მსმენელის (სამოსამართლო კანდიდატის) მომზადება; 70 გადამზადების კურსი შემდეგი მიზნობრივი ჯგუფებისთვის: მოსამართლეებისათვის, მოსამართლის თანაშემწეებისათვის, სასამართლოს მენეჯერებისათვის; იუსტიციის უმაღლესი სკოლის სტრატეგიული განვითარების დოკუმენტისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის იმპლემენტაცია.

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

- პროფესიული მომზადებული იუსტიციის მსმენელთა (სამოსამართლო კანდიდატის) რაოდენობა 21;
- მოსამართლეთა და სასამართლოს სხვა მოხელეთა პროფესიული გადამზადების პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ტრენინგი - 92;

4.17 საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტრუქტურაში, ჰიდროტექნიკური კვლევების ლაბორატორიის ჩამოყალიბების პროექტი (Unicredit Bank) (პროგრამული კოდი 32 10)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

დაგეგმილი საბოლოო შედეგი

ლაბორატორიის საერთო ფართი 4000 კვ.მ -ზე მეტი იქნება და იგი აღიჭურვება უახლესი ტექნოლოგიებით და აპარატურით, რაც იძლევა საშუალებას შესწავლილ იქნეს ენერგეტიკულ, ინფრასტრუქტურულ და სოფლის მეურნეობის პროექტებთან დაკავშირებული, მთელი რიგი საინჟინრო საკითხები.

მიღწეული საბოლოო შედეგი

რატიფიცირებულ იქნა „საქართველოს ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის" პროექტის დაფინანსებასთან დაკავშირებით“ ექსპორტის საკრედიტო ხელშეკრულება.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტრუქტურაში უახლესი ტექნოლოგიებით და აპარატურით აღჭურვილი ჰიდრავლიკის და ჰიდროტექნიკური კვლევების ლაბორატორია.

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტრუქტურაში უახლესი ტექნოლოგიებით და აპარატურით აღჭურვილი ჰიდრავლიკის და ჰიდროტექნიკური კვლევების ლაბორატორის ჩამოაყალიბების დასრულება დაგეგმილია მომდევნო წლებში.

4.18. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემისათვის თანამშრომელთა მომზადება და პროფესიული განვითარება (პროგრამული კოდი 27 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი

დაგეგმილი საბოლოო შედეგი:

- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის პერსონალის პროფესიული მომზადება-გადამზადების გზით სისხლის სამართლის რეფორმის განხორციელების, ევროპის საბჭოსა და გაეროს სტანდარტების დანერგვის, ადამიანის უფლებათა დაცვის, დანაშაულის პრევენციის, მსჯავრდებულის სოციალური რეაბილიტაციის განხორციელების ხელშეწყობა
- სამინისტროს სისტემისათვის საექსპერტო საქმიანობის უზრუნველყოფა;

მიღწეული საბოლოო შედეგი:

- სამინისტროს სისტემაში მომუშავე და სისტემასთან კავშირში მყოფ პირთა მომზადება/გადამზადება და გაუმჯობესებული სამუშაო უნარები. ცენტრში მოქმედ ყველა ძირითად პროგრამაში გათვალისწინებულია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, მოწყვლადი ჯგუფების უფლებებისა და მათთან მუშაობის თავისებურებების, სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის, სარეაბილიტაციო პროგრამებისა და მათი მნიშვნელობის, საქმიანობის მარეგურილებელი ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების, მონიტორინგის ადგილობრივი და საერთაშორისო მექანიზმების სწავლება. მოსამსახურეთა პროფესიულ განვითარების გზით ხელი შეეწყო ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული სისტემის ფუნქციონირებას, ადამიანის უფლებათა დაცვას, დანაშაულის პრევენციასა და მსჯავრდებულის სოციალური რეაბილიტაციის განხორციელებას;
- სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის მიერ სასწავლო პროგრამების შემუშავების და სასწავლო პროცესის დაგეგმვა/განხორციელების პროცესში აქტიურად ჩართული იყვნენ, როგორც ადგილობრივი, ისე მოწვეული ექსპერტები. ევროპის კავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროექტის - „ადამიანის უფლებები და ჯანდაცვა საქართველოს ციხეებსა და დახურული ტიპის სხვა დაწესებულებებში“ - ფარგლებში განახლდა მოსამსახურეთა შეფასებისათვის განკუთვნილი ტესტების ბაზა. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული იქნა ახალი ტესტური დავალებები.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1.საბაზისო მაჩვენებელი - დონორების დახმარების მოძიება პროექტების მომზადებასა და მათი განხორციელების ხელშესაწყობად;

მიზნობრივი მაჩვენებელი - გაუმჯობესებულია ეფექტური მართვა და ფუნქციონირება, სახელმწიფო სახსრების მართვა, შიდა ფინანსური კონტროლი;
მიღწეული მაჩვენებელი - გაუმჯობესებულია ეფექტური მართვა და ფუნქციონირება, მოძიებულია დონორების დახმარება და საერთაშორისო ორგანიზაციებთან გაფორმებულია 3 საგრანტო ხელშეკრულება; მომზადებულია კვარტალური ფინანსური ანგარიშები, შიდა ფინანსური კონტროლის მიზნით.
2.საბაზისო მაჩვენებელი - 2016 წლის 2 კვარტლის მონაცემებით: 68 სასწავლო ღონისძიება ; გაიარა მომზადება სისტემაში მომუშავე და სისტემასთან კავშირში მყოფმა 1 440 მსმენელმა; მინიმალური ქულობრივი ბარიერი გადალახა გამოცდაში/ტესტირებაში მონაწილეთა 95%-მა; გამომუშავებულია 13863 კაც/ტრენინგ/დღე;
მიზნობრივი მაჩვენებელი - არანაკლებ 80 სასწავლო ღონისძიება; გაიარა მომზადება სისტემაში მომუშავე და სისტემასთან კავშირში მყოფმა არანაკლებ 2000-მა მსმენელმა; მინიმალური ქულობრივი ბარიერი გადალახა გამოცდაში/ტესტირებაში მონაწილეთა არანაკლებ 90%-მა; გამომუშავებულია 5250 კაც/ტრენინგ/დღე;
მიღწეული მაჩვენებელი - ჩატარებული სასწავლო ღონისძიება - 86; მომზადება გაიარა სისტემაში მომუშავე და სისტემასთან კავშირში მყოფმა 1540 მსმენელმა; მინიმალური ქულობრივი ბარიერი გადალახა გამოცდაში/ტესტირებაში მონაწილეთა 97%-მა; გამომუშავებულია 8980 კაც/ტრენინგ/დღე.

ცდომილების მაჩვენებელი (% აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებაზე:

- მომზადება გაიარა სისტემაში მომუშავე და სისტემასთან კავშირში მყოფმა 1540 მსმენელმა, რაც დაგეგმილთან შედარებით ნაკლებია, ვინაიდან, საქართველოს კანონის „სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესახებ“ მოთხოვნების შესაბამისად 2017 წელს უნდა დასრულებულიყო სამსახურის ყველა იმ თანამშრომლის მომზადებისა და გადამზადების პროცესი, ვისი თანამდებობისათვისაც აუცილებელია სერთიფიცირება. გადამზადებისა და სერთიფიცირების ძირითადი ნაწილის 2016 წელს განხორციელებამ განაპირობა დაგეგმილ და მიღებულ შედეგებს შორის სხვაობა.

4.19 საფინანსო სექტორში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლება (პროგრამული კოდი 23 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აკადემია

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემა უზრუნველყოფილია სათანადოდ მომზადებული/გადამზადებული კადრებით;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემა, ასევე, სხვა დაინტერესებული ორგანიზაციები უზრუნველყოფილი არიან სწორად შერჩეული კადრებით;

- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ ინიცირებული რეფორმების წარმატებით დანერგვის მიზნით, საფინანსო სექტორში დასაქმებულები უზრუნველყოფილი არიან შესაბამისი სასწავლო პროგრამებით/ ტრენინგებით;
- საბიუჯეტო და კერძო ორგანიზაციები უზრუნველყოფილი არიან საჯარო ფინანსებთან დაკავშირებული მომზადება/გადამზადების და სხვა სასწავლო პროექტებით;
- საჯარო ფინანსების მართვის საკითხების სწავლების მიმართულებით, გათვალისწინებულია საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილება და ცოდნა, საქართველოში ხორციელდება საერთაშორისო ტრენინგები, საქართველო ყალიბდება რეგიონალურ ცენტრად საფინანსო მიმართულების სწავლების განხორციელების კუთხით.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემა უზრუნველყოფილია სათანადოდ მომზადებული/გადამზადებული კადრებით;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემა, ასევე, სხვა დაინტერესებული ორგანიზაციები უზრუნველყოფილი არიან სწორად შერჩეული კადრებით;
- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ ინიცირებული რეფორმების წარმატებით დანერგვის მიზნით, საფინანსო სექტორში დასაქმებულები უზრუნველყოფილი არიან შესაბამისი სასწავლო პროგრამებით/ ტრენინგებით;
- საბიუჯეტო და კერძო ორგანიზაციები უზრუნველყოფილი არიან საჯარო ფინანსებთან დაკავშირებული მომზადება/გადამზადების და სხვა სასწავლო პროექტებით;
- საჯარო ფინანსების მართვის საკითხების სწავლების მიმართულებით, გათვალისწინებულია საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილება და ცოდნა, საქართველოში ხორციელდება საერთაშორისო ტრენინგები, საქართველო ყალიბდება რეგიონალურ ცენტრად საფინანსო მიმართულების სწავლების განხორციელების კუთხით.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

1. საბაზისო მაჩვენებელი - სასწავლო კურსები ხორციელდება ტრენინგების საჭიროებების ანალიზის საფუძველზე შემუშავებული სამოქმედო გეგმის შესაბამისად (მიმდინარე პროცესი), ფინანსთა სამინისტროს სისტემისთვის გადამზადებული კადრების რაოდენობა - 649 (2016 წლის 9 თვის მონაცემებით);
მიზნობრივი მაჩვენებელი - ფინანსთა სამინისტროს სისტემისთვის გადამზადებული კადრების რაოდენობის ზრდა წინა წელთან შედარებით 5%-ით;
მიღწეული შედეგი - გადამზადებული კადრების რაოდენობა გაიზარდა 7%-ით

2. საბაზისო მაჩვენებელი - ფინანსთა სამინისტროსა და სხვა დაინტერესებული ორგანიზაციების მიერ ვაკანტურ პოზიციებზე გამოცხადებული კონკურსების (პროფესიული მიმართულება, უნარების შესაფასებელი ტესტირებები) ორგანიზება (მუდმივი პროცესი);
მიზნობრივი მაჩვენებელი - სამინისტროს სისტემაში და სხვა ორგანიზაციებში განხორციელებული ტესტირებების რაოდენობის ზრდა 2%-ით

წინა წელთან შედარებით;
მიღწეული შედეგი - ფაქტიურად ჩატარებული ტესტირების რაოდენობა გაიზარდა 25% -ით.

3. საბაზისო მაჩვენებელი - საფინანსო სექტორში დასაქმებული პირებისთვის ხორციელდება ორგანიზაციების საჭიროებებიდან გამომდინარე შესაბამისი ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები;
მიზნობრივი მაჩვენებელი - გადამზადებული პირების რაოდენობის ზრდა 2%-ით წინა წელთან შედარებით;

4. საბაზისო მაჩვენებელი - ხორციელდება საერთაშორისო სასწავლო კურსები საერთაშორისო სავალუტო ფონდის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და ფინანსთა სამინისტროს აკადემიის თანამშრომლობით. ნიდერნალდების ფინანსთა სამინისტროს ხელშეწყობით, ჰოლანდიელი ექსპერტების მიერ საჯარო ფინანსების მართვის საკითხებზე ტრეინინგების ჩატარება;
მიზნობრივი მაჩვენებელი - საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტების, ადგილობრივ და უცხოურ სასწავლო დაწესებულებებთან, სტუდენტურ ორგანიზაციებთან ერთად განხორციელებული პროექტების რაოდენობის ზრდა 2%-ით წინა წელთან შედარებით;
მიღწეული შედეგი - გადამზადებულ პირთა რაოდენობა შემცირდა 5%-ით (გადამზადებულ პირთა რაოდენობის შემცირების მიზეზს წარმოადგენს შუა აზიაში არსებული ეკონომიკური კრიზისი რომლის გამო 2017 წელს შუა აზიის ქვეყნების საჯარო დაწესებულებებმა ვერ შეძლეს ფინანსთა სამინისტროს აკადემიისაგან კურსების შესყიდვა თავიანთი თანამშრომლების გადამზადების მიზნით).

4.21 მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლება საერთაშორისო ურთიერთობების დარგში (პროგრამული კოდი 28 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓სსიპ - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო ცენტრი

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- საერთაშორისო სტანდარტების სასწავლო კურსების და საჯარო ლექციების მომზადება და ჩატარება;
- საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში მომუშავე საჯარო მოხელეების კვალიფიკაციის ამაღლება ყველა მნიშვნელოვან თემებთან დაკავშირებით;
- უცხო ენის კურსების და საჯარო ლექციების ჩატარება, როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისთვის, ასევე სხვა საჯარო უწყებების წარმომადგენლებისათვის;
- საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისთვის ბიბლიოთეკის გამდიდრება;
- სასწავლო ცენტრის დამოუკიდებელი ვებ-გვერდის და Facebook გვერდის განახლება.
- ქართული ენის კურსების ჩატარება უცხოელი დიპლომატებისთვის.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- განხორციელდა საგარეო საქმეთა სამინისტროსა და სხვა უწყებებში საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში მომუშავე მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლება;
- გაფორმებული მემორანდუმებიადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან;
- ახალი წიგნებით გამდიდრებული სასწავლო ცენტრის ბიბლიოთეკა;
- ცენტრის განახლებული ვებ და Facebook გვერდები.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

1. მიზნობრივი მაჩვენებელი - ტრენინგების, სემინარების და ლექციების შედეგად ამაღლებული კვალიფიკაციის მქონე თანამშრომლების რაოდენობა
მიღწეული მაჩვენებელი - კვალიფიკაცია ამაღლებული 340 საჯარო მოხელე.

2. მიზნობრივი მაჩვენებელი - სასწავლო ცენტრში წლის განმავლობაში ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა
მიღწეული მაჩვენებელი - ჩატარებული 2 გრძელვადიანი სასწავლო პროგრამა,17 მოკლევადიანი სასწავლო კურსი/სემინარი, 9 საჯარო ლექცია და 3 უცხო ენის შემსწავლელი კურსი.

3. მიზნობრივი მაჩვენებელი - სათანადო ლიტერატურით გამდიდრებული ბიბლიოთეკა;
მიღწეული მაჩვენებელი - 33 ერთეული წიგნით გამდიდრებული ბიბლიოთეკა.

4. მიზნობრივი მაჩვენებელი - მსოფლიოს წამყვან დიპლომატიურ სკოლებთან და აკადემიებთან გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმები
მიღწეული მაჩვენებელი - ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან გაფორმებული ურთიერთგაგების 4 მემორანდუმი.

5. მიზნობრივი მაჩვენებელი - სასწავლო ცენტრის ამაღლებული ცნობადობა და ეფექტური მუშაობა ყველა მიმართულებით;
მიღწეული მაჩვენებელი - ცენტრის ამაღლებული იმიჯი.

6. მიზნობრივი მაჩვენებელი - ქართული ენის შემსწავლელი უცხოელი დიპლომატების რაოდენობა;

4.23 სსიპ - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“ (პროგრამული კოდი 65 00)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“

- განხორციელდა ღონისძიებები გამოგონების, დიზაინის, სასაქონლო ნიშნების და სასარგებლო მოდელის რეგისტრაციასთან დაკავშირებით (დამცავი დოკუმენტების გაცემის მიზნით), რომელიც მოიცავდა: ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზას, არსობრივ ექსპერტიზას, გამოქვეყნებას, პატენტის გაცემას და ძალაში შენარჩუნებას, საერთაშორისო განაცხადზე ქმედებების ჩატარებას, სასაქონლო ნიშნის მოქმედების ვადის გაგრძელებას, სააპელაციო საჩივრის განხილვას სასაქონლო ნიშანზე და სხვა;
- ინტელექტუალური საკუთრების დამცავი დოკუმენტების მომზადების მიზნით საქპატენტის ექსპერტების მიერ ხორციელდებოდა შესაბამისი საძიებო სამუშაოები საქპატენტის, ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის, ევროპის საპატენტო უწყების მონაცემთა ბაზაში და არასაპატენტო ლიტერატურის მონაცემთა ბაზებში.

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- სამართლებრივად დაცული იქნება ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებები ინტელექტუალური საკუთრების სფეროში.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- უზრუნველყოფილი იქნა ფიზიკური და იურიდიული პირების სამართლებრივი დაცვა ინტელექტუალური საკუთრების სფეროში (გამოგონება, სასარგებლო მოდელი, დიზაინი, სასაქონლო ნიშნები) და დროულად იქნა გაცემული შესაბამისი დამცავი დოკუმენტები.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. საბაზისო მაჩვენებელი - გამოგონების დაპატენტებასთან დაკავშირებული დამცავი დოკუმენტების დროულად გაცემა შესაბამისი ბენიფიციარებისათვის;

   მიზნობრივი მაჩვენებელი - გამოგონების სამართლებრივი დაცვა;

   მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - დროულად იქნა გაცემული შესაბამისი დამცავი დოკუმენტები.

2. საბაზისო მაჩვენებელი - სასარგებლო მოდელის დაპატენტებასთან დაკაშირებით დამცავი დოკუმენტების გაცემა შესაბამისი ბენიფიციარებისათვის;

   მიზნობრივი მაჩვენებელი - სასარგებლო მოდელის სამართლებრივი დაცვა;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - დროულად იქნა გაცემული შესაბამისი დამცავი დოკუმენტები.

3. საბაზისო მაჩვენებელი - დიზაინის რეგისტრაციასთან დაკაშირებული დამცავი დოკუმენტების დროულად გაცემა შესაბამისი ბენიფიციარებისათვის;

    მიზნობრივი მაჩვენებელი - დიზაინის სამართლებრივი დაცვა;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - დროულად იქნა გაცემული შესაბამისი დამცავი დოკუმენტები.

4. საბაზისო მაჩვენებელი - სასაქონლო ნიშნების დაპატენტებასთან დაკაშირებით დამცავი დოკუმენტების დროულად გაცემა შესაბამისი ბენიფიციარებისათვის;

    მიზნობრივი მაჩვენებელი - სასაქონლო ნიშნების სამართლებრივი დაცვა;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - დროულად იქნა გაცემული შესაბამისი დამცავი დოკუმენტები.

5. საბაზისო მაჩვენებელი - საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციასთან დაკავშირებული დამცავი დოკუმენტაციის დროული გაცემა შესაბამისი ბენეფიციარებისათვის;

მიზნობრივი მაჩვენებელი - საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის სამართლებრივი დაცვა;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - დროულად იქნა გაცემული საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციასთან დაკავშირებული დამცავი დოკუმენტები.

6. საბაზისო მაჩვენებელი - ნაწარმოებისა და მონაცემთა ბაზის დეპონირებასთან დაკავშრებული დამცავი დოკუმენტაციის დროული გაცემა შესაბამისი ბენეფიციარებისათვის;

მიზნობრივი მაჩვენებელი - ნაწარმოებისა და მონაცემთა ბაზის დეპონირების სამართლებრივი დაცვა;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - დროულად იქნა გაცემული ნაწარმოებისა და მონაცემთა ბაზის დეპონირებასთან დაკავშრებული დამცავი დოკუმენტები.

4.22 საზღვაო პროფესიული განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 24 12)

პროგრამის განმახორციელებელი

✓ სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- საზღვაო-სავაჭრო ფლოტსა და საზღვაო ტრანსპორტის ინფრასტრუქტურაში დასაქმებული კვალიფიციური კადრები STCW კონვენციისა და „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- გაუმჯობესდა აკადემიის ინფრასტრუქტურა და განახლდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (შეძენილია საჭირო დანადგარები, სიმულატორები, კომპიუტერული ტექნიკა და ლაბორატორიებისათვის ახალი აღჭურვილობა), რას ხელს შეუწყობს კვალიფიციური კადრების მომზადებას;
- აკადემიაში გაიხსნა ახალი სასწავლო კლასები (სანავიგაციო ხიდურისა და გემბანის საწყისი ცნებების აუდიტორია; მარლენსის (MARLINS) აღიარებული ტესტირების/სერტიფიკაციის ცენტრი);
- აკადემია უზრუნველყოფულია მცურავი გემით, რომლიც ხელს შეუწყობს სტუდენტების პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებაში;
- კომპანია „Hyundai Glovis Co”-თან გაფორმებულია მემორანდუმი საზღვაო აკადემიის სტუდენტთა პრაქტიკით უზრუნველყოფისა და შემდგომი დასაქმების მიზნით;
- აკრედიტაცია გაიარა 7-მა პროფესიულმა საგანმანათლებლო პროგრამამ. 2017 სასწავლო წელს აკადემიის რეიტინგმა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის აბიტურიენტთა ჩარიცხვა/აქტივობის მიხედვით მე-9 ადგილიდან გადმოინაცვლა მე-7 ადგილზე. საერთაშორისო სარეიტინგო კომპანია ,,Webometrics’’-ის მონაცემების მიხედვით აკადემიის რეიტინგი პროგრესირებადია.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. საბაზისო მაჩვენებელი - მომზადებულია 2 000 კვალიფიციური კადრი;

მიზნობრივი მაჩვენებელი - 2017 წელს მომზადდება 2 300 კვალიფიციური კადრი;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - მომზადებულია 2 584 კვალიფიციური კადრი.

5 პრიორიტეტი – მაკროეკონომიკური სტაბილურობა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2017 წლის დაზუსტებული გეგმა	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	2017 წლის ფაქტიური დაფინანსება	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები	მ.შ.საკუთარი სახსრები
24 06	სახელმწიფო ქონების მართვა	302,694.9	292,289.0	301,872.8	292,228.2	9,644.6
24 07	მეწარმეობის განვითარება	39,154.6	39,154.6	39,348.4	39,348.4	0.0
23 02	შემოსავლების მობილიზება და გადამხდელთა მომსახურების გაუმჯობესება	143,752.0	33,600.0	142,976.7	32,957.3	110,019.4

კოდი	დასახელება	2017 წლის დაზუსტებული გეგმა	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	2017 წლის ფაქტიური დაფინანსება	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები	მ.შ.საკუთარი სახსრები
23 01	სახელმწიფო ფინანსების მართვა	19,164.0	19,164.0	18,846.1	18,846.1	0.0
24 01	ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება	28,016.0	28,016.0	27,650.8	27,650.8	0.0
23 04	ფინანსების მართვის ელექტრონული და ანალიტიკური უზრუნველყოფა	30,004.0	9,750.0	26,811.6	9,647.8	17,163.7
40 02	სახელმწიფო ობიექტების მოვლა-შენახვა	8,149.4	7,820.0	8,148.4	7,819.6	328.8
47 01	სტატისტიკური სამუშაოების დაგეგმვა და მართვა	5,120.4	4,333.6	5,043.5	4,298.9	744.6
47 02	სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამა	3,303.9	3,303.9	3,331.4	3,331.4	0.0
56 00	სსიპ – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური	2,150.0	2,150.0	1,807.9	1,807.9	0.0
43 00	სსიპ – კონკურენციის სააგენტო	1,900.0	1,900.0	1,816.0	1,816.0	0.0
49 00	სსიპ - საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო	1,760.3	1,750.0	207.6	197.3	10.3
52 01	საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა	1,409.7	1,000.0	1,331.9	996.2	335.6
23 06	ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობა	876.0	876.0	766.1	766.1	0.0
24 03	სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სფეროს განვითარება	1,949.0	806.0	1,918.3	805.4	1,113.0
47 03	მოსახლეობისა და საცხოვრისების საყოველთაო აღწერა	145.0	145.0	141.6	141.6	0.0
24 04	აკრედიტაციის პროცესის მართვა და განვითარება	5,462.0	140.0	2,083.5	140.0	1,943.5
23 07	მიქცეული ქონების ეფექტური განკარგვა	6,995.5	0.0	6,028.9	0.0	6,028.9
64 00	სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო	8,613.0	0.0	8,609.3	0.0	8,609.3
	სულ	*610,619.6*	*446,198.1*	*598,740.6*	*442,799.0*	*155,941.5*

5.1 სახელმწიფო ქონების მართვა (პროგრამული კოდი 24 06)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- საპრივატიზებო ობიექტების გაყიდვების და მოძიებული ინვესტიციების გაზრდა და შესაბამისად ეკონომიკის განვითარება;
- სახელმწიფო ქონებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა;
- აღრიცხული სახელმწიფო ქონება და შეფასებული საპრივატიზაციო ობიექტები და ქონების პრივატიზების გამარტივებული პროცესი;

- ყველა სახის არამართლზომიერი ხელყოფისაგან დაცული სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვანი და სტრატეგიული ობიექტები.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- 2017 წელს პრივატიზების სახელმწიფო გეგმა შესრულებულია 107.7%-ით;
- პირდაპირი მიყიდვის წესით გადაცემულ იქნა 403 ობიექტი. გაყიდული/გადაცემული ქონებიდან მოსალოდნელი ინვესტიცია შეადგენს 58.8 მლნ ლარს და 150.1 მლნ დოლარს;
- გამოცხადდა 1 463 აუქციონი, საიდანაც შედგა 956 აუქციონი, ჩაიშალა 510 აუქციონი და შეწყდა 14 აუქციონი;
- სახელმწიფო უმოქმედო/არამომგებიანი საწარმოთა რაოდენობა შემცირებულია 30 ერთეულით;
- შეფასებულია განსაკარგავად მომზადებული 4 572 საპრივატიზაციო ობიექტი;
- სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და ინვენტარიზაციის პროექტის ფარგლებში რეგისტრირებულია 64 349 ჰა (91 025 ობიექტიდან) სასოფლო/არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი. დარეგისტრირდა ინვენტარიზაციის შედეგად აღრიცხული ქონების 10% (აღრიცხული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 8% და აღრიცხული არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების 79%);
- ყველა სახის არამართლზომიერი ხელყოფისაგან დაცულია 43 სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვანი და სტრატეგიული ობიექტები.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. საბაზისო მაჩვენებელი - პრივატიზების სახელმწიფო გეგმის შესრულება: 2014 წელს - 101% და 2015 წელს - 102%. შემცირებული სახელმწიფო საწარმოთა რიცხვი: 2014 წელს - 155 საწარმო და 2015 წელს - 94 საწარმო. 2015 წელს შეფასდა 4 450 ობიექტი და 2016 წელს 2 730 ობიექტი;

მიზნობრივი მაჩვენებელი - 2017 წლის პრივატიზების გეგმის (57 მლნ ლარი) შესრულება 100%-ით. სახელმწიფო არამომგებიანი საწარმოების შემცირება 30 ერთეულით. განსაკარგავად მომზადებული საპრივატიზაციო ობიექტების შეფასება 100%-ით;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - 2017 წლის პრივატიზების სახელმწიფო გეგმა შესრულდა 107.7%-ით და შეადგენა 64.6 მლნ ლარი (2017 წელს გათვალისწინებული იყო სახელმწიფო ბიუჯეტში 60 მლნ ლარის მობილიზება (ძირითადი აქტივების გაყიდვიდან 57.00 მლნ ლარი და არაწარმოებული აქტივის - მიწის გაყიდვიდან 3.00 მლნ ლარი). სახელმწიფო არამომგებიანი საწარმოები შემცირება 30 ერთეულით (გაკოტრებით დასრულდა 9 საწარმოს საქმისწარმოება, გასხვისებულია 1 საწარმო, შერწყმულია 11 საწარმო და კონტროლის პალატის მიერ მოწოდებული სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული საწარმოთა სია შემცირდა 9 საწარმოთი);

2. საბაზისო მაჩვენებელი - 2015 წლის ბოლოს დაცვის ქვეშ მყოფი სახელმწიფო ობიექტების რაოდენობა შეადგენდა 38-ს, ხოლო 2016 წლის 1 ივლისის მდგომარეობით 45-ს;

მიზნობრივი მაჩვენებელი - სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ყველა იმ ობიექტის დაცვა, რომლებთან მიმართებაშიც არსებობს არამართლზომიერი ხელყოფის საშიშროება;

მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი - შეჭრისა ან/და გაძარცვის საფრთხისგან დაცულია 43 ობიექტი.

5.2 მეწარმეობის განვითარება (პროგრამული კოდი 24 07)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - აწარმოე საქართველოში

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- რეგიონებში განვითარებული ბიზნესი, ბიზნესში განხორციელებული (რე)ინვესტირება და დამწყები ბიზნესების მდგრადობის ზრდა;
- ამაღლებული სამეწარმეო კულტურა და საწარმოების/საქართველოში წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობა;
- შექმნილი ახალი სამუშაო ადგილები;
- განვითარებული ადგილობრივი კინოინდუსტრიის ბაზარი;
- კომპანიების მიერ ათვისებული ახალი საექსპორტო ბაზრები;
- საქართველოს საწარმოო და საექსპორტო პოტენციალთან დაკავშირებით გაზრდილი ცნობადობა და პროდუქტის/მომსახურების ექსპორტის გაზრდილი მოცულობა

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტის ფარგლებში მეწარმეობის განვითარების სააგენტოს მიერ მხარდაჭერილია 162 პროექტი კრედიტისა და ლიზინგის საგნის პროცენტის თანადაფინანსებზე (მათ შორის საბანკო სესხის კომპონენტით - 138 პროექტი, ხოლო ლიზინგის კომპონენტით - 24 პროექტი). დამტკიცებულმა სესხის მოცულობამ შეადგინა 197.9 მლნ ლარი, ხოლო კომპანიების მხრიდან განსახორციელებელი ჯამური ინვესტიციის მოცულობა შეადგენს 392.9 მლნ ლარს;

- „აწარმოე საქართველოში“ ინდუსტრიული კომპონენტით მხარდაჭერილია 64 პროექტი, რომელთა ჯამური ინვესტიციის მოცულობა შეადგენს 178 მლნ ლარზე მეტს. კომერციული ბანკების მიერ დამტკიცებული სესხების მოცულობა ჯამში შეადგენს 87 მლნ ლარზე მეტს და შეიქმნება 2 100-ზე მეტი ახალი სამუშაო ადგილი;
- სასტუმრო ინდუსტრიის მიმართულებით მხარდაჭერილია 22 პროექტი, რომელთა ჯამური ინვესტიციის მოცულობა შეადგენს 78 მლნ ლარზე მეტს. კომერციული ბანკების მიერ დამტკიცებული სესხების მოცულობა ჯამში აღემატება 27 მლნ ლარს. მხარდაჭერილი სასტუმროები შექმნიან 697 დამატებით ოთახს და 755-ზე მეტ ახალ სამუშაო ადგილს;
- ტექნიკური მხარდაჭერის კომპონენტის ფარგფლებში გაფორმებულია 6 ხელშეკრულება გაწეული მომსახურების ხარჯის ანაზღაურების თაობაზე;
- საერთაშორისო ბრენდის გამოყენების წლიური გადასახადის თანადაფინანსებაზე გაფორმებულია ერთი ხელშეკრულება „Holiday Inn“-თან;
- მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულია 2 109 საწარმო და გადამზადებულია 6 500 ბენეფიციარი;
- მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში 100-მა ბენეფიციარმა გაიარა მარკეტინგთან და გაყიდვების ეფექტიანობის გაზრდასთან დაკავშირებული სასწავლო კურსები, განხორციელდა მათი პროდუქციის ბრენდინგი და პროდუქტის/სერვისისთვის სარეალიზაციო არხების მოძიება;
- კინოინდუსტრიის წახალისების კომპონენტს „გადაიღე საქართველოში“ შეემატა დამატებით ოთხი პროექტი: „NEGATIVE NUMBERS”; „SONU KE TITU KI SWEETY“; „GIRLS ON THE SUN“; „DADDY’S GIRL“;
- თბილისის და მერსედეს-ბენცის მოდის კვირეულების ფარგლებში, სააგენტომ უმასპინძლა საერთაშორისო მყიდველებს (ე.წ „ბაიერებს“) და ორგანიზება გაეწია კონფერენციას, რომელსაც ატარებდა საერთაშორისო გაყიდვების კომპანია „Lambert+Associates“;
- ექსპორტის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში საექსპორტო პროცედურებსა და სპეციფიკებზე კონსულტაცია გაეწია 120-ზე მეტ ექსპორტზე ორიენტირებულ კომპანიასა და ფიზიკურ პირს;
- 53 ქართულმა კომპანიამ მიიღო მონაწილეობა 6 საერთაშორისო გამოფენაში (4 საკვები პროდუქტების გამოფენა („Gulfood 2017“, „Anuga 2017”, „Foodex Japan 2017“ და „HOFEX 2017“), საერთაშორისო ტყავის პროდუქტების გამოფენა „LINEAPELLE 2017” და საერთაშორისო გამოფენა (მომავლის ენერგია) „EXPO 2017 KAZAKHSTAN“);
- გაიმართა საერთაშორისო სავაჭრო და საინვესტიციო გამოფენა CIFIT (მონაწილეობდა 40-მდე ქართული კომპანია), 2 საერთაშორისო კონფერენციას („BIG DATA WORLD 2017“ და „GO TO BERLIN“) და ერთ სავაჭრო მისია ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით ყაზახეთში;
- „ექსპორტის მენეჯერის სასერტიფიკატო კურსის“ ფარგლებში გადამზადდა 20-მდე კომპანიის 23 თანამშრომელი;
- ინვესტიციების ხელშეწყობის მიმართულებით დაიწყო 7 ახალი საინვესტიციო პროექტის განხორციელება, რომელთა ჯამური საინვესტიციო მოცულობა შედგენს 75 მლნ აშშ დოლარს, პროექტების განხორციელება დასრულდება 2018-2020 წლებში და შექმნება 250-ზე მეტი სამუშაო ადგილი.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. საბაზისო მაჩვენებელი - დაფინანსებული ბენეფიციარების რაოდენობა - 5 000; მოსალოდნელი ჯამური ინვესტიციის მოცულობა - 360 მლნ ლარი; ახალი სამუშაო ადგილების რაოდენობა - 11 500 (2015-2016 წწ);

მიზნობრივი მაჩვენებელი - დაფინანსებული ბენეფიციარების რაოდენობა - 5 600; მოსალოდნელი ჯამური ინვესტიციის მოცულობა 440 მლნ ლარი; ახალი სამუშაო ადგილების რაოდენობა - 14 500 (2017-2020 წწ.);

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - დაფინანსებული ბენეფიციარების რაოდენობა - 3 660; პროექტების რაოდენობა - 2 271; გაცემული სესხების მოცულობა - 197.9 მლნ ლარი; მოსალოდნელი ჯამური ინვესტიციის მოცულობა - 392.9 მლნ ლარი; მოსალოდნელი ახალი სამუშაო ადგილების რაოდენობა - 6 307;

2. საბაზისო მაჩვენებელი - ბენეფიციარების მიერ განხორციელებული ექსპორტის მოცულობის ზრდა - 15%; საერთაშორისო გამოფენებში სავაჭრო მისიებში და კონკურსებში ქართული კომპანიების მონაწილეობა - 43; გადამზადებული ექსპორტ-მენეჯერი - 33 (2015-2016 წწ.);

მიზნობრივი მაჩვენებელი - სააგენტოს ბენეფიციარების მიერ განხორციელებული ექსპორტის მოცულობის ზრდა - 20%; საერთაშორისო გამოფენებში სავაჭრო მისიებში და კონკურსებში ქართული კომპანიების მონაწილეობა - 100; გადამზადებული ექსპორტ-მენეჯერი - 50 (2017-2020 წწ.);

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - სააგენტოს ბენეფიციარების მიერ განხორციელებული ექსპორტის მოცულობის ზრდა - 20 %; საერთაშორისო გამოფენებში სავაჭრო მისიებში და კონკურსებში ქართული კომპანიების მონაწილეობა - 100; გადამზადებული ექსპორტ-მენეჯერი - 23;

ცდომილების მაჩვენებელი - მოსალოდნელზე ნაკლები გამოხმაურება მოყვა ექსპორტის მენეჯერების გადამზადების სასერტიფიკატო პროგრამას, რომლის გამომწვევ მიზეზებს შეიძლება წარმოადგენდეს: პროგრამის განახლების, დახვეწის და განვითარების საჭიროება; გამოცხადებული სასერთიფიკატო კურსის შესახებ ინფორმაციის არაეფექტური გავრცელება.

5.3 შემოსავლების მობილიზება და გადამხდელთა მომსახურების გაუმჯობესება (პროგრამული კოდი 23 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - შემოსავლების სამსახური

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- ძლიერი, ეფექტიანი და გადამხდელებზე ორიენტირებული საგადასახადო სისტემა;
- ჩაბარებული დეკლარაციების რაოდენობის, დარიცხული და გადახდილი გადასახადების გაზრდა;
- საგადასახადო-საბაჟო პროცედურების გამარტივება და ელექტრონული მომსახურების გაუმჯობესება;
- საგადასახადო შემოწმებების რაოდენობის გაზრდა;

- საგადასახადო შემოწმების პროცედურებზე კონტროლის ეფექტურად წარმართვა და მისი გამარტივება;
- ევროკავშირსა და საქართველოს შორის ვაჭრობის ხელშეწყობა და გამარტივება;
- საბაჟო კონტროლის განხორციელების ეფექტურობის გაზრდა და პროცედურების დაჩქარება.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- ფიზიკური პირების მიერ ქონების გადასახადის დეკლარაციების რაოდენობა გაიზარდა 15%-ით, დარიცხული გადასახადი - 15%-ით;
- გადამხდელებისათვის შეთავაზებულია გადასახადების გადახდის მარტივი და მრავალფეროვანი საშუალებები, მათ შორის მოძრავი სერვის-ცენტრებით საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გადამხდელების მომსახურება, უახლესი ელექტრონული სერვისების საშუალებით გადახდა;
- საბაჟო პროცედურების გამარტივება/დახვეწის, გადამხდელთათვის მომსახურების გაუმჯობესების მიზნით განხორციელდა რიგი საკანონმდებლო ცვლილებები, შეიქმნა და დაინერგა ელექტრონული სერვისები;

1. მიზნობრივი მაჩვენებელი - გადამხდელთა საერთო რაოდენობიდან დაჯარიმებულ გადამხდელთა რიცხვის შემცირება

2. საბაზისო მაჩვენებელი - ძვირადღირებული ტექნიკური აღჭურვილობა და ინვენტარი. პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელია მაღალბიუჯეტიანი პროექტები და მათი განხორციელების რაოდენობრივი მაჩვენებელი დამოკიდებულია სამსახურის დაფინანსების მოცულობის სტაბილურობაზე;
მიზნობრივი მაჩვენებელი - საგადასახადო შემოწმებისთვის საჭირო დროის შემცირება 3 თვემდე;
მიღწეული მაჩვენებელი - შემცირდა საგადასახადო შემოწმების ჩატარების ხანგრძლივობა.

3. საბაზისო მაჩვენებელი - ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების და საქართველოს მთავრობის სამოქმედო გეგმის შესაბამისად მიმდინარეობს მუშაობა საქართველოს საგადასახადო/საბაჟო კანონმდებლობების ევროკავშირის კანონმდებლობასთან და პრაქტიკასთან ჰარმონიზების კუთხით;
მიზნობრივი მაჩვენებელი - ასოცირების დღის წესრიგით და მთავრობის სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულება
მიღწეული მაჩვენებელი - განხორციელდა და გრძელდება ევროკავშირის დირექტივებთან საგადასახადო განაკვეთების ჰარმონიზაციის პროცესი..

2.10 ეკონომიკური დანაშაულის პრევენცია (პროგრამული კოდი 23 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- საფინანსო და ფისკალურ სფეროში დანაშაულის დონის შემცირება და მინიმუმამდე დაყვანა;
- ქვეყანაში ჯანსაღი კონკურენტიანი გარემოს შექმნა;
- საგამოძიებო სამსახურის მართვის თანამედროვე პრინციპებზე გადაყვანა.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- შემცირდა საგამოძიებო მოქმედების ვადები და დაზოგილ იქნა გამოძიების პროცესში ადამიანური და ფინანსური რესურსები, ქვეყანაში ამაღლდა გამოძიების ხარისხი;
- საგამოძიებო სამსახური ნაწილობრივ გადავიდა მართვის თანამედროვე პრინციპებზე.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

1. საბაზისო მაჩვენებელი - გამოვლენილი სამართალდარღვევის რაოდენობა (2015 წლის მდგომარეობით) - 1140-მდე და ყველა საქმეზე დაწყებული წინასწარი გამოძიება;

მიზნობრივი მაჩვენებელი - მაქსიმალურად გამოვლენილი სამართალდარღვევათა რაოდენობა; გატარებული პრევენციული ღონისძიებების შედეგად სამართალდარღვევათა შემცირებული რაოდენობა.

მიღწეული მაჩვენებელი - გამოვლენილი 1 193 ერთეული ეკონომიკური და ფინანსური ხასიათის დანაშაული და ყველა საქმეზე დაწყებული წინასწარი გამოძიება; 2017 წელს 878 პირის მიმართ დაწყებული სისხლის სამართლებრივი დევნა; 599 პირის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება. 314 საქმეზე შეწყვეტილი წინასწარი გამოძიება.

5.4 სახელმწიფო ფინანსების მართვა (პროგრამული კოდი 23 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;
- ✓ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- სახელმწიფოს ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით სათანადო რესურსების მობილიზების უზრუნველყოფა;
- სტაბილური მაკროეკონომიკური და ფისკალური პარამეტრების მიღწევა;
- ქვეყნისათვის სტაბილური და იაფი ფინანსური რესურსის ხელმისაწვდომობა;
- საერთაშორისო საგადასახადო პოლიტიკის სრულყოფა.
- პროგრამული ბიუჯეტის შემდგომი გაუმჯობესება და მიახლოება საერთაშორისო სტანდარტებთან;

- საჯარო ფინანსების მართვის ეფექტიანობის გაზრდა და საინვესტიციო პროექტების მართვის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება, პროცესის ეფექტიანად წარმართვის მიზნით;
- სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმის სრულყოფა;
- საბიუჯეტო პროცესი შეესაბამება საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს, რაც დასტურდება სხვადასხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების შეფასებებით.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- სახელმწიფოს ფუნქციებისა და ვალდებულებების შესასრულებლად მობილიზებულია სათანადო რესურსი;
- მაკროეკონომიკური და ფისკალური პარამეტრები შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ზღვრულ მოცულობებს;
- დონორებთან/პარტნიორებთან უზრუნველყოფილია საგარეო ფინანსური რესურსის მობილიზებისათვის ეფექტური თანამშრომლობა;
- საერთაშორისო საგადასახადო შეთანხმებების არეალი გაფართოებულია;
- საქართველოს მთავრობის განკარგულებით დამტკიცდა სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარების სტრატეგია და 3 წლიანი გეგმა;

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

1. საბაზისო მაჩვენებელი - ნაერთი ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მთლიანი მოცულობის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან – 29.8%;
მიზნობრივი მაჩვენებელი - ნაერთი ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მთლიანი მოცულობის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან – არა უმეტეს 26.7%;
მიღწეული მაჩვენებელი -30%;

2. საბაზისო მაჩვენებელი - ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან – 3%;
მიზნობრივი მაჩვენებელი - ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან – არა უმეტეს 2.3%;
მიღწეული მაჩვენებელი - 0,9%.

3. საბაზისო მაჩვენებელი - სახელმწიფო ვალის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან – 39.9%;
მიზნობრივი მაჩვენებელი - სახელმწიფო ვალის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან – არა უმეტეს 38.5%;
მიღწეული მაჩვენებელი - 44.6%.

4. საბაზისო მაჩვენებელი - ღია ბიუჯეტის ინდექსის (OBI) მაჩვენებელი - 66;
მიზნობრივი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის გაუმჯობესება
მიღწეული მაჩვენებელი - ღია ბიუჯეტის ინდექსის (OBI) მაჩვენებელი - 82

5. საბაზისო მაჩვენებელი - საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიების Standard & Poor's და Fitch-ის შეფასებით „BB-სტაბილური" რეიტინგი აქვს მინიჭებული საქართველოს. საერთაშორისო სარეიტინგო კომპანია Moody's-ის შეფასებით კი "Ba3 (რაც BB-ის ანალოგია) პოზიტიური" ;
მიზნობრივი მაჩვენებელი - საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიების არსებული მაჩვენებლების შენარჩუნება/გაუმჯობესება
მიღწეული მაჩვენებელი - Standard & Poor's და Fitch-ის შეფასება შენარჩუნებულია, Moody's -მა გააუმჯობესა შეფასება Ba3-დან Ba2-მდე.

6. საბაზისო მაჩვენებელი - ყოველწლიურად მზადდება სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისთვის მოდიფიცირებული საკასო მეთოდის შესაბამისი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება;
მიზნობრივი მაჩვენებელი - დანერგილია დარიცხვის მეთოდზე დაფუძნებული სულ მცირე 5 საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი;
მიღწეული მაჩვენებელი - დაინერგა დარიცხვის მეთოდზე დაფუძნებული 7 საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი.

5.5 ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება (პროგრამული კოდი 24 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- სტაბილური მაკროეკონომიკური გარემო საშუალოვადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში;
- ეკონომიკის განვითარებისათვის იდენტიფიცირებული მნიშვნელოვანი მიმართულებები;
- მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიით და სამოქმედო გეგმით განსაზღვრული შესრულებული ღონისძიებები;
- ექსპორტის სტიმულირებისა და იმპორტის ჩანაცვლების შესაძლებლობა;
- საქართველოს გაუმჯობესებული სავაჭრო ბალანსი;
- გაზრდილი საქართველოს საექსპორტო პოტენციალი და დივერსიფიცირებული ბაზრები;
- განვითარებული არსებული სავაჭრო რეჟიმები და გაფორმებული ახალი სავაჭრო შეთანხმებები (მ.შ თავისუფალი ვაჭრობის);
- ახალი პრეფერენციული რეჟიმები;
- შემუშავებული მწვანე ზრდის პოლიტიკის დოკუმენტი;
- ქვეყნის ენერგოეფექტურობის ეროვნული სამოქმედო გეგმის არსებობა და მისი განხორციელება;
- საყოფაცხოვრებო მოწყობილობების მიერ ენერგიის მოხმარების აღმნიშვნელი მარკირების დანერგილი სისტემა;
- არსებული საინვესტიციო რესურსის რაციონალური გამოყენება;

- ლიკვიდური და რეალურად ფუნქციონირებადი კაპიტალის ბაზრის არსებობა, რომელიც ხელს შეუწყოფს საფინანსო სისტემის დივერსიფიკაციას, გრძელვადიანი საინვესტიციო რესურსის ხელმისაწვდომობის ზრდას და ეკონომიკის განვითარების სტიმულს;
- ლოგისტიკური სერვისების მიწოდების შესაძლებლობა (აწყობა, შეფუთვა);
- ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის დაკავშირება ძირითად სარკინიგზო და საავტომობილო მაგისტრალებთან (რკინიგზის ხაზის და საავტომობილო გზის მშენებლობა) და სატვირთო გადაზიდვების განხორციელების შესაძლებლობა;
- სამგზავრო გადაყვანებისა და სატვირთო გადაზიდვების გაზრდილი მოცულობა და განვითარებული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები;
- მოზიდული დამატებითი ტვირთნაკადები და ქვეყნის განვითარებული სატრანზიტო პოტენციალი;
- ფრენების უსაფრთხოებისა და საავიაციო უშიშროების ამაღლებული დონე;
- სივრცითი მოწყობის გენერალური სქემების, მუნიციპალიტეტების სივრცითი მოწყობის გეგმების, დასახლებათა მიწათსარგებლობის გენერალური გეგმების, განაშენიანების რეგულირების გეგმებისა და მიწათმოწყობის დაგეგმვის მარეგულირებელი დოკუმენტაციის არსებებობა;
- ევროპულ სამშენებლო ბაზართან ინტეგრირებული, განვითარებული სამშენებლო ინდუსტრია და გაუმჯობესებული მშენებლობის ხარისხი;
- სამშენებლო სფეროში დასაქმებულთა გაზრდილი რაოდენობა;
- სამშენებლო სფეროში ევროპულ ნორმებთან დაახლოებული საქართველოს კანონმდებლობა და ევროკოდების შესაბამისად შემუშავებული ევროკოდების ეროვნული დანართები.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- საშუალო წლიურმა ეკონომიკურმა ზრდამ 2017 წელს შეადგინა 4.8%;
- მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საქართველოს პოზიცია მსოფლიო ბანკის „ბიზნესის კეთების“ რეიტინგში და მე-16 პოზიციიდან გადაინაცვლა მე-9 ადგილზე;
- მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტრატეგიის 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის მიხედვით გაწერილი ყველა პრიორიტეტული ღონისძიება/შესაბამისი აქტივობები შესრულდა 100%-ით;
- შემუშავდა საინვესტიციო ფონდების შესახებ კანონმდებლობის პირველადი ვერსია;
- მომზადდა „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ კანონის პროექტი და წარედგინა პარლამენტს შემდგომში კერძო დაგროვებითი საპენსიო მოდელის დანერგვის მიზნით;
- საპენსიო რეფორმის ფარგლებში შემუშავდა კანონის პროექტი „კერძო დაგროვებითი საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“;
- 2017 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით გაიზარდა 13.8%-ით. ექსპორტი გაიზარდა 29.1%-ით, ხოლო იმპორტი გაიზარდა 9.4%-ით. უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2017 წელს შეადგინა 5 251.2 მლნ აშშ დოლარი და საგარეო სავაჭრო ბრუნვის 49.0 % , მაშინ როდესაც 2016 წელს შეადგენდა 55%-ს;
- შენარჩუნდა საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაციის ტენდენცია გლობალური მასშტაბით. 2017 წელს საქართველოს 118 საექსპორტო ბაზრიდან ექსპორტის ზრდა დაფიქსირდა 68 ქვეყანაში. ამასთან, თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის მქონე ქვეყნებთან ექსპორტი გაიზარდა 38%-ით;

- 2017 წელს 2016 წელთან შედარებით ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა შემდეგ პოზიციებზე: ჯემები (17-ჯერ), ცხვრის ხორცი (6-ჯერ), ფეროშენადნობები (81%), უალკოჰოლო სასმელები (52%), ღვინო (51%), სპირტიანი სასმელები (38%), სპილენძის მადნები (34%), სამკურნალო საშუალებები (31%), ხის ნაწარმი (ცხოველთა სახლები) (27%), ხილის მინერალური წყალი (20%), აზოტოვანი სასუქები (16%), კენკროვანი ხილი (8%).
- დივერსიფიცირებულ იქნა საქართველოსთვის ისეთი მნიშვნელოვანი პროდუქცია, როგორიცაა მინერალური წყალი, უალკოჰოლო სასმელები, თხილი, ღვინო, სპირტიანი სასმელები, საკონსერვო პროდუქცია, აზოტოვანი სასუქები ფეროშენადნობები და ა.შ. მაგალითად:
    - ✓ გაფართოვდა მინერალური წყლისა და უალკოჰოლო გაზიანი სასმელების ექსპორტის გეოგრაფიული არეალი (2016 წელს მინერალური წყალი იქნა ექსპორტირებული 32 ქვეყანაში და უალკოჰოლო სასმელები 34 ქვეყანაში, ხოლო 2017 წელს შესაბამისად - 43 და 42 ქვეყანაში). ამ პროდუქციების ექსპორტი ტრადიციულ საექსპორტო ბაზრებთან (დსთ და ევროკავშირი) ერთად მნიშვნელოვნად გაიზარდა სხვა ქვეყნებში;
    - ✓ 2016 წელს ევროკავშირს ეკავა საქართველოს თხილის მთლიანი ექსპორტის 81%, ხოლო 2017 წელს ეს მაჩვენებელი განისაზღვრა 65%-ით. აღნიშნული პროდუქციის ექსპორტი მნიშვნელოვნად გაიზარდა დსთ-სა და აზიის ქვეყნებში;
- გამოიკვეთა პროდუქციისთვის ახალი საექსპორტო ბაზრები: ცხვრის ხორცი - კატარი; თხილი ჩინეთი, ახალი ზელანდია; ხილ-ბოსტნეულის კონსერვები - ს/არაბეთი, ეგვიპტე; სპირტიანი სასმელები - ტაივანი; აზოტოვანი სასუქები - უკრაინა, რუსეთი, მალავი; მატყლი - ყაზახეთი, ჩინეთი; ორთოპედიული სამარჯვები - ესტონეთი, რუსეთი, თურქმენეთი, ყირგიზეთი; შპალერი - სუდანი; ტექსტილის მზა ნაწარმი - აშშ და ა.შ.
- გამოიკვეთა საექსპორტო პოტენციალის მქონე ახალი პროდუქცია: ხალიჩები და იატაკის საფარები, სამგზავრო ჩანთები, გრაფიტი.
- DCFTA-ს ამოქმედების შემდგომ ევროკავშირის წილი საქართველოს ექსპორტში 22%-დან (2014 წელი) გაიზარდა 24%-მდე (2017 წელი) და ევროკავშირის ბაზარზე გავიდა ისეთი ახალი საექსპორტო პროდუქცია როგორიცაა: კივი, გამშრალი ხილი, სხვადასხვა სახეობის ენკრა, გადამუშავებული ხილის კონსერვები ჯემებისა და მურაბების სახით, გამხმარი ბოსტნეული, კიტრი და კორნიშონი, კობალტის ოქსიდები;
- შენარჩუნდა საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაციის ტენდენცია გლობალური მასშტაბით, დსთ-სა და ევროკავშირის გარდა, საქართველოს სხვა სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში. ამ ჯგუფიდან ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა განხორციელდა შემდეგ ქვეყნებში: ზიმბაბვე (9-ჯერ), ქუვეითი (346%), იაპონია (175%), კატარი (163%), აშშ (78%), მაროკო (46%), მონღოლეთი (30%), პერუ (30%), სინგაპური (29%), ა/გ საამიროები (17%), კორეა (24%), ჩინეთი (23%), მექსიკა (4%);
- ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა შემდეგ ქვეყნებში: ბელგია (134%), პოლონეთი (117%), რუმინეთი (104%), ესპანეთი (44%), ლიტვა (39%), მალტა (11-ჯერ), ბულგარეთი (7%), ავსტრია (7-ჯერ), თურქმენეთში (108%), რუსეთში (91%), აზერბაიჯანში (78%), უკრაინაში (70%), მოლდოვაში (59%), ბელარუსი (50%), სომხეთში (38%), ყაზახეთში (29%) და ყირგიზეთში (29%).
- გაიზარდა საავტომობილო ტრანსპორტით, საქართველოს რკინიგზის საშუალებით და საქართველოს საერთაშორისო აეროპორტების მეშვეობით გადაზიდული ტვირთების რაოდენობა და გადაყვანილი მგზავრების რიცხვი, კერძოდ:
    - ✓ 2017 წელს საავტომობილო ტრანსპორტის სექტორში საქართველოს ტვირთზიდვის მაჩვენებელმა შეადგინა 30.7 მლნ ტონა (2016 წლის მაჩვენებელზე მეტია 1.1%-ით), ხოლო გადაყვანილი მგზავრების რაოდენობამ - 383.1 მლნ მგზავრი (2016 წელთან შედარებით მეტია 2.7%-ით). გაიზარდა პარტნიორ ქვეყნებთან პარიტეტის საფუძველზე ფუნქციონირებადი მარშრუტებისა და შესრულებული რეგულარული საერთაშორისო სამგზავრო რეისების ოდენობა. საერთო ჯამში 2017 წლის სხვადასხვა პერიოდში ფუნქციონირებდა 97 მარშრუტი და სრულდებოდა 600 რეისი დღეში (2016 წელს ფუნქციონირებდა 95 მარშრუტი და სრულდებოდა დღეში 597 რეისი);

- ✓ 2017 წელს საქართველოს რკინიგზის საშუალებით გადაყვანილმა მგზავრების რაოდენობამ შეადგინა 2.7 მლნ მგზავრი, რაც 2016 წელს გადაყვანილი მგზავრების რაოდენობაზე მეტია 9.0%-ით;
- ✓ 2017 წელს გაიზარდა საქართველოს საერთაშორისო აეროპორტების მგზავრთნაკადის მაჩვენებელი და შეადგინა 4.1 მლნ მგზავრი (2016 წლის მაჩვენებელს აღემატება 43.4%-ით). მგზავრთნაკადის მატება ბოლო პერიოდში განპირობებულია საქართველოში ტურისტული ნაკადის ზრდის ტენდენციით და საქართველოს ავიაბაზარზე ახალი ავიაკომპანიების შემოსვლით;
- ✓ 2017 წელს საქართველოს საზღვაო ნავსადგურებში ჯამურად გადამუშავებულმა კონტეინერების რაოდენობამ შეადგინა 394 787 ერთეული TEU და გადააჭარდა 2016 წლის მაჩვენებელს 19.7%-ით;

- მომზადდა ენერგოეფექტურობის ეროვნული სამოქმედო გეგმის (NEEAP) პროექტი და კანონპროექტი „შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ“;
- შემუშავდა საქართველოს კანონის პროექტი „ელექტრონული კომერციის შესახებ“ და საფოსტო სფეროს საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზა. ხელი შეეწყო საინფორმაციო და ელექტრონული კომუნიკაციების განვითარებას;
- დამტკიცდა იყალთოს ხევისა და ბახმაროს ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაცია;
- მომზადდა ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიისა და დიდი მიტარბის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაცია;
- განხორციელდა საქართველოს მაშტაბით მგზავრთა საჰაერო გადაყვანა, რამაც განაპირობა ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა და საქართველოს, როგორც ტურისტული რეგიონის, ცნობადობის გაზრდა.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. საბაზისო მაჩვენებელი - მაკროეკონომიკური სტატისტიკური მაჩვენებლები. მშპ რეალური ზრდა: 2015 წელი - 2,9% (ფაქტიური); 2016 წელი - 3% (გეგმიური). საერთაშორისო რეიტინგებში საქართველოს პოზიციები: „მსოფლიო ბანკის „Doing Business 2017“ წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველოს რეიტინგი 7 ადგილით გაუმჯობესდა. საქართველოს ქულა 2.48 პუნქტით გაუმჯობესდა (77.72 ქულიდან) (80.20 ქულამდე) და 190 ქვეყანას შორის 23-ე ადგილიდან მე-16 ადგილზე გადაინაცვლა; საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიის ფრეზერის ინსტიტუტის (Fraser Institute) მიერ გამოქვეყნებულ 2016 წლის ანგარიშით საქართველომ უპრეცედენტო დიდ წარმატებას მიაღწია და მსოფლიოში 159 ქვეყანას შორის ეკონომიკური თავისუფლების მხრივ მე-5 პოზიცია დაიკავა 7.98 ქულით; Heritage Foundation „ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი“ 2016-ის მიხედვით საქართველო მსოფლიოს 178 ქვეყანას შორის 23-ე პოზიციაზეა კვლავ„უმეტესად თავისუფალი“ სტატუსით; მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2016-2017 წლის „გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის“ („The Global Competitiveness Index“) მიხედვით საქართველოს რეიტინგი წინა წელთან შედარებით 138 ქვეყანას შორის 7 ადგილით გაუმჯობესდა და 66-ე ადგილიდან 59-ზე (4,32-იანი ქულით) გადაინაცვლა (საქართველოს სარეიტინგო ქულა გაუმჯობესდა 0.1 პროცენტული პუნქტით); „Transparency International“-ის მიერ 2016 წელს გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით 2015 წელს „კორუფციის აღქმის ინდექს“-ში („Corruption Perception Index“) საქართველოს რეიტინგი 2 ადგილით გაუმჯობესდა და 168 ქვეყანას შორის 50-ე ადგილიდან 48-ე ადგილზე გადმოინაცვლა (100-ქულიან შკალაზე 52 ქულით).

მიზნობრივი მაჩვენებელი - სამიზნე მაჩვენებლების შენარჩუნება/გაუმჯობესება;
მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - საშუალო წლიურმა ეკონომიკურმა ზრდამ 2017 წელს შეადგინა 4.8%. საერთაშორისო რეიტინგებში საქართველოს პოზიციები: მსოფლიო ბანკის „Doing Business 2018“ წლის ანგარიშის მიხედვით საქართველოს რეიტინგი 7 ადგილით გაუმჯობესდა. საქართველოს ქულა გაუმჯობესდა 2.12 პუნქტით (82.04 ქულამდე) და 190 ქვეყანას შორის მე-16 ადგილიდან

გადაინაცვლა მე-9 ადგილზე; საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიის ფრეზერის ინსტიტუტის (Fraser Institute) მიერ გამოქვეყნებულ 2017 წლის ანგარიშით, 2015 წელს საქართველო შევიდა მსოფლიოს პირველ ათეულში. Heritage Foundation „ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი“ 2017-ის მიხედვით, საქარველომ პირველად რეიტინგში მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. ქვეყანამ წინა წელთან შედარებით 10 ადგილით გაიუმჯობესა პოზიცია და მსოფლიოს 180 ქვეყანას შორის 23-ე ადგილიდან მე-13 ადგილზე გადმოინაცვლა კვლავ „უმეტესად თავისუფალი“ სტატუსით. საქართველოს ქულა გაუმჯობესდა 3.4 პუნქტით (72.6 ქულიდან 76 ქულამდე); მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2017-2018 წლის „გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის“ („The Global Competitiveness Index“) მიხედვით საქართველოს რეიტინგი წინა წელთან შედარებით 137 ქვეყანას შორის 8 პოზიციით შემცირდა და 59-ე ადგილიდან 67-ზე (4,28-იანი ქულით) გადაინაცვლა. „Transparency International“-ის მიერ 2017 წელს გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით 2016 წელს „კორუფციის აღქმის ინდექსში“ („Corruption Perception Index“) საქართველოს რეიტინგი 4 ადგილით გაუმჯობესდა და 176 ქვეყანას შორის 48-ე ადგილიდან 44-ე ადგილზე გადმოინაცვლა (100-ქულიან შკალაზე 57 ქულით);

ცდომილების მაჩვენებელი - გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში, ქვეყნის რეიტინგსა და შესაბამისად რეიტინგის რიგ კომპონენტებში საქართველოს მდგომარეობის შემცირება განპირობებულია ამავე კომპონენტების სარეიტინგო ქულების მცირედი ცვლილებით. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული კომპონენტების უმეტესი ნაწილის შეფასება არ ეყრდნობა ოფიციალურ მონაცემებს და ეფუძნება რესპონდენტთა სუბიექტურ შეხედულებებსა და ინდივიდუალურ აღქმას.

2. საბაზისო მაჩვენებელი - შექმნილია რეგულირების გავლენის შეფასების დოკუმენტი „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ პროექტზე. მიმდინარეობს მუშაობა საპენსიო რეფორმაზე რეგულირების გავლენის შეფასების მიზნით;

მიზნობრივი მაჩვენებელი - საკანონმდებლო ინიციატივებზე მარეგულირებელი გავლენის შეფასების (RIA) დოკუმენტების მომზადება;
მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის“ პროექტზე საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან ერთად მომზადდა რეგულირების გავლენის შეფასების ანგარიში.

3. საბაზისო მაჩვენებელი - დასრულდა მოლაპარაკებები საქართველოსა და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციას (EFTA) შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების ტექსტის მიღებასთან დაკავშირებით და შეთანხმების პროექტი მომზადდა ხელმოსაწერად. ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცესთან დაკავშირებული ნაწილის (DCFTA) განხორციელების 2015 წლის სამოქმედო გეგმის მიხედვით მომზადებულია წლიური ანგარიში;

მიზნობრივი მაჩვენებელი - ახალი პრეფერენციული რეჟიმების განვითარება; ექსპორტის სტრუქტურული გაუმჯობესება;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - რატიფიცირებულ იქნა საქართველოსა და EFTA-ს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება და ამოქმედდა ნორვეგიასა და ისლანდიასთან; ხელმოწერილ და რატიფიცირებულ იქნა საქართველო-ჩინეთის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება, რომელიც ამოქმედდა 2018 წლის პირველი იანვრიდან; 2017 წელს ექსპორტი გაიზარდა 29.1%-ით; ექსპორტის სტრუქტურაში გამოჩნდა ახალი საექსპორტო პოზიციები: ხილის ჯემები, სამგზავრო ჩანთები, იატაკის საფარები, გრაფიტი და ა.შ.;

4. საბაზისო მაჩვენებელი - მიმდინარეობს ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული დირექტივის მიხედვით ქვეყნის ენერგოეფექტურობის ეროვნულ სამოქმედო გეგმის (NEEAP) მომზადება და მიმდინარეობს საყოფაცხოვრებო მოწყობილობების მიერ ენერგიის მომხმარების აღმნიშვნელი მარკირების კანონმდებლობის შემუშავება და დანერგვა;

მიზნობრივი მაჩვენებელი - ქვეყნის ენერგოეფექტურობის ეროვნულ სამოქმედო გეგმის (NEEAP) განხორციელება და მასთან დაკავშირებული პროდუქციის მარკირების კანონმდებლობის დანერგვა;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - მომზადდა 2 პროექტი: ენერგოეფექტურობის ეროვნული სამოქმედო გეგმა (NEEAP) და კანონპროექტი „საქართველოს კანონი „შენობების ენერგოეფექტურობი შესახებ“. აღნიშნული პროექტები მიზნად ისახავს საქართველოს კანონმდებლობის, ნორმატიული აქტების და სხვა დოკუმენტაციის ჰარმონიზაციას ევროპულ სტანდარტებთან, რისი ვალდებულებაც საქართველოს მთავრობამ აიღო ევროკავშირთან ასოციაციის ხელშეკრულების ხელმოწერით.

5. საბაზისო მაჩვენებელი - მიმდინარეობს კაპიტალის ბაზრის განვითარება და კერძო დაგროვებითი საპენსიო სისტემის მარეგულირებელი კანონმდებლობის შემუშავება;

მიზნობრივი მაჩვენებელი - ლიკვიდური და რელურად ფუნქციონირებადი კაპიტალის ბაზრის შექმნა და კერძო დაგროვებითი საპენსიო სისტემის დანერგვა;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - მომზადდა კანონის პროექტები „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ და „კერძო დაგროვებითი საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ“. აგრეთვე მომზადდა დაგროვებითი საპენსიო სისტემის და საპენსიო სააგენტოს ჩამოყალიბების დეტალური სამოქმედო გეგმა (დოკუმენტი). შემუშავდა საინვესტიციო ფონდების შესახებ კანონმდებლობის პირველადი ვერსია.

6. საბაზისო მაჩვენებელი - დღეის მდგომარეობით საქართველოში საკმარისად არ არის განვითარებული თანამედროვე ლოგისტიკური სერვისები;

შენიშვნა: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ დაზუსტდა საბაზისო მაჩვენებელი;

მიზნობრივი მაჩვენებელი - ლოგისტიკური სერვისების განვითარება, ინვესტიციების მოზიდვა, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, დამატებითი ტვირთნაკადების მოზიდვა საქართველოს ტერიტორიის გავლით;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - დამტკიცდა ლოგისტიკის ეროვნული სტრატეგია, შერჩეულია ინვესტორი თბილისისა და ქუთაისის ლოგისტიკური ცენტრების პროექტებზე.

7. საბაზისო მაჩვენებელი - მომზადებულია გასაფორმებლად ორმხრივი სამთავრობათაშორისო შეთანხმებები (საავტომობილო, სახმელეთო და საჰაერო ტრანსპორტი) და აგრეთვე, მრავალმხრივი სამთავრობათაშორისო შეთანხმებები („ბალტიის ზღვა - შავი ზღვის საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნის განვითარების შესახებ შეთანხმება“ და „სატრანზიტო ვაჭრობის და ტრანსპორტის სფეროებში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება“);

შენიშვნა: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ დაზუსტდა საბაზისო მაჩვენებელი;

მიზნობრივი მაჩვენებელი - 2017 წელს შეთანხმებების გაფორმება;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - 2017 წელს ხელი მოეწერა 1 მრავალმხრივ შეთანხმებას სატრანზიტო და სატრანსპორტო თანამშრომლობის შესახებ (ლაპის ლაზულის მარშრუტის შეთანხმება), საავტომობილო სფეროში 1 ორმხრივ სამთავრობათაშორისო შეთანხმებას (თურქმენეთი) და სამოქალაქო ავიაციის სფეროში 2 ორმხრივ სამთავრობათაშორისო შეთანხმებას (ინდოეთი, ბელარუსი).

8. საბაზისო მაჩვენებელი - შემუშავებულია 2 მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმა, 7 ქალაქის და 10 სოფლის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა; გრძელდება მუშაობა ქვეყნის სივრცითი მოწყობის გენერალური სქემის, მუნიციპალიტეტების სივრცითი მოწყობის გეგმების, დასახლებათა მიწათსარგებლობის გენერალური გეგმებისა და განაშენიანების რეგულირების გეგმების შემუშავებაზე. მიმდინარეობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სივრცითი მოწყობის სქემების შემუშავების ხელშეწყობა;

მიზნობრივი მაჩვენებელი - ქვეყნის სივრცითი მოწყობის გენერალური სქემის, მუნიციპალიტეტების სივრცითი მოწყობის გეგმების, დასახლებათა მიწათსარგებლობის გენერალური გეგმებისა და განაშენიანების რეგულირების გეგმების შემუშავებაზე მუშაობის გაგრძელება;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - დასრულდა იყალთოს ხევისა და ბახმაროს ქალაქთმშენებლობით დოკუმენტაციაზე მუშაობა; დასრულდა და საქართველო მთავრობის სხდომაზე წარსადგენად მზადდება ბაკურიანის სარეკრეაციო ტერიტორიისა და დიდი მიტარბის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაცია; დასრულდა პირველი და მეორე ეტაპის სამუშაოები სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტაციაზე: 4 მუნიციპალიტეტისათვის (მესტია, ახმეტა, ონი, ამბროლაური, 2 დასახლებისათვის (ზემო ალვანი და ქვემო ალვანი) და 28 სოფლისათვის (ჭოლაში, არცხელი, ზარდალში, ლახირი, მაჯვდიერი, მურშკელი, ჯაბეში, ჟაამუში, ღვებრა, ჩვაბიანი, ცალდაში, ომალო, დართლო, ფარსმა, გირევი, დოჭუ, ჯვარბოსელი, შენაქო, დიკლო, ინდურთა, ეთელთა, უწერა, მრავალძალი, კურორტი შოვი, ნიკორწმინდა, ჭრებალო, წესი და შაორის ტურისტულ - სარეკრეაციო კომპლექსი).

9. საბაზისო მაჩვენებელი - მიმდინარეობს ჰარმონიზებული ტექნიკური რეგლამენტების ევროკოდების თარგმნა. ევროკოდების თარგმნის სარედაქციო კოლეგიის მიერ განხორციელდა 5 ევროკოდის თარგმნა ქართულ ენაზე (ინგლისურ-ქართული გლოსარიუმის შედგენა 5 ევროკოდისათვის - სულ 126 გვერდი; ინგლისურ-ქართული გლოსარიუმის შედგენა EN 1993-ისათვის („ლითონის კონსტრუქციების

დაპროექტება“) - სულ 32 გვერდი; ევროკოდი 0 „კონსტრუქციული დაპროექტების საფუძვლები"-87 გვერდი; ევროკოდი 1 ,,ზემოქმედებები კონსტრუქციებზე“- 762 გვერდი; ევროკოდი 2 ,,ბეტონის კონსტრუქციების დაპროექტება“- 440 გვერდი; ევროკოდი 7 „გეოტექნიკური დაპროექტება" - 338 გვერდი; ევროკოდი 8 „სეისმომედეგი კონსტრუქციები დაპროექტება" - 636 გვერდი). ნათარგმნი ევროკოდების ეროვნული დანართები შემუშავებულია;

მიზნობრივი მაჩვენებელი - ევროკოდების თარგმნა: ევროკოდი 3 „ლითონის კონსტრუქციების დაპროექტება"- 398 გვერდი; ევროკოდი 4 „ლითონისა და ბეტონის შერეული კონსტრუქციების დაპროექტება"- 330 გვერდი; ევროკოდი 5 „ხის კონსტრუქციების დაპროექტება"- 221 გვერდი; ევროკოდი 6" ქვის წყობის კონსტრუქციების დაპროექტება"- 1 გვერდი; გლოსარიუმის შედგენა ევროკოდ 4-ის, 5-ის, 6-ისა და 9-ისათვის. სამი ევროკოდის ეროვნული დანართების შემუშავება;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - გადათარგმნილია ევროკოდი 3: ლითონის კონსტრუქციების დაპროექტება - 532 გვერდი; დარედაქტირდა ევროკოდი 8-ის „სეისმომედეგი კონსტრუქციების დაპროექტება“ - 375 გვერდი.

ცდომილების მაჩვენებელი - ევროკოდი 3 „ლითონის კონსტრუქციების დაპროექტება"- გეგმასთან შეფარდებით შესრულდა 133,7%-ით. პრიორიტეტულობიდან გამომდინარე განხორციელდა ევროკოდი 8-ის (,,სეისმომედეგი კონსტრუქციების დაპროექტება“) ნაწილების დარედაქტირება - 375 გვერდი და დაწყებულია მუშაობა ევროკოდი 8-ის (სეისმომედეგი კონსტრუქციების დაპროექტება) ეროვნული დანართის შემუშავების მიმართულებით, რომლის მიმდინარეობისას პარალელურ რეჟიმში განხორციელდება სხვა ევროკოდების ეროვნული დანართების ნაწილების შემუშავება.

10. საბაზისო მაჩვენებელი - განხილულია სარეკრეაციო ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის გაცემის I და II სტადიაზე 277 პროექტი;

მიზნობრივი მაჩვენებელი - სარეკრეაციო ტერიტორიაზე სივრცით-ტერიტორიული თვალსაზრისით მშენებლობების მოწესრიგება;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - სარეკრეაციო ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის გაცემის I და II სტადიაზე წინა წელთან შედარებით განხილულია 586-ით მეტი პროექტი.

11. საბაზისო მაჩვენებელი - შეძენილია მსოფლიო საფოსტო კავშირის (UPU) მიერ შემუშავებული ტექნიკური სტანდარტების სრული პაკეტი. ქვეყანაში არ არსებობს საგანგებო სიტუაციების დროს ელექტრონული კომუნიკაციების ქსელების და საშუალებების ოპერატიულ-ტექნიკური მართვის ეროვნული სისტემა;

მიზნობრივი მაჩვენებელი - საკანონმდებლო-ნორმატიული აქტების მომზადება და ელექტრონული კომერციის პლატფორმის მოწყობისთვის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება; საინფორმაციო და ელექტრონული კომუნიკაციების თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების საშუალოვადიანი სტრატეგიის მომზადება; ევროპა-აზიის დამაკავშირებელი ახალი საინფორმაციო და საფოსტო სივრცის ჩამოყალიბების კონცეფციის შემუშავება;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - შემუშავებულია საქართველოს კანონის პროექტი „ელექტრონული კომერციის შესახებ“; შემუშავებულია საფოსტო სფეროს საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზა; ევროკომისიის და მსოფლიო ბანკის დახმარებით დაწყებულია პროექტი ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სტრატეგიის შესამუშავებლად; დაწყებულია მოლაპარაკებები ევროპისა და აზიის ქვეყნებთან ევროპა-აზიის დამაკავშირებელი საინფორმაციო სუპერ მაგისტრალის ფორმირებაზე;

12. საბაზისო მაჩვენებელი - მიმდინარეობს საქართველოს უძრავი ქონების ბაზრის კვლევა 6 ძირითად მიმართულებით: საცხოვრებელი, საოფისე, სასაწყობე, სასტუმროების, საცალო ვაჭრობისა და გასართობი ბაზრების მიმოხილვა. დამზადებულია საინვესტიციო ბროშურები. შემუშავდა ინდიკატორები და სამუშაოს აღწერილობა კონსულტანტი კომპანიისთვის, რომელიც განახორციელებს სექტორის შესწავლას. კვლევა მომზადებულია ქართულ და ინგლისურ ენებზე;

მიზნობრივი მაჩვენებელი - საინვესტიციო შესაძლებლობების იდენტიფიცირება და დამატებითი ინვესტიციების მოზიდვა; პოტენციური საჯარო/კერძო პარტნიორობის იდენტიფიცირება, ვაჭრობასთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცვლა; კონკრეტული სექტორების შესახებ სრული ინფორმაციის მიღება; დაინტერესებული პირების ინფორმირება, რაც ხელს შეუწყობს დამატებითი ინვესტიციების მოზიდვას; იდენტიფიცირებულ პრიორიტეტულ სექტორში პრიორიტეტული სექტორის განვითარება;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - ორგანიზება გაეწია 12-მდე ადგილობრივ და საერთაშორისო ღონისძიებას, შედგა 80-მდე პოტენციურ ინვესტორთან შეხვედრა;

ცდომილების მაჩვენებელი - 2017 წლის აგვისტოსტოდან, დეპარტამენტში განხორციელებული ცვლილებიდან გამომდინარე, გარკვეული ფუნქციების შესრულება გახდა შეუძლებელი, მათ შორის: უძრავი ქონების ბაზრის კვლევის განახლება, საინვესტიციო შესაძლებლობების იდენტიფიცირება, იდენტიფიცირებულ პრიორიტეტულ სექტორში პრიორიტეტული სექტორის განვითარება, კონკრეტული სექტორების შესახებ სრული ინფორმაციის მიღება.

5.6 ფინანსების მართვის ელექტრონული და ანალიტიკური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 23 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ – საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის მაღალი მდგრადობა;
- საჯარო ფინანსების მართვის სისტემის ეფექტური ფუნქციონირება (რომელშიც ჩართულია ყველა სახელმწიფო უწყება);
- მიწოდებული სერვისების ტექნიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფა;

- სახელმწიფო უწყებებისა და ორგანიზაციების ვებ-გვერდების, საინფორმაციო სისტემების ფუნქციონალისა და დიზაინის შემუშავება/განახლება.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- საჯარო ფინანსების მართვის სისტემის (PFMS) დანერგვის შემდგომი პროცესები უზრუნველყოფილია და შესაბამისობაშია გეგმასთან;
- უზრუნველყოფილია ფინანსთა სამინისტროს ეფექტიანად ფუნქციონირებისათვის საჭირო კონსოლიდირებული და ინტეგრირებული საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის შექმნა;
- უზრუნველყოფილია საინფორმაციო ტექნოლოგიების ბაზაზე აგებული ფინანსთა სამინისტროს სისტემების ქვეყნის საინფორმაციო-საკომუნიკაციო სივრცეში ინტეგრაცია;
- განსაზღვრულია მომხმარებელთა სხვადასხვა რესურსზე წვდომის უფლებები, უზრუნველყოფილია კონტროლი და მონიტორინგი;
- ოპტიმიზებულია სხვადასხვა საკომუნიკაციო სერვისების გამოყენება მომხმარებელთა მიერ;
- უზრუნველყოფილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ახალი სისტემებისა და ელექტრონული სერვისების, ვებპროდუქტებისა და ვებსერვისების, ელექტრონული მმართველობის კომპონენტების, სხვა ახალი ტექნიკური სისტემების შემუშავება, დანერგვა და განვითარება.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

1. საბაზისო მაჩვენებელი - ქვეყნის საჯარო ფინანსების მართვის სისტემის (PFMS) კომპონენტები (eBudget, eTreasury, eDMS, eHRMS) დანერგილია ადგილობრივ თვითმმართველობებში და სსიპ-ებში; საინფორმაციო სისტემის ფუნქციონალში შეტანილია შესაბამისი ცვლილებები;
მიზნობრივი მაჩვენებელი - PFMS-ის კომპონენტების ფარგლებში (eBudget, eTreasury, eDMS, eHRMS) არსებული ფუნქციონალების დახვეწა/გაუმჯობესება და სისტემის გარეთ დარჩენილი პროცესების ავტომატიზება;
მიღწეული მაჩვენებელი - ქვეყნის საჯარო ფინანსების მართვის სისტემის (PFMS) ახალი კომპონენტების დანერგვის, უკვე არსებული ქვესისტემების სრულყოფის ფაქტობრივი ვადების და რესურსების ხარჯვის პარამეტრები შესაბამისობაშია დაგეგმილ მაჩვენებლებლებთან.

2. საბაზისო მაჩვენებელი - შექმნილია და წარმატებით ფუნქციონირებს უძრავ-მოძრავი ქონების გაყიდვის ელექტრონული აუქციონი (eAuction);
მიზნობრივი მაჩვენებელი - eAuction საინფორმაციო სისტემის ფუნქციონალის და დიზაინის შესაბამისობაში მოყვანა ტექნიკურ დავალებასა და დაინტერესებული მხარის მოთხოვნებთან;
მიღწეული მაჩვენებელი - სისტემის ფუნქციონალი შესაბამისობაშია ტექნიკურ დავალებასა და დაინტერესებული მხარის მოთხოვნებთან.

3. საბაზისო მაჩვენებელი - ქვეყნის მასშტაბით 100-ზე მეტ ორგანიზაციაში დანერგილი საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემა eDocument და ჩართული 20.0 ათასამდე მომხმარებელი; უზრუნველყოფილია სხვა საინფორმაციო სისტემებთან მონაცემთა გაცვლა Interflow სერვისით;
მიზნობრივი მაჩვენებელი - eDocument სისტემის ფუნქციონალობა შესაბამისობაშია დამკვეთის მოთხოვნებთან; ყველა მომხმარებელ ორგანიზაციაში სისტემის ახალი ვერსიის შემუშავება და დანერგვა; სხვა საინფორმაციო სისტემებთან ინტეგრაცია;

მიღწეული მაჩვენებელი - სისტემის ფუნქციონალი შესაბამისობაშია დამკვეთის მოთხოვნებთან. სისტემა დანერგილი და მხარდაჭერილია ცენტრალური ხელისუფლებისა და თვითმმართველი ერთეულების, ჯამურად, 200-ზე მეტ ორგანიზაციაში.

4. საბაზისო მაჩვენებელი - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დაკვეთით შექმნილია და წარმატებით ფუნქციონირებს ბუნებრივი რესურსების მართვის სისტემა (eNRMS);
მიზნობრივი მაჩვენებელი - eNRMS საინფორმაციო სისტემის ფუნქციონალი და დიზაინი შესაბამისობაში მოყვანა ტექნიკურ დავალებასა და დაინტერესებული მხარის მოთხოვნებთან;
მიღწეული მაჩვენებელი - სისტემის ფუნქციონალი შესაბამისობაშია ტექნიკურ დავალებასა და დაინტერესებული მხარის მოთხოვნებთან.

5. საბაზისო მაჩვენებელი - შემუშავებული და ექსპლუატაციაში გაშვებულია რამდენიმე ათეული ვებგვერდი. შემუშავების და განვითარების პროცესშია სხვა ავტომატიზებული სისტემები, მათ შორის, მთავრობის ადმინისტრაციის დაკვეთით შემუშავებულია საერთაშორისო დახმარებების მართვის ელექტრონული სისტემა (eAIMS);
მიზნობრივი მაჩვენებელი - ვებ-გვერდების, საინფორმაციო სისტემების ფუნქციონალისა და დიზაინის შესაბამისობაში მოყვანა ტექნიკური დავალების და დაინტერესებული მხარეების მოთხოვნებთან;
მიღწეული მაჩვენებელი - ფუნქციონალი შესაბამისობაშია დამკვეთის მოთხოვნებთან.

5.7 სტატისტიკური სამუშაოების დაგეგმვა და მართვა (პროგრამული კოდი 47 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – საქსტატი

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

- კვლევების მართვა და შესაბამისი სტატისტიკური მაჩვენებლების მიღება.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- განხორციელდა სტატისტიკური კვლევების მართვა და გავრცელდა მისი შედეგები; დამუშავდა და გამოქვეყნდა მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგები; შემუშავდა მეთოდოლოგიური სტანდარტები; განვითარდა საინფორმაციო ტექნოლოგიური და პროგრამული სისტემები; განახლდა ოფისები და მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა; შესრულდა სამსახურის დასახული ამოცანები.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

მიზნობრივი მაჩვენებელი - საერთაშორისო ინსტიტუტების შეფასება; ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების ხარისხი და სანდოობა;
მიღწეული მაჩვენებელი - დაიგეგმა და განხორციელდა სხვადასხვა პერიოდულობის 100-ზე მეტი კვლევა.

5.8 სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამა (პროგრამული კოდი 47 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – საქსტატი

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

- მიღებულ იქნება ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა სახეების მიხედვით შეფასების მაღალი ხარისხის მაჩვენებლები, რომელთა ბაზაზეც გაიანგარიშება ძირითადი სტატისტიკური ინდიკატორები;
- მოსახლეობის უთანაბრობის მაჩვენებლების, მოსახლეობის ცხოვრების დონის (შინამეურნეობების შემოსავლები და ხარჯები), მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობის (დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებლები), ეროვნული ანგარიშების მაჩვენებლების გასაანგარიშებლად საჭირო მონაცემებით უზრუნველყოფა, სამომხმარებლო კალათის დადგენისათვის საჭირო მონაცემებით უზრუნველყოფა;
- მიღებული იქნება როგორც მიმდინარე (წინასწარი), ასევე საბოლოო მრავალფეროვანი სტატისტიკური ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის შესახებ;
- მიღებულ იქნება მონაცემები ინოვაციური აქტივობების და ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ სხვადასხვა სექტორში.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- განხორციელდა: მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშება, მწარმოებელთა და სამომხმარებლო ფასების ინდექსის გაანგარიშება; პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა და საგარეო ვაჭრობის (ექსპორტ-იმპორტის) მონაცემთა გაანგარიშება; ქვეყანაში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ისტორიული დინამიკური მწკრივების გადასინჯვა და მონაცემების კორექტირება საქსტატის და ეროვნული ბანკის მიერ წარმოებულ მონაცემებს შორის შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით; ბიზნეს რეგისტრის მონაცემთა ბაზის აქტუალიზება; ბიზნეს სტატისტიკის მაჩვენებლების გაანგარიშება სხვდასხვა სექტირებისა და სფეროების მიხედვით; ენერგეტიკის მაჩვენებლების გაანგარიშება და ენერგეტიკული ბალანსის შემუშავება; დემოგრაფიული ვითარების ამსახველი მონაცემების გაანგარიშება და გავრცელება; სხვადასხვა სფეროში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის გაანგარიშება; დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებლების გაანგარიშება; მოსახლეობის შემოსავლების, ხარჯების, სიღარიბის და უთანაბრობის მაჩვენებლების გაანგარიშება; შიდა ტურიზმის

მაჩვენებლების გაანგარიშება; მიღებული და გავრცელებული იქნა სოციალური სტატისტიკის შესახებ სხვა მიმდინარე სტატისტიკური მონაცემები; განხორციელდა სამომხმარებლო კალათის დადგენისთვის საჭირო მონაცემებით უზრუნველყოფა; მიღებული იქნა როგორც მიმდინარე (წინასწარი), ასევე საბოლოო მრავალფეროვანი სტატისტიკური ინფორმაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის შესახებ; მიღებულ იქნა მონაცემები საწარმოებში და შინამეურნეობებში ინოვაციური აქტივობის და საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

მიზნობრივი მაჩვენებელი - მონაცემთა ანალიზი და შედარებები; საერთაშორისო ექსპერტული შეფასებები; ერთობლივი საკონტროლო ღონისძიებების რაოდენობა ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებელ სხვა სამთავრობო დაწესებულებებთან ერთად; სხვადასხვა ჭრილში დამატებით ახალი მონაცემების გამოქვეყნების შესაძლებლობა;
მიღწეული მაჩვენებელი - ჩატარებული საკონტროლო ღონისძიებები ოფიციალური სტატისტიკის მწარმოებელ სხვა სამთავრობო დაწესებულებებთან ერთად; ექსპერტული შეფასებები სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებიდან.

5.10 სსიპ - კონკურენციის სააგენტო (პროგრამული კოდი 43 00)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - კონკურენციის სააგენტო

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად უზრუნველყოფილი იქნება საქართველოში ბაზრის ლიბერალიზაცია, თავისუფალი ვაჭრობა და კონკურენციის ხელშეწყობა. ეკონომიკური აგენტების საქმიანობაში დაცული იქნება თანასწორუფლებიანობის პრინციპები.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- სსიპ - კონკურენციის სააგენტოს მიერ განხორციელადა მნიშვნელოვანი სამუშაოები ქვეყანაში შესაბამის სასაქონლო ბაზრებზე კონკურენტული გარემოს დაცვისა და ხელშეწყობის მიმართულებით, კერძოდ: საქონლისა და მომსახურების ბაზარზე არსებული მდგომარეობის მოკვლევის, ბაზრის მონიტორინგის, მოსალოდნელი კონცენტრაციის შეტყობინების და განხორციელებული კონცენტრაციის თაობაზე, სახელმწიფო დახმარებასთან დაკავშირებით და აგრეთვე, სხვადასხვა სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის კონკურენციის პრინციპებთან შესაბამისობის შესწავლის კუთხით;

- ქვეყანაში კონკურენტული გარემოს გაჯანსაღების მიზნით, გაიცა რეკომენდაციები როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, ასევე ეკონომიკური აგენტების მიმართ;

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. საბაზისო მაჩვენებელი - სააგენტოში მიმდინარეობდა საქონლის/მომსახურების 5 ბაზრის მონიტორინგი (დასრულდა 1); შესაბამის ბაზრებზე კონკურენტული გარემოს გაჯანსაღების მიზნით, გაცემულ იქნა 25 რეკომენდაცია სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებისა და ეკონომიკური აგენტების მიმართ; მიმდინარეობდა შეტყობინებების განხილვები მოსალოდნელი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის საკითხთან დაკავშირებით და აგრეთვე, განცხადებების განხილვა განხორციელებული კონცენტრაციისა და სახელმწიფო დახმარების თაობაზე; მონაწილეობა იქნა მიღებული 12 სასამართლო დავაში სააგენტოს მიერ მიღებულ 4 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით; კონკურენციის სამართლის შესახებ საჯარო და კერძო სექტორის ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით, გაიმართა 8 სემინარი/კონფერენცია სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლების, ბიზნეს-სუბიექტების და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების მონაწილეობით; სააგენტოს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების კუთხით, განხორციელდა 15 ღონისძიება (სასწავლო ვიზიტები, ტრენინგები და ა.შ), რის შედეგადაც გადამზადდა 30-მდე თანამშრომლი; კონკურენციის სააგენტოს მიერ განხორციელადა მნიშვნელოვანი სამუშაოები, კერძოდ: საქონლისა და მომსახურების ბაზარზე არსებული მდგომარეობის მოკვლევის, ბაზრის მონიტორინგის, მოსალოდნელი კონცენტრაციის შეტყობინების და განხორციელებული კონცენტრაციის თაობაზე, სახელმწიფო დახმარებასთან დაკავშირებით და აგრეთვე, სხვადასხვა სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის კონკურენციის პრინციპებთან შესაბამისობის შესწავლის კუთხით; ქვეყანაში კონკურენტული გარემოს გაჯანსაღების მიზნით, გაიცა რეკომენდაციები როგორც სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, ასევე ეკონომიკური აგენტების მიმართ.

შენიშვნა: სსიპ - კონკურენციის სააგენტოს მიერ დაზუსტდა საბაზისო მაჩვენებელი;

მიზნობრივი მაჩვენებელი - კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად საქართველოში ბაზრის ლიბერალიზაციის, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობის, ეკონომიკური აგენტების საქმიანობაში თანასწორუფლებიანობის პრინციპების დაცვის მიზნით, კერძოდ-ბაზარზე ეკონომიკური აგენტის თავისუფალი დაშვების დათანადო პირობების უზრუნველყოფა; სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ ბაზარზე შესვლის ადმინისტრაციული, სამართლებრივი და დისკრიმინაციული ბარიერების დაუშვებლობა; ეკონომიკური აგენტების თანასწორუფლებიანობის დაცვა; ეკონომიკურ აგენტთა შორის არამართლზომიერი შეზღუდვის დაუშვებლობა; სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ ეკონომიკური აგენტებისათვის კონკურენციის არამართზომიეი შემზღუდველი ექსკლუზიური უფლებების მინიჭების დაუშვებლობა;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად საქართველოში ბაზრის ლიბერალიზაციის, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობის, ეკონომიკური აგენტების საქმიანობაში თანასწორუფლებიანობის პრინციპების დაცვის მიზნით განხორციელებული მოკვლევების ფარგლებში გამოვლენილ იქნა არაკეთილსინდისიერი კონკურენციის ფაქტები, რომელიც გამოსწორებულ იქნა მთლიანად ან ნაწილობრივ. ასევე გამოვლენილ იქნა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანობის მხრიდან კონკურენციის შემზღუდველი ქმედებები და დასახულ იქნა მათი გამოსწორების გზები, რომელთაგან ნაწილი გამოსწორებულია.

5.12 სსიპ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა (პროგრამული კოდი 52 00)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ სსიპ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

- ქართული კომპანიების მიერ გაფართოვებული ბიზნეს-კავშირები და საზღვარგარეთ მოძიებული პარტნიორების გაზრდილი რიცხვი;
- ევროკავშირში საქართველოს ეკონომიკური ინტეგრაცია, საქართველო-ევროკავშირს შორის ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობები და კერძო სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობა;
- ფიზიკური პირების მიერ რეალიზებული ინოვაციური ბიზნეს-გეგმები;
- კომერციული და საინვესტიციო ხასიათის საერთაშორისო დავების ეფექტურად და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისასად განხილვის შესაძლებლობა.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- „მოიძიე პარტნიორის“ სერვისისათვის შექმნილია B2B პლატფორმა, დაიხვეწა სერვისი. საერთო ჯამში დამყარდა 50-მდე საქმიანი ურთიერთობა. გაიმართა ასობით B2B შეხვედრა;
- ინფორმირებული ბიზნეს-სექტორი სახელმწიფო სერვისებისა და სხვადასხვა პროგრამების შესახებ საქართველოს 9 რეგიონში და აჭარის ა/რ რესპუბლიკაში;
- დარგობრივი პრობლემატიკის ანალიზისა და დარგობრივი ბიზნეს-ასოციაციების დასაფუძნებლად მობილიზებული ბიზნეს-სექტორი;
- ბიზნეს-დელეგაციების ვიზიტების ფარგლებში გამართული ღონისძიებების შედეგად დახვეწილი „მოიძიე პარტნიორის“ ბაზა (დელეგაციების ჩართვა B2B პლატფორმაში);
- ჩინეთის ქალაქ გუანჯოუში დანიშნული საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის წარმომადგენლი. ჩინეთში გამართულ სხვადასხვა ღონისძიებებზე განხორციელებული საქართველოს საინვესტიციო გარემოს პოპულარიზაცია;
- 3 გამართული შეხვედრა მხარეებს შორის პირდაპირი დიალოგის რეჟიმში.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ორგანიზებით 2016 წელს ჩატარდა 29 ბიზნეს-ფორუმი, როგორც საქართველოს მთელს ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 1 100-ზე მეტმა კომპანიამ. აღნიშნული

ღონისძიებების ფარგლებში გაიმართა ორმხრივი შეხვედრები და დამყარდა კავშირები, რამაც ბიზნეს-სუბიექტებს ხელი შეუწყო საქმიანობის ეფექტურად წარმართვაში.

მიზნობრივი მაჩვენებელი - საზღვარგარეთ ქართული კომპანიების მიერ ბიზნეს-კავშირების გაფართოვება და ბიზნეს-პარტნიორების რიცხვის გაზრდა.

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ორგანიზებით 2017 წელს ჩატარდა 17 ბიზნეს-ფორუმი, როგორც საქართველოს მთელს ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ (მონაწილეობა მიიღო 1 507-ზე მეტმა კომპანიამ). პალატამ უმასპინძმა 4 ბიზნეს-დელაგაციას საქართველოში. აღნიშნული ღონისძიებების ფარგლებში გაიმართა ორმხრივი შეხვედრები და დამყარდა კავშირები, რამაც ბიზნეს-სუბიექტებს ხელი შეუწყო საქმიანობის ეფექტურად წარმართვაში. რეგიონული შეხვედრების შედეგად გამოვლინდა დარგობრივი პრობლემატიკა, რომლის ანალიზმაც საფუძველი ჩაუყარა 2018 წელს 2 დარგობრივი ბიზნეს-ასოციაციის ჩამოყალიბებას. ჩინეთში გახსნილი წარმომადგენლობის მეშვეობით პალატა აქტიურად ახორციელებს ბიზნეს-სექტორისთვის ჩინეთის ბაზართან დაკავშირებით (გაჩენილი კითხვების შემთხვევაში) საინფორმაციო სერვისის მიწოდებას. გარდა ამისა, წარმომადგენლობა 2017 წლის განმავლობაში ჩაერთო 10-მდე ღონისძიებაში საქართველოს საინვესტიციო პოტენციალის პოპულარიზაციის მიზნით. საჯარო-კერძო დიალოგის ფორმატში გამართულ შეხვედრებში მონაწილეობა მიიღო პალატის საბჭოს წევრმა 36-მა ბიზნეს-ასოციაციამ, რომლებმაც თავიანთი წევრი ბიზნეს-სექტორების პრობლემატური საკითხები დააყენეს მთავრობასთან;

5.13 ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობა (პროგრამული კოდი 23 06)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროში სამართალდარღვევათა თავიდან აცილება/გამოვლენა;
- შემუშავებული ერთიანი პოლიტიკა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროებში;

მიღწეული საბოლოო შედეგები

- ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროებში შემუშავებულია ერთიანი პოლიტიკა;

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

1. საბაზისო მაჩვენებელი - ერთიანი პოლიტიკისა და ანგარიშგების სტანდარტების არარსებობა;
მიზნობრივი მაჩვენებელი - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროებში შემუშავებულია ერთიანი პოლიტიკა და დადგენილია ფინანსური ადგარიშგების სტანდარტები;
მიღწეული მაჩვენებელი - ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროში შემუშავებულია ერთიანი პოლიტიკა;

5.14 სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სფეროს განვითარება (პროგრამული კოდი 24 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - სტანდარტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- გაზომვების პრიორიტეტული სფეროებში ყველა დაინტერესებული მხარისათვის (საწარმოები, ლაბორატორიები, ადმინისტრაციული და მარეგულირებელი ორგანოები) ახალი და გაფართოებული დიაპაზონის მომსახურების შეთავაზება;
- ამაღლდება ქართული პროდუქციის კონკურენტუნარიანობა და დააკმაყოფილებს საერთაშორისო მოთხოვნებს;
- სტანდარტების დეპარტამენტის ფუნქციონირება ხარისხის მენჯმენტის საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად;
- საერთაშორისო და რეგიონალური (ევროპული) სტანდარტების ხელმისაწვდომობის გაზრდა ელექტრონული და სხვა დისტანციური საშუალებების მეშვეობით;
- საქართველოს სტანდარტად მიღებული საერთაშორისო და რეგიონალური სტანდარტების გაზრდილი რაოდენობა;
- განახლებული და თანამედროვე ელექტრონული საშუალებების ფართოდ გამოყენების საშუალება სტანდარტიზაციის სფეროში და სტანდარტიზაციის ტექნიკური კომიტეტების გაზრდილი რაოდენობა საქართველოს ეკონომიკური პრიორიტეტების შესაბამისად.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- უკვე შესაძლებელია დაინტერესებული მხარეებისათვის სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სფეროში სააგენტოს მიერ მომსახურების ფართო დიაპაზონის შეთავაზება სხვადასხვა სფეროებში (წნევა, რადიაციული გაზომვები, მცირე მოცულობები, სიგრძე, ვიბრაცია, რადიოფიზიკა, ტემპერატურა და ტენიანობა, დიდი მასებისა და ფიზიკურ-ქიმიური) და პრიორიტეტული ლაბორატორიების საერთაშორისო აღიარების შენარჩუნება;
- გაიზარდა საქართველოს სტანდარტად მიღებული ევროპული და საერთაშორისო სტანდარტების რაოდენობა, 2017 წლის ბოლოსათვის მიღებული საერთაშორისო/ევროპული სტანდარტის რაოდენობამ შეადგინა 11 425 სტანდარტი.
- მომსახურების გაუმჯობესების მიზნით სტანდარტების დეპარტამენტში შემუშავებულია პროცედურების ნაწილი ხარისხის მენეჯმენტის საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით, საქმიანობაში მათი დანერგვის მიზნით;

- შემუშავებულია პროცედურები ელექტრონული და სხვა დისტანციური საშუალებების მეშვეობით სტანდარტებზე ხელმისაწვდომობის ზრდისათვის.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. საბაზისო მაჩვენებელი - განახლებულია ეტალონური ბაზები: გეომეტრიული გაზომვები; წნევა და ძალა; ტემპერატურა და ტენიანობის გაზომვები; დიდი მასები და მცირე მოცულობები; რადიოფიზიკა, დრო და სიხშირე, ოპტიკა და აკუსტიკა; ფიზიკო-ქიმიური გაზომვები; ვიბრაცია, ნივთიერებათა ხარჯი, რადიაციული გაზომვები;

მიზნობრივი მაჩვენებელი - 3 ლაბორატორის განახლება. სტანდარტიზაციის საერთაშორისო და რეგიონულ ორგანიზაციებში ინტეგრაცია;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - განახლებულია ეტალონური ლაბორატორიები გაზომვების შემდეგ მიმართულებებში: ფიზიკურ-ქიმიური გაზომვები, დიდი მასებისა და რადიოფიზიკური (აკუსტიკა) გაზომვები. განახლებულია ეტალონური ლაბორატორიები გაზომვების შემდეგ მიმართულებებში: ფიზიკურ-ქიმიური გაზომვები, დიდი მასებისა და რადიოფიზიკური (აკუსტიკა) გაზომვები. სააგენტო წარმოადგენს წევრ-კორესპონდენტს სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციაში (ISO) .

2. საბაზისო მაჩვენებელი - საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მიერ საქართველოს სტანდარტად მიღებულია 7 300 საერთაშორისო და ევროპული სტანდარტი;

მიზნობრივი მაჩვენებელი - საქართველოს სტანდარტად მიღებული საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების რაოდენობა - 9 100 სტანდარტი;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - 2017 წელს საქართველოს სტანდარტად მიღებული საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების რაოდენობაა - 2 157 სტანდარტი (2018 წლის 1 იანვრისთვის საქართველოს სტანდარტად მიღებული საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების ჯამური რაოდენობა შეადგენს 11 425).

5.15 მოსახლეობისა და საცხოვრისების საყოველთაო აღწერა (პროგრამული კოდი 47 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – საქსტატი

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

- მოსახლეობის რიცხოვნობისა და მათი სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის დადგენა;

- ქვეყნის აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების, ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოების და საზოგადოების ინფორმირება;
- არსებული სიტუაციის შესწავლის, შეფასებისა და პროგნოზირების საფუძველზე ქვეყნის უახლესი ათწლეულის სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული სტრატეგიის შემუშავება.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის საველე სამუშაოებიდან მიღებული მონაცემების საფუძველზე მომზადდა თემატური რუკები;
- განახლდა მონაცემთა ბაზები საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციის საფუძველზე.
- მომზადდა ელექტრონული რუკები ვებ-გვერდზე განსათავსებლად და სხვადასხვა ტიპის თემატური რუკები პუბლიკაციებისათვის.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

მიზნობრივი მაჩვენებელი - აღწერის მონაცემთა სიზუსტე და მათი გამოყენება აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სამეცნიერო საზოგადოების, საერთაშორისო ორგანიზაციების, მეწარმეებისა და მოქალაქეების მიერ;
მიღწეული მაჩვენებელი - მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგი გამოყენებულია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული პოლიტიკის განსაზღვრისთვის.

5.16 აკრედიტაციის პროცესის მართვა და განვითარება (პროგრამული კოდი 24 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - საქართველოს აკრედიტაციის ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- საკვალიფიკაციო გამოცდების ჩამტარებელი პირების აკრედიტაცია განხორციელდება საერთაშორისო სტანდარტის ISO/IEC 17043-ის შესაბამისად შემუშავებული სქემის მიხედვით;
- აკრედიტაციის ცენტრი ფუნქციონირებს ევროკავშირის პრაქტიკისა და მოთხოვნების შესაბამისად;
- აკრედიტაციის საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციების მიერ აკრედიტაციის ცენტრი აღიარებულია ხელმომწერ მხარედ (EA-ს ორმხრივი ხელშეკრულების - BLA აღიარება);

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- აკრედიტაციის ცენტრის მიერ დამტკიცებული გეგმის შესაბამისად განხორციელდა აკრედიტირებული პირების 133 გეგმიური მონიტორინგი და ასევე, გაიცა ახალი აკრედიტაციები საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების შესაბამისად;
- 2017 წლის 23 მაისს სლოვენიაში გამართულ EA-ს გენერალურ ასამბლეაზე, EA-ს მიერ აკრედიტაციის ცენტრის საქმიანობის შეფასების წარმატებული შედეგებიდან გამომდინარე, EA MAC (მრავალმხრივი შეთანხმების) კომიტეტის მიერ აკრედიტაციის ცენტრი აღიარებულია ხელმომწერ მხარედ (EA-ს ორმხრივი ხელშეკრულების - BLA აღიარება);
- ევროკავშირის CIB პროგრამის ფარგლებში შემუშავებული გეგმის მიხედვით, განხორციელდა აკრედიტაციის წამყვანი შემფასებლებისა და მოწვეული ტექნიკური შემფასებლების ტრეინინგები;
- ევროპელი ექსპერტების მიერ აკრედიტაციის ცენტრის შემფასებლების საქმიანობასთან დაკვირებით გაცემული რეკომენდაციები ასახულია აკრედიტაციის წესებში და პროცედურებში;
- შვეიცარიული კომპანია „SGS Société Générale de Surveillance SA“-ის მიერ პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ორგანოების შენობა-ნაგებობების/აღჭურვილობის და პერსონალის ტექნიკურ კვალიფიკაციის მიმართ წარმოდგენილი მოთხოვნების იმპლემენტაცია დაწყებულია სატრანსპორტო საშუალებების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ორგანოების საქმიანობაში.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. საბაზისო მაჩვენებელი - მიმდინარეობს შესაბამისობის შემფასებელი პირების აკრედიტაცია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების და საერთაშორისოდ აღიარებული ISO-ს სტანდარტების თანახმად. 2016 წლის სექტემბრის მდგომარეობით დასრულდა ISO 15189, ISO/IEC 17065-ის და ISO/IEC 17024-ის ბოლო ვერსიების აკრედიტაციის სისტემაში დანერგვა;

მიზნობრივი მაჩვენებელი - ISO/IEC სერტიფიკაციის ორგანოების და პერსონალის სერტიფიკაციის ორგანოების აკრედიტაციაში სრულად დანერგვა.

საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - განახლებული საერთაშორისო სტანდარტები ISO 15189, ISO/IEC 17065-ის და ISO/IEC 17024 იმპლიმენტირებულია აკრედიტაციის სისტემაში და შესაბამისობის შემფასებელი პირების აკრედიტაცია ხორციელდება განახლებული სტანდარტების შესაბამისად. განხორციელებულია უკვე აკრედიტირებული შესაბამისობის შემფასებელი პირების შეფასება განახლებული სტანდარტების შესაბამისად და გაცემულია შესაბამისი განახლებული აკრედიტაციის მოწმობები.

2. საბაზისო მაჩვენებელი - კანონმდებლობით რეგულირებადი ყველა სფერო აკრედიტირებულია, გარდა ციფრული ხელმოწერის სერტიფიკაციის ორგანოებისა;

მიზნობრივი მაჩვენებელი - საკვალიფიკაციო გამოცდების ჩამტარებელი პირების აკრედიტაციის სქემის დანერგვა საერთაშორისო სტანდარტის ISO/IEC 17043-ის შესაბამისად. შესაბამისობის შეფასების ბაზარზე აკრედიტაციის ახალი მიმართულებების დანერგვა და აკრედიტაციის პროცესების განხორციელების ვალდებულებების შესრულება;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - აკრედიტაციის სიტემაში უკვე დანერგილია საერთაშორისო სტანდარტის ISO/IEC 17043 მოთხოვნები საკვალიფიკაციო ტესტირების ჩამტარებლების მიმართ. მიმდინარეობს შესაბამისობის შემფასებელი პირების აკრედიტაცია კანონით რეგულირებად სფეროებში. პროდუქტის საგამოცდო ლაბორატორიების მიერ ხორციელდება ღვინის, თხილის, წყლის და თაფლის გამოცდები, ხოლო ინსპექტირების ორგანოების მიერ - მომატებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების ინსპექტირება საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტების შესაბამისად.

3. საბაზისო მაჩვენებელი - აკრედიტაციის ცენტრი არის EA-ს (ევროპული თანამშრომლობა აკრედიტაციაში) ასოცირებული წევრი;

მიზნობრივი მაჩვენებელი - EA-ს მიერ აკრედიტაციის ცენტრის ორმხრივი აღიარების შეთანხმება;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - EA-ს (European Cooperation for Accreditation) მიერ განხორციელებულია აკრედიტაციის ცენტრის საქმიანობის შეფასება (peer-evaluation). შეფასების შედეგები წარმატებულია, რის საფუძველზეც EA-ს და აკრედიტაციის ცენტრს შორის ხელი მოეწერა ორმხრივ შეთანხმებას EA BLA. შეთანხმება გავრცელდება აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს მიერ აკრედიტებულ შემდეგ სფეროებში: გამოცდები და დაკალიბრება (ISO/IEC 17025), პროდუქტის სერტიფიკაცია (ISO/IEC 17065), პერსონალის სერტიფიკაცია (ISO/IEC 17024) და ინსპექტირება (ISO/IEC 17020).

5.17 სსიპ - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო (პროგრამული კოდი 23 07)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- ქონების განკარგვის გამჭვირვალე, კონკურენტული და გამარტივებული პროცესების უზრუნველყოფა ფუნქციურად განახლებული ელექტრონული სისტემების საშუალებით; სახელმწიფო ქონების განკარგვის გაზრდილი ეფექტურობა;
- ელექტრონული აუქციონების პორტალის დახვეწა.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- განხორციელდა მომხმარებლებისა და ადმინისტრატორების მოთხოვნებზე მორგებული სერვისებისა და ფუნქციონალების დანერგვა/განვითარება, ახალი და უკვე არსებული ღილაკებისა და ფუნქციონალების ამოქმედება/შექმნა.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

1. საბაზისო მაჩვენებელი - ელექტრონული აუქციონების პორტალის მომხმარებელთა რაოდენობა - 71.3 ათასი (2016 წლის 9 თვის მდგომარეობით);
მიზნობრივი მაჩვენებელი - ელექტრონული აუქციონების პორტალის მომხმარებელთა რაოდენობის ზრდა საშუალოდ 15%-20%-ით;
მიღწეული მაჩვენებელი - 2017 წლის 31 დეკემბერის მონაცემებით ვებგვერდზე (eAuction.ge) რეგისტრირებულია 85.0 ათასამდე მომხმარებელი.

5.18 სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო (პროგრამული კოდი 64 00)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

- განხორციელდა სახელმწიფო შესყიდვების პროცედურების კანონიერების მონიტორინგი;
- მაქსიმალურად უზრუნველყოფილი იქნა გადაწყვეტილების მიღებისას საჯაროობა, ობიექტურობა, არადისკრიმინაციულობა და გამჭვირვალობა;
- განხორციელდა სახელმწიფო შესყიდვების მიმდინარეობისას საჯაროობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და არადისკრიმინაციულობის პრინციპების დაცვა, კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების ზუსტად შესრულებისა და ანგარიშგების, სახელმწიფო შესყიდვების მონაწილეთა არადისკრიმინაციული გარემოს შესაძლებლობის უზრუნველყოფა ჯანსაღი კონკურენციის პირობებში;
- უზრუნველყოფილია სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის გამართულად ფუნქციონირება, განვითარება და მის მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლება;
- მიმდინარეობდა სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის სრულყოფა, საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებთან, ევროდირექტივების მოთხოვნებთან და საუკეთესო პრაქტიკასთან მისი შესაბამისობის უზრუნველყოფა.

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- უზრუნველყოფილი იქნება სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვა;
- უზრუნველყოფილი იქნება სახელმწიფო საჭიროებისათვის აუცილებელი საქონლის წარმოების, მომსახურების გაწევისა და სამშენებლო სამუშაოს შესრულების სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარება;

- მაქსიმალურად უზრუნველყოფილი იქნება სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას შესყიდვების მონაწილეთა მიმართ სამართლიანი და არადისკრიმინაციული მიდგომა;
- დაიხვეწება სახელმწიფო შესყიდვების ჩატარების საჯაროობა;
- განმტკიცდება სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობა.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- უზრუნველყოფილია სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვა;
- მაქსიმალურად უზრუნველყოფილია სახელმწიფო საჭიროებისათვის აუცილებელი საქონლის წარმოების, მომსახურების გაწევისა და სამშენებლო სამუშაოს შესრულების სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარება;
- მაქსიმალურად უზრუნველყოფილია სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას შესყიდვების მონაწილეთა მიმართ სამართლიანი და არადისკრიმინაციული მიდგომა;
- იხვეწება სახელმწიფო შესყიდვების ჩატარების საჯაროობა;
- მყარდება სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობა.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. საბაზისო მაჩვენებელი - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სისტემის „eProcurement"-ის შემდგომმა გაუმჯობესებამ მნიშვნელოვნად გაზარდა კონკურენცია პრეტენდენტთა შორის, მინიმუმამდე დაიყვანა კორუფციის რისკები და ქვეყანას მნიშვნელოვანი საბიუჯეტო დანაზოგი მოუტანა; ბიზნესის ინტერესის ზრდაზე სახელმწიფო ტენდერების მიმართ მიგვანიშნებს წლების მიხედვით სისტემაში რეგისტრირებულ შემსყიდველ ორგანიზაციათა და მიმწოდებელთა რაოდენობის ზრდის დინამიკა, აღნიშნული შედეგის მიღწევა შესაძლებელი გახდა სააგენტოს მიერ გატარებული წარმატებული რეფორმებისა და სისტემის მოდერნიზაციის ხარჯზე. ეს ყველაფერი, სხვა ფაქტორებთან ერთად, უახლოეს მომავალში პოზიტიურად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე, რაც უზრუნველყოფს საბიუჯეტო სახსრების სტაბილურ ხარჯვას და სახელმწიფო შესიდვებში მეწარმეთა მუდმივ ჩართულობას; საჯარო ორგანიზაციების შესყიდვების სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და ცოდნის გაზიარების მიზნით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში ფუნქციონირებს სასწავლო ცენტრი; სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს მიმართ ბიზნეს-სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების ნდობის ამაღლების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა საჩივრების რაოდენობა; სახელმწიფო შესყიდვებში ახალი საშუალებებისა და მეთოდების დანერგვა. მოცემულ პერიოდში შემუშავდა ახალი კანონქვემდებარე ნორმატიული ბაზა, რომლის შედეგადაც დაინერგა ელექტრონული ტენდერის ჩატარების ახალი ვადები და პროცედურები, რომელმაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ტენდერის ჩატარების ეფექტურობა. ასევე მოწესრიგდა და ახლებურად განისაზღვრა დავების განხილვის საბჭო, ევროკავშირის მონეტარული ზღვრების ზემოთ არსებულ ტენდერებზე გაიზარდა საბჭოს შემადგენლობა. შემუშავდა და გამოიცა მნიშვნელოვანი რეკონემდაციები და მეთოდური მითითებები სახელმწიფო შემსყიდველი ორგანიზაციებისათვის, მათ შორის: ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით, სახელმწიფო შესყიდვებში სტანდარტების გამოყენებასთან დაკავშირებით, მცირე და საშუალო ბიზნესისათვის ტენდერში მონაწილეობის მიზნით და ა.შ.

შენიშვნა: სსიპ - შესყიდვების სააგენტოს მიერ დაზუსტდა საბაზისო მაჩვენებელი 2016 წლის მდგომარეობით.

მიზნობრივი მაჩვენებელი - სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას საჯაროობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და არადისკრიმინაციულობის პრინციპების დაცვის უზრუნველყოფა;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვა; სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას შესყიდვების მონაწილეთა მიმართ პროპორციული და არადისკრიმინაციული მიდგომა; სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობა; შემუშავდა და გამოიცა სახელმწიფო შესყიდვების განმახორციელებელ პირთა ეთიკის კოდექსი, რომელმაც კიდევ უფრო აამაღლა ის ჩარჩო პრინციპები, რომელსაც უნდა ეფუძნებოდეს თითოეული შემსყიდველი ორგანიზაცია შესყიდვის განხორციელებისას; დაინერგა ტენდერებისა და გამარტივებული შესყიდვების კონტროლისა და მონიტორინგის ელექტრონული სისტემები, რომელმაც კიდევ უფრო აამაღლა სააგენტოს ყოველდღიური საქმიანობის ხარისხი; ტრენინგ ცენტრში შემუშავდა ახალი პროგრამები, რომელიც ორიენტირებულია დანერგილი და განხორციელებული სიახლეების უკეთესი იმპლემენტაციისათვის.

ცდომილების მაჩვენებელი - ცდომილების ალბათობა მინიმალური.

5 პრიორიტეტი – ინსტიტუციონალური განვითარება და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერა

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2017 წლის დაზუსტებული გეგმა	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	2017 წლის ფაქტიური დაფინანსება	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები	მ.შ.საკუთარი სახსრები
01 01	საკანონმდებლო საქმიანობა	52,091.0	52,091.0	51,248.4	51,248.4	0.0
06 02	არჩევნების ჩატარების ღონისძიებები	38,519.4	38,519.4	37,997.0	37,997.0	0.0
04 00	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	18,920.1	18,920.1	18,274.6	18,274.6	0.0
05 01	სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აპარატი	14,417.2	14,417.2	14,057.1	14,057.1	0.0
06 04	პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის დაფინანსება	14,586.4	14,586.4	14,236.4	14,236.4	0.0
06 01	საარჩევნო გარემოს განვითარება	11,689.9	11,689.9	11,091.3	11,091.3	0.0
02 00	საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია	13,489.6	13,489.6	13,194.6	13,194.6	0.0
26 01	სამართალშემოქმედებისა და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა, მათ შორის, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის განხორციელება	43,335.4	43,335.4	43,242.7	43,242.7	0.0
26 03	ეროვნული საარქივო ფონდის დაცულობის, მომსახურების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის და დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა	12,061.7	7,315.9	11,558.8	7,194.4	4,364.4
26 10	სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა	59,249.1	0.0	60,009.5	3,935.9	56,073.6
53 00	სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური	5,800.0	5,800.0	4,882.2	4,882.2	0.0
41 01	საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ფუნქციონირების გაძლიერების ღონისძიებები (საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი	4,800.0	4,800.0	6,423.7	6,423.7	0.0

კოდი	დასახელება	2017 წლის დაზუსტებული გეგმა	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	2017 წლის ფაქტიური დაფინანსება	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები	მ.შ.საკუთარი სახსრები
26 08	იუსტიციის სახლის მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა	29,476.0	3,870.0	24,505.7	3,866.3	20,639.4
44 00	ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაცია - სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია	3,406.3	2,460.0	3,401.0	2,454.9	946.2
26 09	მიწის ბაზრის განვითარება (WB)	2,385.0	2,385.0	1,732.3	1,732.3	0.0
26 05	ელექტრონული მმართველობის განვითარება	3,275.0	1,960.0	3,602.8	2,509.8	1,093.0
51 00	პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი	1,900.0	1,900.0	1,838.1	1,838.1	0.0
50 00	სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო	1,250.0	1,250.0	1,411.8	1,411.8	0.0
06 03	საარჩევნო ინსტიტუციის განვითარების და სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა	1,195.9	1,195.9	935.1	935.1	0.0
48 00	სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური	1,180.0	1,180.0	1,164.2	1,164.2	0.0
18 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრი წყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში	860.0	860.0	820.5	820.5	0.0
11 00	სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ფოთსა და ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტებში	812.0	812.0	785.2	785.2	0.0

კოდი	დასახელება	2017 წლის დაზუსტებული გეგმა	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	2017 წლის ფაქტიური დაფინანსება	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები	მ.შ.საკუთარი სახსრები
13 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში	735.0	735.0	734.8	734.8	0.0
14 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღის, ყვარლის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტში	725.0	725.0	685.9	685.9	0.0
19 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ გორის მუნიციპალიტეტში	625.0	625.0	624.5	624.5	0.0
12 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ლანჩხუთის, ოზურგეთის, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში	610.0	610.0	607.9	607.9	0.0
17 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომის, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტში	595.0	595.0	525.4	525.4	0.0
15 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია დუშეთის, თიანეთის, მცხეთის, ყაზბეგის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტში	592.0	592.0	591.0	591.0	0.0

კოდი	დასახელება	2017 წლის დაზუსტებული გეგმა	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	2017 წლის ფაქტიური დაფინანსება	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები	მ.შ.საკუთარი სახსრები
26 06	ერთიანი სახელმწიფო საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება	5,000.5	650.5	4,888.3	649.5	4,238.8
16 00	სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ამბროლაურის, ლენტეხის, ონის, ცაგერის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტში	585.0	585.0	582.6	582.6	0.0
26 12	სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა	55,822.8	0.0	50,793.2	562.1	50,231.1
05 02	სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტი	938.5	100.0	862.7	99.7	763.0
26 11	ნორმატიული აქტების სისტემატიზაცია და მთარგმნელობითი ცენტრის განვითარება	4,021.0	0.0	3,552.2	0.0	3,552.2
	სულ	*404,949.8*	*248,055.3*	*390,861.4*	*248,959.9*	*141,901.6*

6.2 არჩევნების ჩატარების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 06 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

- სამართლიანად შემდგარი არჩევნები;
- საარჩევნო პროცესის მონაწილე ყველა სუბიექტის კანონიერი უფლების დაუბრკოლებელი რეალიზაცია;
- საარჩევნო ადმინისტრაციის კვალიფიციური მოხელეები;
- არჩეული საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების წევრები და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის პირები.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- საქართველოს კონსტიტუციისა და საარჩევნო კოდექსის შესაბამისად, ჩატარდა არჩევნები დემოკრატიულ, ღია და გამჭვირვალე გარემოში;
- საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიის კვალიფიციური მოხელეები;
- არჩეულ იქნა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩეული პირები და საქართველოს პარლამენტის წევრები.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1. მიზნობრივი მაჩვენებელი - საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ კანონმდებლობის შესაბამისად წარმოებული და განხილული დავების რაოდენობა.
   მიღწეული მაჩვენებელი - 2017 წლის 21 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნების პერიოდში, ცესკოს მონაწილეობით გაიმართა 7 სასამართლო პროცესი, რომელიც დაკმაყოფილდა ცესკოს სასარგებლოდ;

2. მიზნობრივი მაჩვენებელი - საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის გამო საარჩევნო კომისიის წევრთა უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევების რაოდენობა ზემდგომი კომისიის ან სასამართლოს მიერ.
   მიღწეული მაჩვენებელი - არ ფიქსირდება;

3. მიზნობრივი მაჩვენებელი - ამომრჩეველთა ინფორმირების კამპანიის დროს მოსახლეობის რაოდენობა, რომელიც მოიცვა მედია საშუალებების დაფარვის არეალმა.
   მიღწეული მაჩვენებელი - ჩატარებულმა საინფორმაციო კამპანიამ მოიცვა საქართველოს ყველა რეგიონი;

4. მიზნობრივი მაჩვენებელი - კენჭისყრის დღეს ამომრჩეველთა მხრიდან ხმის მიცემის პროცედურებთან დაკავშირებით ცესკოს კონტაქტ ცენტრში შემოსული ზარების რაოდენობა.
მიღწეული მაჩვენებელი - 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნების კენჭისყრის დღეს სატელეფონო/საინფორმაციო ცენტრის მომსახურებით 1 555 მოქალაქემ ისარგებლა;

5. მიზნობრივი მაჩვენებელი - სასწავლო პროგრამებში მონაწილე საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომელთა რაოდენობა.
მიღწეული მაჩვენებელი - სასწავლო პროგრამებში მონაწილეობდა - საოლქო საარჩევნო კომისიის 896 და საუბნო საარჩევნო კომისიის 39 412 წევრი;

6. მიზნობრივი მაჩვენებელი - არჩევნებში ჩართული სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის ჩატარებული სასწავლო პროგრამების რაოდენობა.
მიღწეული მაჩვენებელი - 2017 წელს ცესკოსა და სწავლების ცენტრის მიერ, საარჩევნო პროცესში ჩართული მხარეებისთვის განხორციელდა 7 სასწავლო პროგრამა, მონაწილეთა რაოდენობა - 324;

7. მიზნობრივი მაჩვენებელი - დამოუკიდებელი დამკვირვებელი ორგანიზაციების მხრიდან დადებითი შეფასებები.
მიღწეული მაჩვენებელი - საქართველოს პარლამენტის 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნები საერთაშორისო და ადგილობრივი სადამკვირვებლო მისიების მიერ ძირითადად დადებითად შეფასდა. საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისიის შეფასებით: „ცესკოს ხელმძღვანელობით, საარჩევნო ადმინისტრაცია დროულად და პროფესიონალურად მუშაობდა და ცესკომ საარჩევნო პროცესებში ჩართული არჩევნებში მონაწილე მხარეების მხრიდან მაღალი ნდობა დაიმსახურა.“

6.3. სახელმწიფო აუდიტის სამსახური (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აპარატი

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობის უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად წარმართვა;
- საჯარო ფინანსების მართვის განვითარების ხელშეწყობა.

მიღწეული საბოლოო შედეგი

- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობის უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად წარმართვა;
- სას-ის ჩართულობა საერთაშორისო ორგანიზაციების (INTOSAI, EUROSAI, ASOSAI) კომიტეტებსა და სამუშაო ჯგუფებში ასევე მონაწილეობის მიღება მინიმუმ 15 სამუშაო შეხვედრაში;
- საჯარო ფინანსების მართვის განვითარების ხელშეწყობა;
- უმაღლესი აუდიტორული ორგანოების თანამედროვე სანიმუშო პრაქტიკის გაცნობა და აუდიტორთა პროფესიული ცნობიერების ამაღლება აუდიტორული ცოდნითა და უნარებით;
- გარე აუდიტის შესაძლებლობების, საკანონმდებლო მანდატისა და გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი;
- სახელმწიფო სახსრების, სახელმწიფოს სხვა მატერიალური ფასეულობების ხარჯვისა და გამოყენების კანონიერების მიზნობრიობის დაცვა და ეფექტიანობის ხელშეწყობა;
- აუდიტორული საქმიანობით გაცემული რეკომენდაციების შედეგად მოტანილი სარგებლის ზრდა;
- ინფორმაციული სისტემების (IT) აუდიტის დანერგვა;
- კომპეტენციის ფარგლებში საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესებაში ხელშეწყობა.
- ელექტრონული დეკლარირების პროგრამის სრულყოფილად ამუშავება;
- ელექტრონული დეკლარირების პროგრამის ინფორმაციასთან დაკავშირებით 2017 წელს საჩივრების პროექტთან დაკავშირებული შეხვედრების გამართვა;
- IT აუდიტის მიმართულებით თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;
- სტრატეგიულ პარტნიორებთან - შვედეთის ეროვნულ აუდიტორულ ოფისთან (SNAO) და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან (GIZ) თანამშრომლობის მემორანდუმების ფარგლებში განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელება;
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურსა (სას) და ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციის აუდიტის სასწავლო ცენტრს (Center For Audit Excellence) შორის არსებული ხელშეკრულების ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელება;
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურსა (სას) და ინდოეთის უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციას შორის არსებული ხელშეკრულების ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელება.

6.4 პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის დაფინანსება (პროგრამული კოდი 06 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია
- ✓ სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

- ქალების, მოწყვლადი ჯგუფებისა და ზოგადად ამომრჩევლების საარჩევნო პროცესში ჩართულობის ზრდის ხელშეწყობა;
- საარჩევნო სფეროში პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით ჩატარებული საგრანტო კონკურსები არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- მოწყვლადი ჯგუფების ჩართულობის კუთხით ჩატარდა 13 პროექტი;
- ჩატარდა 14 საგრანტო პროექტი ინფორმირებული ამომრჩევლის საარჩევნო პროცესებში ჩართვის და 19 პროექტი პოლიტიკური პარტიების საარჩევნო შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის კუთხით.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1. მიზნობრივი მაჩვენებელი - დაფინანსებული საგრანტო პროექტების რაოდენობა.

   მიღწეული მაჩვენებელი - დაფინანსდა 46 საგრანტო პროექტი.

6.6 სამართალშემოქმედებისა და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა, მათ შორის, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის განხორციელება (პროგრამული კოდი 26 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აპარატი

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის სამართალთან დაახლოების სახელმძღვანელო;
- ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების სამოქმედო გეგმა;
- „ღია მმართველობა – საქართველოს“ სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის სამართალთან დაახლოების სახელმძღვანელო შემუშავებულია;
- დამტკიცდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების სამოქმედო გეგმა;
- „ღია მმართველობა საქართველოს“ სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში მომზადებულია.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - ევროკავშირის სამართალთან დაახლოების ძირითადი პრინციპები და მეთოდები არ არის შესწავლილი; უწყებებს არ აქვთ ერთიანი მიდგომა;
   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - 2017 წელს შემუშავებული სახელმძღვანელო და ჩატარებული პრეზენტაციები;
   მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი
   2017 წელს შემუშავდა „შესავალი სახელმძღვანელო ევროპის კავშირის კანონმდებლობასთან საქართველოს კანონმდებლობის დაახლოებისათვის“ და „სახელმძღვანელო ევროპის კავშირის კანონმდებლობასთან საქართველოს კანონმდებლობის დაახლოებისათვის“. დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ ჩატარდა პრეზენტაციები სახელმწიფო სამსახურის სხვადასხვა უწყებების წარმომადგენლებისათვის, რის შედეგაც ტრენინგი გაიარა 50-მდე ადამიანმა.

2. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - ხორციელდება ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პრევენციის, მსხვერპლთა დაცვის, სისხლისსამართლებრივი დევნისა და თანამშრომლობის ეფექტიანად განხორციელების უზრუნველსაყოფად სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საქმიანობების კოორდინაცია და მონიტორინგი; მუშავდება თემატური საკანონმდებლო ცვლილებების პროექტები; ხორციელდება ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები;
   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - 2017 წელს: 1. შემუშავებულია ახალი ორწლიანი სამოქმედო გეგმა; 2. შემუშავებულია 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში; 3.შემუშავებულია შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილების პროექტები; 4. ჩატარებულია ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები.

   მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - 1. დამტკიცებულია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმა; 2. შემუშავებულია 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში; 3. შემუშავებულია შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილების პროექტები, რომლებიც განხილულ და მოწონებულ იქნა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს მიერ 2017 წლის 19 დეკემბერს გამართულ სხდომაზე; 4. ჩატარებულია ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები. განხორციელდა 95 საინფორმაციო შეხვედრა, რომელთაც, ჯამში, დაესწრო 1030-ზე მეტი ადამიანი; 5. განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის 2017 წლის ანგარიშით ევროკავშირის ქვეყნების გვერდით საქართველო კვლავ ინარჩუნებს ადგილს ე.წ. პირველ კალათაში, რაც ნიშნავს იმას, რომ საქართველო სრულად აკმაყოფილებს ტრეფიკინგთან ბრძოლის მინიმალურ სტანდარტებს და ახორციელებს ეფექტიან და კოორდინირებულ ღონისძიებებს.

3. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - ღია მმართველობის პარტნიორობისათვის წარდგენილია 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების შუალედური ანგარიში;

   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - 2017 წელი – „ღია მმართველობა – საქართველოს“ 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების შუალედური ანგარიში წარდგენილია ღია მმართველობის პარტნიორობისთვის; 2018 წელი – „ღია მმართველობა – საქართველოს“ 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების საბოლოო ანგარიში წარდგენილია ღია მმართველობის პარტნიორობისთვის; 2019 წელი – „ღია მმართველობა – საქართველოს“ 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების შუალედური ანგარიში წარდგენილია ღია მმართველობის პარტნიორობისთვის; 2020 წელი – „ღია მმართველობა – საქართველოს“ 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების საბოლოო ანგარიში წარდგენილია ღია მმართველობის პარტნიორობისთვის.

   მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - ღია მმართველობის პარტნიორობისთვის წარდგენილია „ღია მმართველობა – საქართველოს“ 2016-2017 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების შუალედური ანგარიში.

6.7 ეროვნული საარქივო ფონდის დაცულობის, მომსახურების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვისა და დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 26 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივი

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

- მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად დაცულ გარემოში განთავსებული არქივის დოკუმენტები;
- მომსახურების გაუმჯობესების მიზნით შემუშავებული, დახვეწილი და განახლებული პროგრამული სისტემები;
- შექმნილი ელექტრონული არქივი და ელექტრონული მასალების ხელმისაწვდომობის მაღალი დონე.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად დაცულ გარემოში განთავსებული არქივის დოკუმენტები;
- მომსახურების გაუმჯობესების მიზნით შემუშავებული დამატებით 1 სერვისი;
- ელექტრონულ მატარებლებზე გადატანილი ეროვნულ საარქივო ფონდს მიკუთვნებული დოკუმენტები.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - აშენდა/გარემონტდა და აღიჭურვა 4 არქივი;
   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - 2017 წელი – აშენდა და აღიჭურვა 1 არქივი;
   მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - გაიხსნა ქუთაისის ცენტრალური არქივი, თუმცა, სამშენებლო სამუშაოები სრულად ვერ განხორციელდა.

2. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - 2016 წლის I კვარტლის მდგომარეობით, ცენტრალიზაციას დაექვემდებარა 38 ადგილობრივი არქივი;
   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - 2017 წელი – 3 არქივის ცენტრალიზაცია (საჩხერე, ჭიათურა და ტყიბული);
   მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - ცენტრალიზაციას დაექვემდებარა საჩხერისა და ჭიათურის არქივები.

3. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - მოქმედი სერვისები: საარქივო დოკუმენტების ელექტრონული რეესტრი; აფხაზეთის ვირტუალური არქივი; ფოტო, საეკლესიო და ფონდების ელექტრონული კატალოგები;
   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - 2017-2020 წლები – დამატებით ორი ელექტრონული სერვისის გაშვება;
   მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - შეიქმნა სსიპ „საქართველოს ეროვნულ არქივში“ დაცული ფონდების მონაცემთა ელექტრონული ბაზა.

4. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - 2016 წლის I კვარტლის მდგომარეობით, ელექტრონული დოკუმენტების არქივის შექმნის ფარგლებში დასკანირდა 3 000 ათას დოკუმენტზე მეტი;
   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - 2017-2020 წლებში ყოველწლიურად ელექტრომატარებლებზე გადატანილ იქნება დამატებით 700 ათასი გვერდი;

   მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - ელექტრომატარებლებზე გადატანილ იქნა, დაახლოებით, 701.5 ათასი გვერდი.

   ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

   1. 2017 წელს სრულად ვერ განხორციელდა ქუთაისის ცენტრალური არქივის სამშენებლო- სარემონტო სამუშაოები. მცირეოდენი ნაწილის შესრულებამ გადაინაცვლა 2018 წლისათვის.
   2. ქუთაისის ინფრასტრუქტურული პროექტის შეფერხებამ გავლენა იქონია ცენტრალიზაციის დაგეგმილ პროცესზე და ვერ მოხერხდა ტყიბულის ადგილობრივი არქივის ცენტრალიზაცია.

6.8 სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური (პროგრამული კოდი 53 00)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

– შესრულდება შიდაეროვნული და საერთაშორისო ვალდებულება სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე საადვოკატო მომსახურების დანერგვასთან დაკავშირებით.

– უფასო იურიდიული დახმარება გახდება უფრო მეტად ხელმისაწვდომი და გაუმჯობესდება მომსახურების ხარისხი.

– გაიზრდება საზოგადოების ინფორმირებულობის დონე უფასო იურიდიული დახმარებით სარგებლობის უფლების შესახებ.

მიღწეული საბოლოო შედეგები

– იურიდიული დახმარების სამსახურმა 2017 წელს წარმოებაში მიიღო 13 878 საქმე, რაც წინა წელთან შედარებით გაზრდილია 14%–ით. აქედან 10 759 საქმე განეკუთვნებოდა სისხლის სამართლის დარგს (წინა წელთან შედარებით გაზრდილია 17%–ით), 2317 საქმე - სამოქალაქო სამართლის დარგს (წინა წელთან შედარებით გაზრდილია 13%–ით), 802 საქმე კი ადმინისტრაციულ სამართალს (წინა წელთან შედარებით შემცირებულია 15%–ით). 2017 წელს ბენეფიციარებს გაეწიათ კონსულტაცია 29 395 საკითხზე (რაც წინა წელთან შედარებით გაზრდილია 20%–ით), შედგენილი დოკუმენტების რაოდენობა 2 530–ია.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი

– უფასო იურიდიული დახმარების ბენეფიციართა რაოდენობა ყოველწლიურად გაიზრდება სულ ცოტა 2%-ით.

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

– უფასო იურიდიული დახმარების ბენეფიციართა რაოდენობა მიღწეული შედეგებით 12% აღემატება დაგეგმილ მიზნობრივ მაჩვენებელს.

– 2017 წელს უფასო იურიდიული დახმარების ბენეფიციართა რაოდენობა წინა წელთან შედარებით გაიზარდა 14%–ით.

– 2017 წელს ბენეფიციარებზე გაწეული კონსულტაციების რაოდენობა წინა წელთან შედარებით გაიზარდა 20%–ით.

6.9. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი (პროგრამული კოდი 41 00)

პროგრამის განმახორციელებელი

✓ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- საქართველოს მთელს ტერიტორიაზე, თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობაზე გეგმიური და არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელება;
- თავისუფლების შეზღუდვისა და პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულ პირთა უფლებების დარღვევის შესახებ განცხადებების განხილვა და მათზე რეაგირება;
- სახალხო დამცველის სპეციალიზებული ცენტრების (ბავშვის უფლებათა ცენტრი, ტოლერანტობის ცენტრი) და სახალხო დამცველის რეგიონული ოფისების მუშაობის მხარდაჭერა;
- სახალხო დამცველის ანგარიშების გამოცემა, თარგმნა და სხვადასხვა დონეზე წარდგენა;
- სახალხო დამცველის აპარატის მიერ მოქალაქეთა უფლებათა დარღვევის შესახებ შემოსული განცხადების/საჩივრების მიღება, რეგისტრაცია, სტრუქტურულ ერთეულებზე გადანაწილება შემდგომი განხილვა და შესაბამისი რეაგირება;
- საქართველოს მოქალაქეთა, უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა, აგრეთვე კერძო სამართლის იურიდიულ პირთა, პოლიტიკურ და რელიგიურ გაერთიანებათა განცხადებებისა და საჩივრების განხილვა;
- „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების შესრულება.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- აღმოჩენილია და დაფიქსირებულია ადამიანის უფლებების დარღვევები;
- საქართველოს ტერიტორიაზე თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის გამოყენების პრაქტიკის აღმოსაფხვრელად გატარებულია პრევენცია;
- ყველა ტიპის დახურულ დაწესებულებებში ჩატარებულია მონიტორინგი (გეგმიური -არაგეგმიური);
- მხარდაჭერილ იქნა საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალიზებული ცენტრებისა და რეგიონული ოფისების მუშაობა;
- ამაღლებულია ადამაინის უფლებათა სფეროში საზოგადოებრივი ცნობიერება საინფორმაციო ბიულეტენების, ანგარიშების, პუბლიკაციების გამოცემით, მედიასაშუალებებში სოციალური რეკლამის სახით მათი განთავსებით და საჯარო დებატების ორგანიზებით;
- შესრულებულია ,,დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ'' საქართველოს კანონის იმპლემენტაცია;
- ჩატარებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის გაეროს 2006 წლის კონვენციის შესრულებაზე მონიტორინგი;
- მიწოდებულია საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის საქართველოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

1.მიზნობრივი მაჩვენებელი - პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფარგლებში განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა წლის განმავლობაში, ასევე, ყველა ტიპის დახურული დაწესებულებების მოცვა გეგმიური და არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში;

მიღწეული მაჩვენებლები

- სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ 8 პენიტენციურ დაწესებულებაში განხორციელდა 34 ვიზიტი, 9 - 9 ვიზიტი განხორციელდა 5 ფსიქიატრიულ დაწესებულებაში, მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლში და რელიგიური კონფესიების 9 ბავშვთა სახლში. ჩატარდა ევროპის ქვეყნებიდან მიგრანტთა დაბრუნების ერთობლივი ოპერაციის 5 მონიტორინგი. გარად ამისა, პოლიციის 45 სამმართველოში განხორციელდა 45 ვიზიტი, ხოლო 19 დროებითი მოთავსების იზოლატორში განხორციელდა 21 ვიზიტი. 1 ვიზიტი განხორციელდა შსს მიგრაციის დეპარტამენტის დროებითი განთავსების ცენტრში. პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა ჩაატარა 6 შეხვედრა რეგიონებში მომუშავე ადვოკატებსა და ადამიანის უფლებათა დამცველ არასამთავრობო ორგანიზაციებთან საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრი მონაწილეობდა საქართველოს მასშტაბით 9 სამხედრო ბაზის მონიტორინგში, სადაც ამ მიზნით ჩატარდა 10 ვიზიტი. მომზადდა N5, N3, N8, N15, N17 პენიტენციურ დაწესებულებებში ვიზიტის შემდგომი ანგარიშები, ასევე, შპს აკად. ბ.ნანეიშვილის სახ. ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მონიტორინგის ანგარიში და 4 კვარტალური ბიულეტენი.

2.მიზნობრივი მაჩვენებელი - დარღვეული უფლებების ფაქტებზე საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაციების/წინადადებებისა და შუამდგომლობების რაოდენობა;

მიღწეული მაჩვენებლები

- სახალხო დამცველის მიერ მომზადდა და გაიგზავნა 138 რეკომენდაცია/წინადადება/ზოგადი წინადადება, 4 სასამართლოს მეგობრის მოსაზრება და 5 კონსტიტუციური სარჩელი.

3.მიზნობრივი მაჩვენებელი - საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომელთა პროფესიული გადამზადების მიზნით ჩატარებული ტრენინგების/სემინარების/სასწავლო გაცვლითი ვიზიტების აღწერა/ რაოდენობა;

მიღწეული მაჩვენებლები

- ადამიანის უფლებათა აკადემიის ფარგლებში ჩატარდა 12 ტრენინგი. ასევე, თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ორგანიზებულ სსხვადასხვა სამუშაო შეხვედრებში/კონფერენციებში, როგორც საქართველოს მოსახლეობასთან, ისე სახელმწიფო ორგანოების, საერთაშორისო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან.

4.მიზნობრივი მაჩვენებელი - საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხილული განცხადებების რაოდენობა, როგორც ცენტრალურ, ისე რეგიონულ დონეზე, ინდივიდუალური კონსულტაციების რაოდენობა. აღდგენილი უფლებების ფაქტების და მათი რაოდენობის მონიტორინგი;

მიღწეული მაჩვენებლები

- საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების შესახებ დარეგისტრირდა 9056 განცხადება, აქედან დასაშვებად იქნა ცნობილი 6489 განცხადება. კონსულტანტის მომსახურებით ისარგებლა 3493 ვიზიტორმა, ხოლო ცხელ ხაზზე შემოსული

ზარების რაოდენობამ შეადგინა 6045. განცხადებები სამსახურების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა: პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტი - 176 განცხადება. სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვის დეპარტამენტი - 491 განცხადება. სისხლის სამართლის მართლსაჯულების დეპარტამენტი - 2796 განცხადება. რეგიონული დეპარტამენტი - 2093 განცხადება. ბავშვის უფლებების ცენტრი - 544 განცხადება. გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი - 401 განცხადება. შშმ პირთა უფლებების დაცვის დეპარტამენტი - 192 განცხადება. ანალიტიკური დეპარტამენტი - 150 განცხადება. თანასწორობის დეპარტამენტი - 304 განცხადება. თავდაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი - 46 განცხადება.

6.10 იუსტიციის სახლის მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა (პროგრამული კოდი 26 08)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - იუსტიციის სახლი

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

- მომხმარებელთა კმაყოფილების მაღალი მაჩვენებელი;
- მომხმარებელთა გაზრდილი რაოდენობა.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- 2017 წელს ჩატარებული მომხმარებლის კმაყოფილების კვლევის შედეგების მიხედვით, მომხმარებელთა კმაყოფილების დონემ გადააჭარბა დაგეგმილ მიზნობრივ მაჩვენებელს;
- 2017 წელს გაიზარდა მომხმარებელთა საშუალო დღიური რაოდენობა.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - 2015 წელს მომხმარებელთა კმაყოფილების დონემ შეადგინა 86%;
   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - 2017-2020 წლებში მომხმარებელთა კმაყოფილების დონე – 75-85%;
   მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - ს მომხმარებელთა კმაყოფილების დონემ შეადგინა 88%.

2. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - 2015 წელს მომხმარებელთა საშუალო დღიური რაოდენობა შეადგენს 17 500 მომხმარებელს;
   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - 2017 წელი – მომხმარებელთა საშუალო დღიური რაოდენობა შეადგენს 22 000 მომხმარებელს; 2018 წელი – მომხმარებელთა საშუალო დღიური რაოდენობა შეადგენს 24 000 მომხმარებელს; 2019 წელი – მომხმარებელთა საშუალო დღიური რაოდენობა შეადგენს 25 000 მომხმარებელს; 2020 წელი – მომხმარებელთა საშუალო დღიური რაოდენობა შეადგენს 25 000 მომხმარებელს.

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - 2017 წელი – მომხმარებელთა საშუალო დღიური რაოდენობა შეადგენს 20 000 მომხმარებელს.

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე
2. განსხვავება გამოწვეულია იმით, რომ 2017 წელს ახალქალაქის ფილიალის გახსნა ვერ მოესწრო, ამასთან, კერძო სერვისების მიმართულებით მომხმარებელთა მოთხოვნა არ იყო პროგნოზირებული რაოდენობის შესაბამისი.

6.11 მიწის ბაზრის განვითარება (WB) (პროგრამული კოდი 26 09)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- დარეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- შერჩეულ საპილოტო არეალებში მოხდა მიწის ნაკვეთების აზომვა და რეგისტრაცია.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - უშუალოდ საველე სამუშაოების განხორციელება ჯერ არ დაწყებულა;
   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - 2017 წელი – 18 000 მიწის ნაკვეთის აზომვა-რეგისტრაცია;
   2018 წელი – 30 000 მიწის ნაკვეთის აზომვა-რეგისტრაცია.;
   მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - შერჩეულ საპილოტო არეალებში შერჩეული მიწის ნაკვეთებიდან აზომილია 9 751 მიწის ნაკვეთი და რეგისტრირებულია 1 382 მიწის ნაკვეთი.

ცდომილების მაჩვენებელი (% აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე:

ბაზარზე არსებული კერძო კომპანიები ვერ აკმაყოფილებენ საპილოტო პროექტის ტექნიკური დავალებით დადგენილ მინიმალურ სტანდარტებს, ტექნიკური და ადამიანური რესურსების სიმცირიდან გამომდინარე, მათ არ შესწევთ უნარი, განახორციელონ მიწის რეფორმის

ფარგლებში მსხვილმასშტაბიანი სამუშაოები; კომპანიებს არ აქვთ შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება უფლების დამდგენი დოკუმენტაციის ანალიზის და სარეგისტრაციო პაკეტების მომზადების კუთხით, რის შედეგადაც ან ჩაიშალა ტენდერი, ან გამარჯვებულმა კომპანიამ ვერ შეასრულა ნაკისრი ვალდებულებები. შესაბამისად, 2017 წელს დაგეგმილი სამუშაოების სრულად განხორციელება ვერ მოხერხდა.

6.12 ელექტრონული მმართველობის განვითარება (პროგრამული კოდი 26 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტო

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

- სხვადასხვა სახის ელექტრონული სერვისის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მონაცემთა გაცვლის ინფრაქტრუქტურის საშუალებით;
- ღია მონაცემების პორტალზე გამოქვეყნებული ცხრილების რაოდენობის ზრდა;
- კრიტიკული ინფორმაციული სისტემების სუბიექტების კომპიუტერულ ინციდენტებზე რეაგირება.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაში დაინერგა ახალი სერვისები;
- გაიზარდა ღია მონაცემების პორტალზე გამოქვეყნებული ცხრილების რაოდენობა;
- რეაგირება მოხდა კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტების კომპიუტერულ ინციდენტებზე.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურაში ხელმისაწვდომია 71 სერვისი;
   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - 2017-2020 წლებში იგეგმება ყოველწლიურად 15-მდე ელექტრონული სერვისის დამატება;
   მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - 2017 წელს დაემატა 7 ახალი ელექტრონული სერვისი.

2. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - ღია მონაცემების პორტალზე გამოქვეყნებულია 170 მონაცემთა ცხრილი;
   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - 2017-2020 წლებში ღია მონაცემების პორტალზე ყოველწლიურად დამატებით 40 მონაცემთა ცხრილი გამოქვეყნდება;
   მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - ღია მონაცემების პორტალზე დამატებით ატვირთულია 650 მონაცემთა ცხრილი XML და CSV ფორმატში.

3. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - 2015 წელს მოხდა 800 ინფორმაციული ინციდენტზე რეაგირება;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - 2017 წელი – 850 ინფორმაციულ ინციდენტზე რეაგირება; 2018 წელი – 900 ინფორმაციულ ინციდენტზე რეაგირება, 2019 წელი – 1,050 ინფორმაციულ ინციდენტზე რეაგირება; 2020 წელი – 1,200 ინფორმაციულ ინციდენტზე რეაგირება.
მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - რეაგირება მოხდა 930 კომპიუტერულ ინციდენტზე.

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე
1. 2017 წლის განმავლობაში სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ მიერ დამატებულ იქნა 27 ახალი ელექტრონული სერვისი. აღნიშნული სერვისებიდან გაუქმდა სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ 8 სერვისი, რადგან შეიცვალა მათი წარმოების პროცესი, რაც სერვისების ახალ პროცესზე მორგებას მოითხოვს. სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ გადაწყვეტილებით, მათი 13 სერვისი გაუქმდა და ზოგიერთი მათგანი გაერთიანდა 1 სერვისში.

6.13 პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი (პროგრამული კოდი 51 00)

პროგრამის განმახორციელებელი:
✓ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი

დაგეგმილი საბოლოო შედეგი:

- საჯარო და კერძო სექტორებში უზრუნველყოფილი პერსონალური მონაცემების დაცვის მაღალი სტანდარტი;
- ამაღლებული მოქალაქეთა ცნობიერება მათი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შესახებ;

მიღწეული საბოლოო შედეგი:

- უზრუნველყოფილია პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერებაზე პერსონალურ მონაცემთა დაცვის კონტროლი;
- ამაღლებული მოქალაქეთა ცნობიერება მათი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შესახებ ინსპექტორის აპარატის მიერ მომზადებული რეკომენდაციების, საინფორმაციო მასალის, ჩატარებული ტრენინგების, შეხვედრების, საჯარო ლექციების, ვებგვერდის განახლებისა და სხვა ღონისძიებების განხორციელებით.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1.მიზნობრივი მაჩვენებელი - საჯარო და კერძო სუბიექტებისთვის გაწეული კონსულტაციების გაზრდილი რაოდენობა.; გეგმიური და არაგეგმიური ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი სისტემური ხასიათის დარღვევების შემცირებული მაჩვენებელი;

მიღწეული მაჩვენებელი - 2016 წლის მაჩვენებლთან შედარებით გეგმიური და არაგეგმიური ინსპექტირებების რაოდენობა გაზრდილია 27-ით, საჯარო და კერძო სუბიექტებისთვის გაწეული კონსულტაციების მაჩვენებელი გაზრდილია 968-ით. განხილული განცხადებების რაოდენობა გაზრდილია 24-ით. ინსპექტორის აპარატის მიერ გაწეული კონსულტაციებისა და გეგმიური და არაგეგმიური ინსპექტირებების, განხილული განცხადებების ზრდის ფონზე აღინიშნება სისტემური ხასიათის დარღვევების შემცირების დინამიკა.

6.16 სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური (პროგრამული კოდი 48 00)

დაგეგმილი საბოლოო შედეგი:

- ნორმატიული ბაზის განვითარება/სტანდარტიზაცია და ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია.
- სადაზღვევო ბაზრის სტაბილურობა;
- კონკურენტუნარიანი გარემოს არსებობა.

მიღწეული საბოლოო შედეგი:

- არსებული ნორმატიული ბაზა სტანდარტიებულია და ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობაშია;
- უზრუნველყოფილია სადაზღვევო ბაზრის სტაბილურობა და კონკურენტუნარიანი გარემოს არსებობა.

6.18 ერთიანი სახელმწიფო საინფორმაციო ტექნოლოგიების მხარდაჭერის განვითარება (პროგრამული კოდი 26 06)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - სმართ ლოჯიქი

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

- საინფორმაციო ტექნოლოგიების მომსახურებაში ახალი სახელმწიფო სტრუქტურებისა და მუნიციპალიტეტების ჩართვა;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სერვისით მოსარგებლე ორგანიზაციების ინფორმაციული სისტემების უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- საინფორმაციო ტექნოლოგიების მომსახურებაში ჩაერთო 1 სახელმწიფო სტრუქტურა და 2 მუნიციპალიტეტი;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების მხარდაჭერის სერვისით მოსარგებლე 37 ორგანიზაცია უზრუნველყოფილი იქნა ინფორმაციული სისტემების უსაფრთხოებით.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - სსიპ „სმართ ლოჯიქის“ მომსახურებაში ჩართულ უწყებათა რაოდენობა მიმდინარე ეტაპზე შეადგენს 36 ორგანიზაციას;
   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - 2017 წელი – მომსახურებაში ჩართული 40 ორგანიზაცია; 2018 წელი – მომსახურებაში ჩართული 45 ორგანიზაცია; 2019 წელი – მომსახურებაში ჩართული 50 ორგანიზაცია; 2020 წელი – მომსახურებაში ჩართული 55 ორგანიზაცია;
   მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი
   2017 წლის მდგომარეობით, სსიპ „სმართ ლოჯიქის“ სრულ IT სერვისების მიწოდების მომსახურებაში ჩართულია 37 ორგანიზაცია.

2. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - მხარდაჭერის სერვისით მოსარგებლე ორგანიზაციებში არასანქცირებული წვდომის და ვებგვერდების გატეხვის ნულოვანი მაჩვენებელი;
   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - 2017-2020 წლებში არასანქცირებული წვდომის და ვებგვერდის გატეხვის ნულოვანი მაჩვენებელი;
   მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - 2017 წელს არასანქცირებული წვდომის და ვებგვერდის გატეხვის მაჩვენებელი ნულოვანია.

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე
1. მიზნობრივ და ფაქტობრივ მაჩვენებლებს შორის სხვაობამ შეადგინა 3 ორგანიზაცია. ჩამორჩენა მიზნობრივ მაჩვენებელთან მიმართებით, პირველ რიგში, განპირობებულია თანამშრომელთა რაოდენობის სიმცირით, კერძოდ, ხარჯების ოპტიმიზაციის პოლიტიკიდან გამომდინარე, 2017 წელს წინა წელთან შედარებით 10 ერთეულით შემცირდა ორგანიზაციის საშტატო განრიგით გათვალისწინებული რიცხოვნობა, შესაბამისად, არსებული რესურსით ვერ მოხერხდა ორგანიზაციის ცნობადობის გაზრდაზე სრულყოფილი მუშაობა, ასევე, ვერ მოხდა ტექნიკური მხარდაჭერის ახალი სპეციალისტების დამატება, რაც აუცილებელია აღნიშნული სერვისების მიწოდებისათვის.

6.19 საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა (პროგრამული კოდი 26 12)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

- ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურისა და საინფორმაციო ქსელურ-ანალიტიკური სისტემის შექმნა;
- სააგენტოში არსებული არაზუსტი მონაცემების შესწორება, ციფრულ მატარებლებზე გადატანა, სარეგისტრაციო დოკუმენტაციაზე ხელმისაწვდომობის ზრდა და გაცნობა ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის;
- საქართველოს ტერიტორიის აქტუალური რეგიონების ციფრული აეროფოტოგადაღება და ციფრული ორთოფოტოგეგმების დამზადება, ციფრული კარტოგრაფიული მასალისა და ტოპოგრაფიული რუკების შექმნა, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების საკადასტრო აზომვები და დარეგისტრირებული ფართობების მონიტორინგი.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- 2017 წელს განხორციელდა ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურისა და საინფორმაციო ქსელურ-ანალიტიკური სისტემის შექმნისთვის საჭირო აქტივობები; შემუშავდა „ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი და საქართველოს მთავრობის დადგენილების – „სივრცითი მონაცემების ნაკრებებისა და სივრცით მონაცემებთან დაკავშირებული ელექტრონული სერვისების აღწერის, მოძიების, მიღებისა და გამოყენების მიზნით მეტამონაცემების შექმნის, განახლებისა და შენახვის წესის დამტკიცების შესახებ“ – პროექტის ვერსია;
- 2017 წლის განმავლობაში დამუშავდა და აღიწერა უძრავ ნივთებზე რეგისტრირებული უფლებების ამსახველი რეესტრში დაცული სარეგისტრაციო დოკუმენტაცია, დამუშავდა მიწის მიღება-ჩაბარების აქტები (უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრის ელექტრონულ პროგრამაში სკანირებულ/ატვირთულ იქნა დოკუმენტები), აღიწერა და დასკანირდა საარქივო დოკუმენტაციები. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა იურიდიული პირების სარეგისტრაციო დოკუმენტაციის სისტემატიზაცია, სარეგისტრაციო დოკუმენტაციის შესწავლა, მათი ელექტრონული რეესტრის მონაცემებთან შედარება, კვლევის შედეგად აღმოჩენილი უზუსტო/ხარვეზიანი ელექტრონული ჩანაწერის დოკუმენტაციასთან შესაბამისობაში მოყვანა, არქივში დაცული სარეგისტრაციო დოკუმენტაციის ადგილმდებარეობის განსაზღვრის და მათი გაციფრების სისტემური პროცესი;
- განხორციელდა აეროფოტოგადაღება საქართველოს ტერიტორიის აქტუალურ რეგიონებში. დამუშავდა და შეიქმნა ორთოფოტოგეგმები. 2017 წელს ფოტოგრამმეტრიული მეთოდის გამოყენებით მუშაობა დაიწყო ურბანულ ტერიტორიებზე.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - სივრცითი მონაცემების ციფრულ ფორმატში წარმოების და გაზიარების სტანდარტიზებული სახელმწიფო სისტემის არარსებობა;

   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - 2017 წელი – ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის შემუშავებული ვერსია v1.0; 2018 წელი – ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის შემუშავებული ვერსია v2.0;

   მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - 2017 წელს შემუშავდა ეროვნული გეოპორტალის 0.2 ვერსია, მეტამონაცემების რედაქტორის 0.3 ვერსია, მეტამონაცემების კატალოგის 0.3 ვერსია.

2. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - დამუშავებული 48 548 საქაღალდე და ელექტრონულ მატარებელზე გადატანილი 29 395 საქაღალდე, არქივირებულია 1 300 საქმე, წლის ბოლოსათვის არქივირებული იქნება 10 650 საქმე;
დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - 2017 წელი – დამატებით 9 528 საქაღალდის დამუშავება, 11 472 საქაღალდის გადატანა ელექტრონულ მატარებელზე, 34 080 საქმის დაარქივება; 2018 წელი – დამატებით 11 472 საქაღალდის გადატანა ელექტრონულ მატარებელზე, 34 080 საქმის დაარქივება;
2019 წელი – დამატებით 5 737 საქაღალდის გადატანა ელექტრონულ მატარებელზე, 21 300 საქმის დაარქივება; 2020 წელი – დამატებით 6 300 საქმის დაარქივება;
მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - 2017 წელს დამუშავდა 18 871 საქაღალდე, 12 012 საქაღალდე გადატანილ იქნა ელექტრონულ მატარებელზე, 10 056 საქმე დაარქივდა.

3. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - 9000 კვ. კმ დაფარულია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად 2014 წლის აეროგადაღებით, 24 000 კვ. კმ დაფარულია 1:50000 მასშტაბის ციფრული კარტოგრაფიული მასალით;
დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - 2017 წელი – 2016 წელს გადაღებული 40 000 კვ. კმ-ის დამუშავება, 2000 კვ. კმ-ის დაფარვა ციფრული კარტოგრაფიული მასალით; 2018 წელი – 10 000 კვ. კმ-ის აეროგადაღება, 3000 კვ. კმ-ის დაფარვა ციფრული კარტოგრაფიული მასალით; 2019 წელი – 2018 წელს გადაღებული 10 000 კვ. კმ-ის დამუშავება და 10 000 კვ. კმ-ის აეროგადაღება, 3000 კვ. კმ-ის დაფარვა ციფრული კარტოგრაფიული მასალით; 2020 წელი – 2019 წელს გადაღებული 10 000 კვ. კმ-ის დამუშავება და 10 000 კვ. კმ-ის აეროგადაღება, 3000 კვ. კმ-ის დაფარვა ციფრული კარტოგრაფიული მასალით;
მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - 2017 წელს განხორციელდა 40 000 კვ. კმ-ის გადაღება, 20 000 კვ. კმ დამუშავდა და 800 კვ. კმ დაიფარა ციფრული კარტოგრაფიული მასალით.

ცდომილების მაჩვენებელი (% აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე:

1. ბაზარზე არსებული შესაბამისი პროფილის პროფესიონალი კადრების სიმცირის გამო ვერ მოხერხდა დაგეგმილის მიზნობრივი მაჩვენებლის მიღწევა;
2. 2017 წელს მომატებული აქტივობის გამო საჭირო გახდა ადამიანური რესურსის მიმართვა მიწის რეგისტრაციის სახელმწიფო პროექტზე, რის გამოც აღნიშნული საქმიანობა დროებით შეჩერდა. შემდგომ პროექტი განახლდა შემცირებული ადამიანური რესურსით. აქვე გასათვალისწინებელია, რომ პროექტის განახლების შემდეგ 3 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა პროექტში ჩართული ადამიანური რესურსის ტრენინგი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვერ მოხერხდა დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებლის მიღწევა;
3. აეროგადაღებისათვის შეუსაბამო მეტეოროლოგიური პირობების გამო, ასევე, გამომდინარე იქიდან, რომ ურბანული ტერიტორიები (განსაკუთრებით, თბილისი) რთულ არეალს წარმოადგენს 3D ხაზვისთვის, ვერ მოხერხდა დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებლის მიღწევა.

6.20 სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა (პროგრამული კოდი 26 10)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- სააგენტოს ან სხვა ორგანიზაციების არსებული და ახალი სერვისების განვითარება და ხელმისაწვდომობის გაზრდა როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე;
- ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად საქართველოში მიგრაციის მართვის მექანიზმების გაუმჯობესება.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- განვითარებული სააგენტოს არსებული და ახალი სერვისები და გაზრდილი ხელმისაწვდომობა როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე;
- საქართველოში მიგრაციის მართვის გაუმჯობესებული მექანიზმები ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - 2016 წლის I კვარტლის მდგომარეობით, საქართველოს მასშტაბით ფუნქციონირებს 33 საზოგადოებრივი ცენტრი;
   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - 2017 წელი – საქართველოს მასშტაბით სრული დატვირთვით ფუნქციონირებს 48 საზოგადობრივი ცენტრი;
   2018 წელი – საქართველოს მასშტაბით სრული დატვირთვით ფუნქციონირებს 57 საზოგადობრივი ცენტრი; 2019 წელი – საქართველოს მასშტაბით სრული დატვირთვით ფუნქციონირებს 60 საზოგადობრივი ცენტრი;
   მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - 2017 წელს სრული დატვირთვით ფუნქციონირებს 7 ახალი საზოგადოებრივი ცენტრი, სულ – 51 საზოგადობრივი ცენტრი.

2. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - სააგენტოს მიერ გაიცემა 100-ზე მეტი სერვისი;
   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - 2017-2020 წლებში ყოველწლიურად დანერგილია, მინიმუმ, 1 – ახალი, ხოლო განვითარებულია, მინიმუმ, 2 არსებული სერვისი;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - დაინერგა 2 ახალი დისტანციური სერვისი: 1. რეგისტრაციის ადგილის შეცვლა. 2. მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვა. გადაიწერა 3 არსებული სერვისი: 1. სახელის ან/და გვარის შეცვლა. 2. საგამონაკლისო წესით საქართველოს მოქალაქეობის მინიჭება. 3. პირადობის ნეიტრალური მოწმობის მიღება.

3. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - საქართველოში მიგრაციის მართვის მექანიზმები საჭიროებს შემდგომ დახვეწას ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად;
   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - 2017 წელი – განხორციელებულია მიგრაციის სტრატეგიის 2016-2017 წწ. სამოქმედო გეგმა; 2018 წელი – განხორციელებულია მიგრაციის სტრატეგიის 2018-2020 წწ. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობები; 2019 წელი – განხორციელებულია მიგრაციის სტრატეგიის 2018-2020 წწ. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობები; 2020 წელი – შესრულებულია მიგრაციის სტრატეგია და მისი 2018-2020 წწ. სამოქმედო გეგმა;
   მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი
   განხორციელდა მიგრაციის სტრატეგიის 2016-2017 წ.წ. სამოქმედო გეგმა.

6.21 ნორმატიული აქტების სისტემატიზაცია და მთარგმნელობითი ცენტრის განვითარება (პროგრამული კოდი 26 11)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს საკანონმდებლო მაცნე

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

- სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე მომხმარებელთა რაოდენობის ზრდა.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე გაიზარდა მომხმარებელთა რაოდენობა.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - მაცნეს ვებგვერდზე დარეგისტრირებული 53 594 მომხმარებელი;
   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - 2017-2020 წლებში ყოველწლიურად მომხმარებელთა 1 000 ერთეულით ზრდა;
   მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - მაცნეს ვებგვერდზე დარეგისტრირებულია 74 915 მომხმარებელი.

7. პრიორიტეტი – იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა სახელმწიფო მხარდაჭერა და რეინტეგრაციის ხელშეწყობა

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2017 წლის დაზუსტებული გეგმა	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	2017 წლის ფაქტიური დაფინანსება	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები	მ.შ.საკუთარი სახსრები
34 02	განსახლების ადგილებში დევნილთა შენახვა და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება	87,327.5	87,327.5	87,269.8	87,269.8	0.0
34 01	იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა	12,111.2	12,111.2	12,637.8	12,637.8	0.0
21 00	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	1,816.6	1,816.6	1,834.1	1,834.1	0.0
34 03	დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფა	351.8	351.3	1,958.8	1,958.3	0.6
25 06	იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერა	59.4	59.4	82.4	82.4	0.0
	სულ	*101,666.6*	*101,666.0*	*103,783.0*	*103,782.5*	*0.6*

7.1 განსახლების ადგილებში დევნილთა შენახვა და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება (პროგრამული კოდი 34 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

- დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფა;
- დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება;

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- ხორციელდებოდა სახელმწიფოს დაქვემდებარებაში ყოფილი კომპაქტურად განსახლების ობიექტების კერძო საკუთრებაში გადაცემა;
- იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა ოჯახების გრძელვადიანი განსახლების უზრუნველსაყოფად:
- ✓ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში შეძენილი იქნა საცხოვრებელი სახლები, ასევე მენაშენეებისაგან და ჩინური კომპანია „ჰუალინგ ჯგუფისგან“ ახლადაშენებულ კორპუსებში - საცხოვრებელი ბინები;
- ✓ განხორციელდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ზოგიერთი გამოუყენებელი, დაუმთავრებელი შენობების რეაბილიტაცია და გადაყვანილ იქნა დევნილთა ოჯახები;
- ✓ განხორციელდა ყოფილი კომპაქტურად განსახლების ობიექტების გამოსყიდვა;
- ✓ მიმდინარეობდა საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში;
- იძულებით გადაადგილებულ პირებს გაეწიათ ფულადი დახმარება;
- დევნილთა გრძელვადიანი განსახლების მიზნით, განხორციელდა რეაბილიტირებული და ახალაშენებული შენობების ელექტროენერგიის, გარე საკანალიზაციო, ბუნებრივი აირის და წყლის სისტემების მიერთება და მოწყობა;

- მიმდინარეობდა სავალალო მდგომარეობაში მყოფი დევნილთა განსახლების ობიექტების შესწავლა/რეაბილიტაცია და იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით - დევნილთა საკუთრებაში არსებულ ობიექტებში ჩასატარებელი სამუშაოების ღირებულების თანადაფინანსება;
- ფულადი დახმარება გაეწია იმ დევნილ ოჯახებს, რომლებსაც ჰქონდათ იპოთეკური ვალდებულებები (ოჯახზე 20.0 ათასი ლარის ფარგლებში, ირიცხებოდა შესაბამის ბანკში).

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1. საბაზისო მაჩვენებელი - 2016 წელს განხორციელდა სავალალო მდგომარეობაში მყოფ დევნილთა ყოფილი კომპაქტურად ჩასახლების 7 ობიექტის შესწავლა და შემდგომში მათი რეაბილიტაცია;
   მიზნობრივი მაჩვენებელი - მოხდება საშუალოდ 7 დევნილთა ყოფილი კომპაქტურად ჩასახლების ობიექტის შესწავლა და მათი რეაბილიტაცია.

   მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - მოხდა 5 დევნილთა ყოფილი კომპაქტურად ჩასახლების ობიექტის შესწავლა და მათი რეაბილიტაცია.

   ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - 71.4%, ღონისძიება სრულად ვერ განხორციელდა, ვინაიდან თანხები გადატანილი იქნა სტიქიით შედეგად დაზარალებული 16 ოჯახის საკონპენსაციო თანხით უზრუნველსაყოფად (თითოეულ ოჯახზე 50.0 ათასი ლარის ოდენობით);

2. საბაზისო მაჩვენებელი - 2016 წელს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ცარიელი შენობების რეაბილიტაციისა და საცხოვრებელ ერთეულებად გარდაქმნის შედეგად ისარგებლა დევნილთა 320 ოჯახმა;
   მიზნობრივი მაჩვენებელი - სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ცარიელი შენობების რეაბილიტაციითა და საცხოვრებელ ერთეულებად გარდაქმნის შედეგად ისარგებლებს დევნილთა 189 ოჯახი;

   მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - ღონისძება არ განხორციელდა

   ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ღონისძება არ განხორციელდა, ვინაიდან თანხები მიიმართა ქ. თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში დევნილთათვის საცხოვრებელი სახლების შესაძენად;

3. საბაზისო მაჩვენებელი - 2016 წელს თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მდებარე ახალ საცხოვრებელი კორპუსებში საცხოვრებელი ბინა გადაეცა დევნილთა 304 ოჯახს;

მიზნობრივი მაჩვენებელი - თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მდებარე ახალ საცხოვრებელი კორპუსებში საცხოვრებელი ბინა გადაეცემა დევნილთა 908 ოჯახს;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მდებარე ახალ საცხოვრებელი კორპუსებში საცხოვრებელი ბინა გადაეცა დევნილთა 813 ოჯახს;

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - 89.5%. თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მდებარე ახალ საცხოვრებელი კორპუსებში, რომლებიც დასრულდა საანგარიშო პერიოდის IV კვარტალში, საცხოვრებელი ბინა დევნილ ოჯახებს გადაეცემა 2018 წელს;

4. საბაზისო მაჩვენებელი - 2016 წელს 774 დევნილ ოჯახს გადაეცა ქართველი მენაშენეებისაგან და ჰუალინგ ჯგუფისაგან შესყიდული ბინა;
მიზნობრივი მაჩვენებელი - 400 დევნილ ოჯახს გადაეცემა ქართველი მენაშენეებისაგან და ჰუალინგ ჯგუფისაგან შესყიდული ბინა;

   მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - 275 დევნილ ოჯახს გადაეცა ქართველი მენაშენეებისაგან და ჰუალინგ ჯგუფისაგან შესყიდული ბინა;

   ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - 68.8%, საანგარიშო წელს სამინისტროსა და ქართველ მენაშენეებს შორის გაფორმდა ხელშეკრულება სულ 318 საცხოვრებელი ბინის შეძენის თაობაზე (მათ შორის შედის მიზნობრივ და მიღწეულ მაჩვენებლებს შორის სხვაობა - 125 ბინა), ხოლო მოწოდების ვადად განისაზღვრა 2018 წელი. ხელშეკრულების პირობების შესაბამისად 2017 წელს მენაშენეებს სამინისტროს მიერ გადაერიცხა საცხოვრებელი ბინების ღირებულების 80%-მდე. საცხოვრებელი ბინები დევნილ ოჯახებს საკუთრებაში გადაეცემათ 2018 წელს, რაც ჯამში მიზნობრივ მაჩვენებელზე მეტს შეადგენს.

5. საბაზისო მაჩვენებელი - 2016 წელს 500 ოჯახს საკუთრებაში გადაეცა საცხოვრებელი ბინა სულადობის მიხედვით (17 000 ლარიდან 34 000 ლარამდე);
მიზნობრივი მაჩვენებელი - 500 ოჯახს საკუთრებაში გადაეცემა საცხოვრებელი ბინა სულადობის მიხედვით (17 000 ლარიდან 34 000 ლარამდე);

   მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - 612 ოჯახს საკუთრებაში გადაეცა საცხოვრებელი ბინა სულადობის მიხედვით (17 000 ლარიდან 34 000 ლარამდე);

6. საბაზისო მაჩვენებელი - განხორციელდა კოლექტიური ცენტრების გამოსყიდვა კერძო მესაკუთრეებისაგან და 100 ოჯახის დაკმაყოფილდა გრძელვადიანი საცხოვრებლით;

მიზნობრივი მაჩვენებელი - განხორციელდება კოლექტიური ცენტრების კერძო მესაკუთრეებისაგან გამოსყიდვა და 50 ოჯახი დაკმაყოფილდება გრძელვადიანი საცხოვრებლით;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - განხორციელდა კოლექტიური ცენტრების კერძო მესაკუთრეებისაგან გამოსყიდვა და 9 ოჯახი დაკმაყოფილდა გრძელვადიანი საცხოვრებლით;

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - 18%, კოლექტიური ცენტრების კერძო მესაკუთრეებთან შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული საანგარიშო პერიოდში, შესაბამისად ვერ იქნა მათ საკუთრებაში არსებული ქონების გამოსყიდვა;

7. საბაზისო მაჩვენებელი - 50 დევნილ ოჯახს 20 ათასი ლარის ფარგლებში იპოთეკური სესხის დაფარვის მიზნით გაეწია ფულადი დახმარება;
მიზნობრივი მაჩვენებელი - 50 დევნილ ოჯახს 20 ათასი ლარის ფარგლებში იპოთეკური სესხის დაფარვის მიზნით გაეწევა ფულადი დახმარება;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - 164 დევნილ ოჯახს 20 ათასი ლარის ფარგლებში იპოთეკური სესხის დაფარვის მიზნით გაეწია ფულადი დახმარება;

8. საბაზისო მაჩვენებელი - ყოფილი ორგანიზებულად განსახლების 684 ობიექტზე განხორიელდა ადმინისტრაციული ხარჯის დაფინანსება;
მიზნობრივი მაჩვენებელი - ყოფილი ორგანიზებულად განსახლების 684 ობიექტზე განხორციელდება ადმინისტრაციული ხარჯის დაფინანსება;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - ყოფილი ორგანიზებულად განსახლების 33 ობიექტზე განხორციელდა ადმინისტრაციული ხარჯის დაფინანსება;

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - 4.8%. ყოფილი ორგანიზებულად განსახლების ობიექტზე ადმინისტრაციული ხარჯის დაფინანსებას სამინისტრო ახორციელებდა სახელშეკრულებო ვალდებულებების შესაბამისად. დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებული განსხვავება გამოწვეულია ობიექტების ადმინისტრაციის დაბალი მომართვიანობის გამო. ღონისძიების განსახორციელებლად დამტკიცებული ასიგნებები მიიმართა სამინისტროს სხვადასხვა პროგრამებისა და ღონისძიებების განსახორციელებლად;

9. საბაზისო მაჩვენებელი - სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების მიზნით 15000 დევნილ ოჯახს გაეწია საცხოვრებელი ფართობების დაქირავებისთვის ყოველთვიური სოციალური და ფულადი დახმარება;
მიზნობრივი მაჩვენებელი - სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების მიზნით 15000 დევნილ ოჯახს გაეწევა საცხოვრებელი ფართობების დაქირავებისთვის ყოველთვიური სოციალური და ფულადი დახმარება;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების მიზნით 8 451 დევნილ ოჯახს გაეწია საცხოვრებელი ფართობების დაქირავებისთვის ყოველთვიური სოციალური და ფულადი დახმარება;

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - 56.3%, სხვაობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ რიგ შემთხვევებში დევნილ ოჯახებს წლის განმავლობაში რამოდენიმეჯერ გაეწიათ ფინანსური დახმარება, ხოლო მათი რიცხვი არ არის ასახული დევნილთა მთლიან რაოდენობაში;

10. საბაზისო მაჩვენებელი - 2016 წელს განხორციელდა დევნილთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით მათ საკუთრებაში არსებულ ობიექტებში (სულ 240 ობიექტი) ჩასატარებელი სამუშაოების ღირებულების თანადაფინანსება;
მიზნობრივი მაჩვენებელი - დევნილთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით განხორციელდება მათ საკუთრებაში არსებულ ობიექტებში (სულ 240 ობიექტი) ჩასატარებელი სამუშაოების ღირებულების თანადაფინანსება;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - დევნილთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით განხორციელდა მათ საკუთრებაში არსებულ ობიექტებში (სულ 191 ობიექტი) ჩასატარებელი სამუშაოების ღირებულების თანადაფინანსება;

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - 79.6%, თანხები მიიმართა ქ. თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში დევნილთათვის საცხოვრებელი სახლების შესაძენად.

7.2 იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა (პროგრამული კოდი 34 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი;
- ✓ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ტერიტორიული ორგანოები

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

- ეკომიგრანტების საცხოვრებლი სახლებით უზრუნველყოფა და დაბრუნებული მიგრანტების სოციალურ-ეკონომიკური რეინტეგრაცია;
- საქართველოში თავშესაფრის არსებული სისტემის მაქსიმალურად მიახლოება საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებთან;
- ევროპის საბჭოს წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირებისთვისს რეპატრიანტის სტატუსის მინიჭება და საერთაშორისო სამართლით აღიარებული ვალდებულებების შესრულება, არაკონტროლირებად ტერიტორიებზე ქონების კანონიერი მესაკუთრეების იდენტიფიცირება და მათი უფლებების დაცვა;

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- სტიქიით დაზარალებული ზოგიერთი ოჯახი უზრუნველყოფილი იქნა საცხოვრებელი სახლებითა და საკომპენსაციო თანხებით;
- „საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარების“ პროგრამის ფარგლებში გაიცა გრანტები (სამედიცინო მომსახურება და მედიკამენტების დაფინანსება, ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია, შემოსავლის წყაროს გაჩენისა და თვითდასაქმების ხელშეწყობის მიზნით სოციალური პროექტების დაფინანსება, სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება/გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამაში ჩართვის ხელშეწყობა, საცხოვრისით დროებით უზრუნველყოფა). დაფინანსდა სოციალური პროექტები. ბენეფიციარები უზრუნვეყოფილი იქნენ სამედიცინო მომსახურებითა და მედიკამენტებით, ასევე, დროებითი საცხოვრებლით;
- საქართველოში თავშესაფრის არსებული სისტემა მაქსიმალურად მიუახლოვდა საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს;
- მაძიებლებს მიენიჭათ ჰუმანიტარული და ლტოლვილის, ასევე, რეპატრიანტის სტატუსები.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - დღეის მდგომარეობით განთავსების ცენტრს შეუძლია ერთდროულად მოემსახუროს 132 პირს. 2016 წელს ცენტრი მოემსახურა 250-300-მდე ბენეფიციარს;
   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - ცენტრში განთავსდება 250- 300-მდე ბენეფიციარი;

   მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - ცენტრში განთავსდა 126 ბენეფიციარი;

   ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - 50.4 %, ვინაიდან ბენეფიციარი საქმის განხილვის დასრულებამდე ითვლება თავშესაფრის მაძიებლად, უფლება აქვს განთავსებული იყოს თავშესაფრის მაძიებელთა მიმღებ ცენტრში, შესაბამისად ცენტრი იყო სრულად შევსებული და ვერ ხეხდებოდა დამატებით ბენეფიციართა მიღება. ასევე, ხშირ შემთხვევებში, სამინისტროს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას ბენეფიციარი ასაჩივრებდა სასამართლოში და საქმის დასრულებამდე ბენეფიციარი რჩებოდა მიმღებ ცენტრში, რის გამოც ვერ ხერხდებოდა დამატებით თავშესაფრის მაძიებელთა მიღება და სამინიტრო იძულებული იყო უარი ეთქვა მიმღებ ცენტრში ბენეფიციართა განთავსებაზე;

2. საბაზისო მაჩვენებელი - 2016 წელს 122-მა დაბრუნებულმა ქართველმა მიგრანტმა სოციალურ-ეკონომიკური რეინტეგრაციის მიზნით ისარგებლა სხვადასხვა სახის მომსახურებით;
მიზნობრივი მაჩვენებელი - 400-მდე დაბრუნებულ ქართველ მიგრანტს სოციალურ-ეკონომიკური რეინტეგრაციის მიზნით გაეწევა სხვადასხვა სახის მომსახურება;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - 202 დაბრუნებულ ქართველ მიგრანტს სოციალურ-ეკონომიკური რეინტეგრაციის მიზნით გაეწია სხვადასხვა სახის მომსახურება.

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - 50.5%, დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის განსხვავება გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ დაბრუნებულ ქართველ მიგრანტებს რიგ შემთხვევაში გაეწიათ ორი და მეტი სხვადასხვა სახის მომსახურება.

3. საბაზისო მაჩვენებელი - ლტოლვილთა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთათვის ქართული ენის, კულტურის, ისტორიისა და საქართველოს კანონმდებლობის სფეროში ცნობიერების ამაღლების მიმართულებით ღონისძიებები არ განხორციელებულა;
მიზნობრივი მაჩვენებელი - ლტოლვილთა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე 100-მდე პირს აუმაღლდება ცნობიერება ქართული ენის, კულტურის, ისტორიისა და საქართველოს კანონმდებლობის სფეროში;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - ლტოლვილთა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე 89 პირს აუმაღლდა ცნობიერება ქართული ენის, კულტურის, ისტორიისა და საქართველოს კანონმდებლობის სფეროში.

4. საბაზისო მაჩვენებელი - განსახლების მოთხოვნით სამინისტროს მომართა 3000-მდე ოჯახმა, საცხოვრებლით დაკმაყოფილდა 100-მდე ოჯახი;
მიზნობრივი მაჩვენებელი - საცხოვრებლით დაკმაყოფილდება 90-100-მდე ოჯახი;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - საცხოვრებლით დაკმაყოფილდა

94 ოჯახი.

.4 დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 34 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

- იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- „მოწყვლად, იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება გენდერული ასპექტების გათვალისწინებით, მათი საარსებო წყაროების თანადაფინანსებისა და სოციალური გააქტიურების ხელშეწყობის გზით“ პროგრამის ფარგლებში გაიცა სასოფლო-სამეურნეო გრანტები;
- ჩატარდა 4 საინფორმაციო კამპანია;
- შემუშავდა და განხორციელდა „დევნილთა თვითდასაქმების ხელშეწყობის საგრანტო პროგრამა“, რომელიც ითვალისწინებს პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულთა თვითდასაქმების ხელშეწყობას მათთვის სახელობო იარაღების შესყიდვის გზით.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1. საბაზისო მაჩვენებელი - დაფინანსებულია გრძელვადიანი განსახლების პროგრამის ფარგლებში საცხოვრებლით უზრუნველყოფილ დევნილთა 200 სასოფლო სამეურნეო და/ან თვითდასაქმებაზე ორიენტირებული სოციალური პროექტი;
   მიზნობრივი მაჩვენებელი - დაფინანსდება გრძელვადიანი განსახლების პროგრამის ფარგლებში საცხოვრებლით უზრუნველყოფილ დევნილთა 400 სასოფლო სამეურნეო და/ან თვითდასაქმებაზე ორიენტირებული სოციალური პროექტი;

   მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - 2016 წლის ბოლოს სააგენტომ დაიწყო ევროკავშირის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროგრამის განხორციელება უკიდურისედ მოწყვლადი დევნილებისათვის. იქიდან გამომდინარე, რომ დონორის მიერ დაფინანსებული და სააგენტოს საგრანტო პროგრამის სფეროები ერთმანეთს ფარავდა, საბიუჯეტო სახსრებით დაფინანსებული საგრანტო პროგრამა 2017 წელს აღარ განხორციელებულა. ნაცვლად ამისა, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროგრამის ფარგლებში გაიცა 976 სასოფლო-სამეურნეო და თვითდასაქმებაზე ორიენტირებული გრანტი, მათ შორის კეთილმოეწყო 48 საბავშვო ბაღი მთელი საქართველოს მასშტაბით.

ამასთან ერთად, სააგენტომ საჯარო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთათვის შეიმუშავა და საპილოტე რეჟიმში განახორციელა თვითდასაქმების ხელშემწყობი საგრანტო პროგრამა, რომლის ფარგლებშიც 49 დევნილ კურსდამთავრებულებს გადაეცათ სახელობო იარაღები სულ დაფინანსდა 1 025 ბენეფიციარი.

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - იქიდან გამომდინარე, რომ დონორის მიერ დაფინანსებული და სააგენტოს საგრანტო პროგრამის სფეროები ერთმანეთს ფარავდა, საბიუჯეტო სახსრებით დაფინანსებული საგრანტო პროგრამა 2017 წელს აღარ განხორციელებულა;

2. საბაზისო მაჩვენებელი - 150 სოციალურად დაუცველი იძულებით გადაადგილებული პირს, რომელიც 2016 წელს ჩაირიცხა სახელმწიფო პროფესიულ სასწავლებელში, აუნაზღაურდა ტრანსპორტირების/საცხოვრებლის ხარჯი;
მიზნობრივი მაჩვენებელი - 300-მდე სოციალურად დაუცველ იძულებით გადაადგილებული პირს, რომლებიც 2017 წელს ჩაირიცხებიან სახელმწიფო პროფესიულ სასწავლებელში, აუნაზღაურდებათ ტრანსპორტირების/საცხოვრებლის ხარჯი;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - 155 იძულებით გადაადგილებული პირს, რომელბიც 2017 წელს ჩაირიცხა სახელმწიფო პროფესიულ სასწავლებელში, აუნაზღაურდებათ ტრანსპორტირების/საცხოვრებლის ხარჯი;

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - 51, 7%, 235 განმცხადებლის განაცხადის განხილვა დასრულდება 2018 წელს;

3. საბაზისო მაჩვენებელი - ჩატარდა 4 საინფორმაციო კამპანია საარსებო წყაროების პროგრამების და მათი მიმწოდებლების შესახებ, რომლითაც ისარგებლა 230 000-მა დენილმა;
მიზნობრივი მაჩვენებელი - მოეწყობა 4 საინფორმაციო კამპანია საარსებო წყაროების პროგრამების და მათი მიმწოდებლების შესახებ

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - ჩატარდა 4 საინფორმაციო კამპანია საარსებო წყაროების პროგრამების და მათი მიმწოდებლების შესახებ;

4. საბაზისო მაჩვენებელი - 2016 წელს „აგროდაზღვევის“ სახელმწიფო პროგრამით ისარგებლა 240 დევნილმა ოჯახმა;
მიზნობრივი მაჩვენებელი - „აგროდაზღვევის“ სახელმწიფო პროგრამით ისარგებლებს 350-მდე დევნილი ოჯახი;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - პროგრამა არ განხორციელდა

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - 2016 წელს აღნიშნული პროგრამა მიმდინარეობდა საპილოტე რეჟიმში. იქიდან გამომდინარე, რომ დევნილთა ჩართულობა და მომართვიანობის დონე იყო დაბალი, დამატებითი სუბსიდირება სააგენტოს მხრიდან 2017 წელს აღარ გაგრძელებულა.

7.5 იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი - 25 06)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი.

- დასრულდა რამდენიმე გარდამავალ ხელშეკრულებაზე საბოლოო ანგარსწორება.

8. პრიორიტეტი – კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2017 წლის დაზუსტებული გეგმა	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	2017 წლის ფაქტიური დაფინანსება	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები	მ.შ.საკუთარი სახსრები
39 02	სპორტის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები	151,401.3	150,278.9	150,826.1	149,987.3	838.8
33 02	ხელოვნების დარგების განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ	78,916.2	60,517.6	83,283.6	67,353.7	15,930.0
42 01	მაუწყებლობის ხელშეწყობა	55,223.1	46,555.0	53,387.5	46,572.8	6,814.7
33 04	კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და სამუზეუმო სისტემის სრულყოფა	28,135.7	18,698.0	27,746.0	18,929.8	8,816.2
45 01	სასულიერო განათლების ხელშეწყობის გრანტი	14,683.0	14,683.0	14,681.0	14,681.0	0.0
39 03	სპორტის სფეროში დამსახურებულ მოღვაწეთა სოციალური დაცვის ღონისძიებები	6,744.3	6,744.3	6,737.9	6,737.9	0.0
55 00	სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო	5,330.0	5,330.0	5,222.6	5,222.6	0.0
33 01	კულტურისა და ძეგლთა დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა	4,907.6	4,907.6	4,795.2	4,795.2	0.0
39 04	ახალგაზრდობის სფეროში სახელმწიფო ხელშეწყობის ღონისძიებები	4,403.4	3,831.9	4,298.0	3,903.2	394.8
39 01	სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროებში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა	17,427.0	17,427.0	21,827.1	21,827.1	0.0
45 09	საქართველოს საპატრიარქოს ა(ა)იპ – ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტისათვის გადასაცემი გრანტი	1,964.0	1,964.0	1,964.0	1,964.0	0.0

კოდი	დასახელება	2017 წლის დაზუსტებული გეგმა	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	2017 წლის ფაქტიური დაფინანსება	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები	მ.შ.საკუთარი სახსრები
45 08	საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტისათვის გადასაცემი გრანტი	2,000.0	2,000.0	2,000.0	2,000.0	0.0
45 03	ა(ა)იპ – ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიის საგანმანათლებლო ცენტრისათვის გადასაცემი გრანტი	1,768.0	1,768.0	1,768.0	1,768.0	0.0
45 04	საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ნინოს სახელობის ობოლ, უპატრონო და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონატისათვის გადასაცემი გრანტი	959.0	959.0	959.0	959.0	0.0
45 11	საქართველოს საპატრიარქოს ტელევიზიის სუბსიდირების ღონისძიებები	800.0	800.0	800.0	800.0	0.0
45 13	ა(ა)იპ ფოთის საგანმანათლებლო და კულტურულ-გამაჯანსაღებელი ცენტრი	653.0	653.0	653.0	653.0	0.0
45 12	ა(ა)იპ – ახალქალაქისა და კუმურდოს ეპარქიის სასწავლო ცენტრისთვის გადასაცემი გრანტი	500.0	500.0	500.0	500.0	0.0
45 06	საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო სწავლების ცენტრისათვის გადასაცემი გრანტი	437.0	437.0	437.0	437.0	0.0
45 02	ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა სვიმონ კანანელის სახელობის სასულიერო სწავლების ცენტრი	645.0	645.0	645.0	645.0	0.0
45 05	საქართველოს საპატრიარქოს ბათუმის წმინდა მოწამე ეკატერინეს სახელობის სათნოების სავანისათვის გადასაცემი გრანტი	261.0	261.0	261.0	261.0	0.0
45 07	წმინდა გიორგი მთაწმინდელის მონასტერთან არსებული სარეაბილიტაციო ცენტრისათვის გადასაცემი გრანტი	230.0	230.0	230.0	230.0	0.0

კოდი	დასახელება	2017 წლის დაზუსტებული გეგმა	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	2017 წლის ფაქტიური დაფინანსება	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები	მ.შ.საკუთარი სახსრები
45 10	ა(ა)იპ – სმენადაქვეითებულ ბავშვთა რეაბილიტაციის და ადაპტაციის ცენტრისათვის გადასაცემი გრანტი	100.0	100.0	100.0	100.0	0.0
	სულ	*377,488.6*	*339,290.2*	*383,121.9*	*350,327.5*	*32,794.4*

8.1. სპორტის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 39 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს სპორტისაა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო
- ✓ სსიპ საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრი
- ✓ სსიპ „ქართული სპორტის მუზეუმი“.
- ✓ სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
- ✓ სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯი
- ✓ ა(აიპ) - ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდი

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმული ბავშვები და მოზარდები;
- მოსახლეობაში დანერგილი ცხოვრების ჯანსაღი წესი;
- ქვეყნის ნაკრები გუნდების შევსება ახალგაზრდა პერსპექტიული სპორტსმენებით;
- გაუმჯობესებული სპორტული ინფრასტრუქტურა;
- საერთაშორისო სტანდარტები შესაბამისი ინვენტარით, ეკიპირებით და სათანადო სამედიცინო დონის მომსახურეობით უზრუნველყოფილი ნაკრებები;
- მსოფლიო, ოლიმპიური და ევროპის ჩემპიონებისა და პრიზიორების გაზრდილი რაოდენობა.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩაება ბავშვები და მოზარდები;
- ხელი შეეწყო მოსახლეობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვას;
- განხორციელდა ქვეყნის ნაკრები გუნდების შევსება ახალგაზრდა პერსპექტიული სპორტსმენებით;
- გაუმჯობესდა სპორტული ინფრასტრუქტურა;
- ნაკრებები უზრუნველყოფილ იქნა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ინვენტარით, ეკიპირებით და სათანადო სამედიცინო დონის მომსახურეობით;
- გაიზარდა მსოფლიო, ოლიმპიური და ევროპის ჩემპიონებისა და პრიზიორების რაოდენობა;

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

1.საბაზისო მაჩვენებელი - სპორტის სხვადასხვა სახეობებში (ფეხბურთში, კალათბურთში, რაგბში, პარაოლიმპიურ, ფარიკაობის, ჭადრაკის, ხელბურთის, ძიუდოს, ჭიდაობის, ქართული ჭიდაობის, მძლეოსნობის, ტანვარჯიშის, საწყლოსნო და სხვა) ეროვნულ და საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობა წლიური კალენდრის მიხედვით. ჩატარებული 700 საერთაშორისო და ადგილობრივი ღონისძიება;

მიზნობრივი მაჩვენებელი - სპორტული ღონისძიებების კალენდარული (წლიური) გეგმის შესრულება;

მიღწეული მაჩვენებელი - 2017 წელს სპორტის 64 სახეობაში დაფინანსდა 930-მდე საერთაშორისო და ადგილობრივი ღონისძიება;

2.საბაზისო მაჩვენებელი - სპორტულ და ფიზიკურ აქტივობებში (მასობრივ სპორტში) ჩართული მოსახლეობის 16%;

მიზნობრივი მაჩვენებელი - სპორტულ და ფიზიკურ აქტივობებში (მასობრივ სპორტში) მოსახლეობის 17% ჩართვა;

მიღწეული მაჩვენებელი - სპორტულ და ფიზიკურ აქტივობებში ჩაერთო (მასობრივ სპორტში) მოსახლეობის 22%;

3.საბაზისო მაჩვენებელი - 900 სტუდენტი უმაღლესი და პროფესიული სასპორტო განათლების სფეროში;

მიზნობრივი მაჩვენებელი - 1100 სტუდენტი უმაღლესი და პროფესიული სასპორტო განათლების სფეროში;

მიღწეული მაჩვენებელი - უმაღლესი და პროფესიული სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებების 820 სტუდენტი, 83 დიპლომირებული სპეციალისტი, ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრის ბაზაზე რიცხული 150 სპორტსმენი (კადეტები და იუნიორები),

4.საბაზისო მაჩვენებელი - თბილისში აშენებული მულტიფუნქციური სპორტის სასახლე და საწყლოსნო კომპლექსი;

მიზნობრივი მაჩვენებელი - საქართველოს ოთხ ქალაქში (ბათუმი, ქუთაისი, გორი, თელავი) თანამედროვე სტანდარტების მულტიფუნქციური სპორტის სასახლის და 20 ფეხბურთის/რაგბის სტადიონი (თბილისი,რუსთავი, ქუთაისი) აშენება; თბილისში ჭიდაობის სახლისა და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრის მშენებლობა;
მიღწეული მაჩვენებელი - შენდება თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სამი სპორტის სასახლე (ბათუმი, გორი, თელავი). ქალაქ თბილისში (7) და ქალაქ ქუთაისში (3) ფეხბურთის და რაგბის სტანდარტული მოედნები (მ.შ. - 6 ბუნებრივი და 4 ხელოვნური საფარით).

8.2 ხელოვნების დარგების განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ (პროგრამული კოდი 33 02)

პროგრამის განმახორციელებელი :

- ✓ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო;
- ✓ სახელმწიფო და დრამატული თეატრები, ანსამბლები;

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- საქართველოსა და უცხოეთში სახელოვნებო ღონისძიებები; ქართველი ხელოვანების მონაწილეობა საერთაშორისო ღონისძიებებში; საზოგადოების ინფორმირებულობა სახელოვნებო პროცესებზე;
- საერთაშორისო საზოგადოებაში საქართველოზე ცნობადობის ამაღლება; ქვეყვნებს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობები;
- საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების ინტერესის გაზრდა ქართული კულტურისადმი;
- კულტურის პოლიტიკის სტარტეგიის დოკუმენტის დამტკიცების საფუძველზე შემუშავებული სამოქმედო გეგმების შესაბამისად განხორციელებული პროექტები და პროგრამები;
- რეგიონებში პერიოდული სახელოვნებო ღონისძიებები; საერთაშორისო თანამშრომლობითი პლატფორმები;
- სამინისტროს სისტემაში შემავალი სტრუქტურების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება;

მიღწეული საბოლოო შედეგები

- საანგარიშო პერიოდში პროექტები განხორციელდა საზღვარგარეთ, რომლის შესაბამისად ქართველ ხელოვანებს მიეცათ საშუალება წარმდგარიყვნენ სხვადასხვა ქვეყანის სხვადასხვა სფეროს საერთაშორისო ღონისძიებებში და შესაბამისად წარედგინათ ქართული კულტურა;
  - სხვადასხვა ქვეყანასთან განვითარდა და გაღრმავდა კულტურული ურთიერთობა;
- ქვეყნის ფარგლებში განხორციელდა რამდენიმე ღონისძიება, რომელმაც ხელი შეუწყო მოქალაქეების ინფორმირებას და უზრუნველყო ხელოვნებაში მიმდინარე პროცესების ხელმისაწვდომობა;
- საქართველოს დედაქალაქსა და რეგიონებში განხორციელედა ახალი თეატრალური დადგმები, გასტროლები და კონცერტები;
- საქართველოსა და უცხოეთში, გაიმართა დრამატურგიული, ლიტერატურული და მუსიკალური კონკურსები, საერთაშორისო წიგნის, ლიტერატურული, მუსიკალური, კინო და თეატრალური ფესტივალები;
- მოეწყო გამოფენები საქართველოს ცენტრებსა და რეგიონებში;
- გაიმართა კინოჩვენებები;
- ხელი შეეწყო ახალ გამოცემებს (თანამედროვე მხატვრული ლიტერატურა, მუსიკალური, თეატრალური, კინო და სახვითი ხელოვნების ლიტერატურა);
- საქართველოს ცენტრებსა და რეგიონებში ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის წარმოჩინებით, კულტურულ ცხოვრებაში შშმ პირთა ინტეგრირებით გარკვეულ წილად ამაღლდა საქართველოს მოქალაქეების ინფორმირებულობა, ხელოვნებაში მიმდინარე პროცესებისადმი მათი ხელმისაწვდომობა;
- გაიზარდა რეგიონებში, როგორც საერთაშორისო ფესტივალების, ასევე ახალი ინიციატივების ხელშეწყობა;
- სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფ სსიპ-ებს მოუწესრიგდათ ინფრასტრუქტურა და გაძლიერდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები

1.დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - საერთაშორისო, თეატრალური, მუსიკალური, კინო, ლიტერატურული ფესტივალები; გამოფენები, კონკურსები, გამოცემები, ახალი დადგმები, გასტროლები, საიუბილეო ღონისძიებები; შშმპ და ეთნიკურ უმცირესობათა ხელშეწყობა - 3 700 აქტივობა;
დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - საერთაშორისო, თეატრალური, მუსიკალური, კინო, ლიტერატურული ფესტივალები; გამოფენები, კონკურსები, გამოცემები, ახალი დადგმები, გასტროლები, საიუბილეო ღონისძიებები; შშმპ და ეთნიკურ უმცირესობათა ხელშეწყობა - 3 800 აქტივობა;
მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - საერთაშორისო, თეატრალური, მუსიკალური, კინო, ლიტერატურული ფესტივალები; გამოფენები, კონკურსები, გამოცემები, ახალი დადგმები, გასტროლები, საიუბილეო ღონისძიებები; შშმპ და ეთნიკურ უმცირესობათა ხელშეწყობა - 7 306 აქტივობა.

2.დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - საერთაშორისო კულტურული ურთიერთობების გაღრმავებისა და შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების ახალი ინიციატივის მხარდაჭერის მიზნით განხორციელებული 40 აქტივობა;
დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - საერთაშორისო კულტურული ურთიერთობების გაღრმავებისა და შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების ახალი ინიციატივის მხარდაჭერის მიზნით განხორციელებული 50 აქტივობა;
მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - საერთაშორისო კულტურული ურთიერთობების გაღრმავებისა და შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების ახალი ინიციატივის მხარდაჭერის მიზნით განხორციელებული 140 აქტივობა;

3.დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - საქართველოს რეგიონებში კულტურული ღონისძიებები - 25 აქტივობა;
დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - საქართველოს რეგიონებში კულტურული ღონისძიებები - 40 აქტივობა;
მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - საქართველოს რეგიონებში კულტურული ღონისძიებები - 40 აქტივობა;

4.დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - სისტემაში შემავალი სტრუქტურების შენობა-ნაგებობების ფიზიკური სარეაბილიტაციო და საინჟინრო-საპროექტო სამუშაოები; ტექნიკური აღჭურვა - 19 აქტივობა;
დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - სისტემაში შემავალი სტრუქტურების შენობა-ნაგებობების ფიზიკური სარეაბილიტაციო და საინჟინრო-საპროექტო სამუშაოები; ტექნიკური აღჭურვა - 34 აქტივობა;
მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - სისტემაში შემავალი სტრუქტურების შენობა-ნაგებობების ფიზიკური სარეაბილიტაციო და საინჟინრო-საპროექტო სამუშაოები, ტექნიკური აღჭურვა, განათება-გახმოვანების სისტემის მოწყობა, ორგანიზაციების პანდუსითა და ლიფტის სისტემებით უზრუნველყოფა, შენობების გათბობა-ვენტილაციის მონტაჟი, იატაკის მოწყობა და დანადგარების მონტაჟი - 34 აქტივობა.

8.4 კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და სამუზეუმო სისტემის სრულყოფა (პროგრამული კოდი 33 04)

პროგრამის განმახორციელებელი:
- ✓ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო;
- ✓ საქართველოს მუზეუმები და სახლ - მუზეუმები

✓ სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მართვის სისტემა მუზეუმებში: ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და პოპულარიზაციის მიზნით გატარებული შესაბამისი ღონისძიებები; მოწესრიგებული მატერიალური ბაზები; კონსერვირებული და რესტავრირებული სამუზეუმო ფასეულობა, მუზეუმებში ვიზიტორთა და შემოსავლების გაზრდილი რაოდენობა; „კულტურის სტრატეგია - 2025“ დოკუმენტის ფარგლებში შემუშავებული და განხორციელებული სამოქმედო გეგმები, ეროვნულ უმცირესობათა კულტურის წარმოჩენის, აგრეთვე, უნარშეზღუდულ პირთა ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში ინტეგრირებისთვის გატარებული ღონისძიებები, კულტურული მემკვიდრეობის რესტავრირებული ძეგლები/კომპლექსები, ისტორიულ-კულტურული ღირებულების მქონე მასშტაბური ძეგლები; საერთაშორისო ექსპერტების მიერ შეფასებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, კულტურული მემკვიდრეობის სფეროში საერთაშორისო ვალდებულებებით აღებული ღონისძიებების განხორციელება; კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების/ობიექტების შესახებ ხარისხიანი და სისტემატიზირებული ასახული მონაცემები საინფორმაციო სივრცეში; დანერგილი ინფორმაციის შენახვის, განახლებისა და გავრცელების თანამედროვე სტანდარტები; გამოვლენილი და აღკვეთილი უნებართვო სამუშაოები კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე; კულტურული ტურიზმისათვის შექმნილი მიმზიდველი გარემო, ვიზიტორებისა და შემოსავლების გაზრდილი რაოდენობა.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და პოპულარიზაციის მიზნით გატარებულია შესაბამისი ღონისძიებები; მოწესრიგებულია მატერიალური ბაზები; კონსერვირებული და რესტავრირებულია სამუზეუმო ფასეულობა, მუზეუმებში გაზრდილია ვიზიტორთა და შემოსავლების რაოდენობა; განხორციელებულია „კულტურის სტრატეგია - 2025“ დოკუმენტის ფარგლებში შემუშავებული 2017 წლის სამოქმედო გეგმა, ჩატარებულია სხვადასხვა აქტივობა ეროვნულ უმცირესობათა კულტურის წარმოჩენისა და უნარშეზღუდულ პირთა ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში ინტეგრირებისთვის, რესტავრირებულია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები/კომპლექსები, ასევე, ისტორიულ-კულტურული ღირებულების მქონე მასშტაბური ძეგლები; საერთაშორისო ექსპერტების მიერ შეფასებულია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, შესრულებულია კულტურული მემკვიდრეობის სფეროში საერთაშორისო ვალდებულებები; საინფორმაციო სივრცეში ასახულია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების/ობიექტების შესახებ ხარისხიანი და სისტემატიზირებული მონაცემები; დანერგილა ინფორმაციის შენახვის, განახლებისა და გავრცელების თანამედროვე სტანდარტები; გამოვლენილი და აღკვეთილია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე უნებართვო სამუშაოები; კულტურული ტურიზმისათვის შექმნილია მიმზიდველი გარემო, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე გაზრდილია ვიზიტორებისა და შემოსავლების რაოდენობა.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები

1.დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი -მუზეუმებში მენეჯმენტის თანამედროვე სტანდარტების დანერგვისთვის ხელშეწყობა -12, მუზეუმების მიერ პოპულარიზაციის მიმართულებით განხორციელებული აქტივობა - 340; რესტავრირებული ექსპონატი -30, სამუზეუმო სისტემის მატერიალური ბაზების მოწესრიგება -9: ტექნიკურად აღჭურვილი 5 მუზეუმი; მუზეუმებში ვიზიტორთა გაზრდილი რაოდენობა - 440 300, შემოსავლების რაოდენობა - 4 676 500;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - მუზეუმებში მენეჯმენტის თანამედროვე სტანდარტების დანერგვისთვის ხელშეწყობა -17, მუზეუმების მიერ პოპულარიზაციის მიმართულებით განხორციელებული აქტივობა - 500; რესტავრირებული ექსპონატი 150-ზე მეტი, სამუზეუმო სისტემის მატერიალური ბაზების მოწესრიგება - 29, ტექნიკურად აღჭურვილი - 15 მუზეუმი; მუზეუმებში ვიზიტორთა რაოდენობა - 600 000-ზე მეტი, შემოსავლების რაოდენობა - 5 000 000-ზე მეტი;
მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - მუზეუმებში მენეჯმენტის თანამედროვე სტანდარტების დანერგვისთვის ხელშეწყობის მიზნით განხორციელდა 23 ღონისძიება, მუზეუმების მიერ განხორციელებული სხვა აქტივობები - 550-ზე მეტი, რესტავრირებული ექსპონატი 170-ზე მეტი, სამუზეუმო სისტემის მატერიალური ბაზების მოწესრიგების მიმართულებით განხორციელებული პროექტები - 30-ზე მეტი, ტექნიკურად აღიჭურვა 15 მუზეუმი; მუზეუმებში ვიზიტორთა რაოდენობა - 1 176 021, შემოსავლების რაოდენობა -10,0 მლნ ლარზე მეტი.
2.დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - კულტურული მემკვიდრეობის 50-მდე ნიმუშზე: მომზადებულია სარეაბილიტაციო პროექტი, რესტავრირებულია ძეგლი, განხორციელებულია ობიექტების არქეოლოგიური შესწავლა-კონსერვაცია, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთ;
დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - კულტურული მემკვიდრეობის 50-მდე ნიმუშზე: მომზადებული სარეაბილიტაციო პროექტი, რესტავრირებული ძეგლი, განხორციელებული ობიექტების არქეოლოგიური შესწავლა-კონსერვაცია, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთ;
მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - კულტურული მემკვიდრეობის 80-მდე ნიმუშზე: მომზადებულია სარეაბილიტაციო პროექტი, რესტავრირებულია ძეგლი, განხორციელებულია არქეოლოგიური შესწავლა, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

8.4.1 მუზეუმების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 33 04 01)

დაგეგმილი შუალედური შედეგები

- „კულტურის სტრატეგია - 2025“ დოკუმენტით სამუზეუმო საქმიანობის მიმართულებით განსაზღვრული ძირითადი პრიორიტეტების განხორციელების მონიტორინგი, გაუმჯობესებული სამუზეუმო მენეჯმენტი; მუზეუმების მოწესრიგებული მატერიალური ბაზები; აუცილებელი ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი მუზეუმები, რესტავრირებული და კონსერვირებული ექსპონატები; მუზეუმებში ეტაპობრივად დანერგილი სამუზეუმო ფასეულობათა ელექტრონული აღრიცხვის სისტემა (eGMC), მენეჯმენტის თანამედროვე სტანდარტების დანერგვა - მუზეუმთან მიმართებაში საზოგადოების ცნობადობის ამაღლება, ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ მუზეუმის პოპულარიზაციისთვის გატარებული აქტივობები (გამოფენები, საგანმანათლებლო პროგრამები, ახალი ექსპოზიციების, გზამკვლევების და სხვა სარეკლამო მასალის გამოცემა), მათ შორის, ეროვნულ უმცირესობათა კულტურის წარმოჩენისა და უნარშეზღუდულ პირთა ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში ინტეგრირებისთვის, საკანონმდებლო ბაზის მოწესრიგებაზე მუშაობა.

მიღწეული შუალედური შედეგები

- განხორციელდა „კულტურის სტრატეგია - 2025“ სამოქმედო გეგმით განსაზღვრული სამუზეუმო საქმიანობის პრიორიტეტების მონიტორინგი, გაუმჯობესდა სამუზეუმო მენეჯმენტი; მოწესრიგდა მუზეუმების მატერიალური ბაზები; მუზეუმები აღიჭურვა აუცილებელი ტექნიკური საშუალებებით, რესტავრირებული და კონსერვირებულია სამუზეუმო ექსპონატები; სსიპ მუზეუმებში დანერგილია სამუზეუმო ფასეულობათა ელექტრონული აღრიცხვის სისტემა (egmc.gov.ge.), ეტაპობრივად ხორციელდება სისტემის დანერგვა რეგიონებში (ამჟამად მიმდინარეობს აჭარის მუზეუმებში დანერგვის პროცესი); განხორციელებულია ღონისძიებები მუზეუმთან მიმართებაში საზოგადოების ცნობადობის ამაღლების მიზნით, მათ შორის, ეროვნულ უმცირესობათა კულტურის წარმოჩენისა და უნარშეზღუდულ პირთა ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში ინტეგრირებისთვის, ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ მუზეუმის პოპულარიზაციისთვის ჩატარებულია სხვადასხვა მიმართულების აქტივობები, საკანონმდებლო ბაზის მოწესრიგების მიზნით მიმდინარეობს მუშაობა საქართველოს კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის კოდექსზე.

დაგეგმილი და მიღწეულიშუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები

1.დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - მუზეუმებში მენეჯმენტის თანამედროვე სტანდარტების დანერგვისთვის ხელშეწყობა - 12 ღონისძიება, რესტავრირებული და კონსერვირებული 320 ექსპონატი, სამუზეუმო სისტემის მატერიალური ბაზების მოწესრიგება და ტექნიკური აღჭურვა - 37 პროექტი.
დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - მუზეუმებში მენეჯმენტის თანამედროვე სტანდარტების დანერგვისთვის ხელშეწყობა - 73 ღონისძება, რესტავრირებული და კონსერვირებული 1050-ზე მეტი ექსპონატი, სამუზეუმო სისტემის მატერიალური ბაზების მოწესრიგება და ტექნიკური აღჭურვა - 45 პროექტი.
მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი - მუზეუმებში მენეჯმენტის თანამედროვე სტანდარტების დანერგვისთვის ხელშეწყობა - 80-მდე ღონისძიება, რესტავრირებული და კონსერვირებულია 2500-ზე მეტი ექსპონატი, მუზეუმების მატერიალური ბაზების მოწესრიგებისა და ტექნიკური აღჭურვის მიზნით განხორციელებული 50-მდე პროექტი.

2.დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - სამინისტროს სისტემის 6 მუზეუმში დანერგილი სამუზეუმო ფასეულობათა ელექტრონული აღრიცხვის სისტემა (eGMC).
დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - სამინისტროს სისტემის 18 და მუნიციპალური დაქვემდებარების 60 მუზეუმში ეტაპობრივად დანერგილი სამუზეუმო ფასეულობათა აღრიცხვის ელექტრონული სისტემა (eGMC).
მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი - სამინისტროს სისტემის 23 მუზეუმში დანერგილია სამუზეუმო ფასეულობათა აღრიცხვის ელექტრონული სისტემა (egmc.gov.ge.), ეტაპობრივად მიმდინარეობს აღნიშნული სისტემის დანერგვა მუნიციპალური დაქვემდებარების მუზეუმებში, ამ ეტაპზე აჭარის ა/რ მუზეუმებში.

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

- მუნიციპალური დაქვემდებარების მუზეუმებში სამუზეუმო ფასეულობათა აღრიცხვის ელექტრონული სისტემის (egmc.gov.ge.) დანერგვა დაგეგმილი იყო ეტაპობრივად (2017-2020), წელიწადში 20-მდე მუზეუმში და არა ერთ წელს 60 მუზეუმში. დღეის მდგომარეობით სისტემა ინერგება აჭარის ა/რ მუზეუმებში. მუშაობა ამ მიმართულებით გაგრძელდება იმ მუზეუმებში, რომლებსაც გამართული ტექნიკური ბაზა აქვთ.

3.დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - მუზეუმების მიერ განხორციელებული აქტივობა - 340.
დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - მუზეუმების მიერ განხორციელებული აქტივობა - 500.
მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი - მუზეუმების მიერ განხორციელებული აქტივობა - 550.

8.4.2 კულტურული მემკვიდრეობის დაცვა (პროგრამული კოდი 33 04 02)

დაგეგმილი შუალედური შედეგები

- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა/კომპლექსთა კონსერვაცია-რესტავრაცია და მომავალი თაობებისათვის შენარჩუნება; ისტორიულ-კულტურული ღირებულების მქონე მასშტაბური ძეგლების რეაბილიტაცია, რომელთა შორისაა მსოფლიო მემკვიდრეობისა და ეროვნული მნიშვნელობის ძეგლები, საერთაშორისო ექსპერტების მიერ რიგი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მდგომარეობის შეფასება; კულტურული მემკვიდრეობის სფეროში საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებისათვის ღონისძიებების განხორციელება და ქართველი სპეციალისტებისათვის უცხოელი ექსპერტების გამოცდილების გაზიარება, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების/ობიექტების შესახებ ხარისხიანი და სისტემატიზირებული მონაცემების ასახვა საინფორმაციო სივრცეში; ინფორმაციის შენახვის, განახლებისა და გავრცელების თანამედროვე სტანდარტების დანერგვა; გამოვლენილი და აღკვეთილი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე უნებართვო სამუშაოები, მუზეუმების საგამოფენო-საექსპოზიციო საქმიანობის გააქტიურება კულტურულ-საგანმანათლებლო ფუნქციების განვითარებითა და გაძლიერებით; კულტურული ტურიზმის განვითარება და ტურიზმისათვის მიმზიდველი გარემოს შექმნა.

მიღწეული შუალედური შედეგები

- მუზეუმებში დაცული კულტურული მემკვიდრეობის რესტავრირებული/კონსერვირებული ნიმუშები;
- კონსერვირებული და რესტავრირებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები/კომპლექსები ისტორიულ-კულტურული ღირებულების მქონე მასშტაბური ძეგლები, მ.შ. მსოფლიო მემკვიდრეობისა და ეროვნული მნიშვნელობის ძეგლები;
- კულტურული მემკვიდრეობის სფეროში საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებისათვის გახორციელებული ღონისძიებების.
- „გის“ კომპლექსური მონაცემთა ბაზის შევსება/განახლების პროცესი.
- გამოვლენილი და აღკვეთილი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე უნებართვო სამუშაოები;
- კულტურული მემკვიდრეობის ადგილებში გაზრდილი ტურისტების რაოდენობა.

1.დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - კულტურული მემკვიდრეობის 50-მდე ნიმუშზე: მომზადებული სარეაბილიტაციო პროექტი, რესტავრირებული ძეგლი, განხორციელებული ობიექტების არქეოლოგიური შესწავლა-კონსერვაცია, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთ.
დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - კულტურული მემკვიდრეობის 50-მდე ნიმუშზე: მომზადებული სარეაბილიტაციო პროექტი, რესტავრირებული ძეგლი, განხორციელებული ობიექტების არქეოლოგიური შესწავლა-კონსერვაცია, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთ.
მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი - კულტურული მემკვიდრეობის 80-მდე ნიმუშზე: მომზადებულია სარეაბილიტაციო პროექტი, რესტავრირებულია ძეგლი, განხორციელებულია არქეოლოგიური შესწავლა, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთ.
2.დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - კულტურული მემკვიდრეობის ინვენტარიზაციის/რეინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილია, შესწავლილია, სისტემატიზებულია 50-მდე ნიმუში, ობიექტი და ძეგლი და ასახულია კულტურული მემკვიდრეობის ერთიან საინფორმაციო ბაზაში.
დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - კულტურული მემკვიდრეობის ინვენტარიზაციის/რეინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილია, შესწავლილია, სისტემატიზებულია 100-მდე ნიმუში, ობიექტი და ძეგლი და ასახულია კულტურული მემკვიდრეობის ერთიან საინფორმაციო ბაზაში.
მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი - კულტურული მემკვიდრეობის ინვენტარიზაციის/რეინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილია, შესწავლილია, სისტემატიზებულია 200-მდე ნიმუში, ობიექტი და ძეგლი და ასახულია კულტურული მემკვიდრეობის ერთიან საინფორმაციო ბაზაში.
3.დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - აღკვეთილია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე უნებართვო სამუშაოები 50-მდე.
დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - აღკვეთილია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე უნებართვო სამუშაოები 50-მდე.
მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი - აღკვეთილია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე უნებართვო სამუშაოები 50-მდე.

4.დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - ვიზიტორთა რაოდენობა 300 000; 10-მდე მნიშვნელოვანი სამუზეუმო გამოფენის მოწყობა.
დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - ვიზიტორთა რაოდენობა 360 000; 10-მდე მნიშვნელოვანი სამუზეუმო გამოფენის მოწყობა.
მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი - ვიზიტორთა რაოდენობა 437 000 მდე; 10-მდე მნიშვნელოვანი სამუზეუმო გამოფენის მოწყობა.

8.6. სპორტის სფეროში დამსახურებულ მოღვაწეთა სოციალური დაცვის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 39 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

საქართველოში ოლიმპიური ჩემპიონების და საჭადრაკო ოლიმპიადების გამარჯვებულების, ვეტერანი სპორტსმენების, მაღალმთიან რეგიონებში დასაქმებული სპორტის მწვრთნელების, საქართველოს ეროვნული, ოლიმპიური და ასაკობრივი ნაკრებების წევრთა, მწვრთნელთა, ადმინისტრაციული, საექიმო პერსონალის და პერსპექტიულ სპორტსმენების ცხოვრების პირობების და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება;

მიღწეული საბოლოო შედეგები

- გაუმჯობესდა ბენეფიციარების მატერიალური მდგომარეობა და ცხოვრების პირობები;

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

საბაზისო მაჩვენებელი - სახელმწიფო სტიპენდიას და სოციალურ დახმარებას იღებს 1 084 ბენეფიციარი (ოლიმპიური ჩემპიონები და პრიზიორები, ვეტერანი სპორტსმენები და სპორტის მუშაკები, მოქმედი წამყვანი სპორტსმენები და მწვრთნელები, ნაკრებების მომსახურე პერსონალი);
მიზნობრივი მაჩვენებელი - ახალგაზრდა სპორტსმენთა მოტივაციის ამაღლების მიზნით დახმარებებისა და სტიპენდიების გაცემის გზით ბენეფიციართა (ოლიმპიური ჩემპიონები და პრიზიორები, ვეტერანი სპორტსმენები და სპორტის მუშაკები, მოქმედი წამყვანი სპორტსმენები და მწვრთნელები, ნაკრებების მომსახურე პერსონალი) რაოდენობის გაზრდა 1 100-მდე.
მიღწეული მაჩვენებელი - 2017 წელს სტიპენდიები და სოციალური დახმარებები გაიცა 32 ოლიმპიურ ჩემპიონზე (თითოეულზე 1000 ლარის ოდენობით), 418 ვეტერან სპორტსმენსა და სპორტის მუშაკზე, 712 მოქმედ სპორტსმენზე, მწვრთნელსა და საექიმო პერსონალზე და მაღალმთიან რეგიონში დასაქმებულ 293 სპორტის მუშაკზე;

8.7. სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო (55 00)

პროგრამის განმახორციელებელი:
✓ სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- რელიგიური გაერთიანებების შესახებ საინფორმაციო ბანკის შექმნა;

- რეკომენდაციების გაცემა რელიგიურ - საკულტო დანიშნულების ნეგებობების, მშენებლობის, მათი ადგილმდებარეობის განსაზღვრის და სხვადასხვა შენობა - ნაგებობების რელიგიურ - საკულტო დანიშნულების შენობად გარდაქმნის თაობაზე;
- წინადადებების და რეკომენდაციების შემუშავება სამოქალაქო საზოგადოებაში, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობაში ტოლერანტული გარემოსა და შემწყნარებლობის მხარდასაჭერად;
- რელიგიურ გაერთიანებათა შორის ინტერრლიგიური და კულტურათაშორისი დიალოგის გაღრმავების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- დასრულების პროცესშია რელიგიური გაერთიანებების შესახებ საინფორმაციო ბანკის შექმნა;
- სამოქალაქო საზოგადოებაში, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობაში ტოლერანტული გარემოსა და შემწყნარებლობის მხარდასაჭერად, ასევე, რელიგიურ საკულტო დანიშნულების ნაგებობების მშენებლობის, მათი ადგილმდებარეობის განსაზღვრის და სხვადასხვა შენობება-ნაგებობის რელიგიურ-საკულტო დანიშნულების შენობად გარდაქმნის თაობაზე მომზადდა 205 - რეკომენდაცია;
- განსხვავებულ რელიგიურ ჯგუფებს შორის ურთიერთცნობადობის ამაღლებისა და ინტერრელიგიური კულტურის განვითარების ხელშეწყობის მიზნით გამოიცა ინტერრელიგიური კალენდარი, რომელიც გულისხმობს სხვადასხვა რელიგიური თემების დღესასწაულთა თავმოყრას ერთი კალენდრის ფორმატში.

8.8 კულტურისა და ძეგლთა დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა (პროგრამული კოდი 33 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო;

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- კულტურის სფეროში პროგრამის მიზნებით გათვალისწინებული პირობების მართვის მობილური მექანიზმის ჩამოყალიბება.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- განხორციელდა კოორდინაცია კულტურის, კულტურული მემკვიდრეობის და ხელოვნების სფეროებში ერთიანი პოლიტიკის გატარებისათვის.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები

1. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - არასრული ელექტრონული სისტემა (მათ შორის საარქივო);
დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი მართვის ელექტრონული სისტემა;
მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - სააქივო დოკუმენტაციის დამუშავება (40 წელი) და სისტემაში განსათავსებელი-საარქივო დოკუმენტაციის იდენტიფიცირება (1980 -2007 წწ);
2.დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - სისტემაში არსებული 86 საბიუჯეტო ორგანიზაცია;
დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - ოპტიმიზაცია და ერთგვაროვანი ფუნქციის მატარებელი სსიპ-ების გაერთიანება;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

- განხორციელებული სტრუქტურულ-ფუნქციური ცვლილებების გათვალისწინებით საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შეუერთდა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სპორტის მიმართულება და ჩამოყალიბდა კულტურისა და სპორტის სამინისტრო. წლის ბოლოს დაიწყო რეორგანიზაციის/შერწყმის პროცესი და მასთან დაკავშირებული ღონისძიებები. გამომდინარე აქედან ოპტიმიზაციის და ერთგვაროვანი ფუნქციის მატარებელი სსიპ-ების გაერთიანების პროცესი ვერ განხორციელდა.

3.დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - კულტურის სტრატეგია;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - კულტურის სტრატეგიის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების სრულად შესრულება;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - დამტკიცებულია „კულტურის სტრატეგია -202“5-ის 2017-2018 წლების შიდაუწყებრივი სამოქმედო გეგმა და „კულტურის სტრატეგია- 2025“-ის 2017-2018 წლების უწყებათაშორისი სამოქმედო გეგმა. შემუშავდა“ „კულტურის სტრატეგია-2025”-ის 2018 წლის რეგიონების სამოქმედო გეგმები.

4.დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - სისტემის მართვაში არსებულ მენეჯმენტში დასაქმებულთა რაოდენობა
დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - სამინისტროს სისტემისა და დასაქმებულთა მართვის ოპტიმიზაცია.
მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - სსიპებ-ის მართვის ელექტრონულ სისტემაში ჩართვა ვერ განხორციელდა.

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

- შერჩეული საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ადამიანური რესურსების მართვის ელექტორნული სისტემის არასრულფასოვნების გამო 2017 წლის ნოემბერში აღნიშნული ჩანაცვლდა ფინანსთა სამინისტროს ანალიტიკური სამსახურის პროგრამით. შესაბამისად, დროის სიმცირის გამო განსაზღვრული სსიპ-ების ჩართვა ვერ მოხერხდა.

8.9. ახალგაზრდობის სფეროში სახელმწიფო ხელშეწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 39 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს სპორტისა და ახალგაზდრობის საქმეთა სამინისტრო
- ✓ სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი
- ✓ სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

- საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდების განვითარება და მხარდაჭერა, მათთვის მოთხოვნადი პროფესიის შერჩევაში დახმარება, მათი თანამშრომლობა სხვადასხვა ქვეყნის სახელმწიფო ახალგაზრდულ სტრუქტურებთან, ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრებ ახალგაზრდებთან დიალოგი, არასრულწლოვანი პატიმრების რესოციალიზაცია, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების ინტეგრაცია საზოგადოებაში, უცხოეთში მცხოვრებ ახალგაზრდა თანამემამულეებთან ურთიერთობის განვითარება, სამოქალაქო და არაფორმალური განათლების ხელშეწყობა;
- ახალგაზრდებში სამოქალაქო ცნობიერების და თვითშეგნების ამაღლება, არაფორმალური განათლება, სხვადასხვა რეგიონების ახალგაზრდებს შორის ურთიერთობა, ჩართულობა და თანამშრომლობა;

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- ახალგაზრდებში სამოქალაქო ცნობიერების, თვითშეგნების ამაღლების, არაფორმალური განათლების პოპულარიზაციის მიზნით სხვადასხვა რეგიონების ახალგაზრდებს (მ.შ. საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები და იძულებით გადაადგილებული ახალგაზრდები) შორის ურთიერთობების, ჩართულობის და თანამშრომლობის ხელშეწყობის მიმართულებით განხორციელდა სხვადასხვა პროექტები და ღონისძიებები. მზრუნველობამოკლებული, სოციალურად დაუცველი ბავშვებისა და არასრულწლოვან ახალგაზრდა მსჯავრდებულეთა ხელშეწყობისა და მათი დასაქმების მიზნით ჩატარდა ტრეინინგები და სხვადასხვა ღონისძიებები. ახალგაზრდა მოხალისეთა ერთიანი ქსელის ფარგლებში განხორციელდა გარემოს დაცვითი აქტივობები, საქველმოქმედო საქმიანობები, სპორტული მარათონები და სხვა. ახალგაზრდულ აქტივობებში განხორციელდა ეთნიკური უმცირესობებისა და შშმ პირთა ინტეგრაცია. ამოქმედდა სოციალური საწარმოები, სადაც დასაქმდა ახალგაზრდები (მ.შ. შშმ ახალგაზრდები).

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

საბაზისო მაჩვენებელი - პროექტში ჩართული 84 300 ბენეფიციარი;

მიზნობრივი მაჩვენებელი - ახალგაზრდულ პროექტებში ჩართულ ბენეფიციართა რაოდენობის გაზრდა 100 300- მდე;

მიღწეული მაჩვენებელი - ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების პროგრამის ფარგლებში მონაწილეობა მიიღო 48 550-მდე ბენეფიციარმა (მათ შორის პირდაპირი/უშუალო ბენეფიციარი - 970). „დავისვენოთ და ვისწავლოთ ერთად“ პროგრამაში ჩაერთო 989 ბენეფიციარი; სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის 2017 წელს დაფინანსებული ბავშვთა ახალგაზრდული კავშირების მხარდამჭერი 39 პროექტში ჩართული იყო 5 300 პირდაპირი და 30 000-ზე მეტი არაპირდაპირი ბენეფიციარი. პროგრამა „მომავლის ბანაკმა“ (ანაკლიასა და შაორში) უმასპინძლმა - 3 108 ბენეფიციარს, პროექტ „ნორჩ მაშველთა კლუბის“ აქტივობებში ჩართული იყო 30 მოსწავლე; პროგრამა „ახალგაზრდული ფესტივალი – 2017“-ში ჩართული იყო - 3 065 პირდაპირი და 45 000 არაპირდაპირი ბენეფიციარი. ამასთან, 2017 წელს დაფინანსებული პროექტების ფარგლებში დასაქმდა 32 ახალგაზრდა. პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა პროექტებში ჩართული იყო 67 შშმ ახალგაზრდა. სულ ახალგაზრდობის ხელშეწყობის ღონისძიებებში 2017 წელს ჩართული იყო - 136 079 ბენეფიციარი.

8.10. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროებში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა (პროგრამული კოდი 39 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროებში გატარებული ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკა;

მიღწეული საბოლოო შედეგები

- გატარდა ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკა;

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

1.საბაზისო მაჩვენებელი - განხორციელებული კვლევა სპორტის და ახალგაზრდობის სფეროში და საქართველოს მთავრობის მიერ 2014 წელს დამტკიცებული სპორტის და ახალგაზრდობის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტები. დახვეწილი სპორტის სახელმწიფო მართვის მოდელი და გაუმჯობესებული თანამშრომლობა სპორტულ ორგანიზაციებთან;

მიზნობრივი მაჩვენებელი

- განხორციელებული სამოქმედო გეგმა, რომელიც გამომდინარეობს სპორტის და ახალგაზრდობის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტებიდან.

მიღწეული მაჩვენებლები

- განხორციელებულ იქნა სამოქმედო გეგმა, რომელიც გამომდინარეობს სპორტის და ახალგაზრდობის სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტებიდან. შემუშავდა „ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ ახალი კანონის პროექტი, ასევე, სპორტის სხვადასხვა სახეობისთვის სასწავლო-საწვრთნელ შეკრებებსა და შეჯიბრებებზე განსახორციელებელი მონიტორინგის სტანდარტები და სპორტული ორგანიზაციების დაფინანსების კრიტერიუმები. დაინერგა სპორტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ელექტრონული სისტემა.

9. პრიორიტეტი – საერთაშორისო ურთიერთობები და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2017 წლის დაზუსტებული გეგმა	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	2017 წლის ფაქტიური დაფინანსება	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები	მ.შ.საკუთარი სახსრები
28 01	საგარეო პოლიტიკის განხორციელება	116,928.2	116,318.2	116,346.5	115,823.5	523.0
20 00	ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	3,338.9	3,325.9	3,239.8	3,226.8	13.0
	სულ	*120,267.1*	*119,644.1*	*119,586.3*	*119,050.4*	*536.0*

9.1.1 საგარეო პოლიტიკის დაგეგმვა და მართვა (პროგრამული კოდი 28 01 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

დაგეგმილი შუალედური შედეგები

- საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერის შემდგომი განმტკიცება;
- ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ეფექტიანობის გაზრდა და დღის წესრიგის მთავარ საკითხებზე პროგრესის მიღწევა;
- საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების მიერ გადაფარვის არეალის გაზრდა;
- საერთაშორისო მხარდაჭერის მობილიზება კონფლიქტის ესკალაციის პრევენციისა და რუსეთის ფედერაციის მიერ 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების სრულად შესრულების მიმართულებით;
- საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მანდატის გაგრძელება და შემდგომი გაძლიერება;
- საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკის შემდგომი გატარება;
- საერთაშორისო თანამეგობრობის ინფორმირება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე და საოკუპაციო ხაზის მიმდებარე ზონებში უსაფრთხოების, ჰუმანიტარული და ადამიანის უფლებათა კუთხით არსებულ მდგომარეობაზე;
- საქართველოს ოკუპირებული რეგიონებიდან ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებული პირთა პრობლემატიკის აქტუალიზაცია საერთაშორისო არენაზე, მათ შორის გაერო-ს გენერალური ასამბლეის მიერ შესაბამისი რეზოლუციის მიღება;
- საერთაშორისო თანამეგობრობის ხელშეწყობით, ნდობის აღდგენისა და ჩართულობის პოლიტიკის მიმართულებით პროექტების განხორციელება;
- ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების და ასოცირების დღის წესრიგის იმპლემენტაციისთვის შემუშავებული ეროვნული სამოქმედო გეგმით 2017 წელს გათვალისწინებული აქტივობების შესრულება; ევროკავშირის „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ინიციატივის ფარგლებში თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავება; ევროკავშირის კრიზისული სიტუაციების მართვის ოპერაციებში საქართველოს ჩართულობის ხელშეწყობა; საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმებით განსაზღვრული ინსტიტუციური ჩარჩოს ფარგლებში სხდომების გამართვა; მაღალი დონის ვიზიტების განხორციელება საქართველოსა და ევროკავშირში;
- NATO-ს წევრი ქვეყნების ჯგუფის ჩამოყალიბება, რომლებიც მზად იქნებიან შემდგომ სამიტზე საქართველოს საკითხის ლობირებისთვის; „არსებითი პაკეტით“ გათვალისწინებული ღონისძიებების პრაქტიკული განხორციელებით ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლება; წლიური ეროვნული პროგრამის (ANP) წარმატებით განხორციელების შედეგად NATO-ს სტანდარტებთან მიახლოვება;
- აშშ–სთან სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის ფარგლებში მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების განხორციელება; ქარტიით განსაზღვრული ოთხი სამუშაო ჯგუფისა და ერთი პლენარული სესიის გამართვა; ქარტიით განსაზღვრული პრიორიტეტებისა და ინიციატივების ორმხრივ ხელშეკრულებებში ასახვა და ამ ხელშეკრულებების პუნქტების იმპლემენტაციის დაწყება; საქართველოს მხარდაჭერის ზრდა აშშ-ის აღმასრულებელ და საკანონმდებლო, ასევე, კვლევით, არასამთავრობო, ბიზნეს და მედია წრეებში; აშშ-ის მიერ პარტნიორებისთვის განკუთვნილი საგარეო დახმარების ფორმატში საქართველოსთვის განკუთვნილი დახმარების შენარჩუნება ან/და ზრდა;

აშშ-ის მიერ საქართველოს მხარდამჭერი განცხადებების გაკეთება და რეზოლუციების მიღება; აშშ-სა და საქართველოს შორის სავაჭრო-საინვესტიციო ურთიერთობების გაღრმავება, საუკეთესო შემთხვევაში მოლაპარაკებების დაწყება ორ ქვეყანას შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმების მიზნით; როგორც აშშ-ის, ისე საქართველოს მხრიდან მაღალი და უმაღლესი დონის ვიზიტების განხორციელება;

- საქათველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის მისწრაფებებისადმი საერთაშორისო მხარდაჭერის შენარჩუნება;
- ლათინური ამერიკის, კარიბის ზღვის აუზის, აზიის, აფრიკის, ავსტრალიისა და ოკეანეთის რეგიონის ქვეყნებთან სხვადასხვა ვიზიტების, კონსულტაციების თუ სხვა სახის ღონისძიებების მეშვეობით მუდმივი კავშირების შენარჩუნება და განმტკიცება;
- ცენტრალური აზიის რეგიონის ქვეყნების მიერ საქართველოს სატრანზიტო პოტენციალის უკეთ გამოყენება;
- საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში საქართველოს მხარდამჭერი რეზოლუციების და სხვა დოკუმენტების მიღება; საერთაშორისო ორგანიზაციების და მათი ინსტიტუტების ჩართულობა ქვეყანაში დემოკრატიის და ადამიანის უფლებების დაცვის ხარისხის ამაღლების უზრუნველსაყოფად; საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წარმომადგენლობითობის გაზრდა; საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში სხვადასხვა ღონისძიებების მოწყობით საქართველოს ცნობადობის გაზრდა; საერთაოშიროსო ორგანიზაციების ფარგლებში არსებულ ფორმატებში საერთაშორისო თანამეგობრობის ინფორმირება ოკუპირებულ რეგიონებში და საოკუპაციო ხაზის მიმდებარე ზონებში არსებულ უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარულ მდგომარეობაზე; საქართველოში, მათ შორის ოკუპირებულ რეგიონებში და საოკუპაციო ხაზის მიმდებარე ზონებში საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლების, ასევე ეუთოსთან და გაეროსთან წევრი-სახელმწიფოების მუდმივი წარმომადგენლების ვიზიტების განხორციელება; ვიზიტების შესახებ ანგარიშების მომზადება/ანგარიშებში ასახვა;
- თანამედროვე ეკონომიკური ურთიერთობების მსოფლიო სისტემაში საქართველოს სრულფასოვანი ჩართვა; საქართველოს საექსპორტო შესაძლებლობების ზრდა, ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება, სატრანზიტო დერეფნების მნიშვნელობის გაზრდა; საქართველოს საინვესტიციო გარემოს, ეკონომიკური რეფორმების, ადგილობრივი რესურსების, აგრეთვე საქართველოს საგარეო სავაჭრო და ევროკავშირის ბაზარზე შექმნილი პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმების (მათ შორის, DCFTA, EFTA) შესახებ საერთაშორისო პარტნიორების ცნობადობის ამაღლება; საქართველოსა და უცხოეთის ქვეყნების ბიზნესის წარმომადგენელთა შორის კავშირების დამყარება; საერთაშორისო ორგანიზაციების ეგიდით ჩატარებული პროექტების რაოდენობის ზრდა;
- საქართველოს და მისი მდიდარი კულტურისა და ინტელექტულური პოტენციალის პოპულარიზაცია; საერთაშორისო კულტურულ და საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობაში მაქსიმალურად ჩართვა; საზღვარგარეთ არსებული ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვის ხელშეწობა; იუნესკოსა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების პროექტებსა და პროგრამებში ჩართვა;
- მრავალმხრივი თანამშრომლობის ფორმატში მიმდინარეობს მუშაობა მრავალმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებებზე, რომლებთანაც შეერთება საქართველოსთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია;
- თანამედროვე ტექნოლოგიების და ახალი მექანიზმების დანერგვა/ გაუმჯობესება; სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავება და კონსულტაციების დაგეგმვა; საჭიროებით მიხედვით, ახალი საკონსულო დაწესებულებების გახსნა და საპატიო კონსულების ქსელის გაფართოება; უვიზო მიმოსვლის შესახებ შეთანხმებების გაფორმება პრიორიტეტულ ქვეყნებთან.

მიღწეული შუალედური შედეგები

- სამინისტროსა და საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების აქტიური მუშაობით, საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების ცენტრში მუდმივად იმყოფებოდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის, მათ შორის ოკუპირებულ ტერიტორიებზე რუსეთის საოკუპაციო რეჟიმების მიერ ქართველთა ეთნიკური წმენდისა და დისკრიმინაციის მიზნით გადადგმული ნაბიჯები. სხვადასხვა ორმხრივ, თუ მრავალმხრივ საერთაშორისო ფორმატებში გაესვა რუსეთის მიერ 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის

შეთანხმების სრულად შესრულების აუცილებლობას.

- გაიმართა ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების 4 რაუნდი;
- ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას გაუგრძელდა ვადა 2018 წლის ბოლომდე;
- გაერო-ს ადამიანის უფლებათა საბჭომ მიიღო რეზოლუცია ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების მხრივ არსებული მდგომარეობის შესახებ;
- გაერო-ს გენერალური ასამბლეაზე დევნილთა შესახებ რეზოლუციის კენჭისყრის შედეგად რეზოლუციას მხარი 80–მა ქვეყანამ დაუჭირა;
- შენგენის ზონაში საქართველოს მოქალაქეებისათვის ამოქმედდა უვიზო რეჟიმი;
- წარდგენილ იქნა წლიური ეროვნული პროგრამა და თვითშეფასების დოკუმენტი; გაიმართა ნატო-საქართველოს კომისიის 24 სხდომა;
- აშშ-ის მიერ მიღებული იქნა პირველი საკანონმდებლო აქტი საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის შესახებ, რომელიც სანქციებს უწესებს დამრღვევ ქვეყნებს და ხელს უწყობს საქართველოს არაღიარების პოლიტიკის განმტკიცებას;
- საგარეო საქმეთა სამინისტროს კოორდინაციით დაიდო 80 საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელთაგან ძალაში შევიდა 45 ხელშეკრულება და სავალდებულოდ აღიარებულ იქნა (ხელმოწერა, რატიფიკაცია, შეერთება, დამტკიცება) 35 ხელშეკრულება;
- ორმხრივი ურთიერთობების განვითარების კუთხით მეზობელი, ევროპის, აზია ოკეანეთის, ახლო აღმოსავლეთი აფრიკის, ლათინური და ჩრდილოეთ ამირიკის ქვეყნებში გამართული უმაღლესი და მაღალი დონის ვიზიტები;
- საქართველოს კულტურის პოპულარიზაციის მიზნით ჩატარებული ღონისძიებები;
- საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მიერ დაინიშნა 15 საქართველოს საპატიო კონსული.

1. საბაზისო მაჩვენებელი - IPD რეზოლუციაზე მიერთებულია 76 ქვეყანა;
მიზნობრივი მაჩვენებელი - საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სხვადასხვა ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოების მიერ საქართვლოს მხარდამჭერი რეზოლუციები/განცხადებები/გადაწყვეტილებები

2. საბაზისო მაჩვენებელი - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების დამოუკიდებლობა აღიარებული აქვს 4 ქვეყანას;
მიზნობრივი მაჩვენებელი - საქართველოს ოკუპირებული რეგიონების ე.წ. დამოუკიდებლობის აღიარების საფრთხის შემცირება

3. საბაზისო მაჩვენებელი - 37 რაუნდი;
მიზნობრივი მაჩვენებელი - ჟენევის მოლაპარაკებების გამართული რაუნდები
მიღწეული მაჩვენებელი - გაიმართა ჟენევის მოლაპარაკებების 4 რაუნდი

4. საბაზისო მაჩვენებელი - 187 ქვეყანა;
მიზნობრივი მაჩვენებელი - ქვეყნების რაოდენობა ვისთანაც დამყარებული გვაქვს დიპლომატიური ურთიერთობები

5. საბაზისო მაჩვენებელი - 21 კანდიდატი;

მიზნობრივი მაჩვენებელი - ევროკავშირის კრიზისული სიტუაციების მართვის ოპერაციებში შერჩეული ქართველი კანდიდატების მონაწილეობა

6. მიზნობრივი მაჩვენებელი - ევროკავშირთან პოლიტიკური დიალოგის გაღრმავება

7. მიზნობრივი მაჩვენებელი - ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი ქვეყნების მიერ წლიური ეროვნული პროგრამის დადებითი შეფასება; საქართველოს NATO-ში ინტეგრაციის მხარდამჭერი ქვეყნების რაოდენობის გაზრდა

8. მიზნობრივი მაჩვენებელი - აშშ-ის ადმინისტრაციისა და კონგრესის მიერ საქართველოს მხარდაჭერისა და დახმარების ზრდა. აგრეთვე, საქართველოს მხარდამჭერი რეზოლუციებისა და განცხადებების მიღება; საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესის მხარდაჭერა; აშშ-სთან სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიით გათვალისწინებული პრიორიტეტების ორმხრივ ხელშეკრულებებში ასახვა და მათი იმპლემენტაცია; აშშ-ის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან თანამშრომლობის ინტენსიფიკაცია; სამომალოდ საქართველოსა და აშშ-ს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების გაფორმების შესაძლებლობა

9. მიზნობრივი მაჩვენებელი - საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობების მქონე ქვეყნების რაოდენობა

10. საბაზისო მაჩვენებელი - 2016 წელი: 58 ხელშეკრულება;
მიზნობრივი მაჩვენებელი - სხვადასხვა სახელმწიფოებთან გაფორმებული ხელშეკრულებები

11. საბაზისო მაჩვენებელი - 72 მისია;
მიზნობრივი მაჩვენებელი - საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების და გადაფარვის ქვეყნების რაოდენობა

12. მიზნობრივი მაჩვენებელი - საერთაშორისო ორგანიზაციების არჩევით სტრუქტურებში საქართველოს კანდიდატურების რაოდენობა

13. მიზნობრივი მაჩვენებელი - საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების მიერ საქართველოს საინვესტიციო და ტურისტული პოტენციალის წარმოსაჩენად განხორციელებული ღონისძიებები - პრეზენტაციები, გამოფენები, ფორუმები, ბიზნეს-დელეგაციების ვიზიტები, თანამშრომლობით დაინტერესებული კომპანიების წინადადებები, მედია-კამპანიები; ორმხრივი ეკონომიკური თანამშრომლობის კომისიების სხდომების ოქმის შესრულება

14. მიზნობრივი მაჩვენებელი - საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების მიერ, სამინისტროს ხელშეწყობით განხორციელებული კულტურული პროექტები, მათ შორის ქართული კულტრული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვის მიმართულებით;იუნესკოს ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები და იუნესკოს მმართველ და დამხმარე ორგანოებში მონაწილეობა; ოკუპირებულ ტერიტორიებზე კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხებთან დაკავშირებით გადადგმული ნაბიჯები

15. მიზნობრივი მაჩვენებელი - საკონსულო სამსახურების მიერ მოქალაქეებისათვის საკონსულო მომსახურება და, ასევე, კრიზისულ ან გადაუდებელ სიტუაციებში გაწეული დახმარების ეფექტიანობის ზრდა; საქართველოს მოქალაქეთათვის საკონსულო მომსახურების ხელმისაწვდომობის ზრდა; საქართველოს მოქალაქეების უცხოეთში ლეგალურად მოგზაურობისა და ყოფნის შესაძლებლობის ზრდა

9.1.2 საერთაშორისო ორგანიზაციებში არსებული ფინანსური ვალდებულებების უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 28 01 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

დაგეგმილი შუალედური შედეგები

- საქართველოს იმიჯის გაუმჯობესება საერთაშორისო არენაზე;
- პოლიტიკური და ეკონომიკური მხარდაჭერის მიღება.

მიღწეული შუალედური შედეგები

- საქართველოს არ გააჩნია ყოველწლიური შენატანის დავალიანება საერთაშორისო ორგანიზაციებში, ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში არსებულ ფონდებსა და სამშვიდობო მისიებში.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

1. მიზნობრივი მაჩვენებელი - საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს ფინანსური თუ სხვა ტიპის ვალდებულებების შესრულება.
მიღწეული მაჩვენებელი - საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს მიერ ფინანსური თუ სხვა ტიპის ვალდებულებები შესრულებულია.

2. მიზნობრივი მაჩვენებელი - საერთაშორისო ორგანიზაციების ეგიდით, საქართველოში განხორციელებული პროექტები.

9.1.3 საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და სხვა დოკუმენტების თარგმნა და დამოწმება (პროგრამული კოდი 28 01 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების თარგმნის ბიურო

დაგეგმილი შუალედური შედეგები

- მთარგმნელებისთვის პერიოდულად პრაქტიკული სემინარების, ტრეინინგების ჩატარება, შესაბამისი სპეციალისტების მოწვევით. შესასრულებელი შეკვეთების რაოდენობის გაზრდა; ხარისხის გაუმჯობესება - შემსრულებელთა კვალიფიკაციისა და პასუხისმგებლობის ამაღლების გზით; თანამედროვე განმარტებითი და ტექნიკური ლექსიკონების, საცნობარო და მეთოდური ლიტერატურის შეძენა (საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების მეშვეობით), თანამედროვე ელექტრონული ლექსიკონების შეძენა და მაღალი ხარისხის თანამედროვე, სინქრონული და ციფრული აპარატურის შეძენა, პრესკონფერენციებისა და სხვა შეხვედრების მაღალი ხარისხით ჩატარება.

მიღწეული შუალედური შედეგები

- გაწეული იქნა ძალისხმევა მთარგმენლთა მუშაობის ხარისხის გასაზრდელად, კვალიფიკაციისა და პასუხისმგებლობის ასამაღლებლად. გადადგმული იქნა ნაბიჯები მათი საქმიანობის გასაუმჯობესებლად თანამდეროვე მატერიალ-ტექნიკური საშუალებების გამოყენებით. გაიზარდა თარგმნილი და დამოწმებული გვერდების ოდენობა.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

1. მიზნობრივი მაჩვენებელი - ბიუროში შემოსული და ნათარგმნი დოკუმენტების კლასიფიკაციის მიხედვით დახარისხება და დაარქივება;
მიღწეული მაჩვენებელი - დახარისხებული და დაარქივებული შემოსული/ნათარგმნი დოკუმენტები.

2. მიზნობრივი მაჩვენებელი - სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაზრდა

3. მიზნობრივი მაჩვენებელი - სათარგმნი მასალების რაოდენობის ზრდა;
მიღწეული მაჩვენებელი - საგარეო საქმეთა სამინისტროს და სხვა ორგანიზაციების დაკვეთით შესრულებული საერთაშორისო ხელშეკრულებების და სხვა დოკუმენტების თარგმნა-დამოწმების რაოდენობა (35 563 გვერდი), სინქრონული თარგმნის საათების რაოდენობა (191 საათი).

4. მიზნობრივი მაჩვენებელი - ბიუროს, კანონით განსაზღვრული არასაბიუჯეტო შემოსავლების გაზრდა. სინქრონული აპარატურით, მაღალი ხარისხის მომსახურება, სხვა კომპანიებთან შედარებით შეღავათიან ფასებში, რის შედეგადაც სახელმწიფო ორგანიზაციებს შეუმცირდებათ საკმაოდ ძვირადღირებული მომსახურება.
მიღწეული მაჩვენებელი - მომსახურების ხარისხი შესაბამისობაშია დამკვეთის მოთხოვნებთან.

10. პრიორიტეტი – სოფლის მეურნეობა

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2017 წლის დაზუსტებული გეგმა	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	2016 წლის ფაქტიური დაფინანსება	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები	მ.შ.საკუთარი სახსრები
37 05	ერთიანი აგროპროექტი	123,503.3	115,804.4	120,765.9	115,613.7	5,152.2
37 07	სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაცია და აგროსექტორის განვითარების ხელშეწყობა	109,810.0	109,810.0	106,518.0	106,518.0	0.0
37 03	მევენახეობა-მეღვინეობის განვითარება	25,166.0	24,458.4	25,040.9	24,357.6	683.3
37 02	სურსათის უვნებლობა, მცენარეთა დაცვა და ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობა	59,702.1	50,997.6	64,397.1	56,752.0	7,645.0
37 01	სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა	12,037.0	12,037.0	11,870.7	11,870.7	0.0
37 04	სოფლის მეურნეობის დარგში სამეცნიერო კვლევითი ღონისძიებების განხორციელება	5,314.0	5,145.0	5,193.7	5,038.0	155.7
37 06	სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის ღონისძიებები	10,742.6	10,742.6	8,948.6	8,948.6	0.0
	სულ	*346,275.1*	*328,995.0*	*342,734.9*	*329,098.7*	*13,636.2*

10.1 ერთიანი აგროპროექტი (პროგრამული კოდი 37 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ააიპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- სოფლის მეურნეობის დარგში ახალი საწარმოების შექმნა;
- სოფლის მეურნეობის საწარმოებისთვის შეღავათიანი აგროკრედიტის ხელმისაწვდომობის ზრდა;
- აგროდაზღვევის განვითარება;
- სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების ზრდა;
- ჩაის წარმოების ზრდა;

მიღწეული საბოლოო შედეგები

- პროექტების განხორციელებამ ხელი შეუწყო იაფი ფულადი რესურსების ხელმისაწვდომობას, რის შედეგადაც შეიქმნა ახალი და გადაიარაღდა არსებული საწარმოები;
- გაიზარდა პირველადი წარმოება;
- აგროდაზღვევის ბენეფიციარების მხრიდან აქტივობა მზარდია, რაც ხელს უწყობს დარგის განვითარებას; რეაბილიტირებულ იქნა ზოგიერთი გაველურებული ჩაის პლანტაციები;
- გაშენდა თანამედროვე ხეხილის ბაღები.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის ინდიკატორი

საბაზისო მაჩვენებელი

- საბაზისო მაჩვენებლები მოცემულია თითოეული ქვეპროგრამის მიხედვით;

მიზნობრივი მაჩვენებელი

- შეღავათიანი აგროკრედიტებით დაფინანსებულ პირთა რაოდენობა;

- ახალი შემნახველი და გადამამუშავებელი საწარმოების რაოდენობა;
- დაზღვეული სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების რაოდენობა;
- გაშენებული მრავალწლიანი კულტურის ბაღების და სანერგე მეურნეობების რაოდენობა; რეაბილიტირებული ჩაის პლანტაციების ფართობი.

მიღწეული მაჩვენებელი

- შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტით საანგარიშო პერიოდში გაცემულია 36 სესხი 4 356.2 ათასი აშშ დოლარი და 2 364 სესხი 276 298.6 ათასი ლარი;
- დასრულდა შპს „მექანიზატორის“ ვალდებულებების დაფარვა;
- 2017 წელს დამტკიცდა 9 პროექტი გადამამუშავებელი საწარმოების კომპონენტში, ჯამური ღირებულება შეადგენს 4 352.0 ათას აშშ დოლარს და 4 257.8 ათას ლარს, საიდანაც თანადაფინანსება შეადგენს - 1 585.5 ათას აშშ დოლარს და 600.0 ათას ლარს. შემნახველ საწარმოთა კომპონენტში დამტკიცდა 3 პროექტი, ჯამური ღირებულებით 4 130.9 ათასი ლარი, საიდანაც თადანაფინანსების მოცულობა შეადგენს - 1 710.3 ათას ლარს;
- პროექტი „დანერგე მომავლი“-ს ფარგლებში საანგარიშო პერიოდში დამტკიცებულია 1 778 ჰექტარზე გასაშენებელი 306 ბაღის პროექტი, სააგენტოს თანადაფინანსება განისაზღვრა 10 082.5 ათასი ლარით;
- პროექტი „ქართული ჩაი“-ს ფარგლებში ხელშეკრულება გაუფორმდა 17 ბენეფიციარს, პლანტაციების ჯამური ფართობი შეადგენს 347 ჰექტარს, თანადაფინანსების მოცულობა 618.6 ათას ლარს;
- აგროდაზღვევის პროგრამის ფარგლებში გაიცა 21 394 პოლისი, დაზღვეული მოსავლის ღირებულება შეადგენს 138 727.4 ათას ლარს, სააგენტოს გადასახდელი პრემიის წილი 7 410.1 ათას ლარს. დაზღვეული მოსავლის ფართობი - 20.7 ათას ჰექტარს.

10.1.1 სოფლის მეურნეობის პროექტების მართვა (პროგრამული კოდი 37 05 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

✓ ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო;

დაგეგმილი შუალედური შედეგები

- ორიენტირებულია სააგენტოს მიერ განსახორციელებელი პროექტების მიზნების გათვალისწინებით მათ მოსალოდნელი შუალედური შედეგების მიღწევაზე

მიღწეული შუალედური შედეგები

- სააგენტოს მიერ განხორციელდა დაგეგმილი პროექტების შესრულება.

10.1.2 შეღავათიანი აგროკრედიტები (პროგრამული კოდი 37 05 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ ააიპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“

დაგეგმილი შუალედური შედეგები

- სოფლის მეურნეობის დარგში ახალი საწარმოების შექმნა და არსებულის გაფართოება;
- სოფლის მეურნეობის საწარმოებისთვის საბანკო კრედიტების გაიაფება და ხელმისაწვდომობის გაზრდა;
- დარგში საბანკო სექტორის მონაწილეობის გაფართოება.

მიღწეული შუალედური შედეგები

- სააგენტოს მიერ პროცენტის სუბსიდირების შედეგად გაიზარდა ფერმერებისათვის შეღავათიან სესხებზე ხელმისაწვდომობა;
- პროექტის განხორციელებით შეიქმნა ახალი საწარმოები და გადაიარაღდა არსებული.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის ინდიკატორი

საბაზისო მაჩვენებელი

- 2013-2016 წლებში სულ გაცემულია 27 572 სესხი და ლიზინგი, მათ შორის: 25 314 სესხი - 759 408.3 ათასი ლარის ოდენობით, 2,258 სესხი - 238 927.6 ათასი აშშ დოლარის ოდენობით.
- პროექტის ფარგლებში 2013-2016 წლებში დაფინანსებულია 138 ახალი და 700-მდე გადაიარაღებული საწარმო.

შენიშვნა: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დაზუსტდა საბაზისო მაჩვენებლები

მიზნობრივი მაჩვენებელი

- 150-მდე ახალი ან არსებული საწარმოს გაფართოება/გადაიარაღება/მოდერნიზება;

მიღწეული მაჩვენებელი

- პროექტის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში გაცემულია 36 სესხი 4 356.2 ათასი აშშ დოლარის და 2 364 სესხი 276 298.6 ათასი ლარის ოდენობით;
- პროექტის დაწყებიდან სულ გაცემულია 29 973 სესხი, მათ შორის:

✓ საბრუნავი საშუალებების კომპონენტისთვის - 469 209.4 ათასი ლარი და 26 125.0 ათასი აშშ დოლარი;
✓ ძირითადი საშუალებების კომპონენტისთვის - 549 954.7 ათასი ლარი და 195 725.9 ათასი აშშ დოლარი;
✓ შეღავათიანი აგროლიზინგი - 3 633.2 ათასი ლარი და 996.6 ათასი აშშ დოლარი;
✓ აწარმოე საქართველოში - 11 841.1 ათასი ლარი და 23 939.6 ათასი აშშ დოლარი;

- საანგარიშო პერიოდში პროექტის ფარგლებში შეიქმნა 15 ახალი და გადაიარაღდა 145 საწარმო.

10.1.3 სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სესხისა და ლიზინგის ვალდებულებების დაფარვა (პროგრამული კოდი 37 05 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

✓ ააიპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“

დასახული შუალედური შედეგები

- გაფორმებული ლიზინგისა და სასესხო ხელშეკრულებების ფარგლებში გადასახდელი თანხის სრულად დაფარვა.

დაგეგმილი შუალედური შედეგები

- დაფარულია ლიზინგისა და სასესხო ხელშეკრულებების ფარგლებში გადასახდელი თანხა.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის ინდიკატორი

საბაზისო მაჩვენებელი

- სესხით და ლიზინგით შეძენილია შემდეგი სახის ტექნიკა: 605 ტრაქტორი; 56 კომბაინი; 1 850 აგრეგატი; 20 სპეცტექნიკა;

მიზნობრივი მაჩვენებელი

- წელს დასრულდება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შესაძენად გაფორმებული ლიზინგისა და სასესხო ხელშეკრულებების ფარგლებში აღებული ვალდებულებების დაფარვა.

მიღწეული მაჩვენებელი

- დაფარულ იქნა გაფორმებული ლიზინგისა და სასესხო ხელშეკრულებების ფარგლებში გადასახდელი თანხა.

10.1.4 აგროდაზღვევის უზრუნველყოფის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 37 05 04)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ ააიპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“

დაგეგმილი შუალედური შედეგები

- აგროსექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარება;
- ფერმერებისათვის შემოსავლების შენარჩუნება და რისკების შემცირება.

მიღწეული შუალედური შედეგები

- პროექტში ჩართულია ყველა მსხვილი სადაზღვევო კომპანია, რითაც ხელი შეეწყო სადაზღვევო ბაზრის განვითარებას;
- ბენეფიციარების მხრიდან აქტივობა მზარდია, შესაბამისად უფრო მეტი ფერმერის რისკები იქნა დაზღვეული.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის ინდიკატორი

საბაზისო მაჩვენებელი

- პროექტის ფარგლებში სულ 2014-2016 წლებში გაცემულია 47 485 პოლისი, სადაზღვევო ლიმიტი შეადგენს 326 842.6 ათას ლარს. დაზღვეული ფართობი შეადგენს 39 139 ჰექტარს.

შენიშვნა: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დაზუსტდა საბაზისო მაჩვენებლები

მიზნობრივი მაჩვენებელი

- 7 000 ჰა-მდე სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე სასოფლო-სამეურნეო კულტურათა დაზღვევა.

მიღწეული მაჩვენებელი

- საანგარიშო პერიოდში გაიცა 21 394 პოლისი, დაზღვეული მოსავლის ღირებულება შეადგენს 138 727.4 ათას ლარს, სააგენტოს გადასახდელი პრემიის წილი 7 410.1 ათას ლარს. დაზღვეული მოსავლის ფართობი - 20 717 ჰექტარს;
- 2014-2017 წლებში აგროდაზღვევის პროგრამის ფარგლებში გაიცა 68 879 პოლისი, დაზღვეული მოსავლის ღირებულებამ შეადგინა 465.570.0 ათასი ლარი, სააგენტოს გადახდილი პრემიის წილი - 29 383.5 ათასი ლარი. დაზღვეული მოსავლის ფართობმა შეადგინა - 59 856 ჰექტარი. ანაზღაურებული ზარალის ოდენობამ - 26 862.8 ათასი ლარი.

10.1.5 დანერგე მომავალი (პროგრამული კოდი 37 05 05)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ ააიპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“

დაგეგმილი შუალედური შედეგები:

- ხილის მოსავლის ზრდა; გადამამუშავებელი მრეწველობის სანედლეულო ბაზის ზრდა; სოფლად მცხოვრებთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება;

მიღწეული შუალედური შედეგები:

- მთელი საქართველოს მასშტაბით გაშენდა ინტენსიური და ნახევრადინტენსიური ბაღები, შეიქმნა სანერგე მეურნეობები, რაც ხელს უწყობს მაღალი ხარისხის მოსავლის მიღებას. გაშენებული ბაღებიდან შემდგომ წლებში მიღებული მოსავლით მნიშვნელოვნად გაიზრდება ხილის წარმოება და გადამამუშავებელი მრეწველობის სანედლეულო ბაზა, რაც თავისთავად ხელს შეუწყობს სოფლად მცხოვრებთა სოციალუ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის ინდიკატორი

საბაზისო მაჩვენებელი:

- სულ 2015-2016 წელს დამტკიცდა 386 პროექტი ბაღების კომპონენტში და 2 პროექტი სანერგეების კომპონენტში. გასაშენებელი ბაღებისა და სანერგეების ფართობი კი ჯამში შეადგენს 2 531 ჰექტარს.

შენიშვნა: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დაზუსტდა საბაზისო მაჩვენებლები

მიზნობრივი მაჩვენებელი

- 1000 ჰექტრამდე მრავალწლოვანი კულტურის თანამედროვე ტიპის ახალი, ინტენსიური და ნახევრადინტენსიური ბაღები. სავარაუდოდ 5 ახალი სანერგე მეურნეობა;

მიღწეული მაჩვენებელი

- საანგარიშო პერიოდში დამტკიცებულია 1 778 ჰექტარზე გასაშენებელი 306 ბაღის პროექტი, სააგენტოს თანადაფინანსება განისაზღვრა 10 082.5 ათასი ლარით. სანერგეებს, სააგენტოსგან დამოუკიდებელი მიზეზებით (2017 წელს ბენეფიციარების მხრიდან მოთხოვნა არ იყო), ვერ განხორციელდა ვერცერთი პროექტის დაფინანსება. სულ 2015-2017 დამტკიცდა 692 განაცხადი, საიდანაც 2 სანერგე მეურნეობის კომპონენტის ფარგლებში. ბაღების საერთო ფართობი შეადგენს დაახლოებით 4 289 ჰექტარს (საიდანაც უკვე გაშენებულია 3 592 ჰექტარი), თანადაფინანსების ოდენობა 22 186.3 ათას ლარს. სანერგე მეურნეობის ფართობი შეადგენს 4 ჰექტარს, თანადაფინანსება - 85 529 ლარს.

10.1.6 ქართული ჩაი (პროგრამული კოდი 37 05 06)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ ააიპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“

დაგეგმილი შუალედური შედეგები

- ბიო და ორგანული ჩაის წარმოებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა;

მიღწეული შუალედური შედეგები

- პროექტის ფარგლებში განხორციელდა ბენეფიციარებისთვის ხელსაყრელი პირობების შეთავაზება, რაც აისახა პროექტის მიმართ ცნობადობის გაზრდაზე და შესაბამისად განაცხადების ოდენობაზე. რეაბილიტაცია ჩატარდა 300 ჰექტარზე მეტ ჩაის პლანტაციებზე.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის ინდიკატორი

საბაზისო მაჩვენებელი

- 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დამტკიცებულია 9 პროექტი, ჯამური ღირებულებით 707.7 ათასი ლარი, საიდანაც სახელმწიფოს თანადაფინანსება შეადგენს 506.6 ათას ლარს. სულ სარეაბილიტაციო ფართობი შეადგენს 284 ჰექტარს.

შენიშვნა: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დაზუსტდა საბაზისო მაჩვენებლები

მიზნობრივი მაჩვენებელი

- სავარაუდო რეაბილიტირებული ფართობი - 250 ჰექტრამდე.

მიღწეული მაჩვენებელი

- 2016-2017 წლებში პროექტის ფარგლებში გაფორმდა 27 ხელშეკრულება. პლანტაციების ჯამური ფართობი შეადგენს 595 ჰექტარს, რეაბილიტაციის ჯამური ღირებულება - 1 504.7 ათას ლარს, საიდანაც სააგენტოს თანადაფინანსებაა - 1 062.5 ათასი ლარი;
- პროექტის ფარგლებში გაფორმდა 18 ხელშეკრულება. პლანტაციების ჯამური ფართობი შეადგენს 347 ჰექტარს, რეაბილიტაციის ჯამური ღირებულება 886.6 ათას ლარს, საიდანაც სააგენტს თანადაფინანსებაა 618.6 ათასი ლარი.

10.1.7 სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 37 05 07)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ ააიპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“

დაგეგმილი შუალედური შედეგები

- ადგილობრივი პროდუქციის შენახვისა და გადამუშავების მაჩვენებლის ზრდა.
- ახლად შექმნილ საწარმოებში დასაქმებულთა რაოდენობის ზრდა;

მიღწეული შუალედური შედეგები

- ახლადშექმნილ საწარმოებთან ერთად გაიზარდა როგორც ადგილობრივი პროდუქციის გადამუშავება, აგრეთვე დასაქმებულთა რაოდენობა.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის ინდიკატორი

საბაზისო მაჩვენებელი

- დასრულებულია და ფუნქციონირებს 16 ახალი საწარმო;

მიზნობრივი მაჩვენებელი

- 8 ახალი საწარმოს შექმნა.

მიღწეული მაჩვენებელი

- პროექტის ფარგლებში 2014-2017 წლებში ბენეფიციარების მიერ წარმოდგენილი პროექტებიდან დამტკიცებულია 40 პროექტი გადამამუშავებელ საწარმოთა კომპონენტში, ჯამური ღირებულებით 24 217.8 ათასი აშშ დოლარი და 4 257.8 ათასი ლარი, საიდანაც სახელმწიფო თანადაფინანსება შეადგენს 8 798.1 ათასი აშშ დოლარს და 600.0 ათას ლარს. შემნახველ საწარმოთა კომპონენტში ხელშეკრულება გაფორმდა 6 ბენეფიციართან, პროექტების ჯამური ღირებულებაა 1 759.1 ათასი აშშ დოლარი და 4 130.9 ათსი ლარი, საიდანაც თადანაფინანსების მოცულობა შეადგენს - 689.5 ათას აშშ დოლარს და 1 710.3 ათას ლარს. აღნიშნული მონაცემებიდან 2017 წელს დამტკიცდა 9 პროექტი გადამამუშავებელი საწარმოების კომპონენტში და პროექტის ჯამური ღირებულება შეადგენს 4 352.0 ათას აშშ დოლარს და 4 257.8 ათას ლარს, ხოლო თანადაფინანსება - 1 585.5 ათას აშშ დოლარს და 600.0 ათას ლარს. შემნახველ საწარმოთა კომპონენტის ფარგლებში დამტკიცდა 3 პროექტი, ჯამური ღირებულებით - 4 130.9 ათსი ლარი, საიდანაც სახელმწიფო თანადაფინანსებამ შეადგინა - 1 710.3 ათასი ლარი.
- პროექტის ფარგლებში პროექტის დაწყებიდან გაიხსნა 29 ახალი საწარმო, საიდანაც 2017 წელს გაიხსნა 9 ახალი საწარმო.

10.2 სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაცია და აგროსექტორის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 37 07)

პროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალური აპარატი,
- ✓ ააიპ „სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო“,
- ✓ შპს „საქართველოს მელიორაცია“

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- სარწყავი და დამშრობი ინფრასტრუქტურის განვითარება;
- სარწყავი მიწების წყლით უზრუნველყოფის გაუმჯობესება;
- ფერმერთა კვალიფიკაციის ამაღლება;
- ფერმერთა მიერ წარმოებული პროდუქციის ზრდა და ხარისხის გაუმჯობესება;

მიღწეული საბოლოო შედეგები

- საანგარიშო პერიოდში სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობდა 98 ობიექტზე, სამუშაოები დასრულდა - 55 ობიექტზე, მათ შორის საირიგაციო სისტემების - 42 პროექტზე, ხოლო დამშრობ სისტემების 13 პროექტზე. ზემოაღნიშნული ღონისძიებების განხორციელებამ განაპირობა წყლის რესურსების ეფექტური და ეკონომიური გამოყენება, დაშრობილი და გასარწყავებული ფართობების ზრდა და სარწყავი მიწების წყლით უზრუნველყოფის გაუმჯობესება;
- კვალიფიკაცია ამაღლებული ფერმერები, ფერმერთა ჯგუფების და აგრობიზნესის მიერ წარმოებული პროდუქციის ზრდა და ხარისხის გაუმჯობესება, სოფლად განვითარებული ინფრასტრუქტურა.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის ინდიკატორი

საბაზისო მაჩვენებელი

- 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რეგულარული სარწყავი ფართობი შეადგენდა (სარწყავი მიწის ფართობი, რომელზეც შესაძლებელია რეგულარული წყლის მიწოდება საირიგაციო სისტემების მეშვეობით) - 111,8 ათას ჰექტარს, ხოლო დაშრობილი მიწის ფართობი - 34.4 ჰექტარს.
- სამელიორაციო ინფრასტრუქტურის სრული რეაბილიტაციის პირობებში, სამელიორაციო სისტემების მეშვეობით (ამ სისტემებზე ჩამოკიდებული ფართობების მაჩვენებლებიდან გამომდინარე) შესაძლებელი იქნება: ა) სარწყავი წყლის გარანტირებული მიწოდება სავარაუდოდ 364 355 ჰექტარ ფართობზე. მათ შორის 277 240 ჰექტარზე თვითდინებით და 87 110 ჰექტარზე მექანიკური სისტემებით. ბ) მიწების დაშრობა სავარაუდოდ 105 000 ჰექტარ ფართობზე. მათ შორის 27 170 ჰექტარზე მექანიკური წესით.

შენიშვნა: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დაზუსტდა საბაზისო მაჩვენებლები

მიზნობრივი მაჩვენებელი

- პირობითი სარწყავი მიწების კატეგორიიდან რეგულარულ სარწყავი მიწების კატეგორიაში გადასული 11 470 ჰექტრამდე მიწის ფართობი;

- არსებულ-რეგულარულ სარწყავ ფართობზე წყლის მიწოდების გაუმჯობესება დაახლოებით 3 950 ჰექტრამდე;
- სარწყავი მიწების წყლით უზრუნველყოფის გაუმჯობესება დაახლოებით 9 215 ჰექტარზე;
- ახალი სარწყავი მიწების ათვისება დაახლოებით 185 ჰექტარზე;
- რეაბილიტირებული საპროექტო დაშრობილი ფართობი დაახლოებით 1 350 ჰექტარზე;
- დაშრობილი ფართობებიდან ჭარბი წყლის მოცილება დაახლოებით 940 ჰექტარზე;
- ორი მაგისტრალური არხის რეაბილიტაციის დასრულება;
- 50-მდე (15,000 აშშ დოლარის) მცირე ზომის და 10-მდე დიდი ზომის (75,000 აშშ დოლარის) გრანტების გაცემა;
- 4 სადემონსტრაციო ნაკვეთის მოწყობა; 400 მდე ფერმერისათვის სხვადასხვა სახის სწავლების ჩატარება. სოფლის ინფრასტრუქტურის (ხიდი, გზა) 4 ობიექტის რეაბილიტაცია და 2 მიწის აღდგენითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოს განხორციელება.

მიღწეული მაჩვენებელი

- პირობითი სარწყავი მიწების კატეგორიიდან რეგულარულ სარწყავი მიწების კატეგორიაში გადასული 8,2 ჰა- მდე მიწის ფართობი;
- არსებულ რეგულარულ სარწყავ ფართობზე წყლის მიწოდების გაუმჯობესება და სარწყავი მიწების წყლით უზრუნველყოფის გაუმჯობესება დაახლოებით 17 5000 ჰექტარზე;
- ახალი სარწყავი მიწების ათვისება დაახლოებით 440 ჰექტარზე;
- მიწის ფართობების დაშრობა დაახლოებით 2 500 ჰექტარზე;
- დაშრობილი ფართობებიდან ჭარბი წყლის მოცილება დაახლოებით 2 900 ათას ჰექტარზე;
- საირიგაციო სისტემებზე საერთო შედეგი საბაზისო ჰექტრების გათვალისწინებით 120 400 ჰექტარი;
- დამშრობი სისტემების არეალში საერთო შედეგი საბაზისო ფართობების გათვალისწინებით - 36 900 ჰექტარი მიწის ფართობის დაშრობა.
- გაცემულია 112 მცირე და დიდი გრანტი (108 პირველადი წარმოებისათვის და 4 გადამამუშავებელი საწარმოსთვის);
- მოეწყო 5 სადემონსტრაციო ნაკვეთი, სწავლება ჩაუტარდა 790 ფერმერს;
- დასრულდა სენაკისა (სოფლების: ძველი სენაკი, ბეთლემი და უშაფათი) და მარტვილის (სოფლების: ნაგვაზაო, აბედათი, ჯოლევი) მუნიციპალიტეტებში სოფლის გზებისა და ხიდების მშენებლობა/რეაბილიტაცია;
- დასრულდა კახეთის რეგიონში, გურჯაანის მუნიციპალიტეტში, სოფელ ჩუმლაყში ლანშაფტის აღდგენის სამუშაოები (ნაპირსამაგრი). მიმდინარეობდა კახეთის რეგიონში, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში, სოფელ გიორგეთში, მდინარე კაბალის ნაპირსამაგრი სამუშაოები.

10.2.1 სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია და ტექნიკის შეძენა (პროგრამული კოდი 37 07 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ შპს „საქართველოს მელიორაცია“

დაგეგმილი შუალედური შედეგები

- რეგულარული სარწყავი მიწის ფართობის ზრდა; წყლის რესურსების ეფექტური და ეკონომიური გამოყენება; სარწყავი მიწების წყლით უზრუნველყოფის გაუმჯობესება; სარწყავი მიწების მელიორაციული მდგომარეობის გაუმჯობესება; დაშრობილი მიწის ფართობის ზრდა; სამელიორაციო ინფრასტრუქტურის განვითარება.

მიღწეული შუალედური შედეგები

- საანგარიშო პერიოდში სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობდა 98 ობიექტზე, დასრულდა 55 ობიექტზე, მათ შორის საირიგაციო სისტემებზე 42, ხოლო დამშრობ სისტემებზე 13 პროექტი. ზემოაღნიშნული ღონისძიებების განხორციელებამ განაპირობა წყლის რესურსების ეფექტური და ეკონომიური გამოყენება, დაშრობილი და გასარწყავებული ფართობების ზრდა და სარწყავი მიწების წყლით უზრუნველყოფის გაუმჯობესება.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის ინდიკატორი

საბაზისო მაჩვენებელი

- 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რეგულარული სარწყავი ფართობი შეადგენდა (სარწყავი მიწის ფართობი, რომელზეც შესაძლებელია რეგულარული წყლის მიწოდება საირიგაციო სისტემების მეშვეობით) - 111,8 ათასი ჰექტარს, ხოლო დაშრობილი მიწის ფართობი - 34.4 ჰექტარს.
- სამელიორაციო ინფრასტრუქტურის სრული რეაბილიტაციის პირობებში, სამელიორაციო სისტემების მეშვეობით (ამ სისტემებზე ჩამოკიდებული ფართობების მაჩვენებლებიდან გამომდინარე) შესაძლებელი იქნება: ა) სარწყავი წყლის გარანტირებული მიწოდება სავარაუდოდ 364 355 ჰექტარ ფართობზე (მათ შორის 277 240 ჰექტარზე თვითდინებითი და 87 110 ჰექტარზე მექანიკური სისტემებით), ბ) მიწების დაშრობა სავარაუდოდ 105 000 ჰექტარ ფართობზე (მათ შორის 27 170 ჰექტარზე მექანიკური წესით);

შენიშვნა: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დაზუსტდა საბაზისო მაჩვენებლები

მიზნობრივი მაჩვენებელი

- პირობითი სარწყავი მიწების კატეგორიიდან რეგულარულ სარწყავი მიწების კატეგორიაში გადასული 11 470 ჰექტრამდე მიწის ფართობი;
- არსებულ-რეგულარულ სარწყავ ფართობზე წყლის მიწოდების გაუმჯობესება დაახლოებით 1 550 ჰექტრამდე;

- სარწყავი მიწების წყლით უზრუნველყოფის გაუმჯობესება დაახლოებით 9 215 ჰექტრამდე;
- ახალი სარწყავი მიწების ათვისება დაახლოებით 185 ჰექტრამდე;
- რეაბილიტირებული საპროექტო დაშრობილი ფართობი დაახლოებით 1 350 ჰექტრამდე;
- დაშრობილი ფართობებიდან ჭარბი წყლის მოცილება დაახლოებით 940 ჰექტარზე.

მიღწეული მაჩვენებელი

- პირობითი სარწყავი მიწების კატეგორიიდან რეგულარულ სარწყავი მიწების კატეგორიაში გადასული 8,2 ათ. ჰა მდე მიწის ფართობი;
- არსებულ რეგულარულ სარწყავ ფართობზე წყლის მიწოდების გაუმჯობესება და სარწყავი მიწების წყლით უზრუნველყოფის გაუმჯობესება დაახლოებით 17.5 ათასი ჰექტაზე;
- ახალი სარწყავი მიწების ათვისება დაახლოებით 0.44 ათასი ჰექტაზე;
- მიწის ფართობების დაშრობა დაახლოებით 2.5 ათასი ჰექტაზე;
- დაშრობილი ფართობებიდან ჭარბი წყლის მოცილება დაახლოებით 2.9 ათასი ჰექტაზე;
- საირიგაციო სისტემებზე საერთო შედეგი საბაზისო ჰექტრების გათვალისწინებით: 120.4 ათასი ჰექტარი;
- დამშრობი სისტმების არეალში საერთო შედეგი საბაზისო ფართობების გათვალისწინებით: 36.9 ათასი ჰექტარი მიწის ფართობის დაშრობა.

განმარტება დაგეგმილსა და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებაზე:

პროექტი ,,მარნეულის მუნიციპალიტეტში არსებული ახალი სადახლოს სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის აღდგენა-რეაბილიტაციის (II რიგი) სამუშაოები (ინდიკატორი-რეგულარული სარწყავი ფართობის ზრდა 2 961 ჰა) დასრულების სტადიაშია, დასრულდება 2018 წლის პირველ კვარტალში. და რატომ ვერ დასრულდა თუ იყო გათვალისწინებული მისი დასრულება

10.2.2 სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მიმდინარე ტექნიკური რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 37 07 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ შპს „საქართველოს მელიორაცია“

დაგეგმილი შუალედური შედეგები

- რეგულარული სარწყავი მიწის ფართობის ზრდა, წყლის რესურსების ეფექტური და ეკონომიური გამოყენება, სარწყავი მიწების წყლით უზრუნველყოფის გაუმჯობესება, სარწყავი მიწების მელიორაციული მდგომარეობის გაუმჯობესება, დაშრობილი მიწის ფართობის ზრდა, სამელიორაციო ინფრასტრუქტურის განვითარება.

მიღწეული შუალედური შედეგები

- საანგარიშო პერიოდში სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობდა 98 ობიექტზე, დასრულდა 55 ობიექტზე, მათ შორის საირიგაციო სისტემებზე 42, ხოლო დამშრობ სისტემებზე 13 პროექტი. ზემოაღნიშნული ღონისძიებების განხორციელებამ განაპირობა წყლის რესურსების ეფექტური და ეკონომიური გამოყენება, დაშრობილი და გასარწყავებული ფართობების ზრდა და სარწყავი მიწების წყლით უზრუნველყოფის გაუმჯობესება.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის ინდიკატორი

საბაზისო მაჩვენებელი

- სამელიორაციო ინფრასტრუქტურის ტექნიკური ექსპლუატაციის წესებით განსაზღვრული ღონისძიებების გატარების შედეგად 2016 წლის შედეგებით გაიწმინდა და მოწესრიგდა 1 638 კილომეტრი საირიგაციო და სადრენაჟე არხი, შეკეთდა 24 კილომეტრი მილსადენი. გარემონტდა და ახლით შეიცვალა 1 716 ერთეული სხვადასხვა ჰიდროტექნიკური ნაგებობა. მექანიკური სატუმბი სადგურები და ჰიდროტექნიკური ნაგებობები უზრუნველყოფილი იყო ფუნქციონირებისათვის საჭირო ელექტრო ენერგიით.

შენიშვნა: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დაზუსტდა საბაზისო მაჩვენებლები

მიზნობრივი მაჩვენებელი

- ტექნიკური ექსპლუატაციის ღონისძიებების განხორციელების შედეგად გაწმენდილი სავარაუდოდ - 1150 კილომეტრი სიგრძის სარწყავი და სადრენაჟო არხი;შეკეთებული ან შეცვლილი სავარაუდოდ 100 კმ მილსადენი; შეკეთებული მსხვილი ჰიდროტექნიკური ნაგებობა (კაშხალი, დიუკერი, აკვედუკი, გალერეა, გვირაბი, სათავე ნაგებობა), სავარაუდოდ 80 ერთეული; სავარაუდოდ 1500 სხვადასხვა ჰიდროტექნიკური ერთეულის რემონტი ან შეცვლა ახლით (ფარები, ურდულები, წყალგამყოფი კვანძები, ტუმბოები, ელექტრო და მექანიკური მოწყობილობები და სხვა);

მიღწეული მაჩვენებელი

- ტექნიკური ექსპლუატაციის ღონისძიებების ფარგლებში გაიწმინდა/მოწესრიგდა 2 042 კილომეტრი სიგრძის სარწყავი და სადრენაჟო არხი;შეკეთებულია ან შეცვლილია 29 კმ მილსადენი;
- შეკეთებულია მსხვილი ჰიდროტექნიკური ნაგებობა (კაშხალი, დიუკერი, აკვედუკი, გალერეა, გვირაბი, სათავე ნაგებობა), 74 ერთეული;

- განხორციელდა 2 906 სხვადასხვა ჰიდროტექნიკური ერთეულის რემონტი ან შეცვლა ახლით (ფარები, ურდულები, წყალგამყოფი კვანძები, ტუმბოები, ელექტრო და მექანიკური მოწყობილობები და სხვა);

10.2.3 ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების გაუმჯობესება (WB) (პროგრამული კოდი 37 07 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალური აპარატი

დაგეგმილი შუალედური შედეგები

- რეგულარული სარწყავი მიწის ფართობის ზრდა;
- სარწყავი მიწების წყლით უზრუნველყოფის გაუმჯობესება;
- სამელიორაციო ინფრასტრუქტურის განვითარება;
- შპს "საქართველოს მელიორაციის" ინსტიტუციონალური გაძლიერება.

მიღწეული შუალედური შედეგები

- საირიგაციო არხების რეაბილიტაციის დასრულების შემდეგ გაუმჯობესებულ იქნება სარწყავი მიწების წყლით უზრუნველყოფა და გაიზრდება გასარწყავებული მიწის ფართობი.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის ინდიკატორი

საბაზისო მაჩვენებელი

- 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რეგულარული სარწყავი ფართობი შეადგენდა (სარწყავი მიწის ფართობი, რომელზეც შესაძლებელია რეგულარული წყლის მიწოდება საირიგაციო სისტემების მეშვეობით) - 111,8 ათასი ჰა-ს, ხოლო დაშრობილი მიწის ფართობი - 34.4 ჰა.
- სამელიორაციო ინფრასტრუქტურის სრული რეაბილიტაციის პირობებში, სამელიორაციო სისტემების მეშვეობით (ამ სისტემებზე ჩამოკიდებული ფართობების მაჩვენებლებიდან გამომდინარე) შესაძლებელი იქნება: ა) სარწყავი წყლის გარანტირებული მიწოდება

სავარაუდოდ 364 355 ჰექტარ ფართობზე. მათ შორის 277 240 ჰა თვითდინებითი და 87 110 ჰა მექანიკური სისტემებით. ბ) მიწების დაშრობა სავარაუდოდ 105 000 ჰექტარ ფართობზე. მათ შორის 27 170 ჰა მექანიკური წესით.

შენიშვნა: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დაზუსტდა საბაზისო მაჩვენებლები

მიზნობრივი მაჩვენებელი

- პროექტის შედეგად 2017 წელს დასრულდება ორი მაგისტრალური არხის რეაბილიტაცია, რომლის შედეგად დამატებით მოირწყვება 12 000 ჰა ფართობი, დამატებით 10 000 კომლისათვის ხელმისაწვდომი გახდება სარწყავი წყალი.

მიღწეული მაჩვენებელი

- მიმდინარეობდა სამშენებლო სამუშაოები შემდეგი საირიგაციო სისტემების რეაბილიტაციაზე:

✓ ზედა რუს სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის, „არაშენდას“ შტოს და პირველი რიგის გამანაწილებელ არხებზე ჰიდროტექნიკური ნაგებობების მოწყობა და რეაბილიტაცია ქარელის მუნიციპალიტეტში, მოცემული სარეაბილიტაციო სისტემის ფარგლებში რეაბილიტირებულია 7 კილომეტრი მაგისტრარული არხი. პროექტის ფარგლებში იგეგმება 20 კილომეტრინი არხის რეაბილიტაცია.

✓ ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის მარჯვენა მაგისტრალური არხის და სათავე ნაგებობის ელექტრო-მექანიკური მოწყობილობების რეაბილიტაცია საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, მოცემული სარეაბილიტაციო სისტემის ფარგლებში რეაბილიტირებულია 10 კილომეტრიანი მაგისტრალური არხი. სულ დაგეგმილია 25 კილომეტრიანი არხის რეაბილიტაცია.

✓ ტბისი-კუმისის სარწყავი სისტემის ალგეთის წყალსაცავის კაშხლის და ჰიდროტექნიკური ნაგებობების მონიტორინგის სისტემის აღდგენა, მაგისტრალური არხის, „ხაიშის“ და „მარაბდის“ მასივებზე წყალგამყვანი მილსადენების რეაბილიტაცია, მოცემულ სარეაბილიტაციო სისტემაზე რეაბილიტირებულია 23 კილომეტრიანი არხი.

- მთელი პროექტის ფარგლებში იგეგმება 46 კილომეტრიანი არხის რეაბილიტაცია. ჯამურად, განხორციელებული სარეაბილიტაციო საქმიანობის ფარგლებში რეაბილიტირებულია 40 კილომეტრიანი არხი.
- განხორციელდა სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტირება ალგეთის და სიონის კაშხლების უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით. მოცემული ღონისძიების ფარგლებში გამოცხადდა ტენდერი.
- შემუშავდა და დამტკიცდა ირიგაციის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რაც საქართველოს მელიორაციის ინსტიტუციონაური გაძლიერების ერთერთი ძირითადი და მნიშვნელოვანი კომპონენტია.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

- აღნიშნული სარეაბულიტაციო სამუშაოები ვერ დასრულდა 2017 წლის ბოლოს და დასრულდება 2018 წლის მაისის ბოლომდე, რაც გავლენას არ მოახდენს 2018 წლის სარწყავი სეზონის დაწყებაზე (ივნისის დასაწყისი).
  სარეაბილიტაციო სამუშაოების გახანგრძლივების ძირითადი მიზეზებია:

✓ დეტალურ საინჟინრო პროექტებში მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანა, რაც გამოწვეული იყო პროექტებში ბევრი უზუსტობებით;

✓ სარწყავი არხების გასხვისების ზოლების არ არსებობა, რის გამოც საჭირო გახდა ადგილობრივ მოსახლეობასთან და ადგილობრივ თვითმართველობასთან დამატებითი შეთანხმებები;

10.2.4 სოფლის მეურნეობის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მდგრადობის პროექტი (GEF, IFAD) (პროგრამული კოდი 37 07 04)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალური აპარატი

დაგეგმილი შუალედური შედეგები

- ფერმერთა კვალიფიკაციის ამაღლება;
- მცირე ფერმერების, ფერმერთა ჯგფების და აგრობიზნესის მიერ წარმოებული პროდუქციის ზრდა და ხარისხის გაუმჯობესება;
- სარწყავი მიწების წყლით უზრუნველყოფის გაუმჯობესება;
- სოფლის ინფრასტრუქტურის განვითარება.

მიღწეული შუალედური შედეგები

- კვალიფიკაცია ამაღლებული ფერმერები, ფერმერთა ჯგფების და აგრობიზნესის მიერ წარმოებული პროდუქციის ზრდა და ხარისხის გაუმჯობესება, სოფლად განვითარებული ინფრასტრუქტურა.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის ინდიკატორი

საბაზისო მაჩვენებელი

- 2016 წელს მომზადდა 4 სადემონსტრაციო ნაკვეთი, სწავლება ჩაუტარდა 105 ფერმერს და სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების 69 თანამშრომელს. დამტკიცდა 6 საგრანტო განაცხადი (პროექტი დაიწყო 2016 წელს).

შენიშვნა: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დაზუსტდა საბაზისო მაჩვენებლები

მიზნობრივი მაჩვენებელი

- 2 400 ჰექტარზე გაუმჯობესდება სარწყავი წყლის მიწოდება, გაიცემა 50-მდე (15 000 აშშ დოლარის) მცირე ზომის გრანტები პირველადი წარმოებისათვის და 10-მდე დიდი ზომის (75 000 აშშ დოლარის) გრანტი აგრობიზნესისთვის. მოეწყობა 4 სადემონსტრაციო ნაკვეთი; 400 მდე ფერმერისათვის ჩატარდება სხვადასხვა სახის სწავლება. ასევე ჩატარდება სოფლის ინფრასტრუქტურის (ხიდი, გზა) 4 ობიექტის რეაბილიტაცია და 2 მიწის აღდგენითი (ნაპირსამაგრი) სამუშაო.

მიღწეული მაჩვენებელი

- რეაბილიტირებული ფართობი ჯამში შეადგენს 2 600 ჰექტარს.
- გაცემულია 112 მცირე და დიდი გრანტი (108 პირველადი წარმოებისათვის და 4 გადამამუშავებელი საწარმოსთვის);
- მოეწყო 5 სადემონსტრაციო ნაკვეთი, სწავლება ჩაუტარდა 790 ფერმერს;
- დასრულდა სენაკისა (სოფლების: ძველი სენაკი, ბეთლემი და უშაფათი) და მარტვილის (სოფლების: ნაგვაზაო, აბედათი, ჯოლევი) მუნიციპალიტეტებში სოფლის გზებისა და ხიდების მშენებლობა/რეაბილიტაცია;
- დასრულდა: კახეთის რეგიონში, გურჯაანის მუნიციპალიტეტში, სოფელ ჩუმლაყში ლანშაფტის აღდგენის სამუშაოები (ნაპირსამაგრი);
- მიმდინარეობდა: კახეთის რეგიონში, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში, სოფელ გიორგეთში, მდინარე კაბალის ნაპირსამაგრი სამუშაოები.

10.2.5 ზემო სამგორის სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია (ORIO) (პროგრამული კოდი 37 07 05)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალური აპარატი

დაგეგმილი შუალედური შედეგები

- რეგულარული სარწყავი მიწის ფართობის ზრდა;
- სარწყავი მიწების წყლით უზრუნველოყოფის გაუმჯობესება;
- სამელიორაციო ინფრასტრუქტურის განვითარება.

მიღწეული შუალედური შედეგები

- პროექტის პირველი ფაზა - პროექტირება და კვლევები.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის ინდიკატორი

საბაზისო მაჩვენებელი

- სავარაუდოდ 30.0 ათას ჰექტრამდე ფართობის წყალუზრუნველყოფა, აქედან რეგულარული სარწყავი ფართობის ზრდა სავარაუდოდ 22.0 ათას ჰექტარზე. (დაზუსტებული მონაცემები განისაზღვრება პროექტირების დასრულების ეტაპზე);
- 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რეგულარული სარწყავი ფართობი შეადგენს (სარწყავი მიწის ფართობი, რომელზეც შესაძლებელია რეგულარული წყლის მიწოდება საირიგაციო სისტემების მეშვეობით) - 111,8 ათასი ჰექტარს, ხოლო დაშრობილი მიწის ფართობი - 34.4 ჰექტარს;
- სამელიორაციო ინფრასტრუქტურის სრული რეაბილიტაციის პირობებში, სამელიორაციო სისტემების მეშვეობით (ამ სისტემებზე ჩამოკიდებული ფართობების მაჩვენებლებიდან გამომდინარე) შესაძლებელი იქნება: ა) სარწყავი წყლის გარანტირებული მიწოდება სავარაუდოდ 364 355 ჰექტარ ფართობზე. მათ შორის 277 240 ჰექტარზე თვითდინებით და 87 110 ჰჰექტარზე მექანიკური სისტემებით. ბ) მიწების დაშრობა -სავარაუდოდ 105 000 ჰექტარ ფართობზე. მათ შორის 27 170 ჰექტარზე მექანიკური წესით.

შენიშვნა: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დაზუსტდა საბაზისო მაჩვენებლები

მიზნობრივი მაჩვენებელი

- პროექტის პირველი ფაზის პროექტირებისა და კვლევების დასრულება და მეორე(მშენებლობის) ეტაპის დაწყება.

მიღწეული მაჩვენებელი

- 2017 წელს გრძელდებოდა პროექტის განხორციელების პირველი (განვითარების) ფაზა - კვლევები და პროექტირება. დასრულებულია:

✓ „შედეგი 2 - გარემოზე სოციალური ზემოქმედების შეფასება და გარემოს დაცვის და სოციალური მართვის გეგმა";

✓ შედეგი 3 - ფინანსური და ეკონომიკური კვლევა"; მიღებულია: ზემო სამგორის სარწყავი სისტემის არეალში კომლების აღწერისა და მიწათმფლობელობის შეფასების საბოლოო, გარემოსა და სოციალური სფეროზე ზემოქმედების შეფასების, ფინანსური და ეკონომიკური კვლევის ანგარიშები.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

დონორმა ორგანიზაციამ და ჰოლანდიური საკონსლუტაციო კომპანიის Maatwerk van Monfort B.V-ის წარმომადგენელმა ბატონმა იან ვან მონფორტმა ვიდეო კონფერენციებისა და ელექტრონული მიმოწერის დროს მოითხოვეს დაურეგისტრირებელი მიწების პოტენციური მესაკუთრეების იდენტიფიკაცია (აღწერა).

S.C. EPTISA Romania S.R.L-მა წარმოადგინა კომლების აღწერისა და მიწათმფლობელობის შეფასების საბოლოო ანგარიში, რომელიც განიხილა და მოიწონა ნიდერლანდების გარემოს დაცვის შეფასების კომისიამ (NCEA), საკონსლუტაციო კომპანია Maatwerk van Monfort B.V-ის წარმომადგენელმა და დონორმა ორგანიზაციამ.

ზემო სამგორის სარწყავი სისტემის მიმდებარედ მიწების რეგისტრაციის დოკუმენტაციის დაზუსტებამ წარმოაჩინა, რომ მიწების 1/3-ზე მეტი დაურეგისტრირებელია და შესაბამისად არ არიან იდენტიფიცირებული მესაკუთრეები.

ვინაიდან კომლების აღწერისა და მიწათმფლობელობის შეფასების საბოლოო ანგარიში იყო გარემოსა და სოციალურ სფეროზე ზეგავლენის შეფასების, გარემოს დაცვის და სოციალური მართვის გეგმის მნიშვნელობანი შემადგენელი ნაწილი, ამ გეგმის წარმოდგენის ვადებმა რამოდენიმეჯერ გადაიწია. გარემოსა და სოციალურ სფეროზე ზეგავლენის შეფასების და გარემოს დაცვის და სოციალური მართვის გეგმაზე (შედეგი 2) მუშაობა გაგრძელდა 2017 წლის სექტემბრიდან და დასრულდა 2017 წლის ნოემბრის ბოლოს. რაც შეეხება ფინანსურ და ეკონომიკურ კვლევას (შედეგი 3), მასზე პარალელურ რეჟიმში გაგრძელდა მუშაოდა 2017 წლის აგვისტოდან და დასრულდა ასევე 2017 წლის ნოემბრის ბოლოს. ჰოლანდიურმა მხარემ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება პროექტის შემდგომი დაფინანსების თაობაზე, ადგილის კვლევაზე (შედეგი 1), გარემოსა და სოციალურ სფეროზე ზეგავლენის შეფასების და გარემოს დაცვის და სოციალური მართვის გეგმაზე (შედეგი 2) და ფინანსური და ეკონომიკური კვლევაზე (შედეგი 3) დაყრდნობით, შესაბამისად დონორმა ორგანიზაციამ ამ გადაწყვეტილების მიღების ვადად განსაზღვრა 2018 წლის მარტი.
ვერ იქნა მიღწეული ქვეპროგრამით 2017 წელს გათვალისწინებული ,,შედეგი 4 - დეტალური საინჟინრო პროექტის მომზადება“. სამიზნე ნიშნულს ვერ მიღწევის მიზეზებია: კომლების აღწერისა და მიწათმფლობელობის შეფასების პროცესმა გამოიწვია პროექტის გახანგრძლივება 9 თვის ვადით. S.C. EPTISA Romania S.R.L-ამ ცვლილება განახორციელა ფინანსური და ეკონომიკური კვლევის (შედეგი3) ექსპერტების შემადგენლობაში, რომლის შემცვლელების მოძიებამ და მათი კანდიდატურების დამტკიცებამ გასტანა სამ თვეზე მეტ ხანს.ჰოლანდიურმა მხარემ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება პროექტის შემდგომი დაფინანსების თაობაზე.

10.3 „მევენახეობისა და მეღვინეობის განვითარება“ (პროგრამული კოდი 37 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ „ღვინის ეროვნული სააგენტო“

დაგეგმილი შუალედური შედეგები

- ახალი სამომხმარებლო ბაზრების ათვისება და არსებულ ბაზრებზე ექსპორტის ზრდა;.
- მომხმარებლის დაცვა ფალსიფიცირებული და უხარისხო პროდუქციისაგან;

- ვენახების ფართობებისა და ვაზის ჯიშების დადგენა.
- ვაზის წარმოშობის შესახებ ჩატარებული კვლევებით მიღებული შედეგის გამოყენებით ქართული ვაზისა და ღვინის პოპულარიზაცია მსოფლიოს ბაზარზე.

მიღწეული შუალედური შედეგები

- ღვინის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, მსოფლიოს 53 ქვეყანაში ექსპორტირებულია 76,7 მლნ ბოთლი (0,75 ლ) ღვინო, რაც 54%-ით აღემატება 2016 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. სულ ექსპორტირებულია 170 მლნ-მდე აშშ დოლარის ღირებულების ღვინო, რაც 49%-ით მეტია 2016 წლის მაჩვენებელზე. მსოფლიოს 23 ქვეყანაში ექსპორტირებულია 288 ათასი ბოთლი (0,5 ლ) ჭაჭა, ექსპორტის ზრდამ 180% შეადგინა. ჭაჭის ექსპორტით მიღებული შემოსავლები 846.3 ათას აშშ დოლარს შეადგენს, ზრდამ 2016 წელთან შედარებით 148%-ს მიაღწია. მთლიანობაში, ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, ჩამოსასხმელი ბრენდის, ღვინომასალისა და საბრენდე სპირტის ექსპორტის შედეგად მიღებული შემოსავლები 283.8 მლნ აშშ დოლარს შეადგენს - ზრდამ 2016 წელთან შედარებით 46% შეადგინა.
- საკადასტრო აზომვებით ახმეტის მუნიციპალიტეტში დადგენილი იქნა ვენახების ფართობები.
- დადგენილი იქნა ვაზის ჯიშები.
- ქართულ და საერთაშორისო ორგანიზაციებს მიეწოდათ ინფორმაცია საქართველოს, როგორც მევენახეობა-მეღვინეობის უძველესი ცენტრის, მდიდარი გენოფონდის მქონე ქვეყნის შესახებ, რითაც გაიზარდა ინტერესი ქვეყნის მევენახეობა-მეღვინეობის მიმართ.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის ინდიკატორი

საბაზისო მაჩვენებელი

- 2016 წლის მონაცემებით - საქართველოდან მსოფლიოს 53 ქვეყანაში ექსპორტირებულია 50.0 მლნ-მდე ბოთლი (0,75 ლ) ღვინო, რაც 38%-ით აღემატება 2015 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. საანგარიშო პერიოდში ექსპორტირებულია 113.8 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ღვინო, რაც 16%-ით მეტია 2015 წლის მაჩვენებელზე. მოეწყო ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების 18 გამოფენა მსოფლიოს 8 ქვეყანაში. 93 ღვინის დეგუსტაცია-პრეზენტაცია 11 ქვეყანაში, 5 ღვინის ფესტივალი (მათ შორის ერთი სინგაპურში 4 საქართველოში) და ღვინის კვირეული საქართველოში;
- 2016 წელს თელავის მუნიციპალიტეტში აღირიცხა 5 477.2 ჰა ვენახი, დადგენილი იქნა 13 ვაზის ჯიში.
- ყურძნის რეალიზაციის შედეგად შემოსავლების სახით კახეთის მოსახლეობამ მიიღო 97.0 მლნ ლარი, რაჭის მოსახლეობამ კი 2.5 მლნ ლარი, სულ 99.5 მლნ ლარი. ღვინის კომპანიების მიერ მიღებული იქნა და გადამუშავდა 117.8 ათასი ტონა ყურძენი;
- მოლეკულური მარკერებით დახასიათებული იქნა ვაზის აბორიგენული ჯიშებისა და ველური ვაზის 66 ნიმუში;

- საერთაშორისო რეფერირებულ ჟურნალში INTERNATIONAL JOURNAL OF BIOMETEOROLOGY გამოქვეყნებული იქნა 1 სტატია 'Grapevine phenology and climate change in Georgia'. შეკრებილი იქნა მასალები სტატიის მოსამზადებლად აშშ-ს მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში (PNAS) 2017 წელს გამოსაქვეყნებლად.
- განხორციელდა ერთობლივი არქეოლოგიური გათხრები მარნეულის რაიონში მდებარე ე.წ. „შულავერის კულტურის" ნეოლითურ ნასახლარებზე სახელწოდებით „გადაჭრილი გორა" და „შულავერის გორა". გათხრები ჩატარდა 10 სექტორში და შესაბამისად მომზადდა 10 არქეოლოგიური მასალა.

შენიშვნა: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დაზუსტდა საბაზისო მაჩვენებლები

მიზნობრივი მაჩვენებელი

- ღვინის ექსპორტის შედეგად მიღებული შემოსავლები;
- ყურძნის მოსავლის სრულად დაბინავება.

მიღწეული მაჩვენებელი

- ღვინის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, მსოფლიოს 53 ქვეყანაში ექსპორტირებულია 76.7 მლნ ბოთლი (0,75 ლ) ღვინო, რაც 54%-ით აღემატება 2016 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. სულ ექსპორტირებულია 170 მლნ-მდე აშშ დოლარის ღირებულების ღვინო, რაც 49%-ით მეტია 2016 წლის მაჩვენებელზე. მთლიანობაში, ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, ჩამოსასხმელი ბრენდის, ღვინომასალისა და საბრენდე სპირტის ექსპორტის შედეგად მიღებული შემოსავლები 283.8 მლნ აშშ დოლარს შეადგენს - ზრდამ 2016 წელთან შედარებით 46% შეადგინა. მოეწყო ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების 21 გამოფენა მსოფლიოს 8 ქვეყანაში, გაიმართა 196 დეგუსტაცია პრეზენტაცია. ღვინის 6 ფესტივალი, ქვევრის ღვინის მეოთხე საერთაშორისო სიმპოზიუმი და ქართული ღვინის კვირეული საქართველოში.
- შესყიდული და გადამუშავებულია 125.8 ათას ტონამდე ყურძენი.

10.4 „სურსათის უვნებლობა, მცენარეთა დაცვა და ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობა" (პროგრამული კოდი 37 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტო";
✓სსიპ „საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია".

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- სამომხმარებლო ბაზარზე მავნე სურსათის რეალიზაციის ფაქტების შემცირება/აღკვეთა.
- ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობის მიღწევა/შენარჩუნება, სამომხმარებლო ბაზარზე უვნებელი ცხოველური წარმოშობის პროდუქტების განთავსება.
- განსაკუთრებით საშიში მავნებლებისაგან სტრატეგიული სასოფლო- სამეურნეო კულტურების დაცვა და მოსავლის შენარჩუნება;
- ბაზარზე უსაფრთხო ვეტ-პრეპარატების მიმოქცევა და წუნდებული პროდუქციის შემცირება/აღკვეთა.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- გატარებული ღონისძიებების შედეგად სამომხმარებლო ბაზარზე შემცირებულ იქნა მავნე სურსათის რეალიზაციის ფაქტები.
- ცხოველთა ინფექციური დაავადებების საწინააღმდეგოდ განხორციელებული პროფილაქტიკური ვაქცინაციის და დაავადების კერებში გატარებული ღონისძიებების შედეგად ქვეყანაში მიღწეულია სტაბილური ეპიზოოტიური სიტუაცია. შემცირებულია ცხოველებში და ადამიანებში ზოონოზური დაავადებებით გამოწვეული შემთხვევების რაოდენობა. თავიდან არის აცილებული საერთაშორისო ვაჭრობის შეზღუდვის რისკები (ექსპორტი, ტრანზიტი). ხელსაყრელი გარემოა შექმნილი ცოცხალი ცხოველებისა და მეცხოველეობის ნედლეულის საექსპორტო პოტენციალის გაზრდის თვალსაზრისით. იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის საშუალებით გაადვილებულია მიკვლევადობის პროცესი.
- მავნებლის გავრცელების კერებში ჩატარებული ღონისძიებების შედეგად, ბიოლოგიურმა ეფექტმა შეადგინა 80-85%, დამუშავებულ ფართობებზე შენარჩუნდა მოსავალი და მწვანე საფარი. ფიტოსანიტარიული მონიტორინგის შედეგად დროულად განისაზღვრა მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების ვადები და ჩატარების ადგილები.
- გატარებული ღონისძიებების შედეგად შემცირებულ იქნა ბაზარზე უხარისხო ვეტერინარული პრეპარატების მიმოქცევის ფაქტები.
- ლაბორატორიულად გამოკვლეულ 385 321 ნიმუშზე ჩატარდა 400 019 კვლევა და საკვებისა და ცხოველთა დაავადებების დიაგნოსტირებისას დაავადებები გამოვლინდა შემდეგ შემთხვევებში: ცოფი - 39, ბრუცელოზი - 5454, ცხოველთა პარაზიტული დაავადება - 88, პასტერელოზი - 38, სალმონელოზი - ცხოველებში 9 და საკვებში 63, მასტიტი - 319, ბრადზოტი - 9, ენტეროტოქსემია - 2, ჯილეხი - 21, თურქული - 607, ნაწლავის ჩხირის ბაქტერიები - 304, მეზოფილური აერობები და ფაკულტატური ანაერობები - 293, S.Aureus – 16, E.COLI – 48. მცენარეთა დიაგნოსტირებისას დაზიანებები გამოვლინდა შემდეგ შემთხვევებში: ენტომოლოგიური - 47, მიკოლოგიური - 163, ბაქტერიოლოგიური - 15, ფიტოპათოლოგიური - 8, ჰელმინთოლოგიური - 16, ვირუსოლოგიური - 4.
- საინფორმაციო კამპანიის შედეგად მოსახლეობას აქვს შესაბამისი ცოდნა აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლისთვის და გაზრდილია ღონისძიებებში მათი ჩართულობის ხარისხი. განთავსებული ფერომონიანი საჭერებიდან მიღებული ინფორმაციის შედეგად დადგინდა მავნებლის გავრცელების არეალი და დაიგეგმა შეწამვლითი ღონისძიებები ჩატარებული შეწამვლითი ღონისძიებების შედეგად შემცირდა მავნებლის პოპულაციის რიცხოვნობა და სასოფლო სამეურნეო კულტურებზე მათ მიერ გამოწვეული ზარალი.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის ინდიკატორი

საბაზისო მაჩვენებელი
2016 წელი:

- ინსპექტირებულია სულ 8 224 ბიზნესოპერატორი, (მათ შორის გეგმური 5 381, არაგეგმური ინსპექტირება (მ.შ აღიარება) 613). თურქულზე განხორციელებული მასიური ვაქცინაციების შედეგად (ვაქცინირებულია 1 465 966 მრპ და 1 534 680 წრპ) ქვეყანაში არ ფიქსირდება დაავადების ეპიდაფეთქებები; ჯილეხზე ვაქცინირეულია 459 325 მრპ, 625 176 წრპ და 5 777 კენტჩლიქიანი ცხოველი;
- გამოვლინდა ჯილეხის 18 შემთხვევა ცხოველებში, ხოლო 27 ადამიანებში;
- ცოფზე ვაქცინირებულია 259 706 ძაღლი და კატა, გამოვლინდა ცოფის 53 შემთხვევა ცხოველებში, ხოლო ადამიანებში ჰიდროფობიის არც ერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა. ბრუცელოზის დაავადების დეტექციის მიზნით განსაზღვრულ რეგიონებში განხორციელდა ცხოველების 97%-ის გამოკვლევა (193 517 მრპ);
- ნოდულარული დერმატიტის საწინააღმდეგო ვაქცინაცია-რევაქცინაციებით დაავადების გავრცელების რისკი დაყვანილია მინიმუმამდე, ვაქცინირებულია 234 978 მრპ;
- ცხვრისა და თხის ყვავილის საწინააღმდეგო ვაქცინაცია-რევაქცინაციებით დაავადების გავრცელების რისკი დაყვანილია მინიმუმამდე, ვაქცინირებულია 870 317 წრპ;
- წვრილფეხა პირუტყვის ჭირის საწინააღმდეგო ვაქცინაცია-რევაქცინაციებით დაავადების გავრცელების რისკი დაყვანილია მინიმუმამდე, ვაქცინირებულია 2 079 242 წრპ;
- იდენტიფიკაცია ჩაუტარდა 508 998 სულ მსხვილფეხა და 194 186 სულ წვრილფეხა პირუტყვს;
- ვეტერინარული ზედამხედველობის (ბიოუსაფრთხოების) 5 პუნქტზე დამუშავებული იქნა 377 212 სული მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვი. ქვეყნის ტერიტორიაზე საშიში და საკარანტინო მავნე ორგანიზმების მასობრივი გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებები ჩატარდა 27 443.63 ჰექტარ ფართობზე, დამუშავებულ ფართობებზე შენარჩუნდა მოსავალი და მწვანე საფარი, ბიოლოგიურმა ეფექტურობამ შეადგინა 80%-ი. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ხარისხის მონიტორინგი მიზნით აღებულია და ლაბორატორიული ანალიზი ჩაუტარდა 296 ნიმუშს. შემოწმებულია 230 ობიექტი, რაც მაშინდელი მდგომარეობით კონტროლქვემდებარე ობიექტების 53%-ს შეადგენს. შემოწმებული ობიექტებიდან დაჯარიმდა 7;
- აღებულია და ლაბორატორიულად გამოკვლეულია 200 ნიმუში, რაც მაშინდელი მდგომარეობით დარეგისტრირებული პრეპარატების 20%-ს შეადგენს. განხორციელდა ლაბორატორიული კვლევა ყველა წარმოდგენილ ვარგის 294 128 ნიმუშზე.

შენიშვნა: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დაზუსტდა საბაზისო მაჩვენებლები

მიზნობრივი მაჩვენებელი

- სურსათის/ცხოველის საკვების მწარმოებელი ბიზნესოპერატორების სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის შესაბამისობა კანონმდებლობით დადგენილ ნორმებთან;
- მოსალოდნელია მავნებელი სურსათით გამოწვეული მოწამვლის შემთხვევების შემცირება;
- 2017 წელს განხორციელდება რეგისტრირებული ბიზნესოპერატორთა 16% -ის ინსპექტირება და 8 000-მდე ბიზნესოპერატორის მონიტორინგი-დოკუმენტური შემოწმება;

- 2017 წელს განხორციელდება სავარაუდოდ სურსათისა და სასმელი წყლის 3 900-მდე ნიმუშის/სინჯის აღება და მათი ლაბორატორიული კვლევა;
- თურქულის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ვაქცინაციის შემდგომ ვაქცინაციის წარმატების ხარისხის (70%-ზე მაღალი) და ვირუსის ცირკულაციის განსაზღვრა;
- ჯილეხის გამოვლინების მინიმიზაცია - არაუმეტეს 25 ეპიდაფეთქება ცხოველებში და 50 ადამიანებში; ცოფის არაუმეტეს 100 შემთხვევა ცხოველებში, ვაქცინაციის წარმატების ხარისხის განსაზღვრა (80%-ზე მაღალი);
- რისკის ქვეშ მყოფი სულადობის ნოდულარული დერმატიტის საწინააღმდეგო ვაქცინაცია მინიმუმ 80% იანი დაფარვით;
- ადამიანებში ყირიმ-კონგოს გამოვლენის ადგილებში სადგომების ინსექტო-აკარიციდული დამუშავება, რაც განაპირობებს ადამიანების დაცვას დაინფიცირებისგან (არაუმეტეს 10 ადამიანის შემთხვევისა);
- რისკის ქვეშ მყოფი სულადობის ცხვრისა და თხის ყვავილის საწინააღმდეგო ვაქცინაცია მინიმუმ 80% იანი დაფარვით, ასევე რისკის ქვეშ მყოფი მოზარდი წვრილფეხა პირუტყვის ჭირის საწინააღმდეგო ვაქცინაცია მინიმუმ 80% იანი დაფარვით, პოსტვაქცინალური დაჭიმულობის ხარისხი იქნება 70% ზე მაღალი;
- მსხვილფეხა პირუტყვის დაახლოებით 70%-იანი იდენტიფიცირება და წვრილფეხა პირუტყვის დაახლოებით 50% იანი იდენტიფიცირება, იდენტიფიცირებული პირუტყვის 70% რეგისტრაცია პროგრამაში;
- დაავადების დეტექციის მიზნით განხორციელდება ნიმუშების აღება და ლაბორატორიული კვლევები
- დაგეგმილი სადიაგნოსტიკო კვლევების 80% ის შესრულება;
- გარეგანი პარაზიტებით გამოწვეული დაავადებების პრევენციის მიზნით ბიოუსაფრთხოების პუნქტებზე მიგრაციული ცხოველების გაბანება ინსექტოაკარიციდული პრეპარატებით (მიგრაციული ცხოველების 30%);
- დაავადების გამოვლინების შემთხვევაში ცხოველთა იძულებითი ვაქცინაცია, დეზინფექცია და სხვა ვეტ-სანიტარული ღონისძიებები (დაავადებების შემთხვევების 100%-ში);
- მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ დამუშავებულ ფართობებზე ჩატარებული ღონისძიებების ეფექტურობა არანაკლებ 80 %-ი;
- კალიების და სხვა მავნე მწერების გავრცელების აღსაკვეთად სავარაუდოდ 40 000 ჰა ფართობის შეწამვლა.
- გეგმიური ინსპექტირება კონტროლქვემდებარე ობიექტების 3-20% მიმართულების შესაბამისად და არაგეგმიური ინსპექტირება ყველა შემოსული ინფორმაციის საფუძველზე;
- 200 ნიმუშის აღება და ლაბორატორიული გამოკვლევა;
- საკვლევად წარმოდგენილი ყველა ვარგისი ნიმუშის გამოკვლევის დრო და სიზუსტე.
- აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების მიზნით 48 544 ჰექტარი თხილის ფართობის 2 ჯერადი დამუშავება.

მიღწეული მაჩვენებელი

- 2017 წელს სულ განხორციელდა 10 127 ინსპექტირება, (კერძოდ: გეგმური ინსპექტირება - 4 425; არაგეგმური ინსპექტირება - 782); არაგეგმური ინსპექტირება აღიარების მინიჭების მიზნით - 296; გადამოწმება განხორციელდა 4 624 ბიზნესოპერატორთან, ხოლო მონიტორინგი - დოკუმენტური შემოწმება - 8 438 ბიზნესოპერატორთან. სააგენტოს მიერ გაცემული მითითებების შესრულებასა და სურსათის/ცხოველის საკვების განადგურებაზე განხორციელდა 706 ზედამხედველობა. მონიტორინგის ფარგლებში სათანადო წესით აღებულია და ლაბორატორიულად გამოკვლეულია 4 761 ნიმუში/სინჯი, დარღვევა გამოვლინდა 811 (17%) ნიმუშში;

- თურქულის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ვაქცინაციის შემდგომ პოსტვაქცინალური იმუნური ფონი კვლევების შედეგად პირველად მონაცემებზე დაყრდნობით არის 75%-ი. ასევე განისაზღვრა ქვეყანაში თურქულის ვირუსის ცირკულაციის დონე, რა მიზნითაც აღებული იქნა დაგეგმილი ნიმუშების როდენობის 100%-ით. რისკზე დაფუძვნებული სტრატეგიის მიხედვით ჩატარებული ვაქცინაციის შედეგად (პირველადი მონაცემებით იმუნიზირებულია გეგმით გათვალისწინებული მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის 102%-ი) თავიდან არის აცილებული დაავადების ქვეყანაში შემოჭრა/გავრცელების საფრთხე. ვაქცინირებულია 1 000 915 მრპ და 1 660 625 წრპ. სიტუაცია არ შეცვლილა 2016 წელთან შედარებით, ვინაიდან დაავადების გამოვლინებას არცერთ წელში ადგილი არ ჰქონია.
- ცხოველებში ჯილეხის ეპიდ აფეთქება დაფიქსირდა 15 ცხოველში (მოსალოდნელ მინიმალურ მაჩვენებელთან შედარებით 40%-ით ნაკლები) და ადამიანებში 34 შემთხვევა (მოსალოდნელ მინიმალურ მაჩვენებელთან შედარებით 32%-ით ნაკლები). ჯილეხის დაავადების გამოვლინების მინიმიზირება განხორციელდა რისკების შესაბამისად პირველად მონაცემებზე დაყრდნობით გეგმით გათვალისწინებული ამთვისებელი ცხოველების (მსხვილფეხა, წვრილფეხა პირუტყვი და კენტჩლიქიანი ცხოველი) 105%-ის იმუნიზაციით, ვაქცინირებულია 385 372 მრპ, 655 680 წრპ და 5 079 კენტჩლიქიანი ცხოველი. დაავადების გამოვლინება 2016 წელთან შედარებით ცხოველებში შემცირდა 17%-ით, ხოლო ადამიანებში გაიზარდა 26%-ით.
- ცხოველებში გამოვლენილია ცოფის 40 შემთხვევა (მოსალოდნელ მინიმალურ მაჩვენებელთან შედარებით 60%-ით ნაკლები), თავიდან აცილებულია ადამიანებში ჰიდროფობიის გამოვლინება. პოსტვაქცინალური იმუნური ფონი კვლევების შედეგად არის 90%-ი (მოსალოდნელ მინიმალურ მაჩვენებელთან შედარებით 12,5%-ით მეტი). დაავადების გამოვლინების მინიმიზირების ძირითადი შედეგია პირველად მონაცემებზე დაყრდნობით გეგმით გათვალისწინებული ცხოველების 97%-ი ვაქცინაციითა და მაღალი პოსტვაქცინალური იმუნური ფონის მიღწევით, ვაქცინირებულია 263 271 ძაღლი და კატა და 17 006 მრპ. დაავადების გამოვლინება 2016 წელთან შედარებით ცხოველებში შემცირდა 25%-ით, ადამიანებში დაავადების გამოვლინებას ადგილი არ ჰქონია.
- პირველადი მონაცემებით რისკის ქვეშ არსებული გეგმით გათვალისწინებული ცხოველების ნოდულარული დერმატიტის საწინააღმდეგო ვაქცინაციის პროცენტული მაჩვენებელი შეადგენს 123%-ს (მოსალოდნელ მინიმალურ მაჩვენებელთან შედარებით 53%-ით მეტი), რის შედეგადაც დაავადების გამოვლინებები იყო სპორადული ხასიათის და ეპიზოოტიური სიტუაციის გართულებას ადგილი არ ჰქონია, ვაქცინირებულია 286 402 მრპ;
- ადამიანებში ყირიმ-კონგოს გამოვლენის ადგილებში დამუშავებული იქნა რისკის ქვეშ მყოფი ცხოველები და მათი სადგომები (პირველადი მონაცემებით დამუშავებულია გეგმით გათვალისწინებული მსხვილფეხა და მათი სადგომების 197%-ი), გამომდინარე აღნიშნულიდან ადამიანებში 5 შემთხვევაზე მეტი გამოვლინება არ დაფიქსირებულა (მოსალოდნელ მინიმალურ მაჩვენებელთან შედარებით 50%-ით ნაკლები), დამუშავებულია 22 512 მრპ და 1 143 სადგომი. დაავადების გამოვლინება ადამიანებში მოიმატა 25%-ით;
- რისკის ქვეშ მყოფი წვრილფეხა პირუტყვის, ცხვრისა და თხის ყვავილის საწინააღმდეგო ვაქცინაციის მაჩვენებელი შეადგენს 107%-ს (მოსალოდნელ მინიმალურ მაჩვენებელთან შედარებით 33%-ით მეტი), ვაქცინირებულია 826 332 წრპ. დაავადების გამოვლინებას ადგილი არ ჰქონია;
- მოზარდი წვრილფეხა პირუტყვის ჭირის საწინააღმდეგო ვაქცინაციის პროცენტული მაჩვენებელი პირველადი მონაცემებით შეადგენს 114%-ს (მოსალოდნელ მინიმალურ მაჩვენებელთან შედარებით 42%-ით მეტი), პოსტვაქცინალური იმუნური ფონი კვლევების შედეგად არის 98%-ი (მოსალოდნელ მინიმალურ მაჩვენებელთან შედარებით 40%-ით მეტი), ვაქცინირებულია 341 461 წრპ. დაავადების გამოვლინებას ადგილი არ ჰქონია.
- პირველადი მონაცემებით იდენტიფიცირებულია საორიენტაციო გეგმით გათვალისწინებული პირუტყვის 128%-ი (მოსალოდნელ მინიმალურ მაჩვენებელთან შედარებით 82%-ით მეტი) და საორიენტაციო გეგმით გათვალისწინებული წვრილფეხა პირუტყვის 19%-ი (მოსალოდნელ მინიმალურ მაჩვენებელთან შედარებით 62%-ით ნაკლები), რაც გამოწვეულია წვრილფეხა პირუტყვში იდენტიფიცირების შემდგომ

გარკვეული გართულებებით (დაჩირქდა იდენტიფიცირების ადგილები), რის გამოც წვრილფეხა პირუტყვის მასიური იდენტიფიკაციის კამპანია დროებით შეჩერდა. მონაცემთა ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირებულია იდენტიფიცირებული ცხოველების 75%-ი (მოსალოდნელ მინიმალურ მაჩვენებელთან შედარებით 7%-ით მეტი), იდენტიფიცირებულია 414 197 მრპ და 114 528 წრპ.

- დაავადების დროული დიაგნოსტირებით მყისიერად განხორციელდა ცხოველთა იძულებითი ვაქცინაცია, დეზინფექცია რის შედეგადაც მოხდა დაავადების პირველად კერებში ლოკალიზაცია და მათ ფართო გავრცელებას ადგილი არ ჰქონია. დაგეგმილი სადიაგნოსტიკო კვლევები განხორციელდა 100%-ით (მოსალოდნელ მინიმალურ მაჩვენებელთან შედარებით 25%-ით მეტი).
- ცოცხალი ცხოველის ბიოლოგიურ სითხეებში და ქსოვილებში ანაბოლური მოქმედების მქონე ნივთიერებების, აკრძალული ნივთიერებების (საქართველოს მთავრობის N22 დადგენილების მიხედვით „ა“ ჯგუფი) ვეტერინარული პრეპარატების და სხვა დამაბინძურებლების მონიტორინგის მიზნით აღებული იქნა 320 ნიმუში.
- გარეგანი პარაზიტებით გამოწვეული დაავადებების პრევენციის მიზნით ვეტერინარული ზედამხედველობის (ბიოუსაფრთხოების) 5 პუნქტზე დამუშავებული იქნა 643 281 სული მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვი დაგეგმილი სულადობის 92%-ი, გასულ წელთან შედარებით 70%-ით მეტი.
- განსაკუთრებით საშიში და საკარანტინო მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ დამუშავდა 17 057.8 ჰექტარი ფართობი, დამუშავებულ ფართობებზე შენარჩუნდა მოსავალი და მწვანე საფარი, ბიოლოგიურმა ეფექტურობამ შეადგინა 80%-ი. პესტიციდებისა და აგროქიმიკატების ხარისხის მონიტორინგი მიზნით აღებულია და ლაბორატორიული ანალიზი ჩაუტარდა 337 ნიმუშს. საკარანტინო მავნე ორგანიმზების მონიტორინგის მიზნით აღებულია 1 028 ნიმუში. კონტროლის პროგრამის მიმდინარეობისას ლაბორატორიიდან მიღებული 45 გამოცდის ოქმების საფუძველზე გამოვლინდა საქართველოსათვის საკარანტინო 5 მავნე ორგანიზმი.
- შემოწმებული იქნა 250 ობიექტი (ვეტაფთიაქები, ვეტსამკურნალოები და სხვა); ვეტერინარული პრეპარატების ხარისხის მონიტორინგის მიზნით შეძენილი და გამოსაკვლევად ლაბორატორიაში გადაცემული იქნა ვეტერინარული პრეპარატის 227 ნიმუში; საქართველოში სპეციალური კონტროლისადმი დაქვემდებარებული პრეპარატების გამოყენების წესის დაცვაზე მონიტორინგის მიზნით შემოწმდა 12 ობიექტი; სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორების და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებული სამკურნალო საშუალებების გამოყენებაზე ნებართვის მიცემის მიზნით განხორციელდა 7 ობიექტის სარეგისტრაციო შემოწმება ვეტერინარული და ცხოველთა ჭერის საქმიანობის განმახორციელებელი სამსახურების რეესტრში შეყვანის მიზნით.
- დამუშავებულ ადგილებში მკვეთრად შემცირდა კოღოების რიცხოვნობა, არ აღნიშნულა დაავადებების გადატანის შემთხვევები.
- განხორციელდა ლაბორატორიული კვლევა ყველა წარმოდგენილ ვარგის 82 586 ნიმუშზე.
- აზიური ფაროსანას პირველი და მეორე თაობის წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი ღონისძიებები ჩატარდა დასავლეთ საქართველოში, დამუშავდა თხილსა და სიმინდის ფართობები -110 000 ჰექტარზე, მათ შორის მუნიციპალიტეტებზე გადაცემული ინსექტიციდებით დამუშავდა 51 583.3 ჰა ფართობი, სააგენტოს სპიალური ტექნიკის გამოყენებით - 58 416.8 ჰა ფართობი;
- მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების მიზნით, ქვეყნის მასშტაბით გავრცელდა 800 000 საინფორმაციო ბროშურა;
- მავნებლის გავრცელების არეალის დადგენისა და შეწამვლითი ღონისძებების დაგეგმვის მიზნით განთავსდა 21 000 ფერომონიანი საჭერი;
- ღონისძიებებში მოსახლეობის მაქსიმალური ჩართულობის მიზნით მუნიციპალიტეტებზე გადასაცემად სააგენტომ შეიძინა 230 000 ლიტრი ბიფენტრინის შემცველი ინსექტიციდი და 230 000 ცალი ფერომონი. მუნიციპალიტეტების მიერ თითოეულ მოსახლეს სრულიად უსასყიდლოდ გადაეცათ 1 ლიტრი ბიფენტრინი და 1 ცალი ფერომონი გამოყენების ინსტრუქციებთან ერთად. სააგენტომ დაიქირავა ავიაციის მომსახურება და შეწამლა 1 400 ჰექტარი მიწის ნაკვეთები სამეგრელოსა და გურიის რეგიონებში;

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე:

- დაგეგმილი 8 000 ინსპექტირებიდან შესრულებულია 2 127 ინსპექტირებით მეტი (127%); დაგეგმილი 3 900 ასაღები ნიმუშიდან აღებულია 861 ნიმუშით მეტი (122%); დაგეგმილი 8 000 მონიტორინგი-დოკუმენტური შემოწმებიდან განხორციელებულია 438 -ით მეტი (105%).
- ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით ქვეპროგრამის ფარგლებში საორიენტაციო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებები შესრულებული იქნა 97%-ით, რაც გამოწვეულია წვრილფეხა პირუტყვში იდენტიფიცირების შემდგომ გარკვეული გართულებებით (დაჩირქდა იდენტიფიცირების ადგილები), რის გამოც წვრილფეხა პირუტყვის მასიური იდენტიფიკაციის კამპანია დროებით შეჩერდა).
- კალიების და სხვა საშიში მავნებლების გავრცელების არეალის შემცირებიდან გამომდინარე, დაგეგმილი 42 000 ჰექტრის ნაცვლად დამუშავდა 17 057.8 ჰექტარი. სამუშაოები შესრულებულია 43 %-ით.
- საკარანტინო მავნე ორგანიმზების მონიტორინგის მიზნით, ლაბორატორიული კვლევებისათვის 2017 წლის პროგრამული ბიუჯეტით დაგეგმილი იყო 2 000 ნიმუშის აღება, თუმცა სოფლის მეურნების მინისტრის 2017 წლის 24 იანვრის „სურსათის უვნებლობის, ვეტერინარული და ფიტოსანიტარიული სახელმწიფო კონტროლის 2017 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ N2-14 ბრძანებით არსებული ვითარებიდან გამომდინარე დამტკიცდა 980 ნიმუშის აღება. 2017 წლის განმავლობაში ლაბორატორიული კვლევა ჩაუტარდა 1 028 ნიმუშს. დამატებით 48 ნიმუშის აღება გამოწვეული იქნა მავნე ორგანიზმების გავრცელების არეალის სწრაფი ზრდითა და ახალი მავნე ორგანიზმების გამოჩენით. ლაბორატორიული კვლევა შესრულებულია 105 %-ით.
- ლაბორატორიული კვლევებისათვის 2017 წლის პროგრამული ბიუჯეტით დაგეგმილი იყო პესტიციდებისა და აგროქიმიკატების 300 ნიმუშის აღება, თუმცა სოფლის მეურნების მინისტრის 2017 წლის 24 იანვრის „სურსათის უვნებლობის, ვეტერინარული და ფიტოსანიტარიული სახელმწიფო კონტროლის 2017 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ N 2-14 ბრძანებით არსებული ვითარებიდან გამომდინარე დამტკიცდა 338 ნიმუშის აღება. 2017 წლის განმავლობაში აღებულია 337 ნიმუში, რადგან საჭირო გახდა 2 კომპონენტიანი პესტიციდის ნიმუშის აღება, რის გამოც პესტიციდების ასაღები ნიმუშების რაოდენობა შემცირდა ერთით. შესრულდა 99,7 %-ით.
- თხილის ფართობები ნაცვლად დაგეგმილი ორჯერადი წამლობისა დამუშავდა ერთჯერადად. პირველი წამლობა განხორციელდა 12 ივნისიდან 10 ივლისამდე, რაც გამოიწვია იმ გარემოებებმა, რომ დაბალი ტემპერატურის გამო აზიური ფაროსანა გვიან გამოვიდა მეზამთრეობის ადგილებიდან, ასევე დასავლეთ საქართველოში მაის-ივნისის თვეში მოვიდა უჩვეულოდ ჭარბი ნალექი და შეაფერხა წამლობების დაწყება. ვინაიდან გამოყენებული პრეპარატის ლოდინის პერიოდი (ვადა ბოლო წამლობიდან მოსავლის აღებამდე) შეადგენს 30 დღეს, მეორე წამლობის დაწყების თარიღი ემთხვეოდა მოსავლის აღების პერიოდს, იქმნებოდა პრეპარატის თხილის ნაყოფში ნაშთის სახით დაგროვების საფრთხე, რის გამოც დაგეგმილი მეორე წამლობა არ შედგა. აგვისტოს დასაწყისში სიმინდის რძისებრ სიმწიფეში შესვლასთან დაკავშირებით აზიური ფაროსანა მასიურად გადავიდა სიმინდის ნათესებში, მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთებში არსებულ ხეხილოვან მცენარეებსა და ბოსტნეულში. ზარალის თავიდან ასაცილებლად საჭირო გახდა სააგენტოს ხელთ არსებული ტექნიკის გამოყენება და სააგენტოს ძალებით დამუშავდა 58 416,8 ათასი ჰექტარი ფართობი.

10.5. სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა“ (პროგრამული კოდი 37 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- აგრარული სექტორის განვითარება;
- ქართული აგროსასურსათო პროდუქციის ცნობადობის ზრდა.

მიღწეული საბოლოო შედეგები

- ქართული პროდუქცია წარმოდგენილი იყო მსოფლიოს 6 სხვადასხვა ქვეყანაში გამართულ 6 საგამოფენო ღონისძიებაზე.
- ქვეყნის შიგნით მოეწყო 2 გამოფენა-დეგუსტაციის ღონისძიება.
- 2017 წელს საქართველოდან ექსპორტირებულია 777 028.4 ათასი აშშ დოლარის აგროსასურსათო პროდუქცია, რაც 83 529.3 ათასი აშშ დოლარით აღემატება წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს, შესაბამისად გაზრდილია ქართული აგროსასურსათო პროდუქციის ცნობადობა.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

მიზნობრივი მაჩვენებელი

- წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რაოდენობა;
- სექტორში დასაქმებულ ფერმერთა რაოდენობა;
- სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტის მაჩვენებელი.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები

- 2017 წელს საქართველოდან ექსპორტირებულია 777 028.4 ათასი დოლარის აგროსასურსათო პროდუქცია, კერძოდ:

✓ 2017 წელს, წინა წელთან შედარებით საქართველოდან გერმანიაში განხორციელებული ხილისა და ბოსტნეულის წვენების ექსპორტი 5-ჯერ გაიზარდა და 3 200.0 ათასი აშშ დოლარი შეადგინა;

✓ საქართველოდან არაბთა გაერთიანებულ ემირატებში ექსპორტირებულია 2.5 მლნ აშშ დოლარის ღირებულების აგროსასურსათო პროდუქცია. 2016 წელთან შედარებით ექსპორტი გაზრდილია 40%-ით;

✓ აზერბაიჯანში განხორციელდა 70 600.0 ათასი აშშ დოლარის ღირებულების აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტი. აღნიშნული მაჩვენებელი 2.3-ჯერ აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. 2017 წელს მთლიან აგროსასურსათო ექსპორტში აზერბაიჯანის წილმა 9.1% შეადგინა;

- ✓ ბელარუსში ექსპორტირებულია 18 000.0 მლნ აშშ დოლარის ღირებულების აგროსასურსათო პროდუქცია, რაც 36%-ით აღემატება 2016 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს. 2017 წლის მონაცემებით, მთლიან აგროსასურსათო ექსპორტში ბელარუსის წილი შეადგენს 2.3%-ს;
- ✓ ლატვიაში ექსპორტირებულია 6.6 მლნ აშშ დოლარის ღირებულების აგროსასურსათო პროდუქცია, 2016 წელთან შედარებით ეს მაჩვენებელი გაზრდილია 43%-ით.

10.5.1 სოფლის მეურნეობის განვითარების პოლიტიკის შემუშავება და მართვა (პროგრამული კოდი 37 01 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

დაგეგმილი შუალედური შედეგები

- უზრუნველყოფილია სოფლის მეურნეობის სფეროში დაგეგმილი პროგრამებისა და ღონისძიებების შეუფერხებელი განხორციელება;

მიღწეული შუალედური შედეგები

- უზრუნველყოფილ იქნა სოფლის მეურნეობის სფეროში დაგეგმილი პროგრამებისა და ღონისძიებების შეუფერხებელი განხორციელება;

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის ინდიკატორი

მიზნობრივი მაჩვენებელი

- მეცხოველეობის, მემცენარეობის და მეთევზეობის, სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის დარგების განვითარებისათვის შემუშავებული ახალი ღონისძიებების განხორციელებისა და საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის შედეგად შესაბამისი დარგების განვითარება;
- ჩატარებული კვლევების და ანალიზის საფუძველზე, აგრეთვე სტატისტიკურ მონაცემთა ბაზებში არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ოპტიმალური სამოქმედო გეგმების შემუშავება და განხორციელება;

- ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის, აგრეთვე ევროკავშირსა და საქართველოს შორის დადებულ ასოცირების შეთანხმებაში, რომელიც მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებას, სამინისტროს კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე, ჰარმონიზაციისთვის აუცილებელი ზომების გატარების უზრუნველყოფით, ევროკავშირის ბაზარზე ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის ზრდა;
- დაგეგმილი პროგრამების და ღონისძიებების შეუფერხებელი განხორციელება;

მიღწეული მაჩვენებელი

- მეცხოველეობის, მემცენარეობის და მეთევზეობის, სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის დარგების განვითარებისათვის შემუშავებული ღონისძიებები და საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის შედეგად განვითარებული შესაბამისი დარგები;
- ჩატარებული კვლევების და ანალიზის საფუძველზე, აგრეთვე სტატისტიკურ მონაცემთა ბაზებში არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შემუშავებული და განხორციელებული ოპტიმალური სამოქმედო გეგმები;
- ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის, აგრეთვე ევროკავშირსა და საქართველოს შორის დადებულ ასოცირების შეთანხმებაში, რომელიც მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებას, სამინისტროს კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე, ჰარმონიზაციისთვის აუცილებელი ზომების გატარების უზრუნველყოფით, ევროკავშირის ბაზარზე ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის ზრდა;
- დაგეგმილი პროგრამების და ღონისძიებების შეუფერხებელი განხორციელება.

10.5.2 სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის მართვა და ადმინისტრირება რეგიონებში (პროგრამული კოდი 37 01 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

დაგეგმილი შუალედური შედეგები

- უზრუნველყოფილია სოფლის მეურნეობის სფეროში დაგეგმილი პროგრამებისა და ღონისძიებების შეუფერხებელი განხორციელება.

მიღწეული შუალედური შედეგები

- უზრუნველყოფილ იქნა სოფლის მეურნეობის სფეროში დაგეგმილი პროგრამებისა და ღონისძიებების შეუფერხებელი განხორციელება.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის ინდიკატორი

მიზნობრივი მაჩვენებელი

- დარგში მიმდინარე პროგრამებზე და ღონისძიებებზე ინფორმირებული ფერმერების და სხვა დაინტერესებული პირების რაოდენობა;
- თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ ინფორმირებული და კვალიფიკაცია ამაღლებულ ფერმერთა რაოდენობა.

მიღწეული მაჩვენებელი

- დარგში მიმდინარე პროგრამებზე და ღონისძიებებზე ინფორმირებული ფერმერების და სხვა დაინტერესებული პირების რაოდენობამ 2017 წელს შეადგინა 74 000 ერთეული;
- ყოველწლიურად სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეგიონალური სამმართველოების, საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის თანამშრომლებს, კოოპერატივებს, ფერმერებს და სხვა დაინტერესებული პირებს ყოველწლიურად სხვა და სხვა საკითხებზე უტარდებათ დაახლოებით 20-ზე მეტი თემატიკის ტრეინინგი, რომელსაც დაახლოებით გადის 1 500 -1 700 პირი.

10.5.3 ქართული აგროსასურსათო პროდუქციის პოპულარიზაცია (პროგრამული კოდი 37 01 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

✓საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცენტრალური აპარატი.

დაგეგმილი შუალედური შედეგები

- მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ქართული აგროსასურსათო პროდუქციის ცნობადობის ზრდა;
- აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტის ზრდა.

მიღწეული შუალედური შედეგები

- განხორციელებული გამოფენა-დეგუსტაციის ღონისძიებებმა ხელი შეუწყო ქართული აგროსასურსათო პროდუქციის პოპულარიზაციას მსოფლიო ბაზარზე.

დაგეგმილი და მიღწეული შუალედური შედეგის ინდიკატორი

საბაზისო მაჩვენებელი

- 2016 წელს ქართული პროდუქცია წარმოდგენილი იყო მსოფლიოს 7 სხვადასხვა ქვეყანაში გამართულ საგამოფენო ღონისძიებაზე. ქვეყნის შიგნით მოეწყო 3 გამოფენა-დეგუსტაციის ღონისძიება.

შენიშვნა: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დაზუსტდა საბაზისო მაჩვენებლები

მიზნობრივი მაჩვენებელი

- მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში სავარაუდოდ 7 და ქვეყნის შიგნით 2 გამოფენა-დეგუსტაციის ღონისძიების მოწყობა;

მიღწეული მაჩვენებელი

- ქართული პროდუქცია წარმოდგენილი იყო მსოფლიოს 6 სხვადასხვა ქვეყანაში გამართულ 6 საგამოფენო ღონისძიებაზე.
- ქვეყნის შიგნით მოეწყო 2 გამოფენა-დეგუსტაციის ღონისძიება.

10.6 სოფლის მეურნეობის დარგში სამეცნიერო კვლევითი ღონისძიებების განხორციელება “ (პროგრამული კოდი 37 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ „სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი“

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- საქართველოში მოძიებული სასოფლო-სამეურნეო ცხოველების, ფრინველების, თევზებისა და სამეურნეო-სასარგებლო მწერების ადგილობრივი ჯიშებისა და პოპულაციების ტიპიური სულადობის მოშენება და შენარჩუნება;
- ერთწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურების მოვლა-მოყვანის თანამედროვე ტექნოლოგიების შემუშავება, რეკომენდაციები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მიღებისა და ხარისხის გაუმჯობესების შესახებ;
- მცენარეთა მოვლა-მოყვანის და ბიოპროდუქტების წარმოების ტექნოლოგიების დახვეწა;
- ნიადაგის ლაბორატორიული კვლევების ერთიანი მეთოდოლოგიის შექმნა;

- ნედლადშენახვის, შრობისა და სწრაფგაყინვის ოპტიმალური რეჟიმების დადგენა ნედლეულის სახისა და ჯიშური თავისებურებების გათვალისწინებით;

მიღწეული საბოლოო შედეგები

- მიმდინარე კვლევები საქართველოში გავრცელებული სასოფლო-სამეურნეო ცხოველების, ფრინველების, თევზებისა და კომერციულად სასარგებლო მწერების ადგილობრივ ჯიშებზე;
- მიმდინარე კვლევები ერთწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურების მოვლა-მოყვანის თანამედროვე ტექნოლოგიებზე;
- მიმდინარე კვლევები მცენარეთა მოვლა-მოყვანის ბიოლოგიური და ეკოლოგიური ტექნოლოგიების მიმართულებით;
- მიმდინარე კვლევები ნედლად შენახვის, შრობისა და სწრაფ გაყინვის ოპტიმალური რეჟიმების მიმართულებით;
- მიმდინარე კვლევები ნიადაგის ნაყოფიერების შესწავლის მიზნით.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის ინდიკატორი

საბაზისო მაჩვენებელი

- აგრარულ სფეროში დასაქმებულთა შორის დაბალია ახალი თანამედროვე სასოფლო სამეურნეო ტექნოლოგიების გამოყენების ცნობიერება, ასევე დაბალია საქართველოში წარმოებული თესლისა და სარგავი მასალის ხარისხი;
- ნაკლებად არის დაცული და შენახული მცენარეთა და ცხოველთა ადგილობრივი ჯიშები და მათი მრავაფეროვნება.

მიზნობრივი მაჩვენებელი

- აგრარულ სფეროში დასაქმებულთა 20% შორის ამაღლებული იქნება თანამედროვე სასოფლო- სამეურნეო ტექნოლოგიების გამოყენების ცნობიერება;
- ბაზარზე ხელმისაწვდომი სერთიფიცირებული თესლი და სარგავი მასალები;
- განვითარებული და შენარჩუნებული ადგილობრივ მცენარეთა და ცხოველთა ბიომრავალფეროვნება; ამოქმდებული გენბანკი.

მიღწეული მაჩვენებელი

- 1400-ზე მეტ ფერმერს ჩაუტარდა ტრენინგი;

- პროექტ „დანერგე მომავლის“ პროგრამიდან განხორციელდა სანერგეების დაჯგუფება რეგიონების მიხედვით მათი კვალიფიციურობის დადგენის მიზნით. შემოწმებულია შიდა ქართლის, ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონებში არსებული სანერგე მეურნეობები. სულ შესწავლილია 52 სანერგე მეურნეობა;
- გამოიცა 35-მდე დასახელების ბროშურა;
- ფერმერისთვის ხელმისაწვდომია სერთიფიცირებული თესლი და სარგავი მასალები;
- გამოქვეყნდა 19 წიგნი;
- ჩატარდა 180-მდე ლექცია-სემინარი;
- ამოქმედდა თესლისა და სარგავი მასალის განბანკი.

ამასთან, სამინისტროს მიერ დამატებით იქნა წარმოდგენილი სამეცნიერო კვლევითი ცენტრის მიერ განხორციელებული კვლევების შედეგად მიღებული შედეგები:

საბაზისო მაჩვენებელი

- კვლევას დაქვემდებარებული 25 მსვილფეხა რქოსანი პირუტყვი, 80 ღორი, 30 ცხვარი და 10 მეგრული თხა, ქათმის 5 პოპულაციის - 380 ფრთა, ინდაური - 62 ფრთა.ქართული ფუტკრის მეგრული პოპულაციის 15 ოჯახი, აბრეშუმხვიას 20 ჯიში, მდინარე რიონისა და ფარვანის ტბის 100 ც კობრი, საკვებწარმოების 5 კულტურა, ჰელმინტებით დაინვაზიებაზე გამოკვლეულია 500 მსვილფეხა რქოსანი პირუტყვი და 75 ღორი, ბრუცელოზისა და ტუბერკულოზზე გამოკვლეულია 300 ღორი; მეცხოველეობაში გამოცემულია 4 სტატია, შემუშავებულია 4 რეკომენდაცია, სურსათის საფრთხეების რისკის შეფასებაში შემუშავებული - 22 დასკვნა /რეკომენდაცია;
- მიღებული ერთწლოვანი კულტურების 76 ჯიში და 190 ჯიშ-პოპულაცია; მოწყობილი 35 ჰექტარი სადემონსტრაციო ნაკვეთი; ჩატარებული ვაზის 60 ჯიშის ამპელოგრაფიული შესწავლა; ჩატარებული ხეხილის 60 ჯიშის პირველადი პომოლოგიური შესწავლა; შესწავლილი აგროსატყეო კულტურების 10 სახეობა, მოძიებული და გაშენებული ერთი ჰექტარი კოლექცია 60 სახეობით; შესწავლილი თუთის 5 ჯიშის ბიოლოგიურ-სამეურნეო თვისებები, მოძიებული თუთის 6 ფორმა და გაშენებული სადედე-საკალმე ბაღი ერთი ჰექტარი; გაცემულია 28 თესლისა და სარგავი მასალის სერთიფიკატი; 5 ს/ს კულტურის მავნე ორგანიზმებზე ჩატარებული კვლევები; გამოვლენილი ვაზის 7 ჯიშის 400 და ხეხილის 3 ჯიშის 200 უვირუსო მცენარე; მოწყობილი ბიომეურნეობის 2 საცდელ-სადემონსტრაციო მოდელი (6 ჰა); გამოცდილი და რეკომენდირებული 27 ბიოპრეპარატი; შემუშავებული სამანქანო ტექნოლოგიებისა და ტექნიკური საშუალებების 7 ტექნოლოგი; გამოცემული 46 სტატია; შემუშავებული 29 რეკომენდაცია; შედგენილი მონაცემთა ბაზა -14; მიღებული 8 პატენტი;
- დამზადებული 82 ღვინის ნიმუში (ყურძნის ჯიში), გადამუშავებული პროდუქტების 30 ნიმუში; გამოცემული 5 სტატია; შემუშავებული რეკომენდაცია - 4; შედგენილია მონაცემთა ბაზა - 1; მიღებული პატენტი - 2;

- შესწავლილი საცდელ-სადემონსტრაციო ნაკვეთები 20 მუნიციპალიტეტში, 1 600 ჰა სახნავ-სათესი ფართობი; გამოცემულია სტატია 2; შემუშავებულია 1 რეკომენდაცია.

მიზობრივი მაჩვენებელი

- კვლევას დაქვემდებარებული იქნება 45 ერთეული პირუტყვი, 50 ერთეული ღორი, ცხვარი 20 ერთეული; მეგრული თხა - 10 ერთეული, 500 ფრთა ქათამი; 75 ფრთა ინდაური, ქართული რუხი ფუტკარის მეგრული პოპულაციის - 20 ოჯახი; სისხლი განახლდება აბრეშუმხვიას- 10 ჯიშზე; მიღებული იქნება კობრის პოპულაციის ლიფსიტა 40 000 ცალი; ჩატარებული იქნება საკვები კულტურების კვლევა 4 ჯიშზე; მეცხოველეობაში გამოცემული სტატია -5; შემუშავებული რეკომენდაცია -5; სურსათის საფრთხეების რისკის შეფასებაზე შემუშავებული 3 დასკვნა /რეკომენდაცია;
- მიღებული ერთწლოვანი კულტურების 85 ჯიში და 195 ჯიშ-პოპულაცია; მოწყობილი 40 ჰექტარი სადემონსტრაციო ნაკვეთი; კვლევას დაქვემდებარებული ვაზის დამატებით 20 იშვიათი ჯიში; ვაზის 80 ჯიშის ამპელოგრაფიული შესწავლა; ხეხილის 80 ჯიშის პირველადი პომოლოგიური შესწავლა; შედგენილი აგროსატყეო კულტურების დამატებით 4 სახეობის მონაცემთა ბაზა. გამდიდრებული გროსატყეო კოლექცია დამატებით 10 სახეობით; შედგენილი თუთის 10 ადგილობრივი და ინტროდუცირებული ჯიში.; გაცემული 35 სერთიფიკატი; 5 ს/ს კულტურის მავნე ორგანიზმებზე ჩატარებული კვლევები; გამოვლენილი ვაზის 7 ჯიშის 400 და ხეხილის 3 ჯიშის 200 უვირუსო მცენარე; 8 სასოფლო-სამეურნეო კულტურის ბიოწარმოება; გამოცდილი 28 ბიოპრეპარატი; შემუშავებული სამანქანო ტექნოლოგიებისა და ტექნიკური საშუალებების 7 ტექნოლოგია; გამოცემული სტატია - 41; შემუშავებული რეკომენდაცია -23; მიღებული პატენტი - 10;
- დამზადებული 100 ღვინის ნიმუში (ყურძნის ჯიში); დამზადებული გადამუშავებულ პროდუქტების 40 ნიმუში; შემუშავებული რეკომენდაცია - 4; მიღებული პატენტი - 1;
- გამოკვლეული ნიადაგის საცდელ-სადემონსტრაციო ნაკვეთები 20 მუნიციპალიტეტში; შესწავლილი 1 500 ჰა ფართობი; გამოცემული სტატია 5; შემუშავებული რეკომენდაცია -3; შედგენილი მონაცემთა ბაზა - 1;

მიღწეული მაჩვენებელი

- კვლევას დაქვემდებარებულია 78 ერთეული მსხვილი რქოსანი პირუტყვი, 120 ერთეული ღორი, ცხვარი 26 ერთეული, 500 ფრთა ქათამი, 30 ფრთა ინდაური, ქართული რუხი ფუტკარის მეგრული პოპულაციის - 30 ოჯახი; სისხლი განახლდა აბრეშუმხვიას- 10 ჯიშზე; მიღებულია კობრის პოპულაციის ლიფსიტა 40 000 ცალი; ჩატარებულია საკვები კულტურების კვლევა 4 ჯიშზე; მეცხოველეობაში გამოცემული სტატია - 49; შემუშავებული რეკომენდაცია -5; სურსათის საფრთხეების რისკის შეფასებაზე შემუშავებული 3 დასკვნა /რეკომენდაცია; გამოქვეყნებული წიგნები - 10; ექსტენცია - 44; სატელევიზიო გამოსვლა - 16.
- შესწავლილია ერთწლოვანი კულტურების 160 ჯიში და 441 ჯიშ-პოპულაცია; მოეწყო 40 ჰა სადემონსტრაციო ნაკვეთი; კვლევას დაქვემდებარებულია ვაზის დამატებით 20 იშვიათი ჯიში; მიმდინარეობს ვაზის 80 ჯიშის ამპელოგრაფიული შესწავლა; მიმდინარეობს ხეხილის 80 ჯიშის პირველადი პომოლოგიური შესწავლა; შედგენილია აგროსატყეო კულტურების დამატებით 4 სახეობის მონაცემთა ბაზა. გამდიდრებულია აგროსატყეო კოლექცია დამატებით 10 სახეობით; შედგენილია თუთის 10 ადგილობრივი და ინტროდუცირებული ჯიში; 7

სასოფლო სამეურნეო კულტურის მავნე ორგანიზმებზე ჩატარებულია კვლევები; გამოვლენილია ვაზის 7 ჯიშის 410 და ხეხილის 6 ჯიშის 300 უვირუსო მცენარე; შესრულდა 8 სასოფლო-სამეურნეო კულტურის ბიოწარმოება; გამოცდილია 28 ბიოპრეპარატი; შემუშავებულია სამანქანო ტექნოლოგიებისა და ტექნიკური საშუალებების 7 ტექნოლოგია; გამოცემულია სტატია - 76; შემუშავებულია რეკომენდაცია -30; მიღებულია პატენტი - 2;

- მიღებულია 104 ჯიშის ყურძნისაგან ღვინის საკვლევი ნიმუშები. დამზადებულია გადამუშავებული პროდუქტების 56 ნიმუში; შემუშავებულია 18 რეკომენდაცია.
- გამოკვლეულია ნიადაგის საცდელ-სადემონსტრაციო ნაკვეთები 5 მუნიციპალიტეტში; შესწავლილია 3 600 ჰექტარი ფართობი; გამოცემულია სტატია - 5; შემუშავებულია რეკომენდაცია -12; შედგენილია მონაცემთა ბაზა - 1;

10.7 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის ღონისძიებები“ (პროგრამული კოდი 37 06)

პროგრამის განმახორციელებელი

✓ სსიპ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო“

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მიერ წარმოებული პროდუქციის ზრდა;
- კოოპერატივების კონკურენტუნარიანობის ზრდა;
- ქალთა და მოწყვლადი ჯგუფების ჩართულობის დონის ამაღლება კოოპერაციულ წარმოებაში;

მიღწეული საბოლოო შედეგები

- გაზრდილია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მიერ წარმოებული პროდუქცის რაოდენობა.
- გაზრდილია კოოპერატივების კონკურენტუნარიანობა.
- ამაღლებულია ქალთა და მოწყვლადი ჯგუფების ჩართულობის დონე კოოპერაციულ წარმოებაში.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის ინდიკატორი

საბაზისო მაჩვენებელი

- 2016 წელს სტატუსი მიენიჭა 487 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს. მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში 91 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს გადაეცა 6 348 სკა. 28 კოოპერატივმა მიიღო 28 თაფლის საწური (ციბრუტი) და 27-ს გადაეცა 713 თაფლის შესანახი ავზი - სულ 61 400 ლიტრი ტევადობის;
- რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭრის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში 9 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს გადაეცა რძის საწარმოსათვის განკუთვნილი აღჭურვილობები. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებმა მონაწილეობა მიიღეს 5 გამოფენა-გაყიდვაში.

შენიშვნა: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დაზუსტდა საბაზისო მაჩვენებლები

მიზნობრივი მაჩვენებელი

- კოოპერატივების მიერ წარმოებული პროდუქციის რაოდენობა;
- თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი რძის მწარმოებელი და ყურძნის მიმღებ-გადამამუშავებელი კოოპერატივების რაოდენობა;
- კოოპერატივების რაოდენობა, რომლებიც აკმაყოფილებენ საერთაშორისო სტანდარტებს (GLOBAL GAP, HACAP და სხვა);

მიღწული მაჩვენებელი

- რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის პროგრამაში ჩაეთო 16 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, მათ შორის პროგრამის მოთხოვნები სრულად დააკმაყოფილა 14-მა კოოპერატივმა. აღნიშნულთაგან სააგენტოსთან გამოფორმებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები შეასრულა 10-მა კოოპერატივმა, რომელთაც გადაეცათ რძის საწარმოსათვის განკუთვნილი აღჭურვილობა;
- ერთიანი საწარმოო ციკლისათვის საჭირო თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ყურძნის მიმღებ-გადამამუშავებელი საწარმოს ჩამოყალიბების მიზნით, პროგრამაში ჩაერთო 3 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, საანგარიშო პერიოდში დასრულდა საწარმოს შენობა-ნაგებობის მშენებლობა, სააგენტოს მიერ განხორციელდა ღვინის საწარმოსათვის განკუთვნილი, პროგრამით გათვალისწინებული აღჭურვილობის შესყიდვა და მონაწილეთათვის გადაცემა/მონტაჟი;
- 2017 წელს მეფუტკრე კოოპერატივების მიერ ნაწარმოები თაფლის რაოდენობა შეადგენს 400 ტონას, რძის მწარმოებელი კოოპერატივების მიერ გადამუშავებული რძის რაოდენობამ დაახლოებით შეადგინა 491.3 ათასი ლიტრი, ხოლო ყველის რაოდენობამ - 70.0 ათასი ტონა, მეღვინეობის პროგრამაში მონაწილე კოოპერატივების მიერ გადამუშავებული იქნა 216 ტონა ყურძენი და რეალიზებული იქნა 128 ტონა ღვინომასალა.

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულგანსხვავებებზე

- თაფლის ერთიანი საწარმოს საპროექტო სამუშაოების გაჭიანურებისა და აღნიშნული მიზეზით პროექტზე ექსპერტიზის გვიან ჩატარების გამო, საწარმოს სამშენებლო სამუშაოებზე სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში ტენდერი გამოცხადდა 2017 წლის დეკემბერში და ტენდერის მოცულობითი თანხიდან გამომდინარე ვადამ გადაიწია 2018 წელს , რის შედეგადაც პროექტი განხორციელდება 2018 წლის განმავლობაში.

საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა სავარაუდოდ 10 ერთეულ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივში ვერ განხორციელდა, ვინაიდან სსიპ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სააგენტოს“ მიერ მომზადებული პროექტის განხორციება არ იქნა მიზანშეწონილად მიჩნეული.

11. პრიორიტეტი – სასამართლო სისტემა

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2017 წლის დაზუსტებული გეგმა	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	2017 წლის ფაქტიური დაფინანსება	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები	მ.შ.საკუთარი სახსრები
09 01	საერთო სასამართლოების სისტემის განვითარება და ხელშეწყობა	57,670.0	57,470.0	57,543.7	57,426.1	117.6
08 00	საქართველოს უზენაესი სასამართლო	7,700.0	7,700.0	7,567.3	7,567.3	0.0
07 00	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო	4,162.5	4,162.5	4,057.5	4,057.5	0.0
10 00	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო	2,700.0	2,700.0	2,558.0	2,558.0	0.0
46 00	სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო	22,710.0	2,500.0	21,261.8	2,500.0	18,761.8
26 13	სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიუროს მომსახურებათა ეფექტიანობის უზრუნველყოფა და ყველა დაინტერესებული პირისათვის ხელმისაწვდომობა	37,835.9	0.0	31,063.4	0.0	31,063.4
	სულ	*132,778.3*	*74,532.5*	*124,051.8*	*74,108.9*	*49,942.9*

11.1 სასამართლო სისტემა (პროგრამული კოდები 07 00 - 10 00)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო;
- ✓ საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტი;
- ✓ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო;
- ✓ საქართველოს უზენაესი სასამართლო.

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

- მოსამართლეებსა და სასამართლოს აპარატის თანამშრომლების მყარი სოციალური გარანტიები;
- მოხდება ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის განვითარება;
- სასამართლოს მიმართ საზოგადოებაში ავტორიტეტის და ნდობის ამაღლება;
- მართლმსაჯულებია გახდება უფრო სწრაფი და ეფექტური;
- კონსტიტუციური კანონიერების, ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- მოსამართლეები და აპარატის თანამშრომლები სრულად იქნენ უზრუნველყოფილნი კანონმდებლობით დადგენილი სოციალური გარანტიებით;
- ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით ჩატარებული სასამართლო პროცესები სრულად იყო უზრუნველყოფილი კანონმდებლობით დადგენილი მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური რესურსით;
- განახლდა საერთო სასამართლოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
- 70 ნაფიცი მსაჯული უზრუნველყოფილ იქნა კანონმდებლობით დადგენილი ყველა იმ ხარჯის ანაზღაურებით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მათ მიერ საკუთარი მოვალეობის შესრულებასთან.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - გარემონტებილი და შესაბამისი სტანდარტებით აღჭურვილი სასამართლო შენობების რაოდენობა - 61 სასამართლო შენობა;
მიზნობრივი მაჩვენებელი - სასამართლო შენობა - 63. გარემონტდება სიღნაღის სასამართლო შენობა და აშენდება ბორჯომის ახალი სასამართლო შენობა;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

- მოდერნიზებული და შესაბამისი სტანდარტებით აღჭურვილი სასამართლო შენობების რაოდენობა - 64.

11.3 აღსრულების ეროვნული ბიუროს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა (პროგრამული კოდი 26 13)

პროგრამის განმახორციელებელი:

✓ სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიურო

დაგეგმილი საბოლოო შედეგები:

- აღსრულების ეროვნული ბიუროს საქმიანობის შესახებ ცნობადობის ზრდა;
- აღსრულების ეროვნული ბიუროს სერვისებით კმაყოფილი მომხმარებლების ზრდა.

მიღწეული საბოლოო შედეგები:

- აღსრულების ეროვნული ბიუროს საქმიანობის შესახებ ცნობადობის ასამაღლებლად ჩატარდა სხვადასხვა აქტივობები;
- აღსრულების ეროვნული ბიუროს მომხმარებელთა კმაყოფილების ზრდის მიზნით დაინერგა ახალი სერვისი.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - მომხმარებელთა 50%-ზე მეტი აღსრულების ეროვნულ ბიუროს მიიჩნევს ორგანიზაციად, რომელიც მუდმივად აუმჯობესებს შედეგებს და გამოხატავს ზოგად კმაყოფილებას ორგანიზაციის მიერ გაწეული მომსახურების მიმართ; 2015 წელს „SIDA“-ს პროექტის ფარგლებში ჩატარებული კვლევის მიხედვით აღნიშნული მდგომარეობა ფიქსირდება;
   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - 2017-2020 წლებში მომხარებელთა 50%-ზე მეტი აღსრულების ეროვნულ ბიუროს მიიჩნევს ორგანიზაციად, რომელიც მუდმივად აუმჯობესებს შედეგებს და გამოხატავს ზოგად კმაყოფილებას ორგანიზაციის მიერ გაწეული მომსახურების მიმართ;
   მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - საანგარიშო პერიოდში იუსტიციის სახლებსა და აღსრულების ეროვნული ბიუროს ოფისებში გავრცელდა ფაქტების კონსტატაციის შესახებ ტრიპლეტები; გაიმართა საჯარო განხილვები სააღსრულებო კოდექსთან დაკავშირებით, საინფორმაციო სემინარები და ტრენინგები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებისა და სკოლების დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისთვის, მედიასემინარი მასობრივი მედიასაშუალებების წარმომადგენლებისათვის.

2. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი - გამოკითხული საზოგადოების 30% მეტი სწორად ახდენს ორგანიზაციისა და მისი ფუნქციის იდენტიფიცირებას; 2015 წელს „SIDA“-ს პროექტის ფარგლებში ჩატარებული კვლევის მიხედვით აღნიშნული მდგომარეობა ფიქსირდება;
   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი - 2017-2020 წლებში გამოკითხული საზოგადოების 30%-ზე მეტი სწორად ახდენს ორგანიზაციისა და მისი ფუნქციის იდენტიფიცირებას;
   მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი - სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიუროს“ ცენტრალური ოფისის მისაღებში დაინერგა „სივრცის ოპერატორის მომსახურების სერვისი“, რაც მოქალაქეებს საშუალებას აძლევს, ყოველგვარი ლოდინის გარეშე მიიღონ ზოგადი ინფორმაცია ბიუროს სერვისების შესახებ; მოქალაქეთათვის გაწეული საკონსულტაციო მომსახურება წინა წელთან შედარებით გაიზარდა 5%-ით.

   ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე
   საანგარიშო პერიოდის განმავლობაში არ ჩატარებულა კვლევა, რომელის მიხედვითაც განისაზღვრებოდა ეროვნული ბიუროს საქმიანობის შესახებ ცნობადობისა და სერვისებით კმაყოფილი მომხმარებლების მაჩვენებელი.

12. პრიორიტეტი – გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მართვა

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2017 წლის დაზუსტებული გეგმა	მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	2017 წლის ფაქტიური დაფინანსება	მ.შ. ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრები	მ.შ.საკუთარი სახსრები
38 03	დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბება და მართვა	15,086.2	10,070.0	16,466.5	11,710.1	4,756.4
38 04	სატყეო სისტემის ჩამოყალიბება და მართვა	25,192.5	8,447.0	21,611.5	8,452.2	13,159.3
38 02	გარემოსდაცვითი ზედამხედველობა	10,049.0	10,049.0	10,050.1	10,050.1	0.0
38 01	გარემოს დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება, რეგულირება და მართვა	5,231.5	5,231.5	5,135.6	5,135.6	0.0
38 07	ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების დაცვა	1,019.2	890.0	1,016.1	904.3	111.8
38 06	გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობის პროგრამა	1,019.1	598.0	2,268.0	1,928.3	339.7
38 05	ეროვნული საშენი მეურნეობის სისტემის ჩამოყალიბება და მართვა	2,234.8	539.8	1,862.7	531.0	1,331.7
38 08	გარემოს დაცვის სფეროში მონიტორინგი, პროგნოზირება, პრევენცია და ბუნებრივი რესურსების მართვა	13,433.0	0.0	13,435.7	258.5	13,177.2
	სულ	*73,265.3*	*35,825.3*	*71,846.1*	*38,970.0*	*32,876.1*

12.1 დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბება და მართვა (პროგრამული კოდი 38 03)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - დაცული ტერიტორიების სააგენტო

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

დაცული და აღდგენილი ბუნებრივი ეკოსისტემები, ლანდშაფტები და ცოცხალი ორგანიზმები;

დაცული საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი გარეული ცხოველები და ველურ მცენარეთა გენოფონდი, უნიკალური და იშვიათი ორგანული თუ არაორგანული ბუნებრივი წარმონაქმნები;

ბუნებრივ და ისტორიულ-კულტურულ გარემოში რეკრეაციის, ჯანმრთელობის დაცვის და ტურიზმისათვის შექმნილი ხელსაყრელი პირობები;

განვითარებული ეკოტურიზმი და დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორთა გაზრდილი რაოდენობა;

აშენებული და მოწყობილი ტურისტული ინფრასტრუქტურა კინჩხასა და ნავენახევის ბუნების ძეგლებზე:

საქართველოს დაცული ტერიტორიების გაზრდილი ცნობადობა გლობალურ, ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე. გარემოსდაცვით აქტივობებში მაქსიმალურად ჩართული ადგილობრივი მოსახლეობა;

სათანადოდ აღჭურვილი ინფრასტრუქტურა, განახლებული საველე შენობა-ნაგებობები, თანამშრომელთა გაზრდილი მოტივაცია და შესაძლებლობები;

დაცული ტერიტორიების მიმდებარედ აღდგენილი და განვითარებული ტრადიციული სამეურნეო საქმიანობა, ადგილობრივი მოსახლეობის გაზრდილი შემოსავლები და გაუმჯობესებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

მიღწეული საბოლოო შედეგები

დაცულია და შესაბამისად მიმდინარეობს ბუნებრივი ეკოსისტემების, ლანდშაფტების და ცოცხალი ორგანიზმების აღდგენა;

დაცულია საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი გარეული ცხოველები და ველურ მცენარეთა გენოფონდი, უნიკალური და იშვიათი ორგანული თუ არაორგანული ბუნებრივი წარმონაქმნები;

შექმნილი ხელსაყრელი პირობები ბუნებრივ და ისტორიულ-კულტურულ გარემოში რეკრეაციის, ჯანმრთელობის დაცვის და ტურიზმისათვის;

განვითარდა ეკოტურიზმი და დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორთა რაოდენობა წინა წელთან შედარებით გაიზარდა 30%-ით;

აშენებული და მოწყობილია კინჩხასა და ნავენახევის ბუნების ძეგლების და საწურბლიის მღვიმის ტურისტული ინფრასტრუქტურა; ალგეთის და ყაზბეგის ეროვნულ პარკებში მოწყობილია ტურისტული ობიქტები;

გაზრდილია საქართველოს დაცული ტერიტორიების ცნობადობა გლობალურ, ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე. ხელი შეეწყო გარემოსდაცვით აქტივობებში ადგილობრივი მოსახლეობის მაქსიმალურ ჩართულობას;

სათანადოდ აღჭურვილია ინფრასტრუქტურა, განახლებულია ზოგიერთი საველე შენობა-ნაგებობება;

დაცული ტერიტორიების მიმდებარედ აღდგენილი და განვითარებული ტრადიციული სამეურნეო საქმიანობა, რის შედეგადაც ადგილობრივ მოსახლეობას გაეზარდა შემოსავლები და შესაბამისად გაუმჯობესდა მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

1. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი:
   დაცული ტერიტორიების ჯეროვნად დაცვისათვის რეინჯერთა კორპუსი არ არის სათანადოდ შეიარაღებული, კერძოდ, 344 რეინჯერიდან მხოლოდ 130 აქვს ცეცხლსასროლი იარაღი, ხოლო დაცულ ტერიტორიებზე უკანონო შეღწევის ფაქტების შესამცირებლად არ არის საკმარისი დღეის მდგომარეობით არსებული 150-მდე ხერგილი და ბარიერი;

   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი:

   საშუალოვადიანი პერიოდის ბოლომდე შემენილი დაახლოებით 45-მდე ცეცხლსასროლი იარაღი. რეინჯერთა უსაფრთხოების ამაღლებული ხარისხი, შესაბამისი დაცული ტერიტორიის დაცვის 20-30%-ით გაუმჯობესებული ხარისხი; ყოველწლიურად განთავსებული დაახლოებით 10 ერთეული ახალი ხერგილი 2 დაცული ტერიტორიისათვის, შედეგად, 20-30%-ით შემცირებული დაცულ ტერიტორიებზე შეღწევის ფაქტები;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

რეინჯერთა უსაფრთხოების ხარისხის ამაღლების მიზნით შსს-ს მიერ გადმოცემული 100 გლუვლულიანი და 20 ტაბელური ცეცხლსასროლი იარაღი, შედეგად, გაუმჯობესებული შესაბამისი დაცული ტერიტორიის დაცვის ხარისხი 20-30%-ით; 3 დაცულ ტერიტორიაზე განთავსებული 35 ერთეული ახალი ხერგილი, შედეგად 20-30%-ით შემცირებული არაკანონიერი შეღწევის ფაქტები დაცულ ტერიტორიებზე;

2. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი:
მავნებელ დაავადებათა გავრცელებისა და აგრესიულობის დონის დადგენის მიზნით, საშუალოვადიან პერიოდში დეტალურ კვლევას საჭიროებს ყაზბეგისა და ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკების ტერიტორია, ასევე აჭარის დაცული ტერიტორიები (მტირალა, კინტრიში, მაჭახელა), ამასთან, თუშეთის დაცულ ტერიტორიებში გამოვლენილ მავნებლებთან ბრძოლისთვის არ არის საკმარისი შესაბამისი პრეპარატები და აღჭურვილობა;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი:

მავნებელ დაავადებათა შემცირებული პროგრესირება, გაუმჯობესებული სანიტარული მდგომარეობა დაზიანებული ტყის ფართობის 20 %-ზე; თუშეთის დაცული ტერიტორიისთვის შეძენილი მავნებლებთან ბრძოლის შესაბამისი პრეპარატები და აღჭურვილობა, აჯამეთის აღკვეთილში საშუალოვადიანი პერიოდის განმავლობაში 10 ჰა ფართობზე განახლებული იმერული მუხა, განახლებული დეგრადირებული ტერიტორიის დაახლოებით 5%;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

აჯამეთის აღკვეთილში 10 ჰა-ზე აღდგენილი იმერული მუხა, განახლებული დეგრადირებული ტერიტორიის დაახლოებით 10%; ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში განხორციელებული მავნებლებთან ბრძოლის ღონისძიებების შედეგად შემცირებული მავნებელ დაავადებათა პროგრესირება, გაუმჯობესებული სანიტარული მდგომარეობა დაზიანებული ტყის ფართობის 20 %-ზე;

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული მავნებლებთან ბრძოლის ღონისძიებების ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში განხორციელება

3. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი:
   არსებულ ზოგიერთ ვიზიტორთა ცენტრში არ არის მოწყობილი ვიზიტორთა საექსპოზიციო დარბაზი სრულყოფილი ინფორმაციის მისაღებად, ხოლო რამდენიმე დაცულ ტერიტორიაზე საგამოფენო დარბაზები, საჭიროებს განახლებას. ასევე დაცული ტერიტორიების ნაწილზე განთავსებული სხვადასხვა საინფორმაციო მანიშნებლების უმეტესობა დაზიანებულია და საჭიროებს შეცვლას, ხოლო დაცულ ტერიტორიებზე ვიზიტორებს ტურისტულ ბილიკებზე გადასაადგილებლად ესაჭიროებათ სხვადასხვა მიმართულების მაჩვენებლები;

   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი:

   საშუალოვადიანი პერიოდის განმავლობაში მოწყობილი 4 და ასევე განახლებული 4 ვიზიტორთა ცენტრი, (მათ შორის 2017 წელს განახლდება 1) რაც უზრუნველყოფს ვიზიტორთა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას და ვიზიტორთა ინფორმირებას დაცული ტერიტორიების მნიშვნელობის, სარგებლის და სხვა დანიშნულების შესახებ. დამზადებული და დამონტაჟებული 250 ერთეული საინფორმაციო, საინტერპრეტაციო და მიმართულების მანიშნებელი დაფები (მ.შ, 2017 წელს - 100). შედეგად, ინფორმირებული დაცულ ტერიტორიებზე შემოსული ვიზიტორი, შემცირებული უკანონო ქმედებები;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

   მოწყობილი და განახლებული 3 მსხვილი ტურისტული ობიექტი, 2 ადმინისტრაციის ვიზიტორთა ცენტრი. დამონტაჟებული 374 ერთეული საინფორმაციო, საინტერპრეტაციო და მიმართულების მანიშნებელი დაფა.

4. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი:
   რეგიონში ტურიზმის განვითარების მიზნით, საჭიროა დაცული ტერიტორიების ცნობადობის გაზრდა, ვიზიტორთა მოზიდვის მიზნით საჭიროა სხვადასხვა აქტივობების განხორციელება (2015წ. ვიზიტორთა რაოდენობამ შეადგინა - 519 ათასი, ხოლო 2016წ. 8 თვე - 550 ათასი);

   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი:

საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობის შედეგად 15%-ით გაზრდილი უცხოელი ვიზიტორების რაოდენობა, ხოლო სარეკლამო აქტივობების საშუალებით ყოველწლიურად 10-15%-ით გაზრდილი ვიზიტორთა რაოდენობა; ვიზიტორებისთვის ხელმისაწვდომი საპრომოციო მასალით უზრუნველყოფილი დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციები და 20%-ით ამაღლებული საზოგადოებრივი ინფორმირებულობის და ცნობიერების დონე (ვებგვერდისა და ფბ გვერდის ნახვის რაოდენობა, მოწონებები); ტურისტული კომპანიებისა და მედიის წარმომადგენელებისათვის მოწყობილი ინფო-ტურების შედეგად გაზრდილი დაცული ტერიტორიების ცნობადობა და ყოველწლიურად 10%-ით გაზრდილი ვიზიტორთა რაოდენობა;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობის შედეგად 20%-ით გაზრდილია უცხოელი ვიზიტორების რაოდენობა, სარეკლამო აქტივობების საშუალებით 20%-ით გაზრდილია ვიზიტორთა რაოდენობა; ხელმისაწვდომი საპრომოციო მასალით უზრუნველყოფილია დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციები და 25%-ით ამაღლებულია საზოგადოებრივი ინფორმირებულობის და ცნობიერების დონე (ვებგვერდის ნახვის რაოდენობა, მოწონებები); ტურისტული კომპანიებისა და მედიის წარმომადგენელებისათვის მოწყობილი ინფო-ტურების შედეგად გაზრდილია დაცული ტერიტორიების ცნობადობა, 2016 წელთან შედარებით 30%-ით გაზრდილი ვიზიტორთა რაოდენობა;

5. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი:
   დონორის დაფინანსებით დღეის მდგომარეობით მოწყობილია 13 დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციის ინფრასტრუქტურა, იფარება 9 ადმინისტრაციის საოპერაციო ხარჯები, მიმდინარეობს 9 ადმინისტრაციის 240-მდე თანამშრომლის სოციალური დაცვის ღონისძიებები;

   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი:

   ყოველწლიურად მოწყობილი დამატებით ერთი დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციის ინფრასტრუქტურა, დაფარული 9 ადმინისტრაციის საოპერაციო ხარჯები და უზრუნველყოფილი ამ ადმინისტრაციების თანამშრომელთა სოციალური დაცვა (240-მდე თანამშრომელი უზრუნველყოფილია 35%-იანი დანამატით);

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

მოწყობილი თუშეთისა და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის ინფრასტრუქტურა; 35%-იანი სახელფასო დანამატით უზრუნველყოფილია 10 დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციის 260-დე თანამშრომელი. შედეგად, მოტივირებული თანამშრომლები და შემცირებული კვალიფიციური კადრის დენადობა.

6. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი:
ალგეთის, ყაზბეგისა და ფშავ-ხევსურეთის დაცულ ტერიტორიებზე აშენებულია ადმინისტრაციული შენობები და ვიზიტორთა ცენტრები, თუმცა მოსაწყობია საველე ინფრასტრუქტურა გამართული სრულყოფილი ეკო- ტურისტურისტული მომსახურებისათვის, ადმინისტრაციები საჭიროებენ შესაბამის აღჭურვილობას; გარდა ამისა, ალგეთის, ყაზბეგის, კინტრიშისა და ფშავ-ხევსურეთის დაცულ ტერიტორიებზე ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის და საკონსერვაციო ღონისძიებების ჩასატარებლად საჭიროა სხვადასხვა მიმართულების სპეციალისტების მოწვევა და ხშირ შემთხვევაში ღრმა კვლევა, სპეციალური აღჭურვილობა ან ლაბორატორია. აღნიშნული დაცული ტერიტორიების მიმდებარედ არსებულ დასახლებულ პუნქტებში (სოფლებში) არ არის განვითარებული გზები, ხიდები, წყალმომარაგების სისტემა, საოჯახო სასტუმროები, კვების ობიექტები და სხვ. დონორი ორგანიზაცია სთავაზობს დაცული ტერიტორიების მიმდებარედ მცხოვრებ მოსახლეობას სოციალური პროექტების დაფინანსებას;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი:

აშენებული და მოწყობილი საველე ტურისტული ინფრასტრუქტურა ალგეთის (2017 წელს) ფშავ- ხევსურეთის და ყაზბეგის (2018 წელს) დაცული ტერიტორიებზე, დონორის დაფინანსებით აღჭურვილი ალგეთის, ყაზბეგის, კინტრიშის და ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციები; გამოვლენილი მცენარეთა და ცხოველთა საკვანძო (იშვიათი, გადაშენების პირას მყოფი, ენდემური, რელიქტური, ასევე მავნებელი) სახეობები; სამიზნე დაცული ტერიტორიების მიმდებარე სოფლებში კონკურსების შედეგად შერჩეული, დაფინანსებული და განხორციელებული სხვადასხვა სოციალური პროექტები (ყოველწლიურად დაახლოებით 3-4 პროექტი);

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

აშენებული და მოწყობილია საველე ტურისტული ინფრასტრუქტურა ალგეთის დაცულ ტერიტორიაზე, დონორის დაფინანსებით აღჭურვილია ალგეთის, ყაზბეგის, კინტრიშის და ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციები; გამოვლენილია მცენარეთა და ცხოველთა საკვანძო (იშვიათი, გადაშენების პირას მყოფი, ენდემური, რელიქტური, ასევე მავნებელი) სახეობები; სამიზნე დაცული ტერიტორიების მიმდებარე სოფლებში კონკურსების შედეგად შერჩეული, დაფინანსებული და განხორციელებულია 4 სოციალური პროექტი;

7. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი:
   დაწყებულია კინჩხისა და ნავენახევის მღვიმის ბუნებრივი ძეგლების ინფრასტრუქტურის მოწყობის საპროექტო სამუშაოები

   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი:

   კინჩხას და ნავენახევის მღვიმის ბუნების ძეგლებზე მოწყობილი ტურისტული ინფრასტრუქტურა, კერძოდ, კინჩხა: მცირე ვიზიტორთა ცენტრი, ბილიკი და გადასახედი პლატფორმა. ნავენახევის მღვიმე: მღვიმის განათება, ბილიკი, საპიკნიკე ადგილები, საბავშვო სათამაშო მოედნები, კვების ობიექტი და სუვენირების მაღაზია. აღნიშნული დაცული 285 ტერიტორიების მიმდებარედ არსებულ დასახლებულ პუნქტებში (სოფლებში) განვითარებული საოჯახო სასტუმროები, კვების ობიექტები და სხვა;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

მოწყობილია ინფრასტრუქტურა კინჩხას ჩანჩქერისა და ნავენახევის და საწურბლიას მღვიმეების ბუნების ძეგლებზე. ხელი შეეწყო აღნიშნული დაცული ტერიტორიების მიმდებარედ არსებულ დასახლებულ პუნქტებში (სოფლებში) საოჯახო სასტუმროებისა და კვების ობიექტების განვითარებას.

12.2 სატყეო სისტემის ჩამოყალიბება და მართვა (პროგრამული კოდი 38 04)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტო

   დაგეგმილი საბოლოო შედეგები

   დაცული საქართველოს ტყეების ეკოლოგიური ფასეულობები, მათ შორის ბიოლოგიური მრავალფეროვნება;

   ჩამოყალიბებული ტყის ფონდის მართვის ქმედითი სისტემა;

   აღდგენილი ტყის ეკოსისტემები, გაზრდილი ტყით დაფარული ფართობები;

მერქნული რესურსით უზრუნველყოფის მოწესრიგებული სისტემა;

განახლებული ინფორმაცია ტყის რესურსების, მათი ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების შესახებ, დაგეგმილი სატყეო ღონისძიებები, დაგეგმილი ტყითსარგებლობა;

სატყეო სამეურნეო ღონისძიებების განხორციელების შედეგად, დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა, ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების გზით;

სატყეო შემოსავლების და სატყეო სექტორის წილის ზრდა ქვეყნის ეკონომიკაში.

მიღწეული საბოლოო შედეგები

საქართველოს ტყეების გაუმჯობესებული ეკოლოგიური მდგომარეობა;

ტყის ფონდის მართვის გაუმჯობესებული სისტემა;

აღდგენილი ტყის მასივები; მოწყობილი დროებითი სანერგეები და გაშენებული ტყის ფართობები;

მერქნული რესურსით უზრუნველყოფის მოწესრიგებული სისტემა; მერქნული რესურსების მართვის გაუმჯობესებული ელექტრონული სერვისები;

განახლებული ინფორმაცია ტყის რესურსების, მათი ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების შესახებ 4 სატყეო უბნისთვის;

სატყეო სამეურნეო ღონისძიებების განხორციელების შედეგად შექმნილი დამატებითი სამუშაო ადგილები, ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების გზით;

გაზრდილი სატყეო შემოსავლები და სატყეო სექტორის წილი ქვეყნის ეკონომიკაში.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები

1. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი:

სატყეო სფეროში არსებული არასრულყოფილი საკანონმდებლო და მეთოდოლოგიური ბაზა;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი:

დამტკიცებული/მიღებული „ტყის კოდექსი“ და მომზადებული შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები 2017 წელს;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

შემუშავებული და მიღებულია ცვლილებები ტყითსარგებლობის მარეგულირებელ კანონმდებლობაში და შესაბამის ნორმატიულ დოკუმენტებში. მომზადებულია ახალი „ტყის კოდექსი“-ს პროექტი.

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე:

„ტყის კოდექსის“ პროექტის გადამუშვებული ვარიანტის საჯარო განხილვების და შეთანხმების პროცესი გრძელდება და კანონპროექტი წარედგინება პარლამენტს.

2. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი:

2015 წელს გამოვლენილი იქნა 3 412 ერთეული სამართალდარღვევის ფაქტი (95 ერთეულით ნაკლები 2014 წელთან შედარებით);

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი:

წინა წელთან შედარებით 2017 წელს 7-8%-ით შემცირებული უკანონო ჭრები, აღნიშნული მაჩვენებელი იზრდება ყოველწლიურად 3-5%-ით;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

2017 წელს გამოვლენილი იქნა 3 482 ერთეული სამართალდარღვევის ფაქტი (70 ერთეულით მეტი 2016 წელთან შედარებით); გაზრდილია გამოვლინების რაოდენობა, უკანონო ჭრების მოცულობა წინა წელთან შედარებით, შემცირებულია 3.3%-ით.

3. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი:

2013 წლის პერიოდიდან დღემდე მავნებელ-დაავადებათა პროგრესირების შემცირებისა და ტყეების სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით დამუშავებულია 22 000 ჰექტარი; მავნებელ დაავადებათა პროგრესირება შემცირებულია 50%; ტყეების სანიტარული მდგომარეობა გაუმჯობესებულია 60%-ით. ტყის ფართობების აღდგენის მიზნით, დღეისათვის დროებითი სანერგეები მოწყობილია 4,5 ჰა ფართობზე (7 რეგიონში). გამოყვანილი ნერგები გამოყენებული იქნება ნახანძრალი ტერიტორიის აღდგენისათვის. ასევე, 16 ჰა-ზე გაშენებულია სწრაფმზარდი პლანტაციები, რითაც მოსახლეობა უზრუნველყოფილი იქნება საშეშე მერქნით, სარებით, ჭიგოებით და ა.შ.;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი:

შესაბამის ფართობებზე მავნებელ დაავადებათა პროგრესირების ყოველწლიურად შემცირებული მაჩვენებელი 10%-ით (საშუალოვადიანი პერიოდის ბოლოს 90%-ით), ამავე ფართობებზე ტყეების 5%-ით (საშუალოვადიანი პერიოდის ბოლოს 80%-ით) გაუმჯობესებული სანიტარული მდგომარეობა, სავარაუდოდ ყოველწლიურად დარგული 500 000 ცალი ნერგი (იმერული მუხა, მაღალმთის ნეკერჩხალი, მაღალმთის მუხა, წაბლი და ა.შ.) და 100 ჰა-ზე გაშენებული ტყე (მ.შ. ნახანძრალი ტერიტორია); საშუალოვადიანი პერიოდის ბოლოს დამატებით 80 ჰა-ზე გაშენებული პლანტაცია (დარგვიდან მე- 4 წელს მიღებული დაახლოებით 44,8 ათ. კბმ მერქნული რესურსი). მათ შორის 2017 წელს - 31 ჰა (დარგვიდან მე-4 წელს მიღებული დაახლოებით 13,5 ათ. კბმ მერქნული რესურსი);

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მავნებლების წინააღმდეგ განხორციელებული ბრძოლის შედეგად დაჭერილი და განადგურებული 1 მლნ-ზე მეტი მავნებელი მწერი. 63%-ით გაუმჯობესებული ტყეების სანიტარული მდგომარეობა. 100.4 ჰა-ზე გაშენებული ტყე (მ.შ. ნახანძრალი ტერიტორია- 80 ჰა, რომელიც 2017 წლის აგვისტოს ხანძრის შედეგად კვლავ განადგურებულია); განხორციელებული ტყის აღდგენის 26 პროექტი საქართველოს 8 რეგიონში, მოწყობილი ტყის დროებითი სანერგეები 5.16 ჰა-ზე; შევსება განხორციელებული - 40.5 ჰა-ზე (45 765 ცალი ნერგი); დარგული - 59 306 ცალი თესლნერგი;

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

2017 წელს, სამცხე-ჯავახეთში ბორჯომის სატყეო უბნის ჩარხისწყლის სატყეოს ტერიტორიაზე გაჩენილი ხანძრის შედეგად განადგურდა 80.0 ჰა-ზე გაშენებული ნარგავები; ასევე, ვერ განხორციელდა ტყის გაშენების ახალი პროექტით გათვალისწინებული სამუშოები 159.3 ჰა ფართობზე, სადაც უნდა დარგულიყო 439 700 ცალი ნერგი. ხანძრის გამო შემცირდა გაშენებული ფართოებების რაოდენობა; შესაბამისად, საშემოდგომო მოვლის ღონისძიებები ვერ იქნა განხორციელებული.

4. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი:

მოსახლეობის და საბიუჯეტო ორგანიზაციების მერქნულ რესურსებზე (მ.შ. სათბობი შეშა) მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით 2015 წლის მდგომარეობით მოწყობილი/რეაბილიტირებულია გამოყოფილ ტყეკაფებამდე მისასვლელი 179.8 კმ სატყეო-სამეურნეო გზა, 2016 წელს დაგეგმილია დაახლოებით 70 კმ-მდე გზის მოწყობა/რეაბილიტაცია;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი:

გამოყოფილ ტყეკაფებში არსებულ რესურსზე ხელმისაწვდომობის მიზნით, მოწყობილი/რეაბილიტირებული სატყეო-სამეურნეო გზები სავარაუდო სიგრძით 140 კილომეტრამდე. მოწყობილ/რეაბილიტირებული ტყეკაფებამდე მისასვლელი გზების 70% დასაგეგმი წლის პირველი აგვისტოსთვის, ხოლო მოცემული წლის 1 სექტემბერს შესრულებული დაგეგმილი სამუშაოების სრული მოცულობა. სრულად უზრუნველყოფილი ხელმისაწვდომობა ხე-ტყის გამოყოფილ რესურსზე (600,0 ათ. კბმ-დან 700,0 ათ. კბმ-მდე);

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

გამოყოფილ ტყეკაფებში არსებულ რესურსზე ხელმისაწვდომობის მიზნით მოწყობილი/რეაბილიტირებული სატყეო-სამეურნეო გზები - 73.3 კმ.; მოსახლეობის, საბიუჯეტო და სხვადასხვა ორგანიზაციების ხე-ტყით უზრუნველყოფის მიზნით გამოყოფილი ტყეკაფები 480 944.62 კბმ ოდენობით. (მ.შ. I ხარისხის 29 114.62 კბმ, ხოლო II ხარისხის 451 830.00 კბმ მერქანი); ხე-ტყის დამზადების ბილეთებით გაცემულია 474 548.22 კბმ ხე-ტყე (მ.შ. I ხარისხი 42 683.75 კბმ, II ხარისხი - 431 864.47 კბმ).

5. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი:

ტყის რესურსების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია მოძველებულია და არ ასახავს ფაქტიურ მდგომარეობას. ტყის მართვის განახლებული გეგმები შედგენილია მხოლოდ 4 სატყეო უბნისათვის (46 სატყეო უბნიდან), რაც არსებული სახელმწიფო ტყის ფონდის მხოლოდ 8.7%-ს შეადგენს;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი:

სააგენტოს მიერ მომზადებული ტყის მართვის გეგმები ყოველწლიურად დამატებით 2 სატყეო უბნისათვის (მათ შორის 2017 წ. - ლანჩხუთი, ოზურგეთი, (33,5 ათ. ჰა) და ნაწილობრივი ინვენტარიზაცია ჩოხატაურის სატყეო უბნისათვის 17.4 ათ. ჰა-ზე (სულ - 52.5 ათ. ჰა)). საერთო ჯამში განახლებული ტყის მართვის გეგმა საშუალოვადიანი პერიოდის ბოლოსთვის სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიის დაახლოებით 38,6%-ზე; ტყის მდგრადი მართვის პრინციპების დაცვით 2017 წელს დამზადდება და რეალიზდება 25 000 კბმ მერქნული რესურსი, მომდევნო წლებში - 30 000 კბმ;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

ტყის ფონდის აღრიცხვა-ინვენტარიზაციის სამუშაოების ორი ეტაპი დასრულებულია ლანჩხუთის (11 300 ჰა), ოზურგეთისა (22 200 ჰა) და ზესტაფონის (14 000 ჰა) სატყეო უბნებზე.

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე:

ტყის აღრიცხვის ღონისძიებებში, ტენდერების საფუძველზე შერჩეულმა კომპანიებმა ვერ შეასრულეს ნაკისრი ვალდებულება და შესრულდა სამუშოების მხოლოდ პირველი და მეორე ეტაპი, ხოლო მესამე ეტაპის დასრულება და მართვის გეგმების დამტკიცება განხორციელდება 2018 წლის პირველ-მეორე კვარტალში. გარდა აღნიშნულისა, 2017 წელს დაგეგმილი იყო სამუშაოები ჩოხატაურის სატყეო უბნისათვის 17.4 ათასი ჰა-ზე (სულ ფართობი - 52.5 ათასი ჰა). ინვენტარიზაცია დაიწყო და სამუშაოების პირველი ეტაპი განხორციელდა დონორი ორგანიზაციის - მსოფლიო ბანკის დახმარებით. გამოთავისუფლებული რესურსით იგეგმებოდა ლენტეხის სატყეო უბნის ინვენტარიზაციის სამუშოების დაწყება, დამტკიცდა ტექნიკური დავალება, მაგრამ ტენდერი 2017 წელს დასრულდა უარყოფით შედეგით.

6. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი:

სააგენტომ 2014 წელს დაიწყო ხე-ტყის დამზადება, 2014-2015 წწ. დამზადდა 9 650 კბმ ხე-ტყე. 2016 წელს მოსალოდნელია 10 000-15 000 კბმ-მდე რესურსის დამზადება;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი:

სააგენტოს მიერ ტყის მდგრადი მართვის პრინციპების დაცვით 2017 წელს დამზადდება და რეალიზდება 25 000 კბმ მერქნული რესურსი, მომდევნო წლებში - 30 000 კბმ;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

სპეციალური ჭრის ფარგლებში (სანიტარული ჭრისა და საჯარო სკოლების ჩათვლით) დამზადებულია 51 000 კბმ მერქნული რესურსი 5 რეგიონში (2015 წელთნ შედარებით, დამატებით 3 რეგიონში). წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით სპეციალური ჭრის ფარგლებში დამზადებული მერქნული რესურსის მოცულობა გაზრდილია დაახლოებით 5-ჯერ, ხოლო მიზნობრივ მაჩვენებლეთან შედარებით 2-ჯერ. სააგენტოს მიერ 27.7 ათასი კბმ მერქნული რესურსით უზრუნველოფილ იქნა საქართველოს 9 რეგიონის 983 საჯარო სკოლა. სააგენტოს შემოსავლები მერქნული რესურსის რეალიზაციიდან გაზრდილია დაახლოებით 4-ჯერ, რომელიც მოხმარდა ტყითსარგებლობის და სხვა სატყეო ღონისძიებების დაფინანსებას.

12.3. გარემოსდაცვითი ზედამხედველობა (პროგრამული კოდი 38 02)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

გაუმჯობესებული გარემოს დაცვის ხარისხი;

შექმნილი კანონდარღვევათა შემაკავებელი გარემო, უზრუნველყოფილი გამოვლენილ კანონდარღვევებზე დროული და პროპორციული რეაგირება, რისი საშუალებითაც მოხდება ლეგალური საქმიანობის ხელშეწყობა და კონკურენციის თანაბარი პირობების შექმნა;

რეგულირების ობიექტების და მოქალაქეების გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნებზე ინფორმირებულობის მაღალი დონე და დაინტერესებული მხარეების ფინანსური, მატერიალური და დროითი რესურსების შემცირებული ხარჯი;

შექმნილი ახალი ინფრასტრუქტურა, სათანადოდ აღჭურვილი სწრაფი რეაგირების ჯგუფები;

გადამზადებული ოპერატიულ რეჟიმში მომუშავე თანამშრომლები

მიღწეული საბოლოო შედეგები

შემცირებულია გარემოს დაბინძურებისა და ბუნებრივი რესურსებით უკანონო სარგებლობის ფაქტები;

სხვადასხვა სპეციფიკური მიმართულებებით გამოვლენილ კანონდარღვევებზე განხორციელებულია დროული და პროპორციული რეაგირება;

რეგულირების ობიექტების გეგმიური და არაგეგმიური შემოწმება. 24-საათიან რეჟიმში განხორციელებული პრევენციული ღონისძიებები. „ცხელ ხაზზე“ შემოსულ შეტყობინებებზე ოპერატიული რეაგირება. გაუმჯობესებული ელექტრონული სერვისები.

შექმნილია გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის გამართული და სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. აშენებული და მოწყობილი ორი ახალი რეგიონალური ოფისი და აღჭურვილი სწრაფი რეაგირების ეკიპაჟები.

გადამზადებულია ოპერატიულ რეჟიმში მომუშავე თანამშრომლები;

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები

1. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი:

მიმდინარე მონაცემებით (10 თვე), გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევით ბუნებრივი რესურსებით უკანონო სარგებლობით გარემოსთვის მიყენებული ზიანი შეადგენს 25.9 მლნ-მდე ლარს;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი:

გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევით ბუნებრივი რესურსებით უკანონო სარგებლობით გარემოსათვის მიყენებული ზიანის ყოველწლიურად შემცირებული მაჩვენებლები (მათ შორის 2017 წელს 2016 წლის სავარაუდო მაჩვენებლებთან შედარებით - 35%-ით), რომელიც 2020 წლის ბოლოსთვის არ გადააჭარბებს 2,0 მლნ ლარს;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევით, ბუნებრივი რესურსებით უკანონო სარგებლობით გარემოსთვის მიყენებული ზიანის დაანგარიშებულმა ოდენობამ შეადგინა 9 მლნ-მდე ლარი;

2. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი:

წლის ბოლომდე სამართალდამრღვევი ობიექტების 75-80% დადგენილ გონივრულ ვადებში შეასრულებს გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრის მიზნით განსაზღვრულ ვალდებულებს;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი:

საშუალოვადიანი პერიოდის ბოლოს სამართალდამრღვევი ობიექტების 92-95%-ის მიერ დადგენილ გონივრულ ვადებში შესრულებული გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრის მიზნით განსაზღვრული ვალდებულები;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

სამართალდამრღვევი ობიექტების 70%-ის მიერ დადგენილ გონივრულ ვადებში შესრულდა გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრის მიზნით განსაზღვრულ ვალდებულები.

3. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი:

მინისტრის მიერ დამტკიცებული რეგულირების ობიექტების შემოწმებათა გეგმის მიხედვით, 2016 წლის განმავლობაში დაიგეგმა 233 რეგულირების ობიექტის საქმიანობის გარემოსდაცვით კანონმდებლობასთან შესაბამისობის შემოწმების განხორციელება. მიმდინარე მონაცემებით ინსპექტირება (შემოწმება, დათვალიერება) განხორციელდა 1 969 ობიექტზე;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი:

რეგულირების ობიექტების შემოწმებათა ყოველწლიური გეგმის შესაბამისად გეგმიურად შემოწმებული 150-ზე მეტი რეგულირების ობიექტი და 2000-ზე მეტ ობიექტზე განხორციელებული ინსპექტირება (შემოწმება, დათვალიერება);

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

2017 წლის განმავლობაში განხორციელდა 124 რეგულირების ობიექტის გეგმიური შემოწმება. 2017 წელს ინსპექტირებულია (მ.შ გეგმიური, არაგეგემიური შემოწმებები, დათვალიერება) 2 851 ობიექტი;

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

2016 წელს განხორციელებული რეორგანიზაციის შედეგად ინსპექტორთა რაოდენობის შემცირების გამო, მინისტრის მიერ დამტკიცებული რეგულირების ობიექტების 2017 წლის შემოწმებათა გეგმით დამტკიცდა 138 რეეგულირების ობიექტის შემოწმება. შემოწმდა 124 ობიექტი (ცდომილება მიზნობრივ მაჩვენებელთან მიმართებაში - 18%), ვინაიდან ზოგიერთი რეგულირების ობიექტის შემოწმება შეწყდა, ან არ

განხორციელდა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიით დადგენილი პირობების კონტროლის ფუნქციის სხვა უწყებისთვის გადაცემის გამო.

4. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი:

აშენებულია 2 ახალი საოფისე შენობა (ქ. გოში და ქ. ოზურგეთში) წლის ბოლომდე აშენდება რაჭის ქ. ამბროლაურში საოფისე შენობა და აჭარასა და ახალციხეში შესრულდება მინიმუმ 50% სამშენებლო სამუშაოები, ასევე ნაწილობრივ აღიჭურვა სწრაფი რეაგირების 34 ეკიპაჟი;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი:

დასრულებული 2 ახალი ოფისის მშენებლობა (ბათუმსა და ახალციხეში) და საშუალოვადიანი პერიოდის ბოლოს სრულად აღჭურვილი სწრაფი რეაგირების 66 ეკიპაჟი;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

დასრულდა 3 ახალი ოფისის მშენებლობა და კეთილმოწყობა ქ. ახალციხეში, ქ. ბათუმსა და ქ. ამბროლაურში. სრულად აღიჭურვა სწრაფი რეაგირების 34 ეკიპაჟი.

5. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი:

მიმდინარე მონაცემებით 2016 წელს გადამზადდა 100 თანამშრომელი;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი:

შიდა რესურსით გადამზადებული 300 თანამშრომელი;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

სწავლება გაიარა 300-ზე მეტმა თანამშრომელმა სხვადასხვა მიმართულებით: სატყეო და ბიომრავალფეროვნების, მრგვალი ხე-ტყის სახერხი საამქროების ელექტრონული სისტემის დანერგვის საკითხებზე, გარემოსდაცვითი კონტროლისა და სატყეო სექტორის პოლიტიკის, მართვისა და ზედამხედველობის, ნარჩენების მართვის, ასევე ახალი საკანონმდებლო რეგულაციების საკითხებზე.

12.4 გარემოს დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება, რეგულირება და მართვა (პროგრამული კოდი 38 01)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

გარემოს დაცვის სფეროში სახელმწიფოს ერთიან ხედვასა და სტრატეგიასთან შესაბამისობაში განხორციელებული სახელმწიფო პოლიტიკა;

კანონმდებლობის რეგულაციის ქვეშ მოქცეული ყველა ის საქმიანობა, რომელიც მნიშვნელოვან მავნე ზემოქმედებას ახდენს გარემოზე;

ატმოსფერული ჰაერის ხარისხის, წყლის რესურსების, ნარჩენებისა და ქიმიურ ნივთიერებათა მართვის, ასევე ბიომრავალფეროვნების დაცვის გაუმჯობესება ეროვნული კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან და საერთაშორისო მოთხოვნებთან ჰარმონიზაციის გზით;

საზოგადოების ცნობიერების ამაღლება გარემოსდაცვით საკითხებზე, გარემოსდაცვით აქტივობებში საზოგადოების ჩართულობა;

ცხოველთა, მათ შორის საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობების საწყის მონაცემთა განახლებული ბაზა;

საქართველოს ფლორისა და ფაუნის სახეობათა გავრცელების არეალის მდგომარეობის შეფასება და შესაბამისი საკონსერვაციო/აღდგენის მიზნით განხორციელებული ღონიძიებები.

მიღწეული საბოლოო შედეგები

გარემოს დაცვის სფეროში განხორციელებული სახელმწიფო პოლიტიკა შეესაბამება საქართველოს მთავრობის 2016-2020 წლების პროგრამას - „თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა“, მთავრობის 4-პუნქტიან გეგმას და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიას - „საქართველო - 2020“.

მიღებულია გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი და გაფართოებულია გარემოზე ზემოქმედების შეფასებას დაქვემდებარებული საქმიანობების ჩამონათვალი;

ატმოსფერული ჰაერის დაცვის, წყლის რესურსების, ნარჩენებისა და ქიმიურ ნივთიერებათა მართვის სფეროში შესრულებულია ასოცირების შესახებ შეთანხმებითა და სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებები მათი განხორციელების ვადების შესაბამისად. გრძელდება ბიომრავალფეროვნების დაცვის ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ასოცირების შესახებ შეთანხმებით განსაზღვრულ ევროკავშირის დირექტივებთან;

გარემოსდაცვით საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და გარემოსდაცვით აქტივობებში საზოგადოების ჩართულობის ზრდის მიზნით ჩატარებულია შესაბამისი ღონისძიებები.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები

1. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი
   მოქმედი გარემოზე ზემოქმედების ნებართვის კანონი ვერ აკმაყოფილებდა საერთაშორისო სტანდარტებს და ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, დღეის მდგომარეობით მომზადებულია ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი", რომელიც სრულად აკმაყოფილებს საერთაშორისო მოთხოვნებს, მიმდინარეობს პარლამენტში კანონპროექტის განხილვა;

   დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი

   ახალი კანონის შესაბამისად, დანერგილია გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების გამჭვირვალე პროცედურები, უზრუნველყოფილია ზემოაღნიშნულ პროცედურებში საზოგადოების მონაწილეობის მაღალი სტანდარტი, შემცირებულია ინვესტორის ფინანსური დანაკარგების ალბათობა და პროექტის განხორციელებისათვის ხელისშემსლელი გარემოებები, გათვალისწინებულია სტრატეგიული დაგეგმარების ახალი ინსტრუმენტი - სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება;

   მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

   მიღებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“, რომლის შესაბამისადაც გარემოზე ზემოქმედების შეფასებას დაქვემდებარებული საქმიანობების ჩამონათვალი გაფართოვდა, კოდექსი ითვალისწინებს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გამჭვირვალე პროცედურებს, უზრუნველყოფს საჯარო კონსულტაციების ეფექტიან მექანიზმებს, ტრანსსასაზღვრო გარემოსდაცვით შეფასებას, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს ტერიტორიაზე გარემოზე შესაძლო ზიანის მიყენების პრევენციას, რომელიც მოსალოდნელია საქართველოს საზღვრებს გარეთ დაგეგმილი პროექტების შედეგად. კოდექსით დაინერგება სექტორული სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სისტემა, რომლის მეშვეობით ქვეყნის სივრცითი და ეკონომიკური დაგეგმვისას გათვალისწინებული იქნება გარემოსდაცვითი ინტერესები. კოდექსით გათვალისწინებული ძირითადი ვალდებულებები ამოქმედდა 2018 წლის 1 იანვრიდან. კოდექსის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ნაწილი გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში ამოქმედდება 2018 წლის 1 ივლისიდან, ხოლო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში 2018 წლის 31 დეკემბრიდან.

2. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი

   მიღებულია ,,ნარჩენების მართვის კოდექსი“ რომელიც მოქმედებს 2015 წლის იანვრიდან. თუმცა, ჯერჯერობით სრულად არ არის შემუშავებული კოდექსის სრული იმპლემენტაციისათვის აუცილებელი მთელი რიგი კანონქვემდებარე აქტები; დღეისათვის საქართველოში არ არის ჩამოყალიბებული ნარჩენების მართვის დაგეგმვის სისტემა და არც ამის სამართლებრივი ვალდებულება არსებობდა კოდექსის მიღებამდე. კოდექსი ადგენს ეროვნული 15 წლიანი სტრატეგიისა და 5 წლიანი ეროვნული გეგმის შემუშავებას, რაც მიღებულ იქნა 29.03.16 მთავრობის მიერ. მუნიციპალიტეტების ვალდებულებაა შეიმუშავონ მუნიციპალური ნარჩენების მართვის 5 წლიანი გეგმები

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი

შემუშავებული კოდექსის სრული იმპლემენტაციისათვის აუცილებელი მთელი რიგი კანონქვემდებარე აქტები ნარჩენების მართვის სფეროში; მუნიციპალიტეტების შესაძლებლობების გაძლიერებისათვის ჩატარებული სწავლებები მუნიციპალური ნარჩენების გეგმების შემუშავების ხელშეწყობისათვის; ყველა მუნიციპალიტეტისთვის შემუშვებული და დამტკიცებული ნარჩენების მართვის პირველი ხუთწლიანი გეგმები

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

შემუშავებული და დამტკიცებული კანონქვემდებარე აქტები ნარჩენების მართვის სფეროში; საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტისთვის შემუშავებული მუნიციპალური ნარჩენების მართვის 5 წლიანი გეგმების პროექტები, რომელთა უმეტესი ნაწილიც დამტკიცებულია.

3. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი

ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების რეგულირების (ნორმირების), ჰაერის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სტანდარტების კუთხით მოქმედი ეროვნული კანონმდებლობა არ შეესაბამება საერთაშორისო თანამედროვე მიდგომებს და ვერ უზრუნველყოფს ჰაერის ხარისხის ეფექტიან მართვას; შიდა წყლის რესურსების მართვის დღეს არსებული პრაქტიკა ვერ უზრუნველყოფს წყლის რესურსების მართვას მდინარის აუზის ფარგლებში არსებული სიტუაციის გათვალისწინებით;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი

ჰაერის დამაბინძურებლებთან მიმართებაში შემოღებული ჰაერის ხარისხის შეფასების ახალი სტანდარტები, 5 ერთეულით გაზრდილი შეფასების კრიტერიუმები. „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ მიღებული კანონი, დაწყებული სააუზო მართვის გეგმების შემუშავების ორგანიზება;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

ზოგიერთ თხევად საწვავში დადგენილი გოგირდის შემცველობის ზღვრული ნორმები. შემუშავებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხის სტანდარტების დადგენის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის პროექტი. შემუშავებული „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ საქართველოს კანონპროექტი, რომელსაც ჩაუტარდა რეგულირების ზემოქმედების შეფასება (RIA); დაწყებული სააუზო მართვის გეგმების შემუშავება ალაზანი-იორის და ხრამი-დებედას აუზებისთვის.

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

ჰაერის დამაბინძურებლებთან მიმართებაში შემოღებული ჰაერის ხარისხის შეფასების ახალი სტანდარტები, 5 ერთეულით გაზრდილი შეფასების კრიტერიუმები - სამთავრობო სტრუქტურული ცვლილებების გამო გადავადდა ატმოსფერული ჰაერის ხარისხის სტანდარტების დადგენის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის პროექტის მთავრობისთვის წარდგენა, შედეგად არ გაზრდილა ჰაერის ხარისხის შეფასების კრიტერიუმები.

„წყლის რესურსების მართვის შესახებ“ მიღებული კანონი - საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით ჩატარდა კანონის პროექტის რეგულირების ზემოქმედების შეფასება (RIA) და კანონის პროექტში აისახა RIA-ს შედეგი. აღნიშნული მიზეზით კანონის მიღება გადაიდო 2018 წლისთვის.

4. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი

გარემოსდაცვით საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობის მიზნით ეწყობა სხვადასხვა საინფორმაციო კამპანიები გარემოსდაცვითი თარიღების მიხედვით. გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების მიზნით ეწყობა პრეზენტაციები, კონფერენციები;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი

აღინიშნება ყველა გარემოსდაცვითი მწვანე თარიღი, მოწყობილი 20-მდე თემატური შეხვედრა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მაღალი ჩართულობა გარემოსდაცვითი თარიღების აღნიშვნისა და პოპულარიზაციის მიზნით. ყოველწლიურად მომზადებული და გავრცელებული 5-მდე საინფორმაციო მასალა (ვიდეო-რგოლები; პრომო ვიდეოები და სხვა). სამინისტროში მიმდინარე და დაგეგმილი ღონისძიებების აქტუალურობიდან გამომდინარე, ყოველწლიურად გამოყოფილი 3-მდე პრიორიტეტის ფარგლებში მომზადებული საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებელი სხვადასხვა სახის 10-მდე ღონისძიება - საინფორმაციო ეკო და მედია ტურები და პრეზენტაციები;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

აღინიშნა გარემოსდაცვითი მწვანე თარიღები, მოეწყო 50-მდე თემატური შეხვედრა და ინტერვიუ, გარემოსდაცვითი თარიღების პოპულარიზაციის მიზნით განხორციელდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ჩართვა გარემოსდაცვითი თარიღების აღნიშვნაში. შეიქმნა 2 ვიდეო-რგოლი. სამინისტროს facebook-გვერდზე განთავსდა სხვადასხვა თემატიკის 50-მდე საინფორმაციო მასალა. სამინისტროში მიმდინარე და დაგეგმილი ღონისძიებების აქტუალურობიდან გამომდინარე, სამინისტრომ მონაწილეობა მიიღო გარემოსდაცვითი მწვანე თარიღებთან დაკავშირებით მოწყობილ 12 ღონისძიებაში.

5. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი

შერჩეული პოპულაციების რეალური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის არარსებობა; თეთრყვავილას რესურსი შეფასებულია 2014 წელს, თუმცა რესურსის კომერციული მიზნით ყოველწლიურად დიდი ოდენობით მოპოვების გამო საჭიროა დამატებითი მონიტორინგი.

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი

თეთრყვავილასთვის შერჩეულ სამონიტორინგო ტერიტორიებზე რესურსის თაობაზე მოპოვებული საბაზისო მონაცემები. შემუშავებული რეკომენდაციები მათი საკონსერვაციო და რესურსით სარგებლობის ქმედებებთან დაკავშირებით.

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

ღონისძიება არ განხორციელებულა

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

აღნიშნული ქმედების განხორციელება ვერ მოხერხდა, ვინაიდან თეთრყვავილას სამიზნე პოპულაციების განთავსების რეგიონებში (ძირითადად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული პოლულაციები და გურიის პოპულაცია), ვადაზე ადრე უჩვეულო ცხელი ამინდების მიზეზით, მოხდა მცენარეთა მიწისზედა ნაწილების ნაადრევი ხმობა. კვლევის ჩატარების მეთოდი კი სწორედ თეთრყვავილას მიწისზედა ნაწილების აღრიცხვა-შეფასებას ემყარება. აღნიშნულის გათვალისწინებით, კვლევის ჩატარება გადავადდა 2018 წლისათვის.

12.5 ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების დაცვა (პროგრამული კოდი 38 07)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

მოწესრიგებული საკანონმდებლო ბაზა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საერთაშორისო ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან;

რადიოაქტიური ნარჩენების გაუმჯობესებული მართვის სისტემა;

ელექტროენერგიით, წყლით, ფიზიკური დაცვის სისტემითა და აღჭურვილობით მოწესრიგებული რადიოაქტიური ნარჩენების სამარხი და საცავი;

შეფასებული გარემოს რადიაციული მდგომარეობა;

მაიონებელი გამოსხივების მავნე ზემოქმედებისაგან დაცული მოსახლეობა და გარემო;

დაუსაბუთებელი დასხივებისგან დაცული სამედიცინო პერსონალი და პაციენტები.

მიღწეული საბოლოო შედეგები

მოწესრიგებული საკანონმდებლო ბაზა, რომელიც შესაბამისობაშია საერთაშორისო მოთხოვნებთან და სტანდარტებთან (მიღებული - 3 კანონქვემდებარე აქტი, 3 - კანონქვემდებარე აქტის პროექტი);

რადიოაქტიური ნარჩენების გაუმჯობესებული მართვის სისტემა;

ელექტროენერგიით, წყლით, ფიზიკური დაცვის სისტემითა და აღჭურვილობით მოწესრიგებულია რადიოაქტიური ნარჩენების სამარხი და საცავი (2 ლოკაცია);

შეფასებულია გარემოს რადიაციული მდგომარეობა (სოფ. ანასეული (გურია), სოფ. სააკაძესთან არსებული რადიოაქტიური ნარჩენების სამარხის მიმდებარე ტერიტორია);

მოსახლეობა და გარემო დაცულია მაიონებელი გამოსხივების მავნე ზემოქმედებისაგან ;

დაუსაბუთებელი დასხივებისგან დაცული სამედიცინო პერსონალი და პაციენტები (განხორციელებულია 107 ბირთვული და რადიაციული საქმიანობის განმახორციელებელი ორგანიზაციის ინსპექტირება).

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

1. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი

დღემდე არ ხორციელდებოდა საქართველოს რეგიონებში რადიაციის ფონური მაჩვენებლებისა და გარემოში (ნიადაგში, ჰაერში, წყალში) არსებული რადიონუკლიდების მონიტორინგი შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობის უქონლობის გამო. მიმდინარე წელს დაიწყო საქართველოს რეგიონებში მონიტორინგის განხორციელება;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი

საქართველოს რეგიონებში ეტაპობრივად (ყოველწლიურად მინიმუმ 3 ლოკაცია) განხორციელებული რადიაციის ფონური მაჩვენებლებისა და გარემოში არსებული რადიონუკლიდების მონიტორინგი;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

საქართველოს რეგიონებში სოფ. ანასეული (გურია), სოფ. სააკაძესთან არსებული სამარხის მიმდებარე ტერიტორია) გაზომილი რადიაციული ფონი და ნიადაგში განსაზღვრული რადიონუკლიდების კონცენტრაცია;

2. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი

დღეის მდგომარეობით არსებობს დაცული მცხეთის რადიოაქტიური ნარჩენების ცენტრალიზებული საცავი და სააკაძის რადიოქტიური ნარჩენების სამარხი, მათი ინფრასტრუქტურის მოწესრიგება დაწყებულია, არ არის სრულყოფილად უზრუნველყოფილი შესაბამისი დაცვითი სისტემა;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი

ინფრასტრუქტურულად გამართული, ფიზიკური დაცვის სისტემებით უზრუნველყოფილი რადიოაქტიური ნარჩენების 2 ლოკაცია;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

ინფრასტრუქტურულად გამართული, ფიზიკური დაცვით, ცეცხლმაქრებით, წყალმომარაგებისა და სათვალთვალო სისტემებით აღჭურვილია რადიოაქტიური ნარჩენების განთავსების 2 ლოკაცია;

3. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი

2016 წლის 04 იანვარს შეიქმნა ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო რეგულირებისა და კონტროლის განმახორციელებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი

ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სფეროში განხორციელებული სახელმწიფო კონტროლი, შეფასებული გარემოს რადიაციული მდგომარეობა;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

განხორციელებულია 107 ბირთვული და რადიაციული საქმიანობის განმახორციელებელი ორგანიზაციის ინსპექტირება; ბირთვულ და რადიაციულ საქმიანობაზე გაცემულია 59 ლიცენზია, ლიცენზიის ფარგლებში გაცემულია 144 ნებართვა; გამოვლენილ დარღვევებზე შედგენილია 21 სამართალდარღვევის ოქმი; რეაგირება მოხდა 12 რადიაციულ ინცინდენტზე.

12.6. გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობისა და გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 38 06)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციის და განათლების ცენტრი

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

გარემოსდაცვითი ინფორმაციის მოძიებისთვის საჭირო წყაროებზე საზოგადოების ხელმისაწვდომობა;

სხვადასხვა უწყებაში არსებულ, სათანადოდ დამუშავებულ, ადვილად აღსაქმელ და სანდო გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა;

სხვადასხვა კამპანიებისა და პროგრამების ორგანიზების გზით საზოგადოებაში გაზრდილი გარემოსდაცვითი ცნობიერება;

შესაბამისი პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების გზით გარემოს დაცვის საკითხებისადმი სხვადასხვა სამიზნე ჯგუფების შეცვლილი ქცევა;

სპეციალისტების მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებების ორგანიზების გზით გარემოს დაცვის სფეროში სპეციალისტების გაძლიერებული შესაძლებლობები;

სისტემის გამართული ფუნქციონირებისთვის საჭირო პროგრამული და სამართლებრივი უზრუნველყოფა.

მიღწეული საბოლოო შედეგები

ხელი შეეწყო გარემოსდაცვითი ინფორმაციის მოძიებისთვის საჭირო წყაროებზე საზოგადოების ხელმისაწვდომობას;

ხელი შეეწყო სხვადასხვა უწყებაში არსებულ, სათანადოდ დამუშავებულ, ადვილად აღსაქმელ და სანდო გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა;

სხვადასხვა კამპანიებისა და პროგრამების ორგანიზების გზით საზოგადოებაში გაზრდილია გარემოსდაცვითი ცნობიერება;

შესაბამისი პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების გზით გარემოს დაცვის საკითხებისადმი შეცვლილია სხვადასხვა სამიზნე ჯგუფების ქცევა;

სპეციალისტების მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებების ორგანიზების გზით გარემოს დაცვის სფეროში გაძლიერებულია სპეციალისტების შესაძლებლობები;

განხორციელებულია სისტემის გამართული ფუნქციონირებისთვის საჭირო პროგრამული და სამართლებრივი უზრუნველყოფა.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები

1. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი:

საზოგადოებაში გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების მიზნით 2015 წელს ჩატარდაა 70 გარემოსდაცვითი ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 1 695-მა ადამიანმა, მათ შორის: 868 მოსწავლემ და 259 სტუდენტმა;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი:

70-მდე გარემოსდაცვითი ღონისძიების მოწყობა, სადაც მონაწილეობას მიიღებს 2 000-მდე ადამიანი. მათ შორის 600 მოსწავლე და სტუდენტი;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

საზოგადოებაში გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების მიზნით 2017 წელს ჩატარდა 120-მდე გარემოსდაცვითი ღონისძიება. მათ შორის, ჩატარდა 73 ტრენინგი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 703-მა ადამიანმა და 38 ლექცია-სემინარი, რომელიც მოისმინა 1 108-მა ადამიანმა, (მ.შ. 891-მა მოსწავლემ, 217-მა პედაგოგმა), ასევე აღინიშნა გარემოსდაცვითი დღეები, სადაც მონაწილეობა მიიღო 1 507-მა ადამიანმა. სულ ცენტრის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში მონაწილეობდა 3 000-ზე მეტი ადამიანი.

2. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი:

მიმდინარე წელს გარემოსდაცვითი კანონპროექტების 20 საჯარო განხილვა გაიმართა 25 მუნიციპალიტეტის წარმომადგენელთათვის, რომელსაც ესწრებოდა 366 ადამიანი;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი:

ყოველწლიურად სხვადასხვა გარმოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით საჯარო დისკუსიებში მონაწილეობას მიიღებს 1000 კაცი;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

2017 წლის მანძილზე გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ დაგეგმილ საჯარო დისკუსიებში 606-მა კაცმა მიიღო მონაწილეობა.

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე:

განსახორციელებელია მუშაობა საზოგადოების ინტერესისა და ჩართულობის ასამაღლებლად.

3. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი:

2015 წელს მომზადდა გადამზადების ახალი ტრენინგპროგრამა - ,,გარემოსდაცვითი მმართველი", რომელიც ითვალისწინებს კადრების გადამზადებას კომპანიებისთვის. გარემოს დაცვის სფეროში სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით 2015 წლის განმავლობაში ტრენინგი გაიარა სულ 470-მდე თანამშრომელმა, მათ შორის 270-მა ტყის მცველმა, დაცული ტერიტორიების 150-მა თანამშრომელმა, ცენტრის 10-მა თანამშრომელმა და სამინისტროს სხვადასხვა უწყების 39-მა თანამშრომელმა;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი:

ყოველწლიურად ჩატარებული საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სისტემაში დასაქმებულთა ტრეინინგები, 300-მდე გადამზადებული თანამშრომელი

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

გარემოს დაცვის სფეროში სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით 2017 წლის განმავლობაში ტრენინგი გაიარა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სისტემაში დასაქმებულმა 316-მა ადამიანმა.

4. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი:

ერთიანი საინფორმაციო სისტემის დანერგვის კუთხით ამ ეტაპზე შექმნილია ატმოსფერული ჰაერის ანაგარიშგების ელექტრონული სისტემა; შექმნილია გარემოზე ზემოქმედების ნებართვების ვებრუკა, რომელზეც განთავსებულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ "გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად გაცემული ნებართვები და მასთან დაკავშირებული ინფორმაცია;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი:

დანერგილი და განახლებული წყლის, ნარჩენების, ატმოსფერული ჰაერის, გზნ-ის და სხვა ანგარიშგების სისტემა; განახლებული ექსპერტთა ელექტრონული ბაზა; განახლებული გარემოსდაცვითი ლიტერატურის ელექტრონული ბიბლიოთეკა;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:

ცენტრის ადმინისტრირების ქვეშ შეიქმნა და ამოქმედდა ნარჩენების მართვის კოდექსის 30-ე მუხლით გათვალისწინებული ნარჩენების ანგარიშგების ელექტრონული სისტემა; სამინისტროს ვებგვერდზე სისტემატურად ახლდება არსებული ექსპერტთა რეესტრი, მოქმედებს და სისტემატურად ახლდება გარემოსდაცვითი ელექტრონული ბიბლიოთეკა.

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე:

ატმოსფერული ჰაერის ანგარიშგების სისტემის შექმნა მიმდინარეობს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ატმოსფერული ჰაერის სამმართველოში, შესაბამისად სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი აღარ უზრუნველყოფს აღნიშნულის განხორციელებას.

12.7. ეროვნული საშენი მეურნეობის სისტემის ჩამოყალიბება და მართვა (პროგრამული კოდი 38 05)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ ეროვნული საშენი მეურნეობა

დაგეგმილი საბოლოო შედეგები
სახელმწიფო ტყის ფონდის აღდგენის, ქარსაფარი და ნაპირსამაგრი ზოლების შექმნისათვის საჭირო ოდენობით გამოყვანილი ნერგები;

საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შემავალი 56 სახეობის მცენარეთა საჭირო ოდენობით გამოყვანილი ნერგები და შესრულებული სახელმწიფო და კერძო მოთხოვნები;

„საქართველოს წითელ ნუსხაში“ შეტანილი და ადგილობრივი მოწყვლადი ორნიტოფაუნის წარმომადგენელთა გამრავლებული სახეობები და მათთვის ბუნებრივ გარემოში გამრავლებისათვის შექმნილი გარემო;

აღდგენილი ქარსაფარი ზოლები, სახნავ-სათესი მიწების ეროზიისა და გამოფიტვის გადაჭრილი პრობლემები და შედეგად თავიდან აცილებული სხვადასხვა სახის შესაძლო სტიქიური მოვლენები;

დამყნობილი სადედე, სათესლე და სანაყოფე კაკალნაყოფიანების ნერგებით გაშენებული პლანტაციები.

მიღწეული საბოლოო შედეგები
მეურნეობაში არსებული როგორც კონტეინერული, ისე შიშველფესვიანი ნერგების მნიშვნელოვანი მარაგი, რითაც შესაძლებელია დაკმაყოფილდეს სახელმწიფო ტყის ფონდის აღდგენის მიზნით ნებისმიერი მოთხოვნა; ქარსაფარი და მდინარეთა კალაპოტების ნაპირსამაგრი სამუშაოებისათვის დათესილი და გამოყვანილია სხვადასხვა სახეობის ნერგები;

გამოყვანილია საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შემავალი დამატებით 15 სახეობის მცენარეები;

საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი ადგილობრივი მოწყვლადი ორნიტოფაუნისა და იხტიოფაუნის წარმომადგენელთა გამრავლების და მათი ბუნებაში გაშვების მიზნით გამოყვანილია კაკაბი, კოლხური ხოხობი, ნაკადულის კალმახი;

მეურნეობაში გამოყვანილი და დამყნობილია კაკალნაყოფიანების - მათ შორის კაკლისა და ნუშის საძირეები;

სატესტო რეჟიმში გამოშვებულია სათბობი ბრიკეტები, შედეგად - ახმეტის რაიონის ორი სოფლის - ზემო და ქვემო ალვანის ბაგა-ბაღები მომარაგებულია ბრიკეტებით.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები
1. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი

როგორც დაგეგმილი იყო, წლის ბოლომდე, როგორც კონტეინერებში, ისე ღია გრუნტში, გამოყვანილი იქნება 2,0 მლნ ნერგი; ქალაქების და დასახლებული პუნქტების პარკებისა და სკვერების გამწვანების მიზნით მიმდინარეობს დიდი რაოდენობით ურბანული გამწვანებისათვის საჭირო დეკორატიული ხე-მცენარეების გამოყვანა (წლის ბოლომდე 200 000 ერთეული);

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი

ყოველწლიურად 20%-ით გაზრდილი გამოყვანილი ნერგების რაოდენობა (მ.შ. 2017 წელს - 2,4 მლნ ნერგი); ყოველწლიურად 20%-ით გაზრდილი ურბანული გამწვანებისათვის საჭირო დეკორატიული ხე-მცენარეების გამოყვანილი ნერგების რაოდენობა (მ.შ. 2017 წელს - 240,0 ათ. ნერგი);

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

როგორც კონტეინერებში, ისე ღია გრუნტში, 2017 წელს, წინა წელთან შედარებით გამოყვანილი ნერგების რაოდენობამ (ყველა სახეობაში) მოიმატა 20%-ით და შეადგინა 2,4 მლნ ნერგი, ხოლო ურბანული გამწვანებისათვის საჭირო დეკორატიული ხე-მცენარეების გამოყვანილი ნერგების რაოდენობამ - 240.0 ათასი ნერგი.

2. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი

როგორც დაგეგმილი იყო, მიმდინარეობს 2015 წელს გამოყვანილი 155 920 ერთეული წითელი ნუსხის მცენარის მოვლა, ასევე წლის ბოლომდე დამატებით 149 000 ერთეული ნერგი იქნება გამოყვნაილი;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი

წინა წლებში გამოყვანილი მოვლილი ნერგები, რომლებიც მათი გაზრდის შემდგომ გადაიტანება ბუნებაში. საშუალოვადიანი პერიოდის ბოლოსთვის წითელ ნუსხაში შემავალი 56 (სრული) სახეობის გამოყვანილი ნერგები (ჯამში 650 000 ცალი);

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

საქართველოს „წითელი ნუსხის“ მცენარეთა 56 სახეობიდან, მეურნეობაში გამოყვანილია ყველა ის ძირითადი ხე-მცენარე (დამატებით 15 სახეობა), რომელზეც გაზრდილი მოთხოვნაა ქვეყნის მასშტაბით.

3. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი

დღეის მდგომარეობით თითქმის მოწყობილია ინფრასტრუქტურა "წითელ ნუსხაში" შეტანილი ენდემური ჯიშის ფრინველთა (კაკაბი) გამრავლებისთვის, შეძენილია ინკუბატორი და ასევე სადედე ეგზემპლარები (35 წყვილი კაკაბი) შემდგომი გამრავლებისათვის, რაც საშუალებას მოგვცემს, წლის ბოლომდე მათი რაოდენობა გავზარდოთ 350 ერთეულამდე. ასევე 2015 წელს, მეურნეობის ტერიტორიაზე მოწყობილ იქნა 5000 კბ.მ ტბორი „საქართველოს წითელ ნუსხაში“ შეტანილი იხტიოფაუნის წარმომადგენელთა გასამრავლებლად;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი

4 სახეობამდე (კაკაბი, ხოხობი, გნოლი და დურაჯი) გაზრდილი ენდემური და ადგილობრივი ორნიტოფაუნის წარმომადგენლები, მათ შორის 1 700-მდე გაზრდილი კაკბების რაოდენობა, მათი პირველი სატესტო გაშვება ბუნებაში. დაწყებული ისეთი ექსპერიმენტული სახეობების გამრავლება, როგორიცაა როჭო და შურთხი;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

კაკბის და კოლხური ხოხბის გაზრდილი რაოდენობა (722 კაკაბი, 105 კოლხური ხოხობი); 2-ჯერ გაზრდილი ნაკადულის კალმახის სადედეების რაოდენობა (240 ცალი). გამოყვანილი 3 600 ცალი ლიფსიტი და 26 000 ნაკადულის კალმახის განაყოფიერებული ქვირითი.

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე:

მიზანშექონილად იქნა მიჩნეული ნაკადულის კალმახის გამრავლება

4. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი

მიმდინარეობს ბაზრის კვლევა კაკალნაყოფიანი სახეობის ნერგების სადედე ჯიშების შერჩევისა და მათი შემოტანის მიზნით. ასევევ საძირეებად უკვე დათესილია კაკალი და ნუში 0.7 ჰა-ზე;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი

პლანტაციების გაშენების მიზნით 2 ჰა-ზე დამყნობილი სადედე, სათესლე და სანაყოფე კაკალნაყოფიანების ნერგები;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

2 ჰა ფართობზე დამყნობილია 15 000 ცალი კაკლისა და 50 000 ცალი ნუშის საძირე.

12.8. გარემოს დაცვის სფეროში მონიტორინგი, პროგნოზირება, პრევენცია და ბუნებრივი რესურსების მართვა (პროგრამული კოდი 38 08)

პროგრამის განმახორციელებელი:

- ✓ სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტო

დაგეგმილი საბოლოო შედეგები

გეოლოგიური სტიქიის გართულებების თავიდან აცილებისათვის შექმნილი ადრეული გაფრთხილების საიმედო სისტემა. გეოლოგიური სტიქიისაგან მაქსიმალურად დაცული საქართველოს მოსახლეობა და სამეურნეო-საინჟინრო ობიექტები;

შერბილებული, ან თავიდან აცილებული სტიქიური მოვლენებით გამოწვეული შესაძლო უარყოფითი შედეგები; მრავალწლიურ ჰიდრომეტეოროლოგიურ მონაცემთა გამართული ბაზები, მაღალი ხარისხის ჰიდრომეტეოროლოგიური ინფორმაციით უზრუნველყოფილი მომხმარებელი;

გარემოზე საშიში გეოლოგიური პროცესების შესაძლო ნეგატიური ზემოქმედების რისკების შეფასების მიზნით შექმნილი ინფორმაციული მონაცემების სისტემური ბაზა, დადგენილი სხვადასხვა სახის მიწისქვეშა წყლების რეჟიმი, ქიმიზმი, ეკოლოგიური მდგომარეობა, დაჭუჭყიანების მიზეზები და მასშტაბები;

ატმოსფერული ჰაერის, წყლისა და ნიადაგის ლაბორატორიის ინფრასტრუქტურის შესაბამისობა წაყენებულ საერთაშორისო სტანდარტებთან. შედეგად, დამაბინძურებელი ნივთიერებების შემცველობის დადგენის სიზუსტე;

მონიტორინგის ქსელის გაფართოების შედეგად, გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის შესახებ გაუმჯობესებული შეფასება. გარემოს დაბინძურების და ბიორესურსების შესახებ ინფორმაციის სანდოობა და საიმედოობა.

მიღწეული საბოლოო შედეგები

გეოლოგიური სტიქიის გართულებების თავიდან აცილებისათვის შექმნილია ადრეული გაფრთხილების საიმედო სისტემა. გეოლოგიური სტიქიისაგან მაქსიმალურად დაცული საქართველოს მოსახლეობა და სამეურნეო-საინჟინრო ობიექტები;

შერბილებულია და მაქსიმალურად თავიდან აცილებულია სტიქიური მოვლენებით გამოწვეული შესაძლო უარყოფითი შედეგები; შექმნილია მრავალწლიურ ჰიდრომეტეოროლოგიურ მონაცემთა გამართული ბაზები, მომხმარებელი უზრუნველყოფილია მაღალი ხარისხის ჰიდრომეტეოროლოგიური ინფორმაციით;

გარემოზე საშიში გეოლოგიური პროცესების შესაძლო ნეგატიური ზემოქმედების რისკების შეფასების მიზნით შექმნილია ინფორმაციული მონაცემების სისტემური ბაზა, დადგენილია სხვადასხვა სახის მიწისქვეშა წყლების რეჟიმი, ქიმიზმი, ეკოლოგიური მდგომარეობა, დაჭუჭყიანების მიზეზები და მასშტაბები;

ატმოსფერული ჰაერის, წყლისა და ნიადაგის ლაბორატორიის ინფრასტრუქტურა შეესაბამება წაყენებულ საერთაშორისო სტანდარტებს. შედეგად, გაიზარდა დამაბინძურებელი ნივთიერებების შემცველობის დადგენის სიზუსტე;

მონიტორინგის ქსელის გაფართოების შედეგად, გაუმჯობესებულია შეფასება გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის შესახებ (მათ შორის შავი ზღვის სანაპიროსა და შიდა წყალსატევების ეკოლოგიური მდგომარეობის), გარემოს დაბინძურების და ბიორესურსების შესახებ ინფორმაციის სანდოობა და საიმედოობა.

დაგეგმილი და მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები

1. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი

ხორციელდება სტიქიური გეოლოგიური პროცესების შეფასება 3 668 დასახლებული პუნქტიდან 1 200 პუნქტში, რაც შეადგენს 33%-ს; მზადდება წლიური ვიზუალური საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნები შესაბამისი რეკომენდაციებით. დაწყებულია „დიდი თბილისის“ ტერიტორიის ფარგლებში პირველადი სამოქმედო ინფორმაციის და საინჟინრო-გეოდინამიკური რუკის შედგენა;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი

ყოველწლიურად 3%-ით გაზრდილი (1 600 დასახლებული პუნქტი, მ.შ. 2017 - 1400) იმ დასახლებული პუნქტების რაოდენობა, სადაც ხორციელდება სტიქიური გეოლოგიური პროცესების შეფასება. საშუალოვადიანი პერიოდის ბოლოს „დიდი თბილისის“ ტერიტორიის ფარგლებში 40-დან 100%-მდე დეტალიზებული სამოქმედო ინფორმაციის და საინჟინრო-გეოდინამიკური რუკა, შესაბამისად 30%-ით გაზრდილი ინფორმაციის მასშტაბურობა;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

10%-ით გაზრდილი სტიქიური გეოლოგიური პროცესების შეფასება საქართველოს მასშტაბით (3 668 დასახლებული პუნქტიდან 1 587 პუნქტში (43%)); „დიდი თბილისის“ ფარგლებში სამოქმედო ინფორმაციის და საინჟინრო-გეოდინამიკური რუკის 40%-ით დეტალიზაცია, რაც 20%-ით გაზრდის ინფორმაციის მასშტაბურობას.

2. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი

ამჟამად ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვების ქსელი ძალზედ გაიშვიათებულია. ჰიდრომეტეოროლოგიური პირობების ობიექტურად შესაფასებლად საჭიროა გაცილებით გახშირებული ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვების ქსელი. არასაკმარისად ხორციელდება

ჰიდრომეტეოროლოგიური მონაცემების საერთაშორისო დონეზე გავრცელება. საჭიროა ისტორიული ჰიდრომეტეოროლოგიური მონაცემების (150 წლის) და არაავტომატიზებული ჰიდრომეტეოროლოგიური სადგურებისა და საგუშაგოების მიმდინარე მონაცემების ელექტრონულ ფორმატში გადაყვანა და თანამედროვე პროგრამული საშუალებების მეშვეობით მათ ხარისხის კონტროლის განხორციელება;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი

სტანდარტული დაკვირვებების პუნქტების გაზრდილი რაოდენობა აუცილებელი ოპტიმალური რაოდენობის 50-დან 70%-მდე; საშუალოვადიანი პერიოდის ბოლომდე 1 პუნქტზე აღდგენილი ატმოსფეროს ვერტიკალური ზონდირების სამუშაოები, დამონტაჟებული 2 მეტეოროლოგიური მინი რადარი; ელექტრონულ ფორმატში სრულად გადაყვანილი მრავალწლიური ჰიდრომეტეოროლოგიური მონაცემები. (მ.შ. 90% 2017 წელს);

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

სტანდარტული ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვების პუნქტების არსებულთან შედარებით 11%-ით გაზრდილი რაოდენობა; ქაღალდის მატარებელზე არსებული მრავალწლიური ჰიდრომეტეოროლოგიური მონაცემების 90%-მდე ელექტრონულ ფორმატში გადაყვანილი მონაცემები (მცირე შეფერხება გამოიწვია მონაცემთა ბაზების სერვერის დაზიანებამ);

3. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი

მიწისქვეშა წყლების სადამკვირვებლო მონიტორინგული ქსელი შეადგენს 34 ერთეულს;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი

ყოველწლიურად 23-25%-ით გაზრდილი მიწისქვეშა არტეზიული წყლების არსებული მონიტორინგული სადამკვირვებლო ქსელი (მონიტორინგი ხორციელდება დამატებით 4 წყალპუნქტზე);

მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი

34-დან 51 ერთეულამდე, ანუ 50%-ით გაზრდილი მიწისქვეშა წყლების სადამკვირვებლო მონიტორინგული ქსელი (მონიტორინგი ხორციელდება დამატებით 17 წყალპუნქტზე);

4. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი

ატმოსფერული ჰაერის, წყლისა და ნიადაგის ლაბორატორიის ინფრასტრუქტურა მხოლოდ 50%-ით შეესაბამება ლაბორატორიების მიმართ წაყენებულ სტანდარტებს;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი

ლაბორატორიების მიმართ წაყენებული საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ატმოსფერული ჰაერის, წყლისა და ნიადაგის ლაბორატორიის განახლებული ინფრასტრუქტურა. საქართველოს სხვადასხვა პუნქტებში დამაბინძურებელი ნივთიერებების შემცველობის დასადგენად ატმოსფერული ჰაერის, წყლის, ნიადაგის და ატმოსფერული ნალექების სინჯებზე ჩატარებული ქიმიური და ბიოლოგიური ანალიზების სიზუსტე;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

დასრულებული ახალი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ლაბორატორიული კორპუსის მშენებლობა; ლაბორატორიული შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით შეძენილი ახალი გაზური ქრომატოგრაფი, რომელიც დამონტაჟდა ატმოსფერული ჰაერის, წყლისა და ნიადაგის ანალიზის ლაბორატორიაში.

5. დაგეგმილი საბაზისო მაჩვენებელი

ზედაპირული წყლებისა და ნიადაგის ხარისხის უკეთ შესწავლის მიზნით აუცილებელია მონიტორინგის არეალის გაფართოება. ზედაპირული წყლების ხარისხის შესაფასებლად ამჟამად დაკვირვებები მიმდინარეობს 119 წერტილში, რაც შეადგენს დაგეგმილი 170 პუნქტის 70%-ს, ნიადაგის დაბინძურების მონიტორინგი კი ამჟამად მიმდინარეობს 30 დასახლებულ პუნქტში, რაც შეადგენს დაგეგმილი 85 პუნქტის 35 %-ს. ამჟამად ქ.ქუთაისში და ბათუმში ჰაერის დაბინძურების კონტროლი აღწევს 30%-ს, ხოლო ქ.თბილისში - 60%-ს;

დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებელი

საშუალოვადიანი პერიოდის ბოლოს 170 წერტილში (წლიური ზრდა 12-15%-ით) განხორციელებული წყლის ხარისხის მონიტორინგი, ხოლო ნიადაგის დაბინძურების მონიტორინგი - 70 დასახლებულ პუნქტში (წლიური ზრდა - 20-25%-მდე); ინდიკატორული გაზომვების მეშვეობით ყოველწლიურად 20%-ით გაზრდილი ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების დონის შეფასება საქართველოს 16 დასახლებულ პუნქტში;

მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი

ზედაპირული წყლების (მდინარეებისა და ტბების) მონიტორინგის წერტილების 23%-ით გაზრდილი რაოდენობა (158 წერტილი); განხორციელებული ნიადაგის დაბინძურების მონიტორინგი 45 დასახლებულ პუნქტში (ზრდა - 50%); ნაცვლად მიზნობრივი მაჩვენებლით დაგეგმილი 16 ქალაქისა.